

K 255  
2

ՊԵՏԻՆԻԱ



თეივერაჲ პირველი



თხზულეგათუ  
სრული კრებული



• ტექსტი •  
გმოკვლევა  
ლექსიკონი

ელ. ბარამიძის ზ. ბ. ჯაუბიას

რედაქციით

ფ • ე • დ • ე • რ • ა • უ • ი • ა

ტფილისი

ქართული: კლასიკური: მწერლობა

899.962.1-1

9X255  
1/2

თეოდორე: I


ბამოცემა:  
პირველი:



ფ \* ე \* ლ \* ე \* რ \* ა \* ც \* ი \* ა

MCMXXXIV:

პ/შგ. რედაქტორი: სიმონ ჩიქოვანი  
მხატვარი: ლ. გრიგოლია  
კორექტორი: ბ. პატარაია  
გამომშვები: ი. მჭედლიშვილი  
გადაეცა წარმოებას 4.IX.33 წ.  
დანთავრდა 9.V.34 წ.



**De Thaimorayo.**

Thaimorayus Georgianus Rex Milesque Inducitissimus in bellis pugnant contra  
Multa Fidei dicitur a Christianis Orientalibus Defensor et Propugnator

Handwritten text in Armenian script, likely a list or inventory. The text is written in a cursive style and includes various words and phrases, some of which are crossed out or written over. The text is arranged in several lines, with some words appearing to be part of a larger sentence or list. The handwriting is dense and somewhat difficult to decipher due to the cursive style and some fading or overlapping of letters.

## ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს

თეიმურაზ პირველის თხზულებათა სრული კრებული პირველად იბეჭდება, თუმცა ზოგიერთი ცალკეული ნაწარმოები რამდენიმეჯერაც კი იყო გამოცემული, მაგრამ, ორიოდე გამონაკლისს გარდა, ყოვლად უმსგავსოდ და უხეიროდ. აკადემიური მოსაზრებები გვაიძულებდა უმეტესკლებოდ წარმოგვედგინა ჩვენი ავტორის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მიუხედავად ცალკე ძეგლების (როგორცაა, მაგალითად, ანბანთქებანი და სასულიერო ლექსები) სუსტი მხატვრული ღირსებისა.

თეიმურაზის თხზულებათა შემცველი ხელნაწერები ბლომად მოიპოვება. რასაკვირველია, ეს გარემოება პოეტის არაჩვეულებრივი პოპულარობით აიხსნება. რედაქციის განკარგულებაში იყო ჩვენი სიძველეთსაკავების სხვადასხვა კოლექციების ათეული ნუსხები, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი ავტოგრაფი ხელნაწერი არ აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერიღაა ცოტად თუ ბევრად დაახლოვებული თეიმურაზის ცხოვრების დროსთან, ხელნაწერთა უმრავლესობა XVIII—XIX საუკუნეებს ეკუთვნის.

აი რედაქციის განკარგულებაში მყოფი ხელნაწერების სია:

|                            |                |
|----------------------------|----------------|
| 1. A = 403 S <sup>1</sup>  | 9. I = 1739 S  |
| 2. B = 461 H <sup>2</sup>  | 10. J = 5184 „ |
| 3. C = 1511 S              | 11. K = 1508 „ |
| 4. D = 1735 A <sup>3</sup> | 12. L = 593 A  |
| 5. E = 3706 S              | 13. M = 59 H   |
| 6. F = 2775 „              | 14. N = 3693 S |
| 7. G = 2694 „              | 15. O = 485 H  |
| 8. H = 1517 „              | 16. P = 1605 A |

1) საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ყოფ. წერაკითხვის განავრცელებელი საზოგადოების კოლექცია.

2) იმავე მუზეუმის ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექცია.

3) იმავე მუზეუმის ყოფ. საეკლესიო და საუნევერსიტეტო კოლექცია.

|                             |                               |
|-----------------------------|-------------------------------|
| 17. Q = 1103 S              | 35. J <sup>1</sup> = 2305 s   |
| 18. R = 1516 „              | 36. K <sup>1</sup> = 4799 „   |
| 19. S = 1537 „              | 37. L <sup>1</sup> = 239 „    |
| 20. T = 1547 „              | 38. M <sup>1</sup> = 62 „     |
| 21. U = 6 „                 | 39. N <sup>1</sup> = 2442 „   |
| 22. V = 1293 „              | 40. O <sup>1</sup> = 1125 A   |
| 23. X = 2676 ბ „            | 41. P <sup>1</sup> = 1432 „   |
| 24. Y = 101 „               | 42. Q <sup>1</sup> = 1242 „   |
| 25. Z = 2676 ა „            | 43. R <sup>1</sup> = 860 „    |
| 26. A <sup>1</sup> = 3723 „ | 44. S <sup>1</sup> = 1635 „   |
| 27. B <sup>1</sup> = 342 „  | 45. T <sup>1</sup> = 790 „    |
| 28. C <sup>1</sup> = 1512 „ | 46. U <sup>1</sup> = 509*     |
| 29. D <sup>1</sup> = 1020 H | 47. V <sup>1</sup> = 32       |
| 30. E <sup>1</sup> = 222 „  | 48. X <sup>1</sup> = 290.     |
| 31. F <sup>1</sup> = 773 „  | 49. Y <sup>1</sup> = 396      |
| 32. G <sup>1</sup> = 769 „  | 50. Z <sup>1</sup> = 201      |
| 33. H <sup>1</sup> = 2325 „ | 51. A <sup>2</sup> = 4529 S   |
| 34. I <sup>1</sup> = 536 „  | 52. B <sup>2</sup> = 4988 „** |

მთელი ეს დიდძალი მასალა რედაქციამ შეძლებისდაგვარად გულდასმით და ზედმიწევნით შეისწავლა. ამ შესწავლამ გამოარჩვია, რომ სანდო წყაროს შეიცავდა მხოლოდ ხელნაწერთა ნაწირი ნაწილი. მაგრამ აღსანიშნავია ერთი სახარბიელო გარემოება: ხელნაწერები ჩვეულებრივად ცალკე, ჯგუფებად, თუ ტიპებად, იყოფა. თითოეულ ასეთ ჯგუფში ერთერთი ხელნაწერი ერთგვარ არქეტის წარმოადგენს, ჯგუფის დანარჩენი ხელნაწერები მიახლოებული სიზუსტით იმეორებს თავის არქეტის. ჩვენ გამოკვმას ბუნებრივადაც არქეტები ხელნაწერები დაედვა საფუძვლად. ეს ხელნაწერებია: A, B, C, D, P, B<sup>1</sup>, C<sup>1</sup>, X<sup>1</sup>, T<sup>1</sup>, A<sup>2</sup>, B<sup>2</sup> (= 11).

ხელნაწერთა აღწერილობას ჩვენ არ შეუდგებით, მით უმეტეს, რომ უმდიდრესი წ.კ. კოლექცია ორიოდ ნომრის გამოკლებით (სა-

\* ხელნაწერები U<sup>1</sup>-Z<sup>1</sup> ეკუთვნის ცენტრარქივის კოლექციას.

\*\* ამათ გარდა რედაქციას ისეთი ხელნაწერებიც მოეპოვებოდა, რომლებიც დეფექტურობისა თუ ტექსტის წარყენილობის გამო არაფერს საყურადღებოს არ შეიცავდა. აი ეს ხელნაწერებიც. H კოლექციისა: 1306, 424, 2896, 2998, 1227, 419; S = 535, 2305, 1084; ცენტრარქივის = 193.



ხელნაწერი № 1537, 4799-ის გამოკლებით) მთლიანად აქვს აწერილი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს თავის ცნობილ შრომაში („Описание рукописей общ. расн. грамотности среди груз. населения“). აწერილია აგრეთვე (ბ. ჟორდანიასა და მ. ჯანაშვილის მიერ) ყოფ. საეკლესიო მუზეუმის (A კოლექციის) ხელნაწერთა უმრავლესობა<sup>1</sup>. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების (H კოლექციის) ჩვენთვის საყურადღებო ხელნაწერები ყველა XIX ს. ეკუთვნის. ცენტრარქივის ფონდიდან საყურადღებო აღმოჩნდა მხოლოდ X<sup>1</sup> (რომელსაც ჰევე-ვით ცალკე შეგვხვებით). ყოველივე ამის გამო რედაქცია კმაყოფილდება მხოლოდ ძირითადი ხელნაწერების შესახები მოკლე ცნობების გადმოცემით.

კრიტიკული ტექსტის დასადგენად ყველაზე უფრო სანდო წყაროდ A ხელნაწერი აღმოჩნდა, რომელიც ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს აზრით უნდა იყოს „вероятно, конца XVII века“<sup>2</sup>, მაგრამ შესაძლებელი ხდება თარიღის მეტი დაზუსტებაც. დანწერლობის შესწავლიდან ცხადი ხდება, რომ ეს ხელნაწერი ცნობილ მდივან-წიგნობაზ ონანა ქობულაშვილს გადაუწერს (ცნობილია ონანას ავტოგრაფული ხელნაწერი № 1613s). ონანა ვახტანგ მეექვსის კარზე მოღვაწეობდა და სხვათა შორის, ლტოლვილ მეფეს რუსეთშიც გადაყვა. მაინცდამაინც ონანას სამწერლობო მოღვაწეობა შობის XVIII ს. პირველ ნახევარზე. ამ დროს უნდა მიეკუთვნოს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხელნაწერიც. ონანას ხელთ კარგი დედანი უნდა ჰქონოდა (ალბათ ვახტანგის ბიბლიოთეკიდან). ამით აიხსნება A ხელნაწერის შედარებითი რედაქციული უპირატესობა.

B ხელნაწერში თეიმურაზის ახსულგებათაგან არის მხოლოდ «იოსებ-ზცილხანიანი» და «ლეილ-მეჯნუნიანი». ამ ჰომეგებს აქ წინ «ვეფხის-ტყაოსანი» მიჰძღვის, ამიტომაც ხელნაწერი რუსთველის ტემბის დიდი ყურადღებით სარგებლობდა და მისი აღწერილობაც ხშირად განოქვეყნებულა. ყველას შეთანხმებული აზრით ხელნაწერი XVII ს. (უფრო ამ საუკუნის მეორე ნახევარს) უნდა ეკუთვნოდეს.<sup>3</sup>

<sup>1</sup>) Описание рукописей тиф. церк. музея I, II, III.

<sup>2</sup>) Описание, II, 274—275.

<sup>3</sup>) ს. კ ა ბ ა ძ ე, „ვეფხის-ტყაოსანი“, გვ. 11 (1913 წ. გამოცემა) და გვ. V (1927 წ. გამოცემა) ი. ა ბ ლ ა ძ ე, „ვეფხის-ტყაოსანი“, მე-26 გამოცემა, გვ. IX-XI პ. ინგოლოყვა, „რუსთველიანი“, გვ. 10; პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მნათობი“, 1927 წ.

|                             |                                |
|-----------------------------|--------------------------------|
| 17. Q = 1103 S              | 35. J <sup>1</sup> = 2305 s    |
| 18. R = 1516 "              | 36. K <sup>1</sup> = 4799 "    |
| 19. S = 1537 "              | 37. L <sup>1</sup> = 239 "     |
| 20. T = 1547 "              | 38. M <sup>1</sup> = 62 "      |
| 21. U = 6 "                 | 39. N <sup>1</sup> = 2442 "    |
| 22. V = 1293 "              | 40. O <sup>1</sup> = 1125 A    |
| 23. X = 2676 ბ "            | 41. P <sup>1</sup> = 1432 "    |
| 24. Y = 101 "               | 42. Q <sup>1</sup> = 1242 "    |
| 25. Z = 2676 ა "            | 43. R <sup>1</sup> = 860 "     |
| 26. A <sup>1</sup> = 3723 " | 44. S <sup>1</sup> = 1635 "    |
| 27. B <sup>1</sup> = 342 "  | 45. T <sup>1</sup> = 790 "     |
| 28. C <sup>1</sup> = 1512 " | 46. U <sup>1</sup> = 509*      |
| 29. D <sup>1</sup> = 1020 H | 47. V <sup>1</sup> = 32        |
| 30. E <sup>1</sup> = 222 "  | 48. X <sup>1</sup> = 290.      |
| 31. F <sup>1</sup> = 773 "  | 49. Y <sup>1</sup> = 396       |
| 32. G <sup>1</sup> = 769 "  | 50. Z <sup>1</sup> = 201       |
| 33. H <sup>1</sup> = 2325 ზ | 51. A <sup>2</sup> = 4529 S    |
| 34. I <sup>1</sup> = 536 "  | 52. B <sup>2</sup> = 4988 " ** |

მთელი ეს დიდი მასალა რედაქციამ შეძლებისდაგვარად გულდასმით და ზედმიწევნით შეისწავლა. ამ შესწავლამ გამოარკვია, რომ სანდო წყაროს შეიცავდა მხოლოდ ხელნაწერთა ნაწილი. მაგრამ აღსანიშნავია ერთი სახარბიელო გარემოებაც: ხელნაწერები ჩვეულებრივად ცალკე, ჯგუფებად, თუ ტიპებად, იყოფა. თითოეულ ასეთ ჯგუფში ერთერთი ხელნაწერი ერთგვარ არქეტის წარმოადგენს, ჯგუფის დანარჩენი ხელნაწერები მიახლოებული სიზუსტით იმეორებს თავის არქეტისს. ჩვენ გამოცემას ბუნებრივადაც, არქეტი ხელნაწერები დაედვა საფუძვლად. ეს ხელნაწერებია: A, B, C, D, P, B<sup>1</sup>, C<sup>1</sup>, X<sup>1</sup>, T<sup>1</sup>, A<sup>2</sup>, B<sup>2</sup> (= 11).

ხელნაწერთა აღწერილობას ჩვენ არ შეუძლებით, მით უმეტეს, რომ უმდიდრესი წ.კ. კოლექცია ორიოდ ნომრის გამოკლებით (სა-

\* ხელნაწერები U<sup>1</sup>—Z<sup>1</sup> ეკლთენის ცენტრარქივის კოლექციას.

\*\* ამით გარდა რედაქციას ისეთი ხელნაწერებიც მოეპოვებოდა, რომლებიც დეფექტურობისა თუ ტექსტის წარყვნილობის გამო არაფერს საყურადღებოს არ შეიცავდა. აი ეს ხელნაწერებიც. H კოლექციისა: 1306, 424, 2896, 2998, 1227, 419; S = 535, 2305, 1084; ცენტრარქივის = 193.

ხელდობრ №№ 1537, 4799-ის გამოკლებით) მთლიანად აქვს აწერილი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს თავის ცნობილ შრომაში („Описание рукописей общ. расп. грамотности среди груз. населения“). აწერილია აგრეთვე (თ. ჟორდანიასა და მ. ჯანაშვილის მიერ) ყოფ. საეკლესიო მუზეუმის (A კოლექციის) ხელნაწერთა უმრავლესობა<sup>1</sup>. საისტორიო-საენთოგრაფიო საზოგადოების (H კოლექციის) ჩვენთვის საყურადღებო ხელნაწერები ყველა XIX ს. ეკუთვნის. ცენტრარქივის ფონდიდან საყურადღებო აღმოჩნდა მხოლოდ X<sup>1</sup> (რომელსაც ჰევევით ცალკე შევსებით). ყოველივე ამის გამო რედაქცია კმაყოფილდება მხოლოდ ძირითადი ხელნაწერების შესახები მოკლე ცნობების გადმოცემით.

კრიტიკული ტექსტის დასადგენად ყველაზე უფრო სანდო წყაროდ A ხელნაწერი აღმოჩნდა, რომელიც ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს აზრით უნდა იყოს „вероятно, конца XVII века“<sup>2</sup>, მაგრამ შესაძლებელი ხდება თარიღის მეტი დაზუსტებაც. დანწერლობის შესწავლიდან ცხადი ხდება, რომ ეს ხელნაწერი ცნობილ მდივან-წიგნობაზრ ონანა ქობულაშვილს გადაუწესაბავს (ცნობილია ონანას ავტოგრაფული ხელნაწერი № 1613S). ონანა ვახტანგ მეექვსის კარზე მოღვაწეობდა და სხვათა შორის, ლტოლვილ მეფეს რუსეთშიც გადაყვა. მაინცდამაინც ონანას სამწერლობო მოღვაწეობა შოდის XVIII ს. პირველ ნახევარზე. ამ დროს უნდა მიეკუთვნოს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხელნაწერიც. ონანას ხელთ კარგი დედანი უნდა ჰქონოდა (ალბათ ვახტანგის ბიბლიოთეკიდან). ამით აიხსნება A ხელნაწერის შედარებითი რედაქციული უპირატესობა.

B ხელნაწერში თეინურაზის თხზულებათაგან არის მხოლოდ «იოსებ-ზილიხანიანი» და «ლეილ-მეჯუნჯიანი», ამ პოემებს აქ წინ «ვეფხისტყაოსანი» მიუძღვის, ამიტომაც ხელნაწერი რუსთველის ტემის დიდი ყურადღებით სარგებლობდა და მისი აღწერილობაც ხშირად გამოქვეყნებულა. ყველას შეთხზებულნი აზრით ხელნაწერი XVII ს. (უფრო ამ საუკუნის მეორე ნახევარს) უნდა ეკუთვნოდეს.<sup>3</sup>

<sup>1</sup>) Описание рукописей тип. церк. музея I, II, III.

<sup>2</sup>) Описание, II, 274—275.

<sup>3</sup>) ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 11 (1913 წ. გამოცემა) და გვ. V (1927 წ. გამოცემა) ი. აბულაძე, „ვეფხისტყაოსანი“. მე-26 გამოცემა, გვ. IX-X; პ. ინგოლოყვა, „რუსთველიანი“, გვ. 10; პროფ. კ. კეკელიძე „მნათობი“, 1927 წ.

მართლაც, რამდენადაც ფილიგრანის ნიშნებით შესაძლებელი ხდება ამის გათვალისწინება, ხელნაწერი უეჭველად XVII საუკუნისაა, უფრო ზუსტად კი ამ საუკუნის მიწურულისა.

მიუხედავად თავის სიძველისა B ხელნაწერი მაინც უაღრესად დამახინჯებულ და წარყვნილ ტექსტს შეიცავს და ამ მხრივ უპირატესობა A რედაქციას შერჩა. განსაკუთრებით საყურადღებოა B ხელნაწერი ტექსტუალური შედგენილობის თვალსაზრისით.

„იოსებ-ზილიხანიანი“ დაუცავს აგრეთვე ერთ უეჭველად XVII საუკუნის ხელნაწერს A<sup>2</sup>-ს. როგორც გადაწერის ხელნაწერიდან ჩანს, გადაწერა შესრულებულია არა უგვიანეს 1671 წლისა.<sup>1</sup> იგივე „იოსებ-ზილიხანიანი“ შემოუნახავს კიდევ აგრეთვე XVII ს. ხელნაწერს—B<sup>2</sup>-ს, მაგრამ ე. თაყაიშვილის სიტყვებით ნუსხის სწორედ ეს ნაწილი „судя по почерку и бумаге, вероятно, первой половины XVIII века“.<sup>2</sup>

C და C<sup>1</sup> ნუსხები გადაწერილია განთქმულ მწიგნობარ-კალიგრაფის დავით რექტორის მიერ. აღსანიშნავია, რომ C პირწმინდა იმეორებს B ხელნაწერს, ოღონდ უკანასკნელის ცხადი შეცდომები რექტორს შეუსწორებია. ჩვენი აზრით C არ უნდა იყოს B-ს უშუალო პირი, მაგრამ ორივე ერთ რედაქციულ ჯგუფში კი იყოს თავს.

D ხელნაწერს კრებულს წარმოადგენს უმთავრესად თეიმურაზისავე თხზულებათაგან) და XVIII ს. მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ერთი მინაწერიდან ჩანს, ხელნაწერი გადაწერილია ვინმე მარიამს (ალეილ-მეჯნუნიანის“ სათაურში აქ ჩართულია: „შეწენა შენი, უფალო, თანა ეყოს მწერალსა მარიამს“). ხელნაწერი შესრულებულია-გაკვეთილი, ლამაზი მრგვლოვანი ხელით. ტექსტი დაცულია საკმაოდ შეუბღალავად, რედაქციულად A ტიპის ხელნაწერებს მისდევს, მრავალი ცდომილებანი აქაც გააზრებული და შესწორებულია. ტექსტის დადგენისათვის ეს ხელნაწერი კარგ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს. საწუხაროდ, ნუსხა დეფექტურია, აქლია თავშიც და ბოლოშიც, 22 ფურცელი შემდეგ არის ჩამატებული (ამათში თეიმურაზის თხზულებათაგან არის „შვიდთა კრებათათვის“ და „თამარის სახე“) და შესრულებულია განსხვავებული ხელით.

1) Описание, II, 524-525.

2) იქვე, II, 697.

P. მშენიერი მდივან-მწიგნობრული ხელით არის გადაწერილი, უნდა ეკუთვნოდეს XVIII ს. პირველნახევარს, უფრო კი ამ საუკუნის დასაწყისს. ხელნაწერი ძალზეა დაზიანებული, ცალკე თხზულებათაგან გადაჩენილია მხოლოდ ნაშთები. შედარებით სრულია «მაჯამა», უნაკლდაა «ანბანთქებანი» (I, II, III). ტექსტი უალრესობამდე წარყენილ რედაქციულად დიდ თავისებურებას იჩენს და განმარტოებულად დგას. III ანბანთქება თითქმის მთლიანად დამოუკიდებელ რედაქციას იძლევა.

H<sup>1</sup> გადაწერილია 1773 წელს ცნობილ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ. ტექსტი საერთოდ ნდობის ღირსია.

T<sup>1</sup> მხოლოდ „ლეილ-მაჯუნისან“ შეიცავს და იმასაც ნაკლებად. გადაწერილია XVIII ს. პირველ ნახევარში (ყოველშემთხვევაში არა უგვიანეს 1754 წლისა, როგორც ეს ბოლო მინაწერიდან ჩანს)<sup>1</sup> ვინმე ზაალ თუმანიშვილის მიერ.<sup>2</sup>

X<sup>1</sup> ერთერთი საინტერესო ხელნაწერთაგანია. თითონ ნუსხა ახალია, XIX ს. პირველი ნახევრისა (ქალაქის ფილიგრანი 1808 წელს უჩვენებს), მაგრამ ერთი მინაწერიდან ირკვევა, რომ გამწერს ხელთ ძველი დედანი ჰქონია. „გრემის სისახლეს“ დასასრულსა და „ქეთევან დედოფლის“ დასაწყისში წითურით შესრულებული ისეთი ჩანაწერია: „სრულ იქმნა წიგნი ესე ძალითა ღვთისათა პირველ აღმწერელისაგან ქორონიკონს. ტნპ [1670], თთვესა აგვისტოსა ია [11]“.

მაშასადამე, X<sup>1</sup>-ის დედანი 1670 წ. ყოფილა გადაწერილი. თეიმურაზის თხზულებისათვის კი ეს ერთერთ უძველეს თარიღად უნდა მივიჩნიოთ, ამიტომაც ამ ხელნაწერის მნიშვნელობა თავისდათავედ ცხადია. მართალია, ორთოგრაფიული თვალსაზრისით ხელნაწერი ვაფთვლარებულა, მაგრამ მაინც ფრიად საყურადღებოა ტექსტუალური შედგენილობისა და ზოგიერთი საჩოთირო ადგილების წაკითხვების მხრივ. X<sup>1</sup> რედაქციულად საერთოდ A ჯგუფის ტიპს განეკუთვნება, კერძოდ კი მრავალ დეტალებშიც D-ს იმეორებს. ამით კიდევ ხელმეტად მტკიცდება A და D ხელნაწერთა იშვიათი რედაქციული ღირსება.

1) ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს თ. ქორდანიას და XVII ს. მიაკუთვნებს (Описание, II, 224).

2) აღბათ ამ ფაქტს თუ ემყარებოდა ზ. კიკინაძე, რადგანაც „ლეილ-მაჯუნისანს“ თარგმანს სწორედ ზაალ თუმანიშვილს მიაწერდა.

დანარჩენი ხელნაწერები ჩამოთვლილ ძირითად ნუსხებს ან უცვლელად მისდევს (რამდენიმე ზატვანი ძირითადი ნუსხების უბრალო პირია. კონკრეტული ფაქტები ნაჩვენებია ცალკე ნაწარმოებთა მიხედვით), ანდა იმეორებს უწინშენელო ვარიაციით.

ვარიანტული ტექსტების დართვა წინამდებარე გამოცემაში ვერ მოხერხდა. ძირითადი ტექსტის დადგენისათვის მთავარ დასაყრდენ წყაროდ გამოყენებულია A ხელნაწერი, თუმცა არაიშვიათად ამისი ცალკეული წაკითხვა ვარიანტში მოექცა, ხოლო ძირითადი ტექსტის ადგილი დამხმარე ხელნაწერებმა დაიკირა. ყოველი ცალკე ტაეპი და ცალკე სიტყვა ცი ზუსტად შეწამებულია ზევით ჩამოთვლილი ხელნაწერების მიხედვით და საბოლოოდ ისეა დადგენილი, არცერთ შემთხვევაში რედაქციას თვითნებობისათვის არ მიუშართავს და ტექსტი არ შეუსწორებია ხელნაწერთა ჩვენების გარეშე (ოლონდ, რასაკვირველია, ცხადი ლაფსუსები შეუნიშნავად აღკვეთილია). რედაქციის საკუთარი წვლილი ცალკე სიტყვებისა, თუ სიტყვის ნაწილაკების აღსადგენად მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში.

ორთგვარადის მხრივ „აღორძინების“ პერიოდი დიდ რყევას განიცდის, არ არსებობს რაიმე გარკვეული ნორმა და რედაქციაც შედარებითი თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა ასეთი თუ ისეთი ფორმის არჩევისას, უპირატესობა ეძლეოდა უფრო ძველ კლასიკურ ფორმებს. მაინცდამაინც ამ შემთხვევაშიდაც A ხელნაწერი წარმოადგენდა დასაყრდენ ბაზას. ე. წ. ზედმეტ ასოებს ჩვენ მოვევრდეთ (გასაგები მიზეზის გამო ზედმეტი ასოები დარჩენილია მხოლოდ ანბანთქებებში). ერთგვარი წესრიგია შეტანილი სუბიექტურ-ობიექტურ-პრეფიქსების სმარებაშიც.

ერთი ფრიად საცილობელი და რთული საკითხთაგანი იყო თეიმურაზის თხზულებათა სრული აღრიცხვა. საქმე ისაა, რომ ჩვენი მკვლევარი და განოცემელი თეიმურაზს ბევრ ისეთ რამეს მიაწერენ, რაც მას სინამდვილეში არ ჰკუთვნებია. ძნელდებოდა პირველ და მეორე თეიმურაზთა ნაწერების გამოჯენა. საილუსტრაციოდ საკმარისია თუ აღვნიშნავთ, რომ ისეთი სერიოზული მკვლევარიც კი, როგორიც იყო პროფ. თაყაიშვილი, მის მიერ განოცემული «თინასარიანის» მთარგმნელის ვენაობაში ვერ ერკვეოდა: „გეკი ნამდვილათ არ ვიცი, რომელ თეიმურაზ მეფეს ეკუთვნის თარგმანი, პირველს თუ მეორეს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup>) თინასარიანი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ. 1903, წინასიტყვაობა.

კრიტიკული კვლევა-ძიების წყალობით თეიმურაზის სახელით ცნობით თხზულებათაგან შემდეგი ნაწარმოებნი გამოირიცხა:

1. „განთქმულა პირველ ბრძენთაგან სიღარბაისლე მესხისა“ [დაბეჭდილია ზ. კიკინაძის გამოცემაში: «ლექსნი თქმულნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან», ტფილისი 1886, გვ. 7; შდრ. აგრეთვე ხელნაწერი № 3723 გვ. 81]. ეს ლექსი ეკუთვნის გოჩას (C<sup>1</sup> გვ. 367; შდრ. ე. თაყაიშვილი, Описание, II, 232; პროფ. კ. ქეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., II, 401, ზენ. 3).

2. „კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვითთა მოივარგოს“ [ზ. კიკინაძე, გვ. 7; ხელნაწერი № 3723, გვ. 81]—ეკუთვნის ვახტანგ VI-ის და მოთავსებულია მის ავტოგრაფულ ნუსხაში (№ 4500 s, გვ. 266; შდრ. Описание, II, 404).

3. „ესე არს სიბრძნე ბერძენთა: პირველ ფილოსოფოსობა“ [ზ. კიკინაძე, გვ. 8; ხელნ. № 1512, გვ. 376; შდრ. აგრ. Y<sup>1</sup> |—ამოღებულია არჩილის თხზულებიდან „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ (№ 424s, გვ. 31).

4. „გლოვა დედუფლისა“ [კიკინაძე, გვ. 59-60; № 1512, გვ. 90-93; H2325] — ამოღებულია არჩილის იმავე თხზულებიდან („ცხოვრება თეიმურაზისა“, პ. იოსელიანის გამოცემა, 43-45).

5. ანბანთ-ქება: არა ბრძანებ გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზ ტეთერს“ [კიკინაძე, გვ. 58; პროფ. კ. ქეკელიძე, II, 401]—ეკუთვნის ვახტანგს და ესეც მის დასახელებულ ავტოგრაფულ ნუსხაშია მოთავსებული (№ 4500, გვ. 244; შდრ. ე. თაყაიშვილი, Описание, II, 403).

6. ანი და ჭი: „აღმეძრა ბაგე გულის დაღებით“ — მთელი რიგი წყაროების მოწმობით თეიმურაზ მეორეს უნდა ეკუთვნოდეს (2676 ა გვ. 147; 3704, გვ. 112; H2325; ცენტრარქივის № 201 და სხვ. შდრ. პროფ. კ. ქეკელიძე, II, 441).

7. „ენა ტკბილი, ენა მწარე“ [კიკინაძე, გვ. 7; № 3723, გვ. 81]—თეიმურაზ პირველს მიეწერება მხოლოდ № 3723 ხელნაწერის გვიანდელი ყალბი სიით. № 1512-ში ტექსტი შეტანილია უავტოროდ, D ხელნაწერში კი მოთავსებულია არჩილის თხზულებებში და, საფიქრებელია, ამასვე ეკუთვნოდეს (ყოველ-შემთხვევაში თეიმურაზის ავტორობა მაინც გამოსარიცხია).

8. 3723 s ხელნაწერით თეიმურაზს მიეწერება შემდეგი ერთ-სტროფიანი ლექსი:



ჩამოვიარე ბალშია, მუნ ვნახე პიროზე ქალია,  
 შეეხედე, ვიცან ჩემშებით, გულზედ მამედო ალია,  
 ნეტაი პირით მაწოვა, ძუძუში რომ სდის წყალია!  
 ხორე შანს დიდად შევბრალდი, რომ მნახა ფერს შემკრთალია<sup>1</sup>.

მოტანილი პაწაწკინტელა ლექსი უთუოდ ხალხური ნაწარმოე-  
 ბია და შესაძლებელია თეიმურაზის შესახებ იყოს შეთხზული (ხო-  
 რეშანი თეიმურაზის ცოლს ერქვა), მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში  
 ჩვენ პოეტს ვერ მივაკუთვნებთ.

9. ზოგიერთი ხელნაწერი<sup>2</sup> აგრეთვე შეცდომით მიაწერს თეი-  
 მურაზს არჩილის ცნობილ ტრაქტატს «ძველთა და ახალთა საქარ-  
 თველოს მელექსეთათვის».

აღ. ხახანაშვილი<sup>3</sup> თეიმურაზს მიაწერს ერთ თხზულებას  
 („შედარება ცივებისა და მღვდლისა“), რომელიც ჩვენ არსად შეგვ-  
 ხვედრია (არც თეიმურაზისა და არც სხვის სახელოქისად) და რომე-  
 ლიც პროფ. კ. კეკელიძის ცნობით XIX საუკუნეში დაუწერა  
 ვინმე მღვ. იოსებ კოშორიძეს<sup>4</sup>.

№ 3723 ხელნაწერის ზევით დასახელებული ყალბი სიით თეი-  
 მურაზსავე მიეწერება „აღმართნა ბროლისა სვეტნი“, რაც სხვა ცნო-  
 ბებით თითქოს არჩილს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ ლექსის ფაქტუ-  
 რი მონაცემებით საეჭვო ხდება არა თუ თეიმურაზის, არამედ არჩი-  
 ლის ავტორობაც კი<sup>5</sup>.

ახლა ცოტა რამ თეიმურაზის ცალკე ნაწარმოებთა შესახებ.

I. ვარდ-ბუღლიანი (სრული სათაურით: ლექსი მუნა-  
 სიბი და ტკბილ-გაწყობილი, მსმენელთათვის საამოვნო ვარდ-ბუღ-  
 ბულისა გაბჭობა, ღვთივ გვირგვინოსანის ხელმწიფის-პატრონის თეი-  
 მურაზისაგან ნათქვამი) შემდეგ ხელნაწერებს დაუცავს: A, C, D, E, K, L,  
 M, P, Q, S, X, A<sup>1</sup>, B<sup>1</sup>, D<sup>1</sup>, E<sup>1</sup>, F<sup>1</sup>, J<sup>1</sup>, K<sup>1</sup>, L<sup>1</sup>, N<sup>1</sup>, P<sup>1</sup>, X<sup>1</sup>.

შედგენილობის მხრივ სხვაობს B<sup>1</sup> და იმაზე დამოკიდებული  
 ხელნაწერები (Q, D<sup>1</sup>). ტრადიციულ ტექსტს აქ ერთვის „გაზაფხული-

<sup>1</sup>) ეს ლექსი დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს, Описание, II, 353.

<sup>2</sup>) შდრ. დავით რექტორის ხელნაწერი № 1512, გვ. 376 და შმდ.; აგრე-  
 ძვე ცენტრარქივის № 396.

<sup>3</sup>) Очерки, III, 90.

<sup>4</sup>) ქართული ლიტ. ისტორია, II, 394.

<sup>5</sup>) შდრ. იქვე 421, შენ. 5.



სა და შემოდგომის გაბაასებას\* ბოლოსიტყვაოზა, M-ს დაუცავს ერთი ზედმეტი სტროფი „იოსებ-ზილიხანიანი“დან (311).

ვარდ-ბულბულიანი ბევრჯერაა გამოცემული:

1. «ცისკარი» 1860, I-II.
2. დ. ჩუბინაშვილი, ქრისტომატია, II, 1863 წ.
3. არსენ კალანდაძე და ამხ., 1875 წ.
4. ზ. კიკინაძე, ლექსნი თქმულნი... 1886 წ.
5. ს. გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა (ამ კრებულის რამდენიმე გამოცემა არსებობს. უკანასკნელად გამოვიდა 1927 წელს).
6. ალ. ბარამიძე, ქართული მწერლობის ქრესტომათია (V-XVIII სს.), 1932 [ამ ქრესტომათიის ტექსტი წინამდებარე გამოცემას ემყარება].

ვარდ-ბულბულიანი სხვა თხზულებებთან ერთად დაწერილია იმერეთში 1649-1656 წლების განმავლობაში, როგორც ეს პარჩილის მოწმობიდან ჩანს (ცხოვრება თეიმურაზისა, პ. იოსელიანის გამოცემა, 639-640):

შიდ წელიწადს მოვიცადე . . . . .  
ახლა ვსთქენ შვიდის კრებისა მამათა წმინდათ დასება,

ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გა-  
ზაფხულსა,

კვლავ სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ-დადაგულსა:  
ამ დროს ლექსი ვით გავაწყე, ძლივლა მხედავ მესულდგმულსა!  
მუნ მაჯამას შეყრილს ნახავ, აქ აქა-იქ დაკარგულსა.

II. შამი-ფარვანიანი (შელაპარაკება და ბაასი, მათ-მათი შესაფერი მიჯნურობა და ფარვანასაგან თავის დაწვით გაწირვა. ნათქვამი და გალექსული ლეთივ გვირგვინოსანის ძეგის თეიმურაზისაგან) შემოივც ხელნაწერებშია: A, C, D, E, K, Q, T, S, X, A<sup>1</sup>, B<sup>1</sup>, D<sup>1</sup>, E<sup>1</sup>, F<sup>1</sup>, I<sup>1</sup>, M<sup>1</sup>, X<sup>1</sup>. აქიდან დეფექტური T და I<sup>1</sup> ერთიდაიმავე ხელნაწერის ნაწილებია.

შამი-ფარვანიანის გამოცემანი:

1. «ცისკარი» 1860, III-IV.
2. დ. გივიშვილისა და მ. ახპატელოვის, ტფილისი 1876 წ.
3. ზ. კიკინაძის, 1886 წ.

შამი-ფარვანიანი შეთხზულია იმერეთში 1656 წლის ზაფხულსა, თუ შემოდგომაზე, რადგან ეპილოგში ავტორი პირდაპირ ამბობს:

ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა-ო-ხოლო ეს „ცუდად“ ყოფნა 1649 წელს დაიწყო.

III. ლეილ-მაჯუნიაანი (ლეილ-მაჯუნისა ამბავი სპარსთა ენათაგან ქართულად ნათარგმანები ღვთივ გვირგვინოსანის შეფის პატრონის თეიმურაზისაგან და ლექსადაც მისგანვე თქმული) შემდეგ ხელნაწერებშია: A, B, C, D E, F, G, H, I, J, K, L, M, N, O, P, T<sup>1</sup>, S<sup>1</sup>.

რედაქციის მხრივ ლეილ-მაჯუნიაანის შემცველი ხელნაწერები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

A ჯგუფი: A, D, E, F, K, L, O,

B ჯგუფი: B, C, G, H, M, N.

I, J, T<sup>1</sup> და S<sup>1</sup> ნაკლულია. P-ში პოემის მხოლოდ ნაწყვეტიღა გადარჩენილა, მაგრამ თავისებურობით ის განცალკევებულად დგას. აღსანიშნავია, რომ B ჯგუფის ხელნაწერები M-ის გამოკლებით პოემას ურთავს შემდეგ ზედმეტ სტროფს (ეს სტროფი აკლია P-საც):

მე ვწერ ამ წიგნსა, სახელად რომელსა მქვია დავრიში,  
მაჯუნ იყო ლეილისთვის ველად გაქრილი დავრიში;  
ბასრელმა მეფემ რნება მის შარბათ-ხაჭრი ყარიში,  
შიგან ჩავარდა თვითანვე, სხვისთვის ქა თხარა ჰარქიში.

ლეილ-მაჯუნიაანის რამდენიმე თავი უხეიროდ და რედაქტორის აღუნიშნავად დაიბეჭდა გაზ. «საქართველო»ს დამატებებში 1915 წელს (№№ 4, 6, 8, 10). ექსცერპტულად გამოქვეყნდა პოემა «ანთოლოგია»შიც (II, 1928).

არჩილის მოწმობით ლეილ-მაჯუნიაანი იმ დროს ყოფილა დაწერილი, როდესაც თეიმურაზი ქართლ-კახეთის შეერთებულ ტახტს განაგებდა, ე. ი. 1629-1631 წლებს შუა (ცხ. თეიმურაზისა, 498):

ამ დროს ესტქვი ლეილ-მიჯნური, ზილიხან-იოსებისა-ო.

IV. იოსებ-ზილიხანიანი 1927 წელს გამოსცა გ. ჯაკობიამ I. რედაქტორის განკარგულებაში იყო 18 ნუსხა (გვ. 02-03). ტექსტის შენიშვნებში ნაჩვენებია ხელნაწერთა ვარიანტები, მაგრამ

1) იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, ტფილისი.

გამომცემელს მაშინ გაუთვალისწინებელი დარჩა უძველესი B, A<sup>2</sup> და B<sup>2</sup> ხელნაწერები. ამჟამად ეს ნაკლი შევსებულა. ახალი მასალების დანშარებით აქა-იქ საჭირო გახდა ძირითადი ტექსტის შესწორება, თუმცა შემჩნეული განსხვავებანი საერთოდ უბრალო ვარიანტული ხასიათისა გამოდგა.

იოსებ<sup>1</sup>-ზილიხანიანი თეიმურაზის ერთერთ უადრინდელს ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩნეული. დამახასიათებელია, რომ თითონ ავტორი მას „უწერთელისა ნაღვანს“ უწოდებს (209, 2). პოემის დაწერის („თარგმნის“) ზუსტი თარიღი არ მოგვეპოვება, მაგრამ ერთი საბუთით ვიცით, რომ 1629 წელს თხზულება საქვეყნოდ ცნობილი ყოფილა. სახელდობრ, კათოლიკე პატრები 1629 წლის თარიღით აუწყებენ რომს: „თეიმურაზ საუკეთესო პოეტია, რადგან შეადგინა ისტორია იოსებისა“-ო<sup>1</sup>.

V. შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა. (შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა; ერთმანერთის თავის ქებით-ჯობნით ბასი და ცილება. ლექსად თქმული ხელმწიფის-მცდის თეიმურაზისაგან) შემდეგ ხელნაწერებშია: A, C, D, E, K, Q, S, X, B<sup>1</sup>, D<sup>1</sup>, E<sup>1</sup>, F<sup>1</sup>, J<sup>1</sup>, X<sup>1</sup>. აქედან X და J<sup>1</sup> ნაკლულია და საერთოდ უვარგისია. Q და D<sup>1</sup> წარმოადგენს B<sup>1</sup>-ს პირს. შედგენილობის მხრივ ზოგიერთი ხელნაწერი თავისებურობას იჩენს: C, S და F<sup>1</sup> წყდება 78 სტროფზე, B<sup>1</sup>, Q და D<sup>1</sup> 79 სტროფისგან შედგება. უკანასკნელი ჯგუფის ხელნაწერები „შედარების“ ბოლო ტექსტებს ურთავს „ვარდ-ბულბუღიანს“ დამოუკიდებელი სათაურით (გარდა Q-სი): „სწავლა სიტყვისა, ლექსი კეთილი“ (B<sup>1</sup>), ან „სიტყვა სწავლისა“ (D<sup>1</sup>).

შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა პირველად დაიბეჭდა «ცისკარში» 1860 წ. ივლისის ნომერში, შემდეგ ის დ. გივიშვილმა და ბ. ახატელაძემ გამოსცა (ტფილისი 1876 წ.), ტექსტი ჩესამედ გამოაქვეყნა ზ. ჭიჭინაძემ (ლექსნი თქმულნი...). «შედარებას» ეპილოგის ლირიკული ნაწყვეტი (სტრ. 85—106) ცალკე სათაურით („ჩივილი სოფლისადმი“) დაბეჭდილია „ანთოლოგია“-ში (II, 1928).

თხზულება დაწერილია რაქაში „უცხრ-ღარიბად“ ყოფნისას, ე. ი. 1649—1656 წლებში.

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 102.

VI. მაჯამსა (აკვიწყით ლექსთა ლარიბთა და მუნასიბთა აღწერად. ნათქვამი ღვთოვ გვირგვინოსნისა მეფის თეიმურაზისა, კეთილსასმენელი და ტბილ-სამაოვნო, მსმენელთათვის საძებარ სათარგმანებელი, სუფრისა და ლხინის დიდად შემამკობელი“) დაუცავს: C, D, E, K, P, R, T, Y, B<sup>1</sup>, C<sup>1</sup>, D<sup>1</sup>, E<sup>1</sup>, F<sup>1</sup>, G<sup>1</sup>, N<sup>1</sup>, O<sup>1</sup>, V<sup>1</sup> და X<sup>1</sup>-ს. შედგენილობის მხრივ ხელნაწერებში დიდი არე-დარევაა. გარკვეულად გამოირჩევა 4 ძირითადი რედაქცია.

პირველი რედაქცია დაბეჭდილია 1852 წლის «ცისკრის» № 6-ში და 51 სტროფისაგან შედგება. ცალკე ადგილები აქ გადასმულ-გადმოსმულია და არეულია. არცერთი ცნობილი ხელნაწერი ამ რედაქციას არ მისდევს.

მეორე რედაქცია იმავე «ცისკარში» გამოქვეყნდა 1853 წელს (№ 2) და შემდეგ ზ. ჭიჭინაძემაც გადაბეჭდა (1886 წ., ლექსნი თქულნი...). ამ რედაქციას მთლიანად იმეორებს C<sup>1</sup> და N<sup>1</sup>.

მესამე რედაქციას წარმოადგენს ალ. ბარამიძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი (ანთოლოგია, II, 1928, გვ. 42—51), რომელსაც ცოტა მეტ-ნაკლებობით იძლევა ყველა დანარჩენი ხელნაწერი.

მეოთხე რედაქცია დაუცავს R ხელნაწერს. ეს უვრცელესი რედაქციაა. აქ მოიპოვება საკუთრივ „მაჯამას“ გარდა, თეიმურაზის სხვა ნაწარმოებთაგან გამოკრებილი ადგილებიც (სახელდობრ ისეთი ადგილები, რომლებიც სტროფული „მაჯამის“ პრინციპზეა აგებული).

მაჯამას დაკვირვებული შესწავლან უდავოდ ჰყოფს მესამე რედაქციის უპირატესობას. ჩვენი ტექსტიც დალაგებულია ამ რედაქციის მიხედვით. მაჯამას ცალკე თავებად დაყოფისას რედაქციის იზიარებს პროფ. კ. კეკელიძის შეხედულებას ამ საგანზე<sup>1</sup>.

VIII თავი (ქება და მკობა...) ხელნაწერთა უმრავლესობაში (D, E, K, P, E<sup>1</sup>, N<sup>1</sup>) ცალკეა გამოყოფილი და მაჯამას ტექსტს წინ უძღვის, B<sup>1</sup> და D<sup>1</sup>-ით კი იგივე ცალკე გამოყოფილი „ქება“, პირიქით, მაჯამას ბოლოშია დართული. C, F<sup>1</sup> და V<sup>1</sup>-ით საცილობელ თავს მაჯამა ერთვის უსათაუროდ. C<sup>1</sup> და N<sup>1</sup>-ით მაჯამას უშუალოდ აგრძელებს „ქება“.

ბოლოსიტყვაობა არ აქვს C<sup>1</sup> და N<sup>1</sup>-ს, ხოლო P-ს დაკარგული აქვს დეფექტურობის გამო. დიდ თავისებურობას იჩენს C<sup>1</sup> და R.

<sup>1</sup>) შდრ. ქართ. ლიტ. ისტორია, II, 395—398.

ც-ში „მეფეთა ქებას“ მისდევს ერთი უცნობი სტროფი და „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარების“ ეპილოგის ნაწილი (სტროფები 76; 79—108). აი ც-ის ჩანართი სტროფიც:

ყოვლის საქმის მოწვენამდის, კაცო, თავი გახიციადე,  
 შიიწიოს, ნუ ისწრაფი; სჯობს, თუ ცოდვა გან იციადე!  
 მაგრამ დრომან სატანჯველში სულ შეგასწროს, განიციადე,  
 აწ გასჭვრიტე სოფლის საქმეს და სიკვდილი განიციადე.

თავის მხრივ R-იც იძლევა სხვა ხელნაწერებით უცნობ ერთ ჩანართ ადგილს (რომელიც მისდევს VII თავის 18 სტროფს):

კურთხეულმც არის ტფილელი, რა ამწვეა ტკბილი ნაყოფით,  
 აწ ეს გამორჩა წიგნებსა, სხვას ვის უნახავს ნაყოფით?  
 მე ვეპე, რომ მართლად რუსთვლისა ესე[ა] გამოაწყოფით,  
 აწ სული ჩემი ცოდვილი, ნეტამც, მას ამო ნაყოფით!

წარმოდგენილ სტროფს ხელნაწერში აგრძელებს შემდეგი გამოკრებილი ტექსტები (ნაჩვენებია სტროფების მიხედვით):

- a. შამი-ჟარენიანიდან—28, 29, 67.
- b. ალექსანდრესა და ნესტანის ქებიდან—3, 5, 6, 7; 8, 11, 13, 14, 15, 16, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 26, 29, 30.
- c. ვარდ-ბულბულიანიდან—4, 12, 15, 16, 30, 32, 42, 48, 62, 63, 75, 76, 84, 87.
- d. მაჯამადან—IV, 11.
- e. უცნობი სტროფი.
- f. მაჯამას ბოლოსიტყვაობა.

ამვე ვაქვეყნებთ ამ მეორე (e) უცნობ სტროფსაც:

მოშორებისა ცეცხლი მწვამს, თავი მტკივიან ხანასო,  
 თავს უთხრა: 'თაო საწყალო, ბევრს სტირი, მაგრამ ხანა სო!  
 ვაპ, ჩემო კირნო ეგზომნო, ოთხმოცდაათო, ხან ასო,  
 თუ ვერა გნახამ მეყე[ი]სნო, სოფელს ვერ დავეყოფ ხანასო.

მაჯამა შეთხზულია იმერეთში (სახელდობრ რაჭაში) შვიდ წლიანი ემიგრაციის დროს, ე. ი. 1649—1656 წლებში. ამასთან მაჯამა ამ პერიოდის ერთერთი უგვიანესი ნაწარმოებია.

VII. წამება ქეთევან დედოფლისა შემდეგ ხელნაწერებში: A (ნაწილობრივად), C, G, K, Q, V, A<sup>1</sup>, B<sup>1</sup>, Q<sup>1</sup>, R<sup>1</sup>, S<sup>1</sup>.

U<sup>1</sup>, X<sup>1</sup>, Y<sup>1</sup>, B<sup>1</sup> და R<sup>1</sup> გადაწერილია ნ. ჩაჩიკაშვილის მიერ და ერთგვარ რედაქციას იძლევა. S<sup>1</sup> წარმოადგენს R<sup>1</sup>-ის პირს (გადაწერილია მ. ჯანაშვილს).

72 სტროფის შემდეგ C, G, V, Y<sup>1</sup> ურთავს სამ სტროფიან ჩანართს საგანგებო სათაურით (სათაური აკლია G-ს): „ეს სამი ლექსი საბა ორბელიანისაგან არის ნათქვამი“-ო. 69—70 სტროფებს იცნობს მხოლოდ X<sup>1</sup>.

პეტიტით აწყობილი ათი სტროფი (87—96), ცხადია, თეიმურაზის არ არის და რომელიღაც გადამწერ-გამგრძელებელს ეკუთვნის. თითონ თეიმურაზს დაუტოვებია ანდერძად: „ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავა“-ო (86). გამგრძელებელი იმოწმებს ამ ტაეპს: „მთქმელს ეთქვა: «არას ვემდურვი ამ წიგნის ლექსის მატება»“-ო (95). შეიძლება ექვი დაბადოს მხოლოდ იმ გარემოებამ, თუ საიდან იწყება გაგრძელების ტექსტი. გამგრძელებლის სიტყვით: „ამ წიგნის მთქმელმან [ე. ი. თეიმურაზმან] ბოლოს თქვა ამავე წიგნის ლექსია“. მაშასადაე, გამგრძელებელიც ადასტურებს, რომ თეიმურაზმა თხზულების ბოლოს აღნიშნა სტროფების რიცხვი. მართლაც, 86 სტროფის უკანასკნელ ტაეპში თეიმურაზი აცხადებს: „მე ოთხმოცი ლექსი მითქვამს, სრულ ეს არი ბოლო თავი“-ო. რასაკვირველია, ავტორი აქ მხოლოდ დაახლოებით ვარაუდობს სტროფების („ლექსების“) რაოდენობას: ოთხმოცი ლექსი მითქვანსო, თუმცა ფაქტურად 86-ია (ან 84, თუ 69—70 სტროფებს არ მივიღებთ მხედველობაში. ყოველ შემთხვევაში გამგრძელებელი არ უნდა იცნობდეს ამ სტროფებს). ასევე დაახლოებით მსჯელობს გამგრძელებელიც: „ვთქვი შეიდი-ექვსია“-ო (ექვსია“ მას რითმისათვის დასჭირდა: ლექსია, კვენსია, მესია). გადამწერელს ამჟღავნებს გამოთქმებიც „დაიწერა“, „მწერალი“. 87 სტროფი შინაარსეულადაც შეუძლებელია თეიმურაზს რომ ეკუთვნოდეს. ამ სტროფის ავტორი გვიამბობს: ვილაც მონაზონი მომადგა, ხელნაწერი მთხოვა; უარი უთხარი, მაგრამ არ დაიშალაო. მეფის მიმართ მსგავს კანდიერებას ვერ გამოიჩენდა რომელიმე თუ გინდ, უცხო რამ“ მონაზონი. გაგრძელების ტექსტი ცალკე დგას სტილისტიკურადაც. ნართაულ სტროფებს ჩვენ მხოლოდ მისრულისათვის ვბეჭდავთ. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ A ხელნაწერს ტექსტის დასასრულს მიწერილი აქვს წითურით: „ეს ბოლოს ლექსი ამ წიგნისა არ არის, ნუსხაში ეწერა და შეცდომით დავსწერეთ“-ო.

გაგრძელება არ შეიძლება საბა ორბელიანს მიეწეროთ თუ გინდ იმ მოსაზრებით, რომ უძველესი ნუსხები A და X<sup>1</sup> პირველ დაშატებას (საბას დამატებას) ჯერ კიდევ არ იცნობს. გაგრძელება დაწერილია შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ (აბასი გარდაიცვალა 1628 წელს), რადგან ტექსტში გარკვევით ნათქვამია, რომ აბასი „წამებითგან ხუთ წლამდის დაემხო“-ო (89).

წამება ქეთევან დედოფლისა პირველად გამოსცა ალ. ჯარამიძემ<sup>1</sup>.

VIII. სოფლის სამღურავი შემოუნახავს: C, R, U, F<sup>1</sup>, H<sup>1</sup> და Y<sup>1</sup>-ს. აქიდან 4 ხელნაწერში (C, U, F<sup>1</sup>, Y<sup>1</sup>) ასეთი სათაური გვაქვს: „სხვა გვარნი ლექსნი დაიწყებთან. ვჰგონებ პირველის თეიმურაზ შეფისაგან იყოს ნაბრძანები. ოთხ-ოთხი ტაეპი, ათექვსმეტ მარცვლოვანი შაირად“. R გაურკვეველად შენიშნავს; „აწე სხვა გვარნი ლექსნი იწყებთან, რომელ არიან შაირნი. არცა ეს უწყოდი, ვისი თქმული იყო“-ო. H<sup>1</sup> ბიბლიოფილურ ცნობას უფრო ჰკვეცავს: „სხვა გვარნი ლექსნი დაიწყებთან; რომელ არს შაირნი“.

თავის მხრივ რედაქცია ოდნავ არ დაეჭვებულა თეიმურაზის ავტორობაში. როგორც თემატიკით, ისე სტილისტიკის ყოველგვარი ნიშნებით „სოფლის სამღურავი“ თეიმურაზის უცილობელი ნაწარმოებია<sup>2</sup>. ლექსის სათაური ჩვენ გვეკუთვნის. ტექსტი პირველად ქვეყნდება.

IX. გრემის სასახლეზედ (გრემი იყო კახეთის სატახტო ქალაქი) დაუცავს: D, G, K, C<sup>1</sup>, E<sup>1</sup>; H<sup>1</sup>, I<sup>1</sup>, X<sup>1</sup> და Z<sup>1</sup>-ს. ხელნაწერები ჩვეულებრივად ურთავს: „აქა ხელმწიფესა მეფეს თეიმურაზს გრემის სახლზედ ლექსები ეთქვა და ბალის სახლზედ დაეწერა“. ტექსტი დაბეჭდილი აქვს ზ. კიკინაძეს 1886 წლის გამოცემაში.

აღსანიშნავია, რომ 6—9 სტროფები მხოლოდ X<sup>1</sup>-შია. განსაკუთრებულ ექვს იწყვეს უკანასკნელი (9) სტროფი, ის თითქოს გადამწერს უნდა ეკუთნოდეს.

<sup>1</sup>) ანთოლოგია, II, 1928, გვ. 34—41. აქვე აღსანიშნავია, რომ თითქოს ექთაყაიშვილს უნახავს ვახუხიშვილების ეკლესიაში 1819 წელს დაბეჭდილი „წამება ქეთევან დედოფლისა“ (არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907, გვ. 262). სამწუხაროდ, ამ გამოცემას ჩვენ არ ვიცნობთ (არცერთ ჩვენს წიგნთსაცავში ის არ იპოვება). ვგონებთ, რომ ე. თაყაიშვილი დიმიტარატიონის შეთხზულ „ქეთევან დედოფლის წანებას“ უნდა ჰვეულისხმობდეს. მაგრამ უკანასკნელი 1822 წელს დაიბეჭდა (და არა 1819).

<sup>2</sup>) თეიმურაზს აკუთვნებს ამ ლექსს პროფ. კ. კეკელიძეც (II, 389).



X. თამარის სახე დავით გარეჯას („ეს ერთი ლექსი ოდეს მეფე თეიმურაზ დავით გარეჯას მიბძანებულა და მეფის თამარის სახე უნახავს, მის მუნასიბად უბძანებია“) მხოლოდ სამ ხელნაწერშია: D, E, K. იბეჭდება პირველად.

XI. ანბანთქებანი შემდეგ ხელნაწერებს შემოუნახავს:

1. C, G, P, Q, T, U, V, Z, B<sup>1</sup>, F<sup>1</sup>, H<sup>1</sup>, Y<sup>1</sup>, Z<sup>1</sup>.

2. D, E, K, N, P, U, T, B<sup>1</sup>, C<sup>1</sup>, H<sup>1</sup>, M<sup>1</sup>, Q<sup>1</sup>, Y<sup>1</sup>, Z<sup>1</sup>.

3. P, Q, T, B<sup>1</sup>, C<sup>1</sup>, H<sup>1</sup>, M<sup>1</sup>, V<sup>1</sup>, Y<sup>1</sup>, Z<sup>1</sup>.

4. C, G, F<sup>1</sup>.

1, 2 და 3 ანბანთქება პირველად ქვეყნდება, მე-4. დაბეჭდილი აქვს ზ. კიკინაძეს.

XII. შვიდთა კრებათათვის („ქება და დიდება წმინდისა და ერთარსებისა სამებისა და ღვთაებისა ბუნებით განუყოფელისა, კრებათაგან დამტკიცებულისა, ჩაბრუნებულად თქმული მეფის-პატრონის თეიმურაზისაგან“) შემდეგ ხელნაწერებშია: C, D, E, G, P, Q, O, Z, B<sup>1</sup>, D<sup>1</sup>, F<sup>1</sup>, H<sup>1</sup>, J<sup>1</sup>, X<sup>1</sup>, Y<sup>1</sup>, Z<sup>1</sup>,

დაწერილია ეს თხზულება 1649-1656 წლებში, ტექსტი პირველად ქვეყნდება.

თეიმურაზის ხელრთვა ამოღებულია საქართველოს მუზეუმის ერთი სიგლიდან (№ 2122 H), რომელიც დაწერილია 1631 წელს. (თეიმურაზთან ერთად სიგელს ამტკიცებს მისი ცოლი ზვარემანი).

ჩვენამდე მოღწეულა XVII საუკუნეში შესრულებული ორი პორტრეტი თეიმურაზისა. ორივე ეკუთვნის თეიმურაზის დაახლოვებულ პირს, განთქმულ მოგზაურსა და მხატვარს ქრისტოფორო კასტელს. პირველ პორტრეტში წარმოდგენილია თეიმურაზი ახალგაზრდობის პერიოდიდან (სწორედ ეს დაერთო ჩვენ გამოცემას), მეორე პორტრეტი კი თეიმურაზის მოხუცებას გვიხატავს და შესრულებულია იმერეთში 1649-1656 წლებში. ეს პორტრეტი დართული აქვს „ანთოლოგიას“ (II, 1928).

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე ტექსტი დამზადებული იყო გამოსაცემად ჯერ კიდევ 1928 წელში, მაგრამ მისი დაბეჭდვა დღემდის ვერ მოხერხდა.



# თეიმურაზ I

პოეზიები და ლექსები

## ვარდ-გულგულიანი

### [შესავალი]

1. ჰე, არსისა შექომქმედო! შენგან არი ყოვლიფერი:  
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი.  
ვერვის ძალუც ხორციელსა ქება შენი შესაფერი,  
და შენცა მრისხავ, მოწყალეო, თუ ტყუილად ზოგეფერი!
2. ვიწყო რამე სიტყვა მცირე, ბრძენმან ვინმე ყურად ილოს,  
გულისგან საუნჯისა ვის რა ედვას, გამოილოს;  
ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოილოს,  
და უგბილმან და უგუნურმან ეერა რამე წამოილოს.
3. სცანიოთ, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა,  
უცებთა არად სანდომი, ცნობილთა—წამლად გულისა;  
მე გამიმწარდა საწუთრო, აბეზარ ვიქმენ სულისა,  
და სოფლისა ავად ბრუნვამან მე ერთობ გამაგულისა.
4. ფილოსოფოსთ ელენთ სიბრძნე შეიდი არის, გან ექვსული!  
ერთი არის რიტორება, სიტყვათ შეთხზენა; განექსული;  
ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას, ჩემებრ რამე განლექსული,  
და უკედავი ხარ—ცნობა გმართებს, პირუტყვად გაქე გან ეგ სული?
5. ვარდისა და ბულბულისა ვის გაბჭობა არ ასმოდეს,  
მას იამოს ეს ამბავი, თუ ვისთვისმე ხელი რბოდეს;  
ვის მახვილი გულად ედვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწოთოდეს,  
და იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუბყრობდეს.
6. გააუბნა ერთჰანერთსა მოლა აჯამ ბრძენთა-ბრძენჰან  
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული სიტყვა ტკბილი, ენა გრძელმან,  
სალხინო და სალალობოდ, სხვად არასმე შესაძქმან;  
და მიჯნურთათვის გულსა ლახვრად ჳირსა ლხინზე დასაძქმან.
7. შევიწიო ძალი ღვთისა, მე დავიწყო თარგმანობა,  
გაზაფხულზე დაიწყების აწინდელი სიტყვის თხრობა;  
მზე კირჩხიბზედ გარდაჯდების, შეიქნების ქვეყნად თბობა,  
და ფრინველთაგან შემღერება, ჳიკჭიკი და ამო ხმობა.

\* \* \*

8. ზღვა დაწყნარდა ლელვისაგან, შეიცვალა ქარ-კეთილად,  
ვითა გული გამწყრალისა, დამშვიდდა და იქმნა ლბილად;  
მკსინვარება ზამთრისა და ყინვა დადნა, ვითა ცვილად,  
და ხეთა იწყეს შემოსადევი პირველისა დანაწყილად.
9. ჰაერიცა შეიცვალა, ჟამ კეთილმან მოაბერა,  
მანვე მიწა განაახლა, ვინცა პირველ მოაბერა;  
მაქებარად ხელოვნისა გამოჩნდობის მოამბე რა,  
და გამისინჯეთ ლექს ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა!
10. წელიწადის მოქცევამან მიწის პირი განაახლა,  
იგ ოსტატი ხელოვანი პირველ იყო, განა ახლა?  
ქარი, მიწა, ცეცხლი, წყალი, ერთმანერთსა თან აახლა,  
და ცა ყინვაზე, მიწა წყალზე აღრიდგანეყ დაასახლა.
11. გაზაფხულის წვიმამ ხშირმან ჟანგიანი მიწა რეცხოს,  
ხენი ხილთა გამომღებლად მიდგომილი დაიკვერცხოს,  
ამაუბნა ჭიკჭიკითა—ლამის მეცა გამაზერცხოს,  
და მეღუქსემან ხამს, თუ სიტყვა ახალასოს, წაზინდაღვერცხოს!
12. ვითა ტურფა ახალ-რძალი საწუთროსა დანაზრობდა,  
წყლისა პირსა ალვა ნორჩი ტურფათა რასმე ტანად ზრობდა;  
ყვავილნი და მწვანე მოლნი თავსა მიწით დანაზრობდა,  
და მზისა შუქთა მომლოდნელი იგ არვისგან დანაზრობდა.
13. ჯერ ვადიწო, რაც ძალ მედვას, შემომქმედი მისგან ქმნილმან,  
მაგრა რა ვქნა—სოლომოწევა მცირე რამე უთხრა ძლივ მან;  
აწ მოვიქცე პირველსავე ამბავზედან სიტყვა-მცირმან,  
და საქებელად ძალსა მისსა აღმოხეთქა ნერგთა ძიამან.
14. დაუსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან,  
მოგვართვა სული სურნელი, იგ საყნოსელმა იამან;  
თავმოდრეკილმან სიმდაბლით არ თავი გაიხვია მან,  
და ტკბილად შეხედნა თვალმან და გულისა კარმან ღიამან.
15. სურნელი და პირად თეთრი გაიშალა იასამან,  
ვთქვი: ესე სჯობს ფერად, სულად, დამამდურვა იასა მან;  
მას ვერა სჯობს ერთი რამე, ვერ უღარებს, იასა მან,  
და ვერ მიუვალ მოსაკრეფლად, ვის დაუსვამს იასამან?

16. ზამბახმან პირი გაშალა, იგ თაფი სრულ მან დახარა,  
ავგავსო სურნელებითა, ზედ ყოვლმან სულმან დახარა;  
ვთქვი: ჩემთანც მოდი საწოლსა—ბალშიგან სულ მანდა ხარა,  
და ვციცავ, ან ძა ხარ ვარდისა, ან, ჩემთან სულჰან, და ხარა.
17. რა მოვიდა დრო მისვლისა, სუმბულიცა მოვა სითმე,  
ნახა ვინმე პირად მზემან, თქვა: „ვსჯობვარო ნეტა რით შე!“  
უსუნა და თქვა: „ეზომი ჩე სიტურფე ვით დაგითმე?  
და შავი ხარ და სულ-ამბარი, ზოლფად მინდი, ან დავით შე!“
18. ნარგისი მოვა შეენებით, ყვითლითა შექოსილაო.  
არ ვიცი ვის ჰგავს, სით მოვა, ვისი გვარი და სილაო;  
მისითა სურნელებითა წალკოტი სულ ავსილაო,  
და გამდიდრებულა ბალი და მებაღე არ დავსილაო.
19. ყაყაჩო და არღავანი ერთმანერთსა ეუბნების:  
—„სიტურფით და შეენებითა, ფერად ვერვინ გვედარების;  
სურნელობით გვაჭარბებენ—გული ჩენი ამით ჭკნების,  
და მივიდეთა და გავერინეთ, მათში ნურვინ გამოწყდების.“
20. სოსანმან უთხრა რეჰანსა: „ქუჟრი გაქვს, თალხი ფერები,  
გიგავს რამ მგლოვიარესა, გული ჩანს დანაბერები;  
შენ სული გიდის სურნელი ტურფად რამ მონაბერები,  
და უსული მაქვს და შეენება, მათთან მეც შევეფერები.“
21. ვით გიამბო რიცხვი, ზომი მათ ყვაეილთა გარეგანთა,  
სურნელნი და მრავალფერნი, არ თუ მგზავსი ეკალ-ნართა;  
თქვეს: „მოველით უკეთესსა, მოვა, საქმე წავგემართა,  
და ჰფერობს ჩენი ზელ-მწიფობა, რად დაყოვნდა, არ მოგვმარტა?“
22. თქვეს: „რა გვექმნების უმისოდ ვარდისა მომლოდინესა?  
ჩვენ თავი დაგვიც სამონოდ მისთვის, გლახ, ცრემლთა მდინესა“.  
მოვიდეს, ნახეს გაშლილი, თქვეს: „ეგზომ ტურფა ვინ ესა?“  
და თავყანი სცეს და შეიტკბეს, გალიმდეს, გაიციენსა.
23. მათ შუა დასვეს ხელმწიფედ, იგი მისებრივ შეენოდა,  
ეგზომი მათი სიტურფე მასთან არ გამოჩნდებოდა;  
მეფე, გლახა და მდიდარი იშვებდენ, არ მოსწყენოდა,  
და იგ, მისთვის ხელი, ბულბული თავს ევლებოდა, მღეროდა.

24. ბალი, ბაღა და წალკოტი შეამკო, დააშენა მან,  
იგ მონად შექმნა ყოველნი თეთრ-წითლად შუქთა მფენამან;  
სრულ საყნოსელი აავსო სურნელებისა დენაჰან,  
და ველარა ქნა რა სევდაჰან, შექივრებისა წყენამან.
25. ყველამ მომართა სალხინოდ, იგ ვისცა სცალდა, ვის არა,  
რცხვენთან ჰირისუფალსა, თვარ შექივრებით ზის არა;  
შელეწეს ზლუდე, კარები, ღობემან ველარ ისარა,  
და რალა იციან ღამისა, ან მზისა ამოსვლისა რა?
26. ბულბულისა რალა გითხრა მრავალგვარად ყუფა, მღერა,  
მისმან ეგზომ ღელობამან ყოვლი სული შეაჯერა;  
იგ სულისა დაუღებლად ზახილი და ცრემლთა დენა,  
და ვარდმან ნახა, ითაკილა, შეუვიდა გულსა წყენა.
27. მან ერთ-დღე იხმო მებაღე ხალვათად თავის წინარე,  
თქვა: „გკითხავ რასმე, მძამბე, თვარე გყო ცრემლთა მდინარე;  
ბევრ-მრავალ-გვარად მხმოზელი, მითხარ, ეგ ჩიტი ვინ არე?  
და კვდების, იწვის და იძახის, არვის უნაჩავს მძინარე.
28. „რა მე მოვსულვარ, მას აქეთ ბრუნავს ამ ჩემსა არესა,  
დაფრინავს სრულა ხედახე, იძახის, კენესის მწარესა;  
რა გამეღვიძოს, აქ ვნახავ ჩემზედან დამბრუნვარესა,  
და პირს არ შეიღებს, არ გავლის გარე ბაღისა კარესა.“
29. „ბევრჯერ მინახავს უსულოდ ეკალთა ძირსა მღებარე,  
გაჭბედავ უთხრა: «დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებარე».  
იტყვის: «ვცოცხალვარ, რად მმარხავთ?—გულსა ცეცხლი  
მწვავს მღებარე!»  
და აწ მითხარ:—მე და ეს ბალი შენს ხელთ ვართ, შენ მოგებარე“.
30. მებაღე ჰკადრებს: „ტურფაო თვალად, თვარად და სულადო!  
იხარებს ყოვლი ქვეყანა, რა მოხვალ კარგ-უსულადო,  
მე შენი სამსახური მამეს ჩემად სიცოცხლედ, სულადო,  
და მე ვხედავ ამა საწყალსა ჰკვისაგან გარდასულადო.“
31. „მიბრძანე, მითხარ მართალი—თვარ ვიკადრებდი მე რადო!  
შენთვის იწვის და ენთების, პირისპირ გიზის მხერადო;  
თავსა გველების ხელქმნილი, ზედ დაგჰიკვიკებს მღერადო,  
და აწ შენცა ჰკიფხე, გიამბოს, უბრძანე—«დამკენს მე რადო»?

32. „რა წახვალ, დაიკარგების, რა ძოხვალ—მოვა ესეცო, გაკედების თავგანწირული, ხედავ, ლახვარსა ეს ეცო! უსახლკარო და ღარიბი, ცოტა რამ ტანსა ეს ეცო, და რას გერჩის, თვარემ შენ იცი—გაგაგდებინო ესეცო!“
33. „თუ რასმე მკითხავ—დაეხსენ, იყოს ამ შენსა არესა, ამოა, ტკბილი მხმობელი, ნუ მოშლი ბალის კარესა, ბრალთა, აქ არ იძახდეს, კაცმან კაავდოს გარესა!“  
და არ დაიშალა, ბულბულსა სიტყვასა ეტყვის მწარესა.
34. აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მქისე რამე, არ თუ ტკბილი:  
„სადა მე და ან ვინ შენა? —ხელი ხარ და, ან შეშლილი, ჰყეფ, იძახი დღევ და ღამე, გამიკრთების თვალთა ძილი, და საქმი ხელად ავიღია, ერთობ ძნელი, არ ადვილი.“
35. რა ბულბულს ესმა, იამა ვარდისა გაუბნებოა,  
უზომოს სიხარულითა ველარ ზის, ზე-ქეი ხლტებოა:  
„ჩემისა სიკვდილისაგან, მითხარ, თუ რა გერგებოა?  
და თუ გაგეყრები ცოცხალი, მე სულბი ამომხდებოა!“
36. „რად ეგრე უცხოდ გამხადე, ბრძანებ:—«შენ ვინ და მე ვინა?»  
ცეცხლსა უმრეტსა უწყალოდ სხვამან ვინ დამაწვევინა?  
შენი შეიდი ბულბული კარში რამ გაგაწვევინა?  
და ნეტარძი, დამხსნა სურვილსა, ცოცხალს არ გამაწვევინა!“
37. ვარდმან უბრძანა ბულბულსა: „უჰკვო ვინჰე ხარ ხელადო,  
იგ შენი ვინმე საფერი სჯობდა აგელო ხელადო;  
უფრო სხვა გვარი უნდოდა ჩემთვის გაჭირი ველადო,  
და ხელმწიფეთ სატრფიალოსა რად გამხდი საკიცხველადო?“
38. ბულბულმან უთხრა: „პირ-მზეო, რად აგრე მომიშორებო?  
ეგრე მწარისა სიტყვითა გულში ლახვარი მორეო,  
შენს ახლოს ყოფნას არ ვლირსვარ, ეკალში გამაგორეო,  
და აქ შენს წინ თავსა მოვიკლავ, თუ კიდევ მეტყვი «შორეო»!“
39. ვარდმან თქვა: „შენი სიტყვები მე გულში მეცა დანადო,  
მიჯნური უნდა საფერი,—ვინც ნახონ—თვალად, ტანადო,  
მე ვარ ყვავილთა ხელმწიფე, ვის ხედავ ჩემისთანადო?  
და დამეხსენ, თვარ გაცემინებ, სიგრძე მოგეცეს განადო!“

40. ბულბულმან უთხრა: „საკვდავად მე თავი გამოიწირაო, მე შენი შეკვეთილი ვარ, არ სხვა ფრინველი, ირაო; მომკლავ, დამარჩენ—მე შენმან სიტურფემ გამაკვირაო, და შენად საფერად დაგმლერი, არ ავად რასმე ცყვირაო.“
41. ვარდმან უბრძანა: „ლეთის მადლსა, დამეხსენ, გამეცალეო, გვერც მახლავნ ტურფა ყვავილნი, ამათთვის მომაცალეო; სტუმრად ვართ, ცოტა ხანი გვიც, ეს ბალა დაგვიცალეო/ და სხვაგან ქენ შენი ბუნაგი, ადგილი გარდიცვალეო.“
42. აწ გაახშირებს ბულბული ტირილსა, სულთქმა, უშვებსა, იგ სისხლის ფერად ნაღებსა, გლახ, ცრემლებს გარდმოუწვებსა, ეტყვის: „სად მავდებ; საწყალსა ტყვესა აწ შენგან უშვებ სა? და მეც ვიცი, შენი შეენება კაცს ცოცხალს არ გაუშვებსა.“
43. „არ გაგეყრები, ცოცხალი რომ წვრილად დამახვენიო, შენსა ეკალსა ავიცმი, სხვა შტო არ ვიცი, ხე ვინო; ფეხთ ქვეშ მოგიკვდე, ჩემზედან საყელო გარდგახვენიო, და ჩემისა სიბრალულითა სიცოცხლე დაგაწყევინიო!“
44. ვარდმან უბრძანა: „ბულბულო, ვერ გხედავ ჩემსა ფერასა, ვიც გაწყენ, მაგრა არ ღირსხარ პირისპირ ჩემსა მზერასა, სხვაც არის ტურფა ყვავილი, ჩამომეკიდე მე რასა? და ნახე, თუ ჩემისთანასა აღმოანორჩებს მზე რასა“.
45. „მე თავის ქება შრცხვენოდა, აწ არ დამეხსენ—ვიტებო: მიწის ნაყოფსა ყოველსა სიტურფით გავაქიქებო; თასს მოუხდები სავისესა, კიქასა მე ვაჭიქებო, და მკვრეტელნი გულსა ეტყვიან: «ესე სჯობს, მასთან იქ ებო!»
46. „მეფენი და ხელმწიფენი ნატრით თავსა გარდმიყრიან, რა მე მნახვენ, გულისაგან შექირვებას გარდიყრიან, დაიომონის სულმან ჩემმან, ბალით არსით გამოყრიან, და სხვა ტურფა რამ სანახავი ჩემგან კიდე აი, ყრიან!“
47. „ხელნი ხელქმნილსა მადრიან, მიჯნურნი—სამიჯნუროსა, ჩემზედ შეითხზენენ რიტორხი სიტყვასა მათებუროსა; ვინ თავს დამირკობს, არა მშურს გვირგვინი მათ ებუროსა, და ნახე, სული და წამლობა თუ ვინმე გამომწუროსა!“

48. „კეკლუცნი ლაწვთა მნათობსა შემირქმენ, ზედან მიღებენ;  
უნდათ, რომ იყვნენ ჩემთანა, მითვისტომებენ, მიღებენ;  
მაგრა ცუდია—მნახავნი უტურფესობას მიღებენ,  
და „გგავს, მაგრა კიდევ შენ სჯობო“,—მე ამით გულსა მიღებენ.“
49. „აშიყ-მაშიყნი რა უამად ერთმანერთს შეეყრებოდეს,  
ხელთ უჭირავარ ორთავე, წოლად რა წაეყრებოდეს;  
უჩემოთ არცერთი ვარგა, რა დაწვენენ და ეყრებოდეს,  
და მათსა საწოლსა, საჯღომსა ქვეშ სხვა ვინ წაეყრებოდეს?“
50. „ქალნი ტურფანი, კეკლუცნი ჩემთვის წალკოტად მორებენ,  
დამკრეფენ ბროლის თითითა, ეკალსა მომაშორებენ;  
სურნელს უბესა ჩემითა აესებენ, ამოყორებენ,  
და ჩემს მიდამოსა ლხინობენ, თამაშობენ და გორებენ“.
51. „არ ჩამომეხსენ, მე თავი, მგონია, მაქებინეო,  
შენ არ იცი და მე ვიცი, სადაური ვარ, ვინეო;  
სად იყო ჩემი სამყოფი, პირველ სად მოვილხინეო,  
და მე ბრძანებითა ღეთისათა სამოთხით მოვივლინეო“.
52. ბულბულმან უთხრა ტირილით, ცრემლით აავსო გობანი:  
„ღია გმართებს და გშენიან ყოვლითურთ ქება-მკობანი;  
მაგრამ წესია კეკლუცთა მიჯნურხედ ამაყობანი,  
და ყმობაცა აღარ მაღირსე, არ თუ აზნანაგობანი!“
53. „აწ მიწაშიგან ჩაპაგდე, დიად, ცად გაიწიეო,  
მე გვარად ინდოური ვარ, შენთვის აქ მოვიწიეო;  
შენისა სიყვარულითა, ხედავ, რომ დავიწვი, ეო,  
და ცემა ძიქადე, გაგდება, გვერცა არ დამიწვიეო“.
54. „უცხო ვარ, უამხანაგო, არ ცუდი ვინმე ჩიტია,  
იანონი და მერცხალი—ვერა ხმობს ჩემთან—გვერტია,  
ფერად-ფერადი ჩემი ხმა ვერც სასმენელმან იტია,  
და აწ მომკლა შენმან სურვილმან, საკვდავად შემომიტია“.
55. „მე სახაფეთო ყოველთა, სათქმელად გამოსულია,  
უწყალოდ შორს დაქერიითა მე ამომართვი სულია;  
საჭვრეტლად აღარ მიმიშვი, არცა მკარ შენი სულია,  
და შენად საქებრად მხმობელი ვერც მაშინ დამასულია!“



56. „ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიტორთა, მოზაირეთა, სპაოსთა, ინლოთა, ქართველთა—ცნობილთა, არ თუ ვირეთა—  
შენად მიჯნურად დამწერეს ჩემთვის არ დამაძვირეთა,  
და თუ არ გფერობდი, რისთვის გთქვეს, მათ ვინ დაუყოფს პირებთა?“
57. „შენც იცი—ჩემი ამბავი არ ახალია, ძველია,  
შენი ქება და დიდება ვიძახი—არ დამელია;  
შემოგფრინავ და შემოგმზერ, გლახ, გული გარდამელია,  
და ამდენი უსამართლობა გეკითხოს—მე მოველია!“
58. „რა განახეს, გიხმეს ყოველთა ყვავილთა უტურფესადო,  
შენად უფერად მიჯნურად, ნეტარ, დამწერეს მე სადო?  
ეგზომ მოთქმა და ზახილი, მგონი, მეყოფის კენესადო,  
და დამწვი, გამხადე აბედად, შენ იქმენ ჩემად კვესადო!“
59. ტირილით ხმობდა: „მარგეთრა, მოდით, მიჯნურნო, მორებით,  
წყლული მინახეთ ულხენი, იგ რომ თქვენცა გჭირსთ სწორებით;  
ჩემგან ისწავლეთ ხელობა ახლო, ნუ ერთობ შორებით,  
და ვერა მარგოთ რა—დამმარხეთ, საფლავად მიმაგორებით“.
60. „ეს ვის ასმია სულდგმულსა—ხელს უთხრას: «ნუ ხარ ხელიო!  
ცეცხლსა მოგიდებ უშრეტსა—ნუ დაგეწვების ყელიო,  
გატირებ სისხლის ცრემლითა—ლაწენი ნუ გაქვან სველიო,  
და წადი და სხვათა უჭვრიტე—ჩემთან ხარ ნუ მომსეღელიო».
61. „მე წამეკიდა ეს ჭირი სხვათა მიჯნურთა ნეტადო,  
ვისთვის მოვკვდი და ვეწამე—აღარ მიმიშვა ჭკრეტადო;  
მე ამას დავეჯერებულვარ—პირსა გიჭკრეტედ რეტადო,  
და ისწრაფი ჩემსა სიკვდილსა ნაცვლად ცეცხლისა შრეტადო“.
62. თქვა: „ნეტარ, მომკლა, როდესცა მაჯა ვერ მცემდეს და მარა,  
საკაცეზედან დამაკრა—ეს ბალი ისე დამარა;  
ეკალთა ძირსა დამმარხა, მე დამძრა იქილამ არა,  
და ვერ მომეხმარნეს მოყვანსი—ძმამან რა მარგო, დამა რა?“
63. ვარდმან თქვა: „მესმა, ბუღბუღო, შენის სიტყვისა მიგება,  
მეწყალვი, ვნახე, გლახ, შენი ჩემთვის ლახვარზე მიგება;  
მაგრამ არ გამართებს შენ სხვათა მიჯნურთა თვალის მიგება,  
და შენსა უღირსსა საქმესა წინა მისწრობა, მიგება“.

64. „მე ერთი ტურფა, უებრო ვარ ყოვლთა საქებარადო, მთას ავეყავდები მას უკან, როდეს მომკრეფენ ბაზადო; თეთრი ვარ ბროლის უთეთრე, ყირშიზი — ლალის გვარადო, და საქვერეტლად შევნიერი ვარ, სურნელი მუშყ-ამბარადო.“
65. მერე ეს ჰკადრა: „აწ შენი სიკეთე გამაგონეო, ამისად შესადარებლად შენც თავი მომაწონეო, შენი და ჩემი საქმენი გასინჯე და აწონეო, და თუ ჩემს თავს არა ღირს იყო, დამეხსენ, ჩემო ღონეო!“
66. ბულბულმან სულთქნა საბრალოდ, ამოიკენესა მწარენი, ცრემლი დასთხია თვალთაგან სისხლის ფერისა დარენი; მისის სულთქმისა კვამლითა სრულ დაწვა იგი არენი, და ვითამც თქვა სიტყვა ამაყი, იგ არ თუ საშუდარენი!
67. უთხრა, თუ: „თავი არ მომაქეს მე შენად საკადრისადო, ერთიცა არ დამცდომია მანდეთ ლახვარი მკრი სადო; ხამს სიბრაალული გაქონდეს შენთვის უწყალოდ მკედრისადო, და ბრძანე, თუ ფილოსოფოსთა შენთვის არა მთქვეს, ვისადო?“
68. „ვითა შენ სხვანი ყვავილნი, ვერ მედარების მე ჩიტი, შენზედ ვილოცავ, არ ვიცი ზაქა, მადინა, მეჩიტი. შემოგფრინავ და შემოგმზერ, პირდაპირ ჩამოგეჩიტი, და შენთვის ვიძახი, შენს მეტი სხვა გზა არ ვიცი—გეჩიტი.“
69. „შენმან სურვილმან დამლია, თვალ-ტანად დამანასაო, თვარე ფრინველსა ათასსა მე ვჯობვარ, არ თუ ასსაო! დავსწყევლი ჩემსა მშობელსა, მამასა, იმ ანაკაო, და შენ სიკვდილისა სასმელსა, ვიცი შემასვამ თასსაო!“
70. „ყვაილში შენ ხარ ღარიბი, ფრინველში—მე ვარ, მგონია, დავგწერეს აზიყ-მაშიყად, მგონი, თქვენც გაგიგონია; ესეოდენი უცხო ხმა შენს ეშუზე მომიგონია, და შენს ეშუზე მოვკვდე, წავეგო—იგ ეგრე მო იგონია!“
71. „მკერელნი, მთქმელნი და რიტორნი, მგოსანნი, მოშაითენი, ვარდ-ბულბულს“ გაიძახიან ყოველი სული იმთენი; აწყა დამიწყე წუნობა, გამცრიცე, გამაყითენი, და შენი ბრალთა-შემშალე, თეთრ-წითლად პირი მითენი“.

72. ვარდმან უბრძანა ბულბულსა: „შენს ლაყაბს ვინ აუაო? ხმა და უსული კარგი გაქვს, არა ხარ ხარაბუაო; ვენმან ეგზომან ზახილმან მე ერთობ დამაყრუაო, და თუ ერთხელ წავიკიდებით, ვინ ჩამოგვივა შუაო?“
73. „მოლექსეთაგან ნათქვამი სიტყვა მოილე პირადო, დაგწერეს ჩემად მიჯნურად—არ შიმაჩნიხარ ჩირადო; რუსთველმანც მაქო, შენც იცი, ეკლიანად და ძირადო, და შორს წადი, იყავ მიჯნური, აქ ჩემთან დაიწვი რალო?“
74. „იგ ახლოს მყოფთა მიჯნურთა ზრახვა არ დააკლდებო, შენ ვერას ირგებ, შემრჩება მე ცუდი მოყიფნებო; არ შვიდგების სააოდ იგი, ვინ ვისთვის კვდებო, და წადი და იყავ მშვიდობით, გეყოფა ცეცხლთა დებო!“
75. ბულბულს რა ესმა, ცრემლთაგან დააყენებდა მორევსა, — „რად მეტყვი, სულთა წაძლებო, სიტყვასა მოსაშორევსა? «სხვა გიყვარდესო»—ეკ სიტყვა გულში ლახვარსა მორევსა, და ზენსა ემყსა და სურვილსა სხვისა ვისიმცა მორევსა?“
76. „ეგზომს ხანს შენი ხელქმნილი სხვაგან სად უნდა წარევდეს? ხაჲს, თუმცა სხვათა მიჯნური შენს სიტურფესა წარევდეს; შენი მძებნელი, გლახ, შენთვის თავს უნდა გაიმწარევდეს, და შენისა მოკრეფისათვის ხელსა ეკალში წარევდეს.“
77. ესე თქვა, დაბნდა, უსულოდ ეკალში დანამცემობდა, მას უბედურსა, საწყალსა გულზედან დანა მცემობდა; იარდს შეებრალდა, რა ნახა, თვალს ცრემლი გარდმომცემობდა, და წყალსა ასხემდა გულზედან, ძლივ კჳუას მონამცემობდა.
78. უთხრა: „რად შემიქ, ბულბულო, შენის სისხლისა მზღვეველად? სხვანიც ყოფილან მიჯნურნი არ შენებრ დასაწვეველად, არ ჩამოხეხენ, არ ვიყავ შენი მე აქა მწვეველად, და მოჰკვდებო, —ცოდვა მომხედების,—ვიცი, თუ გაგაგდო ველად!“
79. „ნება დამირთავს, აწ იყავ ბალისა ამ მიდამოსა, მას აღიღებდი, ყვავილნი ვინც ასე ტურფად დამოსა; გაიციდი და სინჯვედი თეთრ-წითლად, ყვითელ-მწვანოსა, და შენიმც ბრალი აქვს, ვინც შენი გაგდება შეიწამოსა!“

80. ბუღბუღს რა ესმა, გაცოცხლდა, უძრავად აღარ ბნდებოდა,  
სიკვდილისაგან დახსნასა, სიცოცხლეს იმედებოდა;  
სისხლისა ცრემლი შეაშრა, ცეცხლი არ ისრევე სდებოდა,  
და ვარდსა დაუწყო ყველაი—მის შესაფერად მჭებობდა.
81. თქვა: „შენ მან მოგცეს მუქათა, ვინ ვერე ტურფად გშენაო,  
სალხენად ყოვლთა სულდგმულთა შეგამყო, დაგაშენაო;  
სიკდილს მომტაცე, სიცოცხლე მიბოძე იგ აქ შენაო,  
და დამწყვიტე დენა ცრემლისა, სულთქმა, კენესა და ქშენაო!“
82. „შენათ შვენის და იხარებს წალკოტი, ბაღია ბაღადო,  
ღმერთმან დაგბადა ყვავილთა თუ არ ხელმწიფედ, რაღადო?  
შენი გაყრა და შორს ყოფნა აღარ დამასვი დაღადო,  
და მუსიკათა ყოვლთა უტკბოსად მე შენი ქება ვლადო!“
83. „რომ არ გამწირე სიკვდილად, აღარ გამაძე გარე მე,  
შენს მიდამოსა მამყოფე, იგ არ გაჭრილი მარე მე,  
არ მომიშორე, თუცაღა ახლო არ მიმიკარე მე,  
და ჯერი, სული და სიტურფე ველარას შეგიდარე მე!“
84. „დაგბრუნავ, თავსა გველები მე შენი ყურბან-საღაღა,  
შენ შემოგწირე საკვდავად გული დამწვარი, საღაღა,  
შენთვის მკვდარი და ტყვექმნილი, ნეტარ, წავიდე სადა ლა?  
და შენთანა ჩემად პატრონად, ნეტარ, ვიშოვენო საღ აღა?“
85. „რამდენს ხმას ვიცვლი, ეგზომსა შენს სიტურფესა ვთვალაო,  
შენთვის ხელქმნასა, დაწვასა ვიძახი, არ დავმალაო;  
გაშლილსა გნახავ—დავიწვი, რა პირსა გაილაღაო,  
და ხმა-მალღა შენსა მჭებელსა გარეგან რასთვის მლაღაო?“
86. „გავცოცხლდები ერთ-წელ მკვდარი, რა დრო მოვა შენი ფასლი,  
თავს დაგიწყებ შემოვლასა, სულს ამოსვლას აღარ ვაცლი;  
უსულსა და ტკბილსა ხმასა საქებარად შენზედ დავსცილი,  
და შენს ქვრეტაზედ სამოთხეში ყოფასაცა მე არ გაესცილი“.
87. „ღღე დამეღვევის მაშინვე, ოდეს დაიწყებ ლევასა,  
გული ვერ გაძლებს ქვაქმნილი შენის გაყრისა ლევასა;  
მაშინ დაიწყებ უძღებად ჩემის სისხლისა ლევასა  
და მე დამიგვიდრებ გულისა სევდასა, იგ მალე ვასა!“

88. „წავალ და დავიკარგები, შიგან ჩაივჯდები ყანასა,  
თუ ხელს მოვჰკიდებ, უცილოდ ზედ დავეხვევი დანასა;  
ვეცადო, არვინ მალირსებს შენ-თანა წამოტანასა,  
და არ მოვინდომებ უშენოდ იქილამ ამოყვანასა!“
89. „თვლით არას დავინახავ, შევიქნები უტყვი, მუნჯი,  
ვირ არ მოხვალ, მე სოფლისა სიყვარულსა არ ვიუნჯდ;  
მე ბულბულად ველარ მიცნობს თათარი და ვერცა გურჯი,  
და სკვდილისა მონატრესა მიწა მინდა ერთი ბლუჯი“.
90. ვარდმან უბრძანა პასუხი ტკბილი და არ გამწყრალები:  
„სიტყვა იხმარე მსმენელთა საბრალოდ, შესაწყალები;  
მიჯნურად ერთობ კარგი ხარ, გულსა გჭირს დასაბრალები  
და მთქმელი ხარ ერთობ უებრო, ხმა გაქვს არ დასამალები.“
91. „ვითამც თქვეს ფილოსოფოსთა, საქმე რამ შეგიდარესა,  
გრას საქმეს ვერ ვემოწმები იგ მათგან ნაუბარესა;  
მხედავ სადაც ვარ—ვაშენებ ივ ყოვლსა არემარესა,  
და ამას კი ვიტყვი, ვერ გხედავ თვალ-ფერად ჩემსა დარესა“.
92. ბულბულმან მისი პასუხი ველარ თქვა, ენა დაემა,  
სიხლოვითა ეფონა ცოტა რამ ჭირი და ვება;  
ამა სიტყვაზედ გარდაწყდა მათი ბრძოლა და დავება,  
და მეც მომეწყინა ტყუილი ეს ცუდი გალაყბაება.

### [ბოლოსიტყვაობა]

93. თქვას, თუ ვინმე:—„რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა?“  
ესეც მითხარ რა დამაკლდა, ანუ რამცა დამხარჯა?  
რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა ვისგან ბარჯა?!  
და რაც მასმოდა მათგან, მეც ვთქვი, ლექსი არსად დამეხვანჯა.
94. ჰე, ღმერთო, დაუწყებელო, უკვდავო, დაუბერარო,  
ჰარარისს არსად მომეყვანო, უსულოთ სულთა მბერაო,  
ვინ უწყის—მოსესა, ელვას მთაზედან უამბე რაო?  
და ცრემლნი პეტრესნი რომადღენ, იუდად ნუ გამბერაო!
95. შენ მომიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი,  
რომელმან ცითა უწვიმე და დარი მოეც მზიანი;  
ცოდვასა ზედან სულგრძელებ, შერისხეა იცი გვიანი,  
და ვაიმე, ცუდის ლაყბითა, თუ სული დავაზიანი!

## ზამი-ზარვანიანი

### [შესავალი]

1. დმერთო, ყოველთა ცხადთა და იღუმალთ დაუფარაო, ვის სერაბინნი ვერ გხედვენ, პირსა ფრთა-მოუფარაო, ვინ ისრაელნი განასხი, ზღვასა დაანთქი ფარაო, და იგ შენთა ნებისმყოფელთა ყოველთა სცავ და ჰფარაო.
2. ვის ძალუც ღარსად, ჯეროვნად შენის რასამე ქებისა, ანუ მიწდომა მცირედ რამ შენისა ხელმწიფებისა, ცა და უფსკრული, მთა-ბორცვი შენის შიშითა დნებისა, და მხეცნი, ფრინველნი, ნიანგნი, ან რაცა წყალში ძვრებისა.
3. დიონოს ბრძენმან მოგვითხრა ანგელოზთ განწყობილობა; იგ ცხრა დას-დასი ვუნდობა, უკანა ანუ წინობა, წმინდა არსობით ხმობა და იგ გალობისა ტკბილობა, და ვერც ხილვა შენი. ვერც ცნობა, ვერცა რას მიწდომილობა.
4. სხვათ ბრძენთა თვითან ისიბრძნეს გულისხმითა და ცნობითა, სოლომონს სიბრძნე შენ მიეც შენისა მონდომობითა, მასთან—სულიცა ცხოველი, მით ვერვინ მის ოდნობითა, და ვერცა მან სრულქმნა, ცუდად შვრა დავითის ქნართა თხრობითა.
5. არისტოტელსა დაენტქა მისნი უფსკრულნი ცნობანი, ეგოდენ ბრძენი ვერ მიხვდა, დააკლდა შენი ცნობანი; გალილეველთა განაბრძენეს უწიგნოდ სულელობანი, და ჰყავ, ვითა თევზნი, უხმონი—რიტორთა ხელოვნებანი.
6. ეს მიკვირს: ვერცა მათ გიცნეს—ენოს და პითალორამა, მათი ზღვა სიბრძნე, ცნობანი—მიკვირს თუ, მიუღო რამა! ვერ მოიხმარეს სწავლანი, ვითა ვირმა და ღორამა, და გლახ, სულნი მათნი იგ თუ არ ეშმაკმან—მიიღო რამა?
7. არისტოტელმან აჯობა ყოველსა სიბრძნე-მქონელსა, შენ, შემომქმედი, ვერ გიცნა, ვერ მისწვდა მიუწდომელსა, სხვა რამცა ჰქონდეს ეშმაკსა, ანუ კერპისა მდომელსა? და წარმართად მოკვდა, ჩავარდა ცეცხლშიგან ზრ თუ მონელსა.

8. სიბილა ბრძენმან სიბრძნითა სოლომონ გააკვირაო,  
იგ გარდამოხდა სამხრეთით, ვითა ფრინველი ირაო;  
შენი ცნობა და დიდება იმასაც დაეძვირაო,  
და ჯეარისა მოსწავებანი კარგა რამ გააპირაო.
9. ბალამ ბოსორით ბრძენი და გრძნეული, მოგვი, მისარი,  
იგ ვისცა სწყევდის გრძნებითა, ფიცხლად საკვდავად ის არი;  
მგზავრ ანგელოზი წინ დახედა, ხმალი აქვს, არ თუ ისარი,  
და ჯორმან იხილა, დაუდგა უძრავად—ჭავეს, თუ ქვის არი.
10. ვერცა მან გიცნა სიბრძნითა, ვერც სწავლა მოიხმარაო,  
ვარსკვლავი იაკობისი—ეს უნებურად წამაო,  
ბაბილოვანით ბეთლემად, ვინ მოგვნი მოიყვანაო,  
და ცრუ წინასწარმეტყველებით ეშპაკნი წარიყვანაო.
11. მე რა ვთქვა ცნობა-უსრულმან შენთვის საფერნი, რანი და,  
ცოდვითა დაშავებულმან მართ ვითა იგ ყორანი და,  
თუ კი წავწყმდები, რას მარგებს იგ ვინმე მომცეს რანი და!  
და ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს შეჩიტი, მინარანი და.
12. სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია,  
სხვას ვისმე ჩემნი პატიჟნი არც ვის კი ამბად სმენია;  
თვალთავან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მსგავსად მდენია,  
და ცუდად უსაქმოდ ყოფითა ცნობანი გარდამელია.
13. მე გასაძღებლად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,  
გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე დავალამეო,  
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,  
და ჩარხი უქულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო!
14. რაც გამეგონა სპარსთავან წიგნები ლაყაბიანი,  
ამბავი ანუ შაირნი სალალობო და წყლიანი,  
ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი არც ყოლ არ დავაგვიანი,  
და პირველად სამიჯნურონი, ვითა ვარდი და იანი.
15. ვარდს გავაუბნე, გავაბქე ბულბული მისთვის ხელეგი,  
ხელს მოვავონე ხელმქნელი, ცრემლი ვადინე ცხელეგი,  
ბრძენთავან შესაწყნარებე, სიტყვა არ საკიცხელეგი,  
და ცოტა რამ უკუ ვიყარე, სევდა ვქენ განათხელეგი.



16. შემოდგომა-გაზაფხული ერთმანერთსა შევადარე,  
მე გაბჭობით გავაზუნე, სიტყვა ესრეთ მოვადგარე,  
ყველას ვისმე ცოტას ხანსა ვალაღობე, უკუ ვყარე,  
და რაც რამ ჭარგი ორთავ სჭირდა, ყველას თავი მოუყარე.
17. შამი-ფარვანას წიგნისა ვინებე გარდმოლებანი,  
ესოდენ ცუდთა ლაყაბსა ვინცა-ვინ მითხრას ქებანი!  
არც ჩემის საქმით ნათქვამი, არც გულსა მქონდა დებანი,  
და სპარსთ უთქვამსთ აშიყ-მაშიყად, მათგან არს მოგონებანი.
18. შამი სპარსულად სანთელსა ჰქვიან მათისა ენითა,  
ფარვანა მისთვის მიჯნურად უთქვამს, გლახ, ცრემლთა დენითა,  
ყოვლთა მიჯნურთა უსაწყლე იგ სურვილისა სენითა,  
და იგ ვალექსავთ ყურთათვის შაქრად და თაფლად სმენითა.
19. იფიქრა ისპანელმან, მელექსეთ შიგან ქებულმან,  
კაცმან განთქმულმან სპარსთ შიგან, არ ცუდად მიდ-მოდებულმან;  
განფინა მისნი სიბრძნენი, იგ უქეს ბრძენთა კრებულმან,  
და მისთა ლაყაბთა თარგმნითა იგ არც შე დადუმებულმან.

\* \* \*

20. თქმულა პირველად ფარვანა იგ სანთლისათვის ხელადო,  
დასაბამითგან იგ მისთვის გაკრილი მინდვრად, ველადო,  
მისთა შუქთა და სხივთაგან უწყალოდ დანამწველადო,  
და იგ მისთვის ყურბან-სადალად, ფარვანა თავსა მვლელადო.
21. არც ერთი არის მართალი, ზღაპარი ყოვლის ხონები,  
სარგებლად თქმულა კაცთათვის ეს ყველა მოსაგონები,  
შექცეს, ყური მიუპყრას სევდითა დანაღონები,  
და იგ რიტორება გამოჩნდეს და სიბრძნე მოსაწონები.
22. ვინ ხარო გონების უფალი, მთარგმნელი დაღრმობილისა,  
მოდით, სიბრძნისა ტრფიალნო, სმენად სიტყვისა ტკბილისა!  
სცანით ღარიბთა სიტყვათა საღიზლად შეწყობილისა,  
და ვით ნაკადული ღარშიგან, სწორად მიდენით მილისა.
23. მოდით, მუჯნურნო, რომელთა ცრემლთა გდისთ ნაკადულეში,  
იგ მოყვრისათვის საკვდავად, ვის შეგიწირავს სულეში;  
ვისაც გწვავს ცეცხლი უშრეტი, გაქვს გული დანაწყლულეში,  
და ნახეთ ფარვანა დამწვარი, მკვდარი, სულ-ამოსულეში.



24. მისგან ისწავეთ ყოველთა ხელობა, მიჯნურობანი,  
სიყვარულისა ცეცხლშიგან იგ მისებრ გამოდნობანი;  
მას ღითარ თავი გარდაუც, თქვენ მიაყოლეთ ცნობანი,  
და თითი უკავეთ ყოველთა, ვინც ვერ ჰქნათ მის ოდნობანი.
25. მას არგეთ რამე საწყალსა, დამწვარსა, დავალებულსა,  
მას ტკბილი ამხანაგობა ავასხეთ, დავალებულსა;  
წყალი დაასხით მოსწრაფედ მას გულსა დავალებულსა,  
და ხელი დახურეთ თვალზედან საკვდავად დალულებულსა.
26. ცოცხალს მიუსწრათ, ისმინეთ იგ მისი ნაღებარები,  
რას ეტყვის მისსა დამწველსა—სცნათ სიტყვა მისი მწარები,  
საყვარელისა შუქითა ფრთანი ვარ შემომწვარები,  
და უცილოდ მოკვდეს—დამარხეთ, თან ღიატანეთ ბარები.
27. სანთელი ბრწყინავს, მიჯნურნი სხედან მის გარემომოსა,  
მას აღიდებენ, ვინ ეგრეთ ტურფად და ნათლად შემოსა;  
ლალისა ფერსა ღვინოსა სმენ გემრიელსა გემოსა,  
და ფარვანას ხედვენ მასთანა ხელსა, შემცდარსა, დელოსა.
28. ფარვანა სანთელს ევლება, შექმნილა მისთვის სადალა,  
ქუთა და ცნობა წასვლია—მას დაუჟარგავს სადა ღა?  
მის მეტი მისად პატრონად სხვა ვინ უნდოდეს, სად ალა?  
და მიჯნურთა მისის ბრალითა გული დასწვია სადალ ა!
29. მათ გაუარმდა მეჯლისი მის საბრალოს მზერითა,  
იგ იტყვის: „ჩემსა ხელმქნელსა, ხედავთო, სჯობსო მზე რითა?  
სრულად ერთობით. ციერნი იგ აჭარბებენ ზე რითა?  
და თქვენც მოიგონეთ მზე მზებად, ვინც ვინმე შეიზვევრითა.“
30. მათ გაუახლდა სახმილი, ვინც ვისთვის ვინმე იწოდა,  
სურვილმან მუნით საკვდავად იგ მათთვის დანა იწოდა;  
უხელეს სხვათა მიჯნურთა ახლა ფარვანა იწოდა,  
და აწ მოსთქვამს მისთა ჭირთა და საკვდავად გამოიწოდა.
31. ფარვანა ეტყვის სანთელსა: „მანათობელო ღამისა,  
შენისა სიყვარულითა სული ამოსვლას ღამისა,  
აშოცობამ და სურვილმან მე გული შემეღამისა,  
და ნუმცა მექნების უშენოდ სიცოცხლე ერთის წამისა.“

32. „ამან შემშალა—ვერ ვხედავ ქვეყნად მე შენსა დარესა,  
ზოგი რამ მხესა მიგვიგავს და ზოგი რამე მთვარესა,  
შენმან სხივმან და ციმციმმან ჭირსა დამაბა მწარესა,  
და თავსა გველები, ნუ მომკლავ მე შენსა მემულდარესა.“
33. „კურთხეულმც არის, რომელმან ესრეთ დაგებადა შენაო,  
ბრწყინვალედ კამკამებითა შეგამკო, დაგაშვენაო;  
მეყოფინ მუდამ უწყალოდ გულსა ლახერისა შენაო,  
და სულისა ამოსასვლელად შემშქნია ბერვა, ქშენაო.“
34. „სხვას ვერას ვხედავ საწყალი, იგ თუ არ შენსა უქებსა,  
პირი და ენა დაეყო ყოველსა შენსა უქებსა!  
სმა-კამა დამვიწყებია, ნე უარ რა გამასუქებსა,  
და ფრთასა შემომწვავ საწყალსა, ვიცი, რომ ჩამსვიამ ქუქებსა“
35. „რა შენ ბრწყინვალედ აენთი, მე დასაწვავად მზა ვარ და,  
მე შენთვის დაგებადებულვარ, სხვა არ ვიცი თუ, რა ვარ და;  
ჩემი სიცოცხლე, მორჩენა საბოთოს იქით ჩავარდა,  
და შენ ხელმქნელი და მე ხელი—ეს ყოველს ქვეყანას გავარდა.“
36. „ბრძანება ღვთისა ეს არის, ამ ნივთზე დავიბადეო:  
შენი ტყვე ვიყო საწყალი, შენი მებვიოს ბადეო,  
არც წყალი მასვი საწყალსა, არცა წამალი მადეო,  
და მოინდომე და ნომკედარვარ—შენ ესრეთ მოიწადეო.“
37. სანთელმან გასცა პასუხი, ძლივლა აღირსა გვიანად:  
— „მე შენი რაც გავიგონე, არც ერთი მესმა ჭკვიანად,  
ღვთისაგან დაბადებული მე რომ ვნათობდე მზიანად,  
და რა გრჯის, რასათვის მოკვდები, დაიწვი დანაცრიანად!“
38. ფარვანას ესმა პასუხი მისისა დამდაგავისა,  
იგ შორად განსაშორავი, არ თუ შეწყობა ზავისა,  
თქვა: „თუ გავძლებდე უშენოდ, ვის რა შურს, ვის რა გავისა?  
და არცა ვარ ცნობისუფალი, არცა ხელთ მქონე თავისა“.
39. „გული, ცნობა და გონება წამართვი ჩემო მზეო, და,  
შენ გაქვს საკუთრად, ჩემთანა არც ბეწვი მოიძეოდა,  
ჩემი სისხლი და სიკვდილი სრულად შენ დაგეზღვეოდა,  
და როგორიცა ხარ, მე შენი ქება აწ დავიწყეო და.“

40. „შისაგან უბრწყინვალეა ეგ შენი კამკამებანი, ქვეშე თეთრი და ზე წითლად აღისა მცბინვარებანი, ვინმცა თქვას თქვენი შუქი და ან შევენებისა ქებანი! და გულსა და თვალსა ახარებს შენი წინ ანათებანი.“
41. „ოქროზედ ვინჲე აგანთებს, ჩამოსხმული ხარ ტანადო, დასჩაგრავ ბრწყინვალეებითა, ვინ შევენის შენისთანადო? ვერცხლს უთეთრე ხარ, შენთანა იგ გახდეს გასაბანადო, და იგ სახლი სახლად არ ვარგა, უშენოდ—ბანი ბანადო.“
42. „მთვარე რაზომცა ნათობდეს გავსილი ბნელ სალამოსა, მისთა შუქთაგან უშენოდ ვახშამი ვერვინ ქამოსა, უშენოდ ლხინი, მეჯლისი—ვინძლი—ვინ შეიწამოსა! და ეგ ზომმა უებრობამა, გლახ, შენმან მე მიწამოსა.“
43. „აწ რა ექნა ხელმან, საწყალმან—სიკვდილი მამეწურაო, თვალთაგან სისხლის ცრემლი მდის, ერთ წამ არ მამეწურაო, შენ მოწყალეა არა გაქვს, არ ვიცი რა ექნა, თუ რაო, და ერთ ლუკმად არვის ვეყოფი მგელი შემეჭამს, თუ ტურაო.“
44. „რასთვის პასუხსა მიძვირებ, თვალთა საჩენო სულოჲ და, ვირემდის სრულად არ მომკლავ, ნუ შეჲვე, რომ დამასულო და, თავიდგან ჩემო დაჲწველო, აწ ჩემო აღსასრულო და, და წადი, რას ჰყოვნი, რასა მრჯი შენ სულო ამოსულო და.“
45. სანთელმან უთხრა პასუხი ბრძენი, არ ცუდი ყბედობით: — „მე ლმერთმან შემქნა სამადლოდ, შენ სადით მოძხვდი ბედობით? ხატთა და ჯვართა წილი ვარ სულისა საიმედოობით, და შენ რომ შემცდრობით დაიწვა, სისხლი რად ჩემსა კედლობით?“
46. ფარვანას ესმა, ატირდა მეტის მეტისა წყენითა, ლონე მოელო საწყალსა, მხარი დაუშვრა ფრენითა, კვლავცა დაუწყო ქება და ხვეწნა ცრემლისა დენითა, და ჰიროსა სკამს, თავსა ევლება მასვე გარშემო ფრფენითა.
47. „ნუ მომკლავ უწყლად, ნუ გინდა ჩემი ცოდვა და ბრალეები, სხვას შენთვის მკვდარი ვის უნდი, თუ შენ არ შევებრალები? შენის სიტურფით ვერ არის ვერ ბროლი, ვერცა ლალები, და აგავსებ ჩემის ცოდვითა, სიკვდილსა არ ვეკრძალები“.

46. „სხვა არვინ ვარგა უშენოდ, მე როგორ ვიყო ხელი და, ლხინი და ჭირი; სმა-ჭამა უშენოდ ყველა ბნელი და, ერთაჭამა და ქორწილი, მასპინძელ-საწვეველი და, და ტურფა-კეკლუცთა ყრილობა, მიჯნურთა სულ დამწვევი და.“
49. ჭამასა გახდი სამოთხედ ბრწყინვალედ ელვარებითა, ტურფათა გამომჩენელი—შემატებ, არ თუ კლებითაჲ მას სრასა, სახლსა საჯდომსა ავსებ მათისა ქებითა, და გონჯის, სიგონჯეს დაჭფარავ შენისა მოხმარებითა.“
50. „მტერიც ვერ გაძლებს უშენოდ, ხარ ყოვლთა მოსახმარია, მოყვარე ვარ და მიჯნური, ნუ ექვ, რომ გაგეყარია; ზნეკდილისაგან სიცოცხლე აწ ჩემი უფრო მწარეა, და ველარ მოვიწვდი—ასეთი გულსა ისარი მკარია.“
51. სანთელმან უთხრა: „დამეხსენ, ნეტარ, შენ ვინ და მე ვინა? სამადლოდ შემქნა, რომელი საყდართა მჯდომი, ზე ვინა, ეკლესიასა მსახურად სრულ ღამე გამათევინა, და ვინ მკვდარსა მუდამ ამინათოს, მას ცოდვა არ აზღვევინა.“
52. „სრულ ჩემი საქმე სამღთოა, მე ვინ და მიჯნურობანი, მუდამ მით ვნათობ, არა აქვს მით ვარდსა ჩემსა ძრობანდ ეგ შენგან არ მეკადრების, ეს არის მართლის თხრობანი, და სიკვილსა გიჯობს სიცოცხლე, რად ვინდა სუღარობანი!“
53. ფარვანა ეტყვის მტირალი, იგ საწყლად მოუბარადო: —„სულ ბრწყინავ უამხანაგოდ, მისთვის ხარ საქებარადო, უნდა, რომ თავს გველებოდე სრულა თესლად და გვარადო, და ვირემლი დავაწვებოდე, ვარე გირბენდე ჩქარადო.“
54. „ვითა ბულბული ვარდისთვის გაჭრილი, გახელბული, შენ სჯობხარ ვარდსა სინათლით, მეტი ხარ, არ თუ კლებულნი; ბულბულს მე ვჯობვარ მიჯნურად, გული უწყალოდ ღებული, და შენთა შუქთა და სხივთაგან დამწვარი, დავალბებული.“
55. „იგი იმღერს და იზახის, ყვეს ხმასა რასმე ამოსა, არ იწვის, არცა მოკვდების, არც არა გაიმწაროსა; პირსა ვიყურებ მნათობსა და ტანსა ალვა-საროსა და რა ვეგდო მკვდარი, დამწვარი—შენც მნახავ უსუღაროსა.“

56. ვინ აქო ვარდი-ბულბული, შამი-ფარვანაც უქია,  
ბულბულს ჰკლავს ვარდის შვენება, ფარვანას—სანთლის შუქია,  
ვარდს უმზეობა დააჭნობს, სანთელს დაავებს ბუქია,  
და საბრალოს მათსა მიჯნურსა ჰირი სჰირს არსუბუქია.
57. დრო მომეახლა ლხენისა—სიკვდილი მონაწურია,  
ალარც მე მინდა სიცოცხლე, რადგან ზენ აგრე გსურია,  
რად არ გეწყალვი, უღვთოო, ხარ თურე კარა ურია!  
და ეგ ვგრეც მიყავ—დამმარბხე—ცოტა რამ სამსახურია!“
58. სანთელმან უთხრა: „საწყალო, რად გარდასრულხარ ჰქვისაგან?  
ვით გასძლებს ჰირსა ეგ ზომსა გული უმაგრე ჰქვისაგან ?  
მე შენს სიბრაულს ჩამომხსენ, შენც მოისვენე წვისაგან,  
და წადი და თავსა ეწივე მუდამ ლახვრისა ჰრისაგან!“
59. „ღმერთსა გაფუცებ... დამეხსენ, წადი და სხვაგან ირეო,  
ტუდად ნუ გინდა სიკვდილი, შენთვის ნუ ამატირეო,  
შენისა სიბრაულითა მეც ლხინი დამიძვირეო,  
და ცეცხლი გწავეს, ცეცხლი უშრეტი, ლახვრითა გაიგმირეო.“
60. ფარვანას ესმის სიტყვები მისისა დამწველისანი,  
თქვა: „ამას იქით ვერ გავსძლებ—გულიცა მქონდა ჰქვისანი,  
დრო მოუვიდა ბედკრულსა ამ სოფლით გარდასვლისანი,  
და აწ ამას იქით მოკვდების, ამას არ უნდა მისანი.“
61. მხარი გაშალა, მიჰმართა, სად სანთლის შუქი კრთებოდა,  
სულ მისთა ჰართა წაღებად, სადალად თავს ევლებოდა;  
—თქვენც აგრე ჰქენით, მიჯნურნო, ვინცა-ვინ ვისთვის კვდებოდა!  
და თავგაწირული სიკვდილად ცეცხლშიგან შეიწვებოდა.
62. მხარნი მოეწვენს სრულობით, ქვე ჩამოვარდა, დაეცა,  
მისთვის საკვდავად ლახვარი უნდოდა, მგონივ, და... ეცა,  
ცოტა ხანს მუცლით ილოდა, სული უნდოდა გაეცა,  
და გასწირა მისმან ზელმქნელმან, სხვას ვის უნდოდა დაეცა?!
63. მკვდარიც არ მოსხლტა სანთელსა, იგ ზედა ეკრა, ეხია,  
ეწამა მისთვის, დაიწვა, მოკვდა, ლახვარსა ეხია;  
მისად წაღებად საკაცე, არც უნაგირი, კეხია,  
და არც ვინ დამარბა, შესუდრა, არც არა ზედა ეხვია.

64. რა ჩამოვარდა სანთლითა, სასანთლეზედან მდებობდა,  
მკედარი, უსულო, დამწვარი გაციედა, აღარ თბებოდა,  
მისის ცოდვითა სანთელი თავის სიკვდილსა ნებობდა,  
და მიჯნურნი მისთვის მტირალნი ყველა მუნ შემოკრებოდა.
65. მუნით ტირს ცხელის ცრემლითა, სანთელს ღვარი სდის წვეთადო,  
მისისა სიბრალულითა გულსა სჭრის დანა მკვეთადო;  
ნათელი სინანულისა მიჯობს გულს მადგეს სვეტადო,  
და ეს უსარგებლო ლაყაბი მეყოფა მეტის-მეტადო.

### [ბოლოსიტყვაობა]

66. გათავდა ეს ამბავი, იგ კიოხვა-არაკობანი,  
სიტყვათა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ-მკობანი,  
არც სიხარული სულისა, არც არა ზატიკობანი,  
და უსაქმოს მოწყენილისა ცული რამ ტიკტიკობანი
67. ცუდად წოლით და გდებითა ეს მომაგონა რაქამა,  
ორმოს ჩამაგლო სოფელმან, ძირს ჩამიტანა რა ქამა,  
ლარიბმან კაცმან სხვა—იგ, თუ არ საყვედური—რა ქამა?  
და იგ ცრემლთა ჩემთა ნაკადმა ზე გარდახეთქა, გაქამა.
68. ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა, მიღმოდებასა,  
ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა,  
შეჭირვებისა ცეცხლთა და გულსა სახმილთა დებასა,  
და მოველი შენგან ხსნასა და შენსავე იმედებასა!

## ლეილ-მაჯნუნიანი

### [შესავალი]

1. ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემელობით, არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით, მომეც გონება მე ვიყო მადლობის შემწირველობით, და ზელვჳყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობით.
  2. მეშინის, ვა, თუ სოფლისა ცუდმან ზრუნვამან-გამირთოს, ნივთთა უკანა დგომამან სული' ცეცხლზედა წამირთოს, სიტყვა უქმისა პატიემან ჳირხი ჳირზედა დამირთოს, და პეტრეს სამოთხის გაღებად კლიტე ვერავინ წამირთოს.
  3. სიბრძნე ხაჲს მარგედ სულისა, განქარდეს ხორცთა შვებანი, უკლებლად წერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი, არვინ იკითხავს წიგნებსა, შესწყინდეს ცუდად ღებანი, და მას არვინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიღ-მოღებანი.
  4. სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი, მძიჲე ენა ქართველთა—ვერ ძალმიც მისებრ თსრობანი, მათ შეწმანნილთა სიტყვათა მინდა მარტივად მზობანი, და აწ გამოჩნდების ლექსითა მიჯნურთა შესხმა-მკობანი.
- \* \* \*
5. ლეილ-მაჯნუნის ამბავსა შიხ შეიდს დავეცილები. არაბეთს, ლაზა ქალაქად, იყვნენ მეფეთა შვილები, ერთ ღამეს იშვნეს ორნივე, ჯერ ვარდი გაუშლილები, და განათლდა იგი ადგილი, აღარსად იყო ჩრდილები.
  6. პირ-შეტყველთა მარგალიტთა მათ სადაფი აღმოშობდეს, კრონოს, ზევსი, ოტარიდი სინათლეთა მათ უძღნობდეს, მუნა მყოფნი პირ-მთვარენი იმღერდეს და თამაშობდეს, და — „შე და მთვარე დაჯუფთილან, მათგან არსო“ — ამას ხმობდეს.

7. მათ ძეობა გარდინადეს, ორგან იყო სიხარული,  
ორმოც დღესა ლხინი ჰქონდათ, ვის მოუვა თვალითა რული?  
ამას გვანდა—მას ქალაქსა სევდა არის დაქარგული,  
და არ იცოდენ, ბოლოს ეამსა მათ დასწევდნათ სიყვარული!
8. ვაჟი ჰგავს ლომის ნაკვეთსა, ქალმან ისწორა შუე არა,  
აღვის ნაკვეთმან მნათობთა შვენება გაუზიარა.  
მოუსხეს ძიძა ორთავე, თქვეს: „არამც მოეშვია რა“.  
და თუ თვალად ტურფა არ იყვის, ვაჟმან მოწოვის რძე არა.
9. გაკვირდეს ვაჟის საქმესა მოყვასნი დედ-მამიანად,  
თქვეს, თუ: „რად არჩევს ლამაზსა, რად არის ასრე კვიიანად?“  
მესტროლაბენი აწვიენეს, მუნაჯიბ-მერამლიანად,  
და ჰკითხეს: „გვითხარო, ვით იყოს ყმა ესე დოვლათ-სვიანად?“
10. ქვიშას არჩევენ, რამლსა ჰკვრენ, ჰქონდათ ვარსკლავთა თვლი-  
ლობა;  
იკითხვენ, წერენ, არჩევენ—აქვთ დიდი გამოწველილობა,  
ეტლები რომელს ბურჯზე დვას, ქნიან ამისი ცილობა,  
და ღმერთს შესტირიან მშობელნი—ყმას ჰქონდეს დღეკეთილობა.
11. მუნაჯობთა ცნეს ბოლო ეამს საქმე მის ყმისა ყოფილი,  
თქვეს, თუ: „იქნების ქაბუკი მისებრი არვინ შობილი,  
სიტურფეს ხედავთ ყოველნი, შუე შექმნა შუქ-გაყოფილი,  
და სურვილის ეტლზედ შობილა, ეშვი აქვს გულს შეყოფილი.
12. ეს გამიჯნურდეს ამგვარად, სხვა ყოფილიყოს აროსა,  
სხვათა მიჯნურთა ხელობა მან თავსა არ აკმაროსა,  
სრბით განველტოდეს სამყოფთა, თავი მხეცთანა აროსა,  
და მაშინ ცნან, ვინცა აწ ჩვენი სიბრძენი ჭაიკმაროსა.
13. ესე თქვეს, ადგეს ყოველნი, წამოსვლა რადლა გვიანდეს?  
გახარებულნი მშობელნი დაჰმუნდეს, დანაღვლიანდეს.  
დედა ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა დანაშიანდეს,  
და თქვეს, თუ: „ეგების არ იქნას“—თავნი ღმერთსავე მიანდეს.
14. ორთავეს ზრდიდეს სათუთად, ვითა ღირდა და ჰშვენოდა,  
მთვარესა ზედან შეწყობით ყორნის ფრთა-ბოლო ჰშვენოდა,  
მუნ ათას ფერთა ყვაველთა წალკოტი მოეშენოდა,  
და მათსა ვერ მკვრეტსა ლახვარი გულსა უწყალოდ შენოდა.



15. ოქროს ტაშტშიგან ბანდიან ვარდის წყლით ერთგან ჩვილებსა, რწყევდიან გასაფურჩნავად ვარდ-კოკობ გაუშლილებსა, ათამაშებდენ ბალშიგან ორთა მეფეთა შვილებსა,  
და მათ ძოწის ფერთა ლაწვზედან წამწაში დაუჩრდილებსა.
16. ვაჟი მონათლეს სუნათი, უყვეს რჯულისა წესითა, სრულა შემოკრბეს არაბნი სალხინოდ, არა კვენესითა, მის მეჯლისისა საქებრად სიტყვა მოვილო მე სითა?  
და მათ დასაწვავად სოფელი ცეცხლსა უგზებდა კვესითა.
17. ვაჟსა დაარქვეს ყაისი, ქალსა ლეილი უწოდეს, აწ ამას იქით ორთავე ცეცხლითა გული უწოდეს, ნარგიზთა შავი ლახვარი, საკვდავად გამოუწოდეს,  
და იტყოდეს: „წიგნი ვასწავლოთ“—სასწავლოს მალ მიუწოდეს.

#### ამა მაჯუნუნისა და ლეილის სასწავლოში მიყვანა

18. შვიდისა წლისა შეიქმნეს, აღვის შტო ლამის ახვედეს, მოლას მიჰვარეს, შეჰვედრეს, ტირილით, სულთქმით ახვედეს; იკითხვენ ვითა ბულბული სურის, თუ ვარდსა ნახვედეს,  
და მელნის ტბა მათთვის საჩრდილოდ წამწამსა გრეხდეს, მახვედეს.
19. მათ მნათობთა ერთი იყო ნათესავი, თესლი, გვარი, ახლო იყვეს მეზობელნი, ძმათა შვილნი განაყარი; ლეილიცა მოიზარდა—აღვა, აღმა ანაყარი,  
და განგებითა იგიც იქმნა მას მოლასთან მინავარი.
20. ბერი იყო იგი მოლა, ბრძენი, ერთობ მონახული, ორნივე ნახა, მოეწონა იგი უცხოდ დასახული, თქვა: „ვინ ნახა ამათებრი დედის მუცლით ჩასახული?  
და აწ განათლდა სახლი ჩემი, დარბაზი და მერმე ხული“.
21. მაჯუნუნი ხელსა დაარქვეს, სახელი ყმისა ყაისო, მაქთუბში ნახა მისი მზე, გულსა ლახვარი დაისო, ეტლსა ეტყოდა: „ესე სჯობს, ლეილი გულსა დაისო“;  
და ფიცევდა: „არად სახმარ არს—ვარდსა ნუ გაშლი, მაისო!“

**აქა მიჯნუნისაგან ლეილის გამოჯნულება**

22. აკითხებდა იგი მოლა ორთავე თავ-აუღებლად,  
ვინცა მორჩის მათ ქალ-ყმათა მჭერეტია ცნობა-წაუღებლად?  
ბროლის ველზედ შავი მშვილდი თვით გიშრობდა გარდუ-  
ღებლად,  
და გაანათლეს მათ სასწაელო, არ მოღრუბლეს გარდუღებლად.
23. ვარდს გვერდითა ყეფს ბუღბუღი, იგი არე აუყრია,  
ლეილისა სხივთა შუქსა—დარსა—ნისლი აუყრია,  
თვალნი გიშროთ მოუზღუდავს, წარბი მალლა აუყრია,  
და მას ციერნი არ ჰკვირან, მნათობნიცა აუყრია.
24. ვინც ეშყს მიჰყვა, იგ უთუოდ ეშმაკთაგან გაიცადა,  
სრულ გაშმაგდა, რა მაჯუნუნან მისი მკვლეელი გაიცადა,  
ნარგისთაგან სასიკვდილნი გულს ლაზვარი გაიცა და,  
და იტყოდა, თუ: „ჩემმა მკვლელმან სრა-სამყოფი გაიცადა!“
25. ერთს წიგნედან იკითხევდეს ალიფსა და გინა ჯიშთა,  
ყმა სურვილსა გაეშტერა, ვით პირველ თქვეს მუნჯიშთა,  
იგ უჭერეტდის მელნის ტბათა, გარ ინდოთა რაზმ-წყობილთა,  
და თეთრ-წითელი ელვა კრთოდა მოცინართა ბაგე-კბილთა.

**[აქა] შებუობა მოლისაგან მაჯნუნისა და ლეილის  
მიჯნურობისა და მათი გამოგდება**

26. ვეღარ მალავს იგ სურვილსა, მაჯნუნს ცეცხლი მოებოლა.  
რა შეატყო მიჯნურობა, გაგულისდა მეტად მოლა,  
შეიპყრა და სცემდა მწარედ, უნდა თუმცა დაექოლა  
და თქვა: „მოგკლავდი უსაცილოდ, თუ ყმა იყოს ჩემი ქოლა!“
27. ყმა გააგდო, ესრე უთხრა: „გამეცალე უჭკოვ, ხელი!“  
ქალი დედას მიაბარა, ხმა გავიდა ავ-სახელი;  
ლეილისა დედ-მამათა სწივს სირცხვილთა ცეცხლი ცხელი;  
და მაჯნუნს მიხვდა გაყრის კირი გულსა სენად მოუღებნი.
28. დედა ეტყოდა ტირილით ქალსა: „რა მიჰყვ შვილო, და,  
თავი მომკვეთე, გამხადე არაბთა სასაცილოდა,  
შენი შერცხვენა ვით გავსძლო!“—თვალთაგან ცრემლსა მილოდა—  
და „შენც მოგკლავ, თავსაც მოვიკლავ, იცოდე, უსაცილოდა!“

29. „ჯერ ქალი ხარ გაუწვრთნელი, შენ ვინა და ეშვი ვინა!  
შენებრ შვილმან უწვრთნელმან დედ-მამანი მოაყენა,  
საყვედურთა ენა მკვეთმან დამჭრა, გული გამისივნა,  
და რათ გაგზავნე სასწავლოსა, არ გამოყოფე ჩემსა შინა!“
30. „ეთქვიო: მოგვესწრა ჩვენ ასული, ალვის ნორჩად გვენაყოფის,  
პირად მზე და ბაგე ვარდი, ჩვენთვის ლხინად ეს გვეყოფის,  
მივსცეთ ვისმე შესაფერსა, ქირჩი შუა გაგვეყოფის;  
და დაიძრახე, მოგვაყიენე, თავი არსად გაგვეყოფის.“
31. „ქალმან უთხრა მას პასუხი ტურთა რამე, არა ცუდი,  
ჰგვანდა—ჰხმობდა საფირონი პირსა მისსა დანაბუდი,  
თავს მართლობდა უცხოად რასმე, ზართალს სჯობდა მისი მრუდი,  
და ღონეს რასმე ედებლდა, იგ არ გატყდა, ვითა ქურდი.“
32. „ვიცი მიწყრები, დედაო, მე შემცოდე ვარ, თურევ, და,  
მიბრძანე: ეშვი რა არის, ხმელზე დგას, ანუ ცურევ და,  
ფრინველია თუ ნადირი, ფერად თეთრი, თუ მურევ და,  
და ხილი არის, თუ ყვავილი, წალკოტსა შიგან ურევ და?“
33. „ამბობა რასმე, ვერ მივხვდარვარ, თუ რას ჰქვიან მიჯნურობა,  
თქვენ გამგზავნეთ სასწავლოსა, აწ ვით მექნა მე ურჩობა?  
თუ ყმამ რამე დააშავა, მოკლან—არ ექნა მე სარჩლობა;  
და ამის მეტი არა ვიცი, გამიბედოთ მე დარჩობა.“
34. დედა შესჯერდა ასულსა, სიტყვასა ზედან ტკბილებსა,  
უკვდავებისა ბაგითა აკოცა თეთრსა კბილებსა,  
რამცა ეცოდნეს ყმაწვილსა ჯერ ვარდსა გაუშლილებსა!  
და ქმართან ამართლა, ეტყოდა: ნულარ ვღვრით ცრემლთა მილებსა.
35. ამას იქით ლექსთა სიტყვა სხვას ამბავზე მოკიდულა,  
მაჯნუნისა გულსა წყლულსა ცეცხლი ცხელი მოკიდულა;  
მან ლეილი-ველარ ნახა, თვალს ვერსად მოკიდულა,  
და გლახ, მოუნდა ველად გაჭრა, მხეცთა მოყვსად მოკიდულა.

### ამა ამბავი მაჯნუნის ველად გაჭრისა და მიჯნურობისა

36. ტირს, იძახის, ვითა ხელი, ჰკვა დაკარგა, სრულა ცნობა,  
ვინმე აჩვენოს მისი მკვლელი, ან ამბავი ვინ აცნობა?  
ან შეეტყო მისი რამე—არა ჰქონდა მისი ზღობა,  
და მას სდიოდა თვალთა სისხლი, ცრემლთა ლამში მიფვლობა.

37. „ღამეკვეთა შენი ნახვა, აწ მე რა ვქნა, ჩემო მზევ და,  
 ცრემლით სველი უბე-კალთა არაოდეს გამიშევედა,  
 სული მორბის სწრაფით მანდეთ, გული კრული შენკე მზევედა,  
 და რაღვან თვალნი ვერა გჭვრეტენ, ხამს დაბნელდეს, რადღა  
 მზევ და!“
38. მას სიცოცხლე აღარ უნდა, მოიცალა სულთქმა-კენესად,  
 ქვად შექნოდა გული, ტალად თვით აბედი, ეშყი კვესად,  
 ჰკიდავს ტვირთი სურვილისა სხვათ მიჯნურთა უმძიმესად,  
 და იტყვის: „მომცა ბედმან ხელქმნა, აწ გავიქრა, ნეტარ, მე სად?“
39. მიირბენდის სამწავლოსა, სად ენახა მისი მთვარე,  
 ტიროდის და თავს აწყვეტდის, მას სიცოცხლე ჰქონდა მწარე,  
 იგ უებრო სიყმე, სიმზნე მისთვის იყო მოუხმარე,  
 და შესტიროდეს დედ-მამანი: „ჩვენ დაგვხოცენ უწინ, ბარე!“
40. მივიდოდის მას ადგილსა, სად ორთავე ეთამაშა,  
 იგ ჰკოცნიდის იატაკსა, სად მას ფეხი დაემაშა;  
 იგლეჯოდენ დედ-მამანი, სხვა რა ექნათ, ნეტარ, მაშა?  
 და არ უსმენდის იგი ხელი, რომე სიტყვით დაემაშა.

**აბა უშაშროდ სისხლის წახეთქა მაჯნუნიხაგან**

41. დღე-ერთ იყო თავის წინა, გლახ, მაჯნუნი სახლსა ჯდომად,  
 დღე და ღამე გაუწყვეტლად მას ცრემლი სდის დაუტებრომად,  
 იგ საწყალნი დედ-მამანი გვერდს უსხდიან ახლო დგომად;  
 და გაუძნელდა, სურვილისა სენი სკირდა გულსა მჯდომად.
42. მას გაუხსნელად, უშაშროდ სისხლმან წახეთქა მკლავითა,  
 მშობელთა ნახეს, შეიქნეს ყოფა-ქცევითა ავითა,  
 ცოტა უკლია საწყა: სა მას სული აღმოჰქრა ვითა,  
 და უსისხლოდ ველარ მოძრაობს ნიეთეჟი საბრუნავითა.
43. ეცადნეს და ვერას ღონით ვერ დასწყვიტეს სისხლი ყმასა,  
 დასტირიან დედ-მამანი, თავს იცემენ მაგრად ქვასა,  
 შეებრალნეს მას შობელნი, ამოიღებს ძლივლა ხმასა,  
 და ეტყობა, თუ: „არ მოვკვდები, ნუ დაიხოცთ ჯერეთ თავსა.“

44. თქვა: „ მიიღბინეთ სამყოფსა, სად ჩემი მზე ზის მზეულად, თქვენ იქით მიწა მოიღეთ ფიცხლავ აქ ჩემთან რბეულად, რა იგი დამდევთ მკლავზედან, წყლული ვერ ნახით ხეულად, და სხვამ სისხლი ვერამ დამწყვიტოს, გამკურნოს მე მისეულად.“
45. თავს შეიღვეს მისი საქმე, ფიცხლად მიწა მოტანილდა, მკლავზედ დასდევს, სისხლი დასწყდა, იგ არ სწვეთდა, არცა მილდა; მაჯუნნმა თქვა: „ მოვრჩი, მაგრამ მე სიცოცხლე აღარ მინდა.“  
და — „რად გღიოდა ცულად სისხლი?“ — მათგან კითხვა დაუბშირდა.
46. ჰკითხეს; ჟამბო სისხლისა მკლავ-გაუხსნელად დინება, თქვა: „ ავად გახდა ლეილი, იგ ბროლ-ბადანში, მინება, იქ იმას ხელი გაუხსნეს, აქ ჩემან მკლავმა ინება, და მისგან მომეცა პატიჟი, მისგანვე მომელხინება.“
47. სულთა ნაცვლად იგ მითქს სულად, მით მოძრაობს გვამი ხორცთა, რა მოვშორდი, სისხლის ცრემლი მდის უწყვეტლად, არ მეხოცა დამეშურვა ბედი კრული, ლამის სოფლით ამომხოცა, და აწ მიმიშვით ველად გაჭრად, მხეცთა გვერდით დავემხო-ცა!“
48. რა ყმისაგან მშობელთ ესმა, გულსა ცრცხლი მოედების, თქვეს, თუ: „ მოკვდეს, ანუ შეცდეს, ასე რასმე მოედების!“  
მათ მოყვანნი მოაწვივნეს, ძმანი ჰყვეს თუ მოედების, და „აწ გაგვექრას ეს თუ... ყელსა არ თუ თოკი მოედების.“

### მაჯუნნისათვის ლეილის თხოვნა

49. ტირილითა შესჩიოდეს მეგობართა, თვისთა ტომსა:  
— „ვეწვივნით წყალობასა ჩვენ ღვთისაგან თუ რაზომსა, შვილი მოგვხვდა, ჩვენ უჭკრეტლით პირსა-მზესა ვეფხებრ მხტომსა, და გამიჯუნურდა, ველად გარბის, ველარ ვხედავთ სახლად მდგომსა.“
50. „აწ გვიშველეთ, გვარგეთ რამე, ვის ღმერთი გწამს ცასა მყოფი, საქმე რამე მოგვიგვარეთ, ვირ ყმა იყოს ჰკვასა მყოფი.“  
ნუგეში სცეს, სიტყვა უთხრეს ჭირთა შუა ვასაყოფი:  
და — „ ნუ ინალვლით, აწ მივიდეთ, სად მზისაა სრა-სამყოფი.“

51. „ჩვენ წავიდეთ, ქალი ვსთხოვოთ ამა ყმისა შესართავად, ვინ მნათობთა უტურფეა უკაზმაფი, მოურთავად, ყმისა სწორი არვინა ჩანს, გვარად ერთ ხართ, არ თაფ-თავად, და მოვიპირვოთ, აღარ ვიყენეთ ქირსა ქირზე დასართავად.“
52. კარს მიუდგენნ მოციქულნი ლეილისა დედ-მამათა, მოეგებნეს, ტკბილად დახვდეს, ვით ვთქვა ქება მემანთა! იგონებდეს, მზისა თხოვნას თუ რას სიტყვით შეემართა. და სცნათ ბოლო-ჟამ სოფლისაგან, რაც მათ ქალ-ყმათ დაემართა!
53. სიტყვა-ბრძენთა მოციქულთა საქმე ვითმცა დაეძროდა! სთხოვეს პირ-მზე ქალი, ვისმცა ალვა ტანად დაეზროდა, ეტყოდეს, თუ: „მზე არ მიხვდეს ყმასა, ვარდი დაეზრო და,“ და იგ უფასო მარგალიტი ხერხით უნდა დაეძრო და.
54. ეგზომ ყმასა უებროსა ქალი ვისგან დაეჭირა! სხვა აუფი არა სჭირს რა — ეწყი გულსა დაეჭირა, ნარგისთაგან მას ლახვარი ეცა გულსა, დაეჭირა, და მაშინ უნდა შევლა-რგება, როდეს კაცსა დაეჭირა;
55. უპასუხეს: „ყმას ვინ სწუნობს? — ვიცით მისებრ არავინა, საქმე გვიყო სათაკილო. საჩივარნი მოგვამჩიენა, მისმან ეგზომ ხელობამან ჩვენ ასული მოგვიყიენა, და სრულ აგვაგვსო სირცხვილითა, ჩვენ გვაენო და თვითცა იენა.“
56. „აწ ჩვენ მივსცეთ ყმას ასული, თულა ცნობა მას ედების, თვარე ხელსა როგორ შეერთოთ? — მასცა რამე გარდედების! ჩვენ დაუვსით იგი ცეცხლი, რომელიცა მას ედების.“ და შეიყარნენ იგ მთიებნი, ყელი ყელსა გარდედების.
57. წამოვიდეს მოციქულნი, მათ ხედვიდეს მოცინართა, თქვეს: „ჟამად გვაქვს ვარდთა კრეფა, რად ვამოყვსოთ ხელი ნართა!“ ყაისს უთხრეს: „ნულარ ხელობ, ღმერთმან საქმე გიწაღმართა.“ და მან ნარგისი მოცინარ-ყო, ალვა აღმა აემართა.

## მაჯნუნისა და ლეილის ძორწილი

58. მიიყვანეს ყაის სიძედ, მოყმე ტურფა, შვენიერი,  
„ხოსროს თვალად, ფარ[კ]ადს ძალად ესე სჯობსო ხმობდა ერი,  
თქვეს:—„ასეთი ხორციელი არ ნახულა მიწიერი“.  
და ცუდი იყო ყველა მისთვის, ბედი ჰქონდა შენაძტერი.
59. სრულ ღრამთა დედაწულნი საქორწილოდ მოწვეულა.  
ქალი ნახეს, თქვეს, თუ:—„უამად ვარდი გაშლად მოწვეულა,  
განაღამვა მისთვის ხელთა გული ცეცხლზე მოწვეულა,  
და ბურავს ლალი მარგალიტსა; ზედან ტურფა ძოწვეულა“.
60. მას უქვრეტდენ ბანოანნი გაკვირვებით, განამკრთალად,  
პირსა მზესა უებროსა შავი ინდი აჯდა ხალად,  
ზედ თვალ-წარბი გარდაშლოდა შავად რამე—არ თუ მქრქალად  
და ფიცვენ:—„მზისა უნათლეა, მგონი კმარა რძლად და ქალად“.
61. გარ უცევდა ზანგთა რაზმი, მელნის ტბები—თვალთა მორვად,  
ვინმე მოურჩა მქვრეტთა გული დაუქრელი, დაუმორვად?  
შვიდი არის მნათობთ რიცხენი, აწ მით იქნას, მგონი, მორვად,  
და ვთქვათ ციერთა მისი ჯობნა, არ თუ ვიყენეთ დაუმორვად.
62. შინ მას ახლდეს პირ-მთვარენი, გარ ყრილობა იყო ერთა,  
უნდოდა, თუ უებრონი იგ ქალ-ყმანი შეეერთა,  
არ ინდობა შემომქმედმან, მას წყალობით არ უღმერთა,  
და ბედი უნდა საქმის მოსვლას ყოვლთა კაცთა მიწიერთა.
63. სრულ მოაწივნეს არაბნი, თქვეს: „გავათხოვეთ ქალიო“,  
შარბათი სვეს და დაასკვნეს—ყმას მისცეს ბროლ-ფიქალიო.  
ქებინის წიგნსა იკითხავს, მოლაშ ახსენა ალიო,  
და ყმას აღარა აქვს სრული ჰკვა, რეტად მიმოაქვს თვალიო!

## ძორწილით გამოგდება მაჯნუნისა

64. მეჯლისში სხენან, ლხინი აქვთ—სამოთხეს მიუდარობდა,  
ყმამ იცნა ქალის გოშია, ჰკოცნის, პირს პირზე არობდა;  
გაკვირდეს, თქვეს: „აქვს ქორწილი, ძალს ჰკოცნის, რასა  
ჩქარობდა?  
და შეილი ვით მივსკეთ შემცდარსა?“—კარში გაავდეს, გარობდა.

65. აიშალა ქორწილობა, სიხარული გახდა ზრუნვად,  
გამოაგდეს, გლახ, მაჯუნნი, ლამის ცრემლში გასაცურვად,  
ლეილსაცა კაეშანი შეეყარა გულსა ურვად.  
და ვინმცა მორჩე! ბოლო ჟამსა სოფლისაგან დაუმდურვად!
66. მაშინ გაიჭრა მაჯუნნი, ველად მირბოდა, შინ არა,  
ვარდს ველარ მიხვდა საკრეფლად, ხელთა ეკალი ინარა;  
უკან მისდევდეს მშობელნი პირს სისხლი ჩამომდინარა;  
და მისთვის დაბნელდა საწუთრო, მზემ შუქი გაუჩინარა.
67. მოკვდა მამა მაჯუნნისა, რა გაჭრილი ნახა შეილი,  
ლეილისა დედ-ბამათა მარტო დარჩა იგ ადგილი,  
მათი იყო იგ სამკვიდრო, სხვა ვინა ჰყავ შემაცილი?  
ღს დარჩა დედა საცოდავად, ბედისაგან წახლომილი.
68. ლეილმან სხივთა სინათლე მაჯუნნის გულსა უდარა;  
მანცა დამეტა მიჯუნურთა, ხელობა ვერვინ უდარა;  
ველად გაიჭრა, ფრინველნი თავზედან დაიბჟდარა,  
და ნება-უპოვრად სრულ იქმნა, გარე მოერტყა სუდარა.

### მაჯუნნისაგან გლახად მიდგომა ლეილისა

69. მძოვრად გაჭრილსა სიყმესა ყყავილნი ჩამოსცვივიან,  
მზე შეეფარა სამისოდ, ვარდნი ზამთარსა ჩივიან.  
თქვა, თუ: „მივიდე სოფელსა—მოყვასნი არვინ მივიან,  
და ლეილი ვნახო, მასუკან სიკვდილი აღარ მტკივიან!“
70. გლახად მიუდგა კარზედან, სხვა ვერა მოიგონა რა,  
მაშინვე იცნა ლეილმან, ხმა მისი გაიგონა რა,  
დედს ჰრქვა: „მომეც სამადლო, მივსცე ოქროსა წონა რა“,  
და გამოჟლო და მირბოდა, მუნ მისელა არ იმკონარა.
71. ეტყოდა: „ჩემთვის ხელ-ქანილო, დღეს გნახე აქ მოსულები,  
რა გივასპინძლო, რა გიძღვნა, გული მოგცე, თუ სულები?“  
ბაგე მიუპყრა შაქრისა უტკბილეს გაღესულები,  
და აკოცა, მაგრამ დაესვა ლახვარი მოღესულები.



72. დედამ შეუტყო, აზრი ქნა ოქროსა მალ მიცემითა, ვით დავარ ნესტან-დარეჯან, მან დაალურჯა ცემითა: — „შენს შეილობასა მერჩია ბერწობა არ მიცემითა“ და გააგდებინა მაჯნუნი ქვის სროლითა და ცემითა.

**ლეილის საჯახულოდ იალალზე წასვლა და მაჯნუნის ნახვა.**

73. ჟამი გარდახდა ზამთრისა, ზაფხულმან იწყო ცხელობა, იტყოდეს: „ავმან ჰაერმან ქალსა არ უყოს წყენობა!“ ახლო მთა იყო მაღალი, სად მაჯნუნს ჰქონდა ხელობა, და ლამით მიყვანდათ კუბოთა, რა დღესა ექნა ბნელობა.
74. ქალის ქეჯაო დედისა აქლემს მოაბეს ძუასა, თოკი შესწყდა და გზას დაკდა, აქლემი გაჰყვა ძოასა, ხოჯები ძილსა შეეპყრა, განშორებოდეს კკუასა, და ქალსა ძინავს და აქლემი ბრუნავს მინდორთა შუასა.
75. მუნ თურმე იყო მაჯნუნი ხელქმნილი ცეცხლთა დებული; თავსა წაადგა აქლემი ქალითურთ აკიდებული, გვანდა ზეგარდმო განგებით სამისოდ მივლინებული, და მხეცნი გარ შემოსწოლდეს, ერთზე თავი აქვს დებული.
76. თვალნი აახვნა გულ-წყულუმან, შუქი მოადგა მთვარისა, მხეცნი დაფრთხეს და მიმართეს, მუნ იყვეს მისვე არისა, მაჯნუნი ფეხზე წამოდგა, ყვივლი ესმა ნარისა, და თუ რასმე უმასპინძლებდა, ეს მისთვის სტუმრად კმარისა.
77. ლეილმან იცნა მაჯნუნი, ხელმან ვერ იცნა ჰქვისაგან, მისი ეშყი და სურვილი უმძიმეს ედვა ჰქვისაგან, ეტყოდა: „ვინ ხარ? რა გინდა კაცისა გაჭრილისაგან?“ და — „შენ ვისთვის ჰკვდები, იგი ვარ!“ — ესოდენ ესმა მზისაგან.
78. ქეჯაოდამე ვარდახდა, ეტლი დაავლო მზემან და, ეტყოდა: „მე ვარ ლეილი, აწ შენთვის მოველ მე მანდა!“ რა ესმა, დაბნდა, დაეცა, ბედმა გაწირა, სვემან და, და სულნი გაექცნეს, გვამს ეტყვის: „მე წაველ, იდევ ქვე მანდა!“

79. თავი კალთაში ჩაიდება, სახლით ცრემლსა სწმენდს ხოცებით, ეტყოდა; „ადექ, წავიდეთ, ხალუმნი მოვლენ ოცებით, მე შენი ვარ და უღროოდ რასათვის დავიხოცებით?“ და მას არა, დია, შეესმის არ ცხადივ, არცა ოცებით.
80. ცნობად მოვიდა მაჯუნნი, სხენი უშლიან მზერასა, ვეშაპისავან ტყვე-ქმნილი გამოუშვია მზე რასა? თქვა: „არ ვემღურვი ამალამ ჩემსა ბედსა და წერასა, და მაგრამ დამშლიან კავშირნი, მაჯა ველარ იქს ძვერასა“.
81. ქალი ეტყოდა ტირილით: „ცუდად ნუ ჰკედები ხელობით, სხენიც ყოფილან მიჯუნური, არ შენებრ მოუთმენობით, შენ ჩემი ხარ და საკუთრად მეც თავი დამრც შენობით, და ვინემლის სცნობდენ ქოჩარნი, მე წამიყვანე შენობით“.
82. მაჯუნნი ეტყვის: „ვისმინე ჩემთვის სალხენი ბრძანება, რა დაიბადე სოფელსა, ციერთა ექმნა ღამება; ვირ ცოცხალ ვიყავ, არ მომხვდა, მზეო, შენთანა ამება, და არა მიმაქეს რა სოფლისა ესოდენ შენთვის წამება“.
83. ვერ გაუვა თქმად მელექსე ჭირთა მათთა ნათალსა. დაეძებდენ იგ ხალუმნი მას მნათობსა პირ-მზე ქალსა, სირბილითა მოჰყვებოდენ აქლემისა მონაკვალსა, და ზედ მოადგეს ღამე ბნელსა მას შუქთაგან დაუმაღლსა.

**პოვნა ხალუმთაგან ლეილისა და მაჯუნნისა  
ერთგან მსხდომისა**

84. ნახეს ხელი ხელქმნილისა თავი კალთას მიდებულად, გაგულისდეს, მათ შეექმნათ გულსა ცეცხლი მიდებულად; შავთა ხელი მას მნათობსა უკმოზიდნეს კიდებულად, და გამოყარეს, ამად ჭირნი ჭირზედ ექმნათ მიდებულად.
85. მოახსენეს: „გვიკვირს, მზეო, ხელსა გვერდით რასა ზმიდი, შენ გეტებენ ხელმწიფენი, ვერე რასთვის გაადვილდი? ჩვენ დაგვზოცენ უბრალოთა, სისხლი რასთვის აიკიდი? და მათ რა უთხრათ ჩვენ პასუხი, შენ უბრძანე, ვერე მიდი.“

86. მან პასუხი ვერა გასცა, ცრემლთა ღვარსა ჩამომიღდა,  
ვერა თქვა რა ამასური. მათზე სიტყვა დაურბიღდა;  
— „ეგ მომკვდარა, ხედავთ ჩემთვის, მე თუ ვნახო—რას  
გიკვირდა!“  
და ხმა წაუხდა იადონსა, რა იგ მაღლა ამოტირდა.
87. გლახ, უწყალოდ, სასიკვდიინედ მაჯნუნს ლახვრით მიეშინა,  
ვერ მოჰკიდეს, ვერც დაკოდეს, მათვე უფრო შეეშინა,  
გარეთ ხირლაც ვერ გაუჭირეს, არ თუ რანე ევნო შინა,  
და ცუდ-მაშვრალნი უკმოზრუნდეს ხლმის ქნევამა ააქშინა.
88. კლბოს ჩასვეს, ჩამობურეს, შუქი მზისა ღრუბელს შევა,  
ლაწვნი—ლალსა, ბაგე—ძოწსა უგავს, შიგ არ დაერჩევა,  
ქალისაგან სამკაული მათთვის ქრთამად დაერჩევა,  
და — „ნუ იტყვიტ-ო, —გამოულო; მათ შეექმნათ შიგნით რჩევა.“
- 89 მიიყვანეს დედასთანა, მას მიჰგვირიან დაქარგულსა,  
თქვეს, თუ: „აქლემს დაეწყვიტა, ვპოვეთ მინდორს შუაგულსა,  
გაშლილიყო თოვლზედ ვარდი, ზროდ ჰგავს ალვა  
და ნერგულსა“.
- და ძნელი ჭირი გარდეკიდა მაჯნუნს გულსა დადაგულსა.

**ჭირილი და მოთჳვა მაჯნუნისაგან ლეილის გაჰრისათვის**

90. რა მაჯნუნსა უნებლიედ იგ მნათობი გაეყარა,  
ზაფრანაზედ ხოვრიელად სისხლის ცრემლი დაეყარა;  
რა წაჰგვარეს სულთა მდგმელი, სულთ ამოსვლად წაეყარა,  
და დაბნდა, იქმნა, ვითა მკვდარი, ხორცთა თრთოლა შეეყარა.
91. მოზრუნდა, მოთქვა საბრალოდ მისი ბედ-უბედობანი,  
მიწისა ხორცმან ვით გაძლო სახმელში გამოდნობანი!  
თქვა: „უკურნებლად დაძადგრა შავთა წამწამთა სობანი,  
და მზემან მიპრიდა ხელქმნილსა, მეწიენეს ვარდთა ზრობანი“.
92. იტყოდა: „ვფიცავ, ჩემი მზე მზისაგან უფრო დარევედა,  
ქვე ამან მისცა სინათლე, იგი ზე ცუდად დარევედა,  
ზროდ ალვა, ფერად ბროლ-მინა მასთანა სრულად დარევედა,  
და ნარგისი გულსა ტყვე-ქმნილსა ეგრე, ვით უწყაოდ, დარევედა“.

93. თქვა: „მიჰეთარა ნათელი, ჩემთვის საწუთრო ბნელობდა,  
 ცოტა უკლია ჩემთვის მზე სწრაფით ჩასვლასა წვერობდა,  
 მე მიყო საქმე სოფელმან, რაც მის საქმესა ჰვერობდა“.  
 და მიწად მიმღები არა ჰყვა, არ თუ სიკვდილსა ძნელობდა.

**აქა აგზავნი არაბთა მღვთისა ბასრელისა ამირასი**

94. იყო ბასრელი ამირა, მეფე მორკმული დიდებით,  
 მეტად ყოველთა მეფეთა საქურულე ჰქონდა მიდებით,  
 სრულ-არაბეთი ხელთ ჰქონდა თავიდგან ბოლო-კიდებით,  
 და გენახათ მისი მძლავრება, ვექვ, თქვენცა დაერიდებით.
95. ამირა მეფე ძე იყო ხალიფა ბალდადელისა,  
 ლილის მამა—ძმის-წული ხელმწიფე საქებელისა,  
 ბასრა შვილს მისცა, მას ლაზა—სამკვიდროდ, არ ერთ წელისა,  
 და თვითონ ბალდადს ჯდა მორკმული, მძებნელი ომ-სახელისა.
96. ბასრას ჯდა მეფე ამირა ამაყი, შეუბოვარი,  
 ჯერეთ ყრმა-კაცი, უებრო, არ მხცე შერევად დრო არი;  
 მის სამეფოსა გამოჩნდა თხა-მგელი ერთგან მძოვარი,  
 და სხვა მისი მჯობი ენახა, არ იყო კაცი მსოვარი.
97. რიცხვით თორმეტნი ვეზირნი მუდამ კარს უდგის ბრძენები,  
 მუნეჯიმიცა იახლის ვარსკვლავთ-მრიცხვლ, რამლთა მკერელები,  
 ექიმი ჰყვანდა ურიცხვი, მათ ვერ დაეძვრის სენები,  
 და მისის ამზისა მზობელსა არ-ერთი უნდა ენები.
98. არ გაიწყვიტას მას თანა მოლექსე-მოშაირები,  
 ვით ერის სულთან ჰქუსეინ, ბრძენი არ ცნობა ვირები,  
 ჰკერენ ათას-ფერნი მუტრიბნი, არ ცული გულ-სტვირები,  
 და შინ მათთან ჰქონდის მეჯლისი, კარზედ უდგანან გმირები.
99. ვითა ვთქვა მისი დიდება, ან ხელმწიფური წესები,  
 სწორეცა მაკედონელსა ჯიმშედის უზეშთესები,  
 მან დაამდიდრა გლაზანი, აღარ ისმოდა კენესები,  
 და ვით ნებროთ, სძლევდის ყოველთა, იგ შექმნის უმრწემესები.
100. სამ-დღე განაგის სამეფო, ვით ჰმართებს საქმედ მეფეთა,  
 ორ-დღე შეექცის, ნახვიდის ველთა სისხლსა მჩქეფეთა,  
 სამ-დღე ჯდის სახლად ნადიმალ მას სეფის პირსა სეფეთა,  
 და ხმა უღარიან მგოსანთა, ვარდზედ ბულბულთა მყეფეთა.

101. რა გაზაფხული შეიქნის, მიწამან შექნის მდღეობა,  
სოსანმან, ვარდმან, ნარგისმან, სუმბულმან ამომზრდელობა,  
რა გაყმაწვილდის ქვეყანა, ზურმუხტად გახდის ველობა.  
და იაღონთა და ბუღბულთა შექმნიან ამომთქმელობა,
102. შინ აღარ დადგის ხელმწიფე, სრა მოიძულის სრულობით,  
მან დიდებულნი აწვივნის, შეიყარნიან სრულობით,  
იგ უცხო ოთალ-კარავნი დგას მინდორს გაჩათრულობით,  
და სევდა, კმუნვა და ნალველი იგ უცხო ყვიან გულობით.
103. სრულ ესრეთ მოვლის სამეფო, მას ლხინი ჰქონდის, მღერანი,  
მან აღაშენის ქალაქნი, რაც ნახის ოხერ-ვერანი,  
ცხენს ოქროს ნალი დააკრის, ჩანჩალა ჰყვა, თუ მერანი,  
და გაეარდის, გლახამ იპოვის, უბეს გაუხდის ჩხერანი.
104. ლაზა ქალაქსა მივიდა იგ მეფე სახელდებული:  
ლეილის მამას იამა, იგ იყო პურად ქებული,  
წინ გააგება თავადნი, ვინც იყო გვარ-დიდებული,  
და მას ლარნი უძღვნა ურიცხვნი აქლემით აკიდებული.
105. მან დღე-ერთ ნახა მაჯნუნი—ველს იყო ნადირობასა,  
თქვა: „რად მოუკლავ ესე ყმა სიცხე-სიციფე-ძრობასა?“  
მათ მოახსენეს: „მეფეო, მხესა ტან-ალვა ზრობასა  
და მიჯნურობითა უპირობს მას სული ამოძრობასა“.
106. მას შეეპრალა უზომოდ, თითსა იკბინა კბილითა,  
თქვა: „არ ვიკადრო, მას ცრემლი რომ არ დავსწყვიტო მილითა,  
სად იყოს, იპოვო უთუოდ, ვისგან არს წახლომილითა,  
და ერთად შეეყარო ბაგითა ტურფითა, მოლიმილითა“.
107. „ვინ ხარ? რად ველად გაჭრილხარ?“—მეფე ჰკითხევდა, ხელო, და!  
რად ჩამომდნარხარ, ალვის შტოვ, სჩან აქანამდის, ქველო, და!  
სიყმისა ტურფა ყვაილი ზაფრანად შეგეფეროდა,  
და ვისთვის მომკვდარხარ—მე შეგყრი, არ ცუდად მოგეფერო და!“
108. — „რას აქნევ კაცსა გაჭრილსა?“—ხელი ეტყოდა მეფესა,—  
„ნადირთა-თანა მძოვარსა, სისხლის ცრემლითა მჩქეფესა:  
შენცა მოგაწყენ, ნუ ელტვი სევდითა დანამყეფესა,  
და მზიარულთანა სზრახვედი, კაცსა ეუბენ სეფესა.“

109. „ვინცა დამბადა, მოესძულდი, ბედმა მიმუხთლა სვიანად,  
ვისთვის ხელ-ქმნილვარ, აწ მისგან ეა ველარ არის მზიანად,  
მან დააბნელა მნათობნი, თვით არის სინათლიანად,  
და აწ ვერვინ მარგებს, სახილი მედება დაუესიანად“.
110. ცხენს შესვა, წამოიყვანა, ბევრს აღარ ელაპარაკა;  
ეტყვის: „რას მაქნევ დავრიშსა, ხმალი არ მინდა, დარაკა“.  
ქალაქს შემოვა, ციხისა კართა გაღებად დარაკა,  
და სრულ მოაწვიენა არაბნი, უამბო მისი არაკა.
111. წამოიყვანა მაჯნუნი ხირღა-ცმულ, თავშიშველები,  
თქვა: „გუშინ ვიყავ მხეტთა სრვად, მინდა მომეკლა შველები,  
მუნ ვპოვე ესე გაჭრილი, აწ მე ვარ მისი მშველები,  
და ფიცხლად მომგვარეთ ჩემს წინა მისი დამწველი, მკვლევლები“.
112. დედ-მამათ არას ეწყინათ ქალისა ნახვა მეფისა;  
— „ვინც ნახოს ჩენი ასული, თვალი ვით ზედ არ ეფისა?“  
სხვას ვისმცა მისცა მნათობი, მასზედ გინმც იიფისა!  
და ცოლად შეირთავს უთუოდ, ქუში ჩანს ვარდთა კრეფისა.
113. სამკაულითა მოაწყევს, მოყავთ იგ პირ-მზე, ნაზები,  
არ დაიშალეს, მოკაზმეს ლეთისაგან მონაკაზმები,  
კუბოსა ჩასვენს, დაფარეს, მას დაუკლიტეს რაზები,  
და გასძიწებოდეს ბაგენი, უკვდავებისა მაზები.
114. პირსა აპხადეს კუბოსა, ღრუბელსა მზემან დარია,  
უზომო რამე სინათლე მათ პირსა ეცა, დარია,  
თქვენს: „ხორციელი არ არის, მით რომ არა ჰყავს დარია“;  
და გაშმაგდეს სრულად მეფითურთ, იქ კქუა არსად არია.
115. უცხოთა რათმე ქცევითა: ვით ალვა მიერხეოდა,  
თქვენს, თუ: „სამოთხის ყვავილო, ალვისა ნორჩო ხეო, და“;  
შავთა წამწამთა მკვრეტელთა ზედ გული დაეხეოდა,  
და მეფე ფიცედა: „არ მოკვდეს, ვინც ამის მოეხვეოდა!“.
116. მას უკუჰხადეს ზეწარი, სინჯვენ—დგას ტახტსა წინაშე,  
— „ამისი სხვათა ქადება“—მეფემ თქვა—, ერთობ ვინაშე,  
ეს ფიცით მივცე მაჯნუნსა, მე ცრემლთა ლაშში ვინაშე,  
და კირნი რად აღეძრა საჩემოდ, საქმენი რად დავიმამე?“

117. იგ გამიჯნურდა უზომოდ, მაგრამ სურვილსა მალევდა,  
 ეფიცა ერთად შეგყრიო, სურვილსა გაეკრძალევდა,  
 თქვის, თუ: „ვინც ამას აკოცებს, უკვდავებასა დალევდა!“  
 და ვერ აქოს მისმან მკებელმან, მეღებეს ლექსთა დალევდა.
118. ჰკითხა მაჯნუნსა: „ეს არის შენი გამჭრელი ველებად?“  
 — მან თქვა: „ეგ არის, მეფეო, მიზეზი ცეცხლთა მწველებად,  
 მაგან გამყარა სოფელსა, მე შემქნა მხეცთა მწოლებად,  
 მიცნობენ—ვიყავ არ ესრე, მაგან დამლია მწველებად“.
119. გულსა სხვა ჰქონდა, ეუბნა სიტყანი საგაზრახენი:  
 „ამისთვის ესრე გახდომა, რა გნახენ, დაკიდრახენი,  
 ტურფაა, მაგრამ არ ესრე, ამბავნი იყვნენ ჩვახენი,  
 და მხეველნი მყვანან უტურფე, აჯობინებენ მნახენი“.
120. გალიმდა ვარდი ყვითელი, მაჯნუნსა გაეცინოდა:  
 „მე ვერ დაგიტომბ, მეფეო; სიტყვით არ დაგეცილო და,  
 თუ ჩემის თვალით შეხედავ, გაშმაგდე უსაკილოდა,  
 და თუ გულიც გქონდეს ტინისა, დაგიდნეს, გაგიცილოდა“!
121. ეტყვის: „თვალს ჰხედავ გიშერსა, ვერ სინჯავ ბუდე კილოსა,  
 წარბს ჰხედავ, მაგრამ ვერ იცნობ იგ უცხო-გვარად ხრილოსა,  
 ვერ აღვირცხავს მართალი, ცუდათ სჭვრეტ ბაგე-კბილოსა,  
 და მაგისთვის ხელქმნა, სიკვდილი, ნუ მეჭვ, რომ მეთაკილოსა“.
122. ველარა უთხრა პასუხი, მეფე ზაკვასა თხზულევდა,  
 გამოიღებდა ბოროტსა, კეთილის კარსა გულევდა,  
 — შეეჭყრიო ამა მიჯნურთა ხვალე—შარბათსა ულევდა,  
 და შევიდა მალვით, არჩევდა, სხვას რასმე განიგულევდა.
123. გაანდო ვისმე მონასა საქმენი ღვთის საწყინენი:  
 „ვით მივსცე ხელსა მთიები იგ ბროლ-ბალახში, მინები!  
 ხვალ შეუშხადენ შარბათნი, წამალნი სასიკვდინენი,  
 და იგ ამით მოვკლა, მზე დამრჩეს, რად მინდა მაზედ კინენი?“
124. გათენდა, იხმეს თავადნი, მათ შექნეს წვეულობანი,  
 შარბათი მოაღებინეს გულისა დასალბობანი,  
 მის უბრალოსა საკვდავად მათ ხელწყვეს მწამლელობანი,  
 და აწ ნახეთ მართლ-მსაჯულისა იგ უთვალღებო ბჭობანი!



125. წამისყოფამან ღეთისამან შეცვალა ჯამთა დგმულობა, თხემსა აღუხდა სიცრუე, გათავდა ფსალმუნთ თქმულობა, მეფე ჩაეარდა ხნარცეშიგან, რომელ მას ექნა თხრულობა, და ვით მან მიუწყო ბოროტი, მიეწყო საწყაულობა.
126. სხვა შარბათი წამლიანი გულსა ეცა დასაწვავად, შეიცვალა ლხინი კირად, შეიღება თეთრი შავად; მას ექიმნი მიეხევიენტს, კარი შეკრეს დასაცავად, და სცანთ, უცილოდ გარდახდების—კაცი იქმსო რასაც ავად!
127. მას მკურნალთა ვერა არგეს, იქმნა სოფლით გაბარგულად, სოფელი და სოფლად მყოფი ჰგვანდა დამწვარ-დადაგულად, მას, განთქმულსა, ცის კიდემდის, ტილოს ჰხევეენ წაგრაგნულად, და დღეს მიწასა მიაწეინეს, გუშინ ტახტს ჯდა ალვა-რგულად.
128. ეს წესაა საწუთროსა დიდსა ზედან, გინა მცირათა. ნაღველი და შეკირვება მაშინდელი ვინმც იტვირთა! იყო გრგვინვა ტირილისა, არ თუ ცემა დაფა-სტვირთა, და გროვა იდგა თმა და წვერთა მიწაზედან დანაკვივთა.
129. ღეთის წყრომა და ფათერაკი ორივე ერთად შეეყარა, ჰქვა მას ჰქვიან, ვინც სოფელსა სიკვდილს წინად გაეყარა! ვის აყრიდენ თვალ-გოვარსა, ნახეთ, მიწა დაეყარა! და მისად ნაცვლად შეილი დაჯდა, ტახტსა ზედან დაემყარა.
130. წაიყვანეს დედ-მამათა შინ ასული, პირ-მზე შვილი, ვინდა მისცემს მისთვის ხელსა, შუქნი ვნახეთ დანადვირი. ყმა ქვეითი ველად მირბის, არ ცხენი ჰყავს, არცა ვირი, და სანუკვარად მდელიო ჰქონდა, ტახტად—მიწა, ხეთა ძირი.
131. სპარსთა ძლივ თქვეს მისნი კირნი, აწ ვით ამბობს ჩემი ენა? თაეზედ ფრინველთ დაებუდა, ბარტყნი მრავლად მოეშენა, სისხლის ცრემლმან გაუწყვეტლად ზაფრანაზედ იწყის დენა, და ვითა გველი მიწაზედან—გორავს, არად მოისვენა.
132. იტყვიან, თუ: გამოუჩინდა მაჰმად მათი მოციქული, იგ ეტყოდან: „ამ სოფელსა წახდა შენი კირნახული, მე შეგყარნე საუკუნოს ორნივე ერთგან ალვა-რგული.“ და ესე მიკვირს: ვითა სჯერან, მით არიან ჰქვა-ნაკლული!



**აძა ძმის შერთვის დაკბიძება ლეილისა დედ-მამათაგან**

133. ქმრისა შერთვას ჰპატიჟობდეს ლეილს მისი მამა-დედა, თქვის: „არ მინდა ეს სოფელი,“—მათ თამამად დაეყბედა, ვინლა ჰკადროს უნებელი, ძალი ვისპცა გაებედა?  
და —ძნელი არის მოჭირვება, კაცს თუ ბედმან არ უბედა.
134. ტიროდის პირმზე ლეილი, ვარდი მუდამად ტენოდა, მაჯუნუნის სიბრალულთა სიცოცხლე მორესწყენოდა, მილეულიყო გავსილი, ველარ მისებრივ შვენოდა,  
და თქვის: „ბნელობს ჩემთვის საწუთრო. ერთხელ არ გამეთენოდა!“
135. „რა დავიბადე, სოფელმან ცეცხლი მომიდვა კიდებით, აწ, ვფიცავ, აღარც მე მინდა—მტერულად წავეკიდებით; საქმე გავგვხდია საბრძოლად, ასე ვართ გარდაკიდებით, და უკულმა ბრუნვა ჩარხისა არ გაიმართვის ჭიდებით.“
136. ვერვინ ნახის წითელ-ყვილით სამკაულით მონასხამი, მხეველნიცა არ დაკაზმის, ხადუშთ ეცვის მონას ხამი, ალვა, ნულლი, შარბათიცა მას ეგონის მონასხამი,  
და ბანოვანი შემგონებლად მათ აწვივეს მონასხამი.
137. მათ უჩივლეს ტირილითა ასულისა ყოფა-ქცევა, თქვის: „მოსძულდა მას საწუთრო, სევდა შიგნით ჩაექცევა, ლამის მოდრკეს ცაი ქვეყნად, ამას რისხვით დაექცევა, და აღარ უნდა ბაღჩას გეშტი, არც ლხინი და არც შექცევა.“
138. შეიყბონეს იგ დიაცნი, იქით-აქეთ უსხდეს ჯარად, ვერ იტევედა იგი არე, ზოგნი ზე დგეს დასაჯარად, ეშულოდეს მას მთვარესა, იგ უბნობდა არ თუ წყნარად,  
და მას სადაფნი დაემალნეს, ძოწნი უდგეს მაგრა კარად.
139. ჰკადრეს: „მზეო, რამცა იყოს აწ სოფლისა შენგან მდურვა, დღე და ღამე გაუწყვეტლად ცრემლსა შიგან რად გაქვს ცურვა? ცუდი ეგე, უსარგებლო: ჭირი, კენესა, სევდა, ურვა;  
და შენ გეძებენ ხელმწიფენი, ყველას შენთვის მოესურვა“.

140. ვით მზე ცისა საწყაროსა, შენ ანათობ არაბედსა,  
მოუკიდებ მჭვრეტთა ცეცხლსა, მონდომებ არ აბედსა,  
რად ემდურვი საწუთროსა, გიჭირს რამე, არა ბედსა?  
და შენ გეტებენ ტახტსა მჯდომნი, რად სდევ მინდურად განარბედსა?
141. „რისთვის გიკვირს, თუ გაჭრილა ერთი ვინმე მარტო ველად?  
ვინცა გიცნობს, ყველა შენთვის მზაა ცეცხლში დასაწველად.  
შენ რას მისდევ კვალთა მისთა?—იგ შემცდარა, იყოს ხელად,  
და აწ ნარგისნი მოციინარ ჰყავ, ცრემლით ნუ იქ ვარდთა სველად!“
142. „ტახტზე დაჯე მოკაზმული, ყოვლი ტურფა მოუშენდეს,  
რად არ გაშლი ჭარდის ბაღსა, გარ გიშერი მოუშენდეს,  
რა ბრალია, დასაზრობლად მუდამ თოვლი მოუშენდეს,  
და კმარა მუდამ სულთქმა, ახი, სხვა ვერ გაძლებს, მას უშენდეს.“
143. ქალსა ესმის მათი სიტყვა, მეღნის ტბანი გარდმოსწვიმდეს,  
იგ ატირდა გულ-მდუღარედ, მწარედ სულთქნა, არ თუ ღიმდეს,  
არ გაალო ძოწმან კარი, მათ პასუხი დაუძვირდეს,  
და ჰკითხეს, ღონე არა ჰქონდა; კირნი უთხრა, რაცა სჭირდეს.
144. თქვა: „მოსულხართ ჩემად ნახვად, შემგონებლად, გულისდებად,  
ბრძანებთ ჩემთვის უმჯობესსა, დედურად, თუ გინდა, დებად,  
დავიბადე დასაწვავად, სრულად ცეცხლთა მოსადებად,  
და მოვიძულო ჩემთვის ხელი—ეგ არ გმართებთ მოსადებად“.
145. „კაცსა დღით რომ მოუკვდება საყვარელი, ან ძმა, შვილი,  
მას სიციოცხლე აღარ უნდა, მოსძულდება ტკბილი სული,  
ყველამ იცით—ჩემთვის მოკვდა, არა სჭირდა სენი, წყლული  
და დატყნა ვარდი მოციინარე, გახმა, მოდრკა ალფა-რგული.“
146. „სხვა მისებრივ არ გაზრდილა, თქვენცა იცით, არსად, არა,  
იგ უებრო ტურკა თავა, სარო ტანი აწ სიდ არა?  
ვირ არ დაძრა, არ მიადგა ჩემი შუქი არსად არა,  
და ხამს ხელკმნილმან მისთვის ხელსა საქმე უყოს აწ სადარა“.
147. „არ ვიკადრო მე სიმუხთლე, ვით წესია დიაკურ, ვით,  
მე ვით მმართებს, სიხარული, იგ არს ცრემლში ღია ცურვია?  
იგ სრულ მოკვდა, რა დიდია, მე თუ ვიყო დიაც ურვია?  
და ამას მეტი ვერა ვეტყვა რა, სიტყვა შვიდ გყო დიაკურვით.“

148. „ჩვენ ვიყვენით შესაფერნი, არვინ მიმცა ჩემთვის ხელსა,  
 არა ვქნა რა საზრახავი, გავეკრძალე ავ სახელსა,  
 იგ შეტლა და მე მოვკვდები, მივეცემი მიწის მონხრელსა,  
 და ყველას დასწვავს ჩვენი ბრალი თქვენც მოგიდებსთ ცეცხლსა  
 ცხელსა.“
149. უნდოდათ, თუ მათ დიაცთა სიტყვით რამე დაეგვარათ,  
 დაემშვიდათ იგი მთვარე, საქმე რამე მოეგვარათ,  
 ვით ჰფერობდა იმა მზესა, მისთვის ჯუფთი მოეგვარათ,  
 და ნოყმე ვინმე საქებარი, ნათესავი მეფეთ გვარათ.
150. წამოვიდეს ბანოვანი ცულ-მაშვრალნი სატყვა-უქმად,  
 არ უსმინა მალ პირმზემან, ვერა ქნეს რა სარჯლის მუქჳად,  
 გაეყარნეს ტირილითა, გულ-ამოსკენით, დანასულთქმად,  
 და დარჩა ვარდი დასაზრობლად ზამთრისაგან დასაბუქმად.

**აკა ზვიდთა ხელგწიფთაგან მოციქულის მოსვლა ლილის  
 სათხოვნელად**

151. ლეილ-მაჯუნის ამბავი გაისმა ოთხსავ ყურებსა,  
 ქება პირმზისა უზომო: ყველას მიესმა ყურებსა,  
 მთვარის შვენება, მზის შუქი ვის მოსწონს, ვინ უყურებსა?  
 და ღმერთს მოუკაზმავს, რას აქნევს სამკაულ-ტყავ-საყურებსა!
152. მისითა მიჯნურობითა მაჯუნის გაჭრა, ხელობა,  
 თხოვნა მის მზისა, ვერ შოვნა, მისთვის დივანა-დელოზა,  
 ლეილის მულამ ტირილი, მელნის ტბით ვარდის სველობა,  
 და დელ-მამათაგან პატივი, მისგან ქმრის შეურთველობა.
153. მოსვლა ამირას ბაღდადით, მაზედ წაგება თავისა,  
 ცოლად მონდომა მთვარისა, მნათობთა შესართავისა,  
 მაჯუნის სიკვდიდ გაწირვა, საქმის ხელყოფა ავისა,  
 და მერმე ანაზღად სიკვდილი, მაზედან ჩაცმა შავისა.
154. ყველამ შეიტყო უკლებლად გარემოს მყოფთა მეფეთა,  
 მის მზისა ცოლად შერთვისა უშმაგო ვინ არ ეფეთა,  
 მოციქულები ამზადეს სურვილით ცრემლთა მჩეფეთა,  
 და ძღვენსა გზავნიან ტურფასა მუნ არმალანად სეფეთა.

155 ლაზა ქალაქს შემოვიდეს შვიდთ მეფეთა მოციქული,  
გაუკვირდათ, ვინცა ნახა იგი მუნით შემოსული,  
წინა კაცნი გააგებეს ბრძენნი ერთობ მონახული,  
და ვერას მიხვდენ ან ვინ იყვნენ, რას საქმეზღდ წამოსული.

156. მეფემან და დიდებულთა მოციქულთა ხმოზა ბრძანეს,  
ლხინითა და ალერსითა იგ დღე ერთად დააღამეს,  
მუტრიბთა და მომღერალთა ტკბილად რამე შეუბანეს,  
და ფეშქაში და მონაწერი, რა გათენდა, შეუტანეს.

**წიგნი ანისარისა ლეილის მამასთან ძალის თხოვნისა**

157. ჰე, მიფეო, მოგივითხავ კეისარი, ვითა შეილსა,  
ჯერ მას ვაქებ, ვინ მოხედვით კლდეს დააღნობს, ვითა ცვილსა!  
წყალობა გვჭირს ეგზომ მისგან, გვიძახიან მისსა ჩრდილსა,  
და ხაძს, თუ ვიყვნეთ მოწყალებით, ვითა გვმართებს მისგან  
ქმნილსა“.

158 ადამ დაკარგა სამოთხე პირველ შექმნილმან მამამან,  
იგ გამოასხნა ედემით ხილის უღროოდ ქამამან,  
„მანდ გამოჩნდა“ო—მოგებერნა ამბავმან ამისთანამან,  
და „მოძეც, შევიდეს ძე ჩემი, არ მოკლას ცრემლთა ბანამან!“

**წიგნი სპარსთა მეფისაგან ლაზა ძალბაძლ ლეილის მამასთან**

159. მშვიდობასა მოგახსენებ სპარსთა მეფე, ვითა ძმასა,  
ლეთისაგან გვაქეს ხელმწიფობა, უმადლებდეთ კარგის ქნასა,  
იგ ვადიდოთ დღე და ღამე, ნუ გავჰყვებით სრულად სმასა,  
და ჩვენ უზემდეთ სამართალსა ბერი იყოს, თუნდა ყმასა.

160. ჩვენ გვესმა: გამოჩენილა მანდ წყარო უკვდავებისა,  
ვინცა სვამს, ნივთი გვამისა—თქვეს—აღარ მოეშლებისა,  
ერთი შეილი მყავს, მას ჯგან მე სული ამომხდებისა,  
და გამომიგზავნე, მას ვასმევ, ბრალია მომიკვდებისა.

**წიგნი შანდააკის მეფისა ლეილის მამასთან ლაზა ძალბაძლ**

161. ლაზას მეფესა მოგიწერ მე მეფე ყანდაარისა,  
მადლი მას ვჰკადროთ ყოველთა, ვინ შემომქმედი არისა,  
მან ზეცით მოგცეს მშვიდობა, ქვეყნად სიმართლით არისა,  
და ბრძანებს: „მიესცემდეთ გლახაკთა, სულისა სახსრად კმარისა“.

162. ქანი ეს არის, აქ იყვის ყანდი, ნაბათი სულაო,  
აწ დაიკარგა ჩემს ქაშში, მე მიძახიან „სულაო“,  
გვესმა, საშაქრე ლერწამი მანდ სადმე ამოსულაო,  
და გამომიგზავნე, ზე დაერგო თვარ ამომივია სულაო.

**წიგნი ბადაჯუანის მეფისა ლაჳა ქალაქს ლეილის მამასთან**

163. შენთან ვიკადრებ, მეფეო, ხელმწიფე ბადაჯუანისა,  
მოწყალე-მოსამართლისა, კარგ-სახელ, კარგ-ნიშანისა,  
შორით მოვეზავნე სალამი შენ ლალისა და ჯანისა,  
და ხამს იგ ვადიდოთ, ვისგან გვაქვს საქურქულე ზარდანშანისა.
164. იცით ბადაჯუანს ყოფილა აქამდის ქანი ლალისა,  
აწყა მანდ გამოჩენილა, ქება მოგვესმა თვალისა,  
იგ უებრობა ფერისა, და უბეყობა წყალისა.  
და მომეც, აქ არის ოსტატი, ხელწმინდად მან გათალისა.

**წიგნი ფრანგთა მეფისა ლაჳა ქალაქად ლეილის მამასთან**

165. ფრანგთ ხელმწიფე მოგახსენებ შენ, მეფეო, მოკითხვასა.  
ქებასა და სიყვარულსა, არა თუმცა გაკიცხვასა,  
მეფენი ვხამთ ღვთის მოშიშნი, რადგან ველით გაკითხვასა,  
და ნურა გვინდა ესამართლო, თვარ ვეწევით გარისხვასა.
166. სრულ იავუნდი აქ იყვის, კლდე სავსე იყვის აქაქით,  
ახლა მანდ გამოჩენილა, ჩხრეკენ, ვერ პოვეს აქაქით,  
აწ გეხვეწები—მიბოძე, გამომიგზავნე აქა ქით,  
და მანდ ვეოვინ გასთლის ოსტატი, რა ნახოთ-თქვენცა აქა ქით.

**წიგნი ბარანის მეფისა ლაჳა ქალაქად ლეილის მამასთან**

167. მოკითხვის წიგნსა ვიკადრებ ხელმწიფე ბარანისა,  
უხვისა, უშურველისა, შენ მეფე თავ-საჩინისა,  
მუდამ გაშოროს უფალმან საქმენი მოსაწყინისა,  
და მეფედ მან დაგხბა, მას ვმონოთ—მოსემ ქადაგა ვინ ისა.
168. თქვენც გასმიათ, აქ გამოვა უკეთესი მარგალიტი,  
ველარ ვპოვეთ, სადაფისა პირნი ვნახეთ დანაკლიტი,  
მანდ პოვნილა უსასყიდლო—„განცვიფრდესო შენამქვერტი“  
და აქ გვიბოძეთ, ღია სჯობსო გაუხვრეტელს განამხვრეტი.

წიგნი მალრიბის მეფისაგან ლაზა ქალაქად ლეილის მამასთან

169. მეფე მალრიბთა ვიკადრებ შორით მოკითხვა-სალამსა, კარგის კაცისა შესწავლა ჰგავს წყლულისათვის მალამსა, ვით მიყვარ—სრულად დაწერა არ შეუძლიან კალამსა, და ხამს მას უძრწოდეთ, რომელი მოგვცემს ტახტ-გვირგვინ-ალამსა.
170. მგონი გასმიათ, მეფეო, მე მაქვს ოქროსა ქანები, აწ ვერა ჰპოვეს ოსტატთა, გაუტყდა წერაქვ-დანები; თქვენს სამეფოსა პოვნილა ბრწყინვალე ფერ-კამკამები, და გვიბოძეთ დაეხალასოთ მანდით აქ მონატანები.
171. რა მეფემან წაიკიოხა რაც ხელმწიფეთ მოეწერა, ვაზირთ ჰკითხა; ვერას მიხედენ—ამ საქმემან დააშტერა; ყველამ თავი ჩამოაგლო, მათ დაუწყო გულმან ძგერა, და მათ ვერა ცნეს; მეფე მიხვდა, იგი ბრძანებს, სხვანი ჯერა.
172. ბრძანა: „შევიტყვე უკლებლად ძალი სიტყვათა თქმულისა, ხელმწიფეთგან იგავით თხოვნა მის ალვა-რგულისა, მთვარისა გავსებულისა, მაგრამ აწ მილეულისა, და მე თვით წავიდე, უამბო სხვამ არამც გაავულისა“.
173. ესე თქვა, ადგა, წავიდა, მან სრისა კარსა მიჰმართა, ნახევდა თვალად ტურფასა, უწყვეტლად ცრემლთა მდინართა. მათ იავუნდთა ბაგეთა პირ-შეკვრით, არ თუ მლიმართა, და წინ დაუყარა წიგნები; ბროლ-ლალთა მინა ვინ ართა?
174. მიიჩნია იგ ამბავი, გაიკვირა არად რამე, თქვა: „წავსულვარ სოფლისაგან, მერგებისო არად რა მე, საწუთროსა დიდებანი ჩალად მიჩნსო, გავადრამე“. და საქმეს პირველ შეეტყობის, მოხდებისო ავად რამე.
175. მეფე ყელსა მოეხვია მას მთიებსა ნათლის სვეტსა, ტირილითა ეხვეწების, ცრემლსა ღვრიდა მეტის-მეტსა: „ნუ მყოფ სულთა უიმედოდ, შვალო, შენსა შენამჰკერეტსა, და შენგან კიდე არა მყავ რა, მით ვჰგავ სანთელ-დასაშრეტსა.“
176. „შენ შეირთე ამათგანი, რომელიცა სჯობდეს ქმარად, მოვიყვანო იგ ზედ-სიძედ, ჩემთვის შეილად მოსახმარად, გავაფრინოთ კაცი ხმობად იგ სასწრაფოდ, ვითა ქარად, და თვარ დამმარხე მე ცოცხალი, მიწას მიმეც მისაბარად.“

177. ქალწან სიტყვა შეუქცია—ჰგვანდა პირად შენადებსა:  
„ჰე, მამო, რად ვერ მხელავ გულში ლახვარ შენადებსა?  
ბელი შავად შემღებია, ინას მადებ—შენ ადებ სა?  
და ეგ, ვინც ბრძანე, მე ძმად მიჩანს, აქ უძებნი შენა დებსა!“
178. „გამიშვია ჩემი კერძი სოფელი და სოფლის შვება,  
ნუ მიბრძანებ ესეგვარსა, თვარემ ცეცხლი მომედება,  
თუ გინდოდა ჩემთვის კარგი, სჯობდა სხვა—რამ გაგებდა,  
და ჩემი ბრალი დედ-მამათა ორსავე ყელთა დაგედება.“
179. მეფე ადგა, სასხლის ცრემლი უღებავდა თეთრსა წვერთა,  
იგ შესჩივის დიდებულთა, ხახეთ კმუნვა აწ იმ ერთა!  
გვანდა გულ-ღვიძლ დაკოდლისა, დანაცემსა დანის წვერთა,  
და იგ არჩევდეს მეფეთათვის პასუხისა მინაწერთა.

**წიგნი ლეილის მამისაგან ზვიჯთა მფხეთა თანა პასუხად  
მინაწერი**

180. — „მოგეკითხეთ ხელმწიფეთა უხუცესთა თქვენი მრწემი,  
ჩვენ უღირსთა საქმელად სიტყვა გეთქვათ დია ბრძენი,  
ტახტსა ზედან დამყარებით ღმერთმან მოგცესთ დღეთ სიგრძენი,  
და ბედმან კრულმან სიბერის ჟამს მე გამხადა ცრემლთა მღენი.“
181. „თქვენც გასმიათ, მე ქალი მყავს, არეინ მივის მისგან კიდე,  
ეგ ზომ ტურფა—მისმან მქვერტმან. მზე და მთვარე გავაფლიდე,  
მე არ ვღირსვარ მძახლობასა თქვენსა, ღმერთო, ვინატრიდე,  
და უკეთესი სად იმეშოვნა—მე დამეგლო კიდის-კიდე?“
182. „თქვენ გეთხოვანთ—არ თუ ცოლად, მხეველადაც არა მშურდა,  
სატყვეოდაც, დია ღმერთო, ტახტ-საჯდომლად არა თუმდა,  
მოიძულა მან სოფელი, სულთა დგმაცა აღარ უნდა,  
და დამეკარგა სვე და ბედი, ეტლთა ბრუნვა გამიმრულდა“.
183. გაისტუმრეს მოციქულნი, სიტყვა ტკბილი შეეთელეების,  
ჩუქება და მეფედ ძღვენი ორივე ერთად დაეთელეების;  
ვით წესია საწუთროსა—ლხინი ქირად შეეცვლების,  
და თრთვილნი მოვლენ დასაზრობლად, გაზაფხული გაესთვლების.

აქა სიკვდილი ლილისა გაუხარებლად

184. გამოვიდა ხანი რაზე, წელიწადი, გინა. თვებ და,  
ბედი კრული დასაწვავად მათთვის ცეცხლსა აანთებდა;  
აწ გამტვერდეს მიწაშიგან, ვინ ხმელეთსა ანათებდა,  
და საქმე უყო მათ სოფელმან, მის სიმუხთლეს რაც მართებდა.
185. ძილად იწვა ტახტსა ზედან ბროლის კოშკსა შიგან ბროლი,  
გლახ, მშობელნი გვერდთა უწვა ზედ დამორთოლი, დანამკრკოლი;  
შეკრთა, ნახა მან სიზმარი, იქმნა მისგან დანაბრკოლი,  
და აწ დაშრტების იგ სანთელი, სიკვდილისგან დანაქროლი.
186. დედა ეტყვის: „შვილო, რა გკირს, რამ შეგაკრთო, რა გეზმანა?“  
ქალი დაბნდა, გარდაიქცა, მას დაესვა გულსა დანა,  
მას ასხემდენ ვარდის წყალსა, უნდათ სულად მოეყვანა,  
და ყაყაჩო და არღვანი, ძოწი ქარვას დაეგვანა.
187. მობრუნდა, სულად მოვიდა, მაგრამ საბრალოდ კენესოდა,  
ვინცა უჭვრეტდა, ტიროდა, გულს ცეცხლი დაეკვესოდა,  
თქვა, თუ: „მე წარვალ, ჩემებრი ვნახო, ვინ დაეთესოდა,  
და მოდი, სიკვდილო, აწ ჩემთვის სიცოცხლის უკეთესო და!“
188. თქვა: „სიზმრად ვნახენ მაჯნუნი, იგ სულთ ამოსვლად მდებარე  
მან სიტყვა მითხრა საბრალო, გულს ცეცხლი მოსადებარე:  
«შენცა წამოდი ჩემთანა, ნახე, რომ მივალ მე, ბარე!»  
და — აწ შეცა მივალ მიწასა, მომზადენ ჩემთვის მებარე“.
189. დაიწყო ლევა დღივ და ღამ, მთვარე გაესილი ცბრებოდა;  
მკურნალნი შეკრბეს, სწამლობდენ, მაგრამ მას არა რგებოდა.  
შეიჭირებდენ არაბნი, ყველა მუნ შემოკრფებოდა,  
და შავთა მშობელთა თვალთაგან მთიები გაუქრებოდა.
190. აწ ამას იქით ანბადი თქმად ეძნელების ენასა,  
მოუცავს, ვითა წყვიდიადსა, გული ურვისა წყენასა,  
შელონებულა ეგზომსა თვალი ცრემლისა დენასა,  
და პირა შეკრული სათქმელად, ყურნი გაექცნეს სმენასა.
191. ვა, მოკვდა პირ-მზე ლეილი, სოფლისა შეწიერება,  
თვალნი დაბნელდეს მელნისა, ვინ გიჟერს მიეფერება,  
შავნი წამწაწნი მჭვრეტელთა გულს ველარ დაეძვრება,  
და წარბისა ტვერი ბროლზედან ორივ, გლახ, მოეჭვრება.



192. ელვა, სხინი და ციმციმნი, შუქისა მოვანებანი,  
მისნი სანდომნი ჰაერნი, ლაწვისა ფეროვნებანი,  
ბაგისა ტურფა ღიმილი, შიგ მარგალიტთა კრებანი,  
და ხმა დაღუმდების ნარნარი, სიტყვა ტკბილ, ვითა ებანი.
193. რა ბრალია წასახდენლად თმა გიშერი, შავნი, ხშირად!  
ამბარ-ზილფი დაფანჩული, მიგრეხილი მოგრეხილად.  
იგ უებრო დახატული. ცხვირი სოთი ბროლის სტვირად,  
და ფერად პირი ზამბახისა, შავი ხალი ზე დაყრილად.
194. ყელი, ვით სვეტი ბროლისა, გარ თმით მოხვევით გროება,  
ძუძუ და მკერდი — ქალაღდი, ხორცი — ვით ფიფქი თოება,  
საწუთროს მანათობელი სოფელსა დაჯთხოება,  
და ქვეყნად არ იყო მისთანა, იგ ზეცად თუ იშოება!
195. თითნი, ვით თეთრი სანთელი, გულზუნდან დაეკრიფოდა;  
დაკჭნა სამოთხის ყვაელი, ვერვისგან მოეკრიფოდა;  
წმიდად წავიდა, უმანკოდ, შოვნად ვის ხელეწიფოდა?!  
და თუ კი დასწვევდა მშობელთა, ნეტაძც არ მოეწიფოდა!
196. ალვისა ნორჩი, უნუჟრო დაეცა, გარდიქცოდა,  
ეგრე ნახად და უსულით სხვა მისებრ ვინ იქცოდა?  
ვა, წალკოტს მისი გეშტი და ბაღჩას რომ მიერხეოდა!  
და აწ ნახეთ მისთვის არაბეთს, რა ცრემლი დაითხეოდა!
197. რა მშობელთა შვილი ნახეს სულთ ამოსვლა, თვალ-დახურვით,  
თქვეს: „დავიცეთ გულსა დანა, ცეცხლსა, კლდესა მივაშურვით,  
ჩვენ დაგვექცა ცა-ქვეყანა, ვით გაუძლოთ ცრემლსა წურვით,  
და ვის არ უმძიმს საქმე იგი, ვინ არ იყო მისთვის ურვით?“
198. დედა პირზე დაეკონა, ვერ აპხლიჩეს დაბნედილი,  
მამა ფერხთა ეხვეოდა, იგ საბრალოდ გაგლეჯილი:  
— „რად დაგვეყარნე სიბერის ჟამს, შვილო, სანთელ დაშრეტილი?!“  
და შეყრილიყო ყოვლი სული, მოსდიოდა ცრემლთა მილი.
199. მობრუნდა, თქვა: „ჯერეთ, შვილო, ვინ სიკვდილი, ვინა შენ და?!  
მიწისაგან სრულა ნათლად აგრე ტურფა ვინ აწენდა?!  
სრულ ციერთა დაბინდებად შენგან კიდე ვინა შენდა?!“  
და არ გაუშვეს ცეცხლში შეჭრად, თავსა ქვითა მინაშენდა.

200. პირს აპხადა, მათ უჩვენა. შუქნი მზისა დავსით-შრეტად,  
ყველა დაწვა სიბრალულმან, იგ ტიროდეს მეტის-მეტად;  
— „ვის გინახავსთ ამისებრი, სრულად ნახეთ, მოდით ქვერეტად,  
და აწ ჩაგვეკოლეთ დედ-მამანი, ქვა დაგვეკრიბეთ თავსა კეტად!“
201. საწუთროს მანათობელად მოსთქმიდა სოფლის მზეობით,  
სამოთხის ნერგად ნოჩისა, ტან-ალვა, სარო ხეობით;  
— „ვის რა ჰყოლია შენთანა ან პირველ, ან დღეს-დღეობით,  
და ვინ და რას გვარგებს საწყაალთა, ჩვენ შევილად ანუ ძეობით!“
202. „ათასის ჭირით გაგზარდე სათუთად, ალვა-ზრდილობით,  
ყელი და ყური—მთიები, პირი—მნათობი ქვირობით,  
ზედ-სალოცავად მიმანდი, არ თუ გიქვერეტდი შევილობით,  
და მიხვალ, დაშვენდეს სამოთხე, ახლა აყვავდეს შლილობით.“
203. „შენ სურნელი მუშკ-ხათაი, თუმბუთური მონაბერი,  
ვით ჩაგავდო მიწაშიგან ბროლ-ლალ-მინა-ძოწ-გიშერი!  
გაგიკუდებს პირსა-მზესა, დაგვეყრების მიწა-მტვერი,  
და დაგილპების მრავალკეცი თმა-სუმბული ამბრის ფერი.“
204. ესე თქვა და მოეხვია, დაბნედილი დაეცა და,  
არგინ მისცა, თეარ ზნდოდა, გულსა დანა დაეცა და,  
განგებითა აღარ მოკვდა, თვით სიკვდილსა დაეცადა,  
და მას სიცოცხლე აღარ უნდა, სოფლის საქმე დაეცადა.
205. მეფემან ტახტი, გვირგვინი, დროშა, ნალარა, ქოსებით—  
მოაღებინა ყოველი;—თქვა: „ჭირნი მაქვსო ოცებით,  
ჩვენ რალას ვაქნევთ აწ ერთსა, უძეოდ დავიხოცებით.“  
და ციცილშიგან დაწვა, შეყარა, თვითან ზის ფლას-შემოსებით.
206. თმა აღპარსულმან ნაცარი თავს დაიყარა პეშვებით:  
— „თავსა მოვიკლავ უთუოდ, თუ მიშლით, არ მომეშვებით!“;  
ორმოსა ჩაჯდა, იტყოდა: „მზეს აღარ ვნახავ მე შვეებით,  
და იგ არ დამარხოთ უჩემოდ—მე მოვექცევი ქვეშებით!“
207. არგინ აკლდა, მუნ არ იყო—ბაღდადამდის ლაზა, ბასრა,  
იყო გრგვინვა ტირილისა, პირი სისხლით გაებასრა,  
მათ უნდოდა დასაცემლად გულს ლახვარი, ხმალი ბასრა,  
და სხვა რა ექნა მუნა მყოფთა, თვარ ჭირითა დაებას რა?

208. კუბო შეუკრეს მზს მზესა, საკაცე—სანდალ-უდისა,  
არ გიკვირს მისი სურნელი, გლახ სული აღაო უდისა?  
კვილისა და მოთქმისა ხმა სახლით გამოუდისა,  
და იყო ზარი და ქვითინი, არ თუ კვრა ჩასტა-უდისა.
209. სამარის თავი—გუმბაზი შეუმკეს ოქრო-თვალეებით,  
ვინც ხედავს—იწვის—მას მზესა მიწასა მიმავალეებით:  
— „რად გვინდა ყოფნა სოფელსა, რად არა დავიმალეებით?  
და ლხინსა მოგვცემს და წაგვართმევს, ვით ნასესხებსა ვალეებით!“
210. იგი უებრო მნათობი გამოაქვსთ სამარებასა,  
უკან მოსდევნ დედ-მამა, ვა მათ მგზავრობა-რებასა!  
ენა ვერ ამბობს უკლებლად მათსავაება-ტყებასა,  
და იხეწებიან სიკვდილსა, დაქოლვა, ქვა-დაკრებასა.
211. ციერნი ხედვენ. იგლოვენ, მზემან ჩაიცვა შავები:  
— „რად არ გეწყალების სამიწოდ,—თქვეს—რა უც დანაშავება“  
ხელთ გამოგლიჯეს, მშობელთა ჰქონდათ უი და ვაები,  
და დაფარეს იგი მნათობი მიწით გარ-მონაცავეები.
212. დავვარდი სოფლის საგმობლად, დაგუწყებ სამღურავეებსა,  
მისვან ნაქმარსა ჩვენზედა ვინ იცის, ვიტყვი რაებსა,  
არ შეგვიწყალებს საკვდავად, ვით დასაკვდავად კრავეებსა,  
და ბროლ-ვარდსა, მინას—ქარვად და ლალსა გვიდარებს სრაებსა..
213. ფუ მას, რომელი მიენდოს, ან გულით დაეზავების,  
ტახტედან მჯდომი ანაზდად მოკვდების, გაეტყავების,  
მარცხნით წავა, თუ მარჯვენით; თიკანია თუ კრავების,  
და ოხრად დარჩების დიდება, სახლი, სამყოფი სრავების.
214. ჯერ დაბადებს უებროსა, ტურფად რამე მონაშენსა,  
მოასურვებს ყოვლსა მისთვის, მას უჩვენებს მონაშენსა,  
იგ ანაზდად გაუტუდებს, მით ჰყოფს ლახვარ-მონაშენსა,  
და არ გაარჩევს მცირე-დიდსა, უფალსა, თუ მონა შენსა.
215. პირველ სიტყვაზე მოვიდეთ, თუცა არ სმენად ამებდა,  
არვის გაუშვებს სოფელი, ბოლოს არ დაუშხამებდა.  
საფლავზე დადგენ მშობელნი, სანთელს უნთებენ შამებ და,  
და თქვეს: „შიგვეფარა ნათელი, ჩვენი დღე მისთვის ლამებდა.“

ლეილას დაღისაგან მაჯუნის გამშლანება ლეილის სიკვდილისა

216. მოაღებინა ქალისა პერანგი, თავსაბურავი,  
ეკონებოდა საწყალი, სისხლის ცრემლშიგან მცურავი,  
თქვა: „ღმერთო, სიცოცხლისათვის ვარ ერთობ შენი მღერავი,  
და შენთვის გინდოდა—წამართვი იგი მზე შესაშურავი.“
217. მხარა გარდიკიდა, წაიღო თავ-მოხდით, ფეხ-შიშველამან,  
თქვა: „წავალ, დავწო. მაჯუნნი ცეცხლითა დასაწყელამან,  
მისმან მიზეზმან მომიკლა, ესე მანც იცის ხელაშან,  
და ეგების მხეტთა შეჭამონ, ლომ-ვეფთხთა, ტურთა, მეღამან!“
218. რა მაჯუნმან დედოფალი ნახა მისკენ მიმავალი,  
მას მხვეალნი ხელს ეკიდნეს, ხადუმნი ჰყვა წინ მავალი,  
გაუკვირდა, ვგრე ნახა, მოეგება განამკრთალი,  
და ჰკითხედა, თუ: „რა მოხდა“—ო გაოცებით იგ საწყალი:
219. ეტყოდა: „ჩემი ლეილი მოკვდა, სამოთხეს წავიდა,  
შენმან სევდამან მომიკლა, დღე მოუვიდა შავი და,  
იგი ბწყინვალე ეთერი ველარა ნათობს, ჩავიდა,  
და ბერი საწყალი მშობელი დამაგლო დასაწვავი და.“
220. რა მაჯუნმან ეს ამბავი მოისმინა დია ძნელად,  
ვით ჰმართებდა, გულსა ცეცხლი მას მოედვა არ თუ ნელად,  
დაბნდა, იქმნა, ვითა მკვდარი, სული უნდა წასაგვრელად,  
და თქვა: „წავიდე, ჩეც მუნ მოვკვდე, ვისთვის და ვარ ხელი ველოდ?“
221. გამოულო მას პერანგი, დაეკონა, სულთ ებრძოდა,  
ვით ფურცელი ქარისაგან, თავ-ბოლომდი თრთოდა, კრკოდა;  
მე ვერა ვთქვა ნათალი, თუ რა ჰირნი დეერთოდა;  
და მიისწრაფა საფლავხედან, სული უნდა მიერთო და.
222. მიიწინეს სამარხოსა, ტირან, ყვირან, არ თუ მღერდეს,  
ზუნ შემოგრბეს სრულ არაბნი, ტიროდეს და ხელს უჭერდეს,  
სისხლის ცრემლი ქვაზე წართოდეს, მათსა ჰირსა დაუწერდეს,  
და კუბოზედან ეხვეოდეს, თავს აწყვეტდეს, ზედ უძგერდეს.
223. მოთქვა მაჯუნმან ლეილი, სალაპარაკოდ ავარდა,  
მის საბრალოსა სისაწყლე ენამ ვერა თქვა, დავარდა,  
—„მზეო, ჩასულხარ მიწასა, არ გიკვირს მე სადა ვარ და,  
და რასთვის დააგდე უშენოდ, ვინც შენთვის ველად გავარდა?“

- 224 მეტ იყავ ყოვლთა სულდგმულთა, მეც მისთვის მეტად ვხელობდი, ტახტზედან იჯე შეენებით, მე მაშინც ცეცხლში ვმწველობდი, მხეცთანა ვიყავ გაჭრილი, სისხლის ცრემლითა ვსველობდი.  
და რად არ შემეჩამეს ლომ-ვეფხთა, თურმე ამ დღესა ველოდი!“
225. „ჩემსა ხელშეწეულსა, ყოველთა იცით, რომ მზე ვერ უდარდა: ოთხ ყურეს კიდით-კიდემდის იგ უნათლებდა, უდარდა; მისთვის გავიქერ, ფრინველნი თავზედან დამიბუდარდა, და მასუკან დავრჩი ცოცხალი, გლახ, იგი გამისუდარდა.“
226. „რად არ გამგზავნე სამოთხეს შენს უწინ მახარობელად? მეთქვა თუ: «მოვა ლეილი აქ თქვენად შემამკობელად, თქვენ დაგაშვენოს, აქამდი იქ იყო მანათობელად».  
და სამახარებლო მეშოენა ამა ამბისა მზობელად.“
227. საფლავზედან მოეხვია, ამის მეტი არა თქო და, მასუკანით მას სიცოცხლე არ უნდოდა, არ ემზოდა.  
აქ გათავდა მისი საქმე, ნახეთ, სული აღმოჰქროდა,  
და უკვირთ, მკვდარი ვერ გაჰყარეს, კუბოზედან შემოჰქროდა.
228. თქვეს: „თუ ეს ამას გავჰყაროთ, ცოდვა მოგვხდების, ბრალეები! გვერც მოუწვინეს იგ მისგან დამწვარი, დანავალები, ვაი, რა ავს დროს შეჰყარეს იგ ტურფა სიძე-რძალეები!  
და გამტყვრდა მინა, ვარდი და ნარგისნი მოცინარები.“

#### წიგნი ლეილის მავნებას ბაღდადს ხაფიზასთან მინაწერი.

229. წიგნი დაწერეს მწუხარე, კალამ-ქალაღი ცენესოდა:  
— „ხალიფა იეფე, მორქმულო, კეისრის უდიდესო და, ზეგარდმო ცეცხლი რისხვისა აწ ჩვენთვის დაიკვესოდა,  
და დასრულდა ჩენი ნაყოფი, აღარა დაითესოდა.“
230. „ვაჟი არა გვყვა, ქალი გვყვა—გასმოდო:—პირად მზიანი, ტურფა, კეკლუცთა ხელმწიფე, ტან-სარო, ალვის ხიანი, სოფელმან მოგვცა მუხთალმან სარგებლის ნაცვლად ზიანი,  
და ღმერთსა მოვძულდით: მოგვიკვდა, ბედი დავკარგეთ სვიანი.“
231. „არ ვლირსვართ, მაგრამ ჩვენ ვართო თქვენი თვისნი და ტომები, ჩვენზედ ყავ სიბრალულითა გულრ მოწყალედ მქონები, აღარად გვინდა სამეფო, საქურქლე, მხეველ-მონები,  
და თქვენ გვერობს, დრო არს, შეფეო, ქალაქს თუ ეპატრონები.“

232. კაცნი მივიდეს სასწრაფოდ, არ გზაში ყოვნას ნელობდეს;  
 შეიჭირებდეს ვეზირნი, გამქლავნებასა ძნელობდეს;  
 — „ამირას ცეცხლი მიფესა—თქვეს—ჯერეც არ მონელობდეს.“  
 და ვერც უთქმელობა გააწყვეს, ცურცვლიდეს რასმე, მელობდეს.“
233. გათენდა, წიგნი მიართვეს, ამბაიცი გაიგონა მან,  
 ტახტით გარდიჭრა, გვიოგვინი გატყორცა, გააგორა მან,  
 იგლეჯდა თეართა თმა-წვერთს, ივ დააყენა გორა მან,  
 და „ეგრე უყამოდ სიკვდილი—თქვა—ნეტარ, გააგო რამან?“
234. ძმის-წულად მოთქვა, ასულად, ტკბილად, საყვარლად, შეილობით,  
 თქვა: „არ მენახე, მთვარეო, გიტყოდენ მზისა ცილობით,  
 ყოვლი შეენება, სიკეთე შენ მოგხდომოდა წილობით,  
 და აწ განახენ ბერმან ბიძამან, ვა, მზეო, შუქ-დავისილობით.“
235. ბრძანა: „წავიდე პასრას და ლაზა ქალკასაც ვირები,  
 შეილი ვიტყრო, ძმის-წული—თავსა მაც ორი ჭირები.  
 ბერი ხელმწიფე დავვარდი მე შათგან დაუტირები!“  
 და ხმა იყო მწუხარებისა, არ თუ ნაღარა, სტვირები.
236. გაემართა ივ ხელმწიფე, პასრას მივა არ თუ მღერით,  
 სიფლისაგან საჩივარი სჭირდა რამე, არ თუ მტერით,  
 ივ სანაცვლოდ გვირგვინისა თავი ჰჭონდა ნაცარ-მტვერით,  
 და გულსა უნდა გასაცემლად მას ლახვარი დასაძგერით.
237. მეფე გარდიჭრა, შეილისა მოეხვეოდა კუბოსა,  
 აყრიდა თეთრსა თმა-წვერთა, ზედ ცრემლი დაეგუბოსა,  
 თუმცა ეშოვნა ლახვარი, დაეხეოდა შუბოსა,  
 და „შეილო, დაბმულხარ სიფლისა თათერაკისა ჩუბოსა.“
238. მოთქვნა საწყალნი სიტყვანი, მსმენელთა აადულეზდა,  
 ღვარი სისხლისა ცრემლისა დაწვსა და მკერდსა უღებდა,  
 მეტი სულთქმა და ვაება მას გულსა გარდაუღებდა,  
 და მისთვის გასცემდა გლახაკზედ, საკურჭლის კარსა უღებდა.
239. „დღეს განახე, შეილო, საფლავსა, გუშინ ტახტზედა მჯდომო და,  
 მჯობო ყოველთა ქაბუკთა, მებრძოლთა, გმირო, ლომო და,  
 მშვილდოსან-მობურთალობით კისკასად ვეფხებერ მტომო და,  
 და უხვო, ჯომარდო შეენებით, ვით მზეო შუქთა მკრთომო და.“

240. მოიყვანა შვილი-შვილი, დალოცა და ტებილად წვართა:  
— „ნურა გინდა უსამართლო, ნუ აჰყვები სოფლის ქართა!“  
ყოფილ საქმე გაარიგა, თვითონ ლაზას გაემართა,  
და თქვა: „მეცა ვცან, რაცა საქმე ლეილ-მაჯუნს დაემართა!“
241. ხალიფას მისვლა შეიგნეს, ყველა წინ მოეგებოდა,  
შეღებულ იყვნენ შავითა, მათ გულსა ცეცხლი გზებოდა,  
ქალაქსა შავი ემოსა, ციხეს არ აეხდებოდა,  
და ლეილს გვერც უსხდენ მშობელნი, ქვეშ მიწა-მტვერი ჰგებოდა.
242. მეფე შვილობით ტიროდა სამარხო-სამაროსა და,  
ფერხს მოეხვია ძმისწული, თქვის: „მომკალ ამა დროსა და!“  
იგ უჩვენებდეს წაქცევით ალვისა ნორჩსა ზროსა და,  
და ვარდსა უფრჩენელსა, უდროოდ დამჰკნარსა, დანაზროსა და.
243. მისთვის დაეწვა მას გული, დაეკრა დაეხეოდა,  
იტყვის: „ტურფათა უტურფევე, ვით მოგთქვა, მზეთა-მზეო და,  
მნათობთა უბრწყინვალესო, ციერთ უმაღლევ, ზეო და,  
და სამოთხის ვარდო ყვავილო, ედემს დარგულო ხეო და!“
244. მომძულდა ტახტი, გვირგვინი შენისა სიბრალულითა,  
ვით დაგივიწყონ მშობელთა გულითა დადაგულითა?  
ვის რა უნახავს შენთანა მოსული, ან წასულითა?  
და ხმელეთს დარობდი აქამდი, აწ ედემს ნათობ სულითა.“
245. რა გამოვიდა საფლავით უზომოდ ნამტირალევ და,  
მკვდართათვის ვასცა მრავილი, საქურჭლეს დაცლით დალევდა,  
ცოცხალთა ნუგეშინი სცა, მათ ერთობ შეიბრალევდა,  
და არ გარდისხდა ნადიმი, არცა ღვინითა მთვრალეზდა.
246. მეს მიაბარეს სამეფო, ქალაქსაც მიათვლიდესა,  
თქვეს: „ალარ გვინდა სოფელი!“ — ტიროდეს, ცრემლსა ღვრიდესა,  
მათისა სიბრალულითა ხალიფას ცეცხლი სწვიდესა,  
და მათი განძი და საქურჭლე გაზიდეს, აიკიდესა.
247. ერთი ვეზირი დაადგო ბრძენი, მისანდო გულისა,  
თქვა, თუ: „მსახურე მეფესა, არამც ვინ გააგულისა,  
მათს უნებურსა ნურას იქ, თვარ აბეზარ გყო სულისა,  
და სრულად აგწყვიტო, შეცვლა ქნა ჩემისა დავედრულისა!“

248. ბრძანა: „მოასხოთ მხატვარნი ლეილ-მაჯუნის მნახავი,  
მათ უებროთა მგზავსებით ხელ-წმინდად გამომსახავი!“  
— მიარჯევს, ნახა, განცვიფრდა, ტიროდა სულთქმით ახავი;  
და ბაღდადს წავიდა, წაიღო, მივა სოფლისა მძრახავი.
249. მიერ ჟამითგან გაისმა სპარსეთს ამბავი მათიო,  
შეამკეს მოზაირეთა იგ ბროლ-ვარდ-მინა-სათიო,  
დაკარგა კრულმან სოფელმან იგი მზის მგზავსი მნათიო,  
და სულს უჯობს ამა ლაყაფსა ვილოცო, ღამე ვათიო.
250. უწყის ღმერთმან ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთავან მომესმინა,  
ვაქეძოწი, მარგალიტი, გაურბევ ბროლსა მინა,  
ვინ მოკიცხა სარო ნორჩი, ედგმს ალვა ვამიჩინა,  
და მეზინიან უგუნურთა, ვა, თუ სიბრძნე წამიხდინა.
251. იგ პირველ და უსაბამო განგებით დასაბამობდი,  
ჩვენ უკვდავება შეგვმოსე, შენ ჩენის ხორციტ გვამობდი,  
ქვე კაცად იხილვებობდი, ზე ნათლად...და უღამობდი,  
და ოდეს მოხვიდე განკითხვად, ჩემთვის ნუ შემრისხანობდი.
- ღმილის სიკვდილის უკან დედ-მამათავან სიყმარში  
ღმილისა და მამუნის სამოთხეში ნახვა**
252. ლეილის შავთა მშობელთა სიზმარი ნახეს მწოლეთა,  
ზე ნაცარ-მტვერზე მგორეთა, არ თუ ტურფათა მოლეთა,  
სისხლის ცრემლისა ტბაზიგან მუდამ ცურევდა გოლეთა,  
და გამოიღვიძეს საწყალთა თავით ფერხამდე მორთოლეთა.
253. მათ ნახეს უცხო საუკოფი ქებად შეუძლო ენათა,  
მზისაგან უმცხინვარესად იგ არე რამე ენათა,  
არი რამ მგზავსი მთვარეთა, გვანდა რამ საქმე ზენათა,  
და ფშვა რამე სულწლეებისა საყნოსლად მონაბერათა.
254. წალკოტთა უმშვენვარესი ბალთ უტურფესი ბაღება,  
ყვავილთა ალვად ბიბინი, ფერად-ფერადად დაღება,  
ზარხოზად წახრა-მოდრეკა; სანდომად თავთა დაღება,  
და ზედა ფრინველთა ამოხმა უწყვეტლად, არ სულ დაღება.
255. გარემოს ზღუდედ გათლილი მართლად ზურმუხტი კლებული,  
კარნი ოთხს ალაგს ოქროსი, შიგან სხდეს თვალნი ქებული,  
ხე მართლა იავუნდისა, ძირ-აღმა თავ-კიდებული,  
და შტოზედან ესხა ხშირ-ხშირად ლალ-მარგალიტი კრებული.



256. კოშკები ტურთად მაღალი სრულად აღმასით შენოდა,  
 თუ არის ცული სახლები, იგ ნუ გგონია შენ ოდა!  
 წვერზედ სხდეს ფარშავანგები უფრთხვენლად, არ თუ შენოდა,  
 და მათი ნათქვამი ეს არი, მე ვით გარწმუნო შენო და.
257. ფარშავანგზედ სხდეს მუნ მყოფნი ყოველნი ცხონებულები,  
 ფრინვით სვრნობდენ ხე-და-ხე, ვის ვისთან სთქმოდეს გულები;  
 ტანნი სპეტაკით მოსილნი თავზედან ნათელ დგმულები,  
 და როგორც ქადაგა ეს მართლა, ისემც უცხონდა სულები!!
258. საკმელად ხორცი შემწვარნი მუნ მსხდომთა ფრინველისანი,  
 ხილნი ტკილნი და ტურფანი მგზავსნი მის ადგილისანი,  
 ჯამ-ტაბაკები ნათლისა, ხისაგან არ ნათლისანი.  
 და კიდევცა ჰფერობს სამოთხეს—ამას არ უნდა მისანი.
259. წინ მოერთმოდეს საქმელი, ოდეს ვის მოემშეოდეს,  
 იგ ოფლად გამოუვიდის, მუშკთა ამბარი რეოდეს,  
 ძვალმან ფრთა-ხორცი შეისხის, გამთელდეს, რაც რომ ზეოდეს,  
 და ფრინვით კვლავ ზედან შესხდიან, იგ საცა იყვის ხე ოდეს.
260. უთქვამს. თუ: „ოთხი მდინარე მას ადგილს გამოდიანთ,  
 მოუკლებელად, უწყვეტლად ჩქარა, არ თურე გვიანო,  
 წყალი რძე, თაფლი და ღვინო, რომელსა ქავსარ ჰქვიანო,  
 და რომელსა უნდეს მათგანი, მუნ მყოფთა იგი სვიანო.
261. ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა:  
 ქალნი და ვაჟნი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდსა უწევსა,  
 იგ დაფარულნი ასონი—უთქვამს—სამ წყრთამდი უწევსა,  
 და მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბვისა—ფუ წვერსა!!
262. მათს ფელამბარსა სამოთხე მუსაფუმი ესრეთ უქიან;  
 ქალებსა—ჰური, ფერი და ვაჟებსა—ყილმან უქვიან,  
 ნდომა არ მოაკლდებისო, მათთან ალერსი თუ ქნიან,  
 და ეგზომნი სულნი ვით ჯერან, მიკვირს—არ გაუქიქიან!
263. როს ადამ შექმნა უფალმან—უთქვამს—იქ მიიყვანაო,  
 ანგელოზთ დასნი და გუნდნი სრულად მას ათაყვანაო,  
 იგი მით მცნებას გარდაჰხდა, ხორბალი ჰამა, ყანაო,  
 და სამოთხიდანე გააგდო, ფიცხლავ გარ გაიყვანაო.

264. მუნ შიგა ნახეს ლეილი მაჯუნთან დედა-მამათა,  
თავსა ბრწყინვალე გვირგვინი, ტახტი შეემკო სრა მათა,  
ხელთ ჰქონდათ თასი ლეინისა, ტუბილად სმენ არ თუ შხამათა,  
და ჰირთავან ნააზატეი სევდას ვერ დაეშამათა.
265. მათ ერთად სხდომა ჰშვენოდა მათ შესაფერთა არეთა,  
ქვე მარგალიტი შეემკოთ, ზე ლალი მოცინარეთა,  
შემოვზლუდათ მელნის ტბა გარე გიშრისა სარეთა,  
და ეტყოდა რასმე დედ-მამათ ყვედრებით საუბარეთა.
266. უთხრა, თუ: „მე ვარ ლეილი, ეს—მაჯუნ ჩემთვის ხელეში,  
მუნ არ გვაბყოფეთ ჩვენ ერთად, მით გვწვიდა ცეცხლი ცხელეში,  
ცოდვა არ იყო ჩვენს შუა, არ საქმე საკიცხელეში,  
და აქ მან შეგვყარა, წყალობა ვის აქვს აურაცხელეში“.
267. „უწყოდეს ღმერთმან მოწყალემ—არ ბრალი გვექონდა, ბილწობა,  
მუნ უზაკველი სურვილი, არ ცუდი გოგო-ბიჭობა,  
იქ უსამართლოდ წაგვიხდა ჩვენ კბილთა მარგალიტობა,  
და აქ მოგვცა მოსამართლემან ერთმანერთისა ჰეროიტობა“.
268. გამოაღვიძა იგინი შიშმან და სიხარულამა;  
მათ საყვარელი უჩვენა ერთის წამისა რულამა,  
იგ მოაწვივნეს—უამბეს—სრულ შიხნი, მოლა, ულამა,  
და ტიროდეს, დაწვნა ყოველნი მუნ მათმა სიბრალულამა.
569. რალას არგებდათ შეექნათ ერთმანერთისა ბრალობა:  
—„არ შევეყარენით იგ ერთად ლაწვი ვარდ-ბაგე-ლალობა,  
გვექნა—არ წაუხდებოდით მათ ტურფა ვაჟობ-ქალობა,  
და ჩვენსავე თავსა იყოსო ჩვენი ცოდვა და ბრალობა“.
270. სიტყვათა შეთხზნვა-შეკაზმვა მელექსეს ჰმართებს, მგონია,  
თვარ-უწყის ღმერთმან—უსმენლად არა რა მომიგონია,  
თქმა სჯობს, ვის ენა რიტორობს, ჰქონდეს მახვილი გონია,  
და უცხო, ტუბილ ბრძენთა ამბავთა ვერც ვარდი სჯობდეს, მგონია.

## მიჯნურთ ამაგავი იოსებისა და ზილიზანისა

### [შესავალი]

1. არსებით ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთუფლებულად, ბუნებით განუყოფელად, ღვთაებით შეერთებულად, განუსწვალავ გვაყოფნებასა, არ ვიტყვი მიახლებულად, და იგი გვზრდის, გვფარავს ყოველთა მის მიერ ქმნილთა კრებულად.
2. პირველ მას ვაქებ, რომელმან თვით ჩვენ შეგვმოსა სრულებით, ნათელმან უსხეულომან ხორციი ივასხნა ბუნებით, თავისუფალ გვეყნა მონანი მისითა შთამოსულებით, და ხამს, თუ ზე გვაქენდეს გონება სარწმუნოებით, სრულებით.
3. უნდა მცირედი მცირედთა სიტყვა წარმოვთქვა თხრობილი, ვით ვეტრფიალე სიბრძნესა, ამაღ არვისგან ხმობილი, ძოწ-მარგალიტი, გიშერი აწ ნახეთ ჩემგან მკობილი, ა ბოლოდ სცნათ ყოველთა—არა ვარ მოშაირეთა ძმობილი.
4. მე თვით ვწერ, ვიტყვი, რომელსა მეფედ მიხმობენ მონები, სიტყვა შევმზადო შაირთა, მართ ვითა ვარდის კონები, ბრძენთაგან შესაწყნარები, ცნობილთა მოსაწონები, და მაგრა ექმნების მიჯნურთა ლახვარი გასაწონები.
5. მრავალთა ხელყვეს სიბრძნესა, მოგვესმა ამას წინასა, ვიეთნი წერდეს ზენასა, სულისა მოსასმინასა, ზოგთა თქვეს, აქეს, შეაწყვეს ბროლ-ვარდ-გიშერი მინასა, და ჩემთა სიტყვათა ყვავილნი მათმან წერილმან მინასა.
6. გუბი ზე-მთისა წყაროსა, უშმაგომ ვითა აროსა, მაგრამ მიეზაძო აჩრდილად, არა ვიდუმნო აროსა? სულთა ბახჩასა სურვილსა ვზრდიდე, მართ ვითა საროსა, და ვინ ხელჰყოს ძნელსა საქმესა, ხამს თავი გაიმწაროსა.
7. ხამდა მეხმივნა სიტყვანი, უზრწნელად დანამყარები, სწავლა საღმთოთა წერილთა სულისა გამამყარები, მათ სულიერთა კრებულთა არ დარჩათ დანამცდარები, და მდვრიდე, ველარ ვიპოვე ცუდ-მაშვრალთანა მარები.

8. მუნ ვერა ეპოვე სათქმელი. — აწ მომიძულა ზენამა,  
გული მიუძღვენ კეკლუცთა, ვინებე ვარდი მენამა,  
ფერა შემატეს ბაგეთა ჩემთა სისხლთაგან სმენამა,  
და აწ ყურნი უნდა აწვივნეს ტკბილმოუბარმან ენამა.
9. ვიწყო პირველთა მიჯნურთა ამბავნი მოსასმენისად,  
ან ვით შეერთეს მხეცთანა, ან ვისთვის რბოდეს ხელი სად,  
ზოგნი ქვე დაშვრეს ხორცთათვის, ზოგთა სრბა იწყეს ზენისად,  
და ზოგთა სდიოდა თვალთაგან ცრემლნი რუდ მონადენისად.
10. ტარიელს იცნობთ ყოველნი, სარიდანის ძეს მხნესა-და,  
მას უებროსა მოყმესა, ტანად ალვისა ხეა-და,  
ვით ეტრფილა ინდოეთს ნესტან-დარეჯანს მხესა-და,  
და დაკარგა გულსა სახმილი, კვლავ უფრო ღაეკესა-და!
11. ძებნა, ვეო პოვა, გაიჭრა ხელი ნადირთა ერევა,  
ვეფხსა ემსგავსის სიტურფე, დაბნდის და ცნობა ერევა,  
ქვანნი მისტაცნა სამყოფლად, დეენი მოსწყვიდნა, ერევა,  
და ათ წელ მუნ იყო ხელქმნილი, გულსა ლახვარი ერევა.
12. ავთანდილ, პირმზე არაბი, მასთანვე თანა ქებულა,  
მეფისა როსტევეანისგან გაზრდილა, ძედ წოდებულა,  
თინათინისთვის ხელქმნილა, ვისგან მზე დაწუნებულა,  
და წყლული მოქენე წამლისა, სხვათა კურნებად რებულა.
13. დღე-ერო ჯდა მოყმე საწოლსა, მონა შემოდგა ლადისა:  
— „გიხმოო მზემან მზეთამან, შუქთა ხლებასა გაღირსა“.  
ნახა, უბრძანა: — „შენგან მწადს ძებნა მის გულ-სადაღასა,  
და პოვო, მოხვიდე, შე მოგცე ფლობა სამოთხის ბალისა“.
14. რა ესმა მისგან ავთანდილს სიტყვანი იმედებული,  
ღმერთსა შესწირა მადლობა — მზემან თქვა გულსა დებულ!  
წავიდა ფიცხლავ საძებრად, ქვაბს პოვა ასმათ დებული,  
და მან უთხრა წვრილად, რაც სჭირდა ტარიას ცეცხლი დებული.
15. წავა ავთანდილ საძებრად მუნ, სადა პირმზე ტყვე სითა,  
ფატმან უამბო: — „ქაჯეთს ზის იგი მზე სულთქმა-კენესითა,  
მთვარე მოსტაცეს ვეშაპსა მკლავითა მით უმხნესითა“,  
და მზე არ ამხედრდა ეტლზედა, ვირემ არ მიხვდა წესითა.

16. ძებნა, უპოვა მზე ლომსა, თვით მიხვდა ვეფხი მთვარესა, ვარდნი ნამთევნი გაიფრჩქენეს, რა დაენერგნეს ბარესა, ბოლოდვე გავლეს საწუთრო, სოფლის საქმენი არესა, და იგ უსაქონი ქალ-ყმანი მიწასა მიაბარესა.
17. ესენი შოთამ რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა, თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერე თამარის ხმოებითა, იტყვის: — „გპოვეო ამბავი პირველ სპარსთაგან მზობითა“ . და შეათხზნა ბროლსა გიშერი, ძოწსა სადაჟი წყობითა.
18. გამბაცხადებს ნათქვამი მის, რუსთველისა, ქებასა, დასაბამითგან შაირთა მთქმელნი თვით სად ვინ ებასა! რად ხამს ღუმილი მუსიკთა, ენა რიტორად ებასა, და თუშცა ხელობდა მის გამო, ხელჰყოფდა მათსა ქებასა!
19. სწვევდა სახმილი უშრეტი პირმზისა თამარ მეფისა, ვითა ფოლადი მალნიტსა, თვალნი საქვერეტლად ეფისა, მაგრამ მან მზემან ნათელი მიჯნურთ არ უიეფისა, და არად შესწონდა ზახილბ ვარღსა ბულბულთა ყეფისა.
20. მეფეს ენება სპარსული თქმით ქართულისა ენითა, „ლექსად თქმა მწადს“ — „ო უბრძანა ლალმან ბრძნად შექთა ფენითა; ნიჭი აღუთქვა უზომო, მოაჯე ვარ მოქენითა, და მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა, გლახ, ცრემლთა ღენითა.“
21. სურვილისაგან ტყვექმნილი შეიპყრა ვისმა რამინა, დაშრტის სეხმილი ორთავე, რა ვარღმა ნახის, რა მინა, მე თუ ძალმედვას, მათ მზეთა თვით ქების მეტი რა მინა? და ცრემლი მდის მათთვის სისხლისა, ფერად მართ ვითა რამ ინა.
22. — მარავს ჯდა შაჰი მოაბად, სიდიდით შეუღარები, ვისის ღედ-მამა ამიანს იყენეს ჯიმშედის გვარები, მიუხდა, მამა მოუკლა, ქნა საქმე შეუგვარები, და ტყვედ წაიყვანეს უნებლივ, მზეს არ შვენოდა დაჩრები.
23. კუბოსა ჩასვეს, დაფარეს, ვით ღრუბლით მზისა დარია, კუბოსა თავი მოხადა — განგებით ადგა ქარია, შაჰი მოაბადს ძმა ჰყვანდა, მას ვერა-სჯობდა ტარია, და ანაზად ნახა ნათელი, დაბნდა, სურვილმა დარია:

24. აწ გითხრა ცული ხელობა შაჰან-შა მოაბადისა,  
 არა ისმინა ნათქვამი მეეტლეთ მოაბადისა,  
 ძალად შეიპყრა, მოჰყვანდა, ვით თევზი, მოაბადისა,  
 და ვისმან სანაცვლოდ შეიპყრის სურვილი მოაბადისა.
25. მთვარე შეიპყრა ვეშაჰმა — ეგონა მომხელა შეგებო,  
 ვისამ დაუსწრა სანაცვლოდ, შეკრა — ძიძა ჰყვა გრძნებო,  
 ვერ ჰამა მისგან ნაყოფი, ბედმან სხვას მიანებო,  
 და იგი უებრო რამინს ჰხვდა, შაჰან-შას — ცეცხლთა დებო,
26. მოვლა ყოველი ქვეყანა ამა აშბაემან მზისამან,  
 ბრძანა აბუნასრ ვეზირმან, ხალიფამ ბაღდადისამან,  
 იტყვის: — „დამივსო სახმალი აშბაემან ვის-რამისამან,  
 და აწ განმიმარტოს ენამან ფაფხურ ბრძნად მოუბრისამან“.
27. ფაფხურ გამოჩნდა ბასრელი მაჭებრად რამინ-ვისისად,  
 აშბად აღწერა შეწყობით, ტკბილად, ართურე მქისისად,  
 ყურნი დავალდენ მსმენელთა, გულნი განათლდეს დღისისად,  
 და ბაღდადს ნათქვამი აშბავი, ნახეთ, გასმიათ ვისი საღ!
28. ხალიფას შესძღვნა ვეზირმან თვით არმაღანად სეფენი,  
 მასმცა შეუწმდა სიტყვანი ხმა-ტკბილად დანამყეფენი,  
 კოვლგნით შემოკრბეს მიჯნურნი ცრემლთა სისხლისა მჩქეფენი,  
 და უქეს ყოველთა უკლებლად სიტყვათა სიიფენი.

#### ამბავი იოსებისა და ზილიხანისა

29. მიჯნურთ ამბავი შემოკრბა ამ წიგნსა ჩემგან თქმულებსა,  
 უსუფ-ზილიხანც ვახსენოთ, ნურცა მათ ვატყენთ გულულებსა,  
 შეუთხზნათ ლექსთა ყვავილი, ვერ ენახათ დანასულებსა,  
 და ქართულად ვიტყვი ყოველსა ამბავსა მე სპარსულებსა.
30. მამათთავარსა იაკობს ძე ჰყვანდა ათორმეტები,  
 ორნი ცოლნი ჰყვეს: უფროსსა ზეღლნი აქეს მრულად-მჭკვრეტები,  
 უმცროსსა ერქვა რაქაელ, შვენებით მეტის-მეტები,  
 და მოსე მოგვითხრობს, რომელსა ჟღიღოდა ნათლის სვეტები.
31. რაქაელ უშვა ორნი ძე: ოსებ, ბენიამენი;  
 იოსებს ვიტყვი, თუ ვაქო, ყველამ დამიცეთ ამენი;  
 რა საკვირველი ძე ნახა, მამას ჰხვდა გულს სიამენი,  
 და ცისკარსა ჰვანდა, შეენოდა გიშრისა წარბ-წაწამენი.

32. რა ღმერთმან შექმნა სოფელი, ადამს ხელითა ბადებდა,  
მაშინ წყალობით იაკობს იოსებს ძედ უქადებდა,  
ადამის მსგავსი ძე მისცა, იმას მინათად ადებდა.  
და კაცთა მტერობით ეშმაკი ბოროტად შურსა მზადებდა.
33. რა მოიხარდა ყმა იგი, ბროლ-ლალსა მინა რეოდა,  
ეგას მუცლითა ნაშობსა სიტუროფით იგ მორეოდა,  
ამისთვის სჯობდა ყოველთა — ბრძანება ლთვისა რეოდა,  
და მისის შურით და მტერობით ძმათ ჭკუა გარდაროდა.
34. რაღას ვაგრძელებ — კაცთა ძე მისებრ ნახულა აროდეს.  
ძმანი შეითქენეს, არჩევდეს, მისთვის სამტეროდ ჩქაროდეს.  
— „იგ ურჩევნიათ მშობელთა, ჩვენთვის ეს ჭირად კმაროდეს!“  
და რა იცის ბერმან, მამამან თუ ლხინი გაემწაროდეს!
35. — „ყოველ დღე წავალთ მხეცთა სვრად“ — ძენი ეტყოდეს მამასა,  
— „აწ თუ გვიბრძანებ, იოსებს ჩვენთან წავიტანა ამასა,  
ველად შექცევა დია სჯობს ცუდად ძილსა და ჰამასა“.  
და მათ ნება დართო — არ იცის, თუ ჩავარდების ნანასა.
36. თან წაიტანეს სალხინოდ, მიდიან, მინადრობდეს;  
გლახ, რა იცოდა იოსებ, თუ ძმანი რას უპირობდეს?  
მთიებს უგვანდა ყელ-ყური, ლაწენი ბადახშნად ჰვირობდეს,  
და მათ გაურისხდა უფალი, რა კარგ საქმეზედ გმირობდეს!
37. მათ ხელი მიჰყვეს, შეიპყრეს, აღვამან თავი დახარა,  
ეგზომ უებრო ყმაწვილი ძმად შეებრალათ, გლახ, არა!  
— „რად უფრო უყვარ მამასა, შენ ჩვენზე მეტი რა ხარა?“  
და იოსებ მათთან მგზავრობა იტირა, ივავლახარა!
38. ეტყოდა: — „ვის რა შეგცოდე, რასათვის მამკლავთ, ძმანო და?  
რად არ გეწყალებით უბრალად, გულ-ულმობელნო, ქვანო და?  
მართ მაშინ მათგან ნაქმარი ბოროტად საქმედ კმაროდა,  
და აწ ბერის მამის ტირილნო, დედისა ვა მოთქმანო და!
39. მათ გააშიშვლეს საკვდავად, ყელის გამოჰრას ლამოდეს,  
განგება იყო მალლისა — უწყალოდ შეეწყალოდეს.  
ორმო იპოვეს, ჰას ჰგვანდა, შიგ დგომილ იყო წყალ ოდეს,  
და მაშიგ ჩააგდეს მნათობი, შუქნი ქვე დაემალოდეს.

40. უფროსმან ძმამან მის ყმისა პერანგი სისხლით შესვარა,  
იგ მუნ დაადგეს, ეგ მიკვირს: ძმამან ძმის სისხლი შესვა რა!  
მათ მისი ცხენი მიჰყვანდათ, ნეტარ მისთანა შესვა რა!  
და სხვა მსგავსი იოსებისა, ვეკობ, დედამან შვეს არა.
41. მათ მწუხარება იჩემეს, ტირილით მივლენ, ზარითა,  
მამასა თავეს წაადგეს ამბითა შესაზარითა,  
პერანგი წინა დაუდგეს, ჰკადრეს სიტყვითა მწარითა.  
და იტყოდა:— „სიბერის ეამსა გულსა ლახვარი მკარითა?!
42. — „რა უყავთ ჩემი იოსებ?“ — ეს ოდენ უთხრა ენითა.  
მათ მოახსენეს: — „წატანა ჩვენ მისი ავად ვუჭენითა,  
ლონი აგვიჩნდა უსახო, ჩვენ გავეჭვითა რბენითა,  
და მას მოეწია, შვიპყრა, დაგლიჯა კბილთა კბენითა.“
43. „იგ შეჭამა და წავიდა, პერანგი შეგვერჩა ხეული,  
ეს ნიშნად წამოვიტანეთ სრულად სისხლშიგან რეული.“  
ტირან საწყალნი შშობელნი სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
და ტირილით თვალნი დაუდგეს, დაწვნი შეეჭმნეს ხეული.
44. აწ რაც ვარდახდა იოსებს, ვარ მის ამბისა მთხრობელი:  
ღრმასა ორმოში ჩაადგეს, არ უნდა ბარ-მათხრობელი,  
ყაფილა მოდის სადგომლად, ჰგავს, თუ მისვლია მთხრობელი,  
და აწ ნახეთ მაზედ ღვთისაგან წყალობა მიუთხრობელი!
45. ორმოს პირს დადგეს კარვები, წყალსა ეძებდეს მდომელი,  
ჰა ნახეს, შიგან ჩახედეს შუქნი აქეთ შემომდგომელი;  
ქარაფან-ბაშსა აცნობეს: — „თქვენც ნახეთ ჰაში მჯდომელი“.  
და წავიდა, ნახა, გაჰკვირდა — პირი ელვათა მკრთომელი.
46. კაცი ჩაუშვეს, საბელი წელთ ება ხელთაც ეჭირა,  
ამოიყვანეს იოსებ, ძლივ სული კბილით ეჭირა,  
ჰკითხეს: — „ვინა ხარ?“ — ყოველთა თვალი მაზედა ეჭირა,  
და მან უთხრა: — „ძმათ ნილაღატეს, ლხინი ამისთვის მეჭირა“.

### ამა განხილვა იოსებისა ვაჰარამაგას

47. ვარ-მოაკრფეს დიდ-ვაჰარნი, მისი ნახვა მათ უღირდათ,  
მას უჭვრეტდეს ვაკვირებით, შუქი მისი გულსა სკვირდათ,  
უსასყიდლო მარგალიტი მოინდომეს გასასყიდათ,  
და მისრ-ეგვიპტეს წაიყვანეს მათთვის ქორკმად გასამდინდათ.



48. მის ქალაქისა მეფესა აზიზი-მისრი რქმეოდა,  
მდიდარი, უხვი, მოწყალე ერთობ მოსამართლეო-და.  
მას ცოლი ჰყვანდა — სიტურფით მნათობთ არ მოეთნეოდა,  
და სახელად ერქვა ზილიხან, მთვარესა სჯობდა, მზეო-და!
49. მე ვით ვაქო სიტყვა მცირმან, სპარსთ უქიათ ენამრავლად,  
ვინ ყოფილა მისი მსგავსი, ან ვის ახსოვს დანასწავლად?  
მან ციერნი დააბნელა, თვით გავიდა, ცაში მავლად,  
და მან მოუღვის მისთა მჭერეტთა ცეცხლი ცხელი გულსა. ალვად:
50. წარბნი გიშრისა ქამანდსა, თვალნი მელნითა მორევედა,  
ნარგიზნი შავსა ლახვარსა მიჯნურთა გულსა მორევედა,  
თმა-ტყვირი შავსა სუმბულსა, ტანი ალვასა მორევედა,  
და ბრწყინვალეობითა ცისკარსა „მე გჯობ“-ო დაუმორევედა.
51. მას მნათობისა საქებრად ენა ხამს შესხმად მალეები,  
არღაენის ფერსა ლაწუზედა ჯარად დგას გიშრის სარები,  
მარგალიტს ჰფარვენ ორნივე იაგუნდს ქვეშე ლალები,  
და მისთა შუქთაგან მთვარესა პირსა აჩნია ნალები,

### სიზმარი ზილიხანისი

52. ტახტზედა „წვა იგი მზე საძილოდ მოსვენებითა,  
იოსებ ნახა: თავს ადგა სიზმარში მოჩვენებითა,  
ნარინჯი ხელთა ეკირა, ჰგავს ნახმოზია ნებითა,  
და ვით ცხადივ, ეუბნებოდა თამამად, არა ონებითა.
53. „ვინ ხარ, სით მოხვალ, რა გინდა?“ — ქალი ეტყოდა მძინარე,  
„ვით შემოგიშვეს სარანგთა, ან ჩემთვის შუქი ვინ არე?  
ვერ გამიცილიხარ სხივთაგან, გნახო, წამოდგე წინარე,  
და ვიცი მამედვა დღეს იქით სახმილი მოუთმინარე!
54. — „თუ ჩემი ცნობა გწადიან, ხვალ მოდი, მნახე, მზეო-და!  
ტყვედ მომიყვანეს, ტყვისაგან შენ გული დაგეტყეოდა,  
ისწრაფე ჩემსა დახსნასა, ტანად ალვისა ხეო-და,  
და მიყადე შენდა სამონოდ გმსახურო, გესათნეოდა“.
55. ნარინჯი მისცა, წავიდა, ხელთ შერჩა ეგრე მწოლესა.  
მოშორებებისა ლახვარი მისთვის საკვდავად მოლესა.  
ქალი შეკრთა და აიჭრა, გული ძვერს მისსა მგონესა  
და არ ვეჭობ მისმან მნახველმან სხვა ვინმე მოიწონესა!

56. იძახდა:— „მოგკედი, მიშველეთ!“— ვარდი ზაფრანად ჰფეროდა,  
მხლებელნი უწენეს გარშემო, ვის როგორ შეეფეროდა,  
გამდგელი ტირს და ეხვევის, გულტკბილად, მოეფეროდა,  
და — „რა გკირს, რა მოხდა, მიბრძანე ჩემო ჰური და ფერო-და“.
57. ჰკადრეს:— „მზეო, რამ შეგაკრათო, მოგეჩვენა სადალანი?  
ეგრე ფიცხლად ვით დაგაჩნდა გულსა ცეცხლი სადალანი?  
გეხვეწებით: ჩვენ გვაყოფე თქვენთა კირთა სადალანი,  
და შუქთა სხივნი' დაგეპალნეს, აწ მნათობთა სადალ ავნი“?
58. დაგლიჯა ბალი ვარდისა, ზამბახი, იასამანი,  
სუმბულის ტვერი გაყარა, არ მისცა იას ამანი,  
გამონენასკვა შეფერუშვით შავნი გიშრისა ქამანი,  
და მელნისა ტბათა სდიოდა ბროლზედა ცრემლთა ნამანი.
59. იტყოდა:— „ენახე სიწმარი, ჩემთვის საკვლავად ჩვენება:  
ყმა ენახე პირმზე, ტანსარო, მე მისი შეყრა მენება,  
მიჯობდა ძილი ღვიძილსა, თუ ბნელად გამეთენება,  
და უცილოდ გავლი სოფელსა თუ კიდევ არ მეჩვენება“.
60. არ დაუჯერეს მხლებელთა, სთქვეს:— სჭირსო ეშმაკურება.  
მეფე შორს იყო, შესთვალეს აბისა მედასტურება,  
წიგნი მიღწერეს:— „ეს გვიკვირს, მზის ხახვა არ გესურება!  
და ავად გყავს, მოდი, თვით ნახე ვარდზედა ცრემლთა სხურება“.
61. მეფე მოვიდა, გაკვირდა, მზე ნახა ფერმიხდილობით,  
საყელო გარდახეული, პერანგი აღარ ღილობით;  
ეტყოდა ქალსა: „რა გტკივის, ცრემლი რად მოგდის მილობით“?  
და მან უთხრა:— „ძილში შევშინდი, ანად ვარ ჰკვაშეშლილობით“.
62. მეფემან იხმნა აქიმნი, შესჩივლა საქმე მთვარისა,  
იმათ იცნობდეს ყოველნი ბოდრატის შესაღარისა!  
ხადუმთ უფროსსა უბრძანა გაღება არმის კარისა:  
და — „თქვენგან ამისი კურნება, ჩემთვის სალხინოდ კმარისა“.
63. ნახეს და გამოიკითხეს, მისი ვერ იცნეს სენები,  
ფიცხლავ შეატყვეს სურვილი, სათქმელად შეკრეს ენები,  
თქვეს, თუ: „ეშყი სჭირს, არ არის მეფისა მოსახსენები,  
და განქაოლეს საბრზე, ეშმაკთა ღმერთსა ვეაჯნეთ მქენები“.

64. ერთმან მაჯა დაუქირა, მას საცდელად სინჯავს წყნარად,  
იგ მეორე არაკს ამბობს საქმისათვის მოსაგვარად,  
მიჯნურობა ჩამოადღეს—ქალს დაეძრა მაჯა ჩქარად  
და გაეცინნეს, პარსა ხელი მათ მიისწრეს მოსაუარად.
65. ქალმანც შეიტყო:—„შემატყვეს, მე რაცა მქირდა კირები“  
შეშინდა:—„ვა, თუ გავმუაუნდე, საქმე შიცვ გასაქირები“;  
ბრძანა:—„გავმთელდი, მეფონა გულს სენი მოსაქირები“.  
და აქიმთ მრავალნი უბოძა—მისთვის დაგუბონ პირები“.
66. აღგა და ტანსა ჩაიცვა, მან გაიმავრა გულიო,  
პირსაც აწნია და შიგნით გული აქვს დადაგულიო.  
ქალაქსა იდგა საკერპო, შიგ კერპი ამართულიო,  
და თქვა: „წავალ, მსხვერპლსა შევსწირავ, ძლივ მომიპრუნდა  
სულიო“.

67. წასასვლელად დაემზადნეს, ზადუმთ რაზმი მოდგა კარად,  
კუბო მოაქვთ შემკობილი, მხეველნიცა იდგეს ჯარად,  
ზანგთა რაზმი ისარს ისვრის, აღმასი ზამს გულსა ფარად,  
და მთვარე მცხრალი გასავებლად მივა შზისა შესაყარად.

68. რა მივიდა, გარდამოხდა მოარული მორჩი აღვა,  
ლოცვა ჰქონდა სამიზეზოდ, მით პატიეთა უნდა მალვა,  
გლახაკთ მისცა უსჯომო, კერპთ ჰმსახურა, გაეკრძალვა,  
და იოსებცა მოიყვანეს, მით ელხინა სევედა მალ ვა.

69. მეფემან იხმნა ვაჭარნი:—„აქ მამისხენით, წა მარე“!  
ფიცხლავი მონა წავიდა, იოსებ ნახა მჯდომარე,  
მონა განცვიფრდა, გაშტერდა: ცით ჩამოსული რამ არე!  
და დიდ-ვაჭართ ჰკადრა ბრძანება:—„აქ მოდით ჩემსა წინარე“!

**იოსების მიხვანა მისრითს დიდ-ვაჭართაგან და მეფისაგან სძივანა**

70. მოვიდეს იგი ვაჭარნი, არ დაიყოვნეს ხანები,  
მათთვის დაცალეს ყოველგან ჰარვასლები და ხანები,  
ნახეს გაჰკვირდენ—იოსებ მთვარულებ მონავანები,  
და მისი გაისმა ყოველგან გასყიდვად მონაყვანები.

71. მეფეს აცნობეს—„ვაჭარნი მოვინმოვიდეს რებული,  
ყაფილ ახლავს ურიცხვი, ლართა გამდიდრებული,  
ყმა ახლავს, ყულსა უძახის, მთვარეა, პირგავსებული,  
და გაჰკვირდენ, ზედა მოაკრფდეს მოქალაქეთა კრებული“.

72. ბრძანა:—„ვინ არის, მომგვარეთ აწ ფიცხლავ ჩემსა წინარე“.  
 მოვიდეს, ძღვენი მოართვეს, ტურფა, არ დასაწუნარე.  
 უბრძანა:—„ვინ ხართ, სით მოაფალთ, ანუ ტყვე იგი ვინ არე  
 და მოჰგვარეთ, ვნახო შევნებით მნათობთა მოუთმინარე“.
73. მათ მოახსენეს:—„მეფეო, ვიკადრებთ ნიწა, მტვერქები:  
 ჩვენ შამით მრვდით, გზაშია არვინ დაგვიხვდა მტერები,  
 წყალსა ვეძებდით, ჭა დაგვხვდა, თავს არვინ ადგა მცველები,  
 და ჩაეხედეთ—შუქი პირს გიეცა, უცხო რამ ვნახეთ ფერები“.
74. „ამოიყვანეთ—ყმა დაგვხვდა, ღარობა ტურფა სახითა,  
 ვჭკითხეთ:—«ვისგან გჭირს, ვინა ხარ ტან-სარო ალვისა ხითა»?  
 —«ძე ვარო იაკობისი, ძმათ მომკლეს ამა სახითა».  
 და მოვიყვანთ, ვექობ, გაჰკვირდეთ მის უებროსა ნახითა“.
75. გამობრუნდა იგ ვაჭარი, საფგომს მიეა—ფიცხლად გლიდა,  
 ყმას უთხრა:—„მეფე გინმობს“ო. მოკახმა და ცხენსა სმიდა,  
 იგ ატირდა, ვარდის ბაღსა გიშრის ღარით მოაერწყვიდა,  
 და მკვირვტთა თვალნი გაურეტდეს, ვინცა ნახა, გაუკვირდა.
76. ეფემ ბრძანა:—„არ ნახულა ამისებრივ კაცთა ძენი,  
 იაგუნდი, ბროლ-ლალ-მინა ვნახე ერთად შენათხენენი,  
 თვალსა ზედან ყორნის ბოლო, ტანად სარო ალვის ხენი,  
 და ვექვ, გაშმაგდეს მისი მკვირვტი, რაზომც იყოს დია ბრძენი.
77. ვაჭარი იტყვის:—„გავყილო ფასზედა დაუფასები,  
 ყულად რას მარგებს სატყვეოდ პირად მზე, ალვა-ნასები?“  
 შემოკრბა სრულად ქალაქი, მოაქვთ ოქრო და თასები:  
 და ყოვლს კაცს უნდოდა სასყიდლად, შულლობდენ ბევრ-ათასები“.
78. ბებერიც ვინმე მორბოდა, ხელთ ჰქონდა ბანბის შულები,  
 —„მეც ვიყიდიო იოსებს, მას ვანაცვალო სულები“!  
 ეტყოდეს:—„ჰგავხარ ზილიხანს, მალ მისთვის მიეშურები,  
 და რასთვის ხელობა? წაგსელთა სიყმისა ქალიშვილები“.
79. „შვილი არა მყავს. ვიყიდი“—მეფემან ბრძანა—„შვილებად“.  
 გარე გაყარა ვაჭარნი, ბრძანა:—„დასცხერით ცილებად,  
 ღმერთმან მე მომცა უებრო, არა მყო გარდავლინებად,  
 და წადით, გახსენით საჭურჭლე, მოიღეთ ოქრო მილებად!“

80. მის გოვარისა სასყიდლად მოჰქონდათ ოქრო შუშებითი. ზილიხანს ესმა, გზავნიდა სააპზოდ კაცს ჯაშუშებით, ბრძანა:—„უცილოდ იგია, ვისგან ვარ სულთქმა-უშებით, და მოლხენა მომხედეს, ეგება მე ვიყო წყლულ-დაშუშებით“.
81. ვაქრობა შექნეს, მოიღეს მიზანი ასაწონელი, მის უფასოსა ფასება ძნელ იყო შესაწონელი; ცალკერძ შეუდგეს დრაჰკანი, ცალკერძ იგ მოსაწონელი, და აწ გულსა მიხედეს ზილიხანს ლახვარი გასაწონელი.
82. ოქრო მიიწყო ვაქარჰან უსასყიდლ-ოსა ფასისად, მეფე ადგა და იოსებ მუნ მიჰყავს სრა-დარბაზისად, სადა ჯდა მთვარე, გვერდს ახლდა ჯარი ვარსკვლავთა დასისად და აბაშთა, ზანგთა ლაშქარი ტევრი დგას ბეგრ-ათასისად.
83. მეფე ბრძანებდა:—„ღვთისაგან ეს მომენიჰა ძეობად“.  
ზილიხანს უთხრა:—„ეს კმარა ჩვენთვის საღვინოდ, ძეობად, თვით ამისთანა სულდგმული არსით არ მოიძეობად, და არ თუ ნათობდეს, ქვეყანად ზეცადაც კმარის მზეობად“.
84. ზილიხან სიხარულითა, ვითა უცნობო, რეტობდა, სიზმარზი მისგან ნახულსა არც აკლდა, არცა მეტობდა. სულსა და გულსა ცნობითურთ მისთვის უხვობით მეტობდა, და იოსებ სირცხვილისაგან, ვიო ია, თავსა მდრეკობდა.
85. მეფე იოსებს ზილიხანს გაუდებდა, უდებდა, მაგრამ მას მზესა მის ყმისა სურვილი ცეცხლსა უდებდა, ნახვისა სიხარულითა თავსა იმედსა უდებდა, და გული ლახვრითა დაჭრასა შავთა წამწამთა უდებდა.
86. მე ვით ვთქვა სულთქმა პატიყი მის პირ-მზე, ალვა რგულისა! იტყოდა:—„რა ვქნა, რა ვირგო მისთვის გაწირვად სულისა? ჩემმა უნებლად ჭასვლაჰა თუ მეფე გააგულისა“?  
და გულსა ემღერვის:—„რად შემქმენ ხელმწიფე ყულად ყულისა“?.

#### ზილიხანისაგან გაძალის გაგზავნა იოსებთან

87. პირველ ვახსენეთ გამდელი: ჰქვა ჰქონდა, მისგან ზრდილობა, ბრძენი, ტურთა და უკლები, მას აჩნდა გვარიშვილობა, ღონე ვერ ჰპოვა მის მეტი, მისი ქმნა განდობილობა:  
და —ეგების მიხსნას სიკვდილსა, შემაშროს თვალთა მილობა“.

88. მარტო მიხამო სამზობლად, ტირს, ცრემლთა დაიგუბესა,  
ეკონებოდა ძუძუსა, პირი ჩაუღდა უბესა,  
ვით მარგალიტი ობოლი, შიგან სადაფთა ბუღესა.  
და ეტყოდა:—„რად არ გეწყალები სურვილთა გამაცუღესა“!
89. დიაცი გაკრთა, რა ნახა ევრე საბრალოდ მქენელი,  
ეტყოდა:—„მზეო, რა მოხდა აწ შენი მოსაწყენელი?  
ჩემი სული და სიცოცხლე შენ ხარ, გულისა მღზენელი,  
და თავი არა მშურს საკვდავად, მიბრძანე—ვიყო მსმენელი“.
90. ქალი ეტყოდა გამზრდელსა:—„უტკობ ხარ ჩემთვის დიდისა,  
რავკარგე ქეუა, გონება, ენა მით დამეყბედისა,  
ვის უთხრნე ჭირნი უშენოს, სხვა ვინმეცა შეიმედისა?  
და რადგან მშვეს, რასთვის გამზარდე მე უბედოსა ბედისა“?
91. „გახსოვს: სიხმარში ნარინჯი მამცა ვარდისა კონამან?  
შენით ვტირ, ბალი ვარდისა ცრემლისა ღვარმა მონამა,  
აქ მოიყვანა ვაქარმან, ოქროზე მოგვიწონა მან,  
და გული წამართვა უფასოდ ჩემგან ნასყიდმან მონამა“.
92. „მისმან სურვილმან სახმილი მომიღვა, რა ვქნა დებულმან?  
ვა თუ გაგაწყროს სიტყვებმან, ჩემგან ცუდ მიდმოდებულმან!  
ტყვემან უშვებლად გა:ოხსნად, აწ შენგან იმედებულმან,  
და სხვად უღონომან საქმისა, შენს კალთას მოკიდებულმან“.
93. „შენ გაგიზრდივარ, არ ვიცი არ დედა, არცა მშობელი,  
აწ გამომტაცე სიკვდლისა მე სიცოცხლისა მთმობელი,  
ნახე იგი ყმა, შენ იყავ ჩემთა პატიყთა მცნობელი,  
და ვარდსა დაზრულსა მოასწარ მზის შუქი და:ათმობელი“.
94. რა ესმა მისგან გამზრდელსა, ეცა წყენისა ამაღე,  
შეატყო, არას არგებდა მას შეგონების წამაღე,  
უთხრა:—„არა სჯობს დაჩენა, აწ მიჯნურობა წამაღე.  
და ფიცხლადვე მალე შეგყარნე ორნი მნათობნი, ა, მალე“.
95. „აქანამდის შენნი მჭერეტი იხარებდა, არ ახევდა,  
რა ვიცოდი შენსა გულსა, თუ სურვილთა დანა ხევდა?  
რა გაგზარდე, მას უკანით ეღემს ალვა არ ახევდა“!  
და ფიცხლავ ადგა სასაუბროდ, აწ იოსებს დანახევდა..

96. გამოვიდა, მარტო დაჯდა, ხაღუმს გზაენის ფიცლად, მალე,  
—, „აწ მომგვარე მე იოსებ, სხვათა კაცთა დაუშალე“.  
მივა, ეტყვის:—, „შინ გიხმობენ, მათად ნახვად გაეკრძალე“.  
და მან თქვა—, „მათდა სამსახურად თავი რამცა შევიწყალე“!
97. გვერდს დაისვა, მოეხვია, ვითა\* ტკბილი დედა შვილსა,  
გულსა შიგან მიამსგავსა მათ მნათობთა სხვათა შვილსა,  
გაეკვირვა იგ დიაცი მთვარის პირზედ შავსა მშვილდსა,  
და ტკბილად რასმე ეუბნების მას სიტყვასა დასამშვილსა.
98. ეტყოდა:—, „შვილო იოსებ, სიტყვა მაქვს ზენთან მობობისა,  
მან გამოგზავნა, რომელსა ვერ მზეა მის ოდნობისა,  
ცეცხლი სწავას მუდამ შენისა შევწება ასაკობისა,  
და რამცალა სხვა უკეთესი აწ შენთვის მისგან ხმობისა“.
99. მან ნარინჯი ხელთა მისცა მისგან სიხმრად მინაცემი,  
—, „მოაშორვე სიშორისა დანა გულსა მინაცემი,  
ძე არა ჰყავს მას მნათობსა მეფესთანა მინაცემი,  
და წყლულსა შენგან სამთვლებლად ფილთა მართებს მინაცემი“.
100. —, „ვეიცავ: ღმერთსა შეუქმნიხარ, შენ მისთვის და იგი შენდა,  
ვხედავთ, რომე უმკვიდროთ ჩანს, მისი თესლი გარდაშენდა,  
გიშრის ტევრი, ბროლ-ლალ-მინა თურე შენთვის მოუშენდა,  
და ოდეს ვნახა, მით აქამდის ცრემლთა წვიმა მოუშენდა“.
101. იოსებს ესმა, მოედვა ცეცხლი, სირცხვილთა ალები,  
თავი, დადრიკა, საქვრეტლად ზე ველარ ახენა თვალეზი,  
უთხრა, თუ:—, „მაგას სად ღირსვარ მე უცხოდ მონაყვანები?  
და ვით უყო მისგან ნასყიდმან, ძედ ვჰყევარ შენაწყენარები!“
- იოსებთანგან ზილიხანის დაურჩება და ღვთის სიყვარული იოსებისა.**
102. შეუთვალა:—, „შენმან შექმან სხიენი მზისა დააბუნდა,  
ბაგემ ძოწი, ღაწვმან ვარდი, იავუნდი გააცულდა,  
სამოთხე და უკვდავება უშმაგოსა ვისმც არ უნდა,  
და მაგრამ რა ვქნა—ზეცას ღმერთი, ქვეყნად მეფე ვით მომღურდა“!
103. „ტყვე მიყიდა ხელმწიფემან, სხვაგან არსად გამაბარა,  
ვახსოვს, მზეო, თავი ჩემი, როგორ შვილად მოგაბარა?  
მე მომკლენ და ყოვლი სული შენ დაგმობს და დაგაბარა,  
და სჯულიც სხვა ვაქვს, იგ არა გწამს, ვინცა შექმნა მთა და ბარა“

104. „სხვა მიბრძანე სამსახურზე—ყული ვარ და ერთი მონა,  
ვერ უარ-ვეყოფი, მას რა უთხრა, ვინც ოქროზედ მომიწონა?  
აწ დამალეთ ესე სიტყვა, სხვამან ნუმცა გაიგონა“.  
და მას ეწყინა შეთვლილობა, გამზრდელს არად მოეწონა.
105. გამზრდელმან უთხრა—„არ ვიცი მე, ყმაო, ცუდი ფერობა,  
კარზედ მოგადგა—გააგდე ბედი და ბედნიერობა,  
რად არ მოკრიფე სურნელი, ყვავილთა მრავალ-ფერობა,  
და ვექვ, დაინანო შენ ჩემთა სიტყვათა დაუჯერობა“.
106. „სად ღირს-იყავ—მზემან შუქი ეგრე მუქთად მოგაყენა?  
ვერ შეიტყვე, ბედმან შენმან თუ რა საქმეს წაგაყენა,  
თუ არ შმაგი—ვარდის ბაღსა შესვლად რამან დაგაყენა“?  
და ეს უთხრა და წამოვიდა, ჯავრმან ფიცხლად ააყენა.
107. მივიდა და დაღრეჯილი ნახა იგი პირზე ქალი,  
რა უამბო შეთვლილობა, იგ ატირდა ბროლ-ფიქალი,  
გადმოთოვა გულ-მდუღარედ —ნახეთ ვარდი ფერ-ფაშქრალი!  
და გამზრდელმან სთქვა:—„შენსა მკერეტსა დამწვავეს ცეცხლთა  
მე აქ აღი“.
108. რა გამზრდელმან იგი ნახა ეგრე საწყლად ანატირი,  
უთხრა:—„მზეო, შენმან ბრალმან გამიმრავლა გულსა ქირი,  
ან შეგყარნე ორნიე ერთად, ან ლახვრითა გავიგმირი,  
და ყულია და ჩვენს ხელთ არის, რა საქმეა გასაპირი“?

#### მისრ-მგვიპტის მცნეირთა მკამრობა

109. აწ ამბავი სხვა დავიწყო, ენამ რადმცა მოისვენა,  
ხელით ქმნილი ეგვიპტისა სამლთო წიგნმან მოგვახსენა;  
მისრეთს ღმერთი არ იცოდენ, ყველას კერპი დაესვენა,  
და ეშმაკთ ზორვა მას ქალაქსა სასიკვდინედ დაესენა.
110. ეშმაკი ჰყავთ მათ თვის ღმერთად, შემომქმედი დაეტევა,  
ერთს ალაგსა ესე ცოდვა, მიკვირს, როგორ დაეტევა?  
სულგრძელობდა იგ მოწყალე, ცოდვა ზედ არ მიეტევა,  
და მოელოდა მოქცევასა, უნდა თუმცა მიეტევა.
111. ერთ-დღე ჰქონდათ სასწაულად პასექი თუ ან კარგობა,  
დიდად ეპყრათ, ვითა სპარსთა, ბაიჩამი ნავროზობა  
პირველ ზორვა ბომონშიგან, მერმე ლხინი, დარბაზობა,  
და მათთა სულთა დასაწვავად მათგან ცეცხლთა დანაგზობა.



112. ეშმაკთ ეთქვა მათთვის ის დღე, ოდეს ღმერთმან გარდმოყარა, ამ სიტყვითა სულნი მათნი ჯოჯოხეთში ჩაეყარა, ქვეყანისა ჩვენგან პურობა მას დღეს უკან დაემყარა, და არ იყვნენ კარგსა კუუაზედ—თავს ვაგლახი დაეყარა.
113. რა გათენდა იგი დილა, სრულ ქალაქი საოცრობდეს, იძახოდეს მუნ ეტიკნი, ყოვლი სული გამობროდეს, მათ დროშები დაუშალეს, ქოსსა სცემდეს, ბუკი ჰხმობდეს, და ხელთა ჰყვანდათ ზვარაკები, ზოგნი შვილსა დაუკლოდეს.
114. ზილიხანცა მოვიდოდა, სჯობდა ალვა მოარულსა, არას ჰგვანდა მიწიერსა, ჰგვანდა ზეციით ჩამოსულსა, ნახვის ფასად დაუფენდეს ფეანდაზად მათსა სულსა, და დააფიწყდათ სალოცავი, ბუთსა სქვრეტდეს მოკაზმულსა.
115. შეიბლანეს ნაგებთაგან, საკმეველი გუნდრუკობდა, აღუსრულეს მსხვერპლი ბილწი, მღვდელი ყველა ცუნდრუკობდა, მეფე დაჯდა სანადიმოდ, სერი უცხოდ სანუკვრობდა, და ბულბული და იაღონი ვარდსა ზედა მუტრიბობდა.
116. ძღვენი უძღვნეს, ეგ ზომ ტურფა არ მისვლია კეისარსა, ზილიხანცა უკმობრუნდა, მისი მჭვრეტი მოისარსა, მოჰყვებოდა ჯარი ტურფა, მნათობთ შუა მზე ის არსა, და ვით დაუდგამს მჭრეტთა გული წარბ-წამწამთა მოისარსა.

### მეჯლისი და ლხინი მისკრეთის ხელმწიფისა

117. მის ლხინისა მაქებარი ენა დაშერა, დავარდების, მგოსანთა და მოშაითთა მღერით ხმანი ჩავარდების, მოედანსა თამაშობდეს, ბურთთა ცაში ავარდების, და ბალსა შიგან ბანოვანნი ვარდსა თანა გავარდლების.
118. ჩათრ-კარავთა მორთულობა ან შეჯლისი ვით იმბობის! ვჭვიცავ, რომე სამოთხისა უტურფესად შეიმკობის, ჩანგ-სეთაი, უდ-ქამანჩი, მულნი ყანუმს შეეხმობის, და ვეჰობ, რომე იგ არ მოკვდეს, ვინც ამ ლხინსა შეესწრობის!
119. დიდებულნი მუნ სრულ იყვეს, გარ არ უნდა მოძებანი, ვინ აღრაცხოს მათი ძღვენი, ან მეფისა მოძებანი, ვინ ბრძენმა ქმნას ჯამ-ჭურჭელთა, მეძნელების, ფასებანი! და ზურმუხტისა დოსტაქანსა ჰშენის წითლად ავსებანი!

120. ერთს კვირამდის არ გათავდა იგი უცხო მამნობა,  
ტაბაკ-სუფრა აუღებლად, კარგ-უსულად გარეგნობა,  
ბედაურთა ცხენთა დგენა, დილას ვასვლა, მოყნობა.  
და აწ ვთქვა შინათ არმის ლხინი, გაეთავე გარეგნობა.
121. ვერ დააკლდის ზილიხანსა მას დღე ჯარი ბანოენთა,  
მირთვიან ძღვენი ტურფა, ვით ვთქვა რიცხვი საჩუქართა!  
მთვარე იყვის მასპინძელი, მათ მნათობთა არ უართა,  
და ვერ შევიდეს გარე-კაცნი, თქვეს ხადუმთა:—,გარ უართა“.
122. სალსა შიგან ლხინად მსხდომთა სუფრა წინა გაეშალა,  
რა შიადგა შუქი მზისა, ყარდი სრულად გაეშალა,  
ყელსა ბროლსა ყორნის ბოლო მრავალკეცად გაეშალა,  
და შე ვით სრულყო ქება, მათი—ბრძენთა კჳა აეშალა!
123. მათ მნათობთა სიტურფემან დააშვენა ბალი, ბაღჩა,  
უჯობდა, თუ მათ ყვავილთა მისი ფერი გარდენაღჩა,  
მათზე შიკრბა სრულ ბულბულნი, ვარდს მიჯნური აღარ შერჩა,  
და ვინცა იგი ვერე შექმნა, ოსტატსამცა ხელი შერჩა!
124. მან ხათუნნი წაიტანა გეშტ-სასერნოდ წაეყარა  
ნახა, ძეწნად გარდაიქცა, ალვა მოდრკა, წაეყარა,  
სადაც გაელო, ვასურნელდა, მუშკ-ამბარი წაეყარა,  
და მუტრიბთა და მომღერალთა ლხინზედ ხელი წაეყარა.
125. სახლი იდგა ბაღსა შუა, ტურფად რამე ანაგები,  
ოქროს მელნით დაწერილი, ქვეშე სტავრა დანაგები,  
სანოვავე მრავალფერი, ლალის თეფშზედ დანაგები,  
და მისთა მჭერეტთა გული გახდეს ლახვარზედა დანაგები.
126. იგ ლხინი და მის მზის ქება დაკლებით ვთქვა—ნუ გიკვირდეს,  
დიონოს და სოკრატ, პლატონ ნახონ, სამნივე ვეჭვ, განცვიფრდეს!  
ძოწთა შუა მარგალიტი ტურფად რადმე გამოსკვირდეს,  
და გაურეტდეს მჭერეტთა თვალნი, სხივთა ნახვა გაუჭირდეს.
127. მას შენოდეს სამკაული, თვალ-გოვარი დალაღურად,  
ვეცხლს უგვანდა ყურის ძირნი, ზედ გიზრის თმა დალაღურად,  
ვინც იახლნეს, ყველა ტურფა, მაგრამ მასთან და ლაღურად,  
და ქალნი ჰკვრენ და მღერით ჟღერენ, იგ არ უტყვად, დალაღურად.

128. დახალგაოდეს დარჩეულნი, სხვანი კარში გამოყარეს, მათ სიცილი უხდებოდათ—ჰგავს თუ ვარდი, გარდმოყარეს, ზოგნი ჰკერენ და ზოგნი შუშპრობს, თავს შაბაში გარდაყარეს, და თუ ნახვიდეს მათთვის ხელნი, თავნი კლდესმცა გარდაყარეს.
129. ერთმან ვინმე სამიჯნურო ლექსი ჩანგზედ დაამღერა, მას შეხედა მზეთა-მზემან, თვალნი მახელ შეამხერა, იგ ატირდა, მელნის ტბითა ცრემლს გაუხდა ვარდზე ჩქერა, და მოეგონა მისი ქირი, გულსა დანა დაეძგერა.
130. სრულ იცოდეს: მას მთვარესა მიჯნურობა სჭირდა სენად უმძიმდათ და ვისმცა ექმნა მეფისათვის მოსალხენად? უყვარდათ და მისი ჰკრეტა ყველას სწადდა მოსალხენად, და იგი ნასკვი ეშპაკისა მათ ეწადათ გასახსნელად.
131. მოახსენეს:—„რად სტირ, მზეო, ვით ხარ მწარედ დანაკენსად? ვხედავთ, რომე ცეცხლი რამე მოგდებია დანაკევსად. ჩვენ გვასმია—სურვილი გქირს გულსა შიგან დანათესად, და აწ გვაქვს სიტყვა თქვენსა წინა ჩვენს ჰკუაში უკეთესად“.
132. „ჩვენიმც-სული, მზეო, თქვენსა ფერხთა მტვერსა ენაცვალოს, გვეზინიან, რომ ვთქვათ, შენი სატკბო რისხვად შეგვეცვალოს, თუ სურვილსა დაეპირო, ვა თუ ჩვენთვის არ გეცვალოს! და ბრალია, რომ შენ გძრახვიდენ, კარგ-სახელი გაგეცვალოს“.
133. „შენ შვილი ხარ ხელმწიფეთა, მერმე მისრეთს ტახტსა მჯდომი, მეფეს სულსა ურჩეენიხარ, დიდება გქირს თუ რა ზომი! რამცა იყოს აწ ნასყიდი მონა შენგან მოსანდომი? და შეაწუხეს იგი მთვარე, დიაცთ უყვეს სიტყვით ომი“.
134. —„შენთა შუქთა შესადარი, არ ვეკვ, მზეს რომ მოეფინოს, რა ბრალია საზრახავად შენი საქმე გაეფანოს? არ ცოცხალ ვართ მას უკანის, რა ეს სიტყვა მოგვესმინოს, და შენთვის გკადრებთ, თავმან შენმან, ვეჭობთ, რომე არ გეწყინოს“.
135. ქალმან სულთქნა: „ცრემლი ვნახე სისხლთა რევით, ვითა წყალი“, მათ პასუხი შეუბრუნა ტკბილი რამა, არ გამწყრალი, თქვა:—„ნახულა სხვა მიჯნური, მაგრამ ჩემებრ არ საწყალი, და იგ რა ნახოთ, «მისთვის ხელქმნა» თქვათ: «არ არის დასაბრალი»“.

136. „კარგი გინდათ, თქვენ ხართ ჩემთვის დედის ალაგს, ზოგნი დები, ბედმან კრულმან საქმე მიყო საყვედურად დასადები, მგერამრა ვქნა, უნებლიათ მომეკიდა ცეცხლთა დები, და უგულოსა სიბრძნით ქცევა უხამსია მოსადები“.
137. „მოვიყვანო იგი მოყმე ჩემსა წინა სამსახურად, თქვენცა ნახეთ, ვინ შემიქმნა, გული ჭირთა დასადემურად, ბაგე წითლად ვით შეჰქნია, ჩემთა სისხლთა არის სმურად, და ლამის მომკლას, გამიყვანოს სოფლისაგან მე უემურად“.
138. ბრძანა: — „უხმეთ, დაბატიჟეთ, წადით, უთხართ მალე ვით ყურსა, ნას მნათობთა ხელმწიფესა, ჩაგრა ახლა მონა-ყულსა, მოჲდღეს და მოუღბინოს გულსა მისგან მონაყულსა, და აწ მსახუროს ხელსა მისგან დაჭირულს და დასაპყრულსა“.
139. ხელთ ეჭირა ტაშტ-წუმწუშა, იოსებცა შემოვიდა, იგ რა ნახეს მუნა მყოფთა, ყველას ერთობ გაუკვირდა, გარმორტყმოდა მიხა, ვარდი, არღაენსა მოხლუდიდა, და სრულ გაშმაგდეს ხათუნები, მათ ნამუსი წაუვიდა.
140. მორცხვად იდგა თავმოდრეკით, წარბი ქუფურად შეეყარა, ღმერთსა სობრძნე, ხელოვნება მისად შექმნად შეეყარა, ჰგავს, თუ ყოვლი შეენდბანი ხელით ვისმე შეეყარა, და მისსა ეშყსა იგ დიაცნი დაბნედილი შეეყარა.
141. აიშალა ნადიმობა, ველარ ჰამდეს, ვერცა სმიდეს, აფზისაგან ვარდის წყალსა ერთმანერთსა გულს ასხმიდეს, დანით ხელნი დაეკოდნეს—გგონათ, თუ ხილსა სჭრიდეს, და მისთა მწველთა საქციელსა ზილხანსაც გაუკვირდეს.
142. ფიცხლად აღგა ტახტისაგან, ბანოვანნი მოიკითხა, უხაროდა, იშს უგებდა, მაათვის სიტყვა გაიფიცხა, იგ რა ნახეს მოცინარი, ძოწ-სადაფი მოიკიცხა, და უთხრა: — „ეკეობ, ველარ დამგმობ“—აყენა, გვერდს დაისხა.
143. მათ შერცხვენდათ, საბასუხო სიტყვა რამცა მოეგონა თქვეს: — „ასეთი ხორციელი იქმნებოსო, ვის გვეგონა?“ თვით ქმნაოყენეს საეკიმოდ, მისთვის რადამც შეეგონა? და წამოვიდეს, მათ აჩუქა საბოძვარი, — ვინმც აწონა!

**აგზავნი ბაზიყანსი, მისი ხელოჯა და მისრეთს მისვლა**

144. არ დაეაგდო მათი საქმე, რაც გულს მქონდეს მიდებული, ვარიტორო, რაც ძალმედვას, ენა ბრგენილად კიდებული: იამანთა ქვეყანასა იყო კაცი დიდებული, და მოწყმული და მოვლენილი, ამირ-აბდულ წოდებული.
145. სიმდიდრით, ჭკუით და სიბრძნით განთქმული იყო მეტია, თეალ-გოვარი, ოქრო-მყარი უამრავი მას უყრია, სოფლები და აგარაკი მისი ვისმცა დაუთვლია? და ძე არ უვის, ასული ჰყავს, გულსა სევდა შემოჰყრია.
146. ტურფა იყო იგი ქალი, ვითა მთვარე, ალვა ტანად, მისთა მჭერეტთა სული მისცის მასა თანა-წარსატანად, ფერხთ იღვეძდის გეშრის თმათა, სხვა არ უნდა ჩასატანად, და უნდა მისდა საქებარად ბრძენთა გული მისატანად.
147. ქალს უძახდეს ბაზიყასა, მას სახელად იგი სძეს-და, მამა სჯერა, რამცა ექმნა, არ მისცემდა ღმერთი ძეს-და, მას ზრდიდიან თაბარუქად, მნათობთაგან უტურფესდა, და უნდათ მისი შესაფერი, ეძებდიან ზედ-სიძეს და!
148. ვერ ვშოვნათ მისი ბაბი, რომ ქორწილი მათ გაეგდო, დაესახლა იგი პირმხე, მათი მორკმა ზელთ ჩაეგდო, იგ უებრო ბროლ-ბადახში აგრე ცუდად ვერ გაეგდო, და მათ სოფელი უპირობდა მისებრივი ხრიკი ეგდო.
149. ვერ დაასწრეს: საწუთრომან გაეგებული მოუშალა, ვარდიცვალნეს, ნიეთებისა მოძრაობა მოეშალა, ქალი ტირს და პირსა იხოკს, თმა გიშრისა დაეშალა, და ოზლად დარჩა მარგალიტი, სადაფს პირი გაეშალა.
150. იგი ქალი პირველადვე ბეზიასა ჰყვანდა ხელთა, არვინ დარჩა მისგან მეტი, ახლა უფრო მოიხელთა, ვით ვთქვა მათი მწუთხარება, ან მოდება ცეცხლთა ცხელთა, და მათ დამარხეს საყვარელი, სისხლის ცრემლით ზებ სველთა.
151. ბევრმან ვინმე მოინდომა იგ მნათობი შესართავად, დაიწუნა ამად, რომე არ ჰფერობდა გვარად, თავად, ბედი, გული, ტანსაცმელი მას შეჰქმნოდა სამიე შავად, და უკულმართის ეტლისაგან მოლამოდა საქმე ავად.

152. იოსების საქმე ამბვად იამანსაც მისრულიყო, მისი ვერე უებრობა, თუ სიტურფით ვით სრულ იყო, ვაჭრისაგან მიყვანილი ეგვიპტესაც მისრულიყო, და შორიდალმა ბაზიყაცა მისთვის ხელად მისრულიყო.
153. ბაზიყასა არ ასმოდა ზილიხანის მიჯნურობა, იოსების დაურჩება, იგ უწყალოდ გულმაგრობა, შავარდნისა ვით მართევემან მოინდომოს ნავარდობა, და ბუდიდალმენ გაფრენილსა ბადეს მიხვდეს ჩავარდნობა.

**ბ ა ზ ი ჯ ა ს ა ბ ა ნ მ ი ს რ ე თ ს წ ა ს კ ლ ა**

154. თქვა:—„წავიდე მისრ-ეგვიპტეს, წავიტანო განძი ძველი, ბებიაცა წამომყვების, ჩემი გამზრდელ-გამძიძველი, გავაკვირნე, ოდეს მნახონ მათად მორკმად მე მიმსვლელი, და ფასი მივსცე სიცოცხლისა, ვიყო სულთა მომსყიდველი“.
155. მცნობსა ვისმე მიაბარა მამული და სახლ-კარები, მათ დატვირთეს ჯორ-აქლემი, არ იხმარეს აზავრები, ბედისაგან მომღურავი, სოფლისაგან ნაჯავრები, და იოსების შესაყრელად მისრეთს მივა ნამგზავრები.
156. რა ცნეს, ფიცხლად შოახსენეს მათი მოსვლა ზილიხასა: —„ქალი ვინმე, შემოვიდა ტურფა რამე, მეტად ხასა, გავაკვირვა სალთანათმან, ჩვენ გვეუბნა, გვეპირხასა— და ესაქმე მაქვსო გასაგები“—თქვა—„დავჭყოფო ცოტას ხანსა“.
157. ვერ შეიტყო, თუ ვინ, იყო, ვერცა გული მიატანა, გამზრდელს უთხრა:—„მიეგებე“, თან ხადუშნი წაატანა, ბრძანა:—„დაჰხედეს სრულ ქალაქი“; ყველამ ძღვენი მიუტანა, და რა მივიდა, უსალაჰა, იგ აუდგა კარო-ტანა.
158. ხელს აკოცა მან დიაცმან, შორს დაუჯდა ყოფა-ქცევით, —„მოგიკითხეს ხელმწიფეთა, სამსახურად მოველ თნივით“.
- „ვინ ხარ, ანუ სით მდსულხარ? თუ გვიბრძანებთ, შეგვემცნევით, და მონახული უნახავად მე გამხადე, გნახე მზე ვით“.
159. ქალმან მადლი გარდუხადა, თქვა:—„გნახეო ჩემთვის დედად, ობოლი და უთვისტომო მე ვზობილვარ ბედ-უბედად, საქმე რამე შემომესწრა, გარდმოვიჭერ ცეცხლთა დებად, და ხვალ მიჩვენე, მას მნათობსა ყველა ვჰკადრო ენა-ყბედად“.

160. — „გარჯილხარო“. თვალ-გოვარი მას მოართვეს წინ დადებით, გაუკვირდა, ოდეს ნახა იგ ვერვისგან ფასდადებით, თაყვანი სცა, იგ შეიქმნა ნამეტნავად გულდადებით, და გვერდს იახლნეს-მას დამესა, ტკბილად იყვენეს, ვით და დებით.
161. რა გათენდა, წასვლისათვის ჩარსავშია წაეხვია, გლოვით იყო, მთვარეს პირზე შავი რიდე მოეხვია, ვნახეთ უცხო მოარული, სარო ნაზი დაეხვია, და მივა წყულულთა საკურნებლად, მაგრამ უფრო დაეხვია.
162. ბანოვანი გააგება, მხევალიცა წინა მდგომი, რა შევიდა, მოეხვია ყელით ყელსა გარდამქდომი, გაანათლეს იგი არე, განხმულიყო ცათა ზომი, და ჰგავს, ეტლზედ გარდეწვია, მთვარე ვნახეთ მხესთან მჯდომი.
163. მასპინძლასა საკადრისი, ვექვ, სტუმარი შემოჰყრია, მათი ეგრე შეუქსინათლე მნათობთ გულსა შემოჰყრია, ბროლ-ბალახში, გიშრის ტვერი შევენებითა შემოჰყრია, და ტურუა რამე მოდარბაზე, ფერი ვარდსა შემოჰყრია.
164. ჰკითხა:— „წითხარ, ქალო, ვინ ხარ, ჩემსა სრასა შემოსრული? რად გარჯილხარ, ან სადით ხარ, ვისთა გვართა გამოსრული? არ მინახავს სხვა შენებრი შევენებითა ეგრე სრული, და ბაგე ვარდი, მელნის ტბანი გიშრის სრითა შემოსრული“.
165. ბაზიყამ თქვა:— „მიკვირს, მზეო, მე რად მაქებ, საქებური, შენ ციერთა მონაწილე, მნათთა-მნათი მუნებური. ბრძენნი შეკრბეს, თქვეს: მნათობი ხაჰსო მისთვის მონებური“. და საწუთროსა ბრუნვისაგან მაქვს სიცოცხლე უნებური“.
166. — „იამანით წამოსრულდვარ, მოველ შენთა ფერხთა მტვერად, სვე-ბედი და ჩარხთა ბრუნვა მე შემქმნია ყველა მტერად, მშობელნი მყვეს მეტად დიდნი, ძე არა ჰყვით არცა გერად, და დამებოცნეს, მარტო დავრჩი, გლახ, ლახვართა დასადგერად“.
167. „არც ღირსეიყავ, ვერც ველირსე მათგან ჩემზე დანაპირსა, მათ მიბრძანეს შენი კარგი: «ჩვენს ჟამშია არ გველირსა, ნუ მიხვდები ვარდი ყვავსა, ნუ აქმევო ხურმას ვირსა», და ვტირ მას უკან დაღრეჯილი, არ გამიღებს დანა პირსა“.

168. „მე მიაბნეს—თქვენგან მონა ვისგან რამე მოსყიდულა,  
იგ ანათობს სამყაროსა, მზესა შუქი დაუგულა,  
მისთვის ხელი გამოვიჭერ, მისი ნახვა გამეგულა,  
და ვით დაქეთმო ცეცხლთა დება, ანუ ვითმცა დამელულა“?
169. „გებეწები: იგ მიჩვენე მისთვის გაჭრად მოარულსა,  
სული მოგცე სულთ აქათი, მე შემყარე ტკბილსა სულსა,  
წყალობისა წყალი მიეც გულსა დამწვარ-დადაგულსა,  
და მე გამსახურო სიკვდილამდის, გყვანდე მხევილად,—მიმეც ყულსა“.
170. „ეგზომ გიძღვნა მე საჭურჭლე—დაგავიწყო მისრეთული,  
თვალ-გოვარი, სამკაული, გაგიკვირდეს ლართა ქსული,  
შენ გაახლო ჩემი მორჭმა, ოლონდ წამყვეს მე თან სული,  
და აწ სიკვდილსა მიწურვილვარ სიცოცხლისა მიმაშური“.
171. რა ზილიხამ გაიგონა ბაზიყასგან საუბარი,  
იგ ატირდა გულმდუღარედ, ვნახეთ ცრემლთა საგუბარი,  
შეებრალა თავის გამო, გული ჰჭონდა ნაღმობარი,  
და გაუახლდა მასცა ცეცხლი პირველ მისგან ნაგზობარი.
172. უბრძანა, თუ:—„ჩემი სენი, მიკვირს, სიღამ გარდაგედვა?  
შორიდალმან უნახავად ცეცხლი ვითა გარდაგედვა?  
მე გიჩვენო იგი მოყმე, ვისთვის თავი გარდაგედვა,  
და სჯობდა მისი ეშყდ გულსა არ შეგეშვა, გარ დაგედვა“.
173. თქვა:—„რაყიფი მყოლებია, მეგონა, თუ, მარტო ვარ-და“!  
ჟალერსა მან საყვარლად, იგ თავმდაბლათ დაუვარდა,  
—„ჩვენ გაგვხადა მან ბულბულად, მგონი, იგი გაგვივარდა,  
და აწ მოვიდეს სამსახურად!“—იოსებცე შემოვარდა.
174. რა ბაზიყამ გაიცადა იოსების სიტურფენი,  
ტანი-სარო, ბროლ-გიშერი, ვით ზუალი, შუქთა მფენი,  
დაბნდა, ფიცხლავ გარდაიქცა ზაფრის ფერად, ვარდის ფერი,  
და გლახ, წამალი ვერა ირგო მისთა წყლულთა გასამთელნი.
175. შეებრალდათ იგი ქალი, რითაც იყო მოაბრუნეს,  
ითვისეს და ეპატრონეს, იგ არა თუ გაემგუნეს;  
იოსებ დგას მათთვის სანთლად, თავს ფარჯანად დაებრუნეს,  
და ვერ გაუძღეს შუქსა მისსა, სადგომისკენ გააბრუნეს.
- 6 თემურაზ I



176. ტირს ბაზიყა, მოთქევამს მწარედ, ცრემლსა სისხლი გარეულა:  
—„დღის იქით სული, ცნობა, ვა, გამეჭრას, გარეულა!  
ვითმც ნათობდეს მიწის ხორცნი, ეგრე ვითმცა დარეულა!  
და ნარგიზთაგან გულსა წყლულსა აწ ლახვარი დარეულა.
177. ზილიხამ თქვა:—„მას ლახვარი უწინ ჩემთვის გაუცია,  
იგ არ არის ხორციელი—ხედავთ, რომე გაუცია,  
დაუძვირა სხივთა შუქი, მკვრეტთა გული გაუცია,  
და აწ შენვე თქვი: უშმაგოსა იგი ვისმცა გაუცია?
178. „სიზმრად ვნახე, არ მენახა; მგფემ შეილად მოიყიდა;  
ვერა ვირგე მე, გლახ, ხელმან, ცუდად თავი მომიყინდა,  
მზე არ მომხვდა, ვარდი ჩემი დაქკნა, დაზრა, დამიყანდა“.  
და ესე თქვა და ამოტირდა წყნარად რამე, არ აყვირდა.
179. —„ღმერთმან უწყის, ეგრე მიყვარ: ან და იყო, ან ასული,  
მართლად გითხრობ, ვიცი გაწყენ: ცუდ მაშვრალად ხარ მოსული,  
შუქი მზისა დამიძვირდა, ვარდი მით ვარ დანასული,  
და მე არ მომხვდა, შენ ვით მოგცე სულთაგანცა უტკობო სული“?
180. რა ბაზიყას სიტყვა ესჲა ზილიხასგან უიმედო,  
რა შეიტყო მათი საქმე, არა თქვა რა დასაყბედო,  
მან დასწყევია შობისა დღე, თქვა:—„რა მიყავ, ჩემო ბედო?  
და სრულად ცეცხლთა დასაწვავად რისთვის შემქმენ, შემოქმედო?“
181. ესე თქვა და სისხლის ცრემლი გიშრის ღარით ჩამოღარა,  
საყელონი გარდინხივა, ბროლის ბურთნი ამოყარა,  
მთვარე სავეს მცხრალად იქცა, სრულ დალივა, ჩამოყარა,  
და —: „აწ სიკვდილი უამეა, სიცოცხლე ხარ ჩემ აღარა“.
182. დაიხია პირის სახე, თმა გაყარა დია ვიშრად.  
დაბნდა, იქმნა ვითა მკვდარი, —«არ მოკვდესო»--იქმნეს მშიშრად,  
თქვეს: „საწუთრო, ტკბილი სული გაგიწირავს, ქალო, ვიშ, რად!“  
და ეხვეოდეს სრულიდ ჯარი, არ დაავდეს მარტო მკვიშრად.
183. დიდხან იდვა, ვითა მკვდარი, ძლივ მობრუნდა ქალი სულად,  
შემოიხსნა სამკაული, მას საქურტლე მოაქეს სრულად,  
წინ დაუდვა ზილიხანსა, ანგარიში უნდა ნულად,  
და ვითა ჰფერობს ხელსა გაჭრა, სოჯლით მივა კარგ-უსულად.

184. ტანს ჩაიცვა მსხვილი ჩოხა, თავსაც შალი მოიხვია, ვით ტყეშალი, სასიკვდილოდ თავი კალთას გაიხვია, არ უსმენდა, ვინც რა უთხრა, ერთობ თავი მოიხვია, და მან აიგო ნაბდის ქოხი, შიგან ჩაჯდა, ჩაიხვია.
185. აატირნა მისნი მჭვრეტნი, ყოვლთა გული დაუწვა-და, გებიასაც ამ საქმითა გულს ლახვარი დაუწვადა, მან გაყარა თმა სპეტაკი, გული ცეცხლზე დაუწვა-და, და ქვა თავსა და ხელი გულსა, კბილათ ხორცსა დაუწვადა.
186. მოსთქვამს: — „შვილო, საყვარლო, კარგსა თავსა რა უყავ-და; რად მოგძულდა სინათლენი, რომე მზესა გაუყავ-და, ღაწვთა შენთა უტურფესი, მითხარ, ედემს რა უყავ-და! და შენ დაქენები რად-ლა? — ჰხმობენ: «ბულბულს ვარდი გაუყავ-და».
187. „რად არ მომკალ პირველ-უწინ, თუ ამ საქმეს მიჩვენებდი? სანთლად მყვანდი შენთა გვართა, ბნელსა გულსა მითენებდი, ტანად აღვა გამეზარდე, ბაგეს ძოწად იშენებდი, და მაიოცხლებდა შენი ჭვრეტა, სულსა ყელში მიყენებდი“.
188. სიბრალული ბაზიყასი სწვავს ზილიხანს, ადენს ცრემლსა, რქვა იოსებს: — მას საქმელსა შენ მისცემდი ხელით-ხელსა!“ მივიდოდის, მიუტანდის, მისი მკვლელი, მისთვის ხელსა, და შემოხედის რეტად რასმე, გარდიგდებდის საწყლად ყელსა.
189. ეტყოდა: „უცხოვ, რად მომკალ? ნეტარ შენ ვინ და მე ვინე? შევთა ნარგიზთა ლახვართა უწყალოდ დამახვიინე? ვითა ფარვანა სანთელსა, მე შეუქთა დამაწვევინე, და ეს ვგრეუ შიყავ — დამმარხე, სამარე გამათხრეინე!“
- სიკვდილი ხელისა ბაზიყასი იოსების გულსათვის**
190. ველარ გაძლო, მან იცოცხლა ხანი რამე დია მცირე, ბებიასა დაუძახა: „მოდო, სული გავეც ვირე, მე მოგიკვდი, ჩემი ბნელქმნა მნათობთაცა მიუმტკიცრე, და მიწას მიმეც, წხეტო ნუ მიმეცე, გული წყლული აქვითკირე.“
191. მოკვდა ბაზიყა გარჯილი მიჯნურობისა სენითა, სრულად მისრეთი ტიროდა, თქვეს: — „კოდვით ავიესენითა“! შევსა მშობელსა კალთასა უწვა. მოსთქმიდა ვინთა, და ზილიხანც მოვა ტირილით, პირსა იცემდა ხელითა.

192. მოსტქიდა:—შვილო, აწ მკვდარი პირველად გნახე მე ხელი, ბაგე შეგიკარ ვარდისა, თვალთა დაგზურე მე ხელი, უსულოდ გხედავ ცოცხალი, რად არ დამეცა მეხელი?  
და აღარა მყევნარ ბედკრულსა ვისილა ვიყო მკვებელი?
193. „ვის ჰყოლია შენებრ შვილი, დაზრდილი და ან ასული? ედემს ალვა არ გაზრდილა, ეგრე ტურფად აპოსული, შენ ნათობდი საწუთროსა, ზეცით ჰგვანდი ჩამოსული, და ვერ შექამოს სხვა მიწამან ეგრე ნაზი კარგ-უსული“.
194. ესე თქვა და მოეხვია, პირით პირზე დაეკონა, ეტყოდა, თუ:—„რამან შეგქმნა ზაფრის ფერად ვარდის კონა? იგ ათრთოლდა, ვით ფურცელი, სული ამოსვლად გააკრკოლა, და მისიწრაფა მასთან მანცა, წასვლად ვინმეცა დააბრკოლა!
195. რა ზილიხამ ორივე ნახა ეგრე საწყულად დანახოცი, მკერდსა ზედა ხელი იკრა, გამოუჩნდეს ბროლის ხორცი, ზედ გიშრის თმა დააყარა, მას ცრემლი სდის მოსახოცი:  
და—„აწ უცილოდ მეცა მომკლავს იგ მიჯნურთა ამომხოცი“.
196. გაიტანა მან უკლებლად განძი მისგან მონატანი, სასაფლაო აღუშენა, გუმბადი ქნა ოქრო მყარნი, მას სოფლები მოუყიდა, სულისათვის შესატანი, და თქვენც გასინჯეთ სოფლის საქმე—მიწას მისცეს სარო ტანი!
- მეორედ გაგიჯნურებ ზილიხანისაგან იოსებოცა**
197. აწ ამბავი სხვა დავიწყო, ლექსთა ბოლო შემოკლდების, სოფლის ნივთთა შემსჭვალული კაცი ბოლოს გამწარდების, რა აივსოს გუბე წყლითა, გზას შეიქმს და გადვარდების, და ეშვი თავსა არ დამალავს, ვის დამეტდეს—გაშმაგდების.
198. გაუგრძელდა მიჯნურობა: გლახ, ზილიხანს ცრემლი სდიან, მან არიდდ ვერ იშოვნა, ვის ძნათობნი შეჰნატრიან, წალკოტს სერნობს ნაღვლიანი, ფერხთ ქვეშ ვარდსა დაუყრიან, და მარტო იხმო ხან გამზრდელი, სხვათა კარში გამოჰყრიან.
199. ეუბნებოდა:—„მარგე რა“?—გულამოსკენითა ტიროდა, პირი უგვანდა მთვარესა, ცხვირი სოთურბდ სტვიროდა, მათ მესისხლეთა ბაგეთა შუა სადაფი სჭვიროდა, და ეგრე უთმინოდ გასკლასა მისსა გამდელი ჰკვიროდა.

200. მას ზილიხან ეხვეწების:—„ღედა ხარ და ჩემი დები,  
მალ მეწვიე, არას მარგებს ცუდი რამე გულის დები,  
უკურნებლად სენს სიკვდილი, ხელი გაჭრას არ ავსცდები,  
და არას მარგებ შენ გამზრდელი, ვით ბაზიყა, მოგიკვდები“.
201. გამზრდელს რა ესმა ნათქვამი, საგონებელსა ჩავარდა,  
ტკბილთა არჩევდა სიტყვათა, მისთვის საქებრად ავარდა;  
— „მუშკ-სურნელება მთიებსა, შენგან სინათლე დავარდა,  
და სული არა მშურს, მიბრძანე, მე სამსახურად მზა ვარ-და!“
202. „შენ საწუთრო განანათლე, მზისა შუქი დაიმონე,  
ძოღან მიველ, მას რეგვინსა თქვენი საქმე გავაგონე,  
არ ინდომა შენი შეყრა, გაუსინჯე ჭკვა და გონე!  
და აწ თუ ბრძანებ, ჩემს ჭკუაში სხვა თათბირი მოვიგონე“.
203. „ჩვენ მოვკაზმით სრა-სამყოფი, ავაყვავთ ვით სამოთხე,  
მარტო იხმე—დაჰპატიე იგი ალვა მორჩი, ვით ხე,  
ღვინო ვასვათ, მოტყუვდების, იგ გულტკბილად მოიკითხე,  
და თუ ლომია, მხეს მიხვდების, თუ არ მოგყვეს, რად არ ითხე?“
204. დაუმალა მან მნათობმან, გამდელს უთხრა დიდი ქება:  
„სულსა შენგან დავიმაღლებ, თუ მომხვდების ცეცხლთა ვსება!“  
მათ დაასკვნეს იგ თათბირი, შექმნეს დიდი მომზადება,  
და სახლი მორთვის უცხოლ რამე, ტილისმით ჰქმნეს, მგონი, გრძნება.
205. მათ აჭრელეს კედელ-ყურე, ქვემსაფენი ფარდა ნატეს,  
ყველაზედა მათ ქალ-ყმათა მსგავსი სახე გამოხატეს,  
ერთგან მწოლნი, შეხევეულნი, გვანდეს ცოცხალს, დაამეტეს,  
და ყმას შეადგეს საილათოდ—უნდა თუშცა გაარეტეს.
206. ქალს კაზმიდა იგ დიაცი, აბანოსა აბანებდა,  
ცა ჰშვენოდა მას საჯდომლად, სახლი რამცა აბანებდა,  
ბულბულს ვარდი რადლა უნდა—მაზედ ხმასა აბანებდა,  
და დანემონეს მას მნათობნი, რამცა ექმნა, აბა ნებდა!
207. მას ტურფათა უტურფესსა სამკაულსა მოასხმიდა,  
მას გიშრისა ტოილოსა მრავალფერად დაუთხზვიდა,  
ნახა შუქთა დამეტებით—მხესა შესწრფა, ველარ სხივდა,  
და ვით ყვაილი სამოთხისა, იგ ანორჩდა, ამოლივდა.

208. დაჯდა ტურთად შეკაზმული იგ მომლოდნე ცეცხლთა შრეტად, გვირგვინი და ტყავ-საყური, ტახტზე ჯდომა ჰშვენის მეტად, მზემ და მთვარემ მისად ნახვად თამაშა ჰქმნეს, მოდგეს ჰერეტად, და არ თუ კაცი, უნივთოცა, ვეჰე, გაშმაგდეს, გახდეს რეტად.
209. სამნი ქალნი შეიყვანეს შინათ—იყვნენ მისანდონი, მკვრელნი უცხოდ, მოშაითნი, მღერენ, ვითა იადონი, ხადუმთ უთხრეს დაცვა კართა, იგ არვისგან გასარონი, და ყმა მიიხმეს სამსახურად, მიეა ვითა მინარბონი.
210. შემავალსა ქვე მჯდომისა შუქი მდიდრად შეადგების, მათსა ეგრე უცხოდ მორთვას იოსებცა გაკვირდების, ჯდომა, ლხინი; დაჰპატიჟეს,—,არ ვლისვარ“—ო, ფეხზე დგების, და გვერდს მოისვა, ღვინო მისცა, მოსატყუვრად შეადგების.
211. მიმოიხენდა, მალ-იცნა, რომ მათი ხატი სახევედა, თვალს არიდებდა საჰერეტლად, სიცოცხლით ველარ ნახევედა, ზილიხან ვარდის ბაგითა ღიმობდა, აღარ ახევედა, და ნარგვიზი მისთა მჰერეტელთა აღმასიცი იყოს, დახევედა.
212. მათ ორთავე მაქებარი ხამს უმიროს, პითალორა, სოლომონ, დავით და სამსონ, უნდა ეგრე მოელორა, დალილას და ვითა ბილყიზს, ცნობა სრულად მიელორა, და ღვინოს მისგან მირთმეულსა სვემდა, ვითომც მოელორა!
213. ლხინად ისხდეს და მუტრიბნი ლექსსა მღერდენ სამიჯნუროს, ეტყოდა:—,მოკალ ბაზიყა, ცრემლი ზედა დაეჰკუროს, რად არ გეწყალვი, მისებრივ მეცა მიწა მიმებუროს?“ და ცოტა უკლია მართალსა, გლაზ, გული გარდაუბრუნოს!
214. ყმამ შეხენდა, ტკბილად რამე ეშყი გულსა აუღუღდეს, „შიში მკლავს და მე სირცხვილი, თვარე შენთვის ვით არ მსურდეს? თავი დამიც მე უღირსად, ეს გაბედვა ვის არ გკვირდეს? და ესე თქვა და მოეხვია, მათი კოცნა სულად ღირდეს!
215. იაგუნდი მარგალიტსა, ბროლს გიშერი აერია, მათი ელვა ძვისა შუქსა, ხედავთ, რომე აერია? ვარდსა დაზრულ-დაყინულსა მიხვედა დარი, ჰაერი, და ვერვინ სრულყოს ქება მათი, ბრძენთა ჰკუა აერია!

**იოსების და ზილიხანის ერთგან შეუკრა და მფიხსგან შეტყობა**

216. მათ ერთად წოლა გაპირეს, შევლენ ხალხეთს კარავსა,  
ორნი მთიებნი მნათობნი ლხინს აპირებენ არ ავსა,  
მის სალოცავსა ზილიხან ფარდასა მოათარავსა,  
და ყმა ეტყვის:—„გრცხვენის კერპთაგან, რა უთხრა დაუფარავსა?“
217. მისგან გემინის, რომელსა თვალი არ ასხენ, ყურები,  
მე მას რა უთხრა მოხედვით, ვინ შეძრა ოთხივე ყურები,  
ვინ ხედავს, ესმის ყოველთა, არ უნდა მოსაყურები?“  
და მათ ლაპარაკი შეექნათ მომადლო, არ ჩურჩულები.
218. „თუ გაქვს, მზეო, სიყვარული ჩემი გულსა დანათესი,  
დაამტვრიენ უსულონი, იცან ღმერთი უკეთესი!  
შენი ვიყო სიკვდილამდის, სიშორითა არ გაკენსი,  
და შენ განაგდე ეშმაკთ ზორვა, იგი გწამდეს, მოვა მესი“.
219. იქ მეფე შევა საწოლსა, აქ ამით ჰქონდათ ცილობა,  
ქვესაგებელში ვერ პოვა მისის ვარდისა შლილობა,  
სქებნის, იკითხავს, გაშმაგდა, მას მიხვდა ჭკვეშეშლილობა,  
და ზილიხანს მიხვდა დღეს იქით თვალთა ცრემლისა მილობა!
220. ერთმან ვინმე ღვთისა მტერმან მათი საქმე მოახსენა:  
«ლხინი აქვთო მათ ხალვათი, იგ ორნივე ერთად სხენა».  
ვით მართებდა შეჭირვება, გულსა მიხვდა დიდი წყენა,  
და აწ ზილიხანს ლხინის ჟამსა გლახ მიხვდება ცრემლთა დენა!
221. მათ აცნობა კარის მცველმან:—„მეფე მოვა“—შერბის მონა,  
ეგრე მწარე მოსასმენი სხვასა ვისმცა გაეგონა?!  
წყენა, შიში, შეჭირვება მათი ვისმცა აეწონა?!  
და ვერ გაასწრეს, ფეხზედ იდგეს, სხვა რამცალა მოეგონა?
222. ზაღიხანს დაწვი-ყაყაიო თეთრ ვარდათ გარდაქცეოდა,  
გაყრისა წყენა მიჯნურთა მეფისა შიშსა მძლეობდა,  
ყმასა პერანგის საყელო ჭიდებაშიგან ხეოდა,  
და იგ ქალმან ქმარსა მიართვა, თქვა:—„გამიკითხე, მეო-და“!
223. „მოიყვანე უცხო თესლი, ჩვენთა სჯულთა განაკიდი,  
„შვილად გყავს“—ო—ეს მიბრძანე, არ მისმინა, რასაც ვწუროთიდი,  
მთვრალი სითმე შემოიჭრა, სიტყვით ვერა დევამშვიდი,  
და ჩემთან ჯდომა მოინდომა, გავგულისდი, წაიყვიდი“.

224. „თავი ხელთა არა ჰქონდა, თურმე ლეინოს გაეხელა,  
იგ ეძებდა დასაწვავად—კერაზი უნდა მოეხელა,  
სასყელონი დავაგლიჯე, გამდელიცა მომეშველა,  
და შუილი გვქონდა, თქვენც მოგვესწარ, თქვენმა მოსვლამ  
გაგვაშველა“.
225. თავს მართლობდა იგი მთვარე, ღონეს რასმე ედებოდა,  
მეფეს ჰქუა აღარ ჰქონდა, ტვინსა ცეცხლი ედებოდა,  
მას შეუპყრა თმა გიშრისა,—ქვე მიწამდე ედებოდა,  
და ეტყოდა, თუ:—„გათქმევინებ, რაცა გულსა გედებოდა“!
226. სცემს უწყალოდ, ურიდებლად, ვით ინდოს ქალს დავარ დების,  
ხელი, მჯილი, ქუსლი, წიხლი—ოთხივე დაშვრა, დავარდების,  
პირი ცემით გაულურჯდა, ვითა პირველ ვერ ვარდების,  
და თქვა:—„უბრალო არამც მოვკლა, ლამის ენა ჩავარდების“!
227. გამობრუნდა, იგ დააგდო, ვითა მკვდარი უსულობდა,  
აღვა ნაზი დამტერეული ველარ ეშხად უსულობდა.  
ეხვეოდეს ბანოვანნი, ყველა მასთან მისულობდა,  
და მას სწამლობდეს, მრავალს რასმე სურნელსაცა უსულობდა.
228. მხემან ნახა ეგრე მყოფი, მისთვის გული დაეწო—და,  
მთვარემ იცა პირსა ზედა, მუნით ლები დაეტყო—და,  
ეთერი და მუშთარ-ზუალ ცრემლთა ღვარსა დაელტო—და,  
და მისთა წყლულთა საკურნებლად ასპიროზცა მისკენ რბოდა.
229. მეფემან ბრძანა:—„იოსებ შეკარით ხელ-ფეხ-მაჯებით,  
ვიყიდე, შეილად გავზარდე ეგ ეშმაკი და ქაჯებით“!  
იგ თავსა არას მართლობდა, არცა თქვა სიტყვა აჯებით,  
და თქვა:—„ხოცნი მოსწყდეს უბრალო, სულით არ დავისაჯებით“?
230. დიაცს ვისმე გამოყვანდა შეილი-წული საპის თვისა,  
მამან თქვა, თუ:—„ჩენი საქმე მაგას ჰკითხეთ, მაგან თქვისა“.  
ჰკითხეს: „გვითხარ, თქვი მართალი: ვის აქვს ბრალი საქმის ქნისა“?  
და თქვა:—„იოსებ უბრალოა, უსამართლოდ დანათქმისა“.
231. გაუტვირდათ, ვისმცა ესმა ჯერ უენო ენიანად,  
სასწაულმაც ვერა არგო, ბედი ჰქონდა სენიანად,  
იგ ჩაადეს ორმოშიგან გესლიანსა გველიანად.  
და დ ო ი ლეთისა მას მართალსა ჰჟარაეს მარგედ, შევლიანად.

232. გამოიმეტეს იფსებ საკვდავად მათის გუნებით,  
 იგ ევედრების უფალსა გულითა, არ ორგულებით:  
 —,ერთხელ კვლავ მიხსენ, უფალო, რომ ვიყავ დაკარგულებით,  
 და პატივთა განსაცდელისა დათმობა მომეც სრულებით“!
- 233 პირსა უთრევედა მიწასა—ცრემლთაგან ტალახებულა,  
 დასცვდედეს ზუნდნი, ბორკილნი, კოჭნი აღარა დებულა,  
 ზეგარდმო მონაცემობით საზრდელი განაოხებულა,  
 და ალვა ჩარგული მიწასა, ზე აღმა აღარ ხებულა.
234. ეს გაუშვათ, სიტყვა ლექსით სხვას აშბავზე გარდახდების,  
 ზილიხანსა უსიკვდილოთ მეტი რამცა გარდაჰხდების!  
 იოსების საქმე ესმა, ლამის სული ამოჰხდების,  
 და იტყოდა, თუ:—,მზასა შუქი ეს მეორედ ქვე დახდების“.
235. „მე მოვრჩი და იგი მოვკალ, შემეშინა დიაცურად“—  
 —ედებოდა ცეცხლი ცხელი, გახდა ცრემლში გასაცურად—  
 „სოფელი და ბედი კრული მე აღმიდგეს მეტად შურად,  
 და იგ ზის მიწას სასიკვდილოდ, მე ვით ვლახო შოარულად“?
236. იგლოვს და მოთქვამს ხმაჰალა, ვით იადონი ყიოდეს,  
 იგ ძოწის ფერნი წყარონი არღაევანს გაჰოსდიოდეს.  
 —,ბროლისა მსგავსი ხელ-ფეხნი, ვა, თუ რკინაში გტკიოდეს!  
 და ბნელმან დაგფარა ნათელი, ალვა მიწასა სდიოდეს“!
237. თავმოხდილი, მხარამოყრით, ვინცა ნახა, გაუკვირდეს,  
 „ცუდილა ჩვენი ჭირვა“—თქვეს,—,ციერთა არის ვირ ეს,  
 არის ტოტ და პლატონიოს მისი შესხმა დააპირეს,  
 და ვერ ისიბრძნეს, ვითა ღირდა, თავნი შაანი გაივირეს“.
- 238 ორნი ვინჟე მოიბირნა ქრთამით ტყვისა სამსახურად,  
 თქვა:—,საქმელსა მიართმევდით, მიხვიდოდით ორმოს პირად“—  
 რა იცოდა: მას საზრდელი მოუვავო ზეცით პურად!  
 და მცველმან უგრძნა, შიგ ჩაყარა, უთხრა:—,რად ხართ თქვენ  
 ორგულად“?
239. ერთი იყო მხარეული, იგ მეორე მეღვინობდა,  
 ორმო ნახეს განათლებით, ეგონათ, თუ შუქი მზობდა,  
 მათ აქამის, რაცა ჰქონდის, არ თუ პური დაუომბა,  
 და დახსნა სწაღდა შემოკმედსა, იგ ბჭეთა-ბჭე სხვასა ბჭობდა.



240. მათ კაცთა ნახეს სიზმარი, სეველითა შეჭირვებულთა, იგ მოახსენეს იოსებს:—„ავგისსენ ვაგლახებულთა“.  
თქვა:—„ნუ გგონიათ ოცნება, გეშველათ თქვენ ზმანებულთა, და ხეაღუ ავასხმენ უთუოდ საბლითა მანმანებულთა“.
241. მათ უთხრა მათი საქმენი, არ ლიქნა-მოსაფერები, ერთსა აუხსნა:—„შენ მოგკვლენ, რა ახვალ, შენი მტერები“.  
მელვინეს უთხრა:—„ბედი გაქვს შენ ზიდა დასამღერები: და მეფესთან მოგხვდეს ღიდება, ვეპკ, მეცა გაგეხსენები“.
242. ვათავდა მათზე ყოველი წინასწარ სიტყვა თქმულები, მცველმან აასხნა ორნივე საკვდავად განწირულები, მხარეულზედან იხმარეს თავის სასხლევად ცულები, და მელვინეს მიხედო მეფესთან ახლო რამ სამსახურები.
243. ჯდა შევნიერი იოსებ მას ბნელსა საპრობილესა, ვით ბაბილოვანს დანიელ ჯურღმულსა რასჲ მღვიპესა, ის ლომსა მისცეს საქმელად, ეს გველთა მიუშვარესა, და წინასწარისა შეტყობით მეფენი გააკვარესა.

**ბაქანებითა ღვთისითა მფინისაგან სიზმარის ნახვა და იოსების ორმოდან ამოშვანა**

244. მონისა დახსნა უნდოდა მას შემოქმედსა ცისასა.  
ჩვენება რამე აზმანა მპყრობელსა მისრეთისასა:  
გამოვლენ შვიდნი ზროხანი წყლითა მის ნილოსისასა;  
ღმ მსუქანნი, ერთობ ჰოხილნი, ვერავენ ესერის ისარსა.
245. შვიდნი სხეაც ამოჰყვებან მკლენი, არ ხორცთა ქონებით, პირველ მოსულთა შესჭამენ მკლენი მსუქანთა ქონებით.  
გამოვლენიდა მეფესა სრა სრულ საესეა მონებით,  
და ვეზირთ უბრძანა:—„ვინც ახსნით, ხართ სიბრძნე-მოსაწონებით“.
246. სრულად შეჰოკობეს, ვინც იყვენს ბრძენნი მუნ ეგვიპტისანი, მესტროლაბე და მერამლი, ქურუმნი ანუ მისანი.  
უბრძანა:—ხამსო შეტყობა, თქვენ გაქვთ აღვირნი ჰკვისანი“.  
და ვერავენ ახსნა, ვერა ცნეს მიზეზნი შეტყობისანი.
247. მეფე დაქჷნდა, მათ შესწრტა, ივინი დანალვლიანდეს, გვანდეს ტალახში დაფლულთა, რა თვით არ მიხვდეს, გვიანდეს, ბრძანა, თუ:—„ვირე არ ახსნით, მე გული არ დამიამდეს“!  
და მელვინეს ორმოს კმზავი დრო არის აღარ გვიანდეს.

248. თქვა თუ: „ვიკადრებ, მეფეო, სიტყვა რამე გვაქვს მონასა, აწ შე მიბოძეთ ფარმანი, არ მოველოდე წყრომისა: ვნახე რამ საქმე ზეგარდმო შარშან ორმოსა ჯდომისა, და ვეჭვ, რომე ჩემან ამბავმან ბრძენთა შეტყობა მონასა“.
249. „ჩვენ ორნი ვინმე ჩაგვყარეს იოსებსთანა, ტყვისადა, ზეცით მოიღის საზრდელი, სხვასა მისვლია ვისა-და! სიზმარი ვნახეთ, უამბეთ მას ახსნად შეტყობისადა, და აგვიხდა სრულად ნათქვამი მის საკვირველის ბრძნისა-და“.
250. „გვითხრა; «ხვალ ორთავ აგასხმენ, თქვენ ავლოთ ორმოს პირები», მე მითხრა: «პოვო დიდება, მეფესთან ახლო ირები», მას უთხრა: «შენთვის მოლესონ საკვდავად დანის პირები», და თუ ახსნა გინდათ, მას ჰკითხეთ, იგ არის გამოცდილები“.
251. მეფესა ესმა, გაჰკვირდა, თითსა იკბინა კბილითა, თქვა:—,ვით ცოცხალა აქამდის, რად არ შექმულა მღილითა? უბრალო თურმე გავსაჯე“—ცრემლს იწმენდს ხალმანდილითა, და —,ამოიყვანეთ, მომგვარეთ ხვალ აღრე ჩემთან დილითა“.
252. ამოიყვანეს იოსებ, ვით ვარდი ფერმიხდილები, ბაგეთა ფერი წასვლოდა, ვერ ისრევ თეთრად კბილები. მეფემან- პირსა აკოცა, თქვა: „არ მერჩივნა შეილები, და მეგონა: არის შემცოდე, წყლულნი ამისთვის გილები“.
253. თავი მოპარეს იოსება, ტანს აცმენ შესამოსელსა, პალატსა სამეფოსა დასმენ, არ თურე ბოსელსა, მისის ჰერეტითა ყოველთა უნდათ, აამონ თუ სულსა, და: ზილიხანს ვინლა უჩვენებს, სისხლის ცრემლითა მოსულსა?!
254. მეფემ უამბო სიზმარი, რაც ღამით მოსჩვენებოდა, რამც იყო საქმე ამისი, მას ახსნა მისგან ნებოდა. გარ ეხვიენეს და ჰკითხვიდეს, მათგან არ მოსვენდებოდა, და იგ ყველას მიხვდა უცთობლად, არარას დალონდებოდა.
255. თქვა, თუ:—„ჩვენება გინახავს, არ ცუდი რამე ოცნებით, ღმერთმან გაუწყ, მეფეო, წყალობა მისი ოცნებით, ხსნა უნდა დაბადებულთა, ნულარ ვართ ცრემლთა ხოცებით, და აწვე არ შეჰკრებთ საზრდელსა,—სიყმილით დავიხოცებით“.

256. „შვიდნი მოვლენ წელიწადნი იგ მსუქანნი, სავსე სრულად, ასრე რომე, რაც დათესონ, იგ მოიმკონ ასეულად, ვერც კმა ეყოს მათ აზბარი, ვერც ორმოს ჰქნან დატეულად, და შვიდნი მკლენი სხვა გინახავს მსუქანზედანი მიტეულად“.
257. „იგ მსუქანსა რომ შესკამენ, წელნი მოვლენ მერმე შვიდად, რისხვა მოვა ცოდვათათვის, ძეთა კაცთა დასაყმიდად, ვერცა რამე თვით მოიმკონ, ვერც იშოვნონ სხვაგან სყიდად.“<sup>44</sup> და სრულ სიზსარი მათ აუხსნა, იგ უამბო ამოდ, მშვიდად.
258. მეფემ უბრძანა:—„აწ გვესმა ზვენ სიტყვა მოსწავებული. აწ შენვე გმართებს წამალი, არ ვიყენეთ ვაგლახებული“! იოსებ ჰკადრა:—„მეფეო, სვემცა თქვენი ვსებული, და თქვენ გამოგზარდოს უფალმან. არა გყოს დაკნინებული“.
259. „მე ამას ვარჩევ, მეფეო: კომქი ვაშენოთ გებულად, დიდი, უზომო, ნებროთის გოდლისა მიმსგავსებულად, შვიდის წლის მომავლობისა ქრთილით ვყოთ ამოგებულად, და სიყმილის დროსა ყოველნი მან გამოგზარდოს კრებულად.“
260. დაუმადლა თვით-მპყრობელმან, მოიწონეს სრულად ერთა, გავეზირდა მისრ-ეგვიპტეს, მეფემ გული გაუერთა, მიაბარეს იგ ქალაქი, მას ჩაუგდეს ყველა ხელთა, და მან მიიგდო მათი საქმე, მიიკისრა, ისულღმერთა:
261. რალას ვაგრძელებ სიტყვათა, სჯობს რამე შემოკლებითა: იგი ქალაქი სიყმილსა შორჩეს უფლისა ნებითა, აივსო სრულად ქალაქი ისრაელთ ბანაკებოთა, და იაკობ ძე გასყიდული ნახა, აივსო შევებითა.

**სიკვდილი მუხისა და იოსების განხლავიფიზება და ზილიხანის შერთვა**

262. წესი არის საწუთროსა: საქმეს ბოლო დაექნების, სენი მოვა სასიკვდიინე—მკურნალთაგან რა ექნების? დიდი იყოს, გინა მცირე, იგი არვის მოეთნების, და მეფე სოფლით გარდიცვალა, ტახტზედ ცეცხლი აენთების.
263. ხელმწიფე წავა, დააგდებს არ ძესა, არცა ქალოსა, მუნ მაშინდელსა სევდასა, ჭირს ვინმცა დაემალოსა! იაკობც მოკვდა, ტყემა არს არარატისა კალოსა, და ჭირი დაერთო ჭირზედა ზილიხან ბროლ-ფიქალოსა.

264. ჰგავს, თუ ცასა დააქცევდა მაშინდელი მოთქმა, ზარი,  
ზახილი და თავსა ცემა—დღე რამ იყო შესაზარი,  
ზილიხანცა კუბოს მისდევს თავსა რიღე დაუფარი,  
და ჰგავს, თუ თოვლზე ყორანდ ზის, ბროლსა ჩასდის სისხლის ღვარი.
265. მოსთქვამს, ზმა უგავს ბულბულსა, რა ქიკიკებდეს ბუღესა:  
—„უღონოთა და ობოლთა და ქვრივთა ნავთსაყუდელსა,  
შენებრ სხვა მეფე ტახტზედან, ვეჭვ, ვეღარ დაეყუდესა“  
და გიშრის თმა, ვარდის წალკოტი დაგლეჯით გააცუდესა.
266. ტახტ-გვირგვინია უწვიდროდ, უძეობასა ჩიოდა,  
თქვა:—„უსაწყვე ვარ მკვდრისაგან, მე უფრო მოვიტყმიო—და  
მზე გნახე ვერე გასული.“—იოსებს გული სტკიოდა,  
და გული დაეწვა სამისოდ, ვარდზედა ცრემლი სდიოდა.
267. იგი მპრობელი ხელმწიფე სამარესა მიღებულა,  
დიდებულთა პირი სისხლით, ტანი შავად მიღებულა,  
საჭურჭლისა კარის კლიტე გასაღებლად მიღებულა,  
და მწუხარებით ამას ჰგვანდა—ყოვლთა ცნობა მიღებულა.
268. მათ დამარხეს, ვით ჰფერობდა, გაცესს ალვა, ფალუდება,  
ორმოც უკან ეთიმანჯრთსა მათ დაუწყეს გულის დება,  
ერთობით თქვეს:—„მეფე ვძებნოთ, ჩვენ გვეყოფა ცეცხლთა დება,  
და ვინ ტახტს დავსვათ, მზეც მას შევეროთ, მგონი ჰპართებს  
დამალება“.
269. ვეზირნი დასხდეს, არჩევდეს, ჰქონდათ ჯანყი და ყრილობა,  
ზოგთა ზოგი თქვეს, ზოგთა სხვა, შექნეს ამისი ცილობა,  
ერთმან თქვა:—„დავსვათ იოსებ, თვით მეფემ უყო შვილობა,  
და სიტურთით მზეს ჰგავს, აჩნია გვარი, სიბრძნე და ზრდილობა“.
270. დაემოწმნეს, თქვეს: მის მეტი ამ საქმესა არვინ ღირსა!  
მოვიდეს და თაყვანი სცეს, დაბლად მოდრკეს მიწის პირსა.  
იგ მადლობდა შემოქმედსა ხელაპყრობით, ცრემლით ტირსა,  
და ჯერ ზილიხამ არ იცოდა, ვარ მოეცვა გლოვის ქირსა.
271. —„ბრძანება არის მალლისა თქვენზედა ჩემი მეფობა,  
თქვენც განგიზრახავთ აწ ჩემი უპირატესად სეფობა,  
აწ მეც მაქვს თქვენთან სათქმელი, სიტყვათა დანაწყევლობა,  
და მას თაყვანი ვსცეთ, ვინ ხმელზედ შემზადა ცისა სეფობა“.

272. მათ მოახსენეს;— „მონანი ვართო, მეფე ხარ ფლობითა, ჩვენ აღვასრულოთ ბრძანება თქვენისა მესათნობითა, ვინცა დაგვბადა, სხვა ღმერთი, ვინც იყოს მისანდობითა? და ჩვენ დავთმოთ სჯული, მამული, კერპნი ცეცხლს მივსცეთ ღნობითა“!
273. მათგან ესმა რა იოსებს სიტყვა მისი საწადელი, დაუმაღლა შემოქმედსა საქმე ესე აწინდელი, დაწვა კერპნი საკერპოთურთ, იგ უსულო ქვა და ძელი, და სახლსა ღვთისა ხალოცავად აღუშენა საძირკველი.
274. მერმე გამოევა პალატად, ტახტი დგას მოკაზმულობით, მას ზედან დასვეს იგი ყმა, ვით სარო აღვა-რგულობით, მოვლენ, ულოცვენ შეფრფინებით, უჭვრეტენ სულწასულობით, და გულსა ეტყოდეს ყოველნი:— „რადღა დაები სრულობით?“
275. დაახალვათეს ვეზირთა, გარ-გამოახსენს ერები, წარდგეს და ჰკადრეს:— „მეფეო, ვიკადრებთ მიწა-მტკერები: ბნელსა ზის გლოვად მთიები, ბროლ-მინა, ვარდის ფერები, და სჯობს, გვერდსა გიჯდეს ტახტზედა მზე შენი შესაფერები“.
276. ჩვენ ვერ დავსთმობთ მას მნათობსა ტახტისაგან კიდევანად, არ ნახულა სხვა მისებრივ სიბრძნით, არცა თვალად, გვარად, დღეს აქამდის ეს სამეფო მან გააგო შესაგვანად, და რა მას ნახვენ ზეციერნი, შუქსა ფარვენ მოსაფარად.“
277. იოსებს ესმა, იამა ვეზირთა მონახსენებთ:  
— „მაგა სიტყვითა განკურნეთ აწ წყლულთა ჩემთა სენები, მე მონა ვიყავ მეფისა, მით წყენა არა მენები, და აწ ვით არ მინდეს საშობის ბალშია გამოსვენები“.
278. ხალუმთ უფროსი მოიხმეს, გაჰდელიც მოაწვვიან, მათ აბარებდეს ტირილით, თვალთაგან ცრემლი სცვივიან, მას მოწყალესა მეფესა ტყე და ბალახიც ჩივიან:  
და „არ ვლირსვართ, მაგრა მზისათვის აწ უფრო გული გვტკივიან“.
279. ჩვენ გვპართებდა მას უკანით ყველას თავი დაგვეხოცა, სულ გვდენოდა სისხლის ცრემლი გაუწყვეტლად, არ გვეხოცა; ღვთის წანაზე ჩვენ გვეაჯა, თავი ჩვენი დაგვემხოცა, და ვინც მოურჩა საწუთროსა, ბოლოდ არა დაემხოცა“?

280. კარგია ესე სოფელი, თუ კაცს გატანით ინდობდეს!  
 ძე არ დარჩა, ჯუფთაი ვპოვეთ, ამ საქმესა ვერვინ ჰგომობდეს,  
 აწ შეყრა სჯობს ერთად მსხდომთა, მზე და მთვარე ვერა გჯობდეს,  
 და რა ბრალია, შენებრ ტურფა ტახტსა, ზეუა არ ნათობდეს“.
281. იოსებცა შეუთვალა მორცხვი რამე საუბრება:  
 — „ღმერთი ხედავს, დიდად მიმძიმს, მზეო, შენი გამწარება,  
 ვით ვიკადრო ესე გვარი, ერთობ დიდად მეზარება:  
 და შვიდს წელიწადს შენთვის მომხვდა ორმოშვიან მე მტვერება“.
282. „ვიაჯ, რომე შეისმინოთ შმიშრეული მოხსენება:  
 იცანთ ღმერთი უკეთესი, სჯობს კერპთაგან განყენება,  
 მერმე შეყრა თუ მაღირსოთ, ნახოთ ჩემი დამონება,  
 და მე წელ-შერტყმით სამსახური, თქვენ მეფობით მოხვენება“.
283. დაიბარეს მოციქულთა, წამოვიდეს მინადენით,  
 შევიდეს და ნახეს მთვარე ცრემლის ღვრითა მინადენით,  
 «ვარდი ბროლსა გარეულა» — თქვეს მაშინვე მინადენით,  
 და მზე ღრუბელსა მოებურა ვერ მისებრივ მინადენით.
284. მეფისა და დიდებულთა შეთვლილობა ჰკადრეს წყნარად,  
 მას მოედვა გულსა ცეცხლი, ვარდზედ წვიმა-ცრემლი ჩქარად,  
 შერცხვენდა და შავი რიდე პირს მიუპყრა მოსაფარად,  
 და გაუქირდეს მელექსისა ქებად ენა მოსახმარად.
285. ბაგე დაძრა საპასუხოდ, ხმა სიტყვასა იადღინდა,  
 პირს ნახოვი ესრეთ აჩნდა, ვით სარკესა ჟანგი ჰკროდა,  
 იტყოდა, თუ: — „ამას წინად სოფლის საქმე რად მომწონდა?  
 და რად ვერ მეცნა იგი მუხთლად, ან სურვილი რისთვის მქონდა?“
286. მან იოსებ არ ახსენა, ვეზირთა აბარებდეს:  
 — „გუშინ ვნახე, მეფისათვის საფლავს თხრითა აბარებდეს,  
 ხამსცა ეგრე მიბარება, კაცი სულსა აბარებდეს,  
 და აწ დაზრულა ვარდი ჩემი; ნუ ჰყოს ღმერთი მან — აბარებდეს.“
287. გამოვიდეს მოციქულნი, ხადუმთანა გამდევლობდა,  
 თქვეს: — მზე არის მოღრუბლებით, ბალი ყმისა ვერ მდევლობდა.  
 აწ ეს გახდა, ვითა ხელი, აქანამდის ის დევლობდა,  
 და ვითა ლომი მომშეული, კანჯურისათვის გამგელობდა“.

288. მოვიდეს, ჰკადრეს უკლებლად ზილიხას შემოთვლილობა, იოსებს ესმა, დაქჷნდა, არ ჰქონდა ვარდთა შლილობა, თქვა, თუ:—,რამც უყო ჩემხედა ეგზომ გულგამოცვლილობა? და აწ თვით წავიდე, ვეაჯო, ვის უც მნათობთა წილობა“.
289. იოსებ გარ დგას, ვეზირნი შევლენ, იქმოდენ ხვეწნასა, ყელს მოიღებდეს ჩოქითა, ხელმანდილ მონაფრეწასა, მან თქვა:—,არ მინდა სოფელი“—მზე ლამის გარდახვეწასა.“ და თქვეს, თუ:—,რად დაგყერი, რისთვის იქ შენ ჩვენსა გარდახვეწასა?“
290. ტირს, ამას იტყვის ზილიხან:—,რამც იყოს ჩემზე ძალები, მწუხარებისა სახმილი მედების გულსა ალები, აწ აღარ მინდა საწუთრო, სოფელსა დავემალევი, და მეფისა საფლავს ვმსახურო, მინდა, თუ მეცვას შალები“.
291. მათ მოახსენეს:—,ტურფაო, სჯობს მოგვისმინო მონათა, სოფლად შემოხველ, მას უკან მზემ შუქი ველარ მონათა, თქვენი არ ჩვენზედ მეფობა ყურს ვითა გავაგონათა? და თავნი ნოვიკლათ და გულსა ლახვარი გავაწონათა?“
292. ტიროდა იგი მნათობი, აღარა უპასუხა რა, გამზრდელი მოვა, ვეზირთა ეტყოდა:—,ჩოქით ნუ ხარა, ეს დაუტრთია სოფელსა, ხედავთ გული აქვს მწუხარა, და აწ დააცალეთ, იგლოვოს“—მათ წელიწადი უხარა.
293. ზრუნვით იყვის წელიწდამდის, მკვდრის საქმესა გააგებდა, ვით ჰფერობდა ხელმწიფვისა, სამარხოსა ააგებდა, შეუმკობდა სამარესა, ზედ სტავრასა დააგებდა, და იგ საზრდელად გლახაკთათვის ტაბლას მდიდრად დააგებდა.
294. ჰირნი წავიდეს გლოვისა, აწ მოვლენ ქორწილობანი, «დრო არის შეყრა მიჯნურთა»—მალად იძახდეს ნობანი, ეთერი ანუ მთიები ვერ რომელ მის ოდნობანი, და საწვევრად ყოვლთა სულდგმულთა წარაკლინიან ცნობანი.
295. მკვდართაც ქნან მათი თამაშა, თუ ცნობა ჰქონდეთ, გონიცა, ჯარი შემოკრფა ტურფათა, დარბაზად ჰმართებს, მგონი ცა, ინდოთ ნასროლი ისარი მკვრეტთა გულეგმა მგონ იცა, და მათ სიძე-რძალთა საქებრად ლექსნი ხამს მოსაგონიცა.

296. მექორწილეთა მნახავნი ვარსკლავთა ჯარს აგენებდეს,  
თქვეს, თუ: „სიძე ჰგავს მარახსა, რძლად მუშთარს მოიყვანებდეს,  
მათთა შუქთა და ელვათა გარ ნათლად მოივანებდეს,  
და წყლული დამთელდეს მიჯნურთა, გულსა აღარა დანებდეს.
297. გვირგვინი მოაქვთ ვეზირთა, ტახტი მოკაზმეს, სრა დია,  
უკუეყარა ღრუბელი მზეს, 'შუქი გამოსცხადია,  
დაბუნდებულან ციერნი, სინათლე აღარ ბადია,  
და მათთანა არცინ შეყრილან ძე კაცთა დინაბადია.
298. ბანოვანთა თქვეს: — „ცუდია მას ზედან ჩვენი ყრილობა,  
რა მოუკაზმით ზილიხანს: ბაგე. ვარდი და კბილობა?  
ბროლსა რად უნდა სიათერე ანუ თუ წარბაა სშირობა?  
და ღმერთს შეუმკია—ტურფამან ყველამ მოჭამოს ჭირობა“.
299. ვით ჰვერობს მეფეთ ქორწილსა, ყველა ქნეს მათი წესები,  
სრა და ფარდაგი ყვაოდა სამოთხის უტურფესები,  
თქვეს, თუ: „დღე გვაქვსო ყოველთა დღეთაგან უკეთესები,  
და იყო მღერა და ზეიმი, არსით ისმოდა კენესები.
300. გამოიყვანეს ზილიხან, ტახტზედ დასმასა ჩქარობდეს,  
ზედ ვარდი ესხა ნაყოფად, ჰგავს ალვა მოიარობდეს,  
მათს შესაფერთა შეყრასა ყოველი სულდგმული ხარობდეს,  
და გვერდსა დაუსვეს იოსებ. მეფე დედოფლად კმარობდეს.
301. თავსა დახურეს გვირგვინი, ლოცვენ, აყრიან გოვარსა,  
დაწვთა ყაყაჩო ჩაეცვა მას მზესა შეუბოვარსა,  
სხვა მათი მსგავსი უფალმან, რადგან არ არის, ნუ არსა.  
და მათ უმღეროდა ბულბული, ვარდის მიჯნური, ბუ—არსა!
302. იყო ლხინი და ნადიმი მის დღისა შესაფერები,  
ველთა ყვავილით სასესესა ჰგვანდა კეკლუცთა ფერები,  
იადონისა სტვენასა—მუტრიბთა ამო მღერები,  
და ჯამ-ტაბაკ ოქრო თვალისა, ქვე სტავრა მონათენები.
303. მით შესაფერად შესხმასა მეღეჟე დაყმუნებულა,  
არისტოტელი საქებრად აუ მათთვის გამზადებულა,  
ჰგავს ოტარიდი მისკენ წვეს შეყრასა გასწრაფებულა,  
და იგ მოსისხარნი ბაგენი არღაენის ფერად ღებულა.



304. რა გათავდა ქორწილობა, ჯალაბობა გათხელდების,  
რა მოკრიფოს ხელმან ვარდი, რაღას პნდების, რას ხელდების?  
სიმორითა გული წყლული ახლო შეყრით გამთელდების,  
და შეიერთნეს შესაფერნი, ცეცხლი და შრტა, რად ცხელდების?
305. აწენდა იგი ქალაქი, გარიგდა მათის მეფობით,  
ჯიმშედს აჯობეს სამართლით, ნუ შრევანს შოიფეობით,  
ტახტი შეამკეს, გვირგვინი სეფის პირია სეფობით,  
და მგელნი ძოვდიან ცხვართანა, ძალნი უვლიან მყეფობით.
306. ოთხი ძე მიხვდა უებრო, ოთხი მნათობნი ასული,  
არ ჰგვანდეს მიწის ნაყოფსა, იგ ზეცას იყო ასული,  
ყრმანი ლომ-ვეფხთა ნაკვეთსა, ქალნი ქალურად ნასული,  
და ესენი დარჩეს შედეგად, იგ სოფლით გავლენ გასული.
307. აწ გარდავლა მათ მნათობთა ენასა ვით ვათქმევინო?  
იგ ზარიფი ბროლი ტანი მიწას ვითა ჩავაწვინო?  
მათ ნარგიზთა მოცინართა მტვერი ვითა გარდვადინო?  
და იგ ყვაილნი სამოთხისა ვით ჭიან ვყო და ვამლილნო?
308. მათ საქმესა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს—დაბადება,  
სპარსთა ვალექსეს ტკბილად რამე, რა ბრალია ჩალაგება!  
რაც მათ ეთქვა, მე ის ვთარგმნე, ხოტბა იყო, თუ ლაყბება,  
და არას მარგებს საუკუნოს, ვამე, სული მებრალება!
309. გათავდა მათი ამბავი, პირველ სპარსთაგან თქმულია,  
ჩვენ უწვრთელისა ნალკაწი, ქართულად გათარგმნულია,  
ენა დავაშვრე და პირი, ვარდი ვყარე და სულ ია,  
და ვინცა არ ისმენთ, ნუ იწყენთ, ვერა ხართ ცნობა სრულია.
310. შენ მომიტევენ სიტყვანი, უქმი, არ ნაყოფიანი,  
რომელმან ცვრითა უწვიმე და დარი მიეც მზიანი,  
ცოდვასა ზედან სულგრძელობ, შერისხვა იცი გვიანი,  
და ვამე ცუდისა ლაყბითა, თუ სული დაეზიანი?!
311. დასაბამ შენ ხარ, უფალო, დასასრულ არსთა დგომამდი,  
ჟამ-ჟკან ქალწულისაგან ჩვენთვის ხორც-შესხმად მოლამდი,  
წყეულმც არს ნაჯაფ, ქალბალა, მაქა, მადინა, მოლამდი,  
და ვადიდო ერთ-ღვთად სამეხობით სულისა აღმოქროლამდი.

## შეღარება, გაზაფხულისა და შემოდგომისა

[შესავალი]

1. ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთა კრებული, ქვე კაცი—სამოელისგან სამოთხით გამოძებული; მამა ხარ, სული ცხოველი, ძე თანაარსი ქებული, და სიტყვა უქმისა პატიჟად ცეცხლი არ მომხვედეს გზებული.
2. ენა ლოცვაზედ დამეშრო, სჯობდა ცუდ მიდ-მოდებასა! წამდაწუმ ღმერთი ვადიდო—ეს დამხსნის ცეცხლთა დებასა; „ყოველი კაცი ცრუ არსო“—დავით წერს „ფსალმუნებასა“ და ცოტას ხანს ყურსა აამებს—ეს ზნე სვირს რიტორებასა.
3. ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულსა ამ უსარგებლო თქმულებსა განქარვებადსა, უნდოსა, იგ სამღთოდ ჰოკიცხოვლებსა, სულსა სხვა უჯობს და ხორცი სხვას რასმე განიგულებსა, და სრულად სოფლისა მოყვასთა ის მოატყუებს წყალულებსა.
4. მქონდა რამე სამღთო, სიბრძნე მე ღვთისაგან ბოძებული, სწავლით სულთა ამალღებად, სიტყვა შედგმად ბოძებული, იგ მოსწრაფე სმენად მისად ვერვინ ვნახე მოძებული, და დაღლებ ბევრი სამღთო წიგნი მიწაშგან მოდებული.
5. არვის უნდა სახარება, არცა «წიგნი მოციქულთა», არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოჰქედი მისგან ქმნულთა?! განკითხვა და საუკუნო, არც სიკვდილი უძეს; გულთა, და უნახავთა არას მიკვირს—ბრძენთა მიკვირს. მონახულთა.
6. ყველა სოფელს დაემონა—დიდი იყო, გინა მკირე, სიზმრისაგან უფრო ცუდსა ესე მეტად გავიკვირე, ღრმა რამე ვთქვი— დამეკარგა, იგი ვერვის მოვასმინე, და აწ მეც მივეყვ ლაყაბებსა—ეგებ ამით მოვალხინე.
7. კაცმან უნდა კაცს უამბოს სიტყვა მისგან გასაგონი, პირველ ცნობა გაუსინჯოს, მიხდომისა ჰქვა და გონი, რუსთაველმანც თქვა: „ნურვინ თქვასო სიტყა ცუდად წასახდომი!“ და ეგების რამ აწ მეცა ვთქვა ცოტა რამე მოსაწონი,

8. მითხრას ვინმე: „რად დააშრევ ცულ საქმეზედ ენა შენი?“  
—ამ სიტყვიტა დამიკოდოს გული ლახვრით ე ნაშენი—  
სხვაც ბევრი ვთქვი უმრავლესი ქვიშისაგან ე ნაშენი!  
და აწ ესეცა საკამათოდ ნახოთ ჩემგან ე ნაშენი!
9. წაშლად რამე მოვიგონე სევდის ფიქრთა გამქარცხლად,  
თვარ ამაზედ რადმცა ვიყავ მე სიტყვათა რასმე მკრებლად,  
ამას წინად მათ მიჯნურთა სიტურფეთა ვიყავ მქებლად,  
და იგ ვინ ვისთვის ხელქმნილიყო, ან მოედვა ცეცხლი მგზელად.
10. მინახავს ამ საქმეზედა ქეჩ-ბაასობა, ცილობა:  
—„არ ესე სჯობსო, არ ესე!“—შუღლი, ყარყაში, ყრილობა,  
ვერ შემოწმება სიტყვისა, ვერც არას ვაადვილობა,  
და ორთავ რაც სჭირდა, ყველა ვთქვი, თქვენ ქმენით გამოწველილობა.
11. მას დიდება, ვინცა სიბრძნით ოთხი ნივთი შოშხავა,  
იგ სხედასხვა შეაერთა, არ წაჰკიდა, შეაზავა,  
ზღვა ხმელეთსა დაარიდა, მისგან ცალკერძ შეამზღვავა,  
და ზაფხულ-ზამთარ გარიგა, იგ მალ ერთწამ შეამზავა.
12. აწ მითხარ, თუ: რომელი სჯობს გაზაფხული. შემოდგომა?  
მართალი ვთქვათ, არა გვმართებს ერომანერთხედ შემოდგომა.  
სიტყვანი ვთქვათ, ვერ გავბედოთ საზრახავად შემოდგომა,  
და სიბრძნის ზღვასა შევსცუროვილვარ, წყალსა მართებს შემოდგომა.

### ს ი ბ ძ მ ა ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა

13. გაზაფხული ამას იტყვის: სამოთხე ვარ ამ სოფლისა,  
ვითამც ვიყო ამხანაგი შემოდგომა, ანუ სოფლისა?  
სიტურფეს და შეენებასა ჩემსა ენა ვერ მოსთვლისა,  
და სიკეკლუცე რადმცა ჰქონდეს მასმცა ჩემის ნათლისა?
14. ჩემს დროში მიწა-მდელონი ზურმუხტად გარდიქცევიან,  
ხე-ხილნი ტურფად გაშლილნი მას ზედან მოექცევიან,  
ტურფა, უეებრო ქალ-ყმანი მას ქვეშე შეექცევიან,  
და გულსა სევდა და ნალველი წაუვლენ, გაექცევიან.
15. თვით მას ჟამსა ყოვლი სული მიისწრადის ბაღჩა-ბაღად,  
მოევანოს ხელს ხელქმნელი, დააჩნდების გულსა დღად,  
ხელთ თასი აქვსთ მათ, წალკოტსა შემოავლებს თავ-სადაღად,  
და იგ ლხინობენ მათ გუნებად, გაიღებენ თავსა აღად.

16. აქიკვიკდების ფრინველნი, ყველა იქნების ხმოსანი,  
იგ ალხინებენ მსმენელთა, ვითა მუტრიბნი, მგოსანი,  
ვით ქალი ჯვარობაშიგან, ველნი ყვაილით მოსანი,  
და ფრინველნი ყველა მობუდრობს, მხეცნი იქნების ხმოსანი.

### პასუხი ზემოდგომისა

17. ზემოდგომა ამას იტყვის: „ერთობ თავსა მაქებარობ!“  
მართალია, აღყვავდები, კიდევ შეენი, კიდევ დარობ,  
ამხანაგად არ მახსენე, არცა ჩემთან მეგობარობ,  
და სწორი გყავს და არ ისწორებ, იგ ამითა მიუშხედარობ.
18. რით ვერა ვარ შენისთანა? ეს შითხარ, თუ მჯობხარ რითა?  
ყოვლსა კაცსა გავაგონოთ, ჩვენ ვიუბნათ სამართლითა,  
ჩემგან უკეთ რითა ჰშენი, ბართა თუ, ანუ მითა?  
და მე რაც ზნე მჭირს—თვითო-თვითო მართალი ვთქვა ყველა  
თვლითა.
19. აგვისტონი დაილევის, იგ ჩემი დრო მაშინ მოვა.  
რა ხანაღმან ყოვლი ფერი შეჰყარა და მოიშოვა,  
წითელ-ყვითლად, ნარინჯ-თურინჯ მწვანე-თეთრი დაიგროვა,  
და შენ რაჲს უბნობ? თვალმან, გულმან შეება-ლხინი მაშინ პოვა.
20. შენს დროში ტყეთა სხვა ფერი იგ მწვანის მეტი რა აქო?  
რა ათას ფერად ყვოდეს—იგ თუ არ აქო, რა აქო?  
აბა თქვი. სხვა რა უწოდო, თუ არ სამოთხე დაარქო?  
და თვალნი ფოლადად მიიკრას, მართ ვითა მალნიტმან მაქო.

### პასუხი გაზაფხულისა

21. აწ გაზაფხული პასუხობს, ვარდი თან ახლავს, ია რა,  
ზემოდგომაზედ განწყურალმა სალაპარაკოდ იარა:  
მე ყმაწვილი ვარ, შენ ბერი—ამით გისწორებ მე არა,  
და ახალსა ძველმან წამსვლელმან საქმე ვით გაუზიარა?
22. სხვა ვერა მოგიგონია, გითქვამს ფოთოლთა ქებანი,  
ჩემი დრო-ფასლი ჰაერი, სევდათა მიქარებანი,  
ველთა გავლი, თუ მინდორთა — ფშვის ყველგან სურნელებანი,  
და სრულ ყვაილითა სავსეა ქვეშე სახლი და ზე ბანი.

23. მაშინ გაიხმენ მეფენი მინდორად ოთაღ კარავსა,  
მუჭრიბთა ჯარნი, მგოსანნი ლხინსა გამართვენ არ ავსა,  
ბედაურთ ცხენთა ვააბმენ მინდორთა დასაფარავსა,  
და გარდაიქლიან მეჯლისსა, ლხინსა არ გასამწაოავსა.
24. ჩემს ჟამშიგან გაირცხების ქანგიანი მიწა-რკინა,  
მომწვანდების ტურუად რამე, ზედან ია მოეფინა,  
ყვავილითა აივსების სავსე თასი, ქიქა, მინა,  
და იგ ნაზამთრმან ყოვლმან სულმან ჩემს ჟამშიგან მოილხინა.

### პ ა ნ ა უ ხ ი უ მ ე მ დ გ ო მ ი ს ა

25. შემოდგომამ უპასუხა: კარგად რასმე სიტყვა პრტყელობ,  
სასარგებლო არა გკირს რა ყვავილი, თუ ანუ მდევლობ,  
ჩემი საქმე დავანახო, რაშდენ გვარად ვსარგებელობ,  
და გაიგონებს ყოვლი სული: ვტყუი რასმე, ანუ ვტრძელობ.
26. მითხარ, თუ: შემოდგომისა ბალი რად არ ბაღებულა?  
ენკენისთვის სალხინებლად კარი რათ არ ვაღებულა?  
გიაგბო, მის დროს ყვავილნი ფერად-ფერადად ლებულა,  
და მათ უტურფესი მიწითა სხვა არა გამოლებულა.
27. ნარგისი მოვა მას ჟამსა, ყვითლით აშვენებს არებსა,  
სხვასა ყვავილსა ვერ ვხედავ მე მისსა მემუჭუარებსა,  
თვითან შვენის და მოგვადენს სურნელებისა ქარებსა,  
და იგ თუ მას ჰკითხავ, სიტურფით არცა ვის დაიდარებსა.
28. ყარაფილისა ყვავილი ვარდსაცა სჯობს და იასა,  
მისი სიტურფე, შვენება ერთი არ არის, ი ასა,  
ნახე, ბაღს როგორ აშვენებს, რა კარსა შველი ღიასა,  
და თვალ-პირი უგავს ლალსა და ტანს იცვამს ნარინჯიანსა.
29. ნეტარ, ხაშხაშის ყვავილი გენახოს ეგების არა,  
რა დრო მოუვა, აყვავდეს, მოეწონების ვის არა?  
რინმან ვაშლი წითელი ზღუდედ გარ შემოისარა,  
და თუ მასთან ლხინი ვარგოდეს, გულსამც გეცემის ისარა.
30. ჩემს დროს ასხია ხეზედან ნარინჯ-თურინჯი, ბიოო,  
ბროწეული და ყურძენი, არც ერთი დაჰკლებიაო,  
ჰკრეფენ და სჭამენ, სავსე აქესთ კალთებნი, უბებიაო,  
და ამისი ფასი შენ რა გკირს? გვითხარ და გვიამბიაო.

31. ჩემთვის გებრძანა ბერობა და აღრე წამავალობა,  
მინახავს მოდღეინებულმან ქალს დაუკარგოს ქალობა,  
— „მე რასოვის დავეგე მასთანა?—“ თავსა დაუწყოს ბრალობა-  
და „მე ქალი ვარ და ჩემს უფრო უშვენის ლაწვთა ლალობა“.

### პასუხი გაზაფხულისა

32. გაზაფხულმან თქვა: გებრძანა, თქვენ სიტყვა ერთობ მკვებებო:  
„სილაშხითა მე გჯობო“ — აბა ეგ არის ჩმახები!  
გაყვიტლებული ფოთოლი ვის გევაარ, ვის ემსგავსები?  
და გოგრაც თქვენს დროში იქნების, გაათლევინე კვახები.
33. ვეგლახი შენსა ყვავილსა და შენსა ცილაშხესა,  
დასტურად კომში და ვაშლი ღვინოში დიმიშაზესა;  
ჩვენს შუა განყოფილება რამდენი არის, რა ძესა?  
და ეგ შენი შემოდარება მე საყვედურად მაძქსა.
34. ერთს რასმე ჩემს დროს მოსულსა შენ სრულად ვერ უდარუა,  
ვარდსა ყვავილთა მეფესა რა მოსდგომოდეს დარუა,  
წალკოტს გაშლილი ყვაოდეს, სიკეთე მოუხებდარუა,  
და აწ მისთვის ზელმან ბულმულმან, თუ როგოო ცრემლი დარუა!
35. ჩემს დროში იქნას ვარდი და ზედან ბულბულთა ხელობა,  
ერთს-ათასფერი შვენება, მეორეს — დანამჭრელობა,  
ერთისა უებრობა და მეორის ხელქმნა, დელობა,  
და იგ მაზედ ტკბილად მღერა და სმიათასფერად ჭრელობა.
36. ბაღად მიბობდენ მიჯნურნი, ბულბული ნახონ მყეფარე,  
ხტოდეს ხე-და-ხე დამწვარი სრულად ცეცხლისა მგზებარე,  
— „ლახეარი მჭრისო საკვდავად, ზედ ვინმე გადმომეფარე“. —  
და მათ მოეგონოს მოყვარე, თვითც იქმნან ცრემლთა მჭეფარე.
37. თვალმან რა ნახოს უტურფე, ან საყნოსელმან, ყნოსანი?  
ზედ დამღეროდეს ბულბულნი, იგ ათასფერად ხმოსანი,  
იგ მისგან უტკბო რამც იყოს მუტრიბნი, ანუ მგოსანი?  
და ამათი მგზავსი მიჩვენე შენის ჟამისა დროსანი!

## პახუსი შემოდგომისა

38. შემოდგომა ამას იტყვის: ეგ ავრეა, არ თუ ქორად, იგი ნახნეს—არვის უნდა თვალნი მათთვის მოსაშორად, ზედ ბულბული დამღეროდეს, ქვეშ ეყაროს ვარდი გორად, და აწ ჩემიცა მოისმინე, შეცა ვითხრა მისად სწორად.
39. ხესა კაკრა ვასცვივოდეს, თესლსა ჰკენეტდეს იადონი, რუსთველმანცა ერთობ აქო მისი სტყენა მოსანდონი, მთას გაჭრილი იძახოდეს, ხმა იცვალოს თუ რამდონი! და იგ არ არის ბულბულს უარ, არცა მისგან გასაერდონი.
40. არ ვიცით ვისთვის გაჭრილა, თვარ იგიც ხელად თქმულაო, ბულბულისაგან ის უფრო ამ სოვლით შორს გასულაო, მთასა და ტყესა დაფრინავს, იგ მოსთქვამს კარგ-უსულაო, და მის ხმისა სიტკბოს თუ ვითმცა აანგარიშებს ნულაო!
41. ვერასფერითა ვერ მჯობხარ, ყველათ ვარ შენი დარგო, ჩენსა კარგსა და შენს ავსა ერთმანერთშიგან არეო, ათასი რამე ილაყბო, მე ვერ გამაგდებ ვარეო, და ეს კმარა, სხვა-რიგად გიქო აწ ჩემი არე-მარეო.
42. რა უამეა მას დროსა — არც ცხოდეს, არცა ციოდეს; ყოვლის კეთილით აივსნეს, გაძღენ, აღარვის შიოდეს, შენ ბალი მოგაქვს და მარწყვი, ზედან ფრინველნი ჟლიოდეს, და მას სჭამენ პურ-დალეულნი, ყველას მუცელი სტკიოდეს.
43. შენს დროში არ თუ ღარაბნი, მეფენიც ვერ გაძღებიან, ხისა, მიწისა ნაყოფნი ჩემს ეამში მოისთყლებიან, სიცხე წავა და ცხელება, უძლურნი დამრთელდებიან, და მაშინ სუქს ყოვლი პირუტყვი, შენში სრულ სიმკლით კედებიან.
44. აღხოზა, სიმკლე, შიმშილი შენ ერთად შეგიყრიო, შემოდგომაზე საჭმელი ფერხთ სალახავად ყრიო, ყველა ღებინობს და თავაშობს, გულს არვის შემოჰყრიო, და შენი მწუხანე და ყვავილნი გაგცოცვიან, გაგიყრბაო.

## პახუსი გაზაფხულისა

45. გაზაფხული გაგულისდა, საუბარი ესმა მკვანე: როდის იყავ ჩემი სწორი?—რა ილაყბე, რა მოსჩმანე, ქვეყანაზედ რაც რამ მოვა, შენს თავზედან გამოსახე, და ყველა შენ რად დაიმონე, მით ლახვარი გულსა მანე.

46. გაზაფხულზე დაარსდების ყოელი სარჩო-მოსავალი,  
ნაყოფს იწყებს გამოსხმასა აღმოსავალ-დასავალი,  
შენს დროშიგ რომ მოიწიოს, რად ვარ შენგან დასავალი?  
და რას მიჰქარავ, რას მოჰქარავ, ხელი ხარ თუ, ანუ მთვრალი?
47. ქვეყანა, რომლით გაძლებს: ცხენის ზურგი, თუ ნავეთა?  
დიდნი ქალაქნი, შაირნი, ტახტი, მეფეთა, სრა ვითა,  
გაზაფხულ შექნან მგზავრობა, ხომალდმან ქარ-ნიავეთა,  
და შენს დროში უღირსი ძიხარ, ვერ მორჩენ დაუნთქნავეთა.
48. რას უბნობ, ბეჩავ, საწყალო, შენ ვისთან იწვდი ფეხსაო?  
თავს იქებ, მე კი მძაგებ, შენ ღმერთი დაგცემს მესაო,  
ვინც ვაიგონებს, დაგცინებს:—„ტყუილად რასთვის კვებსაო?“  
და რა თრთვილმან დება დაიწყოს, შენ ზურგსა იგ მოგტეხსაო.
49. ჩემის დროს ქარნი, ნიაენი უკვდავებასა ედარა,  
დაშიშვლდებიან: „გვარგებსო“,—ტყავს წამოისხმენ ზედ არა,  
არ ვაცხელდების ჰაერი, იგ ტკბილად რამე ზე დარა,  
და დასწვიოს და გარცხის მწვანეთა ხანდახან ზედი-ზედარა.
50. მაშინვე ცუდად წაგიხდეს, წახვალ და ვავლი კარებსა,  
რა გინდ რომ ბევრი ილაყბო, ჩემთან ვინ დაგადარტბსა?  
არავინ არ დაგიჯერებს საქმესა მიუმხვდარებსა,  
და ბერთან ყმაწვილსა ვინ გასრვლის, ანუ ცოცხალთან მკვდარებსა?!
51. გამხმართა, ხმელთა ანელლებს, ასრე შეუცვლის ზნეთაო,  
შენს ნიავს ერიდებთან: „გაგვანმობს, ვითა ხეთაო“,  
რა შენი ქარი ადგების, სრულ დააშიშვლებს ტყეთაო,  
და მერმე სიცივე, მოგასწრებს, ფიცხლავ წაგართმევს დღეთაო.
52. სრულ გაახლდების ქვეყანა, გაყმაწვილდების ძველები,  
ყველა მწვანესა შეიმოსს: კუნძი, დამპალი ძელები,  
შეუმსუბუქდეს ყველასა ზამთრის ტკივილი ძნელები,  
და წყლის პირნი მოცინარობდეს, ყვავილოვნობდეს ექლები.
- პასუხი ზიმრღომისა**
53. შემოდგომამ თქვა: ნათქვამი შენი მამესმა მრუდები,  
არა გრცხვენინან, შექმნილხარ სრულ ტყუილისა ბუდები?  
მე ვარ და ჩემი ჰაერი სიმართლის ნავთსაყუდები,  
და გაზაფხულს სუსტობს ყოველი, ჯოხს უნდა მისაყუდები.



54. ეს ასრე არის, რომელმან დაკვებადა მისმან ძალებმა,  
შენ თქვი, თუ ხორცსა რა ერგოს, არ მოისვენის ძვალებმა,  
სარჩოდ, სალხინოდ მე გჯობვარ—ეგ ოსმანც იცის, დვალებმა,  
და ჩემს უამესი რა ნახოს, მაშინ ყოველთა თვალებმა!
55. კვლავ ჩემი ქება გიამბო, იგ სხვაცა დანარჩომია:  
რა სთლობა შექნან ყოველგან, იგ ერთობ მოსანდომია,  
ყოველი საქმე გააგდონ—ნადირობა და ომია,  
და დიდთაგან ანუ მცირეთა იგ ლხინი თუ რახომია!
56. მაშინ შვენიოდენ ვენახნი წითლოსან-ნარინჯიანი,  
მრავლად უკიდნეს მტევანნი—ნუმც არის მათი ზიანი!  
ჰაერი შეზაფებული, არცა თუ სიცხით მზიანი,  
და წითელს ღვინოსა ასხემდენ, ქვევრები ვარეცხიანი.
57. მარნები გამდიდრდებოდეს, ქარახს მზადებენ, თასებსა,  
ვის ვისთან ლხინი ეწადოს—რა სჯობს არიფთა დასებსა!  
იგ ამღერებდენ მგოსანთა, ზუტრიბფთა ბევრ ათასებსა,  
და ნუ სტყუი, ვერას მიაბობ იგ შენ ამისსა ფასებსა.
58. მაზად იხმევდენ, ზედ ესხას წითელი ვაშლი, ბიანი,  
ყველას უწითლობს დაწვები, რომ იყოს ფერ-ყვითლიანი,  
მაქრისა ფერსა არჩევდენ, იგ ტკბილად რასმე სვიანი,  
და მას ჟამსა სევდის ლახვარი გულს არვის დაესვიანი.

### პასუხი გაზაფხულისა

59. გაზაფხულმან ეგრე უთხრა: ცუდი ამბე ეგ ამბეები,  
შეგირცხვინოს ქარახსი და ეგ უგვარო საქებლები,  
შენ იუბენ უთავბოლოდ, იყო რაჟე ნატრელები,  
და მე გიამბო უმჯობესი—გული ერთობ დამილები.
60. გაზაფხულს გაიჭრებიან მინდორად მობურთალები,  
მათ უებროთა მოყმეთა ქვრეტად ვერ მოხსნან თვალები,  
ბურთობენ კვირით-კვირანდი, ცხენს აღარ შერჩეს ნალები,  
და იგ მათად ქვრეტად გავიდენ ტურფა, კეკლუტნი ქალები.
61. მუნ იყოს გამოჩვენება, გარდანაქსოვთა კიდება,  
— „მე დაგაქარბებ“— „მე გჯობო“— ლალობა, არ წაიკიდება,  
ჯობნა, ნაძლევთა წალება, იგ სათავისოდ კიდება,  
და — „მე უკეთ მოვეწონეო“, —ვისგან სჭირთ ცეცხლთა კიდება.

62. ბედაურს კვიცთა ჰხედნიდენ, კარში არბევდენ ცხენებსა,  
უკუიყრიდენ სევდასა, იგ კავშნისა სენებსა,  
ყვავილთა ქვეშე დასხდიან სალხინოდ განსასვენებსა,  
და ქარნი სძრევდენ და უყრიდენ თასშიგან ჩასადენებსა.
63. დაღაძიდეს, ხენი მოსანთლონ, იქმოდენ ჩირახონებსა;  
დაივიწყებდენ ჭირსა და სევდასა დასალონებსა,  
მოიგონებდენ ხელმქნელსა, მათსა სულსა და ღონებსა,  
და ესე სჯობს მღვრივეს მაქარსა, იგ შენსა მოსაწონებსა.

### პ ა ს უ ხ ი შ ე მ ო დ გ ო მ ი ს ა

64. შემოდგომამ ეგრე უთხრა: სტყუი ერთობ შარა-შარა,  
სთლობის დრო სჯობს ყოვლსა დროსა, მართალია იგ მაშარაჲ  
ყველა ვინმე გაგამტყუნებს—რა, იუბენ წარა-მარა!  
და ყურაქენმან ქარვის ცერმან სისხლი წითლად გარდმოღვარა.
65. აწ ამასაც დამიწუნებ, კვლავ გაიამბო უკეთესი,  
ენკენისთვე გაშუალდეს—რა ინახვის უამესი!  
დაიურჯვის ყოველივე: დანერგული, დანათესი,  
და ისარ-მშვილდი მოიმარჯვე, ნეთოფემან—ტალი; კვესი.
66. რა გახშირდეს მყვირალობა, გამრავლდეს ნადირობანი,  
ყველას ქარქაში მოეწყოს, ჯერგათა შეყრილობანი,  
დღე-ღამე არვის გააჩნდეს—დრო, ანუ უდროობანი,  
და მაშინ სიმრავლე ნიშატა... არ იყოს ვარდუა ზრობანი!
67. კარხედ მიჰგვრიდენ მეფეთა ქორ-ბუდიანსა ხარებსა,  
ვერ მორჩენ, ვერ გაატანონ იგ მაგრა განაკარებსა,  
წითლად ლებევიდენ ველსა და იქით და აქეთ კარებსა,  
და შენი რომელი უდარებს მას დღესა გასახარებსა?
68. მოქონდეს, იყოს დარება ჯარის რქებსა და თავებსა,  
უკეთესს წინა იღებდენ, ვარე გაჰყრიდენ ავებსა,  
უყუთრე წითლად სავსესა მაზე თასისა დგმავებსა,  
და მუნ მაშინ მათსა ნიშატა მბობით ვინ გაათავებსა!
69. ერთი სხვაც გითხრა, მუნ ჟამად იგ ერთობ მოსაწონები:  
მოჰყვანდეს ზარში ნაჯდომი იგ ბედაური ქორები,  
სხვა-და-სხვაგვარი, მრავალი, არ თუ ერთი და ორები,  
და სდევდენ ხოხობთა, დურაჯთა, არ უჩანსთ ახლო-შორები.

70. ამ საქმესა და ამ დროსა შენიმც რომ შეუდარეო, ტყუილსა ნურას იკადრებ, ნურცა ცუდმადსა, წარეო; ნადირობდენ და ფრინვლობდენ—ყველა ველს იყოს გარეო, და უსიციო და უსიცხო მაშინ მათ ჰქონდა დაბრეო.

### პასუხი ბაზაფხულისა

71. გაზაფხულმან თქვა: ვისმინე თქვენი სიტყვები, თქმულები. ჩემოდნორაზედ ირჯები, მან დამიწყულუა გულები, შენც უგვარო ხარ და შენი საქებრად გამოთქმულები, და ბედაური და ტურფა ვარ, მე მხედავს ყოვლი სულები.
72. ვაგლახ შენ, ერთი რამც ჰგევანდეს მაისში მუტრუეობასა, მინდორსა ანუ ჯერანსა, ენა ვით შეხძლებს მკობასა, თუ ამას რასმე შეუდრი, სრულ მოსთხრი შენსა მბობასა, და შამბში ძრობასა ესე სჯობს, დაეხსენ ტუტრუეობასა.
73. რა დადგეს გიორგობისთვე, კარგად ის გეპასუხება, რა თოვლმან წამოგაყაროს, მაშინ შეგექნას წუხება, პურადობასა იკეები, გაგვარდეს შენი უხვება, და შეგნება სრულად წაგიხდეს, თვალმან დაგიწყოს ქუხება.
74. მაშინვე წაჰხდე, გაკულდე, წახვალ და გავლი კარებსა, რაგინდ რა ბევრი ილაყებო, ჩემთან ვინ დაგადარებსა! არავინ არ დაგიჯერებს სათქმელსა ბიუმხედარებსა, და ბერზედან ყმაწვილს ვინ გასცვლის, ანუ ცოცხალზე მკედარებსა?!

### პასუხი შამოდგომისა

75. შემოდგომამ თქვა: რაც რომ ვთქვი, ვითამ ეგ იყოს, ეს არა, შენის ცუდისა ლაკბითა მე მივხვდი სიიიმეს არა, თუ მე ზამთარი წამახდენს, ხაფხული შენ დაგესარა, და ჭიჭინას დროსა რალას იქ, თავ-პირი ჩამოგესვარა.

### [ბოლო სიტყვაობა]

76. ეს არის მათი ონარი—მათგან თავისა ქებანი, თქვენცა სთქვით, თუ რომელი სჯობს, ანუ გაქვსთ მათი თნებანი უსაქმოს, მოწყენილისა მეტყობის ცულ-ლაყებდანი, და სვედასა, შეკირვებასა არ დაეფანტა მცნებანი.

77. მე ვიყავ უცხო ღარიბად რაჭა ჰქვიან, თუ აგარა,  
 იგ რაშღონ რიგად სოფელმან გული ცეცხლითა დაგარა  
 პირველითგან და ბოლომდე საქმე მომირთო რა გვარა,  
 და გულსა ლხინი და ნიშატი სრულად სამკვიდროს წამგვარა.
78. გათავდა მათი ცილობა, შუღლი, ყარყაში, დაეება,  
 სიტყვა ცუდი ვთქვი, კანონად, ვაი, თუ სასჯელს დაეება!  
 სულის უკერძოს საქმეხედ ეშმაკი მომედავება,  
 და ჩემი ბრალია, სხვათ ვისინი—ჭირნი მრმხვედეს, თუ დაეება!
79. თავი და ბოლო იგ არი—ღმერთი ვახსენოთ ცხოველი,  
 ვინ არის ბრძენი, ჰქვიანი მისი მძებნელი, მხოველი?  
 ვეროსით ვერ მორჩეს ჯოჯოხეთს იგ მისი შეუპოველი,  
 და მისითა მოწყალებითა მეც სინანულსა მოველი.
80. ქრისტე გვიბრძანებს ოთხთავში პირითა უტყუველითა:  
 —„სოფელი თქვენთვის შევაშკე ტყითა, წყლითა და ველითა.“  
 ამით ვიშოვეთ სამოთხე, იგ არ თუ სამოველითა,  
 და ეს წავა, ის ხომ არ გვინდა, მითხარ, თუ რას მოველითა?
81. თვით გვიბრძანებს და ყოველი მისთა წმინდათა კრებული,  
 წინა გვიც წერილთ სიმრავლე, წიგნები გამოკრებული,  
 უკვდავებასა გვაძლევენ—ჩვენ ვიყვნეთ იმედებული—,  
 და რად გვსურის სატანჯველთათვის, რად გვინდა ცეცხლი გზებული?
82. თუ საღმთო რამე მესტბრძნა, შიგ არვინ ჩიხედევდა,  
 რა ეს ლაყაბი შეგკრიბე, ყველა ნახვასა ბედვედა:  
 —„არა ესე სჯობს“, —„არ ესე“—სიცილით ყველა კბედევდა,  
 და ეგების სხვაც რამ ვასმინო—მე ესე მივიმედვედა.
83. ეს უსარგებლო გათავდა, აწ სხვა დავწეროთ-ბოლოსა,  
 სრულ ნუ მიეპყვებით სოფელსა, ცეცხლი არ მოგვებოლოსა,  
 სატანას ხელში ჩაეცვივდეთ, დაგვამხოს, დაგვაბოლოსა,  
 და თუ ჩემიც ცოტა ისმინოთ, სულსა არ დაებრკოლოსა.
84. თვით ღმერთი ბრძანებს, რომელი ამტკიცებს ოთხსავ ყურებსა,  
 თვალს არ უნახავს მისებრი არცა შესვლია გულეგსა,  
 ჩანს, სიკვდილისა სასმლითა არვის უშვებენ ულებსა,  
 და ხორცი აქ წინად გარდიქცეს, ზეცას წავგვისზმენ სულეგსა.

85. რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადავე?!  
გლახ, ლახვარი სასიკვდილე ყველა მე მქარ, დასად ავი!  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად ავე?  
და სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად ავე?
86. სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოაწივე,  
ვინცა შეგქმნა, ნან შენ გიყოს, რაცა იგმზე მოაწივე,  
მოგვედე—მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,  
და მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მო, აწი, ვე!
87. მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერვე თვალთა ჩენა,  
რად გინდოდი სასიკვდილე? შენ მალირსე არ დარჩენა!  
არ გპართედა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,  
და თავიდაღმე სრულ ბოლომდე ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა.
88. მე ეხედავდი ღმერთსა, ჩემსა სრულად ქირად გარდაცვლითა,  
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა,  
მივემგზავსე მე ფრინველთა, იგ მხარ-ბოლო დანაცვინთა,  
და მედებოდა ცეცხლი ცხელი, ვიწვებოდი მგავსად ცვინთა.
89. ბედი ანუ სვე-დოვლათი იგ ბოლო ეამ გამეშალა,  
ვთქვი: გავშიშვლდე სოფლისაგან, ტანსაცმელად მამე შალა,  
ყველა აქა ვერ დავწერე, რომლის საქმით დამეშალა,  
და წამლად ვიწყე მარტო სევდით, არამც კეჟა ამეშალა.
90. ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს—სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად,  
რომ ხმელეთსა ანათობდეს, ბოლოდ იქმნას იგ აჩრდილად,  
ნაცვლად ბროლთა-მარგალიტთა მოგვეცემის ქარვა კბილად,  
და გრაკის ხესა დავემგზავსნეთ პირველ ნორჩი, ალვა ზრდილად.
91. ეა, თუ მიწყინოთ ყოველთა სოფლისა სიყვარულითა,  
იგ სოფლიონი ბრძენნი და ან ვინც უბნობდა სულითა,  
ყველა სწუნობდა სოფელსა, არ გასაზრახოდ,—გულითა,  
და არ ვიტყვი: სრულად გაუშვით, ნუ გიყვარსთ სულ-წასულითა.
92. სიტრუე ანუ სიტყაფე სხვაცა ვთქვა ერთი მისი და,  
მუხთლობა არის თავიდან სულ მისი დასაწყისი და,  
ზევად გასულსა ქვე დასცემს, რომ ძმაცა იყოს, მისი და,  
და ანაზად, მოულოდნელად ბნელად ქნას შენი ღმერთი და.

93. შოთამ თქვა სწორად მიდგომა მზისაგან ვარდთა, ნებვისა, მისგან ბოლომდი გატანა—თქვას—ვინცა დაიკევისა! ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მებისა, და მას დაუღუპდეს ბავენი, ველარვის შეუქებისა.
94. ტახტი იმას არ ღირსიყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი; იგ ანაზღად გარდმოაგდოს, აღარ იყოს მისი ჩრდილი, მისად ნაცვლად დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი, და სკორემანცა დაიწუნოს ზედ საჯდომლად ამოზრდილი.
95. ამდრნად როგორ გვიყვარდეს ჩვენთვის ამგვარად მტერები, ბოლოს გააგდებს ყველასა, რაზომცა ზედ ეკერები, მარტო რას გვარგებს ხორცი და თუ სულსაც არ ეტერები, და იგი დაადგრეს უკვდავად, ჩვენ ვიქმნათ მონამტერები.
96. ან ადრე დაგვხოცს უდროოდ ახალსა მოუწევარსა, ვარდსა დაგვიტკნობს უფრტკენელსა, შეგვიქმს ბედისა მწყევარსა, ვერ მოურჩებით მართ, ვითა კურდღელი მალსა მწევარსა, და ვხედავთ და არ გაუტეხილვართ იგ მისგან მოსაწევარსა.
97. თუ გრძლად გვაცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა, რაც გვიყვარს, თვალ-წინ დაგვიხოცს სულთაგან უკეთესებსა, ცეცხლსა შომგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კვესებსა, და ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჭირთა და სულთქმა; ვაება კვენებსა.
98. ამას გვიზამს, და სხვაცა ვთქვა მისგან ჩვენზედა ქმნულება, ესრეთ მოგვშლის და წაგვანდენს—არ გინდეს სულთა დგმოლება, იგი უებრო, უსწორო, უშვერ ჰყოს ქმნულ-კეთილება, და იგ მისგან ერთიც არ მორჩეს გული უწყლოლო, ულება.
99. ან სიკვილის მიგცემს ანაზღად, ან სიბერესა ძნელებსა, პირსა თვალურებრ გაესილსა არმურსა დაგვდებს ბნელებსა, ეგრე უებრო მნათობსა ვერ ექოს ბრძენთა ენებსა, და ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქმს მოსაწყენებსა.
100. თვალთა დააკლებს ნათელსა სოფლისა მაშენებელსა, წარბთა მშვილდღლებრ მოხრილსა, მიჯნურთა მახელებელსა, შავთა წამწამთა ნარგისთა, მკერეტელთა გულსა მხებელსა, და გააყრევინებს, წაახდენს მნახველთა ცეცხლთა მდებელსა.

101. პირსა დაუქნობს მნათობსა უთეთრეს ზამბახისასა,  
ლაწვისა ჟეროვნებასა ვარდულებრ გაწილისასა,  
წახრის და მოსდრეკს ლერწამსა ტან-სარო აღვის ხისასა,  
და დაადუხჭირებს ჯავარსა სანდომად უსულისასა.
102. ბაგეთა მოჭშლის ეგეთსა—უკვდავებასა ღიმობდეს,  
კბილთა წახდენს—მათანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,  
თმას ამბრის ფერთა კოკამდი, რომ გიშრის ტევრად ხშირობდეს,  
და გაუსპეტაკებს თოვლურებრ, იგ ველარ ამბრად ძვირობდეს!
103. ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები,  
აწ ამაშიგან ვითმც იქნას გული არ დასაკოდები?  
ერთ დღე ვიცინოთ, მით უნდა მრავალ-ყამ ვიყოთ მგოდები,  
და ბოლოყამს ისევ სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები.
104. ჩვენთვის დაბადა სოფელი მან, ყოვლთა არსთა მბადემან,  
ესეც ჩვენ მოგვცა, სიმართლით მუნცა კეთილთა მზადემან,  
სრულ ვერ გვიშოვნოს წარმწყმედად ბოროტთა მოსაწადემან,  
და ვერ შეგვიმწყვდიოს უხსენელად სრულად ცოდვისა ბადე მან.
105. მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთიერები,  
ესრელ ვიხზაროთ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები,  
არა გვიდგს სული მოკვდავი, პირუტყვებრ გასაქარევი,  
და ოდეს ეს ხელთა გაგვარდეს, მუნ არ დაგვენშას კარები.
106. ეგ ღმერთმან იცის, თქვენთვის ვწერ საკეთოდ, არ თუ ზიანად,  
არ ვიტყვი მე, რომ კარგი მჭირს თავისა გასაზვიანად,  
გვიბრძანებს: „ჩვენი სავაქრო დადევით სარგებლიანად“,  
და არ ვიქმნე მონა მედგარი, განხდილი დასაწვიანად.
107. ზოგი დავწერე სახუმროდ სალხინო საკამათენი,  
ბოლოს ცოტა რამ საწვრთნელი სულისა ვასანათენი,  
მცირე, რაც მქონდა, მიძღვნია, არა ვარ ბრძენი ათენი,  
და ყველამ შენდობა მიბრძანეთ, წყალობა მიყავთ ათენი.
108. ღმერთო, რომელი უმჯობეს იქ თვითვე შენგან ქმნულეგსა,  
რისხვას აყოვნებ ამისთვის, მოაქცევ წარწყმედულებსა,  
ნუმცა მეწვევის ბოროტი მას დღესა დაუსრულეგსა:  
და იგ მოტყინარე მახილი კარსა ნუ დამიგულეგსა.

## მაჯამა

[შისავალი]

1. კვლავც მიტყვას: სრტყეა უქ'ისა პატიემან შემაშინაო, ყოველი განვლით სოფელსა, არეინ დაკრჩებით შინაო; სულის არ განსხვეწებულო, მსგავსად პირუტყვთა ფშვინაო, და კარი დაგვეხმას სასძლოსა, გვესმას: „ნუ მოხვალთ შინაო“.
2. დექსათა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული, მომინდა წერა აჩისთვის: არ იქმნას დავიწყებული; კაცი ბრძენი და გამგონი, ვინ იცის, შეხედეს სწრებული, და ცუდად არ წახდეს ნაშრომი, დაშვესოს ცეცხლი გზებულა.
3. სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“—შეყრილად ითარგმანება, წიგნები გამოკრებულნი, იგ ერთად მოიხმარება; იკითხვიდნენ და თარგმნიდნენ, ლხინი ვერ შეეძარება, და გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაეგანება.

### 1. მჟე ცუდ მაშვრალობს

1. მზე ცუდ მაშვრალობს. ვერ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა, სხვამ, შენგან კიდე, სამყარო ვინ გაისახლა, ისარა? მელნისა ტბამან გიშერი ტევრად გარ ივლო, ისარა, და მუნით მკრა გულსა ტყეექმნილსა, გლახ, ზემან მშვიდლმან ისარა.
  2. თქვენ მხესა სწუნობთ, მე მას ვეჟე, ეჭლსა სხვა ვინმე ისარებს, ეგ ცუდად ჰვანტავს სხავთა და უკეთ ანათებს ის არებს; მელნის ტბა ტევრად გიშერსა გარ შემოივლებს; ისარებს, და ესერის მკერეტელთა გულებსა. ეკალმუხისა ისარებს.
  3. გული ქმნილა ნარგიზთათვის, გლახ, ლახვართა ასახებლად, ვერ ძალედვათ. თვით რად ხელჰყვეს, მაჰ, მნათობთა ასახებლად; მით იძლიენეს, მოიკიცხეს, ედემს ნორჩნი ასახებლად, და მსურის მოითვიქ გაჰოა, ხელქმნა, ვიწყო სულთქმა ასახებლად.
  4. ვერ გაქვს ბრძენთა კრებულმან, უტყე იქმნეს, პირი დაეყო, ციერთ მიელო ნაიელი სრულ შენგან, არ თუ და ეყო; გაუჩნდებოდა სიტურჟე ვარდს შენთან ხანი დაეყო; და გლახ, ჩემთა ცრემლთა ნაკადი, ვფიცავ, სოფელსა დაეყო.
- 3 თეიმურაზ I



## II. შენთვის ხელმან

1. შენთვის ხელმან, გლახ, უშენოდ მოთხარ, მზეო, იამოს რა?  
შენმან ეკრე სიტურფემან ვარდი მოკლა, ია მოსრა,  
წარბ-წამწამმან გული კრული პირველ მოწყლა, მერე მოსრა,  
და არა ჰგეგხარ ქვე-ნამყოფთა, ზეო იწყევ ბარე მოსრა!
2. ერთი სული მაქეს, სიკვდილო, მოყვრისად შემიწირავსო,  
სხვა შენთვის ველარ დავბადო, ვერ მოგცე -ნუ გიკვირავსო!  
იგ ა'ს პატიყთა ნიზეზი, სად ვარდ ქვეშ ბროლი სჭვირავსო,  
და სული მას მიჰყავს, არ ვიცი ჩემთვის რა გაუბირავსო.
3. ყვაყჩოს უთხრეს ყვავეილთა: „რადგან შენ გვეგობხარ ფერადო,  
სუნი არ გიდის სურნელდ, ეგ საყვედურად გქე რადო?“  
თქვა ტურფაჲ ვინჲე გაწყრომით: „მიბრძანე, მეგეგხარ მე რადო?“  
და სუნი წამართვა, დამადლო ლახვართა დასაძგერადო.“
4. თავმან შენმან, რისხვა უნდა კადრებისა დაუბალსა,  
მაგრამ რა ვქნა, სხივთა ცეცხლსა სრულ ღაუფევას გული აღსა!  
დაუქოივარ აღპასისა, შისდგომია დანა ძვალსა,  
და თუ არ მიხსნი, შევდგომილვარ მაჯნუნისა მე, გლახ, კაკუსა.
5. შენებრ ნაყოფი უფალმან ხამს ედემს თვით რგოს, მან ასოს,  
ყანდაარს ნირი შაქრისა, ვარდმან-ბაგემან დანასო;  
მუნით ნაკადი სიტკბოთა უკედავ ჰყოს, ვისცა მან ასოს,  
და ისწრაფის ყოველი მიჯნური, ვინძი, ახიოს მან ასოს.
6. გრძლად მატირა საწუთროჲან, ცრემლით ღვარი დამელია,  
მიჯობდა, თუ სიკვდილისა, გლახ, სასწელი დამელია;  
მომაძულთა თვისთა ტომთა. ძმა არ მაძმო, და მელია,  
და აწ, სოფელო, ვარდთა ზრობად მოვაო, რადგან დამე ღია.

## III. მზე უნათლე ჰქმენ

1. მზე უნათლე ჰქმენ, ეტლსა ჰზი, შუქნი კრთებიან სადარი,  
ამად ეტირ, მაგრამ რაზომ ხამს, ევზომი ცრემლი სად არი?  
ვარდსა მისტაცე შევენება, ბადახშანს ლალი სად არი?  
და ბროლსა სცვენ ძოწნი. ბაგენი, ფერად არღაჯნის სადარი.

2. — ბრძენთა მოვასხამ საქებრად დიონოსითურთ კრებულად,  
მაგრამ ვით ხელჰყონ, მზე ნახეს თვით შენგან ნათელკლებულად!  
ბაკნი მოგიძღვნა მთვარემან, განახა უმეტეს ესებულად,  
და გლახ, კმინეთ გახდა, პირს იცა, — მუნით აჩნია ლებულად.
3. გული ნარგისთა ლახვარმან დაჭრა, დახია, ასერა,  
მუშკი ხარ, ზილუი-ამბარი, ნახეთ, რა მიყო ასე, რა!  
წამყამმან ჰინდი ლაშქარი ჩემად კვლად, რისხვად ასერა,  
და მე მოჰკლა, მხეცნი, ფრინველნი ხადილად ჩემზედ ასერა.
4. მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,  
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყრფა...  
რა გაძეყარა მოყვარე, სედავთ, რომ სულიც მეყოფა!  
და გული სავსე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდეც... აღარ მეყოფა?!

#### IV. ტურჯა ხარ მშვენიერებით

1. ტურჯა ხარ შვენიერებით, ტანი მიგიგავს საროსა,  
ვა, შენასთანა მიჯნურსა ვერვინ ეღირსოს აროსა,  
კაცი ხამს შენთვის გაიჭრას და ლბინი გაიშწაროსა,  
და ტარიელს ჰვაბსა ესტუმროს, მაჯნუნთან დამეყაროსა.
2. მისგან გახდეს სულ ციერნი, არ იცნობის დანაცარად,  
მან დამიჭრა გული წამწმით, მოიხმარა დანაც არად,  
სრულად დამწვა სხივთა ცეცხლმან, ლამის ვიქმნე დანაცარად,  
და დამეგრიხა ბედი მრულად, არ ვეკვ, იქმნეს დანაცარად.
3. იაგუნდისა ბაგემან ყირმიზი-ლალი ლეინო სვა,  
თუ ფერად ბაგემ აჯობოს, ამისთვის ჰართებს ლეინოს ვა,  
მე ჩემსა სისხლსა ვწმსგავსე, თურე მინამან ლეინო სვა,  
და კარგს კაცთან ბრძენთა სიტყვასა ვერა სჯობს, იგ სალბინო სვა.
4. ნადიმად მსხდომთა სალბინოდ საქმე გავსინჯოთ სურისა,  
თავის სისხლს გვასმევს სალბინოდ, ესოდენ ჩვენთვის სურისა,  
კაშკაშით გვიტყვის: „მამ თუ არ იგ ჩემი სისხლი, ჰსუ რისა?  
და შემამკობელი ლბინისა და ძალი უსუსურისა.“
5. უწყის ღმერთმან, ვერა ვბედავ ქვეყნად შენსა დანამგზეყსა,  
დაუწვივარ იგ უწყალოდ ცეცხლსა შენგან დანაგზეყსა,  
გულისათვის დასალახვრად ჩემკენ წამწამ დანაგზეყსა,  
და ხამს შივიმართო მაჯნუნისა წანავალსა და ნავზეყსა.

6. მოიგონე სიყვარული შენთვის სულთა განაწირ, ვა,  
კაცს აცხოვნებს სამართლის ქნა, უსამართლო განა წირვა?  
გლახ, ლახვარი სიშორისა ათასი მკრა, გან აწვი რვა,  
და სჯობს დააგზნა სიყვარული დავსებული, და ნამწირ. ვა.
7. გულსა გულზედ მით არ მიცვლი, გინდა რომე მოგცე სართად,  
სულთაც გიძღვნი, უმჯობესი რაღა მოგცე ზედან წართვად?  
არ დაშიკერ ვჰფიცავ ღმერთსა, ცეცხლზედ მივსცე ზედან  
და რართვად,  
და უწყალოდ სვამ სისხლსა ჩემსა, ღვინის ნაცვლად ჰზიხარ წართვად.
8. მარგალიტისა სადაფსა იავუნდი სცავს და ლალა,  
მას გული ჩემი მიჰყიდა ვინდაც, ვინ იყო დალალა,  
მომკლეს, ტირილის სანაცვლოდ სისხლი აქვს ჩემზედ ალალა,  
და ჩემის ღვინისა ყვავილი უმზეობაჲმან დალალა.
9. ბროლ მინაზედან გიშერი, ვარდუნცა თავი მუნ არა,  
სრულ შვენებისა ყვავილი არ დარჩა, შეკრბა მუნ არა,  
ვერსით შეუთელ საკრეულად, ეკალნი დამხედეს მუხნი, ნარა,  
და ზენათ ნათელთა მფლობელმან ამისთვის დაიმუნარა.
10. გულო, ცეცხლი სურვილისა არ დაავსე, შეუთეთე,  
მე მუნ დამწვი, აწ ლახვარი, მგონი, მოგხედეს შენ უმკვეთე,  
გნახე ეგრე შენ უთმობლად, თავსა ხელქმნა შენ უკეთე,  
და ყველა მით ჰქენ, ნახე ვინმე მნათობთაგან შენ უკეთე?
11. გული წამართვი ცნობითურთ, მიფხარ, ნაცვალი მამე რა?  
ვეღარა გპოვე საჩემოდ, გაყრისა სევდა მამე რა,  
უვარდოდ წალკოტისათვის თვალნი რასთვისღა მაუერა?  
და დამწვი და წყალი არ მასვი, დამწვარსა გულსა მამე რა?!
12. ბულბულთა შექნეს ძახილი, აგრე ჰგავს—ვარდმან იშალა,  
გულსა გაჭრა და ხელობა უშალე, არ დიშალა,  
ხამს, თუ მიჯნურმან ტანსაცმლად სტავრისა ნაცვლად იშალა,  
და გლახ, შენმან შექმან მნათობნი არავინ არ იშალა.
13. ვარდი დაქნა, მზემან შეუქი აღარ მისკენ მოაწურვა,  
კრემლთა ღვარა გაუწყვეტლად, ერთხელ არსად მოაწურვა,  
არ ვეწყალვი მას გულქეასა, სულნი პირსა მოაწურვა,  
და მოეშორა რადგან ღვინი—სევდა, ზრუნვა, მო აწ ურვა!

## V. გაბაასიზა ლინისა და გარისა

1. ღვინო ეტყოდა ბაგისა: „სიტყვითა დაგებასო და, ბადანშანისა ლალო და ხაგუნდისა ფასო და, ფერად შენ მჯობხარ, ამით მე ვის ჩემი თავი ვასო და, და გულსა სევდითა სავსესა ზედ ლინი დაგამტნასო და“.
2. ბაგემა უთხრა ღვინოსა: „სიმხიარულეს იქებო, მე სრულად შევწლი მჭვრეტელთა, გულსა ეტყვიან: «იქ ებო!» კაცის გულებსა დავფერავ, აქვენიც დაგაშვენებ კიქებო, და ძოწსა, სადაფსა, აყიყსა, არღავანს გავაქიქებო“.
3. აწ ღვინო-ეტყვის ბაგესა: „ტურთა ხარ მეტის-მეტადო, ვარდი გაყარეს ბულბულთა, შენზედა შეკრბეს ყეფადო; მე კაცს დავათრობ, ვამღერებ, ტვანს გაუჯდები კეფადო, და ვირემ არ უკუვეყრები, ვერ იგრძნან, სმიდენ რეტადო“.
4. ბაგემა უთხრა ღვინოსა: „კაცის დათრობა იქადე, «კაცსა ვამღერებ»—ამისთვის მე დაქარბება მიქადე; მე კაცს სრულ მოვკლავ, საწყალო, ვით ადრე გატყდეს კიქა, დე, და ვერ გამოჩნდები ჩემთანა, სადაც მე ვიყო იქ ადე!“
5. ღვინომ თქვა: „მგონი, ამ საქმეს არავინ დამიწუნებსა, ვერცხლის თასზედა ყირმიზად გარდმოვსდიოდე სურებსა, ვსწყუროდე თუ არ ვსწყუროდე, ყველანი მომიწყურობსა, და მჭვრეტელთა თვალთა და გულთა არარა უტრო უნებსა“.
6. აწ ბაგე ეტყვის: „მგ ქება უკეთ სთქვი, რაღაც ღონია, მაჯითა ჩემი სწორება ტყუილად მოგიგონია; ვერცხლის თასზედა ყირმიზად ღვინო დვას, მზსახლომია, და აწ შე გაიამბო ჩემი ზნე, ეს უფრო მოსაწონია“.
7. თვითრს თასსა წითელი ღვინო დასტურად შეახამებსა, ქვეშ მარგალიტი, ზედ ლალი, სხვას რაღას შეიღარებსა. სანდომად რასმე, ღიმილით რომ გააღებდეს კარებსა, და მისსა მჭვრეტელსა შეაცდენს, ხელსა ვით შეიგვანებსა!

## VI. მხესა შესწრვა მისგან შუქი

1. მხესა შესწრვა მისგან შუქი, ხედავთ, ველარ მონადარა! მთვარე სავსე დარბის, მავრა, ვეკობ, მისთვის მონადარა, წალკოტს ვარდი მის ღაწვთათვის გამოდგების მონად არა, და რად დავგროვდა ჩემთან ეშყი, მისთვის მაქვსო მონად არა.

2. ვერვინ ნახ-ს მისებრ, ვინც ვლოს ოთხივ ყურე მონაკიდე, ოდეს გნახა გაესებული, მთვარე გახდა მონაკიდე, ვით არ დასწვავს სიშორისა' გულსა ცეცხლი მონაკიდე? და ვით, გლახ, ვზიდო მძიჱე ტვირთი, სურვილისა მონა კიდე..
3. შემან მშვილდმან ისარი მკრა გულსა ლახვრად დანასობი, ეგზოჲ დაყო გულსა შინა, რომ მოჰკიდა დანას ობი, ლაწეთა მისთა შეენებოთა ვნახე ვარდი დანასობი, და ველარ ვნახე მთვარე მისგან მონაენი და ნავსობი.
4. დავლე საწუთრო შენებრივ—მო, ის რა ვნახე, ა ის რა! ეს მიკვირს: გული ქვაქჰნილი. ვით ვგრე ერთ წამ ახსრა! მკითხვიდენ შენნი მნახველნი: „თუ არ მხეაო ა ის-რა?!" და მე უთხარ: „მისი სამყოფი მნათობთა გვერდიო, აი სრა!“
5. ეტლი ნატრობს: „ნაცვლად მზისა ზურგზედამცა ის შემასვა, ამად ეტირი, სხიენი ლახვრად გულზე დამცა, ისრად მასვა, მიწყვი მით მთრავს, ათასიმცა სურვლი და ეწყი მასვა, და ვის ერჩიოს სოფელს ყოფა, არ გაიქრას მისთვის—მას ვა.
6. მთვარე ვერ დაგედა'ვების, ვერცა მზე დაგედავისო, მიწა და მტერი რენს ფერხთა თავსა და პირსა დავისო, შენი სხივი და ციციმი გულზედა ლახვრად დავისო, და ცულად გაქებენ თინათინ, ნესტან-დარეჯან და ვისო.
7. რად ვერ ხედავო ბუღბულისა ხელქმნა, გაქრა, განავარდსა? შეუშლია, ყუფს, იძახის, სხვა' არასფერს—განა ვარდსა, თავს ევლების, ზედ დაფრინავს, არ აძინებს, გან ავარდსა, და ვირ არ დაქენეს, თვით არ მოკვდეს, არ იქმს ხელით განაქარდსა.

#### VII. მშუკების ბაგე ვარდი

1. ეშუ'ების ბაგე-ვარდი სისხლი ჩემი მალე სვასა, გულსა დანა აღმასისა სკრის, არ ელის მალესვასა, თვით თავსა ჰყოფს ძოწიულად, დამიმკვიდრებს მალ ეს სვასა. და აგრე შუქმნა მზე და მთვარე, დაუწყებენ მალეს ვასა.
2. ბუღბულის ხედავთ ვარდისათვის ნაეკლეგსა და ნარეგსა, იგ ხელთებრ ყუფა-კენესით აქა-იქი დანარეგსა, თავს დაჰყივის მისსა მკვლელსა, გულსა შინა დანა რგვსა, და იძახის, თუ: „რად ვერ მხედავთ, სურვილისად ანარეგსა?“

3. აწ, ბულბულო, ყველა გხედავს ხელსა, სოფელით განაქერსა,  
ჩაჯდომილხარ ეკალშია, სახლს არ ეძებ, განა ქერსა,  
გვიჩვენებ და შემოგვიჩივს გულსა, ლახვრით განაქერსა,  
და მოგიტან და გაგიკურნებ ვარდსა ზელით განაქერსა.
4. ბრ დაურჩა გულსა კრულსა, რომ ლახვარი მას არ ესვა,  
ეგრე ჭმუნვა, სევდა, ურვა შეუსვენლად მას არ ესვა,  
წყლულთა მისთა საკურნებლად, გლახ, წამალი მას არ ესვა,  
და ეს მიკვირს, თუ, რად არ მომკლავს იგ ეგზომი „მას არ ესვა“.
5. აწ გულსა კრულსა, ხელქმნილსა სევდა უპირებს მორევად,  
რადღა სულდგმულობს ლახვარი, ვითა მუდამა მორევად?!  
გლახ, ცრეულთა ჩემთა ნაკაჯთა, რასდენი დადვა მორევად,  
და აწ, რადღან მაკლო ნიშატმან, მიმიშვით, მივყვე მორევად.
6. სოფელმან და ჟამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,  
ათასი და უშეტესი ჭირი ჩემი განაქა რევა?  
რა ბრალია, შინა-ვარდი ოდეს იქნას განა ქარვა!  
და, ამას ვჯერდარ, მით რომ ერთდღე აღარ მოხვდეს განაქარ, ვა!
7. ანელებდი, ნუ უკეთებ, გულო, ცეცხლსა დანაგზევისა,  
თვარ წინა გიძს მიჯნურისა ხელქმნა, განვლა დანაგზევისა,  
ვერ მორჩებ დაულახვრად წამწამთაგან დანაგზევისა.  
და იგი მითქვას და მის ვიტყვ: ესე სჯობსო დანაგზევისა.
8. რად არ დამკრის გულსა კრულსა აღვასისა დანა ტარით?  
რად არ გიკვირს, არ გავეკრიღვარ სოფლის სიგრცე დანატარით?  
რად ვერ მივხვდი საწადელსა მე სიკვდილსა დანატარით,  
და ბრუნავს ჭკუა ცნობათ ჩემით, ვით დიაცთა დანატარით.
9. თვალთა კვკლუცთა, ტურფათა მე ყმად მიუვალ. მა შენსა,  
ეგ მაშინვე გულსა უწყალოდ წამწამ-ლახვრითა მაშენსა,  
„შენკენ არ მოვიხედაო“—ამით მალონებს, მაშენსა,  
და თუ ფებს არ შემამითხვევდე, აგრემც მაშთხვე მე შენსა.
10. წამწამს მესერის შავი მშვილდი, ის რად გულზედ დაშალემა,  
ესე გვარმან მომიწურაფა სიკვდილისა დაშალემა.  
იგი ნახოს მოვანებით—მთვარეს ჰმართებს დაშალემა,  
და მასად ქებად ბრძენთა ჰმართებს ენა ქებად და დაშალემა.

11. ზედ გარდასდის ბაგე-ვარდსა სისხლთა ჩემთა მონასომი,  
დამეჩნია შავი ისრად გულსა ზედან მონასომი,  
ნახოთ, თქვენცა მოგწონდების ჩნათობთ გვერდით მონასომი,  
და სულ ციერნი დაიპონა, ვით ძალუდევას მონას ომი?
12. მე ვისთვის ვკვდები ბროლ-ვარდი და მისი მონა ვარ დია,  
თვალნი მელნისა ტბას უგავნ ზეციდან მონავარდია,  
იგი აშვენებს ხმელეთსა, მზე ცუდად მონავარდია,  
და მაგრამ მკვლელია კაცისა, შეყრისა მონავარდია.
13. ბროლ-ვარდსა, ტანად საროსა გიშრისა ბალი უშენდა,  
ლაწვთავან ელვა კრთებოდა, მკვრეტელთა ლახვრად უშენდა,  
წიგნი მივსწერე, ებრძანა: „ეს ვით მკადრეო, უ შენ, და“,  
და გულს უთხარა: „თუ არ შეგიყრის, ველად გაიქერ, უ შენდა“.
14. ვიციდომკლავს იგი პირმზე მისთა ხიტბა დანაზარსა,  
ამად, რომე ზარიფია იგი ტურუა და ნახ არსა,  
მეტი რა ჩკყო—თავსა უძღვნი, მოვახსენებ დანაზარსა,  
და მაშინ ვერეთ შევეწყალვი, მიგონებდეს დანაზარსა.
15. მოუკლავარ, ვისგან სხიენი მე შემქნია დანა ტანსა,  
ბროლ-ბალახშთა მარკალიტი ვარდა კვეშე დანატანსა,  
გული მისკენ მიუზიდავს ხელსა, სწრაფით დანატანსა,  
და მისთა მკვრეტთა გაახელებს, სკრის, ვითამცა დანა ტანსა.
16. ნეტაჲცა ვინმე სიკვდილსა მიმცა და არ დამაზარა!  
ლხინის სანაცვლოდ სოფელმან სულ მატირა და მაზარა,  
უკვაილომ და უვარდომ ღვინომ რაც ქნა, დამაზარა,  
და აგრე რამ მოჩანს: სოფელი ზოლოდ მომცა და მაზარა.
17. ხოსროვის ცრემლი ნადენი, კვლავ გაამრავლა—ნიღები,  
რა მუაგუნდის მოყვარე და დღენი წახლომილები.  
ვარდსა ასველებს, ინდოთა რაჲმი ჩანს უნდომილები,  
და იტყვის: „შენვე ხარ სიცოცხლე, გული რაზომცა მილები“.
18. ქირნი მოკლენ მუდამ ჩემთვის დაუკლებრად ამა სალა,  
მოაქვს ცეცხლი ზოსადებლად, მასთან მოაქვს ამას ალა,  
ალმასისა გულსა ფარად ხანს და უნდა ამას ალა,  
და ამისთვის სჯობს ეს მთვარესა, არ აჩნია ამას ალა.

## VIII. ქება და მოკბა ხელმწიფის აღმსანდრკისი

## და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა

1. რადგან არ ვცხრები ქებასა, ვგონივარ ამით მისანი,  
აწ ჩემთა გულთა ლახვარი სათნო მაქვეს სათთა მისანი,  
სიმქლნე შავთა წამწამთა, სისხო, სიხშირე თმისანი,  
და ვთქვა: მისი შუქი მზეს მატობს-წითლითა ათათ მისანი.
2. მეფეთა ქებას ვერ მივხვდი, არც ჩემგან ნოიგონების,  
ია და ვარდი უშუელი კვლავ მისთვის შეიკონების,  
აღმასსაც სჯობსო იმდენსა, რაც ხმელეთს შეეწონების,  
და მისსა მნახავსა უღრუბლო მზეც, აღარ მოეწონების.
3. დაღვიწყდა სხვანი ნაქები, ქება ვთქვა მე აწ ამისი,  
წამ მთვარე არის გაგსილი, მზე ჩახო ფერად წამისი,  
მელნისა ტბისა მორევსა უშვენის მიჯრად წამისი,  
და კრულმც არს მიჯნური, ზინ თავი ამისთვის არ აწამისი.
4. მე მოგახსენებ, ისმენდი ჩემთა ამბავთა სმენასა,  
მისგე ლომისა ქებასა ძლივ ვათქმევინებ ენასა,  
მისგან ელიან მნათობნი სევდისა ამოლხენასა,  
და ვინ გვიან ელის შეყრასა, დაიწყებს კრემლთა დენასა.
5. რა ვთქვა წამწამთა დარახმა, მიჯრით მიწყობა წარბისა,  
ვარდისა ბალსა ელვა კრთის, ზედან ციალი წარბისა,  
მისთა ნაყნოსთა სურნელთა სული გავს განა წარბისა,  
და მისთვის ბნდებიან მჭკრეტელნი, ქვე ყრიან. ვერვინ წარბისა.
6. თმისა ტევრი, წარბთა სისქე-მიჯრით ბალსა შენ იარა,  
სურნელებთა სუნი შენ გდის, დაცასჩაგრე შენ ია რა,  
სხიენი შენნი გულსა ჩემსა მოეფონა შენ იარა,  
და წყლულსა ჩემსა ვინ ჰკურნებდა, მოსწრებოდა შენი არა?
7. მელნისა ტბათა უჩრდილებს გიშრის წამწამთა შენება,  
მისთა მჭკრეტელთა მიხედების ლფათისაგან ზე აშენება,  
მთვარე მზეს ეტყვის: „მჯობია, მოწმობით დართე შენ ნება“,  
და ხამს სამეფოსა ტახტზედა წამ გაუყრელად შენ ება.



8. მოგწონდების დამნახველთა თმა მელნისა და გიშრისა, მიძიძის მისსა მგონებელსა, თვალთა წყარო დაგიშრისა, ჰე, რიტორნო, თქვენც აქებდით, ენა თუ არ დაგიშრისა, და მზე-მთვარეთა სინათლესა ვფიცავ, რომ ის დაგიშრისა.
9. ბადახშნის ლალის მჯობია ყირმიზად გამკვირვალისა, პირშია თეთრი ელვა კრთის უბრწყინვალესი რვალისა. აწ შეფეთ ქებას ვამატოთ, ამისთვის გულმხურვალისა, და გარდამხდომელი მკვრეტელთა ის საწუთროსა ვალისა.
10. თქვენი ნახვა წყლულთა ჩემთა უფრო ცეცხლად მოეკიდა, მოიშალა ბროლის სვეტი, მკერდსა ზედ გარდმოეკიდა, აღმოფრინდა სული, სულსა ჩემი თქვენს გამოეკიდა, და თუცა გინდა ცოცხალ ვიყო—კვლავცა მნახე, მოე კიდა.
11. კბილნი ობოლს პარგალიტსა, ლაწვნი ვარდსა მას არია, ვინ არ აქებს სამართლითა, თავს ეცემის მისარია, სადაცა დგის სინათლითა, აღუვსია მას არია, და ვარდი, ბაღჩა მისისსა, ვერ ედარვის მას არია.
12. ანდამატისა მკერდზედა ბროლისა სვეტი ემართა, იმას უჭკრეტდა თვალხუჭვით, ხედვითა ვერ შეემართა, ნახვად მირბოდენ ტრფიალნი, სხვა ვალი არა ემართა, და მზე მისგან გახდა უნათლოდ, საწყალსა ეს დაემართა.
13. ნეტარ, ვით ვაქო სიტურფე საამო ტანადობისა, მზემ მისთა სხივთა გარდაკრა, იწყო მოტანად ობისა, იგ გატყდა—„მჯობსო“—ნებისა დართო მოტანა დობისა, და საყნოსელთაგან ამოქრის სუნი მო ტანადობისა.
14. მზეო, შენ შენთა მკვრეტელთა ლახვრითა გული სარუა, ჩასდის სისხლთა ტბა ნაკადსა, სიღრმესა, სადა სა რუა, შენებრივ სუნი ყვავილსა ქვეყანად არას არ უა, და ეგ შენი ტანი ზარიფი ტურჟად აღზრდილი სარუა.
15. აღვა რგულა ედემს რწყვითა, მნახავთავის სამოთ ხეა, ნახენ, თვალნი დავიხუჭენ, სიტყვა ძლივ ვთქვი სამ-ოთხეა, გიშრის შუბთა წყლული დამდვეს, სისხლი ველთასა მოთხეა, და არას მოგავს სამყარონი, ედემი,ვერც სა?ოთხეა.

16. ლომთა შენთა შერ აწყულულებ, დაბნედილსა მას კვლავ ვისა,  
ვინ გმირია, მხეცთა მსრველი, იმედი აქვს მას კლავისა,  
წამწამ შენთა ლახვარ შენთა ყელს გამოპხევე, მას ჰკლავ, ვისა,  
და დღისით მჯობი მთვარე მზეთა, ღამე ზუალ-მასკლავისა.
17. ალვისა ხისა ქება ვთქვა ედემში ამოსულისა,  
ბროლ-ლალი, მანა, გიშერა—ფერად, შეხედო—სულ ისა,  
მჯობია მზისა დღისა, მოწმენდით ავოსულისა,  
და შენ ხარ წამალი სულისა, მის ზენკენ წამოსულისა.
18. მეფე ბრძანებს: „მე ესე მზე ღმერთმან ჩემმან დამიბადა,  
მისთვის იყო შესაწირვად, რა მიბოძა და მიზადა,  
გულსა კრულსა მახე უდგა, შეცაიპურა, დამიბა და,  
და სახვეველი სათხვევისა გარ მომიღვა“ და მიბადა.
19. ესე არის ზეციერთა, უნათლესი სამყაროსა,  
თმა ტევრი და შუბლ-ფიქალი, კლდსა ტრნო სამყაროსა,  
ქება მესმა, სახლით ჩემით სწრაფად ლამის აწყაროსა,  
და არას მიკვირს მისნი მკურეტი იმან დაასამყაროსა.
20. ნეტარძი, ვინ მისი მსგავსი სად ვინ პოვოს და რანიცა,  
მისგან შეენის მთა და ბარი, დარი დარობს, დარანიცა,  
მისგან ნათლად არა აჩნდეს, არ იპოვოს დარანიცა,  
და მჯობი არის ყოვლთა სულთა და მინახავს და რანიცა.
21. აწყა მე ვიწვი ამისთვის. ვინ თავი ელვას უდარა,  
ქვეყნად არ არი მისთანა, ნურცავინ აქებთ ცუდ არა.  
მზე აღობარწყინდა უღრუბლოდ, სულ მორთულს ხმელეთს უდარა,  
და მისთვის ვერწი—არ მომიძულოს, თორ მომინდების სუდარა.
22. მას, პირმხესა, შეუქნია ხმელთა მნათი მისად უდრად;  
შეკრებულა შუქი მზისა, საქებარად იმას უდრად,  
შვევხეწით გაიღიმოს, არ გაგვხადოს ხმელი უდრად,  
და მან არა ჰყოს მის ხელქმნილი სატირალი, შესასუდრად.
23. მინდოდა ქება-ქებასა სხვანიცა ბევრი წამერთო,  
არ დამაცალე სოფელო, კრულო, მოკლევ და წამ ერთო,  
შენგან დამება გონება, ტკბილი სიტყვები წამერთო,  
და მინდოდა ცრემლი ზღვათათვის ჩემი ნიადაგ წამერთო.

24. დადნებოდა გული კლდისა, თუცა თქვენკენ არ იარა, დამიღვრია ცრეული ველთა, არ დაურჩა არი არა, სევდა ეცა გონებასა, ძხელ ჰყრობილი არია რა, და ამაღ ვტირი, ხელი თქვენი ბაღსა ჩემსა არ იარა.
25. ვინ მზეს ნახავს, მას დასახავს, იტყვიან, თუ: „აღვის ხია,“ მუშკ-ამბრისა სუნი მას დის, მგონი, ყველა ზედ ასხია, ეხვეწების ცისა მნათნი: „შენნი შუქნი გვავასხია“, და ეგრე ბრძანებს მის ხელქმნილი: „სისხლი მისთვის დაეასხნა“.
26. ვეღარას მივხვდი, თუ ქება ჩემგან ითქმების და რითა, შე ვიღვრებოდი ცრემლითა, აროდეს ვიყავ დარითა; იგი აკრთობდეს ელვათა მისსავე მზისა დარითა, და ნურვინ ეცდებოთ, შეგნება ვერავინ შეუღარითა.
27. რა მომაგონდის იგი მზე, მდინდიან ცრემლინი მწარენი, მისგან მომიხდა პასუხი ტკბილნი, არ საწყინარენი, უსულოდ ვიყავ უმისოდ, რაც ხანი წავიარენი, და მან მომაღხინა, ვისი მძლევს მე სუფთა არე-მარენი.
28. თეთრსა ბროლისა ფრქალსა ინდრთა რაზმი უშენდა, მელნის ტბისაგან ლახვარსა მკვრეტელთა ისრად უშენდა, ქება ვერა თქვეს მეტყველთა, ენა რაზომცა ჯუშენდა, და გულო, სიტყვასა ამოკლებ, უწყი განმრავლდა უ შენდა.
29. მზემ, მთვარემ და ვარსკვლავებმა ქება წართქვეს სანქმა რისა? მათ პირველთა ქება თქმულთა ხმა დაიგდეს სამარისა, ნუმც გავხდები უიმედო, ღონეე, შენის ამარისა. და გვაჯები, არ მიჩვენდ იწრო კარი სამარისა.
30. მისთვის ვკვდები, რომ ყუველგან სიკეთის ხმა მას უდისა, ნუთუ მასვას უცდავების წყარო, სადმე მას უდისა, მისგან მოდის სურნელება, მუშკ-ამბრისა მას უდისა, და შეყრა, მიღირს ყოვლს ქვეყანად მას უცხოსა, მას უდისა.
31. მისგან მეტი ბრწყინვალება ყველა წართქვა, რაცა სჭირდა, მან შუქითა დააბნელა, უნათლობა მწვე მისპირდა, სხვა, მთვარისა ნავანისა, მას სინათლე არ დასჭირდა, და შეცაემკო ბროლის ბაღი, თეთრი ელვა გამოსჭვირდა.

## |ბოლოსიტყვაობა|

1. არ მომეწყინა ლაყაბი, ეს უსარგებლო სულისა,  
სხვად არას მოსახზარისი, ოდენ ჩანს სიბრძნე გულისა:  
ლექსი ჩევი სჯობს გვირად და ტკბილად სასმენლად ყურისა,  
და მაშინც რუსთველსა აჭებენ, მე იმან გამაგულისა.

გათავდა წიგნი მ ა ჯ ა მ ა, ლექსი აქა-იქ თქმულები,  
სასწრაფოდ უბეს საღები, ან სარტყელს ჩასარკმულები,  
იახტანს თანა სარონი, გვერც თასი, ღვინო, კულები,  
და ყოვლის წიგნისა უმცროსი, ჩანს მათი უფლისწულები.

სასწრაფოდ

## წამება ქეთევან დედოფლისა

1. ღმერთო ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაქცეო, ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო, ზოგჯერ ჭირს ლხინად. ლხინს ჭირად შემცვლელი, გარდამაქცეო, და არამცა მამცე სოფელსა, მტყუანია და მაქცეო.
2. ფათერაქია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება, ფერობა, ბრუნა, ჩვენება, წესად სჭირ ცალის წამება, ფრთინვა ვისცა აქეს შვებითა, ბოლო მისთვისცა წამება. და ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ, ამად არ მექმნას წამება.
3. თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა, უფროსად ღმერთი აღიდოს, სხვა არავინ შეიწყნაროსა, უხვებით მისცეს გლახაკთა, საუხუჯე შეიწყნაროსა, და უქმოვრიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა.
4. ქემმარტი შენ ხარ, ვინცა ერთი რჯული გაათასე, ჭრელად ენა შეურიე, იგი გაყვენ დასად-დასე, ჭკვიანი და გონიერი ერთმანერთსა გააბასე, და ქმუნვით ქებას მით შევასხამ, მკცნიერთა მწყობრობა დასე.
5. იესოვ, შენ გვედრები, მარამ ქრისტეს დედაო, აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია—ამაზედაო, ფრიალნი სევედა-ნალეელი დამერთო ზედი-ზედაო, და იმ თქვენი ღეთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო!
6. ღმერთო, რომელმან განაგე საქმე სიბრძნითა შენითა, შენ განაწესე ყოველი გული სიღრმითა თმენითა, მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა, და ღირსმყავ ცოდვილი მე ესე, რამ მათქმევინო ენითა.
7. ეს ამბავი მისი არის, ვის უხმობენ დედოფლობით, თავი მისი ქებით წერეს, ოდეს იყო ხმელთა ფლობითა, აწლა ბოლო შემოკლდების, გავერივე მეცა ფლობით, და დმერთო ჩემო, გვედრები, მაწერინო ხელ-უფლობით.

8. ოდეს მიენდო შაკ-აბაზს კახეთის დედოფალია,  
ვით მარგალიტი უსახო და უსასყიდლო თვალია,  
ადრითვან ქებით შემკული, ნათქვამი ბრძოლ-ფიქალია,  
და მისთანა არეინ შობილა არცა ყმა, არცა ქალია.
9. მან უძღვნა ძენი ტურფანი ალექსანდრე და ლევანი,  
კვლა ძენი თავადებისა, მზეს მათვან ატყდეს ლევანი,  
რომ შეეწყნარა კახეთი, არ ექნა მათზე ძლევანი,  
და არ გაუგონა, ეწადა მათი სისხლისა ლევანი.
10. იგი ყველაა წაუხვია, არ იყო მადლთა მძღვეელი,  
გაწყრომით იყო დიადად, მოტკობას აღარ მოველი,  
ბრძანა შესხდომა, აიესო ლაშქრით მინდორი, ტყე-ველი,  
და გაუშვეს, ყოვლგნით დაფანტეს მელაფე და მრბვეელი.
11. დაარბივეს, ამოწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი,  
შირაზ-შირვან-ხვარასნელი შიგ ჩაუშვა მან ლაშქარი,  
სადაც ვინმე გარდებევწა, ან მოურჩა, მგონ, აქ არი,  
და სხვა დახოცა, დაატყვევა, წამოვიდა, ვითა ქარი.
12. ხელ-შეპრობილი დაგდო იგ განჯას პატიმარია,  
სადა ჰყვა ხელმწიფე-შვილი, ანუ მხლებელთა ჯარია,  
რომ მის მცველებზედ ეხმარა თავისა საკვეთარია?  
და ბორკილიდალმე აეხანა იგ ყოვლთა საქებარია.
13. კვიპაროზისგან უმაღლე თავს ხედაცს ამა ყოფითა,  
უნავთო ნიეთსა შეეხო ნიეთისა კიდუ ყოფითა;  
მან ცრემლთა მომატყეველი საქმე ქნა განაყოფითა,  
და ვითა ზეყვისსა შეყროდეს, არ ხანი დანაყოფითა.
14. არ დააჯერა ამასა მძღავრმან უწყალომ მეფემან,  
ქრისტიანეთა მტანჯველმან უბრალოს სისხლთა მჩქეფელმან,  
ეროდისა წილ მჯდომელმან, არ ლმოზიერმან სეფემან,  
და მან არ შესცვალა მცნებანი სურვილთა მოიფემან.
15. რაღას გავრძელებ, გაგზავნეს ქვეყანას შირაზისასა,  
ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა მზისასა,  
თვალთა სინათლის სანაცლოდ, შეიღებდა სკვრეტდა მისასა,  
და ეგვატეს ყოფნა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა ძისასა.

16. არა საქმე არა ჰქონდა, იგი ზარდა წელსა ხუთსა, მსახურების, ვით საწუთრო ხელმწიფესა დანახუთსა, მათის ქვერეტით იბრუნევის სულსა ყელში დანახუთსა.  
და სხვას წაძალსა არ ეძებდის, არ ფაზარსა დანახუთსა.
17. ხელმწიფისაგან შეესმა ბრძანება უფრო წყრომითა:  
„აქა მომისხით ორნივე, მან არ იბაროს რომითა.“  
ვარსკვლავნი უკუეყარნეს, მთვარე შეიქნა ცხრომითა,  
და უნდოდა თუმცა ეშოვნა გზა ქვესკნელს ჩასაძრომითა.
18. მე ვითა ვთქვა უებრომა. მონადენტა ცრემლთა ხრანი, პირსა ხოკით, ლაწვთა გლეჯით, იქით-აქით ხელთა ხრანი, გულსა სევდა შემოაწვის, ამოკენესით აოხრანი,  
და იტყვის: „ღმერთო, ეს რა მიყავ, მომივლინე აწ, ახ, რანი?!“
19. ორთა საფლავთა დასძახდა, მიუჯდა ცრემლით ახავი:  
„არ გებრალეები, ხვარამზე, გაძღლო, ამ დღის მნახავი?  
მიწვივ ცრემლ-შეუშრობელი, კირსა კირზედა მსახავი,  
და ამ სოფლისაგან გარჯილი, ნიდავ მიხი მძრახავი.“
20. ვა, თქვენ იყვენით აქამდის ჩემის გულისა მდებელნი, წახვედით, მარტო დამაგდეთ, სულ ქვეყნის ცეცხლთა მდებელნი, თვალთა წამართვეს სინათლე, დაბნელდეს ცადა მდებელნი,  
და არ დარჩა სოფლის სასჯელი ჩემზედა მოუდებელნი.
21. ახ, წავეხე, ახ. დავიკარგე, პირსა სად მოველ ზღვისასა, აჰა, ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა, სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა ვარ, სხვისასა,  
და ვა, აღექსანდრეს გაყრილსა, ვერ მქვერეტსა ლევანისასა.“
22. მას უკანის აღარ უნდის მთვარისა და მზისა ნახვა, ხელთა ჰქონდის გაუწყვეტლად ტირილი და მუდამ ახვა, ილოკვიდა, იმარხვოდა, მოიჭირვა რჯულის ნახვა,  
და ღვაწლი გარე მოიზღუდა, ეშმაკისა არ ჰყო ზრახვა.
23. რაჟამს შეიქნა უმანკო მუშაკი სათნოებისა, ნესტესა ეყნოსა დუჭილით საზომი სიწრფოებისა, სვინდისი თვისი განწმინდა. კდემა არ ეპოებისა.  
და აზად ამ წიგნსა სახელად ემპლასტროს ეწოდებისა.

24. დღე და ღამე გაასწორის, ლოცვა ჰქონდის, წიგნის კითხვა,  
ვევდრების შემომქმედსა. უნდა მისგან განაკითხვა,  
არ შესცვალის სჯული მისი, მოიგონის განაკითხ, ვა,  
და შევლთ ამბავი ენატრების, არა უნდა მას სხვა კითხვა.
25. „სამას სამოც და ხუთი დღე რა ერთ დღედ შეიყაროსა,  
საყვირთა ისმას მაშინ ხმა, სამკვდრეთი აიყაროსა,  
სული უოველთა იქ შეკრბეს, სოფელმან გაიყაროსა,  
და სულსა რას ვაქნევ, თუ შეილსა მაშინც ვერ შეეყაროსა.
26. ჰო მე, რა ცუდათ დამაშრო ზრუნეამან ამ სოფლისაჲნ,  
ჰო მე, რაღა ვქნა ვარჯილმან, ნატრულმან სამოთხისამან,  
ჰო ჯოჯობეთის მლოდნელმან, შიშმან და ზარჲან მისამან,  
და ჰო მე, რითა მაქვს იმედი, რომ გამომიხსნას ისამან?
27. კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისთანაც არსა,  
კერპობა, ზაკვა, მრუშება, სიძვანი მისთანაც არ სა?  
კვლავ სარეცელსა აღტობდეს, მოზღლდეს მითა ნაცარსა,  
და კრულია მწიკელის მოყვარე, ვა, რა იქს მისთა ნაცვალსა“.
28. მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალთა ნათელი,  
სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ჰქონდეს ნათელი,  
ბაგე და კბილი მოსლოდეს, ძოწ-მარგალიტთა ნათელი,  
და აწლა ისმინეთ სხვადა ვთქვა ხელმწიფის შემონათვალი.
29. რა შაჰ-აბაზ შეუთვალა შირაზისა ხალარ-ხანსა:  
„შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა,  
ვირ არ შეგვგამ სისხლსა მისსა. არ ავილებ დასტახანსა,  
და წელსა ათად გაავათაგებ, მოვიგონებ ხანდის-ხანსა.
30. თუ მუსტრამანი შეიქნეს ეგე ლაღი და ჯანია,  
მაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია,  
მე მურთუხალი მიფიცავს, არ უყო ისკანჯანია,  
და არა გმოს იესო ქრისტე – მიეცით დიდი რჯანია“.
31. იმამ-ყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,  
მეტად ვაკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრონია?  
ვიცი, რომ არ ვათათრდების, თუცა არა აქვს დრონიფ,  
და თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“
9. თეიმურაზ I.



32. შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,  
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი,  
ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი,  
და სამს თვესა არ გაუცხადა. ამისი ჰქონდა ჩენანი
33. ვით უამბო, ვით შევკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა,  
მე მინდოდა სამსახური, არ უძახდი განაბარსა,  
არ ვისმინო, რაღა უყო ხელმწიფისგან დანაბარსა?“  
და მოციქული გაუგზავნა, არ უვლიდეს მთას და ბარსა.
34. უბრძანა, თუ: „იახელით, მოახსენეთ მზისა პირსა,  
არ იქნების, თუ არ გიზავთ ხელმწიფისა დანაპირსა,  
ნუ გძულს რჯული მაჰმადისა, იგი მოგცემს ენა-პირსა,  
და მორევშიგან ჩანაქერი, გაგიყვანოს შენ ნაპირსა.
35. რჯული ეს არის, გვიპირავს მაჰმადის დანაწესია,  
შენცა მოიქეც. გათათრდი, ვითამც არ უარესია,  
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწ ესია,  
და სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია“.
36. მაშინლა შეკრთა, რა ესმა მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა,  
ბრძანა: „თუ რჯული დაეგდო, რას მიწუქეებენ დარესა,  
პატივსა ვინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორ უპოვარესა,  
და ან ვინმე ჩემსა საქვიდროს მიმიშვებს, მიმაკარებსა?“
37. ილოცავს: „ღმერთო, შენ გაცნობ უცნაურ, უხილველსაო,  
სასწაულებსა, ნიშებსა ვერ ვიტყვი საკვირველსაო;  
ჰე, ბრძანებითა შენითა შესძრავ კლდეთა და ველსაო,  
და შეარყევ სრულად ხმელეთსა, არ შესკელი საფუძველსაო.“
38. „გვედრები სამებასა, ერთარსსა და თანაარსსა,  
შენგან კიდე საესავი არა ვიცი სხვა რა არსა,  
სული ჩემი შეივედრე, ხორცი უწყი სადა არსა,  
და აწ გაბრიელ მომივლინე, სულთა მცველი. განა არსა!“
39. „ძლიერო გილადადებენ ორღანოთა და ებნითა,  
ქნობითა ინდაურითა, სიტყვითა ბერძნულეზნითა,  
ძლევით გაქებენ ქადაგნი, რომელ ებრაელებნითა,  
და ძლავიც შენ ათას სახელი, შენ რა გაგივა ქებითა!

40. „უცხოოდ რამ შეეშინებულვარ მძლავრთა ჰაერის მცველთაგან, ჩემისა აღსასრულისა ძნელისა სატანჯველთაგან, ეჰა, გაბრიელ მთავარო, ნუ განმიშორებ ხელთაგან; და წამებულნიცა და წმინდანო, გამთამიხსენით ბნელთაგან.“
41. „ჰე, მეუფეო. გვედრივარ მერმესა მის აღდგომასა, ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მაჯჯვენით დგომასა. იოვანე ნათლისმცემელს, ან მიმბარე თომასა, და დედაო მაცხოვრისაო, მიშწიე ჩემსა ნდომასა.“
42. „ვარ ქეშმარიტად მოსავი შენის უბიწოდ შობისაჲ- შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად შობისა, ანასებრივი ნაყოფი ვერამ სულდგმულმან შობისა, და აწ შემიწყალე მორწმუნე აღდგომისა და შობისა.“
43. „ხამს, ღმერთო, ყოვლმან სულდგმულმან ცოდვა შენ აღგიაროსა, აღსარებითა გადიდებ, მართ დაგივიწყებ აროსა, რაჟამს განახენენ წერილნი, აღარა დაგეფაროსა, და მაშინ მოხხედე წყალობით, რა შიშით დაგეფაროსა.“
44. „ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლების ენითა, ჩქერითა არ შესწორდება მდინარე, არცა დენითა, ჩემს მეტს მოსაგესა ნუ უყოს, მე ვარ რასაცა სენითა. და ჩემი განკურნე წყლულება, უფალო, მიხსენ ღებნითა.“
45. „აქამდის, სოფლის ნაბრძოლი ტვირთი ცოდვისა მეკარსა, აწ ტვირთი შენი სუმუქ არს, სმენაცა შენი მეკარსა, სარწმუნოებით ვეძიებ, პეტრეჲ, სამოთხის მე კარსა, და როშე წყალობით გამილო, ამისთვის ვირეკ მეკარსა.“
46. „რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა, სასწაული შოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა, ზვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა, და დეაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა“.
47. რა ესე თქვა, შეემთხვია, ქრისტეს სისხლსა ვზიარა:  
„მგუფეო, გათათრება ჩემი იყო წესი არა,  
გვედრები სული ჩემი-ეშპაკს მისცე ესე არა.“  
და პირსა ჯვარი დაისახა, გავიდა, თქვა მეტი არა.

48. მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია,  
 ყოლ არად უჩნდა სასჯელი, თუმცა არს დიდი ჭირია,  
 ბრძანა: „მოვიდენ მტარვალნი, მათაც ჰყონ ერთი პირია,  
 და რომ ჩემი სისხლი იძებნის, ღეთის წინა ამას ვტირია!“
49. მივიდეს მაშინ მტარვალნი დედოფლის დანაბარები,  
 მოიღეს ქალფათინები, შამფურები და ბარები,  
 ვა მაშინდელი სასჯელი, ვითა ვთქვა საუბარები,  
 და ხორცი ცეცხლთ მისცა, სული აქვს ანგელოზთ მინაბარები.
50. პირველად ცეცხლთ დააგზნეს, მაშინ ჩაყარეს რკინანი.  
 მაშინ რალაცა მოეხვნეს საწველნი სისხლთა მდინანი.  
 უთხრეს, თუ: „რჯულზედ მოიქეც, დააგდე იგი წინანი,  
 და თვარე სასჯელი ეს არი, რა ნახო, შენცა ინანი.“
51. რა ეს ნახენ, აუტირდეს ხელი-ერთად მოახლენი,  
 ყველა ფერთხა ეხეოდა, პირსა ხელი მოახლენი:  
 „ნუ გასწირე თავი კარგი, ჯერ უებრო, მოახლენი,  
 და ნუ გაგვყარე მზისა შუქსა, ბნელს ნუ ჩაგვსხი მოახლენი!“
52. მზემან მხლებელთა უბრძანა: „ჟამ ერთ აწ ეწამენითა,  
 ქრისტეს იესოს ღვთის მადლსა, მოდით, თქვენც ეწამენითა,  
 თუ არ ეწამოთ, ნუ წახვალთ, აქ დამემოწამენითა.“  
 და ვა ქალაღისას მოთქმანი, ვითა ვთქვა აწ ამ ენითა.
53. მოთქმიდა: „ნორჩო ალევო, ტანად ზრო, განა თვალითა,  
 ხელმწიფობითა გაზრდილო, ტურფაში განათვალითა,  
 მარგალიტითა შემკულო, მოხდომით განათვალითა,  
 და აქამდი შენმა მკერეტელმან რა ვნახე განა თვალითა!“
54. „ვა არსად გახლავს ლაშქარნი, ჯალაზნი თავადებისა,  
 თავს გადვენ, ნახონ პატიჟი, სასარჯლოდ ცეცხლი გზებისა,  
 ახ, ვინ აცნობებს მათ ამას, თუ დღესა რა მოხდებისა,  
 და ესდენი რკინა მხურვალე ვის გულსა დაედებისა!“
55. „სულო, გაუშვი ალაგნი, თვალნი დაადგენ ბუდენი,  
 გულო, საძირკელით აღმოხე, შოირღვენ გარე ზღუდენი,  
 ტანო, ზე ნულარ მართიხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი,  
 და ქარო, სად მისწვდე, მიილე ამბავნი არ სამრუდენი.“

56. მუნ ვინმე ჯვარის მოსაეი ერთი უცხოსა ყოფითა,  
 ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არ სამყოფითა,  
 თარაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა,  
 და მოსე ვით გამაპრებული, მათი სარჯლისა ყოფითა.
57. მაშინ თურე შესულიყო იგ თინათინ თვალის წამსა,  
 უბრძანა. თუ: „აქ დამიხვდით, აჰა, ღმერთი ვისაც გწამსა“,  
 მან შეპკივლა, ხელი იკრა თავსა, პირსა, თვალ-წამწამსა,  
 და რაზომ სხვანი გააკვირა, ვერ მოშალა: „იგი გვრწამსა“.
58. მხედართ ხელი ჰკრეს, გააგდეს კარიღადმ თაემიშველია,  
 სხვა ღონე ვერ ქნა, მოივლო მან გარეშემო გველია;  
 წინ გივი შემოეყარა, იქ თურმე მიმავალია,  
 და წელთა მოიხსნა, მოხვიეა თავს შალი საფარველია.
59. შესტირა: „ვაი რა ვნახე, ეს რა დღე მოვინახია“;  
 შეიპყრეს ხელთა მნათობი, იგი უებრო სახია,  
 წინ დაუთათარეს მხლებელნი, ვერვინ თქვა სიტყვა მკახია,  
 და მე ასრე გარ გამომავდეს, შენ რომე დამინახია.
60. ასმათი თაე-გაგლეჯილი, მკერდამდი სისხლთა მღვრელია,  
 რაჟამს გააგდეს თინათინ შემცდარი, ვითა ხელია;  
 ნობათი მოხვდა, მონახეს მერმე გიორგი მღვდელია.  
 და პოვეს, აჩვენეს ყოველი მას იგ, რაც საუანჯველია.
61. მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები;  
 ლახვარნი ანუ სამსკვალნი, ლურსმანი, რაცა შიშები,  
 შეკრთა, ათრთოლდა, დაეცა თავსა ზარი და შიშები,  
 და გულსა ჩაეხმო, ვერა ქნა სასარჯლო ანგარიშები.
62. შეუზახა: „იმერელო, რად დაგერთო აგრე თრიოლა,  
 აჰა ჟამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა,  
 განა არვის გარდახდია სასჯელი და ასრე წოლა?  
 და ვინ დარჩება ქვეყანაზედ?—ბოლო გვიჯობს ასრე რბოლა.“
63. „იცი ხომ, ქრისტეს რა უყვეს, მას სასწაულსა ღეთისასა,  
 ღერწამი ფრჩხილსა დააღლეს დამხსნელსა ადამისასა,  
 ლურსნითა ძელსა მიაკრეს, ჰყოფენ ნებასა ნისასა,  
 და რად არ იჭირვი, ეღირსო საქმესა წამებისასა?“

64. რა სასჯელს ვერვინ შემართა, ვერცვინ ქნა მის ოდნობანი,  
რა ხელი ჰყვიან, შეიქნის თავით ფეხამდინ დნობანი,  
რა ქრისტეს ზურგი აქციეს, ქნეს მაჰმადისა ნდობანი,  
და რა ესე ჰკადრეს მას მხესა, ველარ დაატყვეს ნდობანი.
65. ახედნა, ერთი სიტყვიანი მაშინდა ბრძანა ახითა:  
„თქვენც იცით, ყოვლი დედანი ვართო ერთისა სახითა,  
აუგი არის კაცთათვის, რაც ჩვენ გვეწრფების ნახითა,  
და მაზედა რაცა ისაჯეთ, ჰქენით, არა ვარ ზრახითა“.
66. მერმე გაუბეს ხელ-ფერხი, გაძაბეს განა მაჯები,  
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადევს მზურვალე საჯები,  
ბარები შუბლსა შემოსდევს, ყველა ქნეს მათი აჯები,  
და აღმა ახეთქნეს კეფანო, ვა, თქმითა აქ ვისაჯები.
67. ვა მე იმ დღისა მხსენესა, დაჰვიწყდა დღენი წინანი,  
მკერდით ზურგამდინ გააყლეს გახურვებულნი რკინანი,  
მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავე, ვინანი,  
და მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.
68. ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი,  
ქვე წაიარეს, გააბეს ბროლი, ლალი და მინანი,  
სხვა წამოასხეს, დაყარეს ხორცთაგან ტყავი წინანი,  
და მაგრა არა ვაწყდა ტანჯვისა გულზედა დასაწვინანი.
69. ჯილად ქვაბი, ყამჩად ბარი, ამბარჩებად საჯებია,  
ვარლად ცეცხლი, ქინძისთვებად შამფურებით ირჯებია,  
ჩქითად გაზი, ბუნბულ-საბნად ლურსმის წვერი ჯაჯებია,  
და ყოლ ბალებად გაძაბულა თოკით ჰქონდა მაჯებია.
70. დედობრივისა ბუნებით თავს იდევ ესე ქირები,  
ჰპოვე უკვდავი ცხოვრება საცვიფრო, განსაკვირვები,  
მე მამაკაცი, მხნე ვაჟი ასე ამრიგად ვირები,  
და ვაი, ჩემს სიმხნეს და ვახ-ვახ, შენთა ნაქმართა ძირები!
71. მან წმინდამან მას უამს იქით არა ყოვნა წამსა ერთსა,  
სული თვისი მიაბარა მეუფესა, მისსა ღმერთსა,  
სამოთხეში მიელიან ქალწულებში შენაერთსა,  
და ირინე და მარინეო, იქმენ მათში განაერთსა.

72. ზეცით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად ერმანო,  
იესო ქრისტე აღიდეს, სრულ ყმაწვილმან და ბერმანო,  
გვარჯასპის მვილმან მსახურა, არ ხუცესმან და ბერმანო,  
და მისმან მკვლელმან ქნა მას აქეთ კარგი, ვერც არა ვერმანო.
73. წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია,  
სული ამოხდა სურნელი, იღარსად იყო მკვდარია,  
თქვეს: „ფრანგნი მოჰპარადეს, თუ სად დაცეთ დარია.“  
და მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია.
74. ამა წმინდისა მუნ ხარი ყოველგან გაისმებოდა,  
ჯვარის მოსავთა ყოველთა ნაწილხ ენატრებოდა,  
თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითვლებოდა,  
დი არავის მისცა შაჰ-აბაზ ცოდვითა აივსებოდა.
75. მალვით ჩონახეს ნაწილი, სად დაემალა ბარებსა,  
რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნიმროზელთ მწიგნობარებსა,  
ლესკუმშიგან ჩაიღვეს, უკმედდეს მუშკ-ამბარებსა,  
და იგი ჰკურნებდის სნეულთა, თუ ვინ მიუღდის კარებსა.
76. მათ აწამეს წმინდა ესე სეკდენბერსა ათორმეტსა,  
შვიდსა თვემდე ზოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა,  
საქართველო აღებულა წელს ნაქამი ათერთმეტსა,  
და მარტში დაროჰ მას მეუფეს ქრისტიანი ნათლი სვეტსა.
77. ღვთისა მიერ მორჩილობა თურე იყო გულსა მათსა,  
ამად იყო უცნებელი, დაყოვნებით წელსა ათსა,  
მას სიკვდილი ვერ მოკლევდა, ღვთის ტრფიალსა მინა-სათსა,  
და ცოცხალია, გვირგვინი აქეს. ზის ხარისხსა კიბისასა.
78. ვითარცა ყოვლი საჩინო, ნებროთს გამირობით უხმობენ,  
სამისოდ ფილოსოფიისთა და ბრძენთა ქნა უხმობენ,  
რიტორნი პრავალ-მეტყველნი რა მივლენ, ნახვენ, უხმობენ,  
და ვერ შეიგნებენ ქებასა, არიოპაგულს უხმობენ.
79. ვით ითქმის ქება მეფისა ღვთივ დაცულ, დაფარულისა,  
აწ დაუმკვიდრდა დოვლათი ეტლითგან არ ფარულისა,  
მას მიენიქა უფლება ამ საწუთროსა სრულისა,  
და მოშორება აქეს ვეშაჰსა ღრუბელთა მოარულისა.

80. წერს, იტყვის: „ვა, დავემარხე მე სიკვდილისა წინარე, ტყვექნლი, შექირვებული, ვიგონებ თვალთა წინარე, ორისაგანვე გარჯილი გუბე მიდგს ცრემლთა, წინ არე, და ტრედო, მიმიძელ სიონად, წამიძელ, შენვე წინ არე“:
81. ესე დღე აღსასრულისა ჟამთა და წელთა ჩემისა, ვერ განვიწმინდე ცოდვანი სულთა ნუგეშის ცემისა, ძვირის ვნებითა ვნებული, გინება მისდა ცემისა, და სულთა და ხორცთა გაყრაში, რაღა ეთქვა მის დაცემისა!
82. ოდესმე წავდგე შიშველი, ქედ დახრით დაყმუნებულბ, ოდიდგან ცოდვით მოსილი, არ მადლით განბრწყინებული, ორგნითვე ხელ-ფერხ შეკრული, გარესკნელ წარდგინებული, და მიმელის მატლი უძილო და ცეცხლი აღტყინებული.
83. ჯერ, ლმერთო, არა ვარ ღირსი თვალთა მე ზეცად ახილვად, ჯეროვნად მზისა, მთვარისა, მალლისა ცისა დახილვად, რაჟაჲს მოვიდეს გაბრიელ ცოდვთა ჩემთა დახილვად, და მას თვალნი ველარ შევადგენ, ვიყო კვლა დაღმა დახილვად.
84. აწ ესე მივირს, რამცა ექენ საქმენი გასაჩინელი, მე ვკადრე ხელის მიყოფა, იყო ბრძენთ გასაჩინელი, თუცა მსურდა, სევდითა ვიყვენით ცრემლთა მდინელი და ძვარე მას უხმდეს შეტყველად თვით იოვანე სინელი.
85. თქვენ, გონიერნო, მკითხველნო და ლექსთა შემამკობელნო, ძნელისა გამომგებელნო, სიტყვათა შემაწყობელნო, რაცა დამეკლოს უცებით, რა ნახოთ გამთავებელნო, და თქვენ შეათავეთ მის მადლსა, მართლისა გამთარგმებელნო.
86. ვინცა ლექსი მოუჩატოს, მე არა ვარ მომღურავი, თქმული ჩემი ვინც შეცვალოს, კარგი იყოს, თუნდა ავი, რჯულისაგანც შეიცვლების, რისხავს მისი საესავი, და მე ოთხმოცი ლექსი მითქვამს, სულ ეს არი ბოლო თავი.
87. ეს ახლა მომგონებოდა, ვერ გამერჩია გზანია, მართა ამახედან მომადგა უცხო რამ მონოხანია, მთხოვა, შეფიცე: „არა ნაქვს თავით ბოლომდი მზანია,“ — და არ დაიშალა, მას თურე გაეგლო ალახანია.

88. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ჩვენთვის სრულსა, კურნება აქვს საკვირველი, ეს ამრთულებს ყოველსა წყლულსა, ვინ ნაწილსა შეეხების, იგი აღხუნს ბრმასა, ბრგველსა, და მით მწერალი ვევედრებთ, შეეწიოს ჩემსა სულსა.
89. ესე ვრანის ხელმწიფე შაჰ-აბას იყო, მძლავრობდა, მალრიბს და მაშრიყს მიუხდის, მზავობობდა და ლაშქრობდა, ორმოც წელიწადს ძეფედ ჯდა, ნადირობდა და მგზავრობდა, და ამ წამებთგან ხუთს წლამდის დაემხო, ვეღარ მთავრობდა.
90. ამ დედოფლისა ამბავი გვსმისთ ეს არის თქმულები, იშოყა ღვაწლით სამოთხე, გვირგვინი თავზე დგმულები, ესეც ეწივა შვებასა, ვით პირველ წამებულები, და სულს მისცა შვება სუფევით, ხორციი ჰყო დადაგულები.
91. იყო ხარიფად მქცეველი, სათუთად ჰქონდა ზრდილობა, შვენება, ტურფა; ხმე-სრული, მას აჩნდა ქმულ-კეთილობა, უბეროს ხორცსა სითფარით დასდვა შანთებით წყლულობა, და ხორციი სატანჯველს მიუპყრა, სულს ხედა სამოთხის წილობა.
92. ჯერ დედოფლობით სიმდიდრე ჰქონდა, ვმ სოფლის დიდება, მიდრის კახეთის მპყრობლობა. თაუიღვან ბოლო კიდება, მორბმით ტახტს ჯდომბა დიდებით, მტერთაგან არას რიდება, და გარ-მზღებელთ გუნდის მოზღუდვა, არ ხარბად შოვნა, მიდება.
93. ხატებს მურასად ამკობდის, საყდარს შენობდის გებულად, იტყვადენ მეპატრონენი: „ესრეთ არ ქმნილ არს ქებულად, ჯართ მოსდის, მრავალს აძლევდის, შვილურებრ ჰყოფდის, ცნებულად. და მაშინვე იყო გულითა სამოთხის იმედებულად.
94. ლმერთმან მას ორივე სოფელი უბოძა მორტმა-შვებანი, — „შვილს უანდერძე შენც ესრეთ, მოგზვდება ორგზის ქებანი, შენცა მტკიცედ გაქვს, გიპყრია სამ-ერთ-არსების მცნებანი, და რაც აქ დაგვაკლდა, იქ გვაღხუნს დავითის ტკიბილი ებანი“.
95. მოქმელს ეთქვა: „არას ვემღურვი ამ წიგნის ლექსის მატცსა, წმინდათ ქალწულთან ეს წმინდა, მივირის. თუ რად არ-ხატცსა- მათ გუნდსაც ესეც აღრაცხდა, სხვამ ამ ჟმით ვერფინ მატცსა, და იქ ნათლის ტახტს ზის, აქ იჯდა დოშაქ-დორ-გაბა-ნატცსა:“
96. ამ წიგნის მოქმელმან ბოლოს თქვა ამავე წამების ლექსია, მათ თქმის დასტური მოგცა, ამაღ ვთქვი შვიდი-ექვსია, მან ღვაწლი სრული იღვაწა, ვნატრი, რომ არ აქვს კენესია, და ჩვენცა გვითხოვოს. შენდობა, როდეს რომ დაჯდეს მესია.



## სოფლის სამღურაჟი

1. ღმერთო, რომელი შენ ჰსუტევე ჰაერთა თანა ცაშიგან, შენ ხარ სავსება ყოველთა, რაც არის ჭვეყანაშიგან, ეშმაკთა გუნდსა დასთ რგუნავ, წარვლენ ცეცხლისა აღშიგან, და ისრაილთაცა ლტოლქილთა შენვე გაუძელ ზღვაშიგან.
2. არსებით მპყრობო, შენ გაქებს, რაცა სად მონა შენია, შენგან იზრდების სულდგმული, ყოველი მონაშენია. ვინ სულისათვია იღვწიდეს, დაავდოს მონაშენია! და მას აღარ მიხვდეს უწყალოდ კვერთხითა მონაშენია.
3. ღმერთო, ხსნისათვის ჩვენისა ჭვეყანაზედან მოსულო, ვინ მიწა კაცად შეგზილა. იმას შეუფრდი, მო სულო! როს ანგელოსნი უწყალოდ გქენჯნიდენ, აწ ამო სულო, და ან ცოდვა ცრემლით შეინდევ, ან თავი აწამო სულო.
4. ჩვენ ღმერთი ქებით ვადიდოთ, ცრემლითა შევსძრათ მორევად, ის უხილავი ეშმაკი ჩვენზედ არ იყო მორევად, ჯოჯოხეთს შიგან არ აღძრას კუბრი მან ჩვენთვის მორევად, და ცთომასა არსად წავადგეთ, თავი არ შევქმნათ მორევად.
5. მე მეშინის რისხვისაგან, ვაი თუ, მეხი დამეცესა, ღმერთსა ამას სულთქმით ვჰხადი, ამცილდეს და არ მეცესა, მიჯობდა, თუ სოლისათვის სინანული დამეწესა, და შემუშაკა, შეწალმართა, ცრემლი ველად დამეთესა.
6. ჩემს ცოდვას ვით და შევინდობ, ცრემლიც რომ შევქმნა მე ღვარად? ნაკადად მდინდეს თვალთაგან, დაწვი გამიხდეს მე დარად, აწ მიწა რად არ ჩაღრკების, ზედან მიყენებს მე და რად? და ჩემი ამ სოფლის სიცრუევე აქ მოვიხმარო მე ღარად.
7. სულო, ნიადაგ წვლილდები, ლხინი აროდეს მოგეცა, ტანჯვისა მზა არს ლახვარი, საკრავად გულსა მო ვცა, ვიჯობდა ეკკლესიისა კარი ნიადაგ მოგეცა, და ცრემლითა მოლი მოგერწყო, ტანს მუდამ ძაძა მოგეცა.

8. სულს წყლულო, დაკოდილხარ, კირნი რალათ მოანელი?  
რთელი გაზრობს, მზე გაცხუნებს, ზოგჯერ ქარი ჰოვა ნელი,  
ხელი რაუმ არ გაქრილხარ, ნეტარ რასდა მოანელი?!  
და ვერა ჰყუნებს კირსი შენსა, რომ შემოკრბეს მოანელი.
9. შენ, ცოდვილო სულო ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი?  
ჯოჯოხეთში ქვა დაგკრიბონ, არ დაგრიდონ, მოელოდი,  
შენთვის ყოვლგან ღრუბელია, მზემანც დაგკრას—მოელოდი,  
და კერპთ-მსახურთა განვეშორნეთ, არსად გვხადოს მოელოდი.
10. შემაშთო სოფლის ზრუნვაჲ, ვაჲ, რალა ვჰყო აწა მჲ?!  
—განაგდე შეება სოფლისა, თავი ღვთისათვის აწაშე!  
უფალსა შენსა ჰმსახურე, გულითა მასცა აწ ამე,—  
და მიგელის მძაფრი სასჯელი, მაშინ რალა ვჰყო, აწამე!
11. უწყის უფალმან, სოფელი არავის გაუთავდების,  
პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდების,  
აღარ გაჰყვების, ბოლოს ჟამ უმუხთლებს, გაუთავდების,  
და მე მას ვჰკვობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინც დაუზავდების.
12. გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?  
ვის ჰქონდა მუდამ სრა-ტახტი, მოშლია მას თავებია,  
ვინ რომ დაიპყრა ქვეყანა, დღე მასცა ასთავებია,  
და სულო. მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად დაებია?!
13. სოფელს მყოფნო, სოფლის საქმე გასინჯეთ და გაიგონეთ,  
ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ!  
აწ ს:დ არის ხელმწიფენი, პირველნიცა მოიგონეთ,  
და აწ განაგდეთ სოფლის შეება, სანანული მოიქონეთ.
14. ვერ მოუფრჩებით სოფელსა, სრასა სამყოფსა. დაბასა,  
სულმან იწადა ვედრება და ზორცმან იგი. დაბასა,  
სოფელმან კირი ჩვენზედა ოთხმოც-და-ათი აბასა,  
და განავადეთ ქრთამის მიღება, სული მან არ დააბასა.
15. სოფლის მპყრობელნო, სოფელი მე ამაღ არა მიქია,  
მსაჯულად დაჯდეს მესია, პირველ ჰადაგა მიქია,  
ცოდვანი ჩვენნი გვემხილნენ, მაშინ რალა ვჰყოთ იქა!  
და კაცს არ მიინდობს ბოლოს ჟამს, ამისთვის გამიქიქია.

16. სოფელშიან თვისი სიბუხთლე ჩემზედა არა დალია,  
მაკედინებელი წამალი მე მასვა, მან არ დალია,  
ჯურღმულსა შიგან შთამავდო, შიგან დამიხვდა და ლია,  
და ტყავისა ნაცვლად სუდარი მომცა, არ მიკლავს დალია.
17. თუცა კაცი დარჩებოდეს სოფლისაგან გარდუვალად,  
მუნ სასჯელი აღარ მიხვდეს, არცა სწვიდეს ცეცხლი აღად,  
ვინ დარჩების სოფელს მყოფი, არ მომდურდეს სოფელს ჭალად,  
და ბოლოს არღის გაუთავებს, შეექმნების მას სამსალად.
18. ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მქნელია,  
კაცსა მიინდობს დალატად, მცბიერი—ვითა მელია,  
ანასდად გარდუბრუნდების, მით გული გარდამელია,  
და „მას არვინ უნდა მიენდოს“—ესე ნათქვამი ძველია.
19. ჩემმა ცოდვამ სინანულად დრო არ მომცა დანაცალი,  
კაეშნისა ტვირთი მკიდავს, იგ შემქნია დანაცალი,  
მუნ მეშინის, ოდეს შექმნას სულმან ხორცის დანაცალი,  
და ჯოჯოხეთად ჩვენთვის მზა ჰყოს სახმილი და დანაც, ალი.
20. ჩულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა,  
ძილი არ მომცა მართალთა, არც სადა მითხრა მა[ნ] ნანა,  
როს ისრაელთა უწვიმა ღმერთმან მწყერი და მანანა,  
და მოხუცებულსა იოკიმს ასული უშო მან ანა.
21. მე აჯად ვითხოვ ღვთისაგან—არ წამიწყმიდოს სულია,  
მუნ გამომიხსნას ტანჯვისაგან, აღარ დაზარდეს წყლულია,  
ზოგნი ღამეთა ათევენ—თვალთ არ მოუვათ რულია,  
და ზოგთა გვაქვს შეება სოფლისა—ამისთვის დავვიძს გულია.
22. უნდა, რომ კაცმან იხმაროს მისი ჭკუა და გონება,  
ევა ურჩ-ქმნილი ცთომითა ჯოჯოხეთს შიგან, მგონ, ვბა,  
სამოთხეს ყოფა ვის სურის, სმენა იქ გაიგონება,  
და ვის სწადის შეება მას შიგან, ადვილად მოიგონება.

23. სამეზობლო ერთსა ვაჭიბდეთ, ხსნად ადამისთვის მოსულსა,  
ვის ჰკითხავს ცა და ქვეყანა—ქებას ვერ ვიტყვი მოსულსა,  
ნუ ვემგზავსებით ფარაოსს, მისის რისხვითა მოსულსა,  
და სულსა რას არგებს შეენება ხორცთაგან არ ამოსულსა?
24. შენ, ღვთისმშობელო, კაცთათვის მანათობელი მზი ხარა.  
პირველ ბჭედ საშუალ გცნობდეს—ანგელოზისგან გეხარა,  
ღმერთი წიალთა იტვირთე, სხვა კაცი არსად გეხარა,  
და ქრისტიანეთა ნუ წარსწყმედ, შენ გისმენს—ვისთან სდგეხარა.

## ბრემის სასახლეში

1. ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ, განვადიდოთო, საშნი წათელნი ერთად ვთქვათ—მამა, ძე, სული წმინდოთო, მისის ცნობითა განენათლდეთ, გონება განვიწმინდოთო, და განვაგდოთ უსჯულოება, ნუ ვემსგავსებით დიდოთო.
2. აქ არის აშტი, გუმბაზი, ბაღისა დგას შუა-გულოსა, შიგ ათასფერნი ყვავილნი, ვარდი გაშლილი გულოსა, ცნობილთა კაცთა საჯდომლად აღრითგან გამეგულოსა, და ჩემიმც ცოდვა აქვს ავს კაცსა, კარი არ დაუტულოსა.
3. აქ არის ბაზმის სოკბათი, სუფრისა შემეკობილობა, დრო ახალ ნერგთა ყვავილთა, ტურფა ვარდისა შილილობა, ბულბულთა ბგერა, ყივილი, ხაა-მჭევერად შეწყობილობა, და მუტრიბთა რასტი მულამი, სასმენელთათვის ტკბილობა.
4. თვითან შეენის და აშვენებს წალკოტსა, ბაღია-ბაღასა, თუ ლხინი გინდათ, თქვენც ნახავთ სხვას უკეთესსა რაღასა? გიაჯ, ჩემს უკან ვინც დარჩეთ: პატრონსა, ყმასა, აღასა, და ვინც უპატოდ მიეპყრას, ცოლიც მიიპ ჰგავს ბაღასა.
5. სახლი შეემზადე სალხინოდ მე მეფემ თვიმურასო, შევაშკვევ კედელ-ყურენი, ვეჭვ, თავსაც კარვად ბურავსო, დავხატე ფერად-ფერადად, ჰგავს, რამე იყოს მურახო, და ტალახიანის ფერხითა ნურავინ გამიმურავსო.
6. რომ თქვენი სხიენი არ მისწვთა, არ მორჩა შეუკა-დაბანი, შგნ შემოგვეკრეტენ მყურენი, სად სარკმელია და ბანი, რაზომც ჯერ ვერ თქვენ გიახლოს, თვალნო, მინა და დაბანი, და ვფიცავ, რომ ყველა განდების თქმა ტკბილად, ანუ-და ბანი.
7. შენებრ ვინ ვპოვოთ მნახავთა, პირველვე ვიციოთ, რაც არის, რომ ზღუდეც მოვლოთ ქვეყნისა, ანუ მიდამო რაცა რის, წალმავე მოვა თქვენს წინა, ვინცა უკულმა რაც არის, და ვარსკვლავთა დასნი გემონენ, ერთმანერთს მსწრობნი რაცა რის.

8. მსგავსად საკადრად ხელ-ყოფნა, ნეტარ, ვით ძალ-აქვეს ენას მით!  
 სხვანი ყოფილნი ხტოძით თქვეს, მაგრა თქვეს უუქსა ენასმით,  
 შორს მყოფნი ამაღ ნატრობენ, მოგახლდენ—იყვნეთ ენასმით,  
 და თქვენს სიყვარულსა ზაგებდენ, იგ ტკბილად რასმე ე ნასმით.
9. მწერალიც დაშვრა ცოტადრე, გარჯა ხედა-რა ეს აწერა,  
 ცოდნა და ხელოვნება ზამს, თვარ უქმად ყოფა აწე რა?  
 შოდით, იკითხეთ, ტრფიალნო, შემოკრებილ აქა წერა,  
 და გულო გერ მოსხლტი ქებითა, წიგნის პატრონზედ ა წერა!

## თამარის სახმ ღაჳით გარეჳას

მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ,  
შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ,  
სხივ-მოსიერად გიშხერენ, უკვდავ-მყოფელად გგონებენ,  
და იშვებენ, მათთა პატიჳთა მათ ღზინთა შეუწონებენ.

შენ სამებაო, ერთ-არსებაო, სამ-გვამოვნებით ერთო, განუწვა-  
ღებულო,  
ერთ-ბუნებაო, უშობულო და ძეო შობილო, სულო მამისაგან  
გამოშავალო,  
მოსავსა შენსა მეფესა, პატრონს თეიმურაზს, მეოხ მეყავ.

ოდეს მოხვიდე განკითხვად, ქრისტე, და გამოჩნდეს მაღლი,  
დიდება,  
შენი და დასჯდე ცხოველთა და მკვდართა მსჯულად, და განა-  
რჩევდე  
ცხოვართა თიკინთაგან, ნუ წარმავლენ მარცხენით კროძო,  
შეცოდებულსა ამას მონასა შენსა, არამედ მომეც შენდობა ბრა-  
ლეულსა.

დედაო უსხეულოსა ნათლისაო და მშობულო სიტყვისა ღეთისაო,  
საყდარო, ეტლო, ღრუბულო ნათლისაო, მე დაბნელებულსა ამას.  
ცოდეთაგან, მითხოვე ძისა შენისაგან შენდობა ბრალთაგან.

რომელნი მიემთხვიენთ ჩემსა ამას მცირესა ნაღვაწსა—აღსარე-  
ბასა

წმინდისა სამებისასა, გაფუცები: ცხოველსა მას ღმერთსა ყო-  
ველთასა,  
შენდობას ჰყოფდეო ჩემ ცოდვილსა ამის მეფისა თეიმურაზისა-  
ოვის,  
რათა ქრისტემან თქვენცა მოგცეს მისისა სასუფეველის მკვი-  
დრობა  
და კურთხევისა ხმისა მისისა სმენა. ამინ.

## ა ნ ბ ა ნ თ-ქ ე ზ ა

### I

ადამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელი,  
აბელ და სეით მოყვისითურთ, მთასა წმინდასა მდგომელი,  
აბრამ, ისაკ და იაკობ, ნოე სიმართლის მდომელი,  
და ამათსა მეოხებასა, სულო, მე ვიცი რომ ელი.

ბევრი არიან წმინდანი, ყველას ხსენებო მწადიან,  
ბერწთა ნაშობთა უმეტეს დედათ ნაშობთა ხადიან,  
ბართლომე, ბაგრატ, სილოან, ბარნაბეც დამიქადიან,  
და ბიკტორ, ბიკენტი წამიტანს, სადაც იგ ორნი წადიან.

ბიორგის ვაქებ, დიმიტრის, მანოელს, სერგის, ბაქოსა,  
გრიგოლი დიდმან, ბასილიმ, ვა თუ არცერთმან მაქოსა,  
გერმანოზ, ნილოზ, ტარასიმ, თუ რისხვით დანიბაქოსა,  
და გუნდი მარტილთა მეწევის, ვედრივარ წმინდას სტაქოსა.

ღავითს ვედრივარ, რომელსა ღმერთი უძახდა „მამასო“,  
დანიელს, ნათანს, გედეონს, მოწამედ გორდი მამასო,  
დორეთემ, პროკლემ, ევტუქიმ სად წავლენ, წამიტანოსო,  
და დიონოს, ტიტემ, ტიმოთემ სულსა არ დაუღონოსო.

მსაიას ხმა მაღალსა, ელიას და ელისესე,  
ეზეკიელს, მელქისედეკს, სულის ხსნასა ელის ესე,  
ეთერიმ და ელეფთერიმ, თუ არ მიხსნას—მე ვიკენესე,  
და ეგნატიმ თუ არ მიშველოს, მე მღვიმეკო, რაცა ვთესე.

მენედიკტე, ანბერკიოს, კლემეტოზცა—პაპა რომთა,  
ვასილიოზ მღვდელ-მოწამე, კაპიტონცა ერთად მსრბოლთა,  
ვლასე, ლეონ, ლევანტიოს ჩემთვის მეშვლად დაუშრომთა.  
და ვერ წაართმენ სულსა ჩემსა მათ ეშმაკი ერთად მგრობთა.

ზებედეს ძეთა შევედრებ სულსა და ხორცსა გვაბითო,  
ზოსიმე მწედ მყავს, ეშმაკო, ახლოს ვერ მამეკარითო,  
ზაქარიამ და ანგიამ ედემს შემადონ კარიითო,  
და ზენონ და კვიროს მეოხ მყავს, ცრემლი არ ცაწანწკარიითო.



ცევსევი სამუსატელი ქრისტესთვის ვინმე მიწამა,  
 ცენუქ მიცვალა უფალმან, იგ ვერ შექამა მიწამა,  
 ცევსტატი ძითურთ, გეუღლით კეთილი სიტყვა მიწამა,  
 და სე თუმცა შესვლად სამოთხეს არ დამიყონოს მიწამა!

**მ**ომა, ანდრია, ფილიპე, მათე, მარკოზ და ლუკაო,  
 თევდორე, ტირონ, სტრატილატ სამოთხეს დამანუკაო,  
 თვიროს, ლევკი და კალინიკ მწუედ მყავს, არ შემაწუხაო,  
 და თავს წარმომადგენ საშველად, როს თვალი დამესუქაო.

**ი**ოვანე ოქროპირი, ღეთისმეტყველი მისი სენა,  
 იაკობცა ძმა უფლისა, ჩემად მეშვლად დამეკვებნა,  
 იპოლიტ და სილიპისტრო, ეა, თუ რისხვით დამიქებნა,  
 და იოვაკიმს, ანას სწადდეს, მე ეშმაკი ჩამომეხსნა.

**ძ**ვირ-იაკოზცა ვეედრივარ, კოზმან და დამიანესა,  
 კვირიკე იელიტასთანა—ან ის მიშველის, ან ესა,  
 კვირილე ათანასეთურთ მეოზ ჰყავს ქრისტიანესა,  
 და კარპოს სად წავა, პაპილა—ნეტამც თან წამიტანესა!

**ლ**აზარე წმინდა, მართალი, მარიამ მერმე, და მართა,  
 ლაგრენტი დიდმან, არსენი ჩემად საშველად დამართა,  
 ლუსიმანომ და არეთამ სულს, ვეედრებ, კარგი დამართა,  
 და ლონგინოზ ჩემგან ნაქმარნი მრუდნი საქმენი დამართა.

**მ**ატათა, სვიმონ, თადეოზ, იუდას—მოციქულებსა,  
 მინა, ერმრგინ, ევლრაფოს—იმათ შევედრა სულებსა,  
 მერკვიზის ჩემად მხმობელსა—სატანას დასულებსა,  
 და მაკარ მიხსნის უთუოდ, საწადელს აღმისრულებსა.

**ნ**იკოლაოზ არს მეოხი, ჩემებრ ცოდვილთა მხსნელია,  
 ნეკტარის მეოხებთა სულს ცეცხლი დაუნელია,  
 ნიკიფორემ და მეთოდიმ მე დამხსნან საქმე ძნელია,  
 და ნესტორ, ნიკიტა მაშორონ ეშმაკი საძაგელია.

**მ**რ ხელ-განპყრობით ზღვა განელო მოსემ, დაანთქა ფარაო,  
 ონისიფორე მოწამეც, თუ მასთან მომეხმარაო,  
 ორმეოცთ სევსტიელთა მათ ერთი გაგპარაო,  
 და ონოფრე მათთან მეშველ მყავს, მე ცოდვა დამეთარაო.

პეტრე სამოთხის კარსა დგას, კლიტე ხელთა აქეს სამეო,  
პავლე. სოფლისა მნათობო, მასთან შენც მომესმარეო,  
პამფილე თქვენთან შუა მყავს, მე ნუ დამაგდებ გარეო,  
და პანტელეიმონ, შემწედ მყავს ბაბილა მღვდელ-მოწამეო.

შეჯდეს უწყალოდ ოც-და-ათი მოწამეთ მელიტინესა,  
ჟიოდეს ნიკომიდიას, ცეცხლშიგან შეითხინესა,  
ჟამსა მათ სცვიდა უფალი, ათ კრიტილთ ვერ ატკინესა,  
და „ვესთა არს წმინდა სამება“—ხმობდეს და დაიძინესა.

როფოს, ამბროსი და ნავკტოს, ალექსი კაცი ღვთისაო,  
რაფიელ, კვიროს, გრიგოლი მნათობი სამოთხისაო,  
რომანოზ კვირიანეთურთ, იაკობ დაქრილისაო,  
და როდიმ და კლიმიმ მოჰმადლოს მკვიდრ-ყოფა სამოთხისაო.

საბა, ანტონი, ეფთეიმი, იოსებ წმინდა. დიოდა,  
სისოს, პახუმის, ავქსენტის მათხედა ცრემლი სდიოდა,  
სვიმიონ დიდი მესვეტე, დანიელ, ალვიზიო და,  
და სასოება. გაქვს თუ მათი, სულო, არ დაიწვიო და.

ტროფიმე, დიდი პროკოპი, კლავდი და ნეონილაო,  
ტერიფონ, კონონ და არქიპოს. კრისკენტი, მყავს აკვილაო,  
ტერენტი, ისაკ დალმატი, რომთ. პაპი დიდი ნილაო,  
და ტიმოთე მავრა თუ მიშველს, სხვა საქმე მეადვილაო.

შხორცოთ ძალთა მთავარი გაბრიელ, მერმე მიქია,  
უსხეულოთა კრებული ყველანი ერთად მიქია,  
ურვიელ მწედ მყავს მათთანა, სატანა გამიქიქია,  
და ურჯელად სულნი წამგვარონ, ოდეს მიჰყვანდე იქია.

წედიმონ, გრიგოლ ბრწინვიდენ იგ ნეო-კესარიასა,  
ფილიმონ სამოცდათგანმან მასთან მოწამე იასა,  
ფოკას შევედრებ მე სულსა, ხორცს დაუტევებ ჭიასა,  
და ფავსტი და ეფრემ მიჩვენებს სამოთხის კარსა ღიასა.

ძსენეფორე და პორფირი, პართენი, ჯერასიმეო,  
ქვაბს ბეთლემს ჩხვილინი მომწყდარნი შემწედ მყავს ჯერ ასი მეო,  
ქრისტეფორე და ანდრია, სფირიდონ აკენდიმეო,  
და ქერსოვნეთს აღათოღორე და წმინდა მამა პიმეო.

ლორტინელ ეპისკოპოზი ევმენიანე წმინდაო,  
 ღალატითონ და ეპისტიმ ეფესელთ ყრმანი შვიდაო,  
 ღვლიკერიმ ჩემზედ აღძრული ეშმაკი დაამშვიდაო,  
 და ღირსი იონიკ მეშვლად მყავს, სული არ წამიწყმიდაო.

ქოვლნი წმინდანი ვადიდე, რანიც მოვიდენ ენასა,  
 ყრმათა მათ სამთა წმინდათა, ვეჟე, დამხსნან ცრემლთა დენასა,  
 ყური მიუპყრას ანთიმოს ჩემთა ლოცვათა სმენასა,  
 და ყოვნის ისაკ და დაღმატი და ფავსტე ჩემსა ლხენასა.

შიო მდვიმელი მოძღვრითურთ, დავით მყავს გარეჯელია,  
 შილა ორბანომ ჩამომხსნას ეშმაკი ჩემი მრჯელია,  
 შიო და მმარბველს იოვანს—სხვა მოწყალეების მქნელია,  
 და შვიდ წილად ჩემთვის ნაგზები მას ცეცხლი დაუნელია.

ჩვილნი წმინდანი ვადიდნეთ ბაბილას მოწაფენი მე,  
 ჩემ კერძ არს სინას, რაითას მომწყდარნი რაოდენიმე,  
 ჩქარად მიშველოს მაქსიმემ და სოფრონ სულთა სენი მე,  
 და ჩემნი ცოდვანი შემინდონ, დამწყვიტონ ცრემლთა დენი მე.

ცათაგან დაუტევენელი სვიმიონ მკლავთა იტია,  
 ცხრა დასმან ანგელოზთ გუნდმან ეშმაკი არ მომიტია,  
 ცრემლნი შემაშრონ, სამოთხეს მეც მაქნევიონ ჯიტია,  
 და ცხოვარმან მარჯვნით ალაგსა კრებულმან მეცა მიტია.

ძნელი კურნება ბევრი ქმნა თესალონიკელ დავითო,  
 ძილი მართალთა იპოვა ნგზავრ ეპიფანე ნავითო,  
 ძრწოდე რა, სულო, შენ გიხსნას იობმან მოსე შავითო,  
 და „ძალგიცო მისი შეწევენა“—ჩემთვის იკყებდა დავითო.

წმინდანი ორნი სტეფანე, იგ ერთი დიაკონო,  
 წარმოთქვა გრიგოლ ნოსელმან სიტყვა ღრმად გასავონეო,  
 წიგნები დამასკელისა გვაქვს ბევრი მოსაწონეო,  
 და წამიტანებენ სამოთხეს, ხელს მკიდებს წმინდა ვკოლეო.

„ჭურსა რჩეულსა ნათელ ეც“—რქვა მხსნელპან ანანიო,  
 კეშმარტება ასწავა, მას ცოდვა ანანიო,  
 კირთაგან მიხსნა ევსტრატიმ, მოყვისითურთ ჩემი მწვაო,  
 და კმუნვა მით დამხსნან, მიჩვენონ სამოთხის კარი ღიაო.

სარალამპი ამფილოქე, დიდი წმინდა იკონელი,  
 ხარიტონის შეწევნითა ჩემთვის ცეცხლი იყო ნელი,  
 ხერისანთემან აღუსრულოს სულსა ჩემსა საწაღელი,  
 და ხეჲან სვეტმან კვართისამან განმინათლოს გული ბნელი.

პორციით მოსწყვიდნეს სამნივე: გური, აბიბოს, სამონა,  
 კშობდეს: „ჩვენ რჯულსა არა ვგმობთ, თქვენ რად ხართ  
 კერპთა მამონა“?

ემლით ტანჯეს დიდი არტემი, ქვით მოკლეს წმინდა ამონა,  
 და კმელთა ფლობასა იგ ზუჯობს, ქრისტესთვის ვინც აწამონა.

ჴვარო, შენ მოგასწავებდა უდაბნოს გველი რვალისა,  
 ჯოხისა ცემა მოსესგან, კლდით გამოდენა წყალისა,  
 ჯანგინისა რკინისა ხით ამოღება მალისა,  
 და ჯოჯოხეთს დამხსენ, მექნების შენგან დადება ვალისა.

ჴარონ მღვდელი და რომთ პაპი გრიგოლი, მგრმე აგათო,  
 ჰაბიათარ და მელენტი, ეეჴობ, რომ დამხსნან ამათო,  
 ჰარსაკი, დიდი აკაკი, მიხსნიან იგ ერთ წამათო,  
 და ჰა მე, კეთილი არ მქონან, ნეტარ რა უძღვნა ჴრთამათო?

ჴი თქვენ ყოვლნი წმინდანო, ნუ დამსჯით თქვენსა ჴებებლსა,  
 ჴხა მოჴმადლეთ თქვენისა სახელის შემამკობელსა,  
 ჴოდეს მოჴიდეს განკითხვა, გაფიცებ დამბადებელსა,  
 და ჴრთქლსა და კვამლსა მას ბნელსა დამხსენით ცეცხლსა მღვებლსა.

## ს ნ გ ა ნ ტ - ჴ ე ბ ა

||

ღობევენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო,  
 აერსა ჴედან საყდართა დიდებით დამკვიდრებულო,  
 არსებით ერთო, ბუნებით, პირებით—სამ რიცხვებულო,  
 და ადამიანთა ხსნისათვის განგებით მოვლინებულო.

ბაბილონს ყრმათა შეცვრევა ბევრს რასმე მოასწავებდა,  
 ბრწყინვალე ალი სამ რიცხვად სამებას შეგვასწავებდა,  
 ბეთლემს ღვთაების საყდარი ნივთი უწყალოდ ჴავებდა,  
 და ბაგისა შემცველობასა ვინ ჴეცას შეუცავებდა.

ბაბრიელ მოვა ნაზარეთს, ქალწულს ეტყოდა ხარებით:  
— „გარდამოხდების შენზედა ძე მამის სწორი დარებით,  
გრწამდეს ბერწასაცა ვახარეთ, არ ცუდათ დავიარებით“;  
და გწადდეს, უფალო, აბრაამს წიაღსამც შევეწყწარებით.

ღაგდო ტარი ხელთაგან, ქალწული შეძრწუნდებოდა:  
„და როგორ, უმამაკაცოდ ძე მტკლად ვით მედებოდა?“  
„დაგცოსო სულმან წმინდამან“—სიტყვაცა განზრქელდებოდა“;  
და დამხსენ, უფალო, ჯოჯოხეთს, ცეცხლიმც ნუ მოჰედებოდა!

შლია ამაღლებული ცეცხლის ეტლზედან ჯდებოდა,  
ელისეს მრჩობლი სული და ხალენი წილად ზედებოდა,  
ერთის გზით იორდანისკენ სამამდინ წყალზედ ხლტებოდა,  
და ეგრეთვე ნათლისღებასა სახით მას მიედრებოდა.

შით ძალუც კაცსა მტკაელთა ცისა ვაზომა სრულებით?  
ვირემდის იქნას პეშვითა ზღვის ანგარიში წყულებით?  
ვინძი ასწონოს სასწორით მთა, ბორცვი დაჭრას ცულებით?  
და ვინ ცნა გონება უფლისა? ვინ თან ეზრახა თქმულებათ?

ზედან მკლავთა სიტყვა ღვთისა ძველმან კაცმან მიგიჩქო, და,  
ზრუნვა გქონდა კაცთა ხსნისა, თვარ ვანწმენდა ვით გინდოდა?  
ზეცას ძრწიან უხორცონი, კეცის ქურმან ვით გიძლო და,  
და ზღვევა მომხედეს, თუ ცოდვათა, ვა, თუ მაღლი ცოტა მქონდა.

ცეროდესგან უწყლად მოკვდა ნაშობთაგან უფროს თქმული,  
ცეროდისა სიყვარულმან ქვესკნელს ჩასვა ქვე დანაქმული,  
ცერიდების ფიცსა ზაკვით, პასუხს მისცემს ხმაღ დაკრული,  
და ცესრეთ წაგა ჯოჯოხეთსა სატანასგან ხელშეკრული.

შაბორს ოდეს სიტყვა ღვთისა უკხო-ფერად გამოზრწყინდა,  
თავნი თვისნი მოწაფენი წაოიტანა, მათთან ვლიდა,  
თეზბიტელი მოსესთანა ნახეს, ერთობ გაუკვირდა,  
და თავთა მათთა საგრილობლად მათ ღრუბელი მოუვიდა.

ნიკო ქუხილი, მამისა ხმა ზეცით მოიწყოდა,  
იტყოდა: „მაგას უსმინეთ, ევ არის ჩემი ძეო და“;  
იქ ტალავარსა იგებდა პეტრე, არ დავიწვეო და,  
და ისრავლთ უთხრა: „ნუ ძკვდრეთით, ვიოემდის წარმოვდგეო და“.

ძანად სადმე გალილიას ქორწილია, სკამდეს, სმიდეს,  
 კარგი პოვეს მექორწილე, უკეთესსა ვის დასმიდეს?  
 კრება ერთობ გაუკეთდა, წყალსა ღვინოდ შეცაცვილიდეს,  
 და კარს ვერ შევევლი სამოთხისას, თუ ცოდვასა დამითვლიდეს.

ლაზარეცა დასწულდა, ბეთანიას უძღურობდა,  
 ლაზერად ეცა დათა გულსა, მათს ანბაგსა უწინ სცნობდა,  
 ლარნაკშია ჩადებულსა ნახვად ველარ მიუსწრობდა,  
 და ლხინად შესცვლის ჭირსა მათსა: „ალგვიდგინე“ — მას მადლობდა

მან გაგზავნა მოწაფენი ორნი ვინმე ვირის პოვნად:  
 — „მომგვარეთო კიცვი, ვისი ვენახშია პოვნოთ მძოვრად,  
 მომწყსა მინდა მე წარმართთა პირუტყვით მსგავსად, ვითა  
 ცხოვრად,  
 და მოვიდოდა ნებსით დაკვლად კრაფი ღვთისა თვით მაცხოვრად.

ნებროთისებრ ისრაელთა ცოდვამ ენა შეურია,  
 ნეტარ რა ქნა პილატემან, მსხვერპლსა სისხლი შეურია,  
 ნოემ დადგა კიდობანი, დაძრა, ნიჩბით დაუტრია,  
 და ნუ ვიქნებით მოუქცევლად სულა შენ და მე ურია.

მდეს მხსნელმან ისრაელთა პასქა ჰამა ძველი კრავად,  
 ორი მსხვერპლი აღასრულა, ერთი თვით არს დასაკლავად,  
 ომს იქს პეტრე, მახვილს იხდის მალხოზისთვის დასაკრავად,  
 და ოქრო გასცა მოწაფემან, იქმნი ეშმაკთ შესაკრავად.

პილატესგან გაბასრული ეროდესთან მიიძღვნება,  
 პირი შეკრეს ჯვარცვისათვინ, ესე მათგან დაისკენება,  
 პირს ნერწყვიდეს შემომქმედსა, მიკვირს, რად არ წაირღვენება?  
 და პიომშრა იგი ძე მამისა, უყურე; თუ ვისგან კვდება!

შამთა და წელთ შემომქმედი ცხრა ეამამდინ იყო ჯვარსა,  
 ეურვენ ნაღველს ღრუბლით მისთვის, შესართავად რევენ ძმარსა,  
 ექთა იყო ხილვა მისი, ჰყოფენ საქმეს შესაზარსა,  
 და ეინად სკირდათ, მათ სისხლთა სმა ამამურიან მათსა ჯვარსა.

როდეს ამაღლდა ძელზედან, მტერი გუნდითურთ დაეცა,  
 რა ბრალი იყო საზღთოსა გვერდსა ლახვარი გაეცა!  
 რაც სულნი ჰყვანდეს ჯოჯოხეთს, იგ ველარ ეპყრა გაეცა,  
 და რუ სისხლისა და წყალისა ჩვენდა ხსნად გარდამოეცა.

სადა სხდეს შიშით მალულად იოსებ, ნიკოდიმოს და,  
სრბით მივა, ეტყვის, ქალწული, ტირს, ცრემლი მოწვიმოს და:  
— „სრულ შიშვლად კიდავს ძელზედან, ვინ ჩვენთვის ბორცთა  
იმოსდა,

და სიტყვა უკვდავი მამისა წარგრაგნე, მიეც ტილოს და“.

ტარტაროზი დაითრგუნა, ჯოჯოხეთი გახდა ოხრად,  
ტბა ცეცხლისა დაშრეტილა, აღარ გრგვინავს ისრევ ოხრად,  
ტარიგისა წმინდა სისხლი ჩვენ მოგვეცხო ბრალთა მხოცრად,  
და ტანჯვას დამსენ, მხსნელო ჩემო, წიგნს ცოდვილთას აღმო-  
ხოცრად.

შესკრული მოწყალებისა სიკვდილსა მითვალევედა,  
ურიათაგან ჯვარზედან ძმარსა ნაღვლითურთ დალევედა,  
ურღვევედა კრეტსაბმელებსა, რისხვას არ დაუშალევედა,  
და უყვილებს პეტრეს მამალი, ტირს, მხსნელი შეიწყალევედა.

შერბთა ბჰნდეს მოწაფეთა, იუდაცა ისერებსა,  
ფრხივ მირბოდეს მღვდელთ-მოძღვრისას, მონა ყურსა ისერებსა,  
ფარვით მივა, ეუბნების/ვერცხლსა სთხოვედა ის ერებსა,  
და ფრთენი მომეც, ღმერთო, შორს მყავ ზე ცოდვასა, ი სერებსა.

შვა მძიმე ზედან საფლავთა დაბეჭდეს, დასდევს ლოდებით,  
ქვეყანა ძრწოდა, მოვიდეს მუნ ანგელოზნი წოდებით,  
ქალთ ეტყვის: „აღდგა უფალი, აქა ნულარ ხარო გოდებით,  
და ჰქენთ, წადით გალილიასა, მუნ ნახოთ-მიელოდებით“.

ღვთის მკვლელთა მცველნი მოქრთამეს: „თქვით «მკვდარი  
მოცავკვპარესა».

ღამეს მერვესა უფალი შევლის დახშულსა კარებსა,  
ღირსი მოწაფე განხრახვით თითს გვერდზედ მიაკარებსა,  
და ღალადებს სარწმუნოებით, ღვთად, უფლად აღიარებსა.

„შოვლი გათავდა—უფალმან თქვა—ჩემი ქვეყნად რებსა;  
ყურად იხვენით ქადაგნო, აწ დრო გაქვსთ ქადაგებისა,  
ყრმათა და ბერთა ბეჭედი მიეცით ნათლის ღებისა,  
თა ყოვნა არ ძალმიც, ცად აღვალ, ჟამია ამაღლებისა“.

შვენიერთა ფერხითა მთბს გაეღუნ „ზეთის ხილგბსა“,  
 — „შვილო, გაკურობხვე“ — ეტყოდა, თვით ზეცას აღიხილგბსა,  
 „შინ სხედით, სულსა წმინდასა თქვენ მამა მოგივლინგბსა“.  
 და შიში მკლავს, ძნელთა სასჯელთა, ვამე, ვინ მომიღიხინგბსა!!

ჩამოღმა მზერენ ქადაგნი, აღმა ვერ შეეცაღა რა,  
 ჩამოვა ხმა ანგელოზთა, მართლ ეტყვის, არ თუ ცაღარა,  
 ჩვენი ბუნება მოკვდავი ზეცას ავლინა, ცად არა,  
 და ჩანს, ვით თქვა — ეგრეთ მოვიდეს, წასვლა-მოსვლასაც აღარა.

ცრემლით მლოცველნი სიონად ქორს დასხდეს შეკრებულგბით,  
 ცხოველსა სულსა ელოდეს აღთქმულსა აღსასრულგბით,  
 ცეცხლისა ენა განეყოთ თორმეტსა თავსა დგმულგბით,  
 და ცას ქვეშ რაც იყო, ესმოდა ყოველი სიტყვა თქმულგბით.

„ძილი ჰმართგბსო“ — ეინც ნახა, თქვეს: „ღვინო უსვამს  
 ტკბილგბი“,  
 ძალსა სამღოსა დაეტგბო მათი სასა და კბილგბი,  
 ძველ ოდეს ეთქვა იოველს, არ ახლა დანაპირგბი,  
 და ძირნი აღმოფხვრეს ცოდვისა, ბრძენთა დაუყენეს პირგბი.

წარმართნი მოინადირეს სახარგბისა ბადითა,  
 — „წყლითა და მერმე სულითა მეორედ აღმობანდითა,“ —  
 „წმინდა სამება გვეცნობა — თქვეს — კერპთა ღვთად ნუ ხადითა“,  
 და წილბღომილი ჴართ ქართველნი, რომელსა მას ვიქადითა.

ჴამამ მოგვატყვა სიკვდილი, იგ წარმდებგბამ ხისამან,  
 ქირთაგან გვიხსნა უფალმან, მომცემან საიოთხისამან,  
 კურმან რჩეულმან სამცა ელო, სმენით უსმენმან თქმისამან,  
 და ქირნი შემყარნა და შიში ჩემმან უწესოდ სვლისამან.

„ხილვა მეორედ მოსვლისა — თქვა ეზეკიელ — ძნელია“,  
 ხერხით განხერხოს ანტემან მაშინ ენუქ და ელია,  
 ხანი ვერ დაყოს, მოუხდეს მას წვითა. დამღეწელია,  
 და ხარბად დიოდეს მდინარე, ცეცხლი ცოდვილთა მწველია.

ჴმა რა საყვირთა ოხრიდეს, მკედარნი საფლაგვა ცალგვდენ,  
 კორციით მოვიდეს უფალი ძრწოლით დგენ, მრავალ თვალგვდენ,  
 კელ-ბორკილითა შეკრულთა ცოდვილთა მოიყვანგვდენ,  
 და კელით. წერილსა ბრალთასა ნეტამც თუ დამიძალგვდენ!



ჯვარი მოუძღვის უფალსა წმინდათა სისხლთა ცხებული,  
 ჯარი და გუნდი ზეცათა ვერვისგან აღრიცხებული,  
 ჯოჯოხეთს დასცა სატანა შერისხვით განრისხებული,  
 და ჯდეს ღრუბელზედან, მით იქნეს წმინდანი მიგებებული.

ჰალავსეს სიხარულითა ცხოვარნი მარჯვნის მხარემან,  
 ჰავისა მქნელნი თიკან ჰყოს განჩინებამან მწარემან,  
 ჰანგარიში ქნას ცოდვილთა მან წიგნმან მატინემან,  
 და ჰაი, თუ კარი დამიხმას მახვილმან მოტყინარემან.

ჰდეს ცანი წარიგრაგნეს, მაშინ იქვეს წიფნი ტყავად,  
 მქრო ქრთამად არ გავიდეს, ვისაც ჰქონდეს მოსარწყავად,  
 მრიგინ და ნესტორ, პეტროზ არიოზთან იდგეს შავად,  
 და მი მე, თუ მეცა მკითხონ ცოდვა ჩემგან დანაშავად!

## ა ნ ბ ა ნ თ - ქ ე ბ ა

### III

აღმართა მხსნელმან ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადა-  
 მის ძვალთა,  
 აღმოსაველეთით მისცა მამული, პირველ მუნიტან გამონა-  
 ძალთა,  
 აღმისუბუქენ ჩემნი ცოდვანი, შენ გვედრებდი ზეცისა ძალთა,  
 და აღდგომასაცა ნუ დამივიწყებ, როპელი გვიშევ—შავისა ძალთა.

ბორცვნი დაჰბადენ, ცანი გარდართხენ, ზღვა შემოზღუდენ  
 გარე ქვიშითა;  
 ბერმან სვიმეონ, ოდეს მიგირქვა ღმერთი ყოველთა მკლავთა  
 ნიშითა,  
 ბნელი განათლდა მაშინ ჯოჯოხეთს, ტყვეთა ეხარა მკვდართა  
 იშითა,  
 და ბერო დღეთაო, მაშინ გვედრივარ, ოდეს წარმოვდგი, ვძრწოდე,  
 შიშითა.

ბარდამოხდა სიტყვა ღვთისა, ღვთაებასა არ განტყო,  
 გაბრიელის ხარებითა ძე ქალწულსა მუცლად ეყო,  
 განცხადა იორდანეს, იოვანემ ხელი მიჰყო,  
 და გვედრები, ღვთისმშობელო, ედემს კარი არ დამიყო.

ღვით უცეკა ქანარსა ამოსა გასაგონარსა,  
 დღად გიწიდა უფლისა ქალწულსა მოსაწონარსა,  
 დღად გვედრივარ, შარამ, სულთა და ხორცთა ძრწოლასა,  
 და დამხსენ, ზენაარ, სემოელს, ურცხესა და შეუწონარსა.

მსაია ხმა-მაღლა თქვა ქალწულისა მუცლად ღება,  
 ელნესი სახე იყო სამსკვალთაებრ აღმოღება,  
 ემმანოელს ეწოდების „ქრისტიანეთ ხელთ აღება“  
 და ერთხელ ბრძანე, ღვთისმშობელო, ედემს ჩემთვის კართა ღება.

მელთა კერპნი აღემართა, ვინ არ უგო, აღმოფხვრიდეს,  
 ვაჟთა სამთა შეენიერთა სატანჯველთა არ დაპრიდეს,  
 ვითა მტვერი დაილეწა, ანგელოზნი ცვარსა სცვრიდეს,  
 და ვევედრები ღვთისმშობელსა, ბრალნი ჩემნი აღეშრიტეს.

ზეცისა ძალთა მთავარსა კაცთათვის ნათელ-ღებულსა,  
 ზეცით ქვეყანად ჩამოსულს, ღვთაებით განკაცებულსა,  
 ზე ამალღებათ ჯვარზედან სისხლითა გვერდ შეღებულსა,  
 და ზენაარ, პეტრე შემზიდე სამოთხეს კარს გაღებულსა.

სე, თუმცა სახლი სულისა მაღლა კლდებზედა ამეგო.  
 სე, თუმცა ჩემი ქონება გლახათა ზედა წამეგო,  
 სე, თუმცა მონანულთათვის ყურ მეგდო, თვალი მიმეგო,  
 და სესოეთ არ დავიკეყოდი მე თუმცა გულის-ხმა მეგო.

თაბორს ოდეს გამობრწყინდა, საყდარიცა მისი დადგეს,  
 თორმეტნივე მოციქულნი მის წინაშე ძრწოლით წადგეს,  
 თომამ გვერდი მაჭინ იცნა, ოდეს თითნი შემოადგეს;  
 და თვალნი შენნი, ღვთისმშობელო, მე წალობით შემომადგეს.

ნორდანეს ნათლის-ღებას ხმა-მაღალი ისმა დიდი,  
 ისრაელმან ზღვასა განელო ფარაოსგან განარიდი,  
 იუდასგან უსასყიდლო ოცდათ ვერცხლად განაყიდი;  
 და იოვანე, შემახვეწე, მის წინაშე აჯად მიდი.

ძლდეთ გარდამოხდა სინათლე, არ ცოტა რამე ჰვირიო,  
 კარიოტლისა ვისგანმე განყიდვა დანაპირია,  
 კვერთხად აწ აღმოგვიცენდი ტურფა, იესეს ძირია,  
 და კარნი განნიხვენ, პეტრე შენ, თუ მწყალობ, არა ჰირია.

ლ უკა თქვა და ქადაგებდა სასწაულნი დაუთვალნი,  
 ლოკდეს ხარი ბეთლემს შიგან, ვისგან ძრწიან მრავალ თვალნი;  
 ლოდსა გარდაგორებულსა გაკვირვებით სკერეტდენ ქალნი,  
 და ლამი შეეკნა ცრემლისანი, რომ ჯოჯოხეთს დამხსნან აღნი.

მე, გლახ, სულსა ვერა ვარგე, ვერცა ვუყავ საქმე ქველი,  
 მოსემ განხა მაცლოვანით ცეცხლის დებით შეუწველი,  
 მოწყალე ხარ, ღვთისმშობელო, წყალობასა შენგან ველი!  
 და მარჯვენასა ნუ დამაკლებ, ოდეს დაჯდეს განმკითხველი.

ნუ სცოტები, სულო ცოდვილო, ღვთისათვის მუხლთა დაყრასა,  
 ნუ გირჩენია ავის ქნა ლოცვასა, ცრემლთა დაღვრასა,  
 ნათლისმცემელო, გვედრივარ სულთა და ხორცთა გაყრასა,  
 და ნუ მოეშვები შენ ჩემთა სულთა ჯოჯოხეთს ჩაყრასა.

ორღანოთი ფსალმუნება ღმერთსა შეენის, სხვას არვისა,  
 ოფლთა ღერა და მუხლთა დრეკა, ხაშს, ვედრება ღვთისმშობლისა,  
 ორისავე ბუნებითა შეგვაერთნა კაცნი ღვთისა,  
 და ოდეს მოვა აღსასრული, გვაქვს იმედი შეწევნისა.

პირველ უთხარ იოვანეს: „თავი მკერდსა მიაყუდე“;  
 პური მიეც გამცემელსა, ამით უფრო გაამრუდე,  
 პილატესგან ჯვარცმად წარსდეგ და სამოთხეს დასდეგ ზღუდე,  
 და პირველ ბრალნი, ღვთისმშობელო, მერმე ცდომა გამიცუდე.

ჟამმან აღსასრულისამან უცხოდ რამე აღმაქშინა,  
 ჟამმან ტვირთმან ცოდვისამან დამაშრო და დამაშინა,  
 ყოლოს ვითა, მატლი სკამდეს ხორცსა ჩემსა ქვესკნელს შინა,  
 და ჟამთა ყოვლთა შემომქმედო, შემიყვანე ედემს შინა!

რომელსა გვერდსა უგმირეს, ვაგლახ, ლახერისა მნთობელსა!  
 რაბანასა და კარასა, იუდას მათსა მთხრობელსა,  
 რაჟამს უცემდეს მიქაელ საყვირისა მაღლად მნობელსა,  
 და რომე გარეგან არ დავრჩე, შემევედრე შენსა მშობელსა.

სოფელს ვიყავ, ბევრი ვცოდე, ტვირთი მძიმე აღვიკიდე;  
 სულსა ჩემსა, ღვთისმშობელს ვერვის ვანდობ შენგან კიდე,  
 სასუფეველს მოხვიდოდე, მაგრა ხელსა მომეკიდე,  
 და სამოელის გუნდმა გთხოვოს—მას შენებრივ წაეკიდე.

ტურფად განბარა გაბრიელ მოსვლა სულისა წმინდისა,  
ტარი დაადე ხელთაგან, ფარტენა ძოწეულისა,  
ტენვა გეძნელა მუცელსა მოსესგან ძველ ნახულისა,  
და ტარტაროზისა ხელისგან დამხსენ, ძრწოლა მჭირს გულისა.

შფალსა ღმერთსა ვევედრნეთ, პირველ დავითის ქებულსა,  
უთესლოდ ქალწულისაგან საშოსა დამკვიდრებულსა,  
უღვთოთაგანვე ჯვარცმულსა გხედვიდენ განკაცებულსა,  
და უხრწნელო, ხელი აღმიჰყარ განკითხვად შეზარებულსა.

შერხთა ჰბანდი მოწაფეთა, მოგემზადა ამო სერი,  
ფუტქარი, ვით გოლეულსა, გარ მოგადგა უღვთო ერი,  
ფარავით უთხარ იოვანეს საიდუმლო საუბერი,  
და ფრიად, ოდეს ერთად ვიქნეთ, მუნ გვედრივართ ყრმა და ბერი.

ძრისტე ოდეს შოვიდოდეს, ჩნდეს, ვითა მზე აღმოსრული,  
ქერაბინთა ზედა მჯდომი და პილატე გაბასრული,  
ქრთამი მაშინ არას გვარგებს, რომ მოვიდეს აღსასრული,  
და ქალწულსავე შევიხვეწნეთ, მან გვიოხოს გარდასრული.

ღმერთო, ქვეყნად ცა გარდართხი, ზღვა გარეშე შემოზლუდე,  
ღელვა ზღვისა, ქარი ძნელი მოწაფეთა დაუყუდე,  
ღირსთა თანა დამაყენე, ეშმა ბნელი გამარიდე,  
და ღვთისწმობელო, ცოდვა ჩემი აღხოცე და გააცუდე.

ძრმანი გასხმიდენ ქებასა—შენ აღუდგინე ძმობილი,  
ყოველთს საგალობელი, ძე ქალწულისა შობილი,  
ყოვლად ნუ მიმიცემ სატანას, საქმე ჰქენ ჩემზედ ბუკობილი,  
და ყოვლად წმინდაო, შემვედრე—მოვიდეს შენგან შობილი!

შემკმა ხილისა ავი ქნა—ევამ—მოსმენა გველისა,  
შემსჭეალვა ძელსა—მით მოხდა ქვესკნელთა შემბუსრველისა,  
შეყრა უბრძანა ყოველთა გესამანიას ველისა,  
და შენვე გვედრივარ, ქალწულო, შიში მჭირს გამკითხველისა.

ჩვენებით ნახეს ვარსკვლავი, მოგვთა ძღნობა ქნეს მურისა,  
ჩჩვილნი უბრალოდ მოსწყვიტნეს, ვით ზვინი კალოს პურისა,  
ჩქურითა მოსრნა ჰეროდე, ექმნა მეფობის შურისა,  
და ჩემი შემინდევე, ქალწულო, მოცდომა ეშმაკურისა!

ცეცხლი ძნელი, შანთი საღმრთო რა ქალწულმან მუცლად იღო,  
 ცათამანვე შემომქმედმან ყვრიმლის ცემა ნებსით იღო,  
 ცთომა პირველ-შექმნულისა გულისაგან გარდაიღო,  
 და ცრემლსა ვადენს, ღვთისმშობელო, რომ სამღობეს კადა მიღო.

ძველითგანვე სინაზედან მოსეს მიერ ღვთად იდიდე,  
 ძე და სიტყვა ქეშმარიტი ბეთლემს ქვაბსა არ ერიდე,  
 ძელსა ზედა მით მოგვიდეს, რომ ქვეყანა დაგვიკიდე,  
 და ძალი მომეც, ღვთისმშობელო, რომ შენ მიერ ხელი მკიდე!

წათებითა მოგეხეივნეს, ქლამინდითა შეცავგმოსეს,  
 წყალი-სისხლი გვერდით შენით ჯვარსა ზედა მათა მისცხეს,  
 წელულსა ვისმე ავაზაკსა, რომ წყალობა შენი მისცხეს,  
 და ხყალობა ჰყავ, ღვთისმშობელო, მეც მომხედენს, ვითა მას ეს.

შენვა მაქეს და მეშინიან, ოდეს სული ამოვყარენ,  
 ქეშმარიტსა ღვთისმშობელსა ბრალნი ჩემნი აღუარენ,  
 კირი ინახე ლოცვისანი, მადლნი ბრალთა შეუდარენ,  
 და კეთა მომეც, ღვთისმშობელო, რომ შენ მიერ ცრემლი ვღვარენ.

ხილი ქაზა ადამ, ევამ არ საყვარელად გემოსა,  
 ხესა მით ჯვარსა მოგვიდეს, ტანსა ქლამინდი გემოსა,  
 ხევა ვერ ხელჰყვეს, გაიყვეს კვართსა ქსოვილსა ზემოსა,  
 და ხოლოდშობილო, ნუ მიმცემ მე სატანჯველსა ქვემოსა.

პართათვის წკებლად მოსჭრიდეს ნაძვსა, ფიქვსა და საროსა,  
 კელნი განიპყრენ, რომ ადამ სამოთხეს დაემყაროსა,  
 კორცითა ჯვარსა მოგვიდეს, ანათობ ვინ სამყაროსა,  
 და კამს, რომე შენვე გევედრნეთ—უკვდავებისა წყაროსა.

წვიარი აღმართეს გოლგოთას, გული შეძრწუნდა მტერისა,  
 ჯანად გებულა სამოთხე ადამის ნებიერისა,  
 ჯარი რა დადგეს, ქალწულო, აღმური დამხსენ ბნელისა,  
 და ჯოჯოხეთისა დაღეწა დასტურ არს, ვითა მტვერისა.

ჭურიანი მეწამულსა ვინ განასხა ღვთაებულსა,  
 ჰერთი მათი შვილი უღვთო ქვეყანასა გცემდა გულსა,  
 ჰესრეთ ჰქენ და მით უშველე ადამს ქვესკნელს დაკარგულსა,  
 და ჰაერისა მცველთვან მიხსნე, შენ მოგანდობ ჩემსა სულსა.

შექმნა გებრძანა შენ ჩემთვის, ჰე რა კარგი ხარ, არ ავი,  
 ზ, ღმერთო, რომელ აბრაამს შენ განუნათლე კარავი,  
 ზ, მასც დაიცავ ამაცსა, ვინა თავისა მზარავი,  
 და ზ, წმინდაო დედოფალო, შენ იყავ ჩემი მფარავი.

ა ნ ბ ა ნ თ - ქ ე ბ ა

IV

ანო ალვისა, აანო ბროლ-ვარდი,  
 ბანო გარევით ნაყოფად ესხეს,  
 ღონო დავსწამე, ვარდსა შევსწამე,  
 სიტურფე, თურე, მისგან ესესხეს,  
 შნო ედემსაც, ვინო ვინ ნახა.  
 ზენო ზნედ სჭირდეს სხვამანც ვის ესხეს;  
 და ცეო ცეთერი, თანო თუ მისთან,  
 ინო ის იჯდეს, თუ გარე ესხეს.

ძანო კბილ თეთრსა, ლასო ლალი სცავს,  
 მან მუხვე ჩემი უკეთესობდეს,  
 ნარო ნარგიზთა, ონო ორპირი,  
 გულსა ლახვარი უკეთ ესობდეს,  
 პირო პირ-მხესა, შანო უამთაგან,  
 რა რომელს დარჩა, უკეთესობდეს,  
 და ხანო სწავლისა ტარო ტრფიალსა,  
 შნო უხმს სიტყვას უკეთესობდეს.

შარო ფერად ჰგავს ძანო ქალაღსა,  
 ესრეთ იცნობენ უკეთესოვე,  
 ღანო ღაწე-ვარდი, შარო ყბად ჰფერობს,  
 შინო შავარდენს თეილად უშავე,  
 ჩინო ჩინელთა, გამოჩინელთა,  
 სახე უტურფე ვერ ვამუშავე,  
 და მანო ცად მთვარე ეს არ უარე,  
 ბროლზედ ყორნის ფრთე ზედ, აფუშავე.

ძილო ძლივ სული მაქვს ამოსული,  
მისგან ეგზომი განეწონება,  
წილო წამწამად, ისრის გულს წამად,  
ლახვარი უწყლად განეწონება,  
ჰარო ჰკვიანსა, გონებიანსა  
მას სხვასთან ტურფა განეწონება,  
და ხანო ხე ალვა, ჰმართებს დამალვა,  
მას სარო ნორჩთან განეწონება.

კარო კორცთაგან ჩემთ, არ სხვათაგან,  
ბაგე სვამს ხარბად ესრეთ მის დარად,  
წანო სჯობს ეს მათ, მნათობთაც ესმათ,  
ვინმცა იპოვოს სხვამცა მის დარად,  
ჰაეისო ჰაეზი, ცრემლით ნაეთა უზი,  
ვინც გამიყვანოს მე იქ მისდა, რად?  
და ზღეს მზესა, მისგან უზესა,  
ვერ ვხედავთ შუქით სხივთა მის დარად.

რაზის გულის ქვეილი და მამუკა ბარათაშვილის პირით მწვევედ. ამხილეს გვირგვინოსანი პოეტი. მამუკა ბარათაშვილი ერთგან აღშფოთებით წერს თავის «ქაშნიკში»: „რომელსაჲმე საღვთო წერილი სამეძაოდ გაულექსაჲს; სხვას მრავალთ ღედაკაცთ ტრფი-ალღებისათვის თათრის ზღაპრები გაულექსაჲს მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდ“<sup>1</sup>. არავითარი ეჭვი არაა, რომ ციტირებული ნაწყვეტის მთელი მახვილი თეიმურაზის წინააღმდეგ არის მიმართული: „თათრული ზღაპრების“ მღექსათა შორის სწორედ თეიმურაზს მიეკუთვნება პირველი ადგილი. ჩვენ ქვევით ვაჩვენებთ, რომ თეიმურაზმა წამოისროლა კლერიკალური თვალსაზრისით მწვეალბლური ფრხვა: „სპარსთა [იგულისხმე ბარათაშვილის თათართა] ენისა სიტყვობან მასურვა მუსიკობანი“. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა შემდეგი დეტალი. ბარათაშვილის სიტყვით, „რომელსაჲმე საღვთო წერილი სამეძაოდ გაულექსაჲს“<sup>2</sup>. ხოლო ამ შემთხვევაში უსათუოდ თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“ იგულისხმება, რომლის შესახებ თეიმურაზი პირდაპირ ამბობს: „მათ საქჲსა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს დაბადება“<sup>3</sup>.

და განა თითონ თეიმურაზს კი სჯეროდა თავისი „გულუბრყვილო“ განცხადებისა?! აკი ერთგან პოეტი გამომწვევეი კანდიერებით შენიშნავს (ვ. ბ., 93):

თქვას თუ ვინმე: რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა,  
ესეკ მითხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?!  
რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგავის  
ვისგან ბარჯაო.

და ეს სიტყვენი იმ კაცს ეკუთვნის, რომელსაც არჩილი სრულიად სამართლიანად ალაპარაკებს (ცხოვრება თეიმურაზისა, 643):

გითხარ, სალექსო დროები აროდეს არ შემომესწრო-ო.

სხვაგან თეიმურაზი თითქოს ნაღვლიანი გულისწყრომითაც მშვენიერად ამხელს სასულიერო მწერლობის მიმართ არსებულ საზოგადოებრივ ინდიფერენტობას (შედ., 5):

<sup>1</sup>) საქართველოს მუზეუმის S კოლექციის ხელნაწერი № 1550, გვ. 4—5.

<sup>2</sup>) შდრ. აღ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი (ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი), 1931, გვ. 18—19.



არვის უნდა სახარება, არცა «წიგნი მოციქულთა»,  
 არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შეზომქმედი მისგან ქმნულთა?!  
 განკითხვა და საუკუნო, არც სიკვდილი უძეს გულთა,  
 უნახავთ არას მიკვირს, ბრძენთა მიკვირს მონახულთა-ო.  
 პოეტი თითქოს მწუხარებრთ შესწივის მკითხველს (4):  
 დალბეს ბევრი სამღთო წიგნი მიწაშიგან მოდებულ-ო.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზის აღნიშნულ ფაქტს არ ჩი-  
 ლიც ადასტურებს: <sup>1</sup>

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუღობით,  
 საშაიროს ინახვედენ სტავრის ბუღით, ან ნახლობით-ო.

ამასთან ერთად თეიმურაზი არც საერო პოეზიის პოპულარობას  
 ჩქმალავს (შედ., 82):

თუ სამღთო ჭამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაი-  
 ხედევდა,  
 რა ეს ლაყაბი შევეკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა:  
 „არა ესე სჯობს“, — „არ, ვსე“ — სიცილით ყველა ყბედევდა-ო.

ამ სტროფის უკანასკნელ ტაქტში კი პოეტი კვლავ საბოდიშო  
 რეზონანსობით ასკვნის:

ეგების სხვაც რამ ვასმინო, მე ესე მეიმიედევდა-ო.

ამრავად, მიუხედავად სასულიერო მწერლობის პრიორიტეტო-  
 ბის აღიარებისა, თეიმურაზი მთელი თავისი მხატვრული შემოქმედე-  
 ბით საერო მიმართულებას ემსახურება და „სალაღობო და წყლია-  
 ნი“ პოეზიის ენტუზიასტი ხდება. მისი ხშირი წუწუნები „სამღთო“  
 მწერლობის სიავკარგეზე მხოლოდ ერთგვარი სავალდებულო ხარკია  
 კლერიკალური საზოგადოებრიობის მიმართ. მაგრამ ეს ხარკი თეი-  
 მურაზმა მაინც გაიღო და, მაშასადამე, კლერიკალური საზოგადოებ-  
 რიობისა და კლერიკალური აზროვნების ზემოქმედებაც განიცადა.  
 თუმცა თქმა არ უნდა, ეს ზემოქმედება არც ისე რადიკალური ყო-  
 ფილა. ყოველ-შემთხვევაში ფორმალური მომიზეზებით თეიმურაზმა  
 ძირითადად თავი დაანწია სასულიერო მიმართულებას და საერო-

<sup>1</sup>) ე. თაყაიშვილი, Описание, II, 148.

ფეოდალური საზოგადოებრიობის იდეოლოგი გახდა. სწორედ ეს იდეოლოგია ეგუებოდა პოეტის სოციალურ განცდებს. სრულიად შემთხვევითი არაა თეიმურაზის აღსარება, რომ „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიით „(უ)თა რამ უკუტყყარე, სევდა ვქენ განათხელები“ (შ. ფ., 15). და რამდენი სხვა „სევდიანი“ გული ეტანებოდა ამ პოეზიას?!  
უკანასკნელ ფრიად საგულისხმოა ამ მხრივ თეიმურაზის შემდეგი გულახდილი განცხადებაც (ლ. მ., 3):

სიბრძნე ხაშს მარგედ სულისა, განქარდეს ხორცთა შევბანი,  
უკლებლად წერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი;  
არყინ იკითხავს წიგნებსა<sup>1</sup>, შესწყინდეს ცულად დებანი,  
მას არვინ ისმენს, ვარჩიევ სოფლისა მიდ-მოდებანი.

\* \* \*

როგორც ვიცით, თეიმურაზის დროინჯელი ფეოდალური საზოგადოებრიობა ძალუმად ამჟღავნებდა დაცემისა და დაქვეითების ცხადლივ სიმპტომებს. დაცემულობის მომენტები აღბეჭდილა თეიმურაზის პოეზიაშიც. არისტოკრატიული უღარდულობის ასახვასა და ბაგე-ღვინის აპოლოგიასთან ერთად აქ აღბეჭდილია მწარე ამონაკვნესებიც: ბედის ჩივილი, წუწუნი, მოთქმა. ეს თითქოს მოჩვენებით ორი მოპირდაპირე ძირეული მოტივი ერთად შერწყმულია თეიმურაზის პოეზიაში და ერთ მთლიან იდეურ-მხატვრულ სურათს იძლევა.

თეიმურაზის მაიელ შემოქმედებაში წითელი ზოლივით არის გატარებული მწუხარე ჰანგი, პესიმისტური მოტივი. პოეტისთვის წუთისოფლის რაობა ისმება კარდინალურ კითხვად. პასუხი მუდმივ ერთია: წუთისოფელი მუხთალა, უნდო, მბეზარი (შედ., 92):

მუხთლობა არის თავიდგან სულ მისი დასაწყისი... და —  
— „ანაზად სიკვდილსა მოგვემს“, „პირს მთვარულებ გაესილ-ა დააჰქნობს, დაალოჯებს“, „წარბსა მშვილდურებ მოხრილსა გააყრევინებს, წაახდენს“. არად დაინდობს ნორჩი „ლაწვისა ფეროვანებსა, ლერწამ ტანს“, „წაჰხრის და მოსდრეკს“. ყოველივეს უწყვეთი დასასრულია (შედ., 99—103):

სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები.

წუთისოფელი ამოუცნობი ფენომენია; ის კაცს „პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდებს“, მაგრამ მოულოდნელად

1) იგულისხმება „მამათა“ ნაწერი „წმინდა“ წიგნები.

„უმუხთლებს, გაუადვდების“ (სოფლის სამღურავი, 11). საწუთროს თვისებაა: „ფერობა, ბრუნვა, ჩვენება“ (წამება, 2). ის უკუღმართია ვერავი, ბოროტი. აბა „გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?“ (სოფ. სამღურავი, 12). ამიტომ რალა დაჩენია პოეტს, თუ არ მწარე გოდებით ამხილოს ეს ვერავობა (იქვე, 13):

სოფელს მყოფნო, სოფლის საქმე, გასინჯეთ და გაიგონეთ,  
ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ!

ასეთია თეიპურაზის შეხედულგება წუთისოფეოზე, რომელიც მისი ცხოვრების კონკრეტულ ყოფით პირობებშია შემეზავდა. პოეტის „ბედი“ სიყმიზ ყოფილა განწირული, მისი გული თურმე ღრმა ურვასა და მწუხარებას ჩვეულა: „გული სავსე მაქვს ლახვრითა“ო (მაჯამა, III, 4) ოხვრით აცხადებს და ბრალად საწუთროს უდგენს: „უწყალოდ სვამს სისხლსა ჩემსა“ო. მართალია, პოეტს ახალგაზრდობისას სისხარულიც კი განუცდია და არცთუ ღზნსა და ღრეობას ყოფილა მოკლებული, მაგრამ ეს იყო მხოლოდ „წამ ერთი“ო. ბოლოდე კი სოფელი არვის დაინდობს და ღზინი კირად შეეცვლებაო (მაჯამა, VII, 6, 16):

სოფელმან და ჟამმან კრულმან ღზინი ჩემი განაქარვა,  
ღზინის სანაცლოდ სოფელმან სულ მატირა და მახარაო.

პოეტს თითქოს ერთხელაც კი არ უნახავს მზიური ყოფა. მისი სიცოცხლე თითქოს უწყვეტი ცრემლთა დემა (იქვე, VIII, 26):

მე ვიღვრებოდი ცრემლითა, აროდეს ვიყავ დარითაო.  
ან კიდევ (წ. ფ., 12):

თვალთაგან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მგზავსად მდენიაო.  
„სოფლის სამღურავ“შიც ჩვეულებრივად მოსთქვამს (20):

კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად ზიმწარით მანანაო.  
საწუთროს მთელი მუხთალი ძალა თეიმურაზის თავსდატეხილა,  
ყელში სწვდენია პოეტს და მოშთობაც კი განუზრახავს. გამწარებულნი პოეტი ცრემლით საყვედურობს (შედ., 85):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადავე?!  
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მქარ, დასად ავე!

პოეტი ეძლევა სასოწარკვეთილებას, ჰკარგავს თეითმოქმედების უნარს, არ იცის რა ქნას, რა გზას დაადგეს (სოფ. სამღურავი, 10):

შემაშთო სოფლის ზრუნვამა, ვამე, რალა ეჭყო აწა მე?!

თვალს მიმოავლებს თავის ცხოვრების მატანენს და შხამიან დღიურებს ფურცლავს (შ. ფ., 12): „სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია“—ო—ურვით დაასკვნის. საკუთარი თავის ორეულიც მაცდური პირდაპირობით ჩასციეებია (სოფლის სამღვრავი, 12):

სულო, მოზორდი სოფელსა, ნუღამ მას რად დაებია?

ადღენებული ეჭვი კვლავ ჩასჩიჩინებს, ელიზღება (წამება, 3):

უქმოერიდოს, სოფელსა, არად არ შეიწყენაროსა.

პოეტში ბრძოლაა. საშინელი ქარტეხილია აჭრილი მის სულში. მხოლოდ ხანისხნობით თუ ჩადგება ხოლმე ეს ქარტეხილი და დროებითი სიპშიდე ჩამოწვება: ესაა რელიგიური ადგზნების წზმში. ამას მოჰკვება სინანულის ტრეჭლები, ჩივილი (თუ აპელაცია) იქსო ქრისტესა და ღვთისმშობლის მიპართ (წამება, 5):

იესოვ, შენ გეედრები, მარიამ, ქრისტეს დედაო,  
ფრიადნი სედა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,  
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშეღლეთ ამაზედაო!

მაგრამ ეს მხოლოდ ცრუმორწმუნე გულის მოჩვენებითი შესვენებაა, თორემ საბოლოოდ პოეტს ტრემლებიც შეაზრება და ლოცვაც ვეღარას შევლის. მაშინ ვისლა მიჰპართოს? დარეტიანებულ მგოსანს გზად რუსთვლის აჩრდილი შემოეყრება (შდ, 90):

ვის სიცოცხლე მწარე ჰჭონდეს, სიკვდილით თქვა შოთამ ტკბილად-ო.  
თეიმურაზი ღრმად ეწაფება ამ „შარბათს“ და სანდომიანად ნატრობს (მაჯამა, VII, 16):

ნეტამც ვინმე სიკვდილს მიმცა-ო.

სულის ეს რომანტიკული სწრაფვაც უღონოა პოეტს შეუმსებუქოს ყოფის სიმძიჟე და ის კვლავ თავდავიწყებით სწყველის ზედს, წუთისოფელს, სიცოცხლეს (მაჯამა, VIII, 23):

სოველო, კრულო, მოკლევ და წამ-ერთო-ო.

სასოწარკვეთილი პოეტი საკუთარ გულისთქმაშიდაც არის დეკლებული. მისი საქმობა ნერვიულია, აჩქარებული, შეუწონავი (ანზნთ-ქება, III):

ჰესრეთ არ დავიქცეოდი, მე თუმცა გულის-ხმა მეგო-ო.

რუსთველის მითითებული წამალი სანუკვარი ხდება, პოეტი ეძებს სიმშვიდის ამ უებარ წყაროს. იმას იტაცებს თავდავიწყება: გამხრწნადი სხეულისათვის მიწასაცკი არ თხოულობს, ოღონდ ელირსოს სანატრელ სიკვდილს (შედ., 86):

მოგკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემზედ მხეცნი მოაწივე-ო.

დეე მხეცებმა მაყრიონიც გამართონ პოეტის ლეშზე, ოღონდ მოშორდეს „მსახვრალ“ სიცოცხლეს, მუხთალ საწუთროს.

ასეთია თეიმურაზის პოეტური მრწამსი.

\* \*  
\*

მაგრამ პოეტის ეს ზოგად შტრიხებში მოხაზული უსასო პესი-მიზმი მაინც დროებითია, მომენტალური. თეიმურაზი ბოლომდე არ შერჩენია გმობის უმადლეს მწვერვალს. გმობის მწვერვალიდან ის დაბლა ეშვება, წყვეა ნელდება, გრილდება. გმობას ენაცვლება ურ-ვა-მწუხარება, სასოწარკვეთილ მოთქმას—მელანქოლიკა. პოეტი უთ-მოპს წუთისოფეოს, ლხინს, ტრფიალებას. ცხოვრებასთან შერაგების გზაზე ადგება. ტრფიალებისა და ლეინის მორევეში ცდილობს ჩაახშოს მწუხარე ყოფას მღელვარე განცდა. აქედან მოდის ბაგე-ლეინის აპო-ლოგია, სამიჯნურო რომანტიკა/ „ვარდ-ბულბულიანიური“ ურვა-ეფიქროზი, სხვა მხრივ შეუძლებელიც იქნებოდა. ფეოდალური არისტოკრატის იდეოლოგიის XVII საუკუნეში ნაადრევია პესიმისტური მსოფლმხედველობის სრული შეგრძნობა, მაგრამ პესიმისტური განწყობილების მძლავრი სიმპტომები უდავოდ მოსჩანს. ფეოდალური აშლილობისა და ფეოდალური დაცემულობის პირობები ჰკვებავენ ამ განწყობილებას...

წყევის სანაცვლოდ თეიმურაზი ეხლა დიდაქტიკური ტონით ხსწავლებს: ცხოვრების, ამ ქვეყნიურობის ნივთიერი „სიკეთით“ უნდა ვისარგებლოთ, ოღონდო—რეზონერულად უმატებს—ნუ ვიქცევით მთლად პირუტყვებად, რომ „მუნ“ კარები „არ დაგვეხმას“ო (შედ., 5):

მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნიჭთი-  
არები,

ესრედ ვინმართ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები;  
არა გვიდგს სული მოკვდავი, პირუტყვებრ გასაქარები,  
ოღეს ეს ხელთა გაგვარდეს, მუნ არ დაგვეჩმას კარები-

მართალია, განაგრძობს თეიმურაზი, „ყველა სწუნობდა სოფელსა არ გასაზრახოდ, გულითა“ო, მაგრამ „არ ვიტყვი სრულად გაუშვით“ო—და კვლავ რეზონერულად ურთავს—„ნუ გიყვარსთ სულწაასულითა“ო (შედ., 91). ამასთან ისიც მართალია, რომ „სოფლისა ავად ბრუნვამან“ ჩენი პოეტი კიდევაც „გააგულისა“ (ვ. ბ., 3), მაგრამ „არსისა შემოქმედო, შენგან არი ყოვლიფერი“ო (იქვე, 1). შინაგანი ცეცხლის შენელებას თეიმურაზი ღვთისაგან მოელას; „წამ და წუთ ღმერთი ვადიდო, ეს დამხსნის ცეცხლთა დებასა“ო (შედ., 2). პოეტი ეხლა უბრუნდება „წყულულ-დაკოდელი“ სულის სამსახურს (სოფლის სამღერავი, 9—10):

შენ, ცოდვილო სულო ჩემი, . . . . .  
განაკდე შკება სოფლისა, თავი ღვთისათვის აწამე-ო..

ან და კადევ (წამება, 3):

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,  
უფროსად ღმერთა აღიღოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა-ო.

ამრიგად, თეიმურაზის ცხოვრებასთან დაბრუნება თითქოს რელიგიური ღმერთით ყოფილა გამოწვეული, მაგრამ ვგონებ ესეც საბოდიშო ხარკია, თორემ იმან კარგა ხანია რაც დაივიწყა „საღვთო წერილი“ და ეზიარა სულ სხვებზე „სიბზნეს“: საამქვეყნო ჰანგებს, „ვარდ-ბულბულიანობასა“ და მაჯუნის ექსტაზს, ცხოვრების ნივთიერ მხარეს. „წყუტლ“, „დაკოდელ“ და „ცოდვილ“ სულზე ჩივილი მხოლოდ საფარველია მართლმოდუმნე ქრისტიანისა და მეფე-მგოსანის ხორციელ-ნივთიერი გზების გასამართლებლად. განა ღრმად მორწმუნე დავით გურამაშვილს კი დაუშალა ქრისტიანული მსოფლგაგების დოკმატიკურმა წესმა აბსოლუტურად ხელი აედო ნივთიერი ყოფის დაცვაზე და მხოლოდ სულისთვის ზრუნვა ექადაგა?! მაგრამ გურამაშვილის საზოგადოებრივ აზროვნობას სხვაგვარი კონკრეტისტორიული პირობები საზღვრავდა. თეიმურაზი კი თავის შემოქმედებით—მიუხედავად რევერანსისა კლერკალური წრეების მიმართ—თავის დროინდელი საერო ფეოდალურ არისტოკრატის განწყობილების ამსახველია, ხოლო ამ არისტოკრატის მწვევე ნაღვლიანი განწყობილების პირობებშიდაც სულისა და ხორცის საზოგადოებრივ ბაგე-ღვინო თუ გამოადგებოდა, თორემ „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ო. მაშასადამე, თეიმურაზი შინაგანი მოწოდებათაც თავის დროისა და კლასის ერთგვარ „სოციალურ დაკვეთას“

ემსახურება. ამიტომაც არის, რომ თეიმურაზის პოეზია საბოლოოდ მაინც ამქვეყნიური მატერიალური ყოფის პრიმატობის თვალსაზრისზე ჩერდება.

თეიმურაზი არა ერთგზის აღნიშნავს თავისი ნაღვლიანი განწყობილების კონკრეტ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზეზებს. ერთგან ის მწარედ უჩივის სოფელს. (მაჯამა, III, 4):

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,  
ჩეპკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა.  
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მეყოფა!  
გული სავეს მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ... აღარ მცყოფა?!

ერთგული ლაშქარის განადგურებაც ადრინდელი ლხინის სიტკბობებს უშხამავს მეფეს (შედ., 88):

მე ვხედვედი ლხინსა ჩემსა სრულად ჭრად გარდაცვლითა,  
იგ ერთობით სპათა ჩემთა ბტერთა ხელში ჩანაცვინთა-ო.

თეიმურაზმა რამდენიმეჯერ დაჰკარგა ტახტი, ის რამდენიმეჯერ იქნა სამშობლოდან გაძევებული. მეფე-პოეტი თითქოს შეეჩვია კიდევც ამ ყოფას და არც თუ ძალიან უკვირა, ის კარგად იცნობს წუთისოფლის ვერაგ ბუნებას და მწვავე ხვედრის წინასწარად მოლოდინშია (სოფ. სამღურავი, 12):

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?  
ვის ჰქონდა მუდამ სრა ტახტი, მოშლია მას თავებია!

თეიმურაზს მწარე გოდებისა და სინანულის ცრემლებს აღვრე-ვინებს შაჰ-აბას ყაენის შერისივით გაპარტახებული „სამკვიდრებელი“. მთელი ქვეყანაო—ამბობს პოეტი—„დაარბივეს, ამოსწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი“. „სისხლის მსმელმა შაჰმა“ ნოსახლეობა „დახოცა, დაატყვევა“ ო. (წამება, 11). სხვა უბედურებასთან ერთად აბასის ლაშქრობას მოჰყვა თეიმურაზის დედის—ქეთევანის წამება, უფლისწულ ალექსანდრესა და ლევანის არა ადამიანური ფიზიკური დასახიჩრება და შემდეგ საშინელი სიკვდილი. ამ ამბების მომსწრეს მწუხარებისაგან ცრემლებიც წეაშრება და მძიმე აწმყო ჭირვეულ ნამყოსაც ავიწყებინებს (იქვე):

ვა მე, ამ დროს მომხსენებსა დამვიწყდეს ჭირნი წინანი-ო.



პოეტის ურვას ის აორკეცებს, რომ საკუთარი დედა და საქართველოს დედოფალი მუხანათურად წამების ჯვარზე გაეკრა, ხოლო შვილსა და საქართველოს მეფეს „ავაზაკის“ ხვედრიც არ მერგო წილადო:

მე ავაზაკი შემცოდე ახლო არ ვიყავ, ვინანი,  
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი-ო.

გულწრფელია შვილების ხვედრით გამოწვეული ურვაც (იქვე, 21):

ვა აღექსანდრეს გაყრილსა, ვერ მქერცტა ლევანისასა!

საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ კატასტროფას ზედ დაერთო თეიმურაზის საშინელი ოჯახური უბედურება. უღრმესი ლირიზმით აღბეჭდა პოეტმა ეს უბედურება (შედ., 85):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,  
გლახ; ლახვარი სასიკვდინე ვეელა მე მკარ, დასად ააგე;  
დამიკარგე-ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?  
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?!

ასევე საგულისხმოა შემდეგი ტაეპი (იქვე, 87):

მე წამაძთვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა-ო.

იმ დროინდელმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა უკუღმართობამ— ერთი მხრივ—და თეიმურაზის პირადმა უილაჯობამ—მეორე—მხრივ მეფე და პოეტი დასცა, გარიყა, გაანადგურა (მაჯამა, II, 6):

მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და ძელია-ო.

ამგვარად, საბოლოო ანგარიშით მეფე თეიმურაზის საზოგადოებრივ-კლასობრივი (ობიექტური) ყოფითი სინამდვილე საზღვრავს პოეტ თეიმურაზის შემოქმედებით ინდივიდუალობას. გადაჭრით შეიძლება ათქვას, რომ თეიმურაზის პოეზიის პესიმიისტური კილო მწიგნობრულ-ლიტერატურული ზეგავლენის მოტივით ვერ აიხსნება (მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ზეგავლენის არსებობის ფაქტს ჩვენ ქვევით უჩვენებთ). თეიმურაზის სევდა-ნაღველში ღრმა სოციალ-პოლიტიკური სარჩული მარხია. უღლეური გამოდგა პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზრახვები, უშედეგო—მრავალმხრივი ზრუნვა, კატასტროფით დასრულდა მისი საკმაოდ ხახგრძლივი მოღვაწეობა. და აი იმედგადაწყვეტილი მეფე და პოეტი მხატვრულ სიტყვაში აქანდაკებს თავის მწუხარე განცდებს. ამდენადვე თეიმურაზის ლირიკა უღარესობამდე უშუალოა, გულწრფელია და დამაჯერებელია. პოეტის მომენტალუ-



რად ტიტანურ წყევას და გზობას ღრმა სიფუძველი ჰქონდა. რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ თეიმურაზის დაცვისგან. მაგრამ სრულიანდ უმართებულოდ მიგვაჩნია იმ მკვლევართა აზრი, რომლებიც თეიმურაზის პოეზიაში სულ ვერ ხედავენ საზოგადოებრივ მოტივს და ანტონ ფურცელაძის პატივით, მაგალითად, შემდეგ ნიჰილისტურ და ტენდენციურ თეალსაზრისს ანეთარებენ: „...ამაღბს დაუართო ზედ მელექსეობა, რომელიც იმას [თეიმურაზ პირველს, ა.ბ.] მეტად უყვარდა. იმას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი შემუსიკობა, რომ ამის ბადალი მელექსე არ გაჩენილა. უჯდა მთელი დღეობით ამ უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსებს, სადაც არც ესტეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეა, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღეთისაგან განაჩენი არ ისახებოდა, გარდა უბრალო და უაზროდ გადატმასენული სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვების ტმასენვა-გრეხისა.

კითხულობ იმის ლექსებს და გიკვირს, რომ კაცს, რომელმანც გამოიარა აზღენი ნწუხარება, გამოიარა ათასი ტრაგიული შესაზარი მდგომარება, ათასი დევნა, დაეის დამცრობა, ჰნახა უმაგალითო ოსრება და ტყვევნა თავის სამეთოსი, თავისი აღმზრდელი და შემნახველი ქვეყნისა, დაჰკარგა რაოდენჯერმე თავისი სარჩო-საცხოვრებელი; დარჩა მეფობიდან უბინაოდ, უჯაროდ. სცადა ათასი სიმუხთლესოფლისა, დაჰკარგა უმაგალითო წამებით დედა, პირმშო შვილები, დაჰკარგა სიყმის საყვარელი ცოლი და სხვა ათასი ამისთანა, — როგორ არ შეიპყრა არა აზრმა თავის ლექსების წერის დროს, როგორ ერთხელ მაინც არ შეჰკვენესა გულმა ამოდენა ამბების მნახველსა, როგორ არ გაუარა ერთხელაც არის რამე ჩასაციკრებლმა და საგულისხმიერო აზრმა, მსჯელობამ, გონების მოსაზრებამ, ქვეყნის ცრემლმა, ქვეყნის ვადებამ...“<sup>1</sup>

ანტონ ფურცელაძის მოსაზრებათა წინააღმდეგ ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თეიმურაზის მელანქოლიკურ-პესიმისტური ლირიკა გან-

1) ან. ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობელად და საქართველოს შესწავლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფილისი 1892, გვ. 355-356. ა. ფურცელაძის უმართებულობა აღნიშნა პროფ. კ. ქეკელიძემაც (II, 386).

ცდის სიღრმითა და გამოთქმის მოხდენილობით არსიშვითად მხატვრული სიმალეების მწვერვალებს აღწევს და ცხადლივ ამჟღავნებს პოეტის მღვდლარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გულისთქმას. ამას ადასტურებს თუ გინდ ჩვენ მიერ ამ ნარკვევში ძუნწად ციტირებული ტაეპები. <sup>1</sup>

სოფლის სამღურავთან ერთად სილამაზე-სიყვარულის პრობლემასაც დიდი ადგილი უჭირავს თეიმურაზის პოეზიაში. ჯერ კიდევ თავის პირველ ლიტერატურულ შრომებში ის გატაცებით ამბობდა (ი. ხ., 8; ლ. მ., 250):

გული მიეჟღერენ კეკლუტთა. . . . .  
ვაქე ძოწი, მარგალიტი, გაურივე ბროლსა მინა-ო.

1) ცუდი წარმოდგენისა იყო თეიმურაზ პირველის პოეზიაზე აკაკი წერეთელიც. ვსარგებლობ შემოსევებით და აქვე ვაქვევანებ უკანასკნელის შეხედულებას: „კახეთის მღვე თეიმურაზ პირველი პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი და მით საზარელს ნომეალს უმზადებდა სამეფოს. ამას ატყობდენ ზოგიერთები, მაგრამ გინ გაბედავდა ცხადად მხილებას?—და ჩუმად-კი აქა-იქ საყვედურები ისმოდა.“

ზამთრის პირი იყო. გამხიარულებული ღუბარი გუგუნებდა და კოპიტის შეტაკა-ტაკში გაჭუნდა... ერთი ყმაწვილი კაცი მისჯდომოდა ბუჯარს და ნაჯერტლუმს დაშტერებოდა. იჭვე, მახლოლად, ტახტზე მმართველის წამოწმლიყო მოხუცი და პირის სახეს ათამაშებდა,—ქცობოდა, რომ თვის გულში რაღასაც საუბრობდა. უცბად აიღო-თავი ახალგაზრდამ და ჰკითხა მოხუცს:

— „რა ამბავია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი სადარბაზოდ აღარ დაბრძანდება?... ჩაუვტია კარები და ჩამწყვდევულა!..“

— სტივირის გუდას თუ ბერავს?!.. უპასუხა მოხუცმა ცივად.

— გუდას?!..

— ჰო, შარშან გაზაფხულზე ჩაიკეტა და „ლილიო-მეჯნუნიანი“ დაგვიწერა-ერთხელაც ზაფხულში— „სამი-ფარვანიანი“, მეორედ, ზემოდგონას— „სილთა-ქება“ და ახლაც უწოდდ ზამთრის შესაფერისა სწეროს რასმე...“

— მაკითხ არა დაშავდება-რა?!.. სწეროს! მოცლის დროს ეგვეც კარგია.

— მოცლის დროს? მეგრე და მეფე და მოცლის დროს ვის გაუგონია?... არა შეილო... მეფე რომ „პიიპუჟ-პიიპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო... ვაი-ვის იმღერებს.

— დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დაუკლიარა,

— აღმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, ადიდებდა ყოვლის შემოქმედს; მისი იამბიკო ლოცვა იყო და ამისი შაირები-კი ლაზღანდარობაა!..

— რუსთველს ეჯიბრება.

— ჰმ! უკვდავების წყარო და ნაძალადეგი კა ერთმანეთს ვინ შეადარა?!“

(ბაში-აბუკი, ისტორიული მოთხრობა, ავტორის გამოცემა, ქუთაისი 1900, გვ. 57-60).

თეიმურაზის ყველა ნათარგმნი ნაწარმოები სატრფიალო სუეეტიისა და შეთხზულია განსაზღვრული მიზნით (ვ. ბ., 5):

ვის მახვილი გულად ეღვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწოთოდეს,  
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს.

„შამი-ფარვანიან“ ში პოეტი საგანგებო მოწოდებით მიჰმართავს მიჯნურებს (25-24):

მოდით, მიჯნურნო, რომელთა ცრემლთა გდისთ ნაკადულები!

მისგან ისწავეთ ყოველთა ხელობა-მიჯნურობანი-ო.

სილამაზე-სიყვარულის კითხვას თეიმუტაზი იხილავს თავის შემოქმედების ორიგინალურ ნაწილშიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს «მაჯამა», სადაც მოხდენილადაა შეზავებული მელანქოლიურ-პესიმისტური განწყობილებისა და მიჯნურული ექსტაზის მოტივები. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის გამობასა და სიკვდილის ნატერასთან ერთად ერთგან გამოჩაქისის სახით ასეთი ჯანსაღი აზრით სავსე ხმევენიერი ტაეპიც კი გვხვდება (მაჯამა, VIII, 29):

ნუმც გავხდები უიმედო, ღონევ, შენის ამარისა!

თეიმურაზისთვის მხოლოდ განცენებული სილამაზე-სიმშვენიერე არსებობს, რომელიც ხორციელი ატრიბუტებით არის ნიშნული. პოეტის ასახული მშვენიერება დაყურსულია სუნნელით, „მუშკით“ და „ამბარით“ „მისგან მოდის სუნნელება“, რადგან ყოველი სიკეთე მხოლოდ „იმას ასხია“. ეს ლამაზი ქალის სახედ ჩამოსხმული ქანდაკება „მჯობია მზისა დილისა მოწმენდით ამოსულისა“, „მისგან შევენის მთა და ბარი“; იმასთან შედარებით „მზე ცუდ მაშვრალობს“. უცხო ბატება თვით „მზესა სწუნობს“: „მზე უნაილე ჰქმენ“ო ამბობს პოეტი. საოცნებო ასული არ ჰგავს „ქვე-ნამყოფთა“: ზარიფი და ნაზი ის ციურია, მნათობთ უმჯობესი:

მთვარე ვერ დაგედარების, ვერცა მზე დაგედავისო,

ცუდად გაქებენ თინათინ, ნესტან-დარეჯან და ვისო.

ამიტომ ბუნებრივია, რომ „მისთვის ბნდებან მკვრეტელი“. მშვენიერი ქალის „დარაზმული ინდოთ ლაშქარი“ (წარბ-წამწამები) „ეს-ვრის მკვრეტელთა გულგზსა ეკალმუხისა ისარებს“. სანდომიანი ქალი

არც საკუთრივ პოეტს დაინდობს, მასაც დასეტყვავს კუბიდონის ისრები:

შემან მშვილდმან ისარი. მკრა გულსა ლახვრად დანასობი-ო.  
პოეტი ჩაჰყვა სიყვარულის მორევს და ზომიერება დაჰკარგა, ნების-  
ყოფის სიმტკიცე, ცნობიერების უნარიც კი. პოეტი ბრმად შეყვარე-  
ბული ბაღლია, ნებაპორჩილი, შმაგი.

„სული მას მიჰყავს, არ ვიცი ჩემუფის რა გაუპირავსო“ გულ-  
უბრყვილო ჩვილით ამბობს ერთგან თეიმურაზი. პოეტისათვის მალე  
ცხადი გახდება ეჩინან სატრფოს ჭირვეული უკულმართობა. უმედ-  
გოა პათეტიკური შეძახილებიც:

გული წამართვი ცნობითურთ, შითხარ, ნაცვალი მომე რა?!

სიყვარული მწვავე „პატიყთა“ (ტანჯის) მიზეზი გახდება. „მან დამი-  
კრა გული წამწმით“ო და „სრულად დამწვა სხივთა ცეცხლმან“ო.  
განავრძობს ჩვილს.

სატრფო უგრძნობელია, გულქვა და ცივი. ჰაერში იზნევა გრძნო-  
ბიერი მუდარა: „მოიგონე სიყვარული... სჯობს დაავუნა სიყვარუ-  
ლი დაგზებული“ო. გულისმსრველი სიტყვებით პასუხობს ქალი: „შენ-  
კენ არ მოვიხედავო!“ „დამეგრიხა ბედი მრუდად“ო უმაგალითო მღელ-  
ვარებით და პოეტური დიდი სიმახვილით ასკენის პოეტი, მაგრამ უკან  
არ იხევს და კვლავ „წიგნი მივწერე-ო—გვაპცნობს. ამაზე გულცივი  
სატრფო აღშფოთებულია, მკვახედ უსვრია მწვავე სიტყვები: „ეს ვით.  
მკადრეო. უ შენდა!“

გახელებული ბულბულივით შემოკვნისის პოეტი თავისი სიყვა-  
რულის დამზრად ბუჩქს, მაგრამ ერთი წვეთი ცვარიც კი არ ეცემა  
მის გოლივან ბაგეს: — „დამწვი და წყალღარ მასვი“ო მორჩილი ტო-  
ნით წასჩურჩულებს გაკერაბებულ ქალს.

პოეტი უარს აცხადებს საკუთარ თავზე და დაკოდილ „სულსაც“  
კი სიყვარულის სამსხვერპლს სწირავს:

ერთი სული მაქვს, სიკვდილო, მოყვრისად შემიწირავსო.

მრისხანე ღმერთებივით ცივი „მოყვარე“ არც ამ მხურვალე ზვარაკს  
ღებულობს. იშვიათად ოდნავი საყვედურის სიტყვაც კი წამოც-  
დება პოეტს:

სულთაც გიძღენი, უმჯობესი რალა მოგცე ზედან წართვად?!

ან და:

მეტი რა ვყო, თავსა უძღენი, მოვახსენებ დანაწარსა!

უკანასკნელი უარყოფის შემდეგ ცრემლებიგანაც კი დაცლილ პოეტს („ამად ესტირ, მაგრამ რაზომ ხამს, ეგზოში ცრემლი სად არი?“) რაღა დარჩენია, თუ არ „მაჯუნისა წანაეალსა და ნაგზეეს“ მიჰმართოს? მის ბედში მყოფი უნდა „ტარიელს ქებასა ესტუმროს, მაჯუნთან დაეწყაროს!“ უდაბნოს ხრიოკ ველებში უმიზნოდ და უსაგნოდ მშინერ-მწყურვალის წანწალი-აი სატრფოს ნაჩვენებთ გამოსავალი გზა...

თეიმურაზისთვის სიყვარულის კითხვა საბოლოოდ უარყოფით გადაწყვეტილებას ღებულობს: სიყვარული დაუქმყოფილებელი, ამოუწურავი ყინის სათავე წდება. ტრაგიკული ყოფის შეგნებაც დასაბამს. ჰპოულობს სიყვარულში, სიყვარულის თავშეუკავებელ გრძნობას საკუთარი თავის უარყოფამდე მიჰყავს პოეტი მხოლოდ იმ აზრით, რომ სატრფოს «მე»ს შეუერთდეს, ანუ სატრფოს «მე»ში გაიწვინდეს ინდივიდუალობაწაშლილი „სულის“ სამყარო (სხეულზე პოეტი თითქოს აღარც კი ფიქრობს). აქ უნებლიეთ სპარსული სუფისტური თეოსოფია გავლენდება. თეიმურაზი უშუალოდ უნდა განიცდიდეს ამ მოძღვრების გავლენას და მის (სუფისტური თეოსოფიის) თეორიულ საფუძვლებს უნდა იზიარებდეს.

საერთოდ სპარსული ლიტერატურული გავლენა თეიმურაზისთვის ღიდად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა. შეიძლება გადაუტარებელად ითქვას, რომ ფეოდალური ეპოქის მწერლობიდან ყველაზე უფრო მეტად თეიმურაზმა განიცადა სპარსული გავლენის ძალუმობა, მაშინ როდესაც ეს გავლენა მთელი ეპოქის დამახასიათებელ მომენტს შეადგენდა. თეიმურაზის შემთხვევაშიც რასაკვირველია გადამჭრელი როლი ითამაშა პოეტის საზოგადოებრივ-კლასობრივმა შემცენებამ, ამასვე ემთხვეოდა პოეტის აღზრდის კონკრეტული პირობებიც (როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით, სწავლა-აღზრდა თეიმურაზმა მიიღო სპარსეთში, შაჰ-აბასის კარზე).

თეიმურაზი აღტაცებული ყოფილა სპარსული პოეზიით და ამის გამო ერთგან პათეტიკურად გაიძახის (ლ. მ., 4):

სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი-ო.

სპარსულთან შედარებით პოეტი ქართული ენის დაწუნებასაც კი არ ტრიდება (იქვე):

მშიმეა ენა ქართველთა-ო.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზს—რომელიც სპარსული პოეზიის გრძნობით უდიდესი მტერი იყო პოლიტიკაში—მწერლობაში თავიდანვე აღე-

ბული ჰქონდა აშკარა სპარსული კურსი. ცხადია, ლიტერატურულ ინტერესთა ერთიანობას ის საერთო სოციალ-კლასობრივი მიზეზები ჰქვევებდა, რომლებიც თანაბრად ახასიათებდა ორივე ქვეყნის პირობებს. თეიმურაზს თავისებური თეორიაც კი აქვს შემუშავებული თავისი ლიტერატურული ორიენტაციის გასამართლებლად (გ.ბ., 2):

ჰმართებს კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდამოილოს,  
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოილოს-ო.

თეიმურაზს სპარსულიდან უთარგმნია ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა „იოსებ—ზილიზანიანი“, „ლეილ-მაჯნუნისანი“, „ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“<sup>1</sup>. ორიგინალური შემოქმედების ხაზითაც თეიმურაზი არ დალატობს სპარსული პოეზიის ნაცად ტრადიციებს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ მქაღვინდება ხორციელი ტრეფიკლებისა და ბაგე-ღვინის აპოლოგიაში. საყურადღებოა, რომ მიჯნურობას ზევით აღნიშნულ გაგებას იძლევა თეიმურაზის ნათარგმნი რომანტიკული პოემები, კერძოდ „ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“. ორივე პოემის მთავარი გმირი (ბულბული და ფარვანი) ალეგორიულად ასახიერებენ ისეთ მიჯნურს, რომელიც ცალმხრივი და უინმოუკუდავი ტრეფობის პირობებში საკუთარი თავის გაწირვით ამტკიცებენ სიყვარულის უძლეველ ძალას.

შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ სიყვარულის კითხვა თეიმურაზის პოეზიაში ჩვეულებრივად მოკლებულია იმ კონკრეტ ავტობიოგრაფიულ უშუალოძას, რასაც ადგილი აქვს მაგალითად ბესიკთან. ამ მხრივ საეულრისხმოა „მაჯამას“ ერთერთი (სახელობრ VIII) თავი, სადაც ავტორი მხურვალე სამიჯნურო დიფირამებებით ამკობს თავის საკუთარ ასულ ნესტან დარეჯანს: „აწყა მე ვიწვი ამისთვის-ო“.<sup>2</sup>

«მაჯამა»ში ცალკე თავად არის გამოყოფილი „გაბაასება ღვიზისა და ბაგისა“. ორივე მობაასე კანდიერი ტონით ადგენს თავის

1) თარგმანების ხასიათის შესახებ რხილეთ ქვევით ამხ. გ. ჯაკობიას წერილი.

2) სხვათა შორის ალ. ხახანაშვილს შეეცდომით «მაჯამას» VIII თავის ტრეფობის ობიექტ ქალად მიანდა თეიმურაზის ცოლი (Одехки, III, 91). ხოლო V ხელნაწერის გადამწერს ვინმე დ. თუმანოვს ჰგონია, რომ ალექსანდრე და ნესტან-დარეჯანი («მაჯამას» აღნიშნული თავის ქების ობიექტები) პოეტის პაპა და მამიდა ნესტანია (უკანასკნელი მანუჩარ დადიანს მიათხოვეს 1591 წელს). მაგრამ რადგანაც ნესტანი დედოფელი იხსენება (თეიმურაზის მამიდა ნესტანი კი დედოფლად არასდროს ყოფილა), კომენტატორი შენიშნავს: „მე ესრეთ ვგონებ, მწერლისაგან შემცდარი იყოს დედოფლის ხსენება“ო.



ღირსებას: ბაგე მიჯნურთა შემპყრობელიჲ, მკვრეტელთ მახელბეგელი, ბაგესთან შედარებით უნიათთა ბადაზნის ძვირფასი ლალი, იაგუნდი, ძოწი, აყიყი, არღავანი, მისის ვარდი... მარტო „სანდომიანი ღიმილი“ რად ღირსკაცს ათრობს, ასტეხს, ახელებს. მაგრამ ღვინოც ღირსეულია და პატივსადები. ღვინის „სპეციფიკა“ აგრეთვე თოზბა, მღერა, ტვინში გაჯდომა, ბაგეზე დაღვრა. სისხლის ფეროვანი „ყირმიზად“ ირთვის ვერცხლის თასებსა და ყელწერწერტა სურებში, ჟინმორეულად ლივლივებს და მსმელთ შმაგად აქცევს... ღვინოც და ბაგეც სიყვარულით დაურვილთა უცხო წიმალია, „კაცის გულგების მფერავი“, რომელიც „გულსა სევდითა სავსესა“... ზედ ლხინად დაემტკნასების“ და თავდავიწყებულ მიჯნურთ „მკვრეტელად შეკრებს“, თუმცა—ვაგლახ—„შეაცდენს“ და გაღვეს კიდევაცო.

თეიმურაზი დიდი მოხდენილობით ამკობს ბაგე-ღვინის ნიქს და თვისებას, მას თ.თქოს უჭირს არჩევანიც. აღებული თემა შერჩეულია ორიგინალურად, თხრობა გაშლილია მოკლედ, მკვეთრად და სინტერესოდ. მხატვრული კონტრასტებით დაზუსტებული ფრაზები (კონტრასტული პარალელები) შეკრულია მტკიცე ოსტატური ხელით.. ამ პატარა მოთხრობაში უზვადია აღბეჭდილი პოეტის არისტოკრატიული სულისკვეთების იდეური ნაღეჭი. ღვინისა და ბაგის აპოლოგია იდეურად აფერვანებს თეიმურაზ პირველის მთელ შემოქმედებით ფიზიონომიას.

ერთი სიტყვით, თეიმურაზი სილამაზისა, სიყვარულისა, სუფრისა და ღვინის მოსანია, საყურადღებოა, რომ ხელნაწერების ცნობითაც მაჯამა ყოფილა „სუფრისა და ლხინის დიდად შემამკობელი“—ამ მოტივებს უძღვნის პოეტი მხურვალე დიფირამბებს. მეორე მხრივ თეიმურაზი საწუთროს გვმობია, სიცოცხლის შაგინებელი. და ყოველივე ამას იტევს სულის საშვებლად ვანწყობილი მეფე და მონაზონი. სქემატიკურად ასეთ ხაზებზე იხატება თეიმურაზ პირველის ლიტერატურული პროტილი.

რასაკვირველია, აღნიშნული მოტივებით თეიმურაზი არც პირველია და არც უკანასკნელი ქართულ პოეზიაში. მაგრამ ფეოდალური ეპოქის მდიდარი მწერლობიდან ის მაინც თვალსაჩინოდ გამოირჩევა თავისი მხატვრულ შემოქმედებითი ინდივიდუალობით. თეიმურაზს მოძებნილი აქვს თავის ადგილი, როგორც „ვარდ-ბულბულიანი ქერი“ ტრფობის უბადლო ავტორს და „სოფლის ჩივილის“ მაუწყებელ გამოჩენილ პოეტს. შემდეგში ბევრმა განაგრძო ეს ხაზი, მაგრამ

მამისა შენისასა თვინიერ შენსა. წარვედ და უღალატე მამასა: შენსა და ძმას შენსა, და დაიპყარ შენთვის კახეთი“. <sup>1</sup>

კონსტანტინეც ამ დღეს უცდიდა...

პირმოთენობიბთ სავსე მოღალატეს ძვირფასი ძღვენიც კი მოაქვს თავის მამისთვის. შაჰის ემისარი დიდი ცერემონიალით მიიღეს გრემში. მოხუცმა მეფემ ამბორის ყოფით ჩაიბარა უცხო არმადანი და სპარსული ხალათით გამოცხადდა სადღესასწაულო აუდიენციაზე 1605 წლის მარტის მეთორმეტე დღეს, სამშაბათს. მაგრამ ხალათიც და აუდიენციაც მისთვის საბედისწერო გახდა: კონსტანტინეს მიჩენილი ყოზილბაშების ხელით მეფე მუხანათურად მოიკლა დარბაზიბის დასაწყისშივე. მასთან დაეცა პირმშო გიორგი და რჩეულ დიდებულთა წყება... მთელი ეს სისხლიანი ეპოპეა საკმაო სისრულით აქვთ აწერილი იმ დროს საქართველოში მყოფ რუსეთის ელჩებს. <sup>2</sup> თვით ისეთი მტკიცე სპარსოფილიც კი, როგორც იყო ფარსადან გორგიჯანიძე, აღუშფოთებია ვერაგი შაჰის აგენტის ასეთ საქციელს და გაცხარებით წერს: „გაუწყრა ღმერთი კონსტანტილეს, სწავლა მამა-შვილობა“ო (გვ. 18). <sup>3</sup>

<sup>1</sup>) მარ. დედ. ვარ., 972,

<sup>2</sup>) ბელაკუროვი, I, 445, 483—488 და სხვ.; შდრ. აგრეთვე თ. უორდანი, ქრონიკები, II, 425.

<sup>3</sup>) სხვათა შორის საყუარდღებოა, რომ რუსი ელჩების შეკითხვაზე კონსტანტინეს დიპლომატიურად უარჯყვია შაჰის მონაწილეობა გათ.მ.შებულ ამბებში და ის ოჯახურ-დინასტიური შუღლით აუხსნია: „Отец мой и брат убиты не по шахову приказу, нашею меж себя рознью з братом моим с Юрьем. А то в нашем роду не ново, издавна ведетца“ (ბელაკუროვი, I, 488). მაინცდამაინც დამახასიათებელი კია ციტატის დაყოფილი სიტყვები. საქმის ნამდვილი ვითარების გასაგებად ელჩებს სხვა ხერხისათვის მიუხარბეთ: კონსტანტინეს ერთი უახლოესი თანამშრომელი მამუდ-ბეგი (Магмет бег) თურმე ძალზე დაათვრეს და სიმთვრალეში სიმართლევ იოლად დასცყუეს. ელჩების შეკითხვაზე მამუდს საოცარი გულწრფელობით უთქვამს: „Как деи токое дело учинить без шахова ведомз, что сыну отца убить и гессударство засесть, где то слыхано?“ იქვე, I, 487). საღერღელ აშლილი მამუდი ქვევით განაგრძობს: „А тсе деи ноци перед убинством Александра царя Костентин царевич плакал во всю ночь. А говорил с ним с Магметем тайно: „Не ведаю деи как бытъ? Убить отца своего—ино от бига погинутъ; а не убить—ино самому от шаха убиту бытъ“ იქვე. თქმა არ უნდა, ფრად საგულისებო დეტალებია, თუმცა საეკვერა კია გაიძვერა უზურპატორის სინდისის ჭენჯნა!



მითვან, ოდეს მოჰკლეს კახთა კოსტანტინე, შური აქენდა და ვერჰპოვა უამი შურგებისა უცალოებითა შინაგანითა“ო. <sup>1</sup> მაგრამ ეს უამი ც დადგა...

1615 წელს შაჰ-აბასი მოულოდნელად გაჩნდა განჯაში (თითქოს ოსმალეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად) და თეიმურაზს, როგორც მოსაზღვრე და ვასალური ქვეყნის მეთაურს, მძევლები სთხოვამეფე კარგად იცნობდა შაჰის ვერაგ ბუნებას და მის იღუმელ ზრახვებს, მაგრამ იძულებული გახდა კომპრომისის გზას დასდგომოდა: თავდაპირველად ქეთევან დედოფალთან ერთად უმცროსი ვაჟი ალექსანდრე გაგზავნა. <sup>2</sup> მიზეზიანმა შაჰმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, უფროსი ვაჟიც მოითხოვა (როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრე). ისიც მიავლინეს. ცბიერი შაჰი ორც ამით დაკმაყოფილდა: უკანასკნელად თვით მეფეს „მიიპატიებებს“. ეს ცხადი ღალატი იყო, ახლა კი სცადეს ნეიტრალიტეტის დარღვევა, მაგრამ დავიანდა, „დიდის რისხვიანობით და მრავლის ლაშქრით“ <sup>3</sup> აბასი. საქართველოს კარებს მოადგა...

თეიმურაზმა სცადა განაგრება, შეუთანხმდა ქართლის მეფე ლუარსაბს. ჯებირებიც გაავლეს, მაგრამ ყოველივე ამოა გამოადგა უთანასწორო ბრძოლაში. ზამთრის სუსხიან დღეებში მშვერ ლომივით ნადირობდა ქართლ-კახელებზე მრისხანე შაჰი. შაჰს ზურგს უმაგრებდა ქართველ ფეოდალთა განდგომილი დასი გიორგი სააკაძისა და ნუგზარ ერისთავის მეთაურობით.

ლტოლვილმა თეიმურაზმა და ლუარსაბმა თავი იმერეთს შეათარეს. დატყვევებული ქეთევან დედოფალი უფლისწულებით კი შიდა სპარსეთში გაიგზავნა. მოხერხებულმა შაჰმა ლუარსაბი მლიქვნელურად გამოიტყუა იმერეთიდან და მუხანათურად მოაკვლივინა, ხოლო თეიმურაზმა კვლავ შებრძოლება სცადა და ერთგული ფეოდალების დახმარებით კახეთში გაჩნდა (1616 წელს). ამის გამოგონე აბასი „განძვიანდა ვითარცა ვეშაპი“ (ვახუშტი), ხელშეორცდ შეესია კახეთს და „მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა“. <sup>4</sup> ფარსადანის მოწმო-

<sup>1</sup>) ქართლ. ცხოვრ., II, 115.

<sup>2</sup>) ფ. გორგიჯანიძის მოწმობით თეიმურაზს თავისი და ქლენეც უახლებია შაჰისთვის (გვ. 21).

<sup>3</sup>) ფ. გორგიჯანიძის სიტყვებია (გვ. 21).

<sup>4</sup>) ქართლ. ცხოვრ., II, 117.

ბიზ (გვ. 22) აბასს 80.000 კომლი გადაუსახლებია (უმთავრესად კახეთიდან) სპარსეთის შორეულ პროვინციებში<sup>1</sup>.

აბასის ლაშქრობამ ქვეყანა უდიდეს განსაცდელს მისცა. მცხოვრებთა რიცხვმა კატასტროფულად იკლო. ძველი ნაშენი ადგილები ნანგრევებს დაემსგავსა, ნასოფლარები ტყეებით დაიფარა (ალექსანდრე იტივის ნატვრა ასრულდა, კახეთი „ოზერ“ იქმნა და მრავლად გაჩნდნენ „სანადირონი ადგილნი“). საშინელი სურათი გადაეშალათ ველწინ რუსეთის ელჩებს: გაპარტახებული ქვეყანა, გაძვალტყავებული და დამშუული ხალხი (განსაკუთრებით მშრონელი მოსახლეობა): „А где нывали деревни и поля, и те поля заросли лесом и травою большою, быльником“<sup>2</sup>. ან და: „А как шли дорогою, и на дороге стоят многие церкви каменные и полаты, пусты, обросли лесом и травою“.<sup>3</sup> ალექსანდრე შეფის დროს რუს ელჩებს დიდი გულუხვი პურმარილით ხვდებოდნენ თურმე და ამგვარ დიალოგებსაც კი პქონებია ჩვეულგბრივად ადგილი: И Олександро царь говорил: ежте да пейте, бутте сыти и веселы... И послы говорили: по великого государя своего жалованью у тебя нам всегда пить и есть много“.<sup>4</sup> თეიმურაზის მეფობისას ელჩები, პირიქით, საშინელ შევიწროვებასა და სიმშოლზე ჩივიან, ქართველ ხელისუფალთა წარმომადგენლები კი იძულებული ხდებიან ფაფისი შერცხვენა სამარცხვინო სიტყვებით გამოისყიდონ: „Срам нас обнял и смотреть на вас стыдимся, видя ваше терпение“<sup>5</sup>.

ფ. გორგიჯანიძე კახეთის სატახტო ქალაქის გრემის შესახებ გვიამბობს: „მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეულ ვნახეთ, უკარო და უკერო, ნადიროთ სადგომ ქნილინი“ო (53).

ცხადია, ქვეყნის აოხრებაში მცირედი როლი არ ითამაშა შინაურმა უთანხმოებამ, ფეოდალური წრეების ქიშპმა და განდგომილებამ. აღვირაზსნილი ფეოდალური რეაქციის პირობებში სრულიად

<sup>1</sup>) ამისი ნაშთია აშუშად, მაგალითად, ფერეიდანის ქართველობა.

<sup>2</sup>) „Посольство князя Мышецкого и льяка Ключарева в Кахетию 1640-1643 г. შ. პოლიევქტოვის გამოცემა, ტფილისი 1928, გვ. 124.“

<sup>3</sup>) იქვე, 125 და სხვ.

<sup>4</sup>) С. Белокуров, I, 189.

<sup>5</sup>) С. Белокуров, Поездка старца Арсения Суханова в Грузию (1637-1640 г.г.), из «Христ. Чтен.» № 3-4, 1884, стр. 10.

შეუძლებელი ხდებოდა გარეშე მტრების მოგერიება. გათავსებულნი ერისთავები და სხვა დიდებულნი ქვეყნის წახდენაში ეძებდნენ თავიანთ საკუთარ გამოსარჩენს, ხოლო უმთავრესი მსხვერპლის გაღება მშრომელ მოსახლეობას უხდებოდა: სოციალურ სიღუპეში ახლა სხვა უკუღმართობაც დაერთო (სიმშვილი, სენი, ფიზიკური გაწყვეტა, აყრა-გადანახლება, ექსპლოატაციის გაძლიერება და სხვ.).

მაგრამ დაუბრუნდეთ კვლავ თეიმურაზის ცხოვრების ანაღებს.

პოლიტიკურ კატასტროფასთან ერთად ოჯახურ ცხოვრებაშიც მწარე განსაცდელი ხვდა წილად კახეთის ნომინალურ მონარქს. იმისი დედა ქეთევანი შაჰმა აღრევე „შირაზს გაგზავნა და უკანის დროს [1624 წლის სექტემბრის 13-ს. <sup>1)</sup>], რჯულის არ დაგდებისათვის სარჯლით აწამეს და შვილები დაუხოჯავეს [1620 წელს]“. <sup>2)</sup>

უმცროსი შვილი ალექსანდრე თან გადაჰყვა ამ უკაცურ ტანჯვას, ხოლო უფროსი (დევიანი) კვედიან შეიშალა. ასევე უნუგეშოა ვაზოდა თეიმურაზის ოჯახის სხვა წევრების ხვედრიც. აკი პოეტი ერთ თავის ლექსში მწუხარედ ჩივის (შედ., 85,3):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადავე?

დამიკარგე ძე, ასულნი, ძმა არ ვიცი, და სად აგე?!

თავისი ქალი (ხვარეშან დედოფლისგან) თინათინი შაჰსეფიმ მძლავრებით წაჰგვარა მეფეს<sup>3)</sup>. რუსი ელჩების ცნობით თინათინი შაჰს დაულრჩია: „Теймуразову дочь, которая была за шах Сефием, Обас шах велел удавить“. <sup>4)</sup>

თეიმურაზის და ელენე ქეთევანთან ერთად ყოფილა შაჰთან წარგზავნილი. კარგი დღე არც იმას დასდგომია. ციტირებული ნაწყვეტი ნათელჰყოფს, რომ თეიმურაზს ძმაც უნდა ჰყოლოდა, მაგრამ აღრევე დაჰკარგვია. მართლაც, 1602 წლის ერთი სიგლით დავით დაქეთევან და ძენი მათნი თეიმურაზ და ბაგრატ გლეხებს სწირავენ ნინოწმინდას. <sup>5)</sup> 1604 წლის სიგელში კი თეიმურაზის გვერდით მოხ-

<sup>1)</sup> შდრ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 446.

<sup>2)</sup> ფ. გორგიჯანიძე, გვ. 21.

<sup>3)</sup> ფ. გორგიჯანიძე, 36.

<sup>4)</sup> Посольство кн. Мышенского, 176. სხვათა შორის, პროფ. კ. კეკელიძე არ იცნობს თეიმურაზის ქალს თინათინს და იმის ტრაგიკულ თავდასასვლელს ამიტომაც ციტირებული ტაეპის აზრი გაუგებრობად მიჩნია, რამდენადაც იქ ასულის დაკარგვაზეა ლაპარაკი (შდრ. ქართული ლიტ. ისტორია, II, 394).

<sup>5)</sup> თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 432; ს. კაკაბაძე, ისტორიული სწავლულები, IV, გვ. 3.

სენებულია მისი ძმა ვახტანგი. სახელი ვახტანგი (ბაგრატიის ნაცვლად) თ. უორდანიას სამართლიან ექვს იწვევს<sup>1</sup>. ამ ექვსის გარემოება (აორკეცებს, რომ 1604 წლისათვის სივლის გამცემი დავითი გარდაცვლილია: მაინცადამაინც დოკუმენტალურად ცხადი ხდება, რომ თეიმურაზს ერთი ძმა (ბაგრატი?) ზნდა ჰყოლოდა<sup>2</sup>. პასაკით ეს ძმა უმცროსი ყოფილა და, როგორც ვთქვით, ადრე დაღუპულა, რადგან დასახელებულ საბუთებს გარდა ის არსად იხსენება.

კახეთიდან გაძევებულმა თეიმურაზმა თავი იმერეთს შეაფარა. შემდეგ გურიას ეწვია. ელჩების პირით დახმარება სთხოვა დიდ პორტას. ამ მოციქულობამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო: „სონთქარსა მოებოძა გონია და ახალციხის გარემო, რომელნიმე დაბნები“ო. (ქართლის ცხოვრება, II, 118).

1620 წელს თეიმურაზი პირადად ესტუმრა ხონთქარს „სინტერვენციო“ ჯარების გამოსათხოვად, მაგრამ უშედეგოდ დაბრუნდა უკან და ნაწყალობე გონიაში დასახლდა.

ქართლ-კახეთი კი იმ დროისად დიდი ფეოდალების სათარეშო მოედნად გახდებდა. განსაკუთრებით გამოირჩევიან. ზურაბ და ზაალ ერისთავები. არ ცხრება გიორგი სააკაძეც. მწვავედ ებრძვის ერთიმეორეს ორი ძირითადი დაჯგუფება: სპარსული ორიენტაციის მომხრეთა დასი და თეიმურაზის აგენტურა (თეიმურაზის მომხრენი ნომინალურად მაინც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ). უცხოეთის ოფიციალური, თუ არაოფიციალური წარმომადგენლები კიდევ უფრო აღვივებდნენ შინაგან განხეთქილებას. მოხერხებულ მომენტს არც მთიული ტომები უშვებდნენ ხელიდან.

თავის მხრივ ეს საერთო არე-დარევა დიდად უწყობდა ხელს საზოგადოების ზნეობრივ შერყევას და სულიერ დაცემულობას. ფეოდალური არისტოკრატია კი თავისას არ ივიწყებდა და ქიშპობას არ ეტყოდა. სათანადოდ ძლიერდებოდა დინასტიური ინტრიგებიც: „ზოგს კაცს ქრისტიანობის სჯულისათვის ბატონი თეიმურაზი ერჩინათ“ო ამბობს სპარსოფილი ფარ. გორგიჯანიძე<sup>3</sup>. როსტომ მეკის დროინდელ ამბებთან დაკავშირებით ფარსადანი პირდაპირ

1) ქრონიკები, II, 434.

2) შდრ. აგრეთეფ დ. ფურცელაძე, Грузинские церковные гуджары, Тифлис, 1881, თავი VII, 1602 წლის ქვეშ.

3) ისტორია, გვ. 34.

აცხადებს: „ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისათვის უნდა და \*ო<sup>1</sup> სხვათა შორის, ევროპელთა მოწმობითაც თეიმურაზი თითქოს დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ეს მოწმობა არ შეიძლება ტენდენციური არ იყოს, რადგან ის კათოლიკე პატრების შეხედულობას გვიდასტურებს.

პოლიტიკურ კონიუნქტურას პირადულ ანგარებიანი მომენტებიც ემატებოდა: „სთხოვეს მოურავმან და ზურაბ თეიმურაზს ასული თვისი დარეჯან ცოლად ზურაზისათვის. ამით განიგულა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასული თვისი ზურაბს“ (ქარ. ცხ., II, 119). ამ ამბავს ცნობილი მარაბდის ომი მოჰყვება (1624 წ.) და ახალი მარცხი. მარცხი აძლიერებს დეზოგანიზაციას ანგარებით შეპყრობილი ფეოდალების წრეში. სულ მალე „შთავარდა შური მოურავსა და ზურაბსა შორის“ (იქვე, 119-120). ამის ლოგიკური ფინალია ბაზალეთის ომი (თეიმურაზსა და მოურავს შორის) 1626 წელს. განდიდებული ზურაბის დახმარებით თეიმურაზი ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ტახტსაც დაიპყრობს და 1629-1634 წლების განმავლობაში სახელმწიფოს შედარებით წყნარად განაგებს. არჩილის მოწმობით სწორედ ესაა თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდი...

თეიმურაზი ძალზე შურიანი და ეჭვიანი კაცი ყოფილა. ის ვერ ენდობოდა კეთილის მყოფელ საკუთარ სიძეს და ვახუშტის თქმით „უდგა ღალატად მარადის“ (იქვე, 45). ქართლ-კახეთის ტახტზე განმტკიცებულმა „იცა ჟამი“ და „საფურცლეს მდგომიან ღალატით მოჰკლა იგი“ (იქვე, 120). დაქვრივებული ასული დარეჯანი თეიმურაზმა ცხადი პოლიტიკური ანგარიშით იმერეთის მეფის ძეს, ალექსანდრეს, მიათხოვა. სხვათა შორის, თეიმურაზმა ღალატივე მოაკვლევინა თავისი ერთგული კარისკაცი, იმ დროისათვის ჩინებული სარდალი და ლიტერატორი ქაიხოსრო ომანიშვილი (იქვე, 115).

1634 წლიდან თეიმურაზს ახალი საწიმი-მოქმეზე გაუჩნდება, ეს მოქმე შეეხოსროვ. მი რ ზ ა, შემდეგში განთქმული როსტომ მეფე. როსტომი იყო სპარსეთში გაწვრთნილი სარდალი, სპარსული ორიენტაციის ყველაზე უფრო ძლიერი და მასთან ნიჭიერი წარმომადგენელი.

თეიმურაზმა ველარ გაუძლო ახალ შობირდაპირეს: გადამწყვეტ მომენტში 1648 წელს როსტომმა ყიზილბაშებს მოაკვლევინა ქიზიყს

1) იქვე, 42.

თეიმურაზის უკანასკნელი ვაჟი დათუნა<sup>1</sup>, თითონ კი მრავალრიცხოვანი ჯარით ალყა შემოარტყა თიანეთში მყოფ კახეთის მეფეს. თეიმურაზი ჩიხში მოემწყვდა, გასაკიროში „ერთგულმა“ ფეოდალებმაც კი მიატოვეს: „ბატონს თეიმურაზს ყოველგნით ღონე მოელო: აღარც სითმე მშველი და აღარც სახაზარი ალაგი, აღარც წასასვლელი გზა, აღარც ასაყრელი ცხენი და ჯორი, აღარც მოხელე და მოსამსახურენი; კახნიც ქართველთ მისვლოდნს და მეფეს როსტომს ბატონის თეიმურაზის დაქირვას ეპატიჯებოდნენ“<sup>2</sup> ო გადმოგვცემს ფ. გორგიჯანიძე (გვ. 48).

განწირულმა მეფემ უკახსკნელ საშუალებას მიჰპართა: როსტომის კეთილშობილებას დაენდო, მეუღლე მიუგზანა და გზა სთხოვა. როსტომმა თხოვნა შეიწყნარა: „გზა მივეცი და იმერეთს გაეგადეთო“ ცინიკურად აცხადებს ის ერთ სიგელში.<sup>3</sup> იმერეთშიც მწარე ამბავი დაახვედრეს გამოძევებულ მონარქს: დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი გაუმელავენს. ამის გამო ისტორიკოსი შენიშნავს: „აბა თუ ამ გამჟღავნების დღის ანბავი ოუ სრულ დაგვეწერა, ტირილისაგან კაცი ველარ წაიკითხვდა“<sup>4</sup>.

1649-1656 წლებში თეიმურაზი გამუდმებით იმერეთში ცხოვრობდა თავის სიძესთან, რომელმაც ლტოლვილ სიმამრს საზრდოდ რაქა მიუჩინა. „უსაქმოდ მოწყენილი“ მეფე უმთავრესად ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. სწორედ ამ ხანზე მოდის თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე უნაყოფიერესი პერიოდი. ვინ იცის რამდენი მწუხარე დღე შეღამებია ემიგრანტ მეფეს ლამაზი პოეტური სიტყვის მარცვლაში! აკი ის ერთგან<sup>5</sup> გრძნობით გვიამბობს:

მე გასაძლებლად დაეწერე: ხან ისი, ხან ეს რამეო,  
გული ამაზედ დაეაპყარ, ბეერი დღე შევეალამეო;  
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,  
ჩარხი უქულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვამეო!

მაგრამ არც პოლიტიკას ანებებს თავს თეიმურაზი. ახლაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება რუსეთთან ურთიერთობის

1) ქრონიკები, II, 463-464.

2) იქვე, II, 464.

3) ფ. გორგიჯანიძე, 51.

4) შამი-ფარე, 13.

საკითხი, რაც აღრიდანვე მეფის საერთაშორისო პოლიტიკის ქვა-კუთხედს შეადგენდა. თეიმურაზის დაუძინებელი მტერი სპარსეთი იყო. მტვე იყენებდა ყოველგვარ საშუალებას, რომელსაც კი სპარსეთის საწინააღმდეგო მდგომარეობის შექმნა შეეძლო. ამ მიზნით თეიმურაზი ჯერ ოსმალეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, 1623-24 წლებში საგანგებო ელჩი (ნიკიფორე ირბაქი) გაგზავნა რომის პაპთან, კათოლიკობის მიღება დაჰპირდა და ქვეშევრდომობაც კი აღუთქვა. <sup>1</sup> რომის შემდეგ ელჩმა მთელი ევროპა მოვლო: ისპანეთი, ნეაპოლი, ფლორენცია, ბოჰემია, უნგრეთი, პოლონეთი, შვეცია და საფრანგეთი. <sup>2</sup> მაგრამ მიქელ თამარაშვილის მართებული შენიშვნით: „იმ დროს ევროპის მთავრები სპარსეთს მეგობრულად ეპყრობოდნენ, რათა მასაც ევროპელებთან ერთად ებრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ“-ო <sup>3</sup>. ამიტომაც ნიკიფორეს ელჩობას შედეგად ნოჰყვა მხოლოდ პაპის „მოციქულებრივი ლოცვა-კურთხევა“.

უკანასკნელ დღიურ საკითხად დაისვა რუსეთთან დაკავშირების მცდელობა. ჯერ კიდევ პაწია თეიმურაზი მამის სიცოცხლეშივე დააფიცეს რუსეთის მეფის ერთგულებაზე <sup>4</sup>. მამის სიკვდილის შემდეგ რუსეთის სამეფო კარი ცდილობდა დაობლებული უფლისწულის დითურთ მოსკოვში გაწვევას. თეიმურაზს სიძობას აღუთქვამდნენ, ელენეს კი რძლობას ჰპირდებოდნენ. <sup>5</sup> მაგრამ საბოლოოდ ეს საქმე ჩაიშალა. შემდეგში ემიგრანტი მეფე გონიას მჯდომი „იყოფოდა მუნ [განმზადებულ] წარსლვად რუსეთს შავის ზღვით“. <sup>6</sup> შექმნილმა მდგომარეობამ ეს განზრახვაც ჩაშალა:..

რუსეთთან ნამდვილი და ცხოველი ურთიერთობა მას შემდეგ გაჩაღდა, რაც იქ 1636 წელს ცნობილი ნიკიფორე ირბაქი გაიგზავნა. <sup>7</sup> ეს ურთიერთობა განმტკიცდა 1640-1643 წ. კახეთში თავ. მიშეცკის და დიაკი კლუჩარევის <sup>8</sup> ელჩობით.

<sup>1</sup>) თამარაშვილი, 94.

<sup>2</sup>) იქვე, 96-97.

<sup>3</sup>) იქვე, 93.

<sup>4</sup>) Белокуров, I, 361-362.

<sup>5</sup>) იქვე, 492 და შმდ.

<sup>6</sup>) ქართ. ცხ. II, 119.

<sup>7</sup>) Посольство кн. Мышецкого, 06.

<sup>8</sup>) თითონ ამ კლუჩარევა კახეთამდის ვერ მოაღწია, გზაში გარდაიცვალა -



თეიმურაზი რუსეთს ემუდარებოდა, ჯარსა და ფულს, აგრეთვე ითხოვდა ხელოსნებს (უმთავრესად მხატვრებს) და ეპიკმებს. ფრიად საყურადღებოა, რომ რუსული კაპიტალის დახმარებით თეიმურაზი საქარმრო ძალთა განვითარებაზედაც ოცნებობდა: მეფე, სხვათა შორის, დაბეჯითებით მოითხოვდა კვალიფიციურ მუშა-ხელს ადგილობრივი ძაღნების დასამუშავებლად, <sup>1</sup> ამ მიზნით კარგ პირობებსაც იძლეოდა. ერთი სიტყვით, თეიმურაზი გარკვეულად ცდილობდა რუსული კაპიტალის დანტერესებას საქართველოს ეკონომიური ცხოვრებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აო იყო პირობები საამისოდ მომზადებული და ქართველი მონარქის ეს საინტერესო ეკონომიური პროგრამა განუხორციელებელი დარჩა. რაც შეეხება პოლიტიკურ მომენტს, პროფ. მ. პოლიტექტოვის შენიშვნით: „სპარსეთთან კონფლიქტის შექმნა მიხეილ რომანოვის მთავრობის ანგარიშში არ შედიოდა“. <sup>2</sup> ანტონიაც რუსეთის ნხრივ ჩვეულებრივი იყო ხოლმე ასეთი დიპლომატიურად ფრთხილი და რეალურად სრულიად უქმი პასუხი: „И мы великий государь, слыша про то, что вам Теймуразу царю от кумычан теснота чинитца, о том поскорбели, а воеводу и ратных людей послать и города поставить не изволили“. <sup>3</sup>

სიტყვიერად თითქოს სპარსეთისაგან შეარველობასაც კი ჰპირდებოდა მეფეს დიდი რუსეთი: „Да сверх тово пошлет великий государь великих послов своих говорить к брату своему шах Аббасову в-ву, чтоб отдал по совету и по братству государство твое Кахеть“. <sup>4</sup>

აღორძინების გზაზე შემდგარ დიდმპყრობელურ რუსეთს შორეულ პერსპექტივებში უკვე გემრიელ ლუკმად ეხატებოდა საქართველოს მიდამო, მაგრამ რეალური ნაბიჯების გადადგმა ჯერ არ შეეძლო. ისე კი საიდუმლო „ნაკაზებში“ ეს შორეული მიზნები ცხადად შეღავნდებოდა: „как бы государеву имени к чести и к повышенью и к вечной славе и к похвале и государством его к прибавленью и красширенью...“ <sup>5</sup>

<sup>1</sup>) Посольство кн. Мышецкого, 37, 150 და სხვ.

<sup>2</sup>) იქვე, გვ. 08.

<sup>3</sup>) იქვე, 32.

<sup>4</sup>) Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию, 2.

<sup>5</sup>) პოლიტექტოვის გამოცემა, ტფილისი 1926, გვ. 41.

<sup>6</sup>) Посольство кн. Мышецкого, 46.



1658 წელს თეიმურაზი პირადად ეწვია მოსკოვს მეფე ალექსი მიხეილისძეს, ნაგრამ მალე (1659 წ.) იმედგაცრუებული უკან დაბრუნდა იმერეთში. აქ გარდაცვლილი დახვდა დედოფალი ხვარეშანი. მგლოვიარე და განმარტოვებული ის ერთხანს „დაშთა ციხესა შინა სკანდას ფრიად უპოვარი“ (ქართ. ცხოვ., II, 125).

უკანასკნელად თეიმურაზმა უარყო პირადი თავმოყვარეობაც (რაც ასე ძლიერი იყო მასში), ჯერ ბერად აღიკვეცა (1661 წელს) და შემდეგ ღრმად მოხუცი, სულიერად და ფიზიკურად დავრდომილი ეახლა თავის „სისხლის მსმელ“ სპარსეთის შაჰს. აქ ერთხელ კიდევ ცინიკურად დასცინა თურმე მას ბედმა. ისტორიკოსების სიტყვით, ერთ-ერთ ნადიმზე შაჰს სამაცხროდ აუგდია „შემონაზვნებული მეფის რელიგიური გრძნობები და, სხვათა შორის, ქრისტეს გმობაც მოუთხოვია მისგან. თეიმურაზის უარზე „განრისხნა შაბაზ<sup>1</sup> და შეაქცია თასითა ღვინო პირსა ზედა ხელითა თვისითა“<sup>2</sup> ო გვიამბობს ვახუშტი ბატონიშვილი. <sup>3</sup> ამასვე ადასტურებს არჩილიც. <sup>4</sup> ამის შემდეგო—განაგრძობს ვახუშტი—„წარავლინა ასტარაბადს პატიმრად“<sup>5</sup> ო. <sup>6</sup> ხოლო აქ, შორეულ ასტარაბადში, 1663 წლის ზამთარში სამუდამოდ „დადუმდა ენა რიტორი“.<sup>7</sup>

თეიმურაზის უკანასკნელი ანდერძი ყოფილა: „რომ კახეთს თავის მამა-პაპათ სასაფლაოვში ალავერდის საჭადარს მიიტანონ“.<sup>8</sup> გგონებ, ეს ერთადერთი სურვილი იყო, რომელიც კი ამ განთქმულ პოეტს და მეფეს მართლაც სიხუსტით შეუსრულეს.

\*  
\* \*

გარეგნობით თეიმურაზი მოხდენილი აგებულებისა ყოფილა: „თეიმურაზი ძლიერ მშვენიერი შეხედულებისაა და თეთრ-წითური დიდროანი თვალები და სურათი ცხვირი აქვს; საშუალოზე მაღალი ტანისაა“<sup>9</sup> ო გადმოგვცემენ პოეტის ახლობელი კათოლიკე პატრები. <sup>10</sup> არჩილიც ასე ალაპარაკებს ახალგაზრდა თეიმურაზს (49,4):

ვჭვანდი, შთვარე ბაკში იჯდეს-ო.

თეიმურაზი თავის დროისთვის დიდად განათლებული კაცი ყოფილა: „კარგად იცის ქართული, თათრული და სპარსული, რა ენებ-

<sup>1</sup>) ის შაჰ-აბას მეორეა.

<sup>2</sup>) ქართ. ცხოვ., II, 125.

<sup>3</sup>) ცხოვრება თეიმურაზისა, 162,1.

<sup>4</sup>) II, 125-126.

<sup>5</sup>) ცხ. თეიმ., 687,1

<sup>6</sup>) ფ. გო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, 64.

<sup>7</sup>) მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, 102.

საც მჭერმეტყველად ლაპარაკობს“-ო—გვიდასტურებენ პატრები<sup>1</sup> და ქვეითაც განაგრძობენ: „თეიმურაზი მეტად დიდი ნიჭიერი და განსწავლული კაცია, კარგად იცის ქველი და ახალი აღთქმა (საღვთო წერილი), კრებათა და წმიდა მამათა წერილებიც“<sup>2</sup>. თეიმურაზს არა ერთხელ მოუწყვია დისკუსიები თეოლოგიურ-დოგმატიკურ საკითხებზე და ამ „ფილოსოფიურ ბჭობაში“ თითონაც ცხოველი მონაწილეობა მიუღია“ (იქვე).

თუ კათოლიკე პატრებს დაუჯერებთ, ზნეობრივადაც თითქოს სამაგალითო კაცი უნდა ყოფილიყო ჩვენი პოეტი, ყოველ-შემახვევაში ახალგაზრდობაში მაინც: „მეტად ნაზი და ქცევაში თავაზიანი“<sup>3</sup> (იქვე), ამასთან ოჯახის იშვიათი მოყვარულიო. <sup>4</sup> ყოველივე ამასთან თეიმურაზი შეუპოვარიც ყოფილა, მხნე, ქედმაღალი, გმირი-რანდი: მეფეს პირადად მიუღია მონაწილეობა მრავალ ომებში. თითონ გიორგი სააკაძეც კი საქვეყნოდ აცხადებს (იოსებ ტფილელის გადმოცემით):

სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი არა ვარ ნარცხია“<sup>5</sup>ო.

ქრისტიანობა კაცს ტელის სურათიდანაც ჩანს, რომ თეიმურაზი ახალგაზრდობაში მაინც იშვიათად წარმოსადგვი ვაჟკაცი ყოფილა და ახოვანი მეომარი. თუმცა კასტელის პორტრეტი არაა მოკლებული ერთგვარ სტილიზაციას.

თეიმურაზს მრავალი უარყოფითი თვისებებიც ახასიათებდა, როგორც აღამიანს (და როგორც მეფეს). მთელი რიგი ისტორიული წყაროებით ის ევრაგი ყოფილა, ავი, უნდო, ექვიანი, ექსპანსიური. <sup>6</sup> უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ თეიმურაზმა ღალატით მოაკვლევინა ქაიხოსრო ომანიშვილი და ზურაბ ერისთავი. სიმპტომატიურია, რომ წინამორბედი პოეტი მეფის დიდი პატივისცემელი აგრეთვე მეფე. პოეტი არჩილი უკანასკნელი შემთხვეულობის გამო ასე ალაპარაკებს თავის გმირს (თეიმურაზს): <sup>7</sup>

ღვთისა მეშინის და კაცთა მრცხიენის აზისა მყოფელსა,  
გული გაშმაგდეს, ხელი შემახმეს მე მის ლახერისა გულსა მსობელსა.

<sup>1</sup>) მ. თამარაშვილი, 102; შდრ. Посольство Толочанова, 55; Посольство кн. Мышецкого, 132.

<sup>2</sup>) მ. თამარაშვილი, 110.

<sup>3</sup>) შდრ. იქვე, გვ. 103-104.

<sup>4</sup>) დიდ-მოურავიანი, 40.

<sup>5</sup>) ცხოვრება თეიმურაზისა, 516, 1-2.

თეიმურაზს ურთხელ ტყვედ ჩავარდნილი დედაკაცების ცხვირ-პირთა დაჭრა განუზრახავს, მაგრამ „არა აუფლა ხვარაშან დედოფალმან“<sup>1</sup> დასძინს ისტორიკოსი. : საყურადღებოა ასეთი დეტალი: რალაც დანაშაულისათვის ვინმე ხოსუა მაჭავარიანს მეფემ თურმე ყურების დაჭრა მიუსაჯა, მაჭავარიანი შეხვეწნია (ცხოვრება თეიმურაზისა, 490,ა): „სულ ნუ დამჭრი, ცოტა იკით მიიწიო“. მაგრამ თხოვნა არ შეუწყნარებია: „როდეს დასჭრეს, შემოძახა: «არ მეგონე გულბილწი»ო.“

თეიმურაზის დაუნდობელმა ექვმა ნიკიფორეც კი გაიმეტა, თუმცა მისივე მოწმობით: „Иного человека такова в государстве своем не имею“<sup>2</sup> ან და: „И верен мне во всем и служит мне по бозе чистым сердцем“.<sup>3</sup> რუსი ელჩების გადმოცემით თეიმურაზს თითქოს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს ნიკიფორესთვის: „Ты, Микифор, и сперва стал не добро делать. Довелся ты, то чтобы тебе в пирожные части изрублену быть“<sup>4</sup>

თეიმურაზის ეჭვი ისე შორს მიდიოდა, რომ რუსი ელჩებისაგან თურმე დაჯინებით მოითხოვდა ფიციით პირობის დადებას, რომ უკან დაბრუნებულნი იმბს შესახებ სააუგოს არას იტყოდნენ.<sup>5</sup>

თეიმურაზი ჯიუტი ყოფილა, პირმოთნე და მლიქვნელი. ამასთან ავადმყოფური პატივმოყვარეობით შეპყრობილი. ეს თვისება შეფეხს ბოლომდის შერჩა და უდიდეს გაჭირებაშიც კი ქედს არ იხრბოდა. ამ მხრივ საყურადღებოა თეიმურაზის მიერ, მოსკოვში გაგზავნილი ერთი წერილის შემდეგი ადგილი: „Аще если и обнищали, велики государь, а честь також имеем и нарицаемсы искони цари Иверские“.<sup>6</sup>

თეიმურაზმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე განცხრომასთან ერთად მრავალი ტანჯვა-ვაება განიცადა. მუღმივი მარცხისა, ინტრიგებისა, განდგომისა და მისთანა პირობებში უფროდაუფრო მიუქარებელი, უნდო და მტარვალის შეიქნა. ამიტომ ვგონებ ძალზე გადაჭარბებული არ უნდა იყოს, თეიმურაზის აღრიდანვე პატივის-

1) ქართლის ცხოვრება, II, 46, 121.

2) Посольство кн. Мышецкого, 63-64.

3) Поездка старца Арсения, 34.

4) Посольство Толочанова, 56.

5) იქვე, 54-55.

6) Поездка старца Арсения, 39.

მცემელი კათოლიკე პატრების გამანადგურებელი მოწმობა: „[თეიმურაზი] სულ სხვა კაცად შეიცვალა, ყველას მტრად გადაეკიდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალით ართმევდა; მისთვის სამართალი აღარ იყო. თავის კანონად თავისი სიხარბე და ჟინი გაიხადა“-ო.<sup>1</sup>

დამახასიათებელია თეიმურაზის პოლიტიკური მოპირდაპირის ფარსადან გორგიჯანიძის, ცხადია, საერთოდ ტენდენციური განცხადება; „მღვთის მადლს, წამკითხველსო, კარგად გულს დაჰყარეთ, რომ ამ რიგს აოხრებსა წარყენას (?) აქეთ თუ ვისზე გაგეგონოს? მე ფარსადან გორგიჯანიძე ვიტყვი ამათ: ღმერთი უტყუარია და ამ საქმეზედან მოჩანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო სახლი მოეთხაროს და მისის საქმით მრავალნი ტყვეთ წაესხას, მრავალნი უბრალოთ დახოცილიყვნენ, მრავალი დედანი აეტირებინოს. და იესოს ნაბძანები სიტყვანი აქ გათავდება, რომ უბძანებია: «რომლისაც საწყაოთ მიუწყავო, იმავეთი მოგეწყვისო».<sup>2</sup>

## II. თეიმურაზის ლირიკის მთავარი მოტივები

მიყვარს მაჯამას ამირბარი თეიმურაზი:  
ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი .

თეიმურაზი საუკეთესო /და ტიპური წარმომადგენელია ე. წ. აღორძინების<sup>3</sup> პერიოდის ლიტერატურისა. ამ ლიტერატურას თეიმურაზის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდისაც ჰქონდა გზა გაკვლეული და საერთო კურსიც უკვე იყო აღებული, მაგრამ თეიმურაზმა ეს კურსი განამტკიცა, გააფართოვა და წინ ახალი პერსპექტივები გადაუშალა...

თეიმურაზის დროისთვის ერთერთ უმწვავეს კითხვათაგანს წარმოადგენდა სასულიერო და საერო წინართულებათა ურთიერთობა. ისტორიული ცხოვრების კონკრეტულმა პირობებმა ვაბატონებული საზოგადოებრიობის ეკლესიურ-კლერიკალური ფრთა გაძლიერა. მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით დაშინებულსა და სულიერად დაცემულ საზოგადოებაში რელიგიურმა პროპაგანდამ საკმაოდ ნოკიერი ნიადაგი ჰპოვა. ბრძოლის გუნებაზე დამდგარი ეკლესია უკიდურესი რეაქციონური იდეოლოგიის გამოხატველი ხდება და, სხვათა

1) თამარაშვილი, 125.

2) ისტორია, 48.

3) ამ ტერმინს პირობითი მნიშვნელობით ვხმარობ.

შორის, საერო კულტურის ყოველგვარ გამოხატულებას სდევნის. უწინარესად ყოვლისა საერო ლიტერატურა იქნა ნიშანში ამოღებული. კლერიკალური კრიტიკის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანიც“ კი მანვე ნაწარმოებთა რიცხვში მოექცა. მით უმეტეს „ვისრამიანი“. საერო ფეოდალური საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი ვერ ურიგდება კლერიკალური ფრთის ასეთ გამოსვლებს. ბრძოლა მწვაედება და ცხარე ხასიათს ღებულობს. წინააღმდეგობის მოცეპული ფორმა ძლიერ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზროვნების მიმართებაზე. მაინცდაშინიც საერო მიმართულების აშკარა მიმდევარიც კი ვერ აღწევინ თავს კლერიკალური აზროვნების ზემოქმედებას. ამის საუკეთესო მაგალითია თითონ თეიმურაზი. უკანასკნელი აღნიშნული ბრძოლის მონაწილეა და გარკვეულად საერო-ფეოდალური ფრთის ერთერთი ბურჯი, მაგრამ კლერიკალური აზროვნობის ელფერიც ღრმად აღბეჭდილა იმის ლექსებში.

თეიმურაზი თავის რჩეულ თხზულებებს „ზღაპრად თქმულებსა“, „ლაყაბსა“, „უსარგებლოსა“ და მისთანა სახელებს უწოდებს. თარგმნილი პოემების შესავალში პოეტი ჩვეულებრივად შენდობას ითხოვს ღვთისგან, რომ ხელი მიჰყო „ცუდ მიდ-მოდებასა“, „უსარგებლო ლაყაბსა“ და ასე თავხედურად დაივიწყა „ღვთიური სიბრძნე“. საერო მწერლობა ღვთისგან განკიცხულია და გამობილიო — ამბობს თეიმურაზი (შედ.გაზ. და შემ., 3).

ნუ მკითხავ. ზღაპრად შეთხზულსა, ამ უსარგებლო თქმულებსა, განქარვებადსა, უნდოსა, იგ სამლოოდ მოკიცხულებსა-ო.

მაგრამ მაშინ საკითხი იბადება, რად შეაღია პოეტმა თავისი მხატვრული პოტენცია ამ „უნდო“ საქმეს? თეიმურაზიც მშვენივრად გრძნობდა ამ უხერხულობას და თვითვე იძახის (იქვე, 8):

მითხრას ვინმე: რად დააშრევ ცუდ საქმეზედ ენა შენი?!

საცილობელ კითხვას პოეტი ბევრჯერ უბრუნდება და ყოველთვის ერთი პასუხი აქვს მომარჯვებული: „სმენად მისდა [ე. ი. საღვთო სიბრძნისა] ვერვინ ვნახე“-ო (იქვე, 4). ახირებული თავის მართლებად! უკანასკნელად თეიმურაზი ყოვლად უსაფუძვლოდ ცდილობს მკითხველის დარწმუნებას, თუმცა: „ხამდა მეხმიენა სიტყვანი უხრწნელად დანაყარები, სწავლა სამლოთთა წერილთა სულისა გამამყარები“ (ი. ზ., 7), მაგრამ „მუნ ვერა ვპოვე ხათქმელი“-ო (იქვე, 8). ჩვენი აზრით, ეს „გულუბრყვილო“ ცდა იყო კლერიკალური წრეების წინაშე ბოდიშის მოსახდელად. ამ წრეებმა კარგად გაიგეს თეიმუ-

რაზის გულის ქაეილი და მამუკა ბარათაშვილის პირით მწვავედ ამხილეს გვირგვინოსანი პოეტი, მამუკა ბარათაშვილი ერთგან აღმწო-  
თებით წერს თავის «ქაშნიკში»: „რომელსა მცე საღვთო წერი-  
ლი სამეძაოდ გაულექსავს; სხვას მრავალთ დედაკაცო ტრფი-  
ალებისათვის თათრის ზღაპრები გაულექსავს მსმენთ საზიანოდ და  
მთქმელთ საურიგოდ“<sup>1</sup> არაერთარი ექვი არაა, რომ ციტირებული  
ნაწყვეტის მთელი მახვილი თეიმურაზის წინააღმდეგ არის მიმარ-  
თული: „თათრული ზღაპრების“ მლექსავთა შორის სწორედ თეიმუ-  
რაზს მიეკუთვნება პირველი ადგილი. ჩვენ ქვევით ვაჩვენებთ, რომ  
თეიმურაზმა წამოისროლა კლერიკალური თვალსაზრისით მწვალებ-  
ლური ფრაზა: „სპარსთა [იგულისხმებ ბარათაშვილის თათართა]  
ენისა სიტკომიან მასურვა მუსიკობანი“. მაგრამ ყველაზე უფრო სა-  
ყურადღებოა შემდეგი დეტალი. ბარათაშვილის სიტყვით, „რომელ-  
სამე საღვთო წერილი სამეძაოდ გაულექსავს“<sup>2</sup>ო. ხოლო ამ შემთ-  
ხვევაში უსათუოდ თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“ იგულისხმება,  
რომლის შესახებ თეიმურაზი პირდაპირ ამბობს: „მათ საქვესა საღმრ-  
თო წიგნი მოკლედ ამბობს დაბადება“<sup>3</sup>ო.

და განა თითონ თეიმურაზს კი სჯეროდა თავისი „გულბრყვი-  
ლო“ განცხადებისა?! აკი ერთგან პოეტი გამომწვევი კანდიერებით  
შენიშნავს (ვ. ბ., 93):

თქვას თუ ვინმე: რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა,  
ესეც მიზხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამებარჯა?!

რიტორიკა, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა  
ვისგან ბარჯაო.

და ეს სიტყვები იმ კაცს ეკუთვნის, რომელსაც არჩილი სრუ-  
ლიად სამართლიანად აღაპარაკებს (ცხოვრება თეიმურაზისა, 643):

გიოხარ, სალექსო დროები აროდეს არ შემომსწროთ.

სხვაგან თეიმურაზი თითქოს ნაღვლიანი გულისწყრომითაც მშვე-  
ნივრად ამხელს სასულიერო მწერლობის მიმართ არსებულ საზოგა-  
დობრივ ინდიფერენტობს (შედ., 5):

<sup>1</sup> საქართველოს მუზეუმის S კოლექციის ხელნაწერი № 1550, გვ. 4—5.

<sup>2</sup> შდრ. აღ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი (ბიოგრაფიულ-კრიტიკუ-  
ლი ეტიუდი), 1931, გვ. 18—19.

არვის უნდა სახარება, არცა «წიგნი მოციქულთა»,  
 არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა?  
 განითხვა და საუკუნო, არც სიკვდილი უძეს გულთა,  
 უნახავთა არას მიკვირს, ბრძენთა მიკვირს მონახულთა-ო.

პოეტი თითქოს მწუხარებით შესჩივის მკითხველს (4):  
 დალპეს ბევრი სამლო წიგნი მიწაშიგან მოდებულ-ო.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზის აღნიშნულ ფაქტს არჩი-  
 ლიც აღასტურებს:<sup>1</sup>

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბედობით,  
 საშაიროს ინახვედენ სტავრის ბუღით, ან ნახლობით-ო.

ამასთან ერთად თეიმურაზი არც საერო პოეზიის პოპულარობას  
 ჩქმალავს (შედ., 82):

თუ სამლო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ-ჩაე-  
 ხედვედა,

რა ეს ლაყადი შევეკრიბე, ყველა ნახესა ბდედა:

„არა ესე სჯობს“, — „არ, ესე“ — სიცილით ყველა ყბედვედა-ო.

ამ სტროფის უკანასკნელ ტაეპში კი პოეტი კვლავ საბოდიშო  
 რეზონერობით ასკვნის:

გეგბის სხვაც რამ ვასმინო, მე ესე მეიმედვედა-ო.

ამრავად, მიუხედავად სასულიერო მწერლობის პრიორიტეტო-  
 ბის აღიარებისა, თეიმურაზი მთელი თავისი მხატვრული შემოქმედე-  
 ბით საერო მიმართულებას ემსახურება და „საღაღობო და წყლია-  
 ნი“ პოეზიის ენტელისტი ხდება. მისი ხშირი, წუწუნე „სამლო“  
 მწერლობის სიავკარგეზე მხოლოდ ერთგვარი სავალდებულო ხარკია-  
 კლერიკალური საზოგადოებრიობის მიმართ. მაგრამ ეს ხარკი თეი-  
 მურაზმა მაინც გაიღო და, მაშასადამე, კლერიკალური საზოგადოებ-  
 რიობისა და კლერიკალური აზროვნების შემოქმედებაც განიცადა.  
 თუმცა თქმა არ უნდა, ეს შემოქმედება არც ისე რადიკალური ყო-  
 ფილა. ყოველ-შემთხვევაში ფორმალური მომიზეზებით თეიმურაზმა  
 ძიკრთადად თავი დააღწია სასულიერო მიმართულებას და საერო-

<sup>1</sup>) ე. თაყაიშვილი, Описание, I, 148.



ფეოდალური საზოგადოებრიობის იდეოლოგიი გახდა. სწორედ ეს იდეოლოგია ეგუებოდა პოეტის სოციალურ განცდებს. სრულიად შემთხვევითი არაა თეიმურაზის აღსარება, რომ „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიით „ცოტა რამ უკუეყარე, სეჟდა ვქენ განათხელები“ო (შ. ფ., 15). და რამდენი სხვა „სევდიანი“ გული ეტანებოდა ამ პოეზიას?! უკანასკნელ ფრიად საგულისხმოა ამ მხრივ თეიმურაზის შემდეგი გულახდილი განცხადებაც (ლ. მ., 3):

სიბრძნე ხაშს მარგედ სულისა, განქარდეს ხორცთა შებანი,  
უკლებლად წერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი;  
არეინ იკითხავს წიგნებსა<sup>1</sup>, შესწყინდეს ცუდად დებანი,  
მას არეინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიდმო-  
დებანი.

\* \* \*

როგორც ვიცით, თეიმურაზის დროინდელი ფეოდალური საზოგადოებრიობა ძალუჟმად ამტლავებდა დაცემისა და დაქვეითების ცხადლივ სიმპტომებს. დაცემულობის მომენტები აღბეჭდილა თეიმურაზის პოეზიაშიც. არისტოკრატიული უदारდლობის ასახვასა და ბაგე-ღვინის ფოლოგიასთან ერთად აქ აღბეჭდილია მწარე ამონაქვენებიც: ბედის ჩივილი, წუწუნი, მოაკმა. ეს თითქოს მოჩვენებთ ორი მოპირდაპირე ძირეული მოტივი ერთად შერწყმულია თეიმურაზის პოეზიაში და ერთ მთლიან იდეურ-მხატვრულ სურათს იძლევა.

თეიმურაზის მთელ შემოქმედებაში წითელი ზოლივით არის გატარებული მწუხარე ჰანგი, პესიმისტური მოტივი. პოეტისთვის წუთისოფლის რაობა ისმება კარდინალურ კითხვად. პასუხი მუდმივ-ერთია: წუთისოფელი მუხთალია, უნდო, მამზარი (შედ., 92):

მუხბოლობა არის თავიდგან სულ მისი დასაწყისი... და—  
„ანაზად სიკედილსა მოგვეცემს“, „პირს მთვარულეზ გავსი-  
ლა დააქენობს, დაალურჯებს“, „წარბსა მშვილდურეზ მოხრილსა  
გააყრევინებს, წააზდენს“. არად დაინდობს ნორჩი „ლაწვისა ფერო-  
ვანებას, ლერწამ ტანს“, „წაჰზრის და მოსდრეკს“. ყოველივეს უსუ-  
გემო დასასრულია (შედ.: 99—103):

სიკედილი, გულზე მიწა და ლოდები.

წუთისოფელი ამოუტნობი ფენომენია, ის კაცს „პირველად  
ამოდ შეიტკობს, საჭეარლად დაუამდების“, მაგრამ მოულოდნელად

1) იგულისხმება „მამათა“ ნაწერი „წმინდა“ წიგნები.



„უმუხთლებს, გაუადების“ (სოფლის სამღურავი, 11). საწუთროს თვისებაა: „ფერობა, ბრუნვა, ჩვენება“ (წამება, 2). ის უკულმართია ვერავი, ბოროტი. აბა „გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?“ (სოფ. სამღურავი, 12). ამიტომ რალა დაჩენია პოეტს, თუ არ მწარე გოდებით ამხილოს ეს ვერავობა (იქვე, 13):

სოფელს მყოფნი, სოფლის საქმე, გასინჯეთ და გაიგონეთ,  
ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ!

ასეთია თეიმურაზის შეხედულება წუთისოფელზე, რომელიც მისი ცხოვრების კონკრეტულ ყოვია პირობებში შემუშავდა. პოეტის „ბელი“ სიყმით ყოფილა განწირული, მისი გული თურმე ღრვა ურვასა და მწუხარებას ჩვეულა: „გული საესე მაქვს ლახვრითა“ (მაჯამა, III, 4) ოხვრით აცადებს და ბრალად საწუთროს უფავს: „უწყალოდ სვამს სისხლსა ჩემსა“ (მართალია, პოეტს ახალგაზრდობისას სიხარულიც კი განუცდია და არცთუ ღზინსა და ღრეობას ყოფილა მოკლებული, მაგრამ ეს იყა მხოლოდ „წამ ერთი“ (მ. ბოლომდე კი სოფელი არვის დაინდობს და ღზინი კიბრად შეეცვლება (მაჯამა, VII, 6, 16):

სოფელმან და ჭამმან კრულმან ღზინი ჩემი განაქარვა,  
ღზინის სანაცლოდ სოფელმან სულ მატირა და მახარა ო.

პოეტს თითქოს ერთხელაც კი არ უნახავს მზიური ყოვია. მისი სიცოცხლე თითქოს უწყვეტი ცრემლთა დენაა (იქვე, VIII, 26):

მე ვიღვრებოდი ცრემლითა, აროდეს ვიყავ დაჩითა-ო.  
ან კიდევ (შ. ფ., 12):

თვალთავან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მგზავსად მდენია-ო.  
„სოფლის სამღურავ“ შიც ჩვეულებრივად მოსთქვამს (20):

კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა-ო.  
საწუთროს მაელი მუხთალი ძალა თეიმურაზის თავს დატეხილა.  
ყელში სწვდენია პოეტს და მოშობაც კი განუზახავს. გამწარებული პოეტი ცრემლით საყვედურობს (შედ., 85):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე!  
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მქარ, დასად აგე!  
პოეტი ეძლევა სასოწარკვეთილებას, ჰყარავს თვითმოქმედების უნარს, არ იცის რა ქნას, რა გზას დაადგეს (სოფ. სამღურავი, 10):

შემაშთო სოფლის ზრუნვაზე, ვამე, რაღა ვჰყო აწა მე?!

თქალს მიმოაღლებს თავის ცხოვრების მატთანეს და შხამიან დღიურებს ფურცლავს (შ. ფ., 12): „სრულ განსაცდელში დაეღლიე ჩემნი ჟამნი და დღენია“—ო—ურვით დაასკენის. საკუთარი თავის ორეულიც მაცდური პირდაპირობით ჩასცივეა (სოფლის სამღურავი, 12):

სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად დაებიან?

ადვენებული ეჭვი კვლავ ჩასჩიინებს, ელიზება (წამება, 3):

უქმოყრიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა.

პოეტში ბრძოლაა. საშინელი ქარტეხილია აქრილი მის სულში. მხოლოდ ხანისხნობით თუ ჩადგება ხოლმე ეს ქარტეხილი და დროებითი სიწვიდე ჩამოწვება: ესაა რელიგიური აღგზნების წამში. ამას მოჰყვება სინანულის ცრეულები, ჩივილი (თუ აპელაცია) იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის მიმართ (წამება, 5):

იესოვ, შენ გვედრები, მარამ, ქრისტეს დედაო,  
ფრიალნი სევედა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,  
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედა!

მაგრამ ეს მხოლოდ ცრუმორწმუნე გულის მოჩვენებითი შესვენებაა, თორემ საბოლოოდ პოეტს ცრემლებიც შეაშრება და ლოცვაც ვეღარას შევლის. მაშინ ვისღა მიჰპართოს? დარეტიანებულ მგოსანს გზად რუსთვლის აჩრდილი შემოეყრება (ზდ, 90):

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ რკბილად-ო.

თეიმურაზი ღრმად ეწაფება ამ „შარბათს“ და სანდომიანად ნატრობს (მაჯამა, VII, 16):

ნეტამც ვინმე სიკვდილს მიმცა-ო.

სულის ეს რომანტიკული სწრაფვაც უღონოა პოეტს შეუმსუბუქოს ყოფის სიმძივე და ის კვლავ თავდავიწყებით სწყველის ბედს, წუთისოფელს, სიცოცხლეს (მაჯამა, VIII, 23):

სოფელო, კრულო, მოკლევ და წამ-ერთო-ო.

სასოწარკვეთილი პოეტი საკუთარ გულისთქმაშიდაც არის დაექვებული. მისი საქმობა ნერვიულია, აჩქარებული, შეუწონავი (ანბანთქება, III):

ჰესრეთ არ დავიტყვოდნი, მე თუმცა გულის-ხმა მეგო-ო.

რუსთველის მითითებული წამალი სანუკვარი ხდება, პოეტი ექებს სიმშვიდის ამ უებარ წყაროს. იმას იტაცებს თავდავიწყება: გამხრწნადი სხეულისათვის მიწასაც კი არ თხოულობს, ოღონდ ელირსოს სანატრელ სიკვდილს (შედ., 86):

მოკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემხედ მხეცნი მოაწივე-ო.

დეე მხეცებმა მყარიონიც გამართონ პოეტის ლეშხე, ოღონდ მოშორდეს „მსახვრალ“ სიცოცხლეს, მუხთალ საწუთროს.

ასეთია თეიმურაზის პოეტური მრწამსი.

\* \* \*

მაგრამ პოეტის ეს ზოგად შტრიხებში მოხაზულა უსასო პესი. მიზმი მაინც დროებითია, მომენტალური. თეიმურაზი ბოლომდე არ შერჩენია გმობის უმაღლეს მწვერვალს. გმობის მწვერვალიდან ის დაბლა ეშვება, წყევანელდება, გრილდება. გმობას ენაცვლება ზრვა-მწუხარება, სასოწარკვეთილ მოთქმას—მელანქოლიკა. პოეტი უთმობს წუთისოველს, ლხინს, ტრკილაებას. ცხოვრებასთან შერაგების გზაზე ადგება. ტრკილაებისა და ღვინის მორევში ცდილობს ჩაახშოს მწუხარე ყოფის შლეღჯარე განცდა. აქიდან მოღის ბაგე-ღვინის აპოლოგია, სამიჯნურო რომანტიკა, „ეარდ-ბუღბუღიანურა“ ურჯა. ვფიქრობთ, სხვა მარიც შეუძლებელიც იქნებოდა. ფეოდალური არისტოკრატის იდეოლოგიისთვის XVII საუკუნეში ნაადრევია პესიმისტური მსოფლმხედველობის სრული შეგრძნობა, მაგრამ პესიმისტური განწყობილები მძლავრი სიმპტომები უდავოდ მოსჩანს. ფეოდალური აშლილობისა და ფეოდალური დაცეპულობის პირობები ჰკვებავს ამ განწყობილებას...

წყვეის სანაცვლოდ თეიმურაზი ეხლა დიდაქტიკური ტონით ისწავლება: ცხოვრების, ამ ჰვეყნიურობის ნიჭთიერი „სიკეთით“ უნდა ვისარგებლოთ, ოღონდო—რებ უნერულად უმატებს—ნუ ვიტყვეთ მთლად პირუტყვებად, რომ „მუნ“ კარები „არ“დაგვებს“ო (შედ., 5):

მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთი-  
არები,

ესრედ ვიხმართ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები;  
არა გვიდგს სული მოკვდავი, პირუტყვებრ გასაქარები,  
ოდეს ეს ხელთაგავარდეს, მუნ არ დაგვეტყუას კარები.

მართალია, განაგრძობს თეიმურაზი, „ყველა სწუნობდა სოფელსა არ გასაზრახოდ, გულითაო, მაგრამ „არ ვიტყვი სრულად გაუშვით“ო--და კვლავ რეზონერულად ურთავს—„ნუ გიყვარსო სულწაქულიაა“ო (შედ., 91). ამასთან ისიც მართალა; რომ „სოფლისა ავად ბრუნვამან“ ჩენი პოეტი კიდევაც „გააგულისა“ (ვ. ბ., 3), მაგრამ „არსისა შემოქმედო, შენგან არი ყოვლითფერი“ო (იქვე, 1). შინაგანი ცეცხლის შენელებას თეიმურაზი ღვთისაგან მოელს: „წამ და წუთ ღმერთი ვადიდო, ეს დამხსნას ცეცხლთა დებასა“ო (შედ., 2). პოეტი ეხლა უბრუნდება „წყლულ-დაკოდილი“ სულის სამსახურს (სოფლის სამღურავი, 9—10):

შენ, ცოდვილო სულო ჩემ . . . . .  
განაკდე შუება სოჯლისა, თავი ღვთისათვის აწამე-ო.

ან და კადიე (წამება, 3):

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,  
უფროსად ღმერთი ადიდოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა-ო.

ამრიგად, თეიმურაზის ცხოვრებასთან დაბრუნება თითქოს რელიგიური მომენტი უფალა გამაწვეული, მაგრამ ვკონებ ესეც საბოლოო ხარკია, თორემ იმან კარკა ხანია რაც დაივიწყა „საღვთო წერილი“ და ეზიარა სულ სხვაგვარ „სიბრძნეს“: საამქვეყნო ჰანგებს, „ვარდ-ბულბულიანობასა“ და მაჯნუნის ექსტაზს, ცხოვრების ნივთიერ მხარეს. „წყულ“, „დაკოდილი“ და „ცოდვილი“ სულზე ჩივილი მხოლოდ საფარველია მართლმორწმუნე ქრისტიანისა და მიფე-მგოსანის ხორციელ-ნივთიერი გზების გასამართლებლად. განა ღრმად მორწმუნე დავით გურამიშვილს კი დაუშალა ქრისტიანული მსოფლგაგების დოკმატაქურმა წესმა აბსოლუტურად ხელი აეღო ნივთიერი ყოფის დაცვაზე და მხოლოდ სულისთვის ზრუნვა ექადაგა?! მაგრამ გურამიშვილის საზოგადოებრივ აზროვნობას სხვაგვარი კონკრეტისტორიული პირობები საზღვრავდა. თეიმურაზი კი თავის შემოქმედებით—მიუხედავად რეკერანსისა კლეიკალური წრეების მიმართ—თავის დროინდელი საერო ფეოდალურ არისტოკრატის განწყობილების ამსახელია, ხოლო ამ არისტოკრატის მწვევე ნაღვლიანი განწყობილების პირობებშიდაც სულისა და ხორცის საოხად ისევე ბაგე-ღვინო თუ გამოადგებოდა, თორემ „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მ.რკიქულთა“ო. მაშასწამდე, თეიმურაზი შინაგანი მოწოდებითაც თავის დროისა და კლასის ერთგვარ „სოციალურ დაკვეთას“

ემსახურება. ამიტომაც არის, რომ თეიმურაზის პოეზია საბოლოოდ მაინც ამქვეყნიური მატერიალური ყოფის პრიმატობის თვალსაზრისზე ჩერდება.

თეიმურაზი არა ერთგზის აღნიშნავს თავისი ნაღვლიანი განწყობილების კონკრეტ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზეზებს. ერთგან ის ნწარედ უჩივის სოფელს (მაჯამა, III,4):

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,  
ჩეუკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა.  
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მეყოფა!  
გული სავსე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ... აღარ მეყოფა?!

ერთგული ლაშქარის განადგურებაც ადრინდელი ლხინის სიტუბოებს უშხამავს მეფეს (შედ., 88):

მე ვხედვედი ლხინსა ჩემსა სრულად ქარად გარდაცვლითა,  
იგ ერთობით სპათა ჩემთა ძტერთა ხელში ჩანაცვინთა-ო!

თეიმურაზმა რამდენიმეჯერ დაჰკარგა ტახტი, ის რამდენიმეჯერ იქნა სამშობლოდან გაძევებული. მეფე-პოეტი თითქოს შეეჩვია კიდევც ამ ყოფას და არც'თუ ძალიან უკვირა, ის კარგად იცნობს წუთისოფლის ვერაგ ბუნებას და მწვავე ხვედრის წინასწარად მოლოდინშია. (სოფ. სამღურავი, 12):

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ჩეტარ ყის გასთავებია?  
ვის ჰკარდა მუდამ სრა ტახტი, მოშლია მას თავებია!

თეიმურაზს მწარე გოდებისა და სინანულის ცრემლებს აღვრევენებს შაჰ-აბას ყაენის შეუსევით გაპარტახებული „სამკვიდრებელი“. მთელი ქვეყანაო—ამბობს პოეტი—„დაარბივეს, ამოსწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი“. „სისხლის მსმელმა შაჰმა“ მოსახლეობა „დახოცა, დაატყვევა“ (ო წამება, 11). სხვა უბედურებასთან ერთად აბასის ლაშქრობას მოჰყვა თეიმურაზის დედის—ქეთევანის წამება, უფლისწულ ალექსანდრესა და ლევანის არა ადამიანური ფიზიკური დასახიჩრება და შებდეგ საშინელი სიკვდილი. ამ ამბების მომსწრეს მწუხარებისაგან ცრემლებიც წეაშრება და მძიმე აწმყო ჭირვეულ ნამყოსაც ავიწყებინებს (იქვე):

ვა მე, ამ დროს მომხსენებსა დამვიწყდეს ჭირნი წინანი-ო.

პოეტის ურვას ის აორკეცებს, რომ საკუთარი დედა და საქართველოს დედოფალი მუხანათურად წამების ჯვარზე გაეკრა, ხოლო შვილსა და საქართველოს მეფეს „ავაზაკის“ ხეიდრიც არ მერგო წილადო:

მე ავაზაკი შემცოდე ახლო არ ვიყავ, ვინანი,

მარჯვენით ჯვარსა არ ვეცი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი-ო.

გულწრფელია შვილების ხეიდრით გამოწვეული ურვაც (იქვე, 21):

ვა აღექსანდრეს გაყრილსა, ვერ მჭკრეტსა ლევანისასა!

სახოგადობრივსა და სახელმწიფოებრივ კატასტროფას ხედ დაერთო თეიმურაზის საშინელი ოჯახური უბედურება. უღრმესი ლირიზმით აღბეჭდა პოეტმა ეს უბედურება (შედ., 85):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,

გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე:

დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?!

ასრევ საგულისხმოა შემდეგი ტაეპი (იქვე, 87):

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა-ო.

იმ დროინდელმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა უკულწართობამ — ერთი მხრივ — და თეიმურაზის პირადმა უილაჯობამ — მიორე — მხრივ შეფე და პოეტი დასცა, გარიყა, გაანადგურა (მაჯამა, II, 6):

მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მეღია-ო.

ამგვარად, საბოლოო ანგარიშით მეფე თეიმურაზის საზოგადოებრივ-კლასობრივი (ობიექტური) ყოვითი სინამდვილე საზღვრავს პოეტ თეიმურაზის შემოქმედებით ინდივიდუალობას. გადაჭრით შეიძლება ათქვას, რომ თეიმურაზის პოეზიის პესიმიზმური კილო მწიგნობრულ-ლიტერატურული ზეგავლენის მოტივით ვერ აიხსნება (მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ზეგავლენის არსებობის ფაქტს ჩვენ ქვევით უჩვენებთ). თეიმურაზის სევდა-ნალღელში ღრმა სოციალ-პოლიტიკური სარჩული მარხია. უდღეური გამოდგა პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზრახვები, უშედეგო — მრავალმხრივი ზრუნვა, კატასტროფით დასრულდა მისი საკმაოდ ხახგრძლივი მოღვაწეობა: და-აი იმედგადაწყვეტილი მეფე და პოეტი მხატვრულ სიტყვაში აქანდაკებს თავის მწუხარე განცდებს. ამდენადვე თეიმურაზის ლირიკა უაღრესობამდე უშუალოა; გულწრფელია და დამაჯერებელია. პოეტის მომენტალუ-



რად ტიტანურ წყევას და გზობას ღრმა საუფუძველი ჰქონდა. რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ თეიმურაზის დაცვისგან. მაგრამ სრულადად უმართებულოდ მიგვაჩნია იმ მკვლევართა აზრი, რომლებიც თეიმურაზის პოეზიაში სულ ვერ ხედავენ საზოგადოებრივ მოტივს და ანტონ ფურცელაძის პირით, მაგალითად, შემდეგ ნიჰილისტურ და ტენდენციურ თვალსაზრისს ანვითარებენ: „...ამაგზს დაურთო ზედ მელექსეობა, რომელიც იმას [თეიმურაზ პირველს, ა.ბ.] მეტად უყვარდა. იმას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი მემუსიკობა, რომ ამის ბადალი მელექსე არ გაჩენილა. უჯდა მთელი დღეობით ამ უშნო და უზზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს-შივა. სწერდა ლექსებს, სადაც არც ესტეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეია, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისაგან განაჩენი არ ისახებოდა, გარდა უბრალო და უაზროდ გადატმასენული სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვების ტმასენვა-გრეხისა.

კითხულობ იჩის ლექსებს და გიკვირს, რომ კაცს, რომელმაც გამოიარა აღმწი ნწუხარება, გამოიარა ათასი ტრაგიული შესაზარი მდგომარეობა, ათასი დევნა, თავის დამცრობა, ჰნახა უმაგალითო ოხრბა და ტყვევნა თავის სამეფოსი, თავისი აღმზრდელი და შემნახველი ქვეყნისა, დაჰკარგა რაოდენჯერმე თავისი სარჩო-!-აცხოვრებელი, დარჩა მეფობიდან უბინაოდ, უჯაროდ. სცადა ათასი სიმუხთლე სოფლისა, დაჰკარგა უმაგალითო წამებით დედა, პირმშო შვილები, დაჰკარგა სიყმის საყვარელი ცოლი და სხვა ათასი ამისთანა,—როგორ არ შეიპყრა არა აზრმა თავის ლექსების წერის დროს, როგორ ერთხელ მაინც არ შეჰკენესა გულმა ამოდენა ამბებთ მნახველსა, როგორ არ გაუარა ერთხელაც არის რამე ჩასაცეკრებელმა და საგულისხმიერო აზრმა, მსჯელობამ, გონების მოსაზრებამ, ქვეყნის ცრემლმა, ქვეყნის ვადებამ...“<sup>1</sup>

ანტონ ფურცელაძის მოსაზრებათა წინააღმდეგ ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თეიმურაზის მელანქოლიკურ-პენსივისტური ლირიკა გან-

<sup>1</sup>) ან. ფურცელაძე, ბრძოლს საქართველოს მოსასპობელად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო; ტფილისი 1892, გვ. 355-356. ა. ფურცელაძის უმართებულობა აღნიშნა პროფ. კ. ქუქელიძემაც (II, 386).

ცდის სიღრმითა და გამოთქმის მოხდენილობით არაიშვიათად მხატ-  
ვრული სიმაღლეების მწვერვალებს აღწევს და ცხადლივ ამჟღავნებს  
პოეტის მღვდლვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გულისთქვას. ამას  
ადასტურებს თუ გინდ ჩვენ მიერ ამ ნარკვევში ძუნწად ციტირებუ-  
ლი ტაეები. <sup>1</sup>

\* \* \*

სოფლის სამღურავთან ერთად სილამაზე-სიყვარულის  
პრობლემასაც დიდი ადგილი უჭირავს თეიმურაზის პოეზიაში.  
ჯერ კიდევ თავის პირველ ლიტერატურულ შრომებში ის გატაცებით  
ამბობდა (ი. ხ., 8; ლ. მ., 250):

გული მიეუძღვენ კეკლუტა. . . . .  
ვატე ძოწი, მარგალიტი, გაურივე ბროლსა მინა-ო.

1) ცუდი წარმოდგენისა იყო თეიმურაზ პირველის პოეზიაზე აკაკი წე-  
რეთელიც. ვსარგებლობ შემოხვევით და აქვე ვაქვენებ უკანასკნელის შემდუ-  
ლებას: „კახეთის მცფე თეიმურაზ პირველი პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პო-  
ლიტიკობდა ის დალოცვილი და შით საზარელს ზომავალს უმხადებდა სამეფოს.  
ამას ატყობდენ ზოგიერთები, მაგრამ ვინ გაბედავდა ცხადად მხულებას?—და ჩუ-  
ბად-კი აქა-იქ საყვედურები ისწოდა.

ზამთრის პირი იყო. გამზიარულებული ზუზარი გზგუნჯდა და კოპიტის შე-  
შას ტკაც-ტკუცი გაჭკონდა... ერთი ყმაწვილი კაცი მისჯდომოდა ბუქარს და ნა-  
კვერცხლებს დამტერებოდა. იქვე, მალოჯლად, ტახტზე მმარ-თეძოს წამოწოლი-  
ლიყო მოხუცი და პირის სახეს ათამაშებდა,—ტყობოდა, რომ თაჯის გულში რა-  
ლასაც საუბრობდა. უცბად აიღო თავი ახალგაზრდამ და ჰკითხა მოხუცს:

—რა ამბავია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი სადარბაზოდ აღარ დაბრძან-  
დება?... ჩაუკეტია კარები და ჩამწყვედელუას!..

—სტვირის გულანს თუ ბერავს?!.. უპასუხა მოხუცმა ცივად.

✕ გუდას?!..

—ჰო, შარშან გაზაფხულზე ჩაიკეტა და „ლილი-მეფუნჯიანი“ დაგვიწერა.  
ერთხელაც ზაფხულში—„შამი-ფარვანიანი“, მეორედ, ზემოდგონას—„ხილთა-ქება“  
და ახლაც უფოდ ზამთრის შესაფერისა სწეროს რამე...  
—მაკითხ არა დაშავდება-რაჰ.. სწეროს! მოცლის დროს ეგვეც ვარგია.

—მოცლის დროს?! მეჩუ და ჭეფე და მოცლის დრო ვის გავუთონა?.. არა  
შვილო!.. მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუუს“ დაუკრავს, მაშინ მისი-სამეფო „ვი-ვიანს“  
იმღერებს.

—დავით აღმაშენებელიც მწერ: ლი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დ. უკლიარა,

—აღმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, ადიდებდა ყოვლის შემო-  
ქმედს; მისი რამბიკო-ლოცვა იყო და ამისი შაირები-კი ლახლანდარობაჰა..

—რუსთველს ეჯობრება.

—ჰმ! უკვადეაზის წყარო და ნაძალადევი კა. ერთმანეთს ვინ შეადარა?!

(ბაში-აჩუკი, ისტორიული მოთხრობა, ავტორის გამოცემა, ქუთაისი 1900, გვ. 57-60).



თეიმურაზის ყველა ნათარგმნი ნაწარმოები სატრფიალო სუჟეტისაა და შეთხზულია განსაზღვრული მიზნით (ვ. ბ., 5):

ვის მახვილი გულად ედვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწოთოდეს,  
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს.

„შამი-ფარვანიან“ ში პოეტი საგანგებო მოწოდებით მიჰპართავს მიჯნურებს (23-24):

მოდით, მიჯნურნო, რომელთა ცრემლთა გდისთ ნაკადულები!

მისგან ისწავეთ ყოველთა ხელობა-მიჯნურობანი-ო.

სილამაზე-სიყვარულის კითხვას თეიმურაზი იხილავს თავის შემოკმედების ორიგინალურ ნაწილშიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს «მაჯამა», სადაც მოხდენილადაა შეზავებული მელანქოლიურ-პესიმისტური განწყობილებისა და მიჯნურული ექსტაზის მოტივები. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის გამობასა და სიკვდილის ნატერასთან ერთად ერთგან გამონაკლისის სახით ასეთი ჯანსაღი აზრით სავსე ბშვენიერი ტაეპიც კი გვხვდება (მაჯამა, VIII, 29):

ნუმც გავხდები უიმედო, ღონევე, შენის ამარისა!

თეიმურაზისთვის მხოლოდ განყენებული სილამაზე-სიმშვენიერე არსებობს, რომელიც ხორციელი ატრიბუტებით არის ნიშნული. პოეტის ასახული მშვენიერება დაყურსულია სუნნელით, „მუშკით“ და „ამბარით“ „მისგან მოდის სუნნელება“, რადგან ყოველი სიკეთე მხოლოდ „იმას ასხია“. ეს ლამაზი ქალის სახედ ჩამოსხმული ქანდაკება „მჯობია მზისა დილისა მოწმენდით ამოსულისა“, „მისგან შეგნის მთა და ბარი“; იმასთან შედარებით „მზე ცუდ მაშვრალობს“. უცხო ბატება თვით „მზესა სწუნობს“: „მზე უნაოლე ჰქმენ“ო ამბობს პოეტი. საოცნებო ასული არ ჰგავს „ქვე-ნამყოფთა“: ზარიფი და ნაზი ის ციურია, მნათობთ უმჯობესი:

მთვარე ვერ დაგედარების, ვერცა მზე დაგედავისო,

კულად გაქებენ თინათინ, ნესტან-დარეჯან და ვისო.

ამიტომ ბუნებრივია, რომ „მისთვის ბნდებთან მჭვრეტელნი“. მშვენიერი ქალის „დარაზმული ინდოთ ლაშქარი“ (წარბ-წამწამები) „ესვრის მჭვრეტელთა გულგზსა ეკალმუხისა ისარებს“. სანდომიანი ქალი

არც საკუთრივ პოეტს დანდობს, მასაც დასეტყვავს კუბიდონის ისრები:

წაემან ნშვილდმან ისარი მკრა გულსა ლახერად დანასობი-ო.  
პოეტი ჩაჰყვა სიყვარულის მორევს და ზომიერება დაჰკარგა, ნების-  
ყოფის სიმტკიცე, ცნობიერების უნარიც კი. პოეტი ბრმად შეყვარე-  
ბული ბალღია, ნებამორჩილი, შმაგი.

„სული მის მიჰყავს, არ ვიცი ჩემთვის რა გაუპირავსო“ გულ-  
სუბრყვილო ჩივილით ამბობს ერთგან თეიმურაზი. პოეტისათვის მალე  
ცხადი გახდება უნიან სატრფოს კირვეული უქულმართობა. უშედე-  
გოა პანთეტიკური შეძანილებიც:

გული წამართვი ცნობითურთ, მითხარ, ნაცვალი მომე რა?!

სიყვარული მწვავე „პატიუთა“ (ტანჯის) მიზეზი გახდება. „მან დამი-  
ქრა გული წამწმით“ო და „სრულად დამწვა სხივთა ცეცხლმან“ო.  
განაგრძობს ჩივილს.

სატრფო უგრძნობღლია, გულქვა და ცივი. პაერშიიბნევა-გრძნო-  
ბიერი მუდარა: „მოიგონე სიყვარული... სჯობს დააგზნა სიყვარუ-  
ლი დაგზებული“ო. გულისმსრფელი სიტყვებით პასუხობს ქალი: „წენ-  
კენ არ მოვიხედავო!“ „დამეგობისა ბედი მრუდად“ო უმაგალითო მღელ-  
ვარებით და პოეტური დიდი სიმახვილით ასკენის პოეტი, მაგრამ უკან  
არ იხევს და კვლავ „წიგნი მიეწერე-ო—გვამცნობს. ამაზე გულცივი.  
სატრფო აღშფოთებულა, მკვახედ უსვრია მწვავე სიტყვები: „ეს ვით  
მკადრეო. უ შენდა!“

გახელებულა ბულბულივით შემოკენნისის პოეტი თავისი სიყვა-  
რულის დამზრალ ბუჩქს, მაგრამ ერთი წვეთი ცვარიც კი არ ეცემ-  
მის გოლვიან ბაგეს: — „დამწვი და წყალი არ მესვი“ო მორჩილი ტო-  
ნით წასწურჩულებს გაკერპებულ ქალს.

პოეტი უარს აცხადებს საკუთარ თავზე და დაკოდილ „სულსაც“  
კი. სიყვარულის სამსხვერპლოს სწირავს:

ერთი სული მაქვს, სიკვდილო, მოყვრისად შემიწირავსო.

მრისხანე ღმერთებევით ცივი „მოყვარე“ არც ამ მხურვალე ზვარაქს  
ღებულობს. იშვიათად ოღნავი საყვედურის სიტყვაც კი წამოც-  
დება პოეტს:

სულთაც გიძღვნი, უმჯობესი რალა მოგცე ზედან წართვად!:

ან და:

მეტე რა ვყო, თავსა უძღვნი, მოვხსენებ დანაზარსა!

უკანასკნელი უარყოფის შემდეგ ცრემლებისგანაც კი დაცლილ პოეტს („ამად ეს ტირ, მაგრამ რაზომ ხამს, ეგზომი ცრემლი სად არი?“) რალა დარჩენია, თუ არ „მაჯუნუნისა წანაველსა და ნაგზევეს“ მიჰპართოს? მის ბედში მყოფი უნდა „ტარიელს ქვაბსა ესტუმროს, მაჯუნუნთან დაემყაროს!“ უდაბნოს ხრიოკ ველებში უმიზნოდ და უსაგნოდ მზიერ-მწყურვალის წანწალი--აი სატრფოს ნაჩვენები გამოსავალი გზა...

თეიმურაზისთვის სიყვარულის კითხვა საბოლოოდ უარყოფით გადაწყვეტილებას ღებულობს: სიყვარული დაუკმაყოფილებელი, აშოუწურავი ჭინის სათავე ხდება. ტრაგიკული ყოფის შეგნებაც დასაბამს პპოულობს. სიყვარულში. სიყვარულის თავშეუკავებელ გრძნობას საკუთარი თავის უარყოფამდე მიჰყავს პოეტი მხოლოდ იმ აზრით, რომ სატრფოს «მე»ს შეუერთდეს, ანუ სატრფოს «მე»ში განივთდეს ინდივიდუალობაწაშლილი „სულის“ სამყარო (სხეულზე პოეტი თითქოს აღარც კი ფიქრობს). აქ უნებლიეთ სპარსული სუფისტური თეოსოფია გვაგონდება. თეიმურაზი უშუალოდ უნდა განიცდიდეს ამ ნოძღვრების გავლენას და მის (სუფისტური თეოსოფიის) თეორიულ საფუძვლებს უნდა იზიარებდეს.

საერთოდ სპარსული ლიტერატურული გავლენა თეიმურაზისთვის დიდად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა. შეიძლება გადაუპარებლად ითქვას, რომ ფეოდალური ეპოქის მწერლობიდან ყველაზე უფრო მეტად თეიმურაზმა განიცადა სპარსული გავლენის ძალუშობა, მაშინ როდესაც ეს გავლენა მთელი ეპოქის დამახასიათებელ მომენტს შეადგენდა. თეიმურაზის შემთხვევაშიც რასაკვირველია გადაამკრელი როლი ითამაშა პოეტის საზოგადოებრივ-კლასობრივმა შემეცნებამ, ამასვე ემთხვეოდა პოეტის აღზრდის კონკრეტული პირობებიც (როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით, სწავლა-აღზრდა თეიმურაზმა მიიღო სპარსეთში, შაჰ-აბასის კარზე).

თეიმურაზი აღტაცებული ყოფილა სპარსული პოეზიით და ამის გამო ერთგან პათეტიკურად გაიძახის (ლ. შ., 4):

სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი-ო.

სპარსულთან შედარებით პოეტი ქართული ენის დაწუნებასაც კი არ ერიდება (იქვე):

მძიმეა ენა ქართველთა-ო.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზს—რომელიც სპარსული ორიენტაციის უდიდესი მტერი იყო პოლიტიკაში—მწერლობაში თავიდანვე აღე-

ბული ჰქონდა აშკარა სპარსულა კურსი. ცხადია, ლიტერატურულ ინტერესთა ერთიანობას ის საერთო სოციალ-კლასობრივი მიზეზები ჰქვებავდა, რომლებიც თანაბრად ახასიათებდა ორივე ქვეყნის პირობებს. თეიმურაზს თავისებური თეორიაც კი აქვს შემუშავებული თავისი ლიტერატურული ორიენტაციის გასამართლებლად (ვ.ბ., 2):

ჰმართებს კაცჲან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოილოს,  
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოილოს-ო.

თეიმურაზს სპარსულიდან ჭთარგმნია ისეთი 'მესანიშნაჲი ძეკლები, როგორცაა „იოსებ—ზილიხანიანი“, „ლეილ-მაჯნუნიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“<sup>1</sup>. ორიგინალური შემოქმედების ხაზითაც თეიმურაზი არ ლაღატობს სპარსული პოეზიის ნაცად ტრადიციებს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ შეტყავენდება ხორციელი ტრფიალებისა და ბაგე-ლეინის აპოლოგიაში. საყურადღებოა, რომ მიჯნურობის ზევით აღნიშნულ გაგებას იძლევა თეიმურაზის ნათარგმნი რომანტიკული პოემები, კერძოდ „ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“. ორივე პოემის მთავარი გმირი (ბულბულე და ფარვანი) ალეგორიულად ასახიერებენ ისეთ მიჯნურს, რომელიც ცალმხრივით და ჟინმოუკლავი ტრფობის პირობებში საკუთარი თავის გაწირვით ამტკიცებენ სიყვარულის უძლეველ ძალას.

შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ სიყვარულის კითხვა თეიმურაზის პოეზიაში ჩვეულებრივად მოკლებულია იმ კონკრეტ ავტობიოგრაფიულ უშუალოძას, რასაც ადგილი აქვს მაგალითად ბესიკთან. ამ მხრივ საგულისხმობა „მაჯამას“ ერთერთი (სახელობრ VIII) თავი, სადაც ავტორი მხურვალე სამიჯნურო დიფირამბებით ამკობს თავის საკუთარ ასულ ნესტან დარეჯანს: „აწყა მე ვიწვი ამისთვის-ო“.<sup>2</sup>

«მაჯამა»ში ცალკე თავად არის გამოყოფილი „გაბაასება ლეინისა და ბაგისა“. ორივე მობაასე კანდიერი ტონით აღგენს თავის

<sup>1</sup>) თარგმანების ხასიათის შესახებ რხილეთ ქვევით ანბ. გ. ჯაკობიას წერილი.

<sup>2</sup>) სხვათა შორის ალ. ხახანაშვილს შეეცდომით «მაჯამას» VIII თავის ტრფობის ობიექტ ქალად მიაჩნდა თეიმურაზის ცოლი (Очерки, III, 91). ხოლო V ხელნაწერის გადამწერს ვინმე დ. თუმანოვს ჰგონია, რომ ალექსანდრე და ნესტან-დარეჯანი („ჩაჯამას“) აღნიშნული თავის ქების ობიექტები) პოეტის პაპა და მამიდა ნესტანია (უკანასკნელი მანუჩარ დადიანს მიათხოვეს 1591 წელს). მ: გრამ რადვანაც ნესტანი დედოფელად იხსენება (თეიმურაზის მამიდა ნესტანი კი დედოფლად არასდროს ყოფილა), კომენტატორი შენიშნავს: „მე ესრეთ ვგონებ, მწერლისაგან შემცდარი იყოს დედოფლის ხსენება“ო.

ღირსებას: ბაგე მიჯნურთა შემპყრობელია, მჭერეტელთ მახელბელი, ბაგესთან შედარებით უნიათთა ბადახშნის ძვირფასი ლალი, იაგუნდი, ძოწი, აყიყი, არღავანი, შაისის ვარდი... მარტო „სანდომიანი ღიმილი“ რად ღირსჲკაცს ათრობს, ასტებს, ახელებს. მაგრამ ღვინოც ღირსეულია და პატივსადები. ღვინის „სპეციფიკა“ აგრეთვე თრობა, მღერა, ტვინში გაჯდომა, ბაგეზე დაღერა. სისხლის ფეროვანი „ყირმიზად“ ირთვის ვერცხლის თასებსა და ყელწერწეტა სურებში, ჟინმორაულად ლივლიკებს და მსმელთ შპაგად აქცევს... ღვინოც და ბაგეც სიყვარულით დაურვილთა უჯხო წამალია, „კაცის გულების მფერავი“, რომელიც „გულსა სევდითა სავსესა“... ზედ ლხინად დაემტკნასების“ და თავდავიწყებულ მიჯნურთ „მჭერეტელად შეკრებს“, თუმცა—ვაგლახ—„შეიკდენს“ და გაღვეს კიდევაცო.

თეიმურაზი დიდი მოხდენილობით ამკობს ბაგე-ღვინის ნიქს და თვისებას, მას თიტქოს უჭირს არჩევანიც. აღებული თემა შერჩეულია ორიგინალურად, თხრობა გაშლილია შოკლედ, მკვეთრად და საინტერესოდ. მხატვრული კონტრასტებით დაზუსტებული ფრაზები (კონტრასტული პარალელები) შეკრულია მტკიცე ოსტატური ხელით. ამ პატარა მოთხრობაში უხვადაა აღბეჭდილი პოეტის არისტოკრატიული სულისკვეთების იდეური ნაღეჭი. ღვინისა და ბაგის აპოლოგია იდეურად აფერვანებს თეიმურაზ პირველის მთელ შემოქმედებით ფიზიონომიას.

ერთი სიტყვით, თეიმურაზი სილამაზისა, სიყვარულისა, სუფრისა და ღვინის მგოსანია. საყურადღებოა, რომ ხელნაწერების ცნობითაც მაჯამა ყოფილა „სუფრისა და ლხინის დიდად შემამკობელი“. ამ მოტივებს უძღვნის პოეტა მხტრვალე დიფირამებს. მეორე მხრივ თეიმურაზი საწუთროს მგობია, სიცოცხლის შვანებელი. და ყოველივე ამას იტევს სულის საშვებლად ვანწყობილი მეფე და მონაზონი. სქემატიკურად ასეთ ხაზებში იხატება თეიმურაზ პირველის ლიტერატურული პროფილი.

რასაკვირველია, აღნიშნული მოტივებით თეიმურაზი არც პირველია და არც უკანასკნელი ქართულ პოეზიაში. მაგრამ ფეოდალური ეპოქის მდიდარი მწერლობიდან ის მაინც თვალსაჩინოდ გამოირჩევა თავისი მხატვრულ შემოქმედებითი ინდივიდუალობით. თეიმურაზს მოძებნილი აქვს თავის ადგილი, როგორც „ვარდ-ბულბულიანერი“ ტრფობის უბადლო ავტორს და „სოფლის ჩივილის“ მაუწყებელ გამოჩენილ პოეტს. შემდეგში ბევრმა განაგრძო ეს ხაზი, მაგრამ

აბა ვინ შესძლო წინამორბედის დაძლევა? „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიის ისეთი დახელოვნებული ოსტატიც კი, როგორიც ბენსიკია, თეიმურაზის უშუალო ლიტერატურულ მოწაფედ რჩება. გურამი-შვილმა სცადა „ვარდ-ბულბულიანური“ თემის თავისებური გააზრება, მაგრამ მაინცდამაინც ესეც თეიმურაზის მონაზულ ლიტერატურულ წრეში ემწყდრება. წყევისა და გმობის უდიდესი გამომხატველი გურამიშვილიც იმავე თეიმურაზის აღძრულ „ფიქრთსამყოფელში“ ტრიალებს.

განცდათა სიმავრილე და სრმაფრე თეიმურაზის პოეზიას ანიჭებს ნამდვილი ღირიზმის ძალას, ხოლო თითონ თეიმურაზი ღირსეულად იმსახურებს ორიგინალური პოეტის სახელს იმისდამიუხედავად რომ—როგორც აღენიშნეთ,—სპარსული გავლენის ძალუძობა ისე არავის განუკლდა საქართველოში, როგორც „ვარდ-ბულბულიანისა“ და „მეჯამას“ ავტორს.<sup>1)</sup>

\* \* \*

ფრიად საყურადღებოა თეიმურაზის შეხედულებანი საერთოდ პოეტისა და კერძოდ თავისი პოეზიის საკითხებზე. პოეზია ან „რიტორება“ თეიმურაზითაც „სიბრძნისა ერთი დარგი“ და შინაარსისა და ფორმის სათანადოდ შეწყობას საჭიროებს. პოეტს კარგად მოეხსენება, რომ ნედლი შინაარსი უნიათოა, თუ შესაფერ ფორმად არ ჩამოისხა (სხვაგვარი აზრი არც ეპატიებოდა რუსთაფელისა და ფირდოუს-საადის კულტურაზე განსწავლულ მგოსანს). თეიმურაზისათვის პოეტური ენა მხატვრული შემოქმედების განუკვეთელი და ორგანული ნაწილია. მხატვრული შემოქმედება უნდა გამოიხატოს დახვეწილ აზრსა და მოხდენილ თქმაში, ამიტომაც „მელექსემან ხამს თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს“ (გ. ბ., 11). სტილისტიკურად დაწმენდილი და მხატვრულად გამართული სიტყვა მკითხველს უნდა იზიდავდეს და ემოციურ კმაყოფილებას ჰგვრიდეს. აქი პოეტი ჩვეულმბრავად აწეული პაფოსით იწვევს „სიბრძნისა ტრფიალთ“ (გ. ბ., 3):

სცანიო, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა-ო

<sup>1)</sup> თეიმურაზს გვლენის რამდენიმე სასულიერო ლექსი, რაც უფრადერს მატებს პოეტის შემოქმედებით აქტივს.



ან და (შ. ფ., 22):

მოდით, სიბრძნისა ტრფიალნო, სმენად სიტყვისა  
ტკბილისა-ო.

სიტყვათა პოეტური დინება უნდა იყოს „ვით ნაკადული ღარ-  
შიგან“ (იქვე). სიტყვა ტაების უმთავრესი ელემენტია. ტაეპობრივ-  
ფრაზული წყობა კი სიტყვათა მხატვრულ შეზავებას ითხოვს. „სიტ-  
ყვათა შესხმა რიტორად“ იგივეა რაც „ენის სამკაულ-მკობანი“. ამ  
შემთხვევაში თეიმურაზი თავის დებულებას რუსთველის ავტორიტე-  
ტით ამაგრებს (შედ., 7):

რუსთველმანც თქვა, ნურვინ თქვასო სიტყვა ცუდად წასახდომი:

თეიმურაზი მტკიცედ ყოფილა დაჯერებული თავისი „სიტყვის“  
გამძლკობაში და ამაყი ტონით აცხადებს ერთგან (გ. ბ., 9):

გამისინჯეთ ლექს-ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა!

მეორეგან კი კადნიერი გამბედაობით შევიბრებაში იწვევს მთელ  
ქართულ პოეზიას:

ნაძლევი ვარ, თუ ვინმემ თქვას ჩემებრ რავე განლე-  
ქსული-ო.

არსებითად თეიმურაზი ვერსიფიკაციისა, თუ პოეტური მეტყვე-  
ლების ხერხების თვალსაზრისით ძლიერ განიცდის ე. წ. კლასიკური  
პერიოდის მწერლობის, კერძოდ რუსთველის გავლენას. რუსთველუ-  
რი (ნაწილობრივად აგრეთვე ჩახრუხაული) საზომის გამოყენებასთან  
ერთად თეიმურაზი ჩვეულებრივად იმეორებს უკვე შტამპად ქცეულ  
და გაქვავებულ მზამზარეულ გამოთქმებს, ეპითეტებს, მეტაფორებს,  
შედარებებს და მისთანებს; მაგრამ მოეძებნება საკუთარი ორიგინა-  
ლური სახეები და თქმები, მაგალითად: „შესანიშნავია მოკლე, მაგრამ  
უმტკიცესი ფრაზა: „დამეგრისა ბედი მრუდად“. მოსწრებული გა-  
მოთქმებითა და ბუნების მხატვრული სურათებით დამზახსიათებელია  
„შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“. ამ პოემაში განსაკუ-  
თრებული მოხდენილობით არის აწერილი კახური შემოდგომის პეი-  
ზაჟები. ბუნების კულტის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე  
„ვარდ-ბულბულიანი“.

თეიმურაზს საერთოდ ეხერხება მოსწრებული რითმებიც, მა-  
გრამ ძალიან ხშირად ამ მიზნით შეუწყნარებლად ამახინჯებს კიდევც

სატყვევის წესიერ ფორმებს, არაიშვიათად პოეტს იტაცებს უმგვანო „ბარბარისზენი“ და უცხო ტერმინებსა და გამოთქმებს მოუტირებლად ერეკება ფრაზებში. ამიტომაც იყო, რომ პურისტი არჩილი ვაცხარებულნი პოლემიკური წამოყვედრებით აცხადებდა (ლექსი აქაიქ ნათქვამი, 3):

შკითხველ-მთარგმნელო, მაჯამას! წილ მეც ეს მამირთმეგია,  
ჩემი და ჩემ[მ]ავიერად, არვისთვის წამირთმეგია,  
მი თქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურეგია-ო.

ყოველ-შემთხვევაში თეიმურაზს უფლება არ აქვს მინცდამინც დაიტრამბახოს: „ლექსი არსად დამეხვანჯა“ ო. სამუშაოდ ნაყოფიერი პოეტის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლები „დაბეანჯულობის“ მრავალ მაგალითს იძლევა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი გამოცემა გაადვილებს თეიმურაზის ფორმალურ-პოეტიკური თვალსაზრისით შესწავლის საქმესაც.

\*\*\*

თეიმურაზმა დიდი სიახლე შეიტანა თავის დროინდელ ქართულ მწერლობაში. ეს სიახლე უწინარესად ყოვლისა თემატიკისა და ჯანრის სფეროში გამოვლინდა. თეიმურაზი ავტორია რამდენიმე ახალი ჟანრისა, რომელმაც შემდეგში მტკიცედ გაიდგა ძირი. ამ მხრივ პირველად უნდა იქნას დასახელებული „გაბაასება“. ეს ჟანრი თავისი წარმოშობით აღმოსავლურ-სპარსულია და დოკუმენტალურად დადასტურებულია XI საუკუნიდან. „გაბაასების“ შემომღები ყოფილა განთქმული სპარსელი პოეტი ასადი (გარდაიცვალა 1030—1046 წლებს შუა). სპარსულ ლიტერატურაში დასახელებულ ჟანრს ეწოდება მუნაზარე, რაც ვაკამათება, გაშირება-გაჯიბრებას ნიშნავს. თითონ ასადის შუუთხზავს „გაბაასება დლისა და ღამისა“, „მშვილდისა და ისრისა“, „მუსულმანისა (არაბისა) და სპარსელისა“. <sup>2)</sup> სპარსულ მწერლობაში ასადის მიმდევართა და წამბაძველთა მთელი წყება გაუჩნდა. „გაბაასების“ ჟანრი გადაიტანეს ევროპაში და იქაც ფართო გავრცელება პოვა (ე თ ე).

<sup>1)</sup> ჭკულისხმობს ბარბარისმებრთ სავსე თეიმურაზის „მაჯამა“-ს.

<sup>2)</sup> H. Ethe, Neupersische Litteratur, «Grundriss der Iranischen Philologie», II, s. 226 — 227.



ქართულ მწერლობაში „მუნაზარე“ პირველად თეიმურაზმა შე-  
მოიტანა. ყოველ-შემთხვევაში ამის უწინარესად ის ჯერ-ჯერობით  
ცნობილი არაა [თუ მხედველობაში არ მივიღებთ «როსტომიანის»  
ქართული ვერსიის გამლექსავის, სერაპიონ სოგრატის-ძე საბა-  
შვილის, ორსტროფიან ჩანართ „შელაპარაკება-გაბაასებას რუს-  
თველსა და ბაგრატ მუნრანო-ბატონის შორის]: „მუნაზარეს“ ფორ-  
მით არის შეთხზული თეიმურაზის „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“  
და „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ [რალაც გაუფეპრო-  
ბის შედეგია, რომ უკანასკნელი აკად. ნ. მარს ნათარგნ ძეგლებში  
აქვს მოქცეული<sup>1)</sup>]. „შედარება“ თეიმურაზის უეჭვოდ ორიგინალური  
ნაწარმოებია].

თეიმურაზის შემდეგ „გაბაასება“ ძლიერ პოპულარული გახდა.  
ამ ფორმას იყენებს არჩილი („გაბაასება თეიმურაზისა და რუს-  
თველისა“, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“), თეიმურაზ მეორე  
(„გაბაასება ღვინისა და ღვინისა“, „გაბაასება რუსთველთან“), დავით  
გურამიშვილი („სიკვდილის და კაცის წელაპარაკება და ცილობა“,  
„კაცისა და საწუთროსაგან ცილობა“), მწერალი ქალი მანანა  
(„მანანასაგან ცივების პასი“) და სხვ.

მეორე ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც თეიმურაზმა  
მისცა სათავე, არის მაჯამა. ტერმინი მაჯამა ორბ მნიშვნელო-  
ბით უნდა ვიხსაროთ: მაჯამა როგორც თავისებური სტროფული  
ერთეული და მაჯამა როგორც სუჟეტურ-კომპოზიციური ერთეული.

სტროფული მაჯამა ტაქტებში (სალექსო სტრიქონებში) ომო-  
ნიმური სიტყვების გარკვეულ ორგანიზაციას ემყარება. ავიღოთ,  
მაგალითად, ჩვენთვის უკვე ნაცნობი სტროფი:

რად, სოფელი, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?  
გლახ, ლახვარი სასიკვდინი ყველა მე მკარ, დასად აგუ!  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სადაგე?  
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სადაგე?!

მოტიანილი სტროფის ყოველი ტაქტი ერთიანივე სიტყვით,  
თუ სიტყვათა კომპლექსით იხუზება. ესაა დასადაგე, მაგრამ მიუხე-  
დავად ბგერული ერთგვარობისა, ეს სიტყვა ოთხივე შემთხვევაში  
სხვადასხვა მნიშვნელობას იძლევა. პირველ ტაქტში დასადაგე ნიშნავს

1) ЖМНП, 1699, XII, 233.

დასაწევას, დასადავავს. მეორეში—ავტორი ამბობს: ყველა ლახვარი მე მკარ, დასად, ჯგუფად შეწყობილიო. ნესამე ტაეპში პოეტი ჩივის ძის, ასულის და ძმის დაკარგვაზე და ბოლოს იკითხება: და სად ავე, ე. ი. და სად წაიყვანეო. მეოთხეში კი ლაპარაკია აშენებაზე, აგებაზე: მათსავით ტურფა სად რა აგოგია და ავიშენებიაო. ამრიგად, დასადავე ომონიმური ხერხით არის გამოყენებული. სტროფული მაჯამას მთელი ინტერესი მოხზია ომონიმების ვირტუოზულ-კალამბურულ წყობაში. მაჯამას ღირსება ომონიმების მოხდენილობით განიზომება, ომონიმების ოსტატური ვარიაციით აღწევს. ავტორი მბატურულ ეფექტს.

ხელნაწერებში ომონიმები ჩვეულებრივად ერთ სიტყვად იწერება (ჩვენ გამოცემაში რეული მაჯამური ომონიმები შემადგენელ სიტყვიერ ნაწილებად არიან დაყოფილი, რომ უფრო ადვილი გამხდარიყო აზრის გაგება). ომონიმების შერჩევს მიზნით პოეტი ხშირად იძულებული ხდება სიტყვის წესიერი ფორმა დაარღვიოს, ან უცხო და უხმარი ტერმინით ისაჩვენლოს. ამიტომაც მაჯამაში არაიმეიათია ბარბარისმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები, პროვინციალიზმები და მისთანანი. ყოველივე ეს ბუნებრივად აზრის გაგებას აძნელებს და ართულებს. სხვათა შორის, დამახასიათებელია, რომ თეიმურაზის მოწმობით მაჯამების „თარგმანება“ (განმარტება) კულტურული გართობის ერთერთი სახედაკანი ყოფილა იმდროინდელს სალიტერატურო წრეებსა და სალონებში:

სპარსულად ჰქვიან მაჯამა შეყრილად ითარგმანება,

იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება,  
გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაევენება-ო.

ტექსტის საათურიც ნაზს უსვამს მაჯამას ამ «ღირსებას»: „კეთილ-სასმენელი და ტკბილ-საამოვსო, მსმენელთათვის საძებარსათარგმანებელი-ო.

უნდა გულახდილად ითქვას, რომ მაჯამას „თარგმანება“ ახლაც კი მეტის მეტად ძნელი საქმეა. რედაქციას ამ მხრივ ენერგია არ დაუზოგავს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში აზრი ჩვენთვისაც ნათელი გამზდარიყოს. ახლაც ძალაში რჩება ჩვენი სიტყვები მაჯამას ჩვენივე პირველი გამოცემის შესახებ: „ცხადია, ბევრი რამ ჩვენთვისაც გაუგებარი იყო. ჩვენ შეძლებისდაგვარად

ვეცადეთ ტექსტი შეგვესწავლა და შედეგი მკითხველისათვის წარმოგვედგინა. ეს პირველი ცდაა და ამდენადვე შეცდომები მოსალოდნელიცაა და, ვფიქრობთ, გასამართლებელიც<sup>1)</sup>

ნორმალურ პირობებში ყოველი მაჯამური სტროფი ოთხ მაჯამურ ომონიმს, ე. ი. ოთხ კალამბურულ სიტყვას უნდა იძლეოდეს. ფაქტურად კი ვერც თეიმურაზი და, მით უმეტეს, ვერც როზელიმე მისი მიმდევარი ახერხებს ამ პრინციპის ბოლომდე დაცვას. ამიტომაც ხშირად გვხვდება—ასე ვთქვათ—კოჭლი მაჯამები, ანუ ტავტოლოგიური ომონიმები. ამის მაგალითები თეიმურაზის «მაჯამა»ში დაც, სამწუხაროდ, ბევრი მოიპოვება. დასასრულ ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად კალამბურული გამოთქმა ერთ სიტყვიერ ერთეულს წარმოადგენს და მისი ცალკე ნაწილებად დაყოფა საჭირო აღარაა.

მეორე მხრივ „მაჯამა“ სუეეტური კო მ პ ო ზ ი ც ე ი ს. გარკვეულ წესებს ჰგულისხმობს. „მაჯამა“ უცხო სიტყვაა (არაბულ-სპარსულია) და ნიშნავს კრებულს. თეიმურაზიც არსებითად ასე განმარტავს ამ ტერმინს:

სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“ შეყრილად ითარგმანება,  
წიგნები გამოკრებული, იგ ერთად მოიხზარება-ო.

ან და კიდევ:

ლექსთა ღარიბთა, ფცხოთა, როშელ არს გამოკრებული,  
მომინდა წერა-ო. . . . .

ვახტანგ VI-ის კერძო მაგალითზე ჩვენ უკვე ვაჩვენეთ,<sup>2)</sup> რომ ძეგლი იმავე ავტორის სხვადასხვა თხზულებათაგან საგანგებოდ გამოკრებილი მაჯამური სტროფების კრებულს წარმოადგენს. თან ისიც დავსძინეთ, რომ „მთლიანად აღებული ეს [ვახტანგის მაჯამა] არაა მექანიკურად შეკოწიწებული ხანების კომბინაცია“-თქო.<sup>3)</sup>

თეიმურაზის „მაჯამას“ მრავალი სტროფიც „ვარდ-ბულბულიანისა“, „შამი-ფარვანანისა“ და „გაწაფხულ-შემოდგომის შედარების“ პარალელურ ტექსტებს ემთხვევა. ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ვახტანგის ანალოგია, მაგრამ ეს ანალოგია თეიმურაზის მასალით ბოლომდე არ განმართლდა: მრავალი სტროფის პარალელი ცნობილ ძეგლებში არ იპოვება. ამასთან „მაჯამას“ ზოგიერთ შემა-

<sup>1)</sup> ანთოლოგია, II, 1928, გვ. IX.

<sup>2)</sup> ანთოლოგია, II, გვ. X-XI.

<sup>3)</sup> იქვე, XI.

დგენელ თავს („გაბაასება ღვინისა და ბაგისა“, „ქება და მკობა ალექსანდრესი და ნესტან-დარეჯანისა“) ცალკე დამოუკიდებელი ნაწარმოების მნიშვნელობა აქვს. ეს თავები „მაჯამაში“ მთლიანი ერთეულის სახით შესულა მაჯამას დართული აქვს საკუთარი პროლოგ-ეპილოგიც. ჩვენი აზრით, თეიმურაზს ერთი მხრივ თავის თხზულებათაგან გამოუკრებია ჯალკე მაჯამური სტროფები, მეორე მხრივ სათანადო ცალკე „ქებანიც“ შეუთხზავს. ეს მასალა შეუესია ახალი სტროფებით და პროლოგ-ეპილოგის სახით მტკიცე კომპოზიციური საღატით შეუკრავს. ამგვარად კი მაჯამას დამოუკიდებელი ნაწარმოების სახეც ეძლევა და გამოკრებილ თხზულებასაც წარმოადგენს. მაინცდამაინც თეიმურაზი თავის მაჯამას ცალკე წიგნს უწოდებს („გათავდა წიგნი მაჯამა“), თუმცა იმის გამოკრებილობასაც იქვე საგანგებოდ უსვამს ხაზს:

გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები-ო.

შემდეგში გადამწერლებს უცდიათ მაჯამას შევსება და გამოკრების წესითვე ახალი სტროფებით განუვრციათ ტექსტი. აქიდან წარმოდგება მაჯამას სხვადასხვა რედაქციები. თავის მხრივ თეიმურაზი მაჯამას „მცირობას“ იუწყება:

გათავდა წიგნი მაჯამა.

ყოვლის წიგნისა უმცროსი, ჩანს მათი უფლისწულები-ო. ასე გვესმის ჩვენ მაჯამას კომპოზიციის კითხვა.<sup>1)</sup>

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუცა თეიმურაზი მაჯამას სპარსულ გვარად აცხადებს, მაგრამ არსებითად ეს მის მიერ შემოღებული ორიგინალური ჟანრია. მაჯამა სპარსული მხოლოდ პროგორც ტექნიკური ტერმინი, სპარსულში მაჯამა ეწოდება საერთოდ თხზულებათა ყოველგვარ კრებულს და არა კერძოდ საგანგებოდ წერილი მაჯამური სტროფების კრებულს. ესლა რაც შეეხება მაჯამურ სტროფებს. რასაკვირველია, ომონიმურ-კალამბურული ხერხი უცხო არ ყოფილა არც სპარსული და არც ძველი ქართული მწერლობისათვის. მაგრამ ომონიმურ-კალამბურული ხერხის გარკვეულ „მაჯამურ“ პრინციპად გადაქცევა უნდა მიეწეროს თეიმურაზის ღვაწლს. თეიმურაზის მაჯამამ უდიდესი გავლენა მოახდინა „აღორ-

<sup>1)</sup> მაჯამას შედგენილობის ტექნიკურ-ტექსტუალურ საკითხებზე საუბანად განმარტებანი იხ. წერილში „ტექსტისათვის“.

ძინების“ პერიოდის ქართულ მწერლობაზე. არჩილის „ლექია აქა-იქ ნათქვამი“<sup>1</sup> და ვახტანგის „მაჯამა“<sup>2</sup> თეიმურაზის „მაჯამას“ გადამღერებას წარმოადგენს. არჩილის თხზულების სათაურიც კი თეიმურაზიდან არის აღებული (მღრ. თეიმურაზი: „გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები“). არჩილი: „ლექია აქა-იქ ნათქვამი“). წამბაძველი საგანგებოდ იმოწმებს კიდევაც თავის უშუალო წყაროს:

სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვითხრობს მაჯამა-ო.

ასე იტყევა ვახტანგიც:

ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყო მაჯამა-ო.

თეიმურაზის მაჯამური ომონიმებით დაცხრილულია იოსებ სააკაძისა, დავით გურამიშვილისა, ბესიკისა და სხვათა პოეტური შემოქმედება. სანიმუშოდ აქვე წარმოვადგენთ თითოეული დასახელებული პოეტის თითო სტროფს და თეიმურაზის სათანადო ტექსტს დაუპირისპირებთ.

იოსებ სააკაძე („ღიდ-მოურავიანი“):

სად მეგონა დამკვიდრება, აწ სადით ვარ განაჰერით,  
მეფეს ტკბილად ველარ ენახავ, თვარ არ ვრიდობ განა ჰერით!  
ვის მომწვევენ. შეიქნების ვაკვეთილ და განაჰერით,  
ბედო კრულო, ზკუნდმართო, თავი ჩემი განაჰე რით?

თეიმურაზი:

აწ, ბულბულო, ყველა გხედავს ხელსა, სოფლით განაჰერსა,  
ჩაჯდომილხარ ეკალშია, სახლს არ ეძებ, განა ჰერსა!  
გვიჩვენებ და შემოგეჩივი გულსა ლახერით განაჰერსა,  
მოგიტან და ვაგიკურნებ ვარდსა ხელით განაჰერსა.

დავით გურამიშვილი:

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,  
რაც მომებოდა თავითგან, ბოლოჟამ ისევ წამერთო;  
მან დამიკვანდა მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა, მერთო,  
მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო.

<sup>1</sup>) ანთოლოგია, II, 1928, გვ. 113-117.

<sup>2</sup>) იქვე, გვ. 137-142.

## თეიმურაზი:

მინდოდბ ქება-ქებასა სხვანიცა ბევრი წამერთო,  
 არ დამაცალე, სოფელო კრულო, მოკლევ და წამ ერთო;  
 შენგან დამება გონება, ტკბილი სიტყვები წამერთო,  
 მანდოდა ცრემლი ზღვათათვის ჩემი ნიადავ წამერთო.

## შესიკი:

მკრა ეშხის ლახვარი დანასობითა,  
 დასქრა შევ გლახ გული დანა-სობითა,  
 მან სევედა მიმტაცა დანასობითა!

## თეიმურაზი:

შავმან მშვილდმან ისარი მკრა გულსა ლახვრად დანასობი,  
 ეგ ზომ დაპყო გულსა შინა, რომ მოჰკიდა დანას იბი;  
 დაწვთა მისთა შევენებითა ენახე ვარდი დანასობი,  
 ველარ ენახე მთვარე მისგან მონაეანი და ნასობი.

\* \* \*

თეიმურაზმა ნაციონალური თემატიკის დამუშავებაც სცადა. „წა-  
 მება ქეთევან დედოფლისა“ ამ მხრივ პირველი მაგალითია ქართულ  
 მწერლობაში. მართალია, უძველესი დროიდან არსებობდა ე. წ. „წმი-  
 რდათა ცხოვრებანი“ (პაგიოგრაფიული მწერლობა), მაგრამ თეიმურა-  
 ზის ისტორიულ პოემას არაერთარი საერთო აქვს აღნიშნული ტიპის  
 ძეგლებთან არც იდეური მიზანდასახულობისა, არც სუვეტისა და არც  
 კომპოზიციის მხრივ. თეიმურაზის პოემა უაღრესად საერო ხასია-  
 თის ნაწარმოებია, სადაც სათანადოდაა დაცული ისტორიულ-ნაციო-  
 ნალური პერსპექტივი და შედარებით აცილებულია ზღაპრულ-სასწა-  
 ულებრივი მომენტი. მიუხედავად განცდის სიმწვავისა, ავტორი ეპი-  
 კური სიღარბისლით აწერს კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტს.  
 პოემაში აქა-იქ შერეულია მწუხარე ლირიკული მოტივებიც, რაც ასე  
 ეხამება სუვეტის საერთო ფონს. ლირიკულ-ელემენტური ტონი თა-  
 ვის მხრივ საზოგადოებრივ-ეროვნული თვალსაზრისითაც ყოფილა  
 გამოწვეული. ერთი სიტყვით, თეიმურაზი პირველად იყენებს ქარ-  
 თულ მწერლობაში ისტორიულ-ნაციონალურ ფაბულას და ე. წ. ის-  
 ტორიულ-ნაციონალური მიმართულების დამწვეები ხდება. შეიძლება  
 ითქვას, რომ ამით თეიმურაზმა ერთგვარი თემატიკური კრიზისი

სძლია და მომავლისათვის მწერლობას ახალი გზები დაუსახა. არჩილი, გურამიშვილი და მრავალი სხვებიც თეიმურაზის დაწყებულ საქმეს აგრძელებენ. დამოუკიდებლად მისი ლიტერატურული ღირსებისა ისტორიულ-ნაციონალურმა ეპოსმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას და ამ მხრივ დიდი უტილიტარული როლი ითამაშა (უმრავლეს შემთხვევაში მხატვრული მომენტის საზიანოდ).

„აღორძინების“ პერიოდიდან თეიმურაზი პირველად სარგებლობს აგრეთვე წერილი ლექსების ჟანრით<sup>1</sup>. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თეიმურაზმა საკმაოდ გაამდიდრა ქართული ფეოდალური მწერლობის არე და მოცულობა. მან პირველმა შექმნა ნაირი ლიტერატურული ჟანრის კულტი, პირველმა შეარყია ტრადიციული თემატიკა და მწერლობის შემდგომ განვითარებას ფართო ასპარეზი გადაუშალა.

თავისი არც ისე მრავალრიცხოვანი თხზულებებით თეიმურაზმა მოგვცა მხატვრული სახეების მთელი გალერეა: ლეილა და მაჯუნუნი, იოსებ და ზილიხან, შამი და ფარვანა, ვარდი და ბულბული საზოგადო პოპულარული სახეებია ფეოდალური ეპოქის ქართულ მწერლობაში. თეიმურაზის გმირების სახელებმა ქრისტიანული კალენდრის ნორმებიც კი სძლია.

ლიტერატურული გავლენის თვალსაზრისით თეიმურაზის პოეზიას იშვიათი გამარჯვება ხვდა წილად. ნარტო „ვარდ-ბულბულიანი“ რომ ავიღოთ, განსაკვიფრებელი შედეგი აღირიცხება. ამ თემამ მთელი ეპოქა შექმნა, მთელი კულტი. ვერ დაასახელებთ ვერცერთ „ძველ“ მწერალს, რომლის კალამი სამიჯნურო მოტივს „შეხებია (აბა რომლის კალამი არ შეხებია ამ მოტივს?!“ და ვარდ-ბულბულის აშეიკობა რაიმე ვარიაციით არ აღებეჭდოს! პოეტი ი. გრიშაშვილი ასეთ საფულისხმო სტრიქონებს უძღვნის თავის ლიტერატურულ ორეულს—ს ა ი ა თ ნ ო ვ ა ს :<sup>2</sup> „მაინც დალოკვილს იმდენჯერ აქვს ნახმარი «მზე», «მთვარე», «ვარდი და ბულბული», რომ დღეს შემდეგ როგორ მივექარავ და კვლავ შევიყვარებ ამ საგნებს—ო.

მაგრამ „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიის დღეგადასული ხმები მთლად არც შემდეგში მიწყდა. უკანასკნელად პოეტმა სიმონ ჩი-

<sup>1</sup>) ზეიძლება ამ შემთხვევაში მხედველობაში არ იქნას მიღებული „ანბანთქება“, რომელიც ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებულია და რომლითაც გატაცებული იყო თეიმურაზი და მასთან ერთად მთელი მომდევნო ფეოდალური ქართული მწერლობა.

<sup>2</sup>) საიათნოვა, ტფილისი 1918, გვ. 47.



ქოვანმა მოგვცა „ბულბულიანობის“ ძღვევის მოხდენილი ცდა თავის მოხდენილ ლექსში «ბულბულიანი»<sup>1</sup>. სიმონ ჩიქოვანი მშვენიერად ამხელს „ბულბულიანური“ პოეზიის „მოდერნულ“ კილოს:

ბულბული დაჯდა წარსულის ძვლებზე  
და იწყო ყეფა ინდუსტრიაზე...

თეიმურაზის ლიტერატურული მნიშვნელობა კარგად ჰქონია შეფასებული როგორც მის თანამედროვეებს, ისე მომდევნო თაობებსაც. თეიმურაზს თურმე ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე უღარებდენ (ვინ იცის იქნებ პირფერულად?) ქართული პოეტური სიტყვის უდიდეს ოსტატს—რუსთველს. ამით პოეტი მეფე თითქოს შეუარაცხოფილიც კი დარჩენილათავის უკეთილშობილეს გრძნობებში და თავბედურად კადნიერი ტონით იუწყება „მაჯამას“ ეპილოგში:

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასწენლად ყურისა,  
მანც რუსთველსა აქებენ, მე ისან ვამაგულისა!

თეიმურაზის თანამედროვე, თანამოკალმე და თანამებრძოლი, დიდი ფეოდალი და პოეტი ნოდარ ციციშვილი კრძალვით და მოწიწებით წერს ერთგან ჩვენი ავტორის შესახებ<sup>2</sup>:

თქვა ხელმწიფური ლექსები, თვით რუსთველის მოსა-  
წონისი,

ლექსთა შვითხველთა მელექსედ ხან ის აქეს და ხან ისი-ო.

თეიმურაზის მეორე თანამედროვის, პოეტ მამუკა მდივნი ს, სიტყვით არჩევანი არც შეიძლება:<sup>3</sup>

კახთა მეფე თეიმურაზ ყოველთა უკეთესია...

ხოლო არჩილი პირდაპირ და კატეგორიულად აცხადებს: „ამჟამად ასე სახელისმძებელი კაცი არ გამოსულა, რომ მეფე თეიმურაზ [არს]“. ეს ფრაზა ამოღებულია არჩილის კარგად ცნობილ თხზულებიდან „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“<sup>4</sup>. ამ წარმოების გენეზიის თაობაზე ავტორი გვიამბობს: „გაბაასება. მეფის-პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის

1) ს. ჩიქოვანი, მხოლოდ ლექსები, ტფილისი 1929, გვ. 106—107.

2) შვიდი მთიები, პრაფ. კ. ვეკელიძის რედაქციით, ტფილისი 1930.

სტროფი 7.

3) შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, ი. აბულაძის გამოცემა, 1916, გვ. 5.

4) ე. თაყაიშვილი, Описание рукописей, II, 142.

რუსთველისა ამ მიზეზით [იქმნა], რამეთუ მათ მეღვქესთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე შეფეს არჩილს“ .ო. <sup>1</sup>.

„გაბაასება“ დაწერილია მევეთრი პოლემიკური ტონით. განსაკუთრებითა გამომწვევ პოზაშია მიცემული თეიმურაზი, ის მეტად ქირვეულობს და ცხარობს. რუსთველი მორიდებულია და კრძალული გვირგვინოსან პოეტთან კამათში. არჩილის დასკვნით ზრძოლა გადაუწყვიტელი რჩება („ანთოლოგია“, II, 100):

ორთაე უხაშ დიდი ქება, მსნენელთ დიდსა სიბრძნეს მოსცემს.

თეიმურაზს დიდ ქებათა-ქებას ასხაშს XVIII საუკუნის ოფიციალური კრიტიკაც ანტონ კათალიკოსისა და იოანე ბატონიშვილის სახით. <sup>2</sup> მაგრამ რაღა წარსული დავინოწმოთ?.. ამ წარსლის დიდი მცოდნე მეცნიერის, აკად. ნ. მარის სიტყვით თეიმურაზი პირველი პოეტია საქართველოში რუსთველის შემდეგ <sup>3</sup>. ჩვენ პირადად შორს ვართ ამ შეხედულებიდან, მაგრამ მაინც უდავოა და ცხადი თეიმურაზის დიდი მნიშვნელობა ფეოდალური ეპოქის ქართული მწერლობისათვის. თეიმურაზს პირველი ამ მწერლობის ერთერთი პირველთაგანია და გამოჩენილი და დასახურებული მოამაგე. ამდენადვე ის ყურადღების და შესწავლის ღირსია, თუმცა—თქმა არ უნდა—წავიდა თეიმურაზ და არჩილ მეფე-პოეტების დრო“ . <sup>4</sup>

ა ლ . ბ ა რ ა შ ი ძ ე

<sup>1</sup>) ე. თაყაიშვილი, იქვე, II, 141.

<sup>2</sup>) წვობილსიტყვაობა, თავი ე; მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის (ძველი საქართველო, I. განყ. III, გვ. 26).

<sup>3</sup>) Возникновение и расцвет древне-грузинской светской литературы (ЖМНП, 1899, XII, გვ. 233).

<sup>4</sup>) ვალ. ბახტაძე, ქართული მხატვრული პროზა 1928 წელში („კომუნისტი“ 1929 წ. № 3, 5 იანვარი).

## თეიმურაზის „თარგმანები“

ვერ გვითქვას გადაქრით: სად უფრო მძლავრია თეიმურაზი — ორიგინალ შემოქმედებაში, თუ „თარგმანებში“?! ამ საკითხის გადაუჭრელად (შკითხველმა თვით დაადგინოს...) ჩვენ გვინდა ამ შენიშვნებში შევჩხოთ მხოლოდ მის მიერ „ნათარგმნ“ თუ ვადმოქართულებულ ნაწარმოებთ. მათი ხედვრითი წონა, უდავოდ, დიდი და საპატიოა მის პოეტურ შემოქმედებითი არეში. ამ კატეგორიას ეკუთვნის: 1. „იოსებ-ზილიხანიანი“, 2. „ლელილ-მაჯუნნიანი“, 3. „შამი-თარგმანიანი“ და 4. „ვარდ-ბულბულიანი“.

ორიოდე სიტყვა ნათარგმნ ნაწარმოებთა და მითარგმნელთა შესახებ ზოგადად.

ცნობილია, რომ ჩვენი ლიტერატურა დამძიმებულია (მგეტი რომ არა ვთქვათ) ნათარგმნ ნაწარმოებებით სხვადასხვა დარგებში. ამ მხრივ უამრავ მაგალითებს იძლევა როგორც კლასიკური ხანა, რსე, ე. წ. ალექსანდრის პერიოდი. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი. როგორც წესი, შეიძლება დადგენილ იქნეს, რომ ზუსტი თარგმანი რომელიმე ნაწარმოებისა (ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სპარსული წყაროები) არ მოგვეპოვება. ყოველ თვითაველ შემთხვევაში ესა თუ ის მითარგმნელი იჩენს გარკვეულ ინდივიდუალობას, თავისებურებას, ტექსტისადმი დამოუკიდებელ მიდგომას. აიხსნება ეს გარემოება, ჩვენის აზრით, ორი ძირითადი მომენტით: 1) სათარგმნი მასალა ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ა დ უ ც ხ ჯ ა, მიუღებელია, მას ვათავისებურება სკირია; 2) აღმოსავლური ვრცელი, ხშირად ვაჭიანურებულ-ვაზიანდებულ გადმოცემას ვერ ვგუებოდა ვერც ქართველი მკითხველი, ვერც მითარგმნელი. ამ აზრის საილუსტრაციოდ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ თეიმურაზის სიტყვები „ლელილ-მაჯუნნიანი“-ს წინასიტყვაობიდან:

„სპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანი,  
მძიმეა ენა ქართველთა, ვერ ძალშიც მისებრ თხრობანი,  
მათ შეტქმასნილთა სიტყვათა მინდა მარტივად  
გბობანი“-ო.

უკუღებელსაყოფა არ არის არც ინდივიდუალური, შემთხვევითი, კერძო ხასიათის წვრილმანი მომენტები. მაგ: სოციალური „შეკვეთის“ მიზანდასახულობა და მისდამი დამოკიდებულება, ავტორის მოუტყლლობა ან „გასაძლებლად“ წერა (თეიმურაზი), მკითხველი საზოგადოების ინტერესი მიწოდებულ ლიტერატურულ მასალისადმი და სხვა.

განსახილველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ტიპიურ ქართველ „მთარგმნელ“ მწერალთან. თეიმურაზი, როდესაც „თარგმნის“, მუდამ თავისებური რჩება: სიტყვა-სიტყვით მას არც ერთი ნაწარმოები არ უთარგმნია, მეტიც: ზოგი რამ ისე გაუთავისებურებია, რომ დედნის ძიებაში მკვლევარი იკარგება!

ცალკეული განხილვა ამა თუ იმ ნაწარმოებისა უფრო ცხად ჰყოფს ჩვენს მოსაზრებას. გავეცნოთ დამოუკიდებლად თვითეულ მათგანს. განსაზღვრული მოსაზრებით უწინარეს ყოვლისა შევეხოთ „იოსებ-ზილიხანიანს“.

„იოსებ-ზილიხანიანი“ რუმინტიული პოემაა, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურაში (განსაკუთრებით სპარსულ-თურქულ-ქართულში) დიდი ინტერესი გამოუწვევია. სპარსულ ლიტერატურის ისტორიაში ის წარმოდგენილია მრავალი პოეტის შემოქმედებაში. იოსების და ზილიხანიის სიყვარულის და ურთიერთობის ამბავი მოცემულია დაბადებაში (თავი მე-14) და შეადგენს ყრანის ერთს სურას (111 ლექსი აქვს დათმობილი).

მოთხრობა აგებულია ებრაულ გადმოცემის ჩონჩხზე; არის მოსაზრება<sup>1)</sup>, რომ ფაქტიურ ამბავს ადგილი ჰქონდა ეგვიპტეში თუმამს III-ის ეპოქაში, ე. ი. 37 საუკუნის წინად. იოსებს იცნობს ძველი გადმოცემა, მაგრამ ზილიხანის სახელი ნახსენები არ არის არც დაბადებაში და არც ყრანში. დაბადებაში ის ნახსენებია, როგორც ფუთიფარის მეუღლე. ინტერესს მოკლებული არ არის აღვნიშნოთ, რომ ყოფ. წერაკითხვის № 1508 ხელნაწერს შეუნახავს ფუთიფარის სახელი: ამ ხელნაწერის პირველ გვერდზე მოთავსებულია სიუჟეტური ხასიათის ილუსტრაცია, სახელდობრ — იოსები უარყოფს ზილიხანს სიყვარულს, ის გაურბის ქალს, ეს უკანასკნელი კი მისდევს, — რომელსაც სამს ენაზე აქვს ქვეწარწერა:

<sup>1)</sup> იხ. მოჰამად ალი-ხან-თარბათი, ყურანლი „თაალიმ ვე თერბიეთ“ № 5—6.

1. იოსებ. ზილიხა. (ქართ.).

2. Iosephus aufugit Potipharis uxorem (ლათინურად=იოსები გაურბის პოტიფარის ცოლს).

3. Ioseph entflieht dem Weib des Potiphars (გერმანულად იმასვე ნიშნავს).

სხვადასხვა ავტორებს მისი სახელი გადმოცემული აქვთ ასე: რაყილი, ზოლნიხჰ, ზოლნიხა და სხვ.

ჰიჯრის მე-4 საუკუნეში (ქრისტიანული ერით მე-10) იოსების ამბავი ძალიან იყო გავრცელებული სპარსეთში, ხალხსაც დიდად მოსწონდა; აღბად ამით აიხსნება, რომ ეს ამბავი ვალექსა სამმა ცნობილმა იმდროინდელმა მწერალმა; ესენი არიან: 1) აბუ-რ-მუყანიბ ბაღხელი, 2) ბაზთიარი და 3) უკვდავი ფირდოუსი; უკანასკნელის „იოსებ-ზილიხანიანი“ გამოცემულია სამჯერ ინდოეთში, ერთხელ თაჰირანში (1882 წ.) და ერთხელ ოქსფორდში (1908 წ.).

სხენებულ სამ მწერალთა შემდეგ „იოსებ-ზილიხანიანი“ გაულებქსავს (დრვლანთ-შაჰ სამარყანდელის ცნობით) ყანაყ ბუხარელს ჰიჯრით 550 წელს<sup>1</sup>. (1155 წ.). მე-15 საუკუნეში ამავე თემაზე წერენ ჯამალი არდანსთანელი (1474 წ.) და მშულანა-ნურ-რულინი-ყაბდღრაჰმან ჯამი (1414—1492); ჯამის „იოსებ-ზილიხანიანი“ გამოცემულია ვენაში 1824 წ., თაბრიზში 1862 წ., ინდოეთში მრავალჯერ და ტაშკენტში 1914 წ. (ლიტოგრაფია იაკოვლევისა).

1) ჰქვე ვათავებთ მარტივ ფორმულებს წლების გადასაყვანად ჰიჯრიდან ქრისტიანულ გრაზე და ქრისტიანულიდან ჰიჯრაზე

$$1. x = (a + 622) - \left( \frac{a}{33} \right)$$

სადაც  $x$  = ქრისტიანული ერის თარიღს, ხოლო  $a$  = ჰიჯრისა.

მაგალითად, თუ ნათქვამია: ჰიჯრის 1299 წ., ეს ქრისტიანული წელთაღ-

$$რიცხვით იქნება  $(1299 + 622) - \left( \frac{1299}{33} \right) = 1882.$$$

$$2. a = (x - 622) + \left( \frac{x - 622}{33} \right),$$

$$\text{მაგ., ქრისტიანული 1882 უდრის } (1882 - 622) + \left( \frac{1882 - 622}{33} \right),$$

გ. ი. ჰიჯრის 1299 წ.

მიხანმეჟონილია ნახევარზე მეტი ნაწილი ერთეულამდე აყვანა.



ინდოეთში, არაბისტანში...). შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ სამი მწერლის—ფრდრუხის, ჯამი და ნაზრჰის შესახებ. უკანასკნელი უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან ის ეპოქალურად არ უდგება თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანს“<sup>1)</sup>.

ფრდრუხი არ არის პირველწყარო თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანისა“ და აი, რატომ.

ფრდრუხის „იოსებ-ზილიხანიანი“ შეიძლება ჩაითვალოს ცნობილ ებრაულ გადმოცემის გალექსვად მთლიანად, დეტალურად, ყოველგვარი განხრების გარეშე, ე. ი. ავტორს იოსების და ზილიხანის ურთიერთობა კი არ აქვს აღებული მთავარ თემად, არამედ უფრო იოსების თავგადასავალი. დაბადების და ყოჩანის გადმოცემას სწორედ ეს მიზანდასახულობა აქვს—გადმოგვცეს იოსების თავგადასავალი, იოსების მაგალითზე დაგვარწმუნოს ღვთის გულკეთილობაში, შორმჭკერტელობაში, თავშეკავების უპირატესობაში და სხვ. რომანის მომენტი არ აინტერესებთ გადმოცემაში რელიგიის ქურუმთ, ყოველ შემთხვევაში რომანი არ არის მიზანი თხრობისა. ახვეე იქცევა ფრდრუხი: მას გაუღმქსაფს თავიდან ბოლომდე ის, რაც რელიგიურ გადმოცემაში აღმოუჩენია. რა საკვირველია, ჩვენ არ შეუძლებით იმის შტკიცებას, რომ ფრდრუხის ამ შემთხვევაში რელიგიური მოტივები უფრო ამოძრავებდენ, ვიდრე რომანის, სიყვარულის მომენტები, მაგრამ უდავოა კია, რომ მისმა ნაწარმოებმა სასულიერო პოეზიის სახე მიიღო. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ავტორი დეტალურად აგვიწერს იაკობის და ლავანის ურთიერთობას, იაკობის სიყვარულს რახილისადმი, იოსების სიზმარს, იოსების მოთქმას რახილის სასაფლაოზე, იოსების მისიონერულ როლს ეგვიპტეში, ძმების და მამის შეხვედრას იოსებთან ეგვიპტეში, ზილიხანის მოქცევას „ქეშმარიტ სარწმუნოებისადმი“ და სხვ. ერთის სიტყვით, ავტორი ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცემს იმას, რაც აინტერესებდა რელიგიას.

სულ სხვა მიდგომა აქვს თეიმურაზს. მისი ყურადღების ცენტრო გადატანილია არა იოსების თავგადასავალზე, არამედ იოსების და ზილიხანს რომანტიულ ურთიერთობაზე. თეიმურაზს ავიწყდება, თიქოჲს, რომ მის წინ ბიბლურ სიუჟეტი ძვეს, რომელსაც მხო-

<sup>1)</sup> ნაზიმის ხსენებული რომანტიული პოემა დაუწერია 1648 წ. (იხ. ზეით) ხოლო თეიმურაზს—არა უგვიანეს 1634 წლისა (იხ. ა. ჩეხლიძე, II, გვ. 227-28).



ლოდ პოეტური სხეული უნდა შეასხას, რომელიც თავისი რელიგიური გაქვინთილობის გარდა ათვისებისთვისაც მოწინააღმდეგე უნდა შეიქნას. მართალია, აქა-იქ სულის საკითხი შეაძრწუნებს, დააფრთხობს, ხოლმე, მას და წამოიძახებს:

„შენ მომიტევენ სიტყვანი უქმი, არ ნაყოფიანი,  
რომელმან ცვრითა უწვიმე და დარი მიეც მზიანი,  
ცოდვასა ზედან სულგრძელობ, შერისხვა იცი გვიანი,  
ვამე, ცუდისა ლაყბითა, თუ სული დავაზიანი?“  
(310)

ან კიდევ:

„მათს საჭმესა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს—დაბადება,  
სპარსთ გალექსეს ტკბილად რამე, რა ბრაღია ჩალაგება!  
რაც მათ ეთქვა, მე ის ვთარგმნე, ხოტბა იყო, თუ ლაყბება,  
არას მარგებს საუკუნოს, ვამე, სული მებრალება!“  
(308).

შეგრამ ეს უფრო თავჩაქინდრული ბოდიშის მოხდაა და სხვა პრაფერი. კიდევ მეტი: აქ მელავნდება, რომ თეიმურაზს ჰქონდა საშუალება, შესაძლებლობა სარწმუნოებრივი ელფერი მიეცა ნაწარმოებისთვის, მაგრამ ბუნებას ვერ უღალატა—ეროტიკა უფრო მიმზიდველი შეიქმნა მისთვის! და რომ არ „შეურისხდეს“ უშალი, ამ უკანასკნელის თვალის ასახვევად ამბობს, ალბად:

..სპარსთ გალექსეს ტკბილად რამე..

რაც მათ ეთქვა, მე ის ვთარგმნე...“—

სხვა საბუთიდან არა ჩანს, რომ „მათ“—გან ეთარგმნოს!!

ფაქტიურად ეს ასეა და თეიმურაზი ქრისტიანის, მართლმორწმუნე ქრისტიანის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, რადესაც ნაწარმოების დასასრულ დეკლარაციას უდგენს თვის უფალს-ღმერთს:

„დასაბამ შენ ხარ, უფალო, დასასრულ არსთა დგომამდი,  
უამ-უკან ქალწულისაგან ჩვენთვის ხორც-შესხმად, მოლამდი,  
წყეულმც არს ნაჯავ, ქალბალა, მაქა. მადინა მოლამდი!  
გადიდო ერთ-ღვთად სამეგბით სულისა აღმოქროლამდი“ (311).

ის, რაც ფრდრუჟის ახასიათებს რელიგიურობის თვალსაზრისით, საესებით გამოტოვებულია თეიმურაზის გადმოცემაში: არც

წარსული იოსებისა, არც იაკობის ვინაობა, არც სიზმარი, არც მისიონერულ-პროპაგანდისტული როლი იოსებისა, (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასეთ ადგილს პოემიდან: იოსები ნებდება ზილისას, „ერთად წოლა გააპირეს“, ზილიხა თავის კერპს ფარდას მიაფარებს, იოსებში ამეტყველდება მართლმორწმუნე და ეუბნება საყვარელს:

„თუ გაქვს, მზეო, სიყვარული ჩემი გულსა დანათესი,  
დაამტვრიენ უსულონი, იცან ღმერთი უკეთესი!  
შენი ვიყო სიკვდილამდის, სიშორითა არ გაკენესი,  
შენ განაგდე ეშმაკთ ზორვა, იგი გწამდეს,  
მოვა მესი“. (218)

არც შედეგები ამ მოღვაწეობისა და სხვა ასეთი რამ. მას გადმოცემიდან მხოლოდ სასიყვარულო ამბავი ამოულია და ის გაუღექსავს.

მაგრამ, იქნებ, ფირდრუსიდან ამოიღო, ამოგლიჯა მან ეს ნაწილი? რომ ეს ასე არ არის, გვარწმუნებს შემდეგი მოსაზრებანი:

- 1) თეიმურაზით ზილიხა არის მისრეთის მეფის (კოლი, ფირდრუსით—პირველი ვეზირის (რეგენტის).
- 2) თეიმურაზით ზილიხა სიზმარში ხედავს იოსებს, ფირდრუსის არავითარ სიზმარზე არ აქვს ლაპარაკი.
- 3) თეიმურაზით ზილიხა იოსებთან აგზავნის გრძობათა გასამკლავებლად თვის გამზდელს; ფირდრუსით ზილიხას და იოსებს უშუალო მოლაპარაკება (ახსნა-განმარტება). აქეთ ურთიერთ შორის.
- 4) თეიმურაზით მეფე რომ შეესწრება ზილიხას და იოსებს საწოლ ოთახში, ზილიხა ცილს დასწამებს იოსებს:

„...მთერალი სითმე შემოიქრა, სიტყვით ვერა დავამშვიდი,  
ჩემთან ჯდომა მოინდობა, გავგულისდი, წავეკიდი“-ო (223),

„თავი ხელთა არა კქონდა, თურმე ღვინოს გავხელა,  
იგ ეძებდა დასაწვაედ—კერპი უნდა მოესვლა,  
საყელონი დავაგლიჯე, გამდელიცა მოგვეფერა,  
შუღლი გვქონდა, თქვენც მოგვესწარ, თქვენმა მოსვლამ  
გავაშველა“-ო (224);

ფნრდრუსით ეს ამბავი გადმოცემული არ არის და ზილინა აბრალებს იოსებს მხოლოდ მოჯადოების, თილისნის შეყრის სურვილს.

5) ფნრდრუსით ვაქრები იოსებს გაყიდვის წინ აბანავენ ნილოსში; თეიმურაზს ამის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი.

6) თეიმურაზით იოსები უნახავად შეუყვარდება იამანის ქვეყნის მეფე-ქალს ბაზიყას —

„ზორიდაღმე ბაზიყაცა მისთვის ხელად მისრულიყო“ (152), თვით მიდის მისრეთს, ამცნობს ზილიხას გულის ტკივილს:

„მისთვის ხელი გამოვჭრილვარ, მისი ნახვა გამეგულა,  
ვით დამეთმო ცეცხლთა დება, ანუ ვითმცა დამელულა“-ო  
(168)

ეუბნება ის ზილიხას; ზილიხა გრძნობს ბაზიყას სევდას, მაგრამ, თვით ტყვე-ქმნილი, ვერ დაუთმობს იოსებს და ასეთი სიტყვებით გაისტუმრებს ბაზიყას:

„უწყის ღმერთმან, გვრე მიყვარ: ან და იყო, ან ასული.  
მართლად ვითბრობ, ვიცი, გაწყენ: ცუდ მაშვრალად ხარ  
მოსული!

„შუქი მზისა დამიძვირდა—ვარდი მით ვარ დანასული,  
მე არ მომხვდა, შენ ვით მაგცე სულისაგან უფრო სული?!“ (179);  
ბაზიყას ამის შემდეგ არა დარჩენია რა, ეძლევა უსაზღვრო ტანჯვა-მწუხარებას, და ბოლოს

„მოკვდა ბაზიყა გარჯილი მიჯნურობისა სენითა,  
სრულად მისრეთი ტიროდა, თქვეს: „ცოდვით ავიესენითა“ (191);

არაფერი ამის მსგავსი ფნრდრუსის არ აქვს. ამ გარემოებას, ჩვენის აზრით, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, თუ თეიმურაზი ფნრდრუსიდან მომდინარეობს, მას არ შეეძლო ასეთი ფნრდრუსისთვის უცხო ეპიზოდი ჩაერთო ისე-დაც შემოკლებულ „თარგმანში“.

7) ფნრდრუსით იოსები საპყრობილეში (ციხეში) მიათავსეს; თეიმურაზით იოსებს მეფე აზიზი ორმოში ჩაუშვებს.

8) ფრდრუხსით მისრეთის ქალები ორჯერ უწყობენ ზილიხას და იოსებს შეთქმულებას მათი განთვისების მიზნით; თეიმურაზის რედაქციამ არ იცის ამის მსგავსი არაფერი.

9) ფრდრუხსით ზილიხას და მის ქმარს (პირველ ვეზირს, რეგენტს) აძევებენ სამეფოდან; თეიმურაზის რედაქციამ არც ეს იცის (თეიმურაზით ხომ ზილიხა თვით მეფის ცოლი იყო!).

10) თეიმურაზი იოსების და ზილიხას ურთიერთობას, და საერთოდ რომანის სიუჟეტს ამთავრებს იმით, რომ იოსები გამეფდება, შეერთავს ზილიხას, მათ ეყოლებათ შვილები, ბოლოს დატოვებენ აქაურობას—

„ოთხი ძე მიხვდა უებრო, ოთხი მნათობნი ასული...

„აწ გარდავლს მათ მნათობთა ენასა ვით ვათქმევინო?

იგ ზარიფი ბროლი ტანი მიწას ვითა ჩაეაწვინო?

მათ ნარგინთა მოცინართა მტვერი ვითა გარდვადინო?

იგ ყვაიღლი სამოთხისა ვით ჭიან ვყო და ვამლიღნო“ (306—7);

ფრდრუხსით ფარაონის გარდაცვალების შემდეგ მრავალი რამ არის მოთხრობილი (ძმების მოსვლა ეგვიპტეს, მამის მოსვლა, ზილიხას მოქცევა, ზილიხას გაახალგაზრდაება, იაკობის სიკვდილი და დასაფლავება და სხვა).

მხოლოდ ამის ოდნავ გამოხმაურებასღა უნდა ჰქონდეს ადგილი თეიმურაზის ვარიანტში: მას შემდეგ, რაც იოსები გავეზირდა, გახდა ქალაქის ბატონ-პატრონი, თეიმურაზი არაჩვეულებრივად ამოკლებს ამზავს ისრაელების—და მათ შორის იაკობის—მისრეთს მისელისა და ამბობს:

„რალს ვაგრძელებ სიტყვათა, სჯობს რამე შემოკლებითა:

იგი ქალაქი სიემილსა მორჩეს უფლისა ნებითა,  
აივსო სრულად ქალაქი ისრაელთ ბანაკებითა,  
იაკობ ძე გასყიდული ნახა, აივსო შვეებითა“

(261.)

ამრიგად ირკვევა, რომ ფრდრუხსის და თეიმურაზის რედაქციებს ერთი მეორესთან არაფერი აქვთ საერთო გარდა ძირეული

სიუჟეტისა; მისი გაშლა, დამუშავება, სოფლმხედველობა, მიზანდასახულობა სულ სხვა გვარი აქვთ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო უნდა დაგადგინოთ, რომ თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“ არ არის ფიქტურული „იოსებ-ზილიხანიანი“ არამც თუ თარგმანი, არც გადმოკეთება, გათავისებურება<sup>1)</sup>.

არც ჯამიდან გადმოუღია თეიმურაზს ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო ნაწარმოები. ამის მტკიცების საშუალებას გვაძლევს შემდეგი მოსაზრებანი.

ზოგადი თვალსაზრისი ჯამის ნაწარმოებისა თითქმის იგივეა, რაც ფიქტურული, ე. ი. სარწმუნოებრივი გადმოცემის გაღვევსა; თეიმურაზი კი, როგორც უკვე ვიცით, უფრო რომანტიკით არის გატაცებული. აქვე აღვნიშნოთ სხვაობის მომენტები:

1) ჯამის საკმაოდ ვრცლად აქვს აწერილი იოსების გენეალოგია; თეიმურაზი ორიოდვე სიტყვით იხსენიებს ამას:

„მამათმთავარსა იაკობს ძე ჰყვანდა ათორმეტები.

ორნი ცოლნი ჰყვეს: უფროსსა თვალნი აქვს მრულად მჭვრეტები, უმცროსსა ერქვა რაქაელ, შვენებით მეტის-მეტები,

მოსე მოგვითხრობს, რომელსა უძლოდა ნათლის სვეტები“ (30)

„რაქაელ უშვა ორი ძე: იოსებ, ბენიამენი;

იოსებს ვიტყვი, თუ ვაქო, ყველამ დამეცით ამენი“... (31);

ამით ამოიწურება იოსების ჩამომავლობის ამბავი.

2) ჯამის აწერილი აქვს აგრედვე ზილიხას ქალიშვილობა, მისი მამა და მამის სამეფო კარი; თეიმურაზი ამის შესახებ არასამბობს; ის წარმოგვიდგენს ზილიხას უკვე ცოლად აზიზ მისრელ მეფისა.

3) ჯამით ზილიხა ქალიშვილობაშივე ხედავს სიზმარში უცნობ, წარბატიც სილამაზის ვაჟს; მესამედ ხილვის დროს ქალის დაჟინებითი კითხვაზე ვაჟი-ეუზნება: „მე ვარ დიდი ვეზირი ეგვიპტისა; ესარგებლობ მეფის ნდობით, ყურადღებით და ფუფუნებით; იქ მოდი, ეგვიპტეში, თუ გინდა შემეყარო“-ო; თეიმურაზი თავისებურად გადმოგვცემს ზილიხას სიზმარს: ის ხედავს (ერთხელ) იოსებს.

1) წერილის ხასიათი საშუალებას არ იძლევა, რომ აღძრულ საკითხს უფრო დეტალურად შევხვით.

სიზმარში უკვე აზიზის ცოლობაში; ნაწარმოების კომპოზიციით ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თეიმურაზს გამოტოვებული აქვს როგორც იოსების გენეალოგია, ისე ზილიხას ქალიშვილობა—პირველადვე ის მას გვაცნობს, როგორც აზიზის ცოლს.

4) ამასთან დაკავშირებულია მეორე გარემოებაც: ჯამი დეტალურად აგვიწერს, თუ როგორ გახდა ზილიხა მისრეთის პირველი ვეზირის ანუ რეკენტის ცოლი: როგორც დაეინახეთ, ქალს ზმანება მოუწოდებს ეგვიპტეში; ის აენთება ამ სურვილით და უცნობი ვაჟისადმი სიყვარულით; მამასთან მოდიან სხვადასხვა ქვეყნის მეფეთა და მათი შვილების მოცაქულნი ზილიხას ხელის სათხოვნელად; ქალი ყველას უარს ეუბნება და უმედავენებს მამას, რომ, თუ მისი გათხოვება უნდა, გაჰყვება მხოლოდ ეგვიპტეს პირველ ვეზირს; მეფე-მამა აცნობებს ქალის სურვილს ეგვიპტეს პირველ ვეზირს; ეს უკანასკნელი აღტაცებულია წინადადებით; ზილიხას დიდის ამბით გააგზავნიან ეგვიპტეში; ქალი მოუთმენლად მოელის საქმროს ნახვას; გამდელის საშუალებით ჩუმად ნახავს მას, მაგრამ დაადგენს, რომ ეს ის არ არის, ვინც სიზმარში ნახა; ტანჯვას და მწუხარებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ ფარული ხმა ანგელოზისა არწმუნებს მას, რომ ის უნდა გაჰყვეს ამ ვეზირს, თუ უნდა, რომ შეეყაროს სიზმარში ნახულ ვაჟს; ზილიხაც თანხმდება მით უფრო, რომ იგივე ხმა აჯერებს, რომ ვეზირი ვერ წაართმევს მას ქალწულობას; ზილიხა მოუთმენელ მოლოდინშია: ამ დროს მისრეთში მოიყვანენ გასასყიდად იოსებს...

თეიმურაზით ეს საინტერესო ეპიზოდი სრულიად გამოტოვებულია: ზილიხა მეფე აზიზის ცოლია, სიზმარში ნახავს ვაჟს, შეუყვარდება ის, მიეცემა სევდას, მაგრამ მაღე იოსებს ჩამოიყვანენ და

„ზილიხან სიხარულითა, ვითა უცნობო, რეტობდა,  
სიზმარში მისგან ნახულსა არც აკლდა, არცა  
მეტობდა.

სულსა და გულსა ცნობითურთ მისთვის უხვობით მეტობდა,  
იოსებ სირცხვილისაგან, ვით ია, თავსა მღრეკობდა“ (84)

„მეფე იოსებს ზილიხანს გაუდღებდა, უდებდა,  
მაგრამ მას მჯესა მის ყმისა სურვილი ცეცხლსა უდებდა,  
ნახვისა სიხარულითა თავსა იმედსა უდებდა,  
გული ლახვრითა დაქრასა შავთა წამწამთა უდებდა“ (85).

5) თეიმურაზით იოსები სიზმარში ნარინჯს აძლევს ზილისას; ჯამის გადმოცემაში ნარინჯის ხსენებაც არ არის.

6) ჯამით იაკობი შვილებს დავაჯვაცებისას კვერთხად აძლევდა შერჩეული ხის ტოტს, მაგრამ იოსებს უკეთესი კვერთხი უნდა, რომ „ძმებთან თამაშობის და ქილაობის დროს გამარჯვება მიანიჭოს“; მართლაც, ასეთს კვერთხს იაკობის ლოცვა-ხვეწნით მოიტანს მიქელ-გაბრიელი, ღვთის მოციქული, რომელიც ამბობს, რომ „ეს კვერთხი იოსებს ოდესმე დასაყრდენ ყავარჯნად გამოადგება სამეფო ტახტის გასამაგრებლად“—ო; არაფერი ამის მსგავსი თეიმურაზს არ აქვს ნათქვამი, თუმცა ქრისტიანული მოტივაციის თვალსაზრისით მას შეეძლო გამოეყენებია ეს ეპიზოდი.

7) ჯამის არ ავიწყდება ყორან-დაბადების გადმოცემა, რომ იოსებმა ზმანებითი ხასიათის სიზმარი ნახა—ჰისი თაყვანისსაცემლად მოვიდნენ მზე, მთვარე და 11 ვარსკვლავი; ამ სიზმრის ახსნა-განმარტებამ და გამკლავებამ საბედისწერო როლი ითამაშა იოსების ცხოვრებაში. თეიმურაზის ვარიანტი ღუმელით ჩაუვლის ამას. ვიმეორებთ, გამოყენება კი შეეძლო...

8) ჯამით ძმებმა რომ იოსები გაწირეს, ჩააგდეს იგი ორმოში, მაგრამ ღვთის განგებით იოსები ჩამოჯდება ქის კედლიდან გამოშვებულ ქვაზე და ამ რიგად გადაარჩება აუცილებელ დალუპვას; თეიმურაზს ეს ამბავი სრულიადაც არ აინტერესებს და ასე შეკუმშივით გადმოგვცემს მას:

„მათ გააშიშვლეს საკვლავად, ყელის გამოჭრას ლამოდეს, განგება იყო მალლისა—უწყალოთ შეეწყალოდეს, ორმო იპოვეს, ქას ჰგვანდა, შიგ დგომილ იყო წყალ ოდეს, მაშევ ჩააგდეს მნათობი, შუქი ქვე/დაემალოდეს“ (39).

9) ჯამის ერთი დეტალიც აქვს შემონახული ძმების ვერაგობის დასახსიათებლად: ისინი შორი-ახლო სდარაჯობენ ორმოს; როდესაც დაინახეს, რომ ქარავანმა ამოიყვანა იოსები და თან მიყავს; დაედევნებთან და ქარავანბაშს მიჰყიდთან უკვე სასიკვდილოდ განწირულ ძმას; თეიმურაზს არ აქვს გადმოცემული ეს ეპიზოდი.

10) საყურადღებო სხვაობას აქვს ადგილი ჯამისა და თეიმურაზის ვერსიებში: პირველით ზილაზა არის მისრეთის მეფის



(ფარაონის) პირველი ვეზირის ცოლი, ხოლო თეიმურაზით თვით მეფის—აზიზის—ცოლი.

11) თავისებურად აქვთ გადმოცემული ჯამის და თეიმურაზს იოსების ყიდვის ამბავი: ჯამით იოსები გამოყავთ მოედანზე, მის ირგვლივ გროვდება ბრბო (ყიდვის მსურველებს), მაგრამ ზილიხა ყველასე მეტს გაიღებს; ქმარი (პირველი ვეზირი) წინააღმდეგია ასეთი საფასურის გაღებისა და მოაგონებს ცოლს, რომ ამ ქაბუკის ყიდვა უნდა თვით ფარაონს; ზილიხა აჯერებს ქმარს, რათა მან წებართვა აიღოს მეფისგან უშვილობის გამო იოსების შეილად ყიდვისა; მეფე ნებას რთავს და ზილიხა თავისი ქონებიდან ყიდულობს იოსებს; თეიმურაზით ზილიხა ამ საქმეში სრულიად არა ჩანს; იოსებს ყიდულობს თვით მეფე; მოვისმინოთ მისი თხრობა:

„...შემოკრბა სრულად ქალაქი, მოაქვეთ ოქრო და თასები: ყოვლს კაცს უნდოდა სასყიდლად, შულლობდენ ბევრ-ათასები“. (77)

«შვილი არა მყავს, ვიყიდი» —მეფემან ბრძანა—«შვილებად». გარე გაყარნა ვაჭარნი, ბრძანა: «დასცხერით ცილებად, ღმერთმან მე მომცა უებრო, არა მყო გარდავლინებად, წადით, გახსენით საჭურჭლე, მოიღეთ ოქრო მიღებად!» (79). მეფე ბრძანებდა: «ღვთისაგან ეს მომენიჭა ძეობად» ზილიხას უთხრა: «ეს კჳარა ჩვენთვის საღბინოდ, ძეობად» (83).

როგორც ვხედავთ, იოსების ყიდვის ამბავი, მისი მოტივები სულ სხვა და სხვა ნაირად აქვთ გაგებული ჯამის და თეიმურაზს.

12) მშვენიერ მხატვრულ ფერებში აქვს ჯამის წარმოდგენილი იოსების ბანაობა ნილოსში ვაჭართაგან მისი გაყიდვის წინ; ვაჭართვისათ, რომ მშვენიერი იოსების ფასი უქველად აიწევა, თუ მგზავრობისგან დაღლილ-დაქანცულს მას შეასვენებენ, აქმევენ და აბანავენ; ბანაობის შემდეგ იოსებისგან გამომდინარეობს მზისებრი შუქი (ღღე ღრუბლიანი იყო, ცაზე მზე არა ჩანდა); თეიმურაზს არ აქვს ნახსენები ეს დეტალი.

13) ჯამით ბაზიყას უნახავად შორიდგანვე შეუყვარდება იოსები; დააგროვებს იგი უამრავ ქონებას და ჩამოდის მის საყიდლად; შეგვდებიან ერთი-მეორეს; იოსები ეუბნება, რომ მისი (ბაზიყას) ენება დროებითი, გარდამავალია; საჭიროა აღამიანმა მიჰმართოს რაღაც

უფრო ღრმას, ღირსეულს, ე. ი. ერთარსება ღმერთს; ბაზიყა საკმაო ყოყმანის და ბრძოლის შემდეგ დგება სიმართლის გზაზე: ის თავის-უფლდება სიყვარულის ბეჭალებიდან, აგებს ნილოსის ნაპირზე საყდარს და იქ ლოცვებში და ქველმოქმედებაში, საესებით გალატაკებული (ქონება დაურიგა ქერიე-ობლებ-ობრებს) ცხოვრობს აღსასრულამდე. ჯამი აქ, სარგებლობს რა შემთხვევით, გვარიგებს, რომ მივბაძოთ მის (ბაზიყას) მაგალითს, გვარწმუნებს რა, რომ „ამაოება ყოველთა ამაოება არის“, ამ ქვეყნური ყოველივე მართლაც გარდამავალია მით უფრო, როდესაც ცხოვრების მიზნად იხდიან სახეების და ჩვენებათა თაყვანისცემას; ასეთი მრავალია ამ ქვეყნად, მაგრამ სიმშვიდეს აღამიანი ჰპოვებს ნხოლოდ ერთარსება ღვთაებაში და სხვ.;  
თ ე ი მ უ რ ა ზ ი თ კ ი ბაზიყა-იოსების ეპიზოდი სულ სხვა ნაირად არის გადმოცემული: ბაზიყას შორიდგანვე შეუყვარდება იოსები; დააგროვებს დიდძალ ქონებას და ჩამოდის მისრეთს —

„მცნობსა ვისმე მიაბარა მამული და სახლ-კარები...  
იოსების შესაყრელად მისრეთს მივა ნამგზავრები“ (155);  
ნახავს ზილიხანს და გაანდობს თავის გულის ტკივილს—

„მე მიაზბეს—თქვენგან მონა ვისგან რამე მოსყიდულა...  
მისთვის ხელი გამოვკრილვარ, მისი ნახვა გამეგულა“ (168)

„გებეწები: იგ მიჩვენე მისთვის გაკრად მოარულსა,  
სული შოგცე სულთ აქათი, მე შემყარე ტკბილსა სულსა,  
წყალობისა წყალი მიეც გულსა დამწვარ-ღადაგულსა,  
მე გმსახურო სიკვდილამდის, გყავდე მხეველად,—მამეც ყულსა!“  
(169);

ზილიხანს შეებრალვის ბაზიყა, მაგრამ იოსებისადმი ტრფობა და სურვილი იმდენად ძლიერია, რომ ბაზიყას უარით ისტუმრებს:

„უწყის ღმერთმან, ეგრე ნიყვარ: ან და იყო, ან ასული,  
მართლად გითხრობ, ვიცი, გაწყენ: ცუდ მაშერალად ზარ  
მოსულ ი!“

შუქი მზისა დამიძვირდა, ვარდი მით ვარ დანასული;  
მე არ მომხვდა, შენ ვით მოგცე სულისაგან უფრო  
სული ი?“ (179)

უფრო აიტანა ბაზიყამ ასეთი პასუხი და

„დიდხან იყო, ვითა მკედარი, ძლივ მობრუნდა ქალი სრულად,  
შემოიხსნა სამკაული, მას საჭურჭლე მოაქვს სრულად,  
წინ დაუდვა ზილიხანსა, ანგარიში უნდა ნულად,  
ვითა ჰმართებს ხელსა გაქრა, სოფლით მივა კარგ უსულად“.  
(183)

„ტანს ჩაიცვა მსხვილი ჩოხა, თავსა შალი მოიხვია,  
ვით ტყეშალი, სასიკვდილოდ თავი კალთას გაიხვია,  
არ უსმენდა, ვინც რა უთხრა, ერთობ თავი მოიხვია,  
მან აიგონა ბდის ქოხი, შიგან ჩაჯდა, ჩაიხვია“  
(184).

გულდამწვიდებით ვერ უცქირა ზილიხან დატრიალებულ ტრალე-  
დას—

„სიბრალული ბაზიყასი სწევას ზილიხას, ადენს ცრემლსა,  
რქვა იოსებს: «მას საქმელსა შენ მისცემდი ხელით ხელსა!» (188)  
იოსებიც ასრულებს ზილიხას განკარგულებას—

„მივიდოდის, მიუტანდის მისი მკვლელი მისთვის ხელსა,  
შემოხედის რეტად რასმე, გარდიგდებდის საწყლად ყელსა“ (188)  
და ბოლოს, ვერ აიტანა რა ტყვილეების სიმწვავე,  
„მოკვდა ბაზიყა გარჯილი მიჯნურობისა სენითა“ (191).

როგორც ვხედავთ, ჯამის ამ შემთხვევაშიაც სარწმუნოებრივი-  
მოტივები ახელმძღვანელებს, თეიმურაზს კი მხოლოდ ეროტიკა.

14) იოსების მწყემსობის შესახებ, რაზედაც ჯამი მოგვითხრობს,  
არაფერი იცის თეიმურაზმა, ჯამი კი გულდასმით გადმოგვცემს,  
იოსებს სურვილი დაეხადა მწყემსი გამხდარიყო; ზილიხა თავს არ  
ზოგავს, რომ სურვილი შეუსრულოს და მოაწყოს მისი მწყემსობა ისე,  
როგორც შეშვენის წინასწარმეტყველთ (მუსულმანური გადმოცემით:  
ხომ წინასწარმეტყველნი მწყემსობას ეწეოდენ)...; შეუკვეთს მისთვის  
ოქროს შურღულს, შეუკრებს საუკეთესო ცხვრებს და სხვ.

15) არც იოსების და ზილიხანის რომანიულ ურთიერთობის ამ-  
ბავის გადმოცემაში ემთხვევიან ერთი შეორეს ჯამი და თეიმურაზი:  
ჯამით ზილიხა ხანგრძლივ შეტევას აწარმოებს იოსების მიმართ;  
გამოიყენებს ყოველგვარ საშუალებას; იოსები სულ იმის რწმუნება-  
შია, რომ მათი სიყვარული შეუძლებელია. რატომ?—იოსებს არ აქვს  
ბედი სიყვარულში: სადაც კი განიცადა სიყვარულის ძლივამოსილი

სხავები, ყველგან საპასუხოდ ტანჯვა-წვალება მიიღო (და უხსნის: „მამიდას ვუყვარდი—ძვირფასი სარტყლის ქურდობა დამბრალდა და სათანადო მწუხარება განვიცადე; მამას უსაზომოდ ვუყვარდი—შურის საძიებლად ძმებმა გააწირეს და ყმად გამყიდეს; არც აქ შეიძლება სასიკეთოდ დამთავრდეს ჩასახული გრძნობა—ალბად, უბედურებით დამთავრდება იგი“-ო);

თეიმურაზი კი, თითქოს იჩქარის რომანის ფინალისაკენო და, ზილიხანის ორი-საში შეტევის შემდეგ, ალბობს იოსებს, რომელიც ახლავე მზად არის დანებდეს მას—

„ყმამ შეხედნა, ტკბილად რაზე ეშყი გულსა აუღულდეს,  
—«შიში მკლავს და მერ სირცხვილი, თვარე შენთვის ვით  
არ მსურდეს?»

თავი დამიც მე უღირსად, ეს გაბედვა ვის არ გკვირდეს?!»  
ასე თქვა და მოეხვია, მათი კოცნა სულად ღირ-  
დეს!“ (214).

16) ჯამის სარწმუნოებრივი მიზანდასახულობა შემდეგშიც გამოსკვივის: ზილიხა ავზანის იოსებს მშვენიერ ბაღში, სადაც მის გარეშემო თავს იყრიან არა ნაკლებ მშვენიერი ხაღუმნი; მათ მიცემული აქვთ დევალება, — ალზნებაში მოიყვანონ იოსები და აცთუნონ იგი; მაგრამ იოსები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მათ, როგორც მეორე სქესის წარმომადგენელთ, და დაუწყებს ქადაგებას კერპთა დასაშობად და ერთარსება ღმერთის შესათვისებლად; იოსების პროპაგანდისტული მოღვაწეობა მიზანს აღწევს, და ბაღში შემოსული ზილიხა დაინახავს, რომ იოსების ცთუნების ნაცვლად მის ხაღუმთ კერპები დაუმსხვრევიათ. ეს გარემოება ჩინებულად შეეძლო გამოეყენებია მებრძოლი ქრისტიანიზმის წარმომადგენელს, თეიმურაზს, თუ ის იქნებოდა სარწმუნოებრივი იდეით გამსჭვალული! მას ამის შესახებ არაფერიც არ აქვს ნათქვამი.

17) ზილიხას მიერ საგანგებოდ აგებულ სასახლეში იოსების (ცთუნების ამბავი სულ სხვა და სხვა გვარად აქვთ გადმოცემული ჯამის და თეიმურაზს:

ჯამით იოსები საწოლ ოთახში დაიწყებს ერთარსება ღმერთის იდეის ქადაგებას, ჰგმობს კერპებს და მოუწოდებს ზილიხას გაიზიაროს ქრეშმარიტი სარწმუნოება; ზილიხას დაურჩებისთანავე ის გამოობის ოთახიდან და წააწყდება შინ შემავალ მეუღლეს; ვეზირი შეამჩნევს,

რომ იოსები აღვლევებულია და ჰკითხულობს ამის მიზეზს; იოსები თავს იმართლებს; მაგრამ არ ამხელს ზილიხას; ვეზირი, ეჭვით შეპყრობილი, ზელს დაავლებს იოსებს და შეიყვანს ზილიხასთან; ეს უკანასკნელი ფიქრობს რა, რომ იოსებმა გასცა, ცილის წამებას იწყებს; თეიმურაზით იოსები მხოლოდ გამოაქვამს საკუთარ აზრს, რომ

«თუ გაქვს, მზეო, სიყვარული ჩემი გულსა დანათესი,  
დაამტვრიენ უსულთნი, იცან ღმერთი უქეთესი!» (218);

ამას მოსდევს გადმოცემა, რომ მოულოდნელად მეფე მოადგება იმ ოთახს, სადაც სალალობლად ემზადებოდენ იოსები და ზილიხა—

«იქ მეფე შევა საწოლსა, აქ ამით ჰქონდათ ცილობა» (219),  
ზილიხა; რა საკვირველია, შეაწუხა შექმნილმა გარემოებამ—  
«ზილიხანს ლაწვი-ყაყაჩო თეთრ ვარდად გარდაქცეოდა,  
გაყრისა წყენა მიჯნურთა მეფისა შიშსა მძლეობდა;  
ყმასა პერანგის საყელო კიდებაშიგან ხეოდა,  
იგ ქალმან ქმარსა მიართვა, თქვა—«გამიკითხე, მეო-და!» (222)

და აბეზლებს ქმართან, რომ იოსებს უნდოდა მისი გაუპატიურება. როგორც ვხედავთ, გადმოცემა სულ სხვა და სხვა გვიარია.

18) ამ ამბავს მოსდევს სამ-თვიან ბავშვის მოწმობა;

ჯამით ზილიხას გამზდელს ჰყავდა სამი თვის ბავში; მოულოდნელად ბავშმა ენა აიდგა და განაცხადა: «ვეზირო, იყავ მართებული იოსების მიმართ: თუ იოსებს პერანგი წინიდან აქვს გახეული, დამნაშავე იოსებია, თუ კი პერანგი ზურგიდანაა გახეული; დამნაშავე უეჭველად ზილიხანია; ისე კი, იოსები მართალია»—ო; ეს ეპიზოდი თეიმურაზს ასე მარტივად აქვს გადმოცემული.

«დიაცს ვისმე გამოყვანდა შეილი-წული სამის თვისა,  
ყმამან თქვა, თუ—«ჩვენი საქმე მაგას ჰკითხეთ, მაგან ოქვისა»;  
ჰკითხეს: «გვეთხარ, თქვი მართალი—ვის აქვს ბრალი საქმის  
ქნისა?»

თქვა: «იოსებ უბრალოა, უსამართლოდ დანათქმისა». (230).

19) ჯამის მიხედვით შერცხვენილი ზილიხა, ცდილობს რეაბილიტაციას; ამ მიზნით ის იწვევს მისრეთის წარჩინებულთა ცოლებს, უჩვენებს მათ იოსებს, რათა დაარწმუნოს ამ უკანასკნელის სიმშვე-

ნიერეში, ბანოვანი ალტაცებაში მოდიან, გაშტერებულნი ხელებსაც კი იჭრიან ხილის თლის დროს და ერწმუნებიან ზილიხას, რომ მართლაც გასაგებია ასეთი მშვენიერებისთვის; გახელებაო; თეიმურაზის ეს ეპიზოდი თავისებურად აქვს გადმოცემული: იოსებისგან პირველივე დაურჩების შემდეგ აწერილია მეჯლისი მეფის სასახლეში; მეჯლისის დამთავრების შემდეგ

„დახალვათდეს დარჩეულნი, სხვანი კარში გამოყარეს“ (128). ზილიხა ახლობელ ქალთა წრეშია; ამ დროს

„ერთმან ვინმე სამიჯნურო ლექსი ჩანგხედ დაამღერა“ (129); ზილიხაზე ცუდად იმოქმედა მიჯნურობის მოგონებამ და ქვითინი დაიწყო; ქალები ცდილობენ გაიგონ ტირილის მიზეზი და, ეჭვით იციან რა ზილიხას გამიჯნურება, ეუბნებიან მას:

„ბრალია, რომ შენ გძრახვიდენ, კარგ-სახელი გაგეცალოს“-ო (132). ამის საპასუხოდ ზილიხა ეუბნება მათ:

„მოვიყვანო იგი მოყმე ჩემსა წინა სამსახურად,  
თქვენცა ნახეთ, ვინ შემიქნა გული ჭირთა დასადგმურად“-ო (137)

და მოაყვანიებს იოსებს; ქალები რწმუნდებიან, რომ ასეთი სილამაზით მართლაც შეიძლება გატაცება და სხვ.

ამგვარად, თეიმურაზის ეს ეპიზოდი შემთხვევითი ხასიათისაა და მომხდარი გაბაასებასთან დაკავშირებულ რეაბილიტაციას არ ისახავს მიზნად.

20) ჯამით ბავშვის განაჩენმა გაამართლა იოსები; ის თავისუფალია, მხოლოდ ვეზირი სთხოვს, რომ არ გაამხილოს მომხდარი ამბავი; ზილიხა კვლავ ცდილობს იოსებთან ვნების დაშრეტას, მაგრამ იოსები ურყევია; გაბრაზებული ქალი ქმარს სთხოვს, რომ შეუტაცხოფის მომყენებელი და ქვეყნად თავის მომჭრელი იოსები დააპატიმროს; ქმარი უსრულებს ზილიხას სურვილს; თეიმურაზით, ნიუხედავად ბავშვის მოწმობისა, იოსებს მყისვე ათავსებენ ორმოში (ჯამით ციხეში); ასე, 230 სტროფს, სადაც აწერილია ბავშვის მოწმობა, მოსდევს შემდეგი:

„გაუკვირდათ, ვისმცა ესმა ჯერ უნო ენიანად,  
სასწაულმაც ვერა არგო, ბედი ჰქონდა სენიანად,  
იგ ჩაავდეს ორმოშიგან გესლიანსა გველიანად,  
ძალი ღვთისა მას მართალსა ჰუარავს მარგედ, შველიანად.“ (231).

21) იოსების დატყვევების შემდეგ ზილიხა სევდა-მწუხარებას ვძლევა, მაგრამ თეიმურაზს ეს ძალიან მარტივად და მკრთალად აქვს წარმოდგენილი—ზილიხა ამბობს:

«მე მოვრჩი და იგი მოვკალ, შემეშინა დიაცურად—  
—ედებოლა ცეცხლი ცხელი, გახდა ცრემლში გასაცურად—  
«სოფელი და ბედი კრული მე აღმიდგეს მეტად შურად,  
იგ ზის მიწას სასიკვდილოდ, მე ვით ვლახო მოარულად?» (235),

„იგლოვს და მოთქვამს ხმა-მალა, ვით იაღონი ყიოდეს,  
იგ ძოწის ფერნი წყარონი არღავანს გამოსდიოდეს.  
«ბროლისა მსგავსი ხელ-ფეხნი, ვა, თუ რკინაში გტკიოდეს!—  
ბნელმან დაგფარა ნათელი, ალვა მიწასა სდიოდეს!» (236);

ჯამი კი საგანგებო ყურადღებით ჩქცევა ზილიხას განცდებს, კვალ-და-კვალ ნიჰყვება მას: ზილიხას თავისი სასახლე იოსების ციხეზე საშინლად ეჩვენება; სასოწარკვეთილებას ეძლევა, შემოიხევეს ტანსაცმელს, ტუტა-ნაცარს იყრის, თავზე; დაიწყო კენობა-ზრობა; უბეში ჩაიდებს იოსების ტანსაცმელს, ყელზე შემოირტყამს მის ქამარს, ჰკოცნის მის ფეხსაცმელს; გამზდელი არიგებს: „შენ ამ დღეში შენი მოუთმენლობით ჩავარდი; შენი გადარჩენა კვლავ მხოლოდ მოთმენას შეუძლია“-ო; ზილიხას მიყავს გამზდელი ციხეში იოსების სანახავად; დაინახავს მლოცველ იოსებს, თავს ვერ იკავებს და ეხვეწება, რომ დაშრიტოს მისი ვენების წყურვილი, მაგრამ იოსები აქაც ურყევია; ზილიხა მაინც განაგრძობს იოსების ნახვას ღამ-ღამობით, და „მისი ციხე უფრო მიმზიდველი და საოცნებო შეიქმნა, ვიდრე სხეებისთვის ყვავილოვანი ველ-მინდორნი“; ხშირად უგზავნის ციხეში ტკბილეულობას და დაბრუნებულ მსახურს თვალებს უკოცნის — „ხომ ამ თვალებმა ნახა იოსები“-ო; სასახლის ბანიდან გამუდმებით უცქერის იმ ციხეს, სადაც მოთავსებულია იოსები; მსახურთ ნაბრძანები აქვთ, რომ სანამ დავლაპარაკებოდენ მას, ხელით შეარხიონ, რათა გონს მოვიდეს—ისე გარყინებულია ზილიხა; დასასრულ ქალს სისხლს გაუღებენ მკურნალობის მიზნით—და „ჩანჩქერი ვით გადმოონთ ხეული სისხლის შხეფი იატაკზე იოსების სახელს გამოხატავს“ და სხვ.

22) მეფის სიზმრის ასახსნელად გამოიყვანენ იოსებს საპყრობილედან. ჯამით იოსები არ თანხმდება გამოსვლაზე, სანამ არ დამ-



ტკიცდება მისი უდანაშაულობა; მეფე მოიწვევს ეგვიპტის ბანოვანთ, მათ შორის ზილიხასაც; ბანოვანნი აღასტურებენ, რომ იოსები უმწიკვლოა და არავითარი დანაშაული არ აქვს; ზილიხა ვერ იკავებს თავს და გამოტყდება—აღიარებს თვის დანაშაულს; მეფე ვასცემს განკარგულებას, რომ უდანაშაულო იოსები სათანადო ზემოთ გამოიყვანონ და ჩააბარონ მას სახელმწიფოს მექურქლეთ-უხუცესობა და პირველი ვეზირობა; ზილიხას ქმარი, ყოფილი პირველი ვეზირი, ვერ იტანს გადატანილ შეურაცხყოფას და კვდება. ეს ეპიზოდი სავსებით უგულველყოფილია თეიმურაზის მიერ: იოსების ამოყვანას ის უკავშირებს მეფის ყოფილ მხარეულის და მეღვინეთ-უხუცესის სიზმრების ახსნას; ეს უკანასკნელი მოახსენებს მეფეს:

„თუ ახსნა გინდათ, მას ჰკითხეთ, იგი არის გამოცდილები“  
(250);

ამაზე

„მეფესა ესმა, გაჰკვირდა, თითსა იკბინა კბილითა,  
თქვა: — ვით ცოცხალა აქაღდის, რად არ შექმულა მლილითა?  
უბრალო თურმე გავსაჯე — ცრემლს იწმენდს ხელმანდილითა.  
— ამოიყვანეთ, მომგვარეთ ხვალ აღრე ჩემთან დილითა“ (251)

და

„ამოიყვანეს იოსებ, ვით ვარდი ფერმიხდილები“ და სხვ. (252).

23) სულ სხვა და სხვა ნაირად გადმოგვცემენ ჯამი და თეიმურაზი ამის მომდევნო ამბებს:

ჯამით ქმრის სიკვდილის შემდეგ ზილიხა უფრო მწვავედ განიცდის იოსებისადმი დაუკმაყოფილებელ ვენების წყურვილს; წლების განმავლობაში ტანჯვამ მოხარა, დააბერა და დააქკნო ზილიხა; გაღარიბდა, გაღატაკდა; აიშენა ლერწმის კარავი, შიგ მოთავსდა; ამასობაში დაბრმავდა კიდევაც; მისი კენესა და ტირილი ქონის მიდამოს ტანჯვის მუსიკად ველინებოდა; გზად რომ იოსები გამოივლიდა, ზილიხაც მორთავდა ტირილს და მოთქმას, მაგრამ ვერ კი ხედავდა იოსებს და მასაც არავინ აქცევდა ყურადღებას; ბოლოს ის მიჰპართავს ლოცვით თავის კერას და ითხოვს თვალების ახელას, რადაა შორიდან მაინც უყუროს იოსებს; როდესაც კერპმა ვერ განკურნა, ზილიხა ჰკარავს მისდამი რწმენას, ამსხვრევს მას და ხელ-

ახლად გზად მიმავალ იოსებს მიჰმართავს ერთარსება ღმერთის რწმენით და სახელით; ახლა კი მიაქცევს იოსები ყურადღებას, დაიბარებს თვისთან, გამოიკითხავს მის ვინაობას; „მე ის ვარ, ვინაც შენ ამოგარჩიე ყველა ადამიანებში დედამიწის ზურგზე; მე ის ვარ, ვინაც მთელი განძი ძვირფასეულობისა შენ შემოგახარჯე—ვინც კი სიტყვას შეტყობდა შენზე, ოქროთი ვაჯილდოვებდი; მე ის ვარ, ვინაც ქარს გაატანა თვისი სიჯგევე და სილამაზე; მაგრამ შენ, აიღე რა ხელთ საქე ქვეყნის მართვისა, დამივიწყე და არ შემიბრალე მე“; იოსები იცნობს ზილისას, ტირილს დაიწყებს და ჰკითხავს, თუ რა ჰსურს, რომ შეუსრულოს; ზილიხა ითხოვს სინათლის და ახალგაზღობის დაბრუნებას; იოსები ღმერთს შეევედრება და ზილიხა ბრმა, ბებერ დედაქაციდან იქცევა 18 წლის ქალწულად უფრო მოზიზღველი სანახაობისა, ვიდრე იყო; ზილიხანს განუახლდა სურვილი, რომ შეირთოს იოსებმა; იოსებს მოსწონს, მაგრამ ყოყმანობს; მაშინ ღვთის მოციქული ამცნობს, რომ ზეტაში უკვე გადაწყვეტილია მათი დაქორწინება; იოსებიც აღტაცებაშია, ჰმართავს ზეიმს; ამიერიდან ცოლქმარი ბედნიერად ცხოვრობენ; ერთხელ ზილიხას უნდოდა ხელიდან გასხლტომოდა მოსიყვარულე ქმარს, უკანასკნელმა აღარ მოინდომა გაშვება და უცაბედად პერანგი გაუხია ცოლს; ზილიხამ მოაგონა, რომ ოდესღაც მანაც გაუხია მას პერანგი—ახლა ისინი თანასწორი არიან სიყვარულში; იოსები აუგებს ზილიხას სალოცავად საგანგებო ტაძარს, რომელიც მორთულა იმით, სამკაულებით და სილამაზით იმ სასახლეს აღემატება, რომელიც ოდესღაც ზილიხამ მისთვის ააგო.

ასე ცხოვრობენ ისინი ლალად, ბედნიერად; ეყოლებათ შვილები და—შვილი-შვილები; ბოლოს იოსები კვდება, 3 დღის შემდეგ ზილიხაც; მას დასაფლავებენ იოსების გვერდით, მაგრამ ბედმა კიდევ ერთხელ დააშორა ზილიხა იოსებს:

ნილოსის გაღმა მხარეს სომ შილობა იყო; სწამდათ, რომ, თუ იოსების საფლავი იქნებოდა ორივე ნაპირიდან თანაბრად დაშორებული, ეგვიპტის მიდამოებში არსად არასოდეს არ იქნებოდა სიმშობობა; ამიტომ ამოიღეს იოსები და ჩაუშვეს ნილოსის შუა გულში—დარჩა ზილიხა საფლავში მარტოდ მარტო...

ასე შდიდრად და მხატვრული ფანტაზიით ამთავრებს ჯანი იოსების და ზილიხას ურთი-ერთობას.

ერთობ მარტივად, ლარიბულად და ბოლოშეკვეცილად გად-მოგვეცემს თ ე ი მ უ რ ა ზ ი მათი უკანასკნელ ამბებს: ვესირები გადა-სწყვეტენ (მეფის სიკვდილის შემდეგ) ტანტზე დასვან იოსები და ცოლად შეპრთონ ზილიხანი:

„იოსებს ესმა, იამა ვეზირთა მონახსენები:

— «მაჲა სიტყვითა განკურნეთ აწ წყლულთა ჩემთა სენები; მე მონა ვიყავ მეფისა, მით წყენა არა მენები, აწ ვით არ მინდეს სამოთხის ბალშია გამოსვენები?»

(277).

შეუთვლიან ზილიხას; ეს უკანასკნელი მგლოვიარეა ქმარზე და ამიტომ უარს ამბობს მისთხოვდეს იოსებს; იოსები თვით შიდის სა-თხოვნელად, მაგრამ ზილიხა მაინც უარზეა; გამზდელი ჩაერევა და ურჩევს ერთი წელიწადი აგლოვებიონ ქმარი; ასეც მოხდება —

„ზრუნვით იყვას წელიწდამდის, მეკდრის საქმეა გააგებდა, ვით ჰფერობდა ხელმწიფესა, სამარხოისა ააგებდა“... (293)

„ქირნი წავიდეს გლოვისა, აწ მოვლენ ქორწილობანი“ (294)

„ვით ჰფერობს მეფეთ ქორწილსა, ყველა ქნეს მათი წესები“ (299);

ბოლოს —

„ოთხი ძე მიხვდა უებრო, ოთხი მნათობნი ასულდ...

ესენი დარჩეს შედევად, იგ სოფლით გაგლენ, გასული“ (306)—

ამთავრებს თეიმურაზი.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზს სულ თავისებური გამუქება აქვს წარმოდგენილი იოსების და ზილიხას ურთიერთობისა.

ყოველივე ზემოდ-მოყვანილი, ვფიქრობთ, დაარწმუნებდა მკითხველს, რომ აზრ ც ფ ი რ დ ო უ ს ი და ა რ ც ჯ ა მ ი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჩაითვალოს თეიმურაზის პირველ წყაროდ<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> კვლავ ვიმეორებთ, რომ შენიშვნების ხასიათი და დანიშნულება არ იძლევა საშუალებას საკითხის უფრო ღრმად განხილვისა. ტექსტუალური დაპირისპირება და შეჯერება უფრო ნათელს ჰყოფდა გარჩეულ ნაწარმოებთა სხვაობას. თუ საშუალება მოგვეცა, საკითხს ამ მხრივდაც გავამუქებთ თავის დროზე.

ამრიგად, თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“ ჯერ-ჯერობით უნდა ჩაითვალოს ცნობილი ბიბლეთური გადმოცემის დამოუკიდებელ რედაქციად, თავისებურ ვარიანტად.

\* \* \*

რადგანაც სტუციამ მოიტანა, გვინდა ორიოდ შენიშვნა მივაწოდოთ მკითხველს „იოსებ-ზილიხანიანი“-ს მეორე ვარიანტის შესახებ. როგორც მკითხველს მოეხსენება, არსებობს „იოსებ-ზილიხანიანი“-ს მეორე, ადრინდელი ვარიანტი, დაახლოებით მე-16-ს. პირველი ნახევარისა; ეს ვარიანტი „განსხვავდება თეიმურაზისეულიდან როგორც ენით, სტილით, ლექსიკით, ისე, ნაწილობრივ, სიუჟეტის დეტალებით“-ეწერდით ჩვენ<sup>1)</sup>. ამას დაეძენდით, რომ „არ არის დადგენილი, თუ რომელი პოეტი (სპარსელი ან თურქი) უთარგმნიათ ან პირველ ვარიანტის (უცნობ) მთარგმნელს, ან თეიმუზ I-ს“-ო (იქვე). თუ თეიმურაზის პირველწყარო მაშინაც და ახლაც დაუდგენელია, ჩვენ დღეს შეგვიძლია უცნობი მთარგმნელის დედანზე მიუთითოთ მკითხველს. სამწუხაროდ, აქ ნება არა გვაქვს ამ საკითხს უფრო დეტალურად ჩავვიღოთ ხელი და ამიტომ იძულებული ვართ ორიოდ მოსაზრება მანც ვაფუზიაროთ დაინტერესებულ მკითხველს. ჩვენ ვადგენთ, რომ უცნობ ავტორს უთარგმნია სახელდობრ ჯამის ვარიანტი „იოსებ-ზილიხანიანი“-სა. (ოდნავი კურიოზი მანც კი არის, რომ ჩვენი პოეტი, ჩვენი მთარგმნელი, დღესაც უცნობად რჩება ჩვენთვის, ხოლო დედნის ავტორი გაპორკვეული იყოს...)/ განვიხილოთ ზოგადად უცნობის და ჯამის ვარიანტის ადგილები (იმ შემთხვევაში, როდესაც ჯამიდან დაგვეჭირდება ისეთი ადგილის მოტანა, რომელიც თეიმურაზისეულთან განხილვის დროს აღვნიშნეთ, აღარ განვიმეორებთ, დაგვამაყოფილებით მხოლოდ მითითებით; ახვე მოსაზრებით გამოსავალ წერტილად გამოვიყენებთ უცნობს და მას შეუდარებთ ჯამის):

1) უცნობის ტექსტი დეფექტურია—აკლია თავში, შუაში აქა-იქ და ბოლოში (ჩვენ მიერ ზუსტად დადგენილია, რომ იმ ნა-

— 1) „იოსებ-ზილიხანიანი“-ს კართული ვერსიები“, ნაწ. I, ტფილისი, 1927 წ., წინასიტყვი კობა.

წილში, რომელიც ხელთაგვაქვს, პოემას აკლია 133 ხანა<sup>1)</sup>); დასასრულის შესახებ ლაპარაკი ძნელია — აბა ვის შეუძლია დაადგინოს ზუსტად, თუ როგორ და სანამ გაავრცელებდა პოეტი თხრობას?! ირკვევა, რომ თვით თხრობის დაწყებამდე უცნობს ზოგადი ხასიათის შესავალი გაუკეთებია — დარჩენილში მოცემულია მოშაირის და მიჯნურის იდეალი (აშკარა გაელენაა შოთასი!), რომანი კი იწყება ზილიხას ქალიშვილობის, მისი ნაშის და კარის აღწერილობით; როგორც ვიცით, ჯამით ამას უსწრებს იოსების გენეალოგია; ეტყობა, ჩვენს მთარგმნელს შეუმოკლებია დედანი; მომდევნო ამბავი ერთნაირად არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ თავისებური შესავალი, როგორც აღმოსავლურ მწერლობის ზოგადი წესი, ჯამისაც აქვს (ჯამის შესავალში მოცემულია: მიმართვა ღვთისადმი, მისი ქება, მოციქულის ქება, სულთან ჰუსეინის განდიდება, სილამაზის რაობა, მიჯნურობის იდეალი და სხვ.).

2) ჯამით ზილიხას მიერ სიზმრის ნახვა იხ. მე-3 მუხ.; უცნობით ტექსტის დაზიანების გამო (აკლია 14 ხანა) მოტანილია მხოლოდ ორჯერ სიზმრად ნახვა; შეწყვეტის შემდეგ ტექსტი იწყება ასე:

„უთხრა: — ათუ მკითხავ, ვინა ვარ, ვიქნები მისრეთს მეფეო, უთიოდ იქ ვიპოვები, სადაცა შენ გინეფეო, თუ ჩემი შეყრა გწადიან, მისრეთსა წაისწრაფეო, ჩვენ ერთმან-ერთსა იქ მივხვდეთ, ტურფათა შენ ხელმწიფეო». (43)

ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ სიუჟეტის განვითარების მსვლელობა ერთი და იგივეა.

3) სიზმარში რომ თვისი ვინაობა გადასცა იოსებმა, ქალი გონს მოვიდა, დაიბარა გამდელი და ეუბნება:

„პატრონმა ჩემმა მამამან სევდანი უკუიყაროს, აწ აღარა ვარ მე შმაგად, ბორკილი გამომიყაროს, მობრძანდეს ჩემდა სახსნელად, ვარდზედა ია მყაროს, ისნივ სამოსნი ჩაშაცვას და შავი ტანთა ამყაროს“. (46)

ასევე აქვს გადმოცემული ჯამის.

<sup>1)</sup> იქვე №. 03.

4) ამ ამბავს მოსდევს ზილიხას ხელის მაძიებელთა ჩამოთვლა; ზილიხა, მოელის რა მისრეთიდან მოციქულთ, ყველას უარს ეუბნება —

„ჩემდა საქმროდ რად მოსულან ჩინელნი და მულთანია?“ (68);  
 „ცუდად მაშვრალნი მოსულან, ვინც ელის ჩემსა თავსაო,  
 თუ მიმცემ მისრეთის მეფეს, თვარ არ შავირ-  
 თაე ქმარსაო“ (69);

ასევე გადმოგვცემს ჯამი — იხ. მე-4 მუხ.

5) ჯამით ზილიხას მსურველთა შორის ნახსენები არიან რუსნი,

უცნობით შამა ეუბნება ასულს:

„შენდა სათხოვრად მოსულან შამნი, ჰალაბნი, რომელნი,  
 საშარყანდნი და ბალხელნი, რუსნი არიან რომელნი“ (67).

6) უცნობით ზილიხა იჩქარის აზიზის ნახვას (უკვე ეგვიპტეშია ჩასული). დაავალებს გამდელს, რომ უჩვენოს საქმრო; გამდელი მიიპარება აზიზის კარაეთან, გასჭრის ჩადრს და იქიდან უჩვენებს ზილიხას თავის საქმროს—

გამდელი:

„სადგომს გარე შამოევლო, ჩადრი გაქრა სანახველად“ (126).  
 და მანვე შემდეგ ზილიხა

„მიიყვანა მას ადგილსა. «წელიან აქათ დავინახე» (128);  
 ზილიხა დარწმუნდება, რომ ეს ის არ არის, ვინც სიზმარში ნახა  
 და ამიტომ ეძლევა უსახლერო მწუხარებას; ზილიხამ:

„შეხედა და დაიძახა: «ეს არალი, მე რომ ვნახე» (128);

„უშნი ქნა და გამობრუნდა, ქარვის ფერა გარდაეცვა,  
 ფერხთა დგომა ველარ გაძლო, წაიქცა და დაცაეცა,  
 სოფელს ამას უძრახვიდა:—«ესე ბედი რა მამეცა?»,  
 მანგის ზურგთა აეკიდა, წამოეღო, არა ეცა“ (129);

ჯამის ასეთივე გადმოცემა აქვს ამ ამბავისა.

7) უცნობი იოსების ამბავს იწყებს მის მიერ ნახულ სიზმრის გადმოცემით (სიზმარი ისევეა აწერილი, როგორც ჯამის მიერ),

ჯამიკი უფრო ვრცლად აგვიწერს იოსების წარსულს (იხ. 1). ირკვევს, რომ უცნობმა მხოლოდ შეამოკლა ჯამის ვრცელი აღწერილობა.

8) უცნობით ძმები ქაში ჩავდებულ იოსებს შორიდან სდარაჯობენ; დაინახვენ თუ არა, რომ ქარავენმა ამოიყვანა იგი დათან მიყავს, დაედევნებიან და ქარავენბაშს მიჰყიდიან უკვე სასიკვდილოდ განწირულ ძმას;

ჯამიც სწორედ ასე გადმოგვცემს ამ დეტალს (იხ. 9).

9) უცნობით ქარავენის მეთაური, მგლქ-ფარუხი; წინადადებას იძლევა, რომ იოსები გაყიდონ ქალაქში:

„მგლქ-ფარუხ, დიდ-ვაჰაჩი. უხუცესი ქარავენისა, მისსა სიტყვას მორჩილობდენ, ურჩი ვერცინ ვერა ქნისა, „რა მივიღეთ ქალაქშიგა“—ამა პირსა დაასკვნისა— „გაყვიდოთო იგი მოყმე, ვინ შევნებით მზეს ავნისა“ (207);

ამბავიც და სახელიც ქარავენბაშისა ასე აქვს ნაჩვენები ჯამის.

10) ჯამით ერთხელ შინ ბრუნდებოდა კუბოში მჯდარი ზილიხა; ის დაინახავს ბრბოს; ეტყვიან, რომ ჰყიდიან ყქასო; ფარდას ახდის კუბოს და დაინახავს იოსებს—იცნობს და გული წაუფავს:

უცნობსაც ასევე აქვს აღწერილი:

„რა მონისგან ესე ესმა, ქეჯაოსა აღმა ზიდა, დაინახა იგი მოყმე—აღვა ნორჩსა ახლა ზდიდა, დაიძახა მეტად დიდი, გვერც მზღებელთა გულსა გზნიდა, საყურებლად აღარ სცალდა, ქეჯაოდამ გარდნიდა“ (226); „დაიძახნა მეტად დიდნი, მერმე დაბნდა იგი მთვარე“... (227).

11) უცნობით ზილიხა ქმრის თანხმობით ყიდულობს იოსებს საკუთარ ქონებიდან, ვითომდა შეილად:

„კვლავე ქალმა მოახსენა (ქმარს):—სიტყვას გაადრებ დანა-  
ყბედსა,  
ღმერთბ არის ჩვენზე წყრომით, ვერა ჰხედავამა ბედსა?  
თქვენ არ იცით, თუ რა ცეცხლი, სხვა აანოობს არ აბედსა?  
იყიდეთ და შეილად გიზღი და ვადიდებ შემოქმედსა“ (237).



„ზილიხამ მამისეულით იყიდა მჩაგრი მთვარისა,  
ასე, რომ შეფისეული მაშიგა არა არისა“ (242);

ასევე აქვს ჯამისაც.

12) ჯამით ზილიხა იოსების ყიდვის შემდეგ უზომოდ ხა-  
რობს და ამბობს, რომ „სათამაშოების სანაცვლოდ ის შეეყარა თა-  
ვის მზეს და სიხარულს“;

უცნობი ზილიხანის ამ დროინდელ განცდებს შვიდ ხანას  
უძღვნის (245—251); განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი:

„მამკალ, თუ ვინმე ჩემს უფრო მზიარულია დღესაო,  
ქვესა და ქიქის სანაცვლოდ შევჭყრივარ ჩემსა  
მზესაო,

თემ-ქვეყნად მეტსა ტურფასა და ჩემსა ხელმწიფესაო,  
თუ ღმერთმა ამას შეწყარა, რას ვაქნევ საქურკლესაო?“ (251).

13) ჯამით იოსები უყვება ზილიხას თავის თავგადასავალს;  
ზილიხა ადგენს, რომ სწორედ იმ მომენტებში, როდესაც იოსებს  
უჭირდა, ის აქ განიცდიდა უაღრეს ტანჯვას და ტკივილგზს. ჯამი  
აქ, სარგებლობს რა შემთხვევით, მოიგონებს, რომ, „როდესაც ლეილამ  
შინ ხელი გაიკაწრა, მაჯუნს ველში ხელიდან სისხლი წასკდა“<sup>1)</sup> და  
აღნიშნავს, რომ „გულიდან გულამდე არის რაღაც იდუმალი გზა, თუ  
კი მათ ერთი მეორე ღრმად და ერთგულად უყვართ“-ო;

ერთდროული ტკივილ-ტანჯვის მომენტში უცნობსაც ისე  
აქვს გადმოცემული—

„რა იოსებ მას უამბო საქმე თავსა გარდასული,  
ის დღე იყო, გარდათვალეს, ზილიხას რომ ჰკლევ-  
და წყლული“ (254),

<sup>1)</sup> უმჯობესია, რომ ამის გამოხატულებად უნდა ვიცნოთ თეიმურაზის  
„ლეილ-მაჯუნნიანი“-ში შემდეგი ადგილი:

...„თქვ:—ავად ვახდა ლეილი, იგ ბროლ-ბადაზში, მინება,  
იქ იმას ხელი გაუსანეს, აქ ჩემმან მკლაქმა ინება,  
რისგან მომეცა პატივი, მისგახვე მომელხინება“ (46);

ეტყობა, რომ თეიმურაზი ჯამის კარგად იცნობდა („იოსებ-ზილიხანიანი“-ს,  
თუ „ლეილ-მაჯუნნიანი“-ს მიხედვით—ეს სულ ერთია).

მხოლოდ ლეილის და მაჯუნის მოგონების ნაცვლად თავისებურ ლირიულ შენიშნვას მაინც უკეთებს—

„ასრე უნდა, ზაალ ხელო, ერთმან ერთის სიყვარული  
სადიღამა სად ანიშნა, ნახე, როგორ დასწვა გული?“ (254).

14) ზილიხას დაქინებებითი თხოვნაზე, რომ მისი სიყვარული ვაი-ზიაროს, უცნობი ავტორი იოსებს ათქმვეინებს;

„როგორცა ძმებმა დამკარგეს მამისა სიყვარულითა,  
ჩამაგდეს ქასა სარჩობლად ცემითა დანაწყლულითა,  
მერმე ვაჟართა მიმყიდეს, საქმე ქნეს არა რჯულითა,  
აწ ვიცო, უარეს მიზამ მაგ საქციელით ცრულითა“  
(370);

ჯამითაც იოსები ასეთსავე პასუხს აძლევს ზილიხას—(იხ. 15).

15) ჯამით გამზდელი ურჩევს ზილიხას ააგოს სასახლე, მობატეინოს სასახლის კედლები თვისი და იოსების ხევენის და ერთად წოლის სურათებით—იოსები თავს ვერ შეიკავებს და დაგნებდება; ზილიხაც ასე იქცევა. ჩვენი უცნობი მთარგმნელი ამასავე გადმოგვცემს, მხოლოდ სასახლის აგების შემდეგ (სასახლე აღწერილია მხატვრულად, დეტალურად—ხანები 428—433) ტექსტი დაზიანებულია—აკლია 56 ხანა, სადაც უნდა ყოფილიყო აღწერილი მომდევნო ამბები ისევე, როგორც ჯამის აქვს. ამის უფლებას ის გვაძლევს, რომ ხარეზის შემდეგ ისეთივე თანამომდევრობით აღწერილია მისრეთის მანდილოსნების ქორები, გამზდელის რჩევა და სხვა, როგორც ეს ჯამის აქვს გადმოცემული; ჯამისებურადვეა აღწერილი მანდილოსნების მოწვევა, მათი ტყვევნა იოსების სიღამაზით, ხელების დაქრა ხილის გათლის დროს და სხვა დეტალები (იხ. 19); ამას ის ერთვს, რომ აქვე ჩვენი ავტორი ზილიხას იოსებთან ციხეში აწერიებს წერილს, სადაც ნათქვამია:

„შენივ ბრალია, ჰე, ლომო: კარზედა მალე იარე,  
ხელი მოჰკიდე აზიხსა და შინავ შამოიარე,  
მგგონა გითქვამს, ხელმწიფე მოვა ჩემზედა მწყრომარე“ (550);  
„შეგშინდი—ორთავ დაგეხოსო—, ვითა დიაცთა წესია,  
ანამცა შენა მოეკალ, ჰკვადა ვარჩიე ესია,  
თუ მე რამ დამიმარცხდების, მისთვინა უარესია,

ქალს მოჰკვლენ, ემას არ უშეებენ, შენც იცი, დანაწესია“ (551) და სხვ.

ეს გარემოება კი ცხადს ჰყოფს, რომ ეს ეპიზოდი მთლიანად ჯამისებურად არას გადმოცემული (იხ. 17).

16) სავსებით ერთნაირად აქვე გადმოცემული ჯამის და უცნობს იოსების ციხეში მოთავსების დეტალები.

17) უცნობსაც და ჯამისაც ერთნაირად აქვე გადმოცემული მეფის სიზმარი და იოსების ციხიდან გამოყვანა იმ განსხვავებით, რომ ჩვენი მთარგმნელი ამოკლებს აშბავს (ეროტიკა აქ ნაკლებია!).

18) პოემის დასასრულიც ორივე შემთხვევაში ერთნაირად მიმდინარეობს: ზილიხას მიერ ლერწმის ქოხის აგება, დაბრმავება ძისი, იოსებისაგან მისი დაკითხვა, დადგენა, რომ ეს მოხუცი ქალი ზილიხანია—

„რა იოსებ მოისმინა, ზილიხასა აუტირდა,  
მისი ასრე მიხდილობა და წახდომა გაუკვირდა,  
ემამ სახელი შეუძახა, წიკცა და აცატირდა,  
დაბნდა, ველარ მოაქციევს, საქმე ასრე გაუჭირდა“ (732);  
და სხვ.

მხოლოდ ჩვენი ტექსტი აღრე წყდება დაზიანების გამო, თუმც ნაწყვეტებად მაინც შემონახული აქვს მთლიანად ჯამისებური მწვეავე ლირიზმით აღსავსე შეძახილი იოსებისა ზილიხასადმი:

[რა უყავ]. . . . და მთვარის არე-მარენი?  
[რა უყავ]. . . . ანუ მხლებელნი არენი?  
რა უყავ ტანი ალვისა, დამჩაგრი არ თუ მდ[არ]ენი?  
რა უყავ ენა შაქრისა, რად შეჰქენ ასრე მწარენი?“ (735);

„ნეტარ, სად არის ის პირი, რომ მზესა ატყვის კლებანი?  
ნეტარ, რა იქნა ინდონი, აღარ აქვს ტბაზე კრებანი?  
ნეტარ, რად შალა ალვამა მისნი რხევითა რებანი?  
ნეტარ, ხარაჯა ვის მისცეს, ვის დართვეს ტურფათ ნებანი?“  
(736).

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ვფიქრობ, უნდა უდავოდ დავადგინოთ, რომ ჩვენი უცნობი მთარგმნელის პროტოტიპი ჯამის „იოსებ—ზილიხანიანი“-ა.<sup>1)</sup>

ახლა კიდევ ორიოდე სიტყვა თეიმურაზისეული და უცნობი მთარგმნელის „იოსებ-ზილიხანიანის“ ურთიერთობათა შესახებ (ამას ვეხები იმდენად, რამდენადაც ჩვენმა კრიტიკამ აქ ოდნავი შეცდომები დაუშვა). ამ მხრივ საგულისხმოა პროფ. კ. კეკელიძის თავისებური მიდგომა საკითხისადმი<sup>2)</sup>.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ვერსიის გადმოცემის დროს ის გარდა შეგნებული ხასიათის შეცთომებისა, მეორე (თეიმურაზისეული) ვერსიას ასაღებს პირველის სახით (დამოუკიდებელი თეიმურაზისეულ „იოსებ-ზილიხანიანი“-ს შინაარსი მას მოკეპული არ აქვს). განვიხილოთ ზოგიერთი შეუსაბამობანი:

1) უცნობის ვერსიას თან დართული აქვს თორმეტი ილუსტრაცია; პროფ. კ. კეკელიძე კი წერს, რომ მასში „თერთმეტამდე სცენა დასურათებულია“-ო; თორმეტსა და თერთმეტს შორის უბრალო შეცთომას ვინ მიაქცევდა ყურადღებას, რომ აქ მართლაც შეცთომასთან გვექონდეს საქმე! საქმე ისაა, რომ: ა) ექვთიმე თაყაიშვილს („Описание... II, გვ. 268) ნათქვამი აქვს: „рисунокъ украшена 11-ю рисунками“ და ბ) კეკელიძემ ეს თერთმეტი „გაათავისებურა“, დამოუკიდებელი კვლევითი ხასიათის მუშაობა აწარმოვა და დაადგინა—„თერთმეტამდე“ სცენა დასურათებულიაო!

2) იოსების „ამბავმა მიასწია სასახლემდეც, ამიტომ ის მაშინვე მეფემ იყიდა და ზილიხას მიაბარა აღსაზრდელად“-ო ამბობს კ. კეკელიძე. აქ არსებითად გადმოცემულია თეიმურაზის ვარიანტი, თუმც მკვლევარი მას ასაღებს უცნობისეულად.

უცნობით იოსებია მისრეთში ჩამოყვანის ამბავი პირველად თვით ზილიხამ გაიგო—

„ზილიხამა ცნა: ჰყიდიან ბაზარშივა ტურფას ყულსა“ (235), მანვე დაინახა იგი პირველად—

„რა მონიდან ესე ესმა, ქეჯაოსა აღმა ზილა,

1) ასეთი მოსაზრება თავის დროზე გაკვირთ გამოთქვა აგრედვე აღ. ბა-რაპიძემ („ანთოლოგია“ II, გვ. 299).

2) „ქართ. ლიტ. ისტორია“, II, გვ. 224—228.

დაინახა იგი მოყმე—ალვა ნორჩსა ახლა ზღიდა“ (226);  
მხოლოდ ამის შემდეგ ითხოვს ქმრისკან მისი ყიღვის ნებართვას;

თეიმურაზით კი, მართლაც, მეფე გაიგებს პირველად იოსების ჩამოყვანას—

„მეფეს აცნობეს—«ვაჰარნი მოვინ-მოვიდეს რებული...  
ცმა აზღავს, ყულსა უძახის, მთვარეა პირ-გავსებული» (71).

ვინ იყიდა იოსებ...?

კ. კეკელიძეს რომ დაუჯეროთ-- თვით მეფემ, სინამდვილეში კი უცნობით ასე წარმოდგენილი—

„ზილიხამ მამისეულით იყიდა მჩაგრი მთვარისა,  
ასრე, რომ მეფისეული მაშიგა არა არისა“ (242);

სამაგიეროდ, მართალია, თეიმურაზით უშუალოდ მეფემ, გაიგო რა, რომ ყულს ჰყიდიანო, თქვა:

„შეილი არა მყავს, ვიყიდი... შეილებად“ (79), იყიდა კიდეც და „ზილიხანს მიიბარა აღსაზრდელად“—

„ზილიხანს უთხრა:—«ეს კმარა ჩვენთვის სალხინოდ, ძეობად...»  
(83) და

„მეფე იოსებს ზილიხანს გაუდღებდა, უდებდა“ (85).

ამგვარად ირკვევა, რომ ხსენებულ ადგილის გადმოცემაში კ. კეკელიძეს უნებლიედ შეცდომაში შეყავს მკითხველი, ასაღებს რა თეიმურაზისეულ ვარიანტს უცნობისეულად.

3) რატომ მოაქციეს იოსები ციხეში? კ. კეკელიძე ასე გადმოგვცემს: „ქალი აბეზღებს მის ქმართან—თითქოს და უწესო საქციელისთვის, და იოსებს ციხეში დაამწყვდევნა“—ო. ეს ხომ თეიმურაზისეული ვარიანტია იმ განსხვავებით; რომ ციხე შეეკლილია ორმოთი? უცნობ მთარგმნელს კი ასე აქვს: ზილიხამ ვამზდელის რჩევით იოსები შეიტყუა საგანგებოდ აგებულ და მორთულ დარბაზში; რა მოხდა ამის შემდეგ, არ ვიცით, რადგან ტექსტი დაზიანებულია— აკლია 58 ხანა; მომდევნოდან ვტყობილობთ, რომ ზილიხანს საქციელი მთელს მისრეთს მოსდებია; ჩამოვარდება მითქმა-მოთქმა და კორები; ამის შემდეგაც არ ცხრება ზილიხანა—უნდა დაეუფლოს იოსებ-

ბის სხეულს, მაგრამ უშედეგოდ; აქ დიდებულთა ცოლები ურჩევენ მას:

„ცოტა ხანსა იგი მოყმე ციხეშიგა დაამაგრე“ (518);

ამის შემდეგ ზილიხა მიჰმართავს ქმარს—

„კვლა მოახსენა: „მეფეო, თქვენც იცით ესე საქმენი, უგვაროს მე იმ ყმისაგან ჩემი ლხინიცა ავთქვენი, გაიგებს ჩემსა საქმესა, სრულ სახელმწიფო აწ თქვენი, მინდა აწ იგი გაგზავნო, საპატიმრუა საჩვენი“ (524);

მეფეც უსრულებს ცოლს სურვილს. მაშასადამე, დაბეზღებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ქალი ეუბნება მეფეს — „თქვენც იცით ესე საქმენი“-ო; არც ის ირკვევა, თუ რა „უწესო საქციელი“ ჩაიდინა იოსებმა; ზილიხას კი მოსვლია რალაცა, რაც ქმარმაც იცოდა, — „გაიგებს ჩემსა საქმესა სრულ სახელმწიფო აწ თქვენი“-ო ეუბნება ის ქმარს;

თეიმურაზით, მართალია, ქმარი რომ შეესწრება იოსებს და ზილიხას საწოლ ოთახში, ქალი ბრალს დასდებს იოსებს, რომ, თითქოს, ის ძალდატანებას აპირებდა, აბეზღებს, რომ გაუპატიურებას ლამობდა და დასამტკიცებლად იოსების გახეულ პერანგს მოიშეულიებს; განრისხებული მეფე იოსებს ორმოში აგდებს.

მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც კ. კეკელიძეს შეცდომაში შეყავს მკითხველი.

4) იოსების გამეფების საკითხშიაც თავისებურებას იჩენს პროფ. კ. კეკელიძე. ის წერს: „ასე რომ, მისი (აზიზის) გარდაცვალების შემდეგ, ის მეფედ აირჩიეს“-ო. საიდან მოიტანა პატივცემულმა მკვლევარმა ეს ცნობა?—უდავოა, თეიმურაზი დანვი! აი როგორ აქვს გადმოცემული თეიმურაზს იოსების გამეფების ამბავი:

„იგი მპყრობელი ხელმწიფე სამარესა მიღებულა... (267).

ვეზირნი დასხდეს, არჩევდეს...

ერთმან თქვა: „დავსვათ იოსებ, თვით მეფემ უყო შვი-

ლობა“ (269),

ღამომწმენს: «მაგის მეტი ამ საქმესა არეინ ღირსა!»  
მოვიდეს და თაყვანი სცეს, დაბლად მოღრკეს მიწის პირსა»  
(270)

და გახელმწიფდა იოსები. ირკვევა, რომ იოსები, მართლაც მეთვის გარდაცვალების შემდეგ აირჩიეს ხელმწიფედ. ახლა გადავვლოთ თვალი უცნობის ვარიანტს, თითქოს რომლის შინაარსსაც გვაცნობს კ. კეკელიძე; აქ მეფე აზიზი თავისავე სიცოცხლეში თვითონვე უბოძებს იოსებს მეფობას, არაერთარი არჩევნებს არ აქვს ადგილი! აი ტექსტი:

მეფემ იოსებს—

„ხელი მოჰკიდა, ტახტზედა დასჯა თავისა ხელითა,  
თვით თაყვანი სცა, მერე თქვა: «ლაშქარნივისლა ელითა?» (625);

„რა აზიზმა უსუფ შვილად დალოცა და ტახტსა დასცა“  
(627);

«საპატრონო შენ დაგიგდეთ, შენცა იყავ ჩვენს ნებასა»  
(628);

«საპატრონოს ეხელმწიფე, ძალსა ნურვის დამართვია»  
(629)

ეუბნება აზიზი იოსებს; და ბოლოს—

„იოსებ ხელმწიფედ დაჯდა ხელმწიფეს დავედ-  
რებითა“ (633).

ვფიქრობთ, რომ სურათი ნათელია!

5) „...ამის შემდეგ იოსები ჯეროვან სასჯელს მიაყენებს იმ ქალებს, რომელთა ცბიერებით მასა და ზილიხას შორის ასეთი განწყობილება დამყარდა“—ო ვადმოგვეცემს კ. კეკელიძე.

სად ამოიკითხა ამის მსგავსი რამ კ. კეკელიძემ? იმ ერთადერთ ხელნაწერში, რომელითაც თითქოს სარგებლობდა მკვლევარი, (ჩვენი გამოცემა მაშინ არ არსებობდა) ასეთ ცნობას ადგილი არ აქვს. არც თეიმურაზს აქვს ნახსენები რამე ამდაგვარი.

6) ყველაზე უფრო კურიოზულია კ. კეკელიძის ასეთი განცხადება: „საერთოდ პირველი რედაქცია, თეიმურაზის რედაქციასთან შედარებით, უფრო მოკლეა“—ო (ხაზი ჩვე-



ნია გ. ჯ.). ფაქტიური მდგომარეობა კი ასეთია, პატივცემულო მკითხველო: თეიმურაზის ვარიანტი, ჩვენამდე უკლებლიდ შემონახული, შეიცავს 311<sup>1</sup> ხანას, ხოლო დაზიანებული, ნაკლულოვანი (თავში, შიგა „და“ შიგ, ბოლოში) პირველი ვარიანტი—736-ს... ამის შემდეგ რა ეწოდება კ. კეკელიძის განცხადებას?

\* \* \*

„ლეილ-მაჯნუნიანი“ არა ნაკლებ საინტერესო რომანტიკულ პოემას წარმოადგენს, მაგრამ არა ბიბლური ხასიათისა, არამედ წმინდა არაბულ-სპარსულ ნიადაგზე აღმოცენებულ გადმოცემისა. სპარსულ ლიტერატურაში ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ყოველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ლეილის და ყაისის უბედო სიყვარულის ამბავი გაულექსავთ არა ერთსა და ორს სახელოვანს თუ ორდინარულ პოეტს: გამლექსავთა რიგებს აშვენებენ ნიზამი (მე-12 ს. მწერალი), ამირ ხოსროვი (1253-1325), ქათიბი (+1434), ჯეშალი (მე-15-ს. დასაწყისი), ჯამი (მე-15-ს.), ჰატიფი (+1520) და სხვ. <sup>1</sup>) ჩვენს ლიტერატურაში ის წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზ I-ის თარგმანით, თუ გადმოკეთებით. პროფ. კ. კეკელიძე თვის „ისტორიაში“ შემდეგს ამბობს: „ეს პოემა გადმოიღო ქართულ ენაზე მეჩვიდმეტე საუკუნეში მეფე თეიმურაზმა, მაგრამ, ჩანს, ის უფრო ადრეც ყოფილა ქართულად ცნობილ; უნდა ეთავაზრებინათ ის ავტორის სიცოცხლეშივე, მეთორმეტე საუკუნის გასულს (ხაზი ჩვენია. გ. ჯ.) ყოველ შემთხვევაში ჩახრუხაძის თამარიანში. თამარის პარალელიზმად ნათქვამია: „ამან თავი რად მართ აზავირად შექმნა ლეილის ნამიჯნურჯვად“ (გვ. 32-33). ამ ფრთხილად გამოთქმულ აზრის შესახებ ის გვინდა ვთქვათ, რომ იგი ოდნავადაც დამაჯერებელი არ არის, რადგან, გარდა „თამარიანი“-ს დამოწმებისა, სხვა რეალური საბუთები არ არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ „ლეილ-მაჯნუნიანი“ მეთორმეტე საუკუნის გასულს ყოფილიყოს ნათარგმნი. არას ვამბობთ იმაზე, რომ ჩვენამდე არ მოუხწევია ასეთს თარგმანს, მაგრამ რით იხსენება, რომ არავითარი პირდაპირი, დადებითი ხასიათის გადმოცემა ან ცნობა ამის შესახებ არ არსებობს არც ერთს ლიტერატურულ, თუ ისტორიულ

<sup>1</sup>) Paul Horn-ის ცნობით „ლეილ-მაჯნუნიანი“ სპარსულ ლიტერატურაში დამუშავებულა 18 ჯერ (იხ. მისი ზემოდასახელებული „Geschichte...“ გვ. 178.)

წყაროებში? ის ფაქტი, რომ „თამარიანიში“ ნახსენებია ლეილი, რა საკვირველია, არ არის გადმოთარგმნის დროს მაჩვენებელი: „თამარიანის“ ავტორს შეეძლო დედანშივე სცოდნოდა ლეილის და მწკუნუნის ამბავი; არც ის არის გამორიცხული, რომ ასევე შეიძლებოდა ლეილის და მწკუნუნის ამბავი სცოდნოდათ ან გაეგოთ იმ დროინდელ ქართველ მკითხველთ. არ არის უგულველსაყოფი ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსან“-ში ნახსენები არიან ვისი და (რამინი, მაგრამ არაფერია თქმული ლეილსა და მწკუნუნზე. საფიქრებელი არ არის, რომ, თუ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროს (აშის თარიღად პატივცემული პროფ. კ. კეკელიძე თვის უკანასკნელ შრომაში უჩვენებს 1257 წ. (?) „ლეილ-მაჯუნუნიანი“ უკვე ქართულ თარგმანში იყო ცნობილი, ავტორი მის გმირებს უეჭველად მოიხსენიებდა? ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ კ. კეკელიძე წერს: „უცილობელი გავლენა მოუხდენია ჩვენს პოეტზე მის თანამედროვე გამოჩენილ სპარსეთის პოეტს ნიზამი განჯელს, რომლის თხზულებებს ის, თუ ქართულად არა, სპარსულად მაინც იცნობდა... შესაძლოა რამოდენიმე გავლენა მოეხდინოს ჩვენი პოეტის შემოქმედებაზე ლეილ-მეჯუნუნიანს..“ (გვ. 135; ხაზები ჩვენია გ. ჯ.).

ამ ამონაწერში ჩვენ ერთ რამეს ვაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რომ: შოთა რუსთველი „თუ ქართულად არა, სპარსულად მაინც იცნობდა“ „ლეილ-მაჯუნუნიანს“-ო; რატომ შეეპარა ეკვი მკვლევარს, რომ შოთას სწორედ თარგმანში შეიძლებოდა სცოდნოდა ის? თუ ადვილად უშვებთ, რომ „თამარიანი“-ს ავტორი თარგმანში იცნობდა (იმ საბუთით, რომ მან ლეილი ასენა) ამ ნაწარმოებს, რატომ შოთა არა? მისივე გამოკვლევით (მხედველობაში გვაქვს 1924 წ.) ხო? „თამარიანი“, დღევანდელი შემადგენლობით, 1207 წელს დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს“ (ხაზი ჩვენია გ. ჯ. იხ- „ისტორია“.. გვ. 153), მეორეს მხრივ, შოთას „თავისი თხზულება დაუწერია კლასიკურ პერიოდის მიწურულში, 1212-1219 წლებში“ (ხაზი ჩვენია. გ. ჯ.) (გვ. 110); გამოდის, რომ ადრინდელ მწერალს ქართული თარგმანით სცოდნა „ლეილ-მაჯუნუნიანი“, მომდევნოს კი „თუ ქართულად არა, სპარსულად მაინც“... ვფიქრობთ, რომ აქ რაღაც აღრევას აქვს ადგილი.<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ დღეს (ხაზში გვაქვს კ. კეკელიძის უკანასკნელი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ) ეს აღრევა უფრო მაჟიოდ მოჩანს.—ხსენებული ნაწარმოები, თურმე, 1257 წელს ყოფილა დაწერილი..

ჩვენამდე შემონახულ „ლეილ-მაჯნუნიანი“-ს მთარგმნელის შესახებ ორი აზრი არსებობს: ერთის მიხედვით ის არის ვილაც ზაალ თუმანიშვილი, მეორესით თეიმურაზ<sup>1</sup> I. განვიხილოთ საკითხი ორივე მხრივ.

პირველი (და ერთად ერთი) წარმომადგენელი ამ შეხედულებისა იყო ცნობილი ზ. ჭიჭინაძე. თეიმურაზის ზოგიერთ ნაწარმოებთა გამოცემაში<sup>2</sup>) ის სხვათა შორის წერს: „ადრიდგან ცნობილი თეიმურაზისაგან ნათარგმანი პოემა „ლეილ-მაჯნუნიანი“ სპარსულიდან თეიმურაზ მეფეს კი არ უთარგმნია, არამედ ზაალ თუმანიშვილს; ეს თუმანიშვილი კარგა ხანი სპარსეთში ყოფილა და იქ უთარგმნია, ამ თარგმანის შესახებ თვით თუმანიშვილი სწერს ერთ ლექსსა და ამ ლექსში იმას მოგვითხრობს, რომ ზაალ თუმანიშვილმა სპარსეთში ყოფნის დროს ესთარგმნეო“. მაგრამ ამ ცნობას ვერ მივიღებთ, რადგან—როგორც გამოიჩვენა—ზაალ თუმანიშვილი „ლეილ-მაჯნუნიანის“ გადამწერი ყოფილა მხოლოდ (შდრ. „ტექსტისათვის“, გვ.).

არც ალ. ხახანაშვილი არის მაინცა და მაინც ამ ეჭვიდან განთავისუფლებული; ის, თუმცა ამბობს, რომ „ლეილ-მაჯნუნიანი“ თეიმურაზ I-ს მიერ ნათარგმნიაო, მაგრამ არავითარ დასამტკიცებელ მასალას არ იძლევა და თანაც შენიშვნის სახით ჩამოტანილი აქვს: „ზოგიერთის აზრით „ლეილ-მაჯნუნიანის“ გადმოთარგმნა ეკუთვნის ზაალ თუმანიშვილს ამის სპარსეთში ცხოვრების დროს“.<sup>3</sup>) ჩანს, არც თვითონ არის დაიმედებული, რომ ჩვენი „თარგმანი“ ეკუთვნის არა ზაალ თუმანიშვილს, არამედ თეიმურაზს.

რაც შეეხება უკანასკნელს, ე. ი. თეიმურაზ I-ს, უნდა ითქვას, რომ მის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი ფაქტიური მასალა და ბიბლიოგრაფიული ცნობები: 1) ყველა ჩვენამდე შემონახულ ხელნაწერში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ თარგმანის ავტორია თეიმურაზი. აქ ტიპიური, თუ გნებავთ, ტრადიციული, სათაური ამ ხელნაწერებისა: „ლეილ-მაჯნუნის ამბავი სპარსთა ენათაგან ქართულად ნათარგმანები... თეიმურაზისაგან“; 2) არჩილ მეფე თვის „არჩილიანში“ აღაპარაკებს თეიმურაზს:

„ამ დროს ვთქვი ლეილ-მიჯნურო, ზილიხან—იოსებისა  
ქება, შვენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებ დებისა“;

<sup>1</sup>) ზ. ჭიჭინაძე, ლექსნი, თქმულნი მავის თეიმურაზ I საგანა ტფილისი, 1886.

<sup>2</sup>) ალ. ხახანაშვილი — „ქართული სიტყვიერების ისტორია“. ტფილისი,

ვ) ნოდარ ციციშვილი „შვიდ მთიებში“ (ტფილისი, 1930, კ. კეკელიძის რედაქციით..., გვ. 1, ხანა 7) გველაპარაკება:

„თეიმურაზ თქვა ამბავი იოსებ ზილიხანისი,  
ლეილის ქება, სიტურფე და მეჯნუნისა ჯანისი;  
თქვა ხელწიფური ლექსები, თვით რუსთელის მოსაწონისი,  
ლექსთა მკითხველთა მელექსედ ხან ის აქეს და ხან ისი“-ო.

ამაზე მეტი დამაჯერებელი ცნობების მიღება ჩვენი ლიტერატურული წარსულიდან არც ისე ადვილი საქმეა.<sup>1)</sup>

ამგვარად, უდავოდ და შეუკამათებლივ უნდა მივიღოთ, რომ ჩვენამდე შემონახულ ხელნაწერებში დაცულ „ლეილ-მაჯნუნიანი“-ს გადმომთარგმნელი (თუ გადმომკეთებელი) არის პოეტი თეიმურაზი.

მაგრამ საინტერესოა დავადგინოთ, თუ სად არის პირველწყარო თეიმურაზისეული „ლეილ-მაჯნუნიანი“-სა? ვისგან თარგმნა ის თეიმურაზმა?

ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში განმტკიცებული აზრის მიხედვით (ზ. ჭიჭინაძე, ალ. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე და სხვ.) პროტოტიპი თეიმურაზისეულ „ლეილ-მაჯნუნიანისა“ უნდა ვეძიოთ ნიზამი განჯელის ამავე სახელწოდებით კნობილ ნაწარმოებში.<sup>2)</sup>

რა გვეთქმის ამის შესახებ?

სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ჩვენ არ გვაქვს საშუალება შეუდაროთ თეიმურაზისეული „ლეილ-მაჯნუნიანი“ ყველა რედაქციებში

1) იხ. ამის შესახებ ჩვენი წერილი „პარილში“ გვ. 155, ტფილისი, 1925 წ.; პროფ. კ. კეკელიძე „ისტორია“-ში მართებულიად სწევრებს საკითხს თეიმურაზის საარგებლოდ.

2) ამ მხრივ გამოწაკლისს შეადგენს ალ. ბარამიძე, რომელმაც მართებულად განაცხადა: „ჩვენში საერთოდ მიღებული აზრით ქართული ვერსია ნიზამი განჯელის (მე-XII ს.) პოემის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს აზრი მცდარია, რადგანაც შინაარსით მას სრულიად არ უდგება“-ო (ახი ჩვენია, გ. ჯ.)—იხ. „ანთოლოგია“, ტ. II, ტფილისი, 1928 წ. გვ. 299.); 1925 წელს ამის ირგვლივ ჩვენ გვითქვამს: „ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არავინ დაფიქრებულა და შაბლონად გადაიჭყა აზრი, რომ ეს ნიზამის შრომის თარგმანიაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მაინც ჯერ-ჯერობით გაუპრით რისამე თქმა შეუძლებელია“-ო („პარილი“, გვ. 156) და იქვე ჩამოტანილ შენიშვნაში გაკვირით ვამბობთ, რომ დედანი ჯამისა არ უნდა იყოს...

სპარსულ დედნებს; განვისაზღვრებით მხოლოდ ნიზამის და ჯამის თხზულებებით. რამდენადაც ამ მიმართულებით გაწეულმა კვლევადობამ დაგვარწმუნა, შეგვიძლია კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ თეიმურაზისეული „ლეილ-მაჯნუნიანი“ არამც თუ არ არის ნიზამის და ჯამის თარგმანი, არამედ მათგან გადმოკეთებადაც ვერ ჩაითვლება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დამოუკიდებელი ხასიათის ეპიზოდს ან დეტალს. გავატაროთ პარალელი ამ სამ ნაწარმოებთან შორის. (აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ დრო და წერილის ხასიათი ნებას არ იძლევა უფრო დეტალური განხილვა-შეჯერებისა).

1) მოცულობით ყველაზე მეტია ნიზამის ვარდნტი (დაყოფილია 75 თავად და შეიცავს დაახლოებით 10.000 სტრიქონს), მას მოსდევს ჯამის (დაყოფილია 47 თავად და შეიცავს დაახლოებით 6.000 სტრიქონს, ხოლო თეიმურაზის დაყოფილია 27 თავად და შეიცავს 1080 სტრიქონს; ირკვევა, რომ პირველწამომწყებს თემისა უფრო საფუძვლიანად დაუმუშავებია და გაუვრცია ის, ხოლო მიმდევრებს, თუ მიმბაძველებს თანდათან უმცირებიათ...

2) შესავლისათვის ნიზამის დათმობილი აქვს 12 თავი (დაახლოებით 1600 სტრიქონი); ჯამის—6 თავი (დაახლოებით 600 სტრიქონი), თეიმურაზს კი... 16 სტრიქონი.

3) თავისებურად არის წარმოდგენილი ლეილის და მაჯნუნის შეყვარების ისტორია. როგორც ვიცით (იხ. ტექსტი) მათი სიყვარული თეიმურაზით იწყება სისწავლებელში, ბავშობიდან. ნიზამი და ჯამით კი—ლეილის სიღამაზით განთქმულობის და ყაისის დავაჯაკების შემდეგ: ყაისს „ზეპირად“, უნახავად შეუყვარდება ლეილი. ამასთან დაკავშირებით სულ უცხო ამბები აქვს გადმოცემული თეიმურაზს: ერთდღიამევე სკოლაში მათი სწავლება, სიყვარულის ნიშნები, მოლას ჩარევა, დაიბოვნა მათი სკოლიდან, ყაისის მიერ იმ მიწის კონცა, სადაც გაუვლია ლეილას და სხვ., რაც არ მოეპოებათ არც ნიზამის და არც ჯამის.

უდავოა, რომ ეს ადგილი ააშკარავებს ამ სამი მწერლის პირველწყაროს სხვადასხვაობას.

4) შორდებიან ერთი მეორეს სამივე პოეტი ყაისის მიერ ლეილის ხელის ძაების გადმოცემაში:

ნიზამით ლეილის მშობლებთან ქალის სათხოვნელად მიდის ყაისის მამა, მაგრამ ბრუნდება უიმედოდ;

ჯამით თვით ყაისი მიჰმართავს ლეილის გვარეულობას, მაგრამ ზალხთა სიძრავლით ენა ებმება და ვერას ამბობს;

თეიმურაზით კი ორივე მხრივ მშობლები უმაღლე თანხმდებიან მათ დაქორწინებაზე.

5) აქასთან დაკავშირებულია ერთი გარემოება, რომელიც უდავოდ ადასტურებს ვარიანტების სხვაობას: თეიმურაზით მშობლების თანხმობის შემდეგ იმართება ყაისის და ლეილის ქორწილი; ამ ქორწილის დროს ყაისი თავს ვერ იკავებს და, ქალისადმი ტრფობით გატაცებული, დაუწყებს კოცნას მის გოშიას; ქალის მშობლები ამ ფაქტიდან ადგენენ, რომ ყაისი გაგიჟებულია, და მას აგდებენ სახლიდან.<sup>1)</sup>

არაფერი ამდაგვარი არ აქვთ არც ნიზამის, არც ჯამის; ცხადია, აქ საქმე გვაქვს დამოუკიდებელ ვარიანტთან.

6) ჯამით ლეილი მიდის ქაბაში ჰაჯის შესასრულებლად; ყაისი, გაიგებს რა ამას, მალულად შეუერთდება მის ქარავენს და თვითონაც მიდის; ადგილზე მსხვერპლის შეწირვის დროს ყაისი გამოამკლავნებს თვის სიყვარულს;

ნიზამით ლეილი სულაც არ ყოფილა ქაბაში; მხოლოდ ყაისის მამას მიყავს შვილი იქ მოსაქუიანებლად, ღონს მოსასვლელად; თეიმურაზით ეს ებიზოდი (ჯამისიც და ნიზამისიც) გამოტოვებულია.

7) შესაძლებელია ჯამით ლეილის ქაბაში წასვლას დაუკავშიროთ ჯამის და ნიზამისათვის უცნობი ებიზოდი, თეიმურაზით გადმოცემული; სახეში გვაქვს მშობელთაგან ლეილის გაგზავნა მთაში საპაეროდ, გზაზე ყაისის შემთხვევითი ნახვა, მათი ერთად შეყრა და სხვ. ეს ძალიან თავისებური, დამოუკიდებ-

<sup>1)</sup> ალ. ხახანაშვილის (Очерки, III, გვ. 75) და კ. კეკელიძის („ისტორია“..., II, გვ. 229) ნახევები აქვთ, რომ, თითქოს, ყაისი გააგდეს სახლიდან იმიტომ, რომ ქებინის კითხვის დროს ვერ მოითმინა და ლეილას დაუწყო კოცნაო. ეს ცნობა სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს (იხ. სათანადო ადგილები ტექსტიდან და „არილი“ გვ. 160). აქ მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. კ. კეკელიძე „ლეილ-მავანუნიაი“-ს შინაარსის გადმოცემის დროს სავსებით ემყარება ალ. ხახანაშვილის (და იმეორებს ყველა მის შეცდომებს), მაგრამ უჩვენებს კი ყოდ. წ. კ. სახ. ხელნაწ. № 403... გზადაგზა კიდევ გვეჩვენა შემთხვევა აღვნიშნით ასეთი უმართებულო დამოკიდებულება კ. კეკელიძისა ალ. ხახანაშვილის და ტექსტის მიმართ.

ბელი ეპიზოდია და, როგორც ასეთი, ვფიქრობთ, ააშკარავებს პირველ წყაროთა სხვადასხვაობას.

8) ჯამის ერთი თავისებური დეტალი აქვს მოტანილი, რომელსაც არ იცნობენ არც ნიზამი, არც თეიმურაზი: მაჯნუნის ვნების დასაშრეტად ყამზრიდების ტომის მეთაური ურჩევს მის მამას შეპართოს მაჯნუნს მათი გვარის ლამაზი ქალი.

9) ნიზამით ველში მოხეტიალე ყაისი ესაუბრება ყოჩანს (იუ ყვავს);

ჯამით — ქარიშხალს;

თეიმურაზს გადმოცემული აქვს მხოლოდ მოთქმანი ყაისისა. შეიძლება ამ ფაქტისათვის ანგარიში არ გაგვეწია, მაგრამ დეტალი თავისთავად ორიგინალურია, და მოსალოდნელი იყო, რომ მას თეიმურაზი გამოიყენებდა, რომ...

10) ნიზამით ტყე-ველ-მინდვრად მოხეტიალე ყაისი ერთხელ იპოვის ქურციკს, მეორეჯერ კანჯარს—ორივე შემთხვევაში მონადირის ბადეში მოქცეული, —ათავისუფლებს მათ ლეილის ხსოვნისათვის;

ჯამით ყაისი ამავე მიზნით ჰყიდულობს მონადირისაგან (ერთ-ჯერ) კანჯარს და ათავისუფლებს მას;

თეიმურაზს ასეთი რამ ნახსენებიც არ აქვს.

11) ველადე ყოფნის დროს ჯამით ყაისი წააწყდება ლეილის მწყემსს, გაიგებს, რომ მისიანები საომრად წასულან; მიეშურება ლეილის სანახავად;

ეს ცნობა არ აქვთ არც ნიზამის, არც თეიმურაზს.

12) ამის მომდევნო ამბავად გადმოცემული აქვთ, ნიზამის და ჯამის ლეილის გათხოვება და ამასთან დაკავშირებით ყაისის თავდადასავალი; თეიმურაზის ჯარიანტი არ იცნობს ლეილის გათხოვებას—მის შერთვას მხოლოდ აპირებს ბაღდადის ხალიფა, მაგრამ განზრახვა ტრადიული დასასრულით მთავრდება. აქ საქმე გვაქვს უთუოდ ფაბულის მნიშვნელოვან სხვაობასთან, რაც არკვევს პირველ წყაროთა სხვადასხვაობას.

13) ნიზამით ყაისი, გაიგებს რა ლეილის ლალატს, ეძლევა ალტანელ რაჩკვას, ერევა ნადირთ, მხეცებს და გარეულ ფრინველებს; მამა მიდის მასთან და რჩევა-დარიგებას აძლევს, მაგრამ უშედეგოდ; ბრუნდება შინ და კვდება; ყაისს მწუხარება უარკვეცდება;



ჯამის ყაისის მამის ამბავი ნახსენები არ აქვს; ნიზამის შიერ აღწერილ ყაისის ხეტიას ცვატება შემდეგი დეტალი: მჯუნნი ესტუმრება ვილაც უცნობს, იქ მღერის სეველიან სიზღერას ფრინველთან ერთად, რომღსთვისასაც უღალატნია საყვარელს და დაუგდია იგი;

თეიმურაზისთვის, რასაკვირველია, უცხოა ლეილის დალოტით გამოწვეული მჯუნნის ტანჯვა-ტკივილები, ხოლო მამის სიკვდილი დაკავშირებული აქვს ყაისის გამოგდებასთან ლეილის სახლიდან და მისი (ყაისის) მხეცთა თანა ცხოვრებასთან.

16) დაახლოებით ერთნაირად აქვთ აწერილი ნიზამის და ჯამის ლეილის წერილი მჯუნნისადმი, სადაც ლეილი პატიებას თხოულობს გათხოვებისათვის და თავს იმართლებს—შობლებმა დამატანეს ძალაო;

თეიმურაზს ეს არ აქვს—ცხადია, თუ რატომ.

17) ლეილის ქმრის სიკვდილამდე (რაც ნიზამისაც და ჯამისაც აქვთ მოხსენებული, ხოლო თეიმურაზისეულში ეს არც შეიძლება ყოფილიყო) ნიზამის ცხრა დამატებითი თავი აქვს ჩართული, სადაც აღწერილია: ყაისის ბიძის მოსვლა, დედის ნახვა, „ამბავი მოწილი გამდელისა“, დედის სიკვდილი და ამასთან დაკავშირებით მჯუნნის ტირილი და თაყვანისცემა დედის სასაფლაოსი, მიხმობა ყაისისა ლეილის მიერ, „ერთმანეთის ნახვა ტყეში და ველში“, დამეგობრება ყაისისა ლეილის ქმართან, „ამბავი ზეიდისა და ზეინაბისა და მათი კავშირი“ და სხვ.; არაფერი ასეთი არ აქვთ ჯამის და (მით უმეტეს თეიმურაზს); ჯამით მჯუნნი ერთხელ მიდის ლეილის სახლის მიდამოებისკენ და გამოელაპარაკება ლეილის სახლის ქუჩაზე შეხვედრილ ძაღლს; მეორედ მოდის მათხოვრებთან ერთად ლეილის გვარეულობის ბანაკში; ლეილი ამხერვეს მის ფიალას; ყაისი აღტაცებისაგან ეტყევა; თეიმურაზით ყაისი მათხოვრის სახით მოდის ლეილის სახლში; ლეილი იცნობს მას და გადაეხვევა აღზნებული სიტყვებით, მაგრამ დედა გაუგებს; და ყაისს კვლავ ცემით გააგდებენ.

18) ჯამით ერთ გზაზე შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს ლეილი და მჯუნნი; ლეილის ხელმეორედ დაბრუნების ცდაში გარინდებულ და განცვიფრებულ ყაისის თმებში ფრინველები ბუდეს იკეთებენ; არ აქვთ ეს დეტალი არც ნიზამის, არც თეიმურაზს.



(ყაისის თავზე ფრინველთა მიერ ბუდის გაკეთება გაკვრით თეიმურაზსაც აქვს ნახსენები, მაგრამ არა ასეთ კონკრეტ შემთხვევაში, არამედ ზოგადად:

„...ველად გაიჭრა, ფრინველნი თავზედან დაიბუღარა“ (68);

ცოტა ქვემოდ მეტსაც ამბობს:

„თავზედ ფრინველთ დაებუდა, ბარტყნი მრავლად მოეშენა“ (131).

19) ზედმეტივე ამბავი აქვს გადმოცემული ჯამის ვილაც ბედუინის შესახებ, რომელიც გაიცნობს გაკრილ ყაისს, რამოდენიმე ხანს რჩება მასთან და ისწავლის მისგან ლექსებს.

20) როგორი ვარიანტითაა წარმოდგენილი ლეილის და ყაისის სიკვდილი ჩვენს ვარიანტებში?—

ნიჰამით ჯერ კვდება ლეილი: ანდერძს უტოვებს დედას, დედა ერთობ შეწუხებულია, ყაისი შეიტყობს ლეილის სიკვდილს და მიდის მის საფლავთან თაყვანის საცემად;

ჯამით მაჯუნის ადრე კვდება ლეილაზე: უცნობი ბედუინი მგორედ ბრუნდება ყაისთან, დიდი ხნის ძებნის შემდეგ ნახავს, რომ ყაისი ჩაპხუტებია ქურციკს და ორივე ერთად მომკვდარან; ბედუინი ბრუნდება ლეილის სახლში ამბავის მოსატანად, მაგრამ ლეილმა დაასწრო—ზეშთაგონებით იცოდა, რომ ყაისი უკვე მკვდარი იყო;

თეიმურაზით, ნიჰამისებურად, ჯერ კვდება ლეილი; შემდეგ იწყება თეიმურაზის თავისებურება: დედა წაიღებს ქალის პერანგს და მივა მწაუნთან, რომელიც, გაიგებს რა გულშემხარავ ამბავს, ჩეკონება ლეილის პერანგს, ტირს და მოსთქვამს და მიდის ლეილის სასაფლაოსთან თავის მოსაკლავად. <sup>1)</sup>

21) პოემის დასასრული ნიჰამის შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: ტირილის შემდეგ ყაისი კვდება ლეილის საფლავის თავზე; იმ მომენტშივე მხეცები გაიფანტებიან ქვეყნის სხვა და სხვა მხარეს; „ამბავი ლეილის და მწაუნის სიზმარში ნახვის შესახებ ზიდის მიერ“, და უკანასკნელი თავი—„მეფის ქებისათვის და დასასრული წიგნისა“;

<sup>1)</sup> ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ ალ. ხახანაშვილს ეს ადგილი თეიმურაზის ვარიანტისა ყალბად აქვს გადმოცემული („არილი“, გვ. 162).

ჯამით ყაისის სიკვდილის შემდეგ ლეილი ავად ხდება: „აღწერა შემოდგომისა და ცხოვრების ტოტებიდან ლეილის სიღამაზის ფოთლების ცვენა, მისი ანდერძი, რომ ყაისის ფერხთ დამარხონ; ამას მოსდევს „წიგნის დასასრული“;

თეიმურაზით ყაისი ლეილის საფლავზე კვდება; დაასაფლავებენ მის გვერდით; შემდეგ მოყვანილია სიზმარი ლეილის დედ-მამისა და აღწერილია ამ სიზმარში სამოთხე, სადაც განისვენებენ ლეილი და ყაისი.

22. თეიმურაზის თავისებურებას უნდა შეადგენდეს შემდეგი ეპიზოდი: მწაჯუნის და ლეილის შესაერთებლად მოსული ბაღდადის ხალიფას თვით შეუყვარდება ლეილი; ამისთვის განიზრახავს ყაისის მოწამლვით მოკვლას, მაგრამ შემთხვევით თვით ხდება მსხვერპლი დაგებული მახისა <sup>1)</sup>

23. დასასრულ, თეიმურაზის დამოუკიდებლობისაკენ მიგვითითებს კიდევ ორი შემდეგი დეტალი:

ა) თეიმურაზით ლეილი და ყაისი ერთი ტომის, ერთი გვარისანი არიან—

„მათ მნათობთა ერთი იყო ნათესავი, თესლი, გვარი, ახლო იყვეს მეზობელნი, ძმათა შვილნი განაყარი“... (19), მაშინ როდესაც ნიზამით და ჯამით მოცემულია არაბთა მომთაბარე, ერთიმეორის მოქიშპე და მტრულად განწყობილ ტომების შვილების (ლეილის და ყაისის) ურთიერთდამი სიყვარული. (ადვილად დასაშვებია, რომ ამ ორი ავტორის მიდგომა საკითხისადმი გამომდინარეობდეს მათი იდეოლოგიური მიზან-დასახულობით—ორი მოპირდაპირე ტომს შორის „ჩატეხილ ხიდის“ გასამთელებლად სიყვარულიც არ გამოდგებაო—აკი მიზან-მიუხვევლად მთავრდება ყაისის და ლეილის სიყვარული);

ბ) ლეილის ხელის მაძიებელთა შორის, რომლებმაც საგანგებო წერილები გამოუგზავნეს ქალის მამას, თეიმურაზს დასახულებული ჰყავს: კეისარი, სპარსთა მეფე, ყანდარის მეფე, ბაღდაზანის მეფე, ფრანგთა მეფე, გარაიანის მეფე და მალრბის მეფე. ამათი ხსენება არ აქვთ არც ნიზამის, არც ჯამის.

<sup>1)</sup> აქაც თავისებურად აქვს გადმოცემულტ ეს ეპიზოდი პროფ. კ. კეფლიძეს (უნდა აღინიშნოს, რომ მას ეს ადგილი სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოწერილი ალ. ხანანაშვილიდან გვ. 77—თუმც აქაც არ ინსენიებს მას და უჩვენებს იმავე № 403 ხელნაწერს). ამის შესახებ დეტალურად ლაპარაკი გვაქვს „არილში“ გვ. 164.

24. გარკვეულ დამოუკიდებლობას იჩენს თეიმურაზი კიდეც ერთ ეპიზოდის გადმოცემაში, რაც არ აქვთ არც ნიზამის, არც ჯამის:

ლეილის სიკვდილის გამო მისი მამა წერილს უგზავნის ბაღდადის ხალიფას, სადაც ამცნობს მას თვის გულის ტკივილებს; უარს აცხადებს მეფობაზე და თხოვს მას—

„თქვენ გფერობს, დრო არს, მეფეო, ქალაქს თუ ეპატრონები“-ო (231); ხალიფა ძლიერ შეწუხდა ლეილის სიკვდილის გაგონებაზე და ამის აღსანიშნავად—

„ტახტით გარდიკრა, გვირგვინი გატყორცა, გააგორა მან, იგლეჯდა თეთრთა თმა-წვერთა, იგ დააყენა გორა მან“,

ამის შემდეგ ის გადაწყვეტს წავიდეს ლაზას, რათა იტიროს ძმისწული; მიდის სასაფლაოზე, გულამოსკენით ტირის და თვის მოადგილედ სტოეებს ვეზირს, ხოლო წასვლის წინ დაახატვინებს ლეილ-მზუნუნის სურათს და მიაქვს ბაღდადს.

ამით უნდა განვისაზღვროთ ამ სამი ავტორის ქმნილებათა ანალოზში მათი სხვადასხვაობის დასადგენად. ვფიქრობთ, რომ მკითხველი დაასკვნის, რომ, შედარებით, ჯამი უფრო მისდევს ნიზამის (დეტალების გარეშე), ვიდრე თეიმურაზი ან პირველს, ან მეორეს. ამგვარად, უნდა ვალიაოთ, რომ თეიმურაზის ვარიანტი ან სხვა დედნიდან მომდინარეობს (და ამ შემთხვევაშიაც საკუთარი მაინც მეტი იქნება, ვიდრე დედნიდან მომდინარე...), ან დამოუკიდებელი დამუშავებაა ცნობილი არაბულ-სპარსული ლექსებისა. (ჩვენ გვგონია, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო ახლოა სინამდვილესთან).

თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე შემოთქმულს, ირკვევა, რომ მცთარი იყო ალ. ხახანაშვილის და კ. კეკელიძის აზრი ჩვენი პოემის ნიზამისეულობის შესახებ.

კ. კეკელიძე, უშვებს რა თეიმურაზის მხრივ თავისებურ თავისუფალ მიდგომას თარგმანისადმი, მიუთითებს სრულიად უმნიშვნელო განსხვავებებზე, რაც არც კი შეიძლება რომელიმე მთარგმნელს—ისიც იმ დროს!—თავისებურობის გლესენტების შეტანად ჩათვალოს. მართლაც და, კ. კეკელიძით რა შეუტანია თავისი თეიმურაზს ვითომდა ნიზამის ნაწარმოებში? მოუსმინოთ ავტორს:

„ჯერ ერთი, მას შეუცვლია შესავალი..., მეორე, სპარსულს ორიგინალში ვერ იქნება ისეთი ადგილები, როგორცაა:

“ვაჟი მონათლეს სვინათი,<sup>1)</sup> უყვეს რჯულისა წეჭითა”

და

„დედამ შეუტყო, აზრი ქნა ოქროსა მალ მიცემითა,  
ვით დავარ ნესტან-დარეჯან, მან დაალურჯა ცემითა“

(გვ. 231).

ამას ემატება ავტორის მიერ სამოთხის აღწერა და ანტიმაჰმადიანური პოლემიკური ტონი თეიმურაზისა. ესაა და ეს! როგორ შეიძლება მკვლევარმა ამტკიცო, რომ ესა და ეს ნაწარმოები ამა და ამ ორიგინალიდან არისო და თან ასეთ უმნიშვნელო თვითნებური ჩანარებით მთარგმნელს დასწამო ტექსტის საკმაოდ თავისუფლად თარგმნა? უმართებულოა ორივე მომენტი აზრისა: 1) არავითარი საბუთი არ მოპყავს კ. კეკელიძეს იმის დასამტკიცებლად, რომ დედანი მართლაც ნიზამისეულია (გარდა იმისა, რომ თეიმურაზის თქმას „შიხ შეიდს დავეცილებიო“—მკვლევარი ასეთ ინტერპრეტაციას უკეთებს—„ესე იგი ნიზამის დავეცილებიო“—გვ. 230), 2) ზემომოყვანილი „თავისებურებანი“ თავისებურებად არ შეიძლება ჩაეთვალოს (ამ სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით) მუსულმანური წყაროდან ქრისტიან მთარგმნელს მე-17 საუკუნეში, განსაკუთრებით კიდევ თეიმურაზს, რომელიც წამ-და-უწუმ მოთქვამს

„სიბრძნე ხამს მარგედ სულისა, განქარდეს ხორცთა შვებანი“.

ანუ

„ვამე, ცუდისა ლაყბითა, თუ სული დავაზიანი?!“—ო.

საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ რას ნიშნავს „შიხ შეიდი“. ცნობილია, რომ ეს სიტყვა ხელნაწერებში სხვა და სხვა ნაირად იკითხება, მაგ.: „შიხ ისლამი“, „შიხ სალიამინი“, „შიხ სეიდი“, „შიხ სადი“ და სხვ. ამ ვარიანტებში ყველგან უცვლელად შემონახულია „შიხ“, რაც ჯნდა უდრიდეს სპარსულ „შიხ“-ს; ეს კი ნიშნავს მოხუცს, საპატიო პირს, მეთაურს და სხვ. მეორე ნაწილის დადგენა

1) ტექსტია ასე წაკითხვა უმართებულოა; უმრავლეს ხელნაწერებში შენარჩუნებულია „სუნათი“ (ჩვენც ასე მოვიტანეთ), რაც გარკვეულ სოფლმხედვილობასთან არის დაკავშირებული მაჰმადიანურ გარემოში. სხვა რომ არა იყოს რა, არ უნდა დაგვაიწყუდეს, რომ მოქმედება წარმოებს არაბეთში...

ჩვენ ვარჩიეთ A ხელნაწერის მიხედვით—„შეიდი“, ვინაიდან დანარჩენი წაკითხვა თითქმის აზრს მოკლებულია. (მხოლოდ ოდნავ საეჭვოა ვარიანტი „შიხ სადი“, ე. ი. საადი, რომელიც იხსენიება შეიხად იხ. Paul Horn, გვ. 130,—მაგრამ მაგარი ის არის, რომ საადის „ლილ-მაჯუნუნიანი“ არ უთხზავს). მაშ რა უნდა იყოს ეს „შეიდი“? ამ სიტყვასთან მიახლოვებული სპარსულში გვაქვს: 1) შანიდ=სიცრუე, მოტყუება, პირმოთენობა; 2) შიდ=შე, ელვარება; 3) შანიდა=გახანლებული, სიყვარულით გაგიჟებული, შეყვარებული (Гаффаров, გვ. 516). როგორც ვხედავთ, პირველი ორი მნიშვნელობა ჩვენი კონტექსტისათვის შეუფერებელია; გვრჩება მესამე—სიყვარულით გაგიჟებული, უზომოდ შეყვარებული. მაშინ მივიღებთ შემდეგს: ლილ-მაჯუნუნის ამბავის გადმოცემაში შევეცილები შეყვარებულთა მეთაურს, ე. ი. ყველაზე მეტად შეყვარებულს (ან ამდაგვარი რაღაც...). კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „შიხ შეიდი“—ში თეიმურაზი ნიზამის ჰეულის-ხმობს. რა საბუთით ფიქრობს ასე? უნდა ითქვას კი, რომ ი. შერი („Всеобщая история литературы“, გვ. 75) ასე იხსენიებს ნიზამის: „Абу Мохаммед-бек—Юсуф-шейх—Низамеддин, прозванный Монтанази“; ასევე გიდმოგვცემს I. Hammer-ი (იხ. A. Хаканов, вынук 3, გვ. 73), რომელსაც, საფიქრებელია, ეყარება ი. შერი, მაგრამ იბადება კითხვა: 1) რა შუაშია სიტყვა „შეიდი“? 2) რატომ ნიშნავს სიტყვა „დავეცილები“ თარგმანს? ორივე კითხვაზე პასუხი ერთი შეიძლება იყოს: კ. კეკელიძემ ეს ცნობა და მტკიცებან გადმოიღო შეუნიშნებლად ალ. ხახანაშვილიდან. შოვისმინოთ ეს უკანასკნელი: „...разказ о Лейле и Маджнуне он заимствует („оспаривает“) у Шейха=Шейда. Ср. имя Низами...“ და სხვ. (გვ. 73, შენიშვნა 1). აქ ალ. ხახანაშვილი სიტყვა „დავეცილები“-ს აძლევს თარგმანის აზრს (თუმცა ამის მტკიცება არც ისე იოლია) და თან ნიზამის სთვლის „შეიხ-შეიდად“ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მხოლოდ პარალელს ავლებს), მაგრამ არც ერთი მოსაზრება დასაბუთებული არ არის.

რომ ჩვენი დადგენა და გაგება შეიდი ისა საღ აზრს მოკლებული არ არის, გვიმტკიცებს შემდეგი გარემოება; „ვარდ-ბულბულიანი“—ში ბულბული ეუბნება ვარდს:

„შენი შეიდი ბულბული კარში რამ გაგაწვევი ნა?“—ო (36), ე. ი. შენზე ასე თავდავიწყებით შეყვარებულ ბულბულს როგორ არ იკარებ, როგორ იშორებო. ცხადია, რომ თეიმურაზს სი-

ტყვა შეიღო ლექსიკონში ჰქონია და საჭიროების დროს იყენებს მას.

„ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“ ჟანრის მხრივ ერთნაირი ნაწარმოებია. თემად ორივე შემთხვევაში აღებულია უსწორო სიყვარულის პრობლემა: ერთ შემთხვევაში ვარდ-უკადრისობს და ამაყად დასცქერის ბულბულს, რომელმაც—

„...პასუხი ველარ თქვა, ენა დაება“ (92), მეორეში სანთელი ასევე იქცევა პეპელას მიმართ, და ეს უკანასკნელი მსხვერპლად ეწირება მას (სანთელს). შეკამათების დროს ვარდი თითქმის ისეთსავე პასუხს (და იმავე სიტყვებში) აძლევს, როგორსაც სანთელი, მაგ., ვარდი დასაწყისშივე ეუბნება ბულბულს:

„სადა მე და ან ვინ შენა?—ხელი ხარ და, ან შეშლილი! (34), ხოლო სანთელი პეპელას—

„... დამეხსენ, ნეტარ შენ ვინ და მე ვინა?“ (51) და სხვ.

პრობლემა ორივე შემთხვევაში ერთნაირადაა გადაჭრილი: უსწორო სიყვარულს გამარჯვება არ უწყია.

„ვარდი“ მოცულობით უფრო მეტია (95 ხანა), ვიდრე „შამი“ (68) და ამაზე ადრეცაა დაწერილი, რაც მტკიცდება „შამი“-ს შემდეგი ადგილებიდან:

1) „ვარდს გავაუბნე, გავაბქე ბულბული მისთვის ხელები“ (15)—  
ამბობს თეიმურაზი,

2) „ვითა ბულბული ვარდისთვის, გაჭრილი, გახელებული“... (54)  
ემულარება ფარვანა შამს; 3) ან კიდევ:

„ვინ აქო ვარდი-ბულბული, შამი-ფარვანაც უქია“ (56).

ამასვე ადასტურებს არჩილ მეფე, რომელიც თეიმურაზს ათქმევინებს:

„ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,  
კვლავ სამთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ-დადაჯულსა“-ო.

მოლოდინის წინააღმდეგ „ვარდ-ბულბულიანი“, თუმცა ადრინდელი ნაწარმოებია, მაინც გაცილებით მაღლა დგას „შამი-ფარვანიანი“-ზე მხატვრული ინტუიციით, ლირიული პათოსით და რომანტიული გატაცებით. რომ არა ორი-სამი მოულოდნელად სუსტი კონსტრუქციის ხანა, „ვარდ-ბულბულიანი“ თამამად ჩაითვლებოდა ჩვენს პოეზიის თვალ-მარგალიტად. და ეს იმ დროს, როდესაც „შამი“-ს

მრავალი ლექსი ნაძალადეგია ხელოვნობის თვალსაზრისით, უხეშია მუსიკალობით და ბლაგვია ლირიულ განჭვრეტის მხრივ. უწინარეს ყოვლისა „ვარდ-ბულბულიანში“ გამოსჭვრეტის ავტორის უტყუარა-ნიჭი მგონისა, რომელსაც უშუალოდ შეუძლია ეზიაროს ბუნების ამოუწურავ სილამაზეთა წყაროებს, განიცადოს მისი მაცოცხლებელი ბალზამი და მკითხველშიც გამოიწვიოს ლალი, სალი და ნაზი ესთეტიური ემოციები. ამ მხრივ თეიმურაზი ჩვენს ძველს მწერლობაში შეუდარებელი პოეტია; ისეთი მგოსანია, რომელსაც მეტოქე არა ჰყავს.

რელიგიური „ოპიუმითა“ გაჟღენთილი თეიმურაზის კოსმოგონია, მაგრამ მაინც ხელოვნური ვადმოცემა თითქოს დამაჯერებლად მოქმედებს—

..წელიწადის მოქცევაჲმან მიწის პირი განაახლა;  
იგოსტატი ხელოვანი პირველი იყო, განაახლა?  
ქარი, მიწა, ცეცხლი, წყალი—ერთმანერთსა თან აახლა,  
ცა ყინვაზე, მიწა წყალზე აღრიდგანვე დაასახლა“ (10).

ბუნების მშენიერებათა და მათი უშუალო ზემოქმედების მართლაც პოეტური, იღუმალი, იქნებ, მიუწვდომელი და გაუგებარი, გამჟღავნება მგონის შემდეგი ლექსი:

..გაზაფხულის წვიმამ ხშირმან ჟანგიანი მიწა რეცხოს,  
ხინი ხილთა გამოღებლად მიდგომილი და იკვერცხოს;  
ამაუბნა ქიკტიკითა—ლამის მეცა გამამერცხლოს.  
მელექსემან ხამს, თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერ-  
ცხლოს“ (11).

ისი მოკრძალებით, თავმდაბლობით და სინაზით არის მოსილი პოეტის შედეგი ლექსი:

..დაუსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან,  
მოგვართვა სული სურნელი, იგ საყნოსელმა იამან;  
თავმოდრეკილმან სიმდაბლით არ თავი გაიზვია მან,  
ტკბილად შეხედნა თვალმან და გულისა კარმან ღიამან“ (14);

ზამბახის შენიერება გოძნობიერად განუცდია პოეტს და მიტომაც ეუბნება მას:



„ვეიცავ, ან ძმა ხარ ვარდისა, ან ჩემმან სულმან, და ხარა“ (16).  
ვაჟა-ფშაველასებური გულთმისნობა გამოსჭევივის ყაყაჩოს და  
არღავენის „გულის ჭკობის“ ათვისებაში; მგოსანს ესმის მათი გუ-  
ლის ტკივილი, მაათი, რომელნიც სახით მომზიბლელნი არიან, მაგრამ  
სურნელება აკლიათ; ამიტომაც ისინი ერთიმეორეს შესჩივიან:

„სიტურფით და შეენებითა, ფერად—ვერვინ გვედარების,  
სურნელებით გვაქარბებენ—გული ჩვენი ამით ჭკნების“... (19).

მაგრამ ყვავილთა მეფე ყველაზე ამაყი, ლამაზი და დიადია-  
ეს ვარდია და მისი „მოსვლა“ სათანადო ტრიუმფით აქვს აწე-  
რილი პოეტს:

„...მოვიდეს, ნახეს გაშლილი, თქვეს: «ეგზომ ტურფა ვინ ესა?»  
თაყვანი სტეს და შეიტკბეს, გაღიმდეს, გაიცინესა“ (22);

„მათ შუა დასვეს ხელმწიფედ, იგი მისებრივ შენობდა,  
ეგზომი მათი სიტურფე მასთან არ გამოჩნდებოდა,  
მეფე, გლაბა და მდიდარი იშვებდენ, არ მოსწყენოდა,  
იგ, მისთვის ხელი ბულბული თავს ეველებოდა, მღეროდა“ (23);

„ბალი, ბაღა და წაკლოტი შეამკო, დაამშენა მან,  
იგ მონად შექმნა ყოველი თეთრ-ჩითლად შუქთა ჩვენამან;  
სრულ საყნოსელი აავსო სურნელებისა დენამან,  
ველარა ჭნა რა სევდამან, შეჭირვებისა წყენამან“ (24) და სხვ.

ეპიური სიღინჯე, სიამაყე და საკუთარი ღირსებათა დაფასება.  
მოჩანს ვარდის პასუხში ბულბულისადმი—

„...უტკეო ვინმე ხარ ხელალო,  
იგ ვინმე შენი საფერი სჯობდა აგელო ხელალო;  
უფრო სხვა გვარი უნდოდა ჩემთვის გაჭრილი  
ველალო,  
ხელმწიფეთ სატრფიალოსა რად გამხლი საციტხევალო?“ (37).

მაგრამ, რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, მოვიტანთ კიდევ ორი-  
ადე ლექსს, საიდანაც მკითხველი დაინახავს, დარწმუნდება, რომ  
თეიმურაზი ღირსეული ხელოვანია: 1) ვარდი ეუბნება ბულბულს:

„კეკლუცი ლავწთა მნათობსა შემირქმენ, ზედან მიღებენ, უნდათ, რომ იყენენ ჩემთამა, მითვისტომებენ, მიღებენ, მაგრა კულია—მნახავნი უტურფესობას მიღებენ, «გგავს, მაგრა კიდე შენ სჯობო»—მე ამით გულსა მიღებენ“ (48);

2) გულდამწვარ, მგრძნობიარე მგოსანს ლა შეეძლო ასე აემეტყველებია უპასუხო გრძნობით გულდამწვარი ბულბული:

„ეს ვის ასმიას ულდგმულსა—ხელს უთხრას «ნუ ხარ ხელიო! ცეცხლსა მოგიდებ უშრეტსა—ნუ დაგეწვიების ყელიო, გატირებ სისხლის ცრემლითა—ლაწვნი ნუ გაქვანსველიო, წადი და სხვათა უჭვრიტე—ჩემთან ხარ ნუ მომსვლელიო!» (60).

დიდი, ღრმა და განიერი გრძნობა აქვს თეიმურაზს აქ წარმოდგენილი! 3) გონება მიღებული ბულბული შესძახებს ვარდს:

„ეგზომ ხანს შენი. ხელქმნილი სხვაგან სად უნდა წარევდეს? ხამს, თუმცა სხვათა მიჯნური შენს სიტურფესა წარევდეს; შენი მძებნელი, გლახ, შენთვის თავს უნდა გაიმწარევდეს, შენისა მოკრფისათვის ხელსა ეკალში წარევდეს!“ (76).

აქ თეიმურაზი უკვე ვირტუოზობას იჩენს არა მარტო სიტყვისა, არამედ შეყვარებულთა მესაიდუმლისა, მათი ტკივილის და სევდის გამჟღავნებაში...

„შამი-ფარვანიან“—შიაც აქვს აქა-იქ თეიმურაზს მოხდენილი ლექსები:

„ფარვანა ეტყვის სანთელსა: მანათობელო ლამისა, შენისა სიყვარულითა სული ამოსვლას ლამისა, აზიყობამ და სურვილმა მე გული შემიღამისა, ნუმცა მექნების უშენოდ სიცოცხლე ერთის წამისა“ (31):

აქ იგივე განწირული სულისკვეთება მოჩანს უიმედოდ შეყვარებულისა, და გადმოცემის მხრივაც თეიმურაზი „ვარდის“ სიმალღეზე ღვას.

სანთელი თეიმურაზს ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოდ მიაჩნია. მისი პასუხებიც „გამთბარია“ საეკლესიო, მშრალი სქოლასტიკით —

„...დამეხსენ, ნეტარ, შენ ვინ და მე ვინა?

სამადლოდ შემქნა, რომელი საყდართა მჯდომი,  
ზევინა,

ეკლესიად მსახურად სრულ ღამე გამათევენა,

ვინ მკვდარსა მუდამ ამინთოს, მას ცოდვა არ  
აზღვევინა“ (51).

ვამბობთ— „შამში“-აც არის ღამასი ადგილები, მაგრამ მთლიანად ის მაინც ვერ შეედრება „ვარდ-ბულბულიანს“. „შამის“ შედარებითი უბადრუკობის ნიმუშად საკმარისია ორიოდ ლექსი მოვიტანოთ აქ:

1) ცინიზმით და უპატივცემლობით გაუღენთილია, გარეგნულადაც ნაწვალბია ეს ლექსი:

„ეს მიკვირს: ვერცა მათ გიცნეს ენოს და პითალორაბა,  
მათი ზღვა სიბრძნე, ცნობანი მიკვირს თუ, მიულო რამა!  
ვერ მოიხმარეს სწავლანი, ვითა ვირმა და  
ლორამა,  
გლახ, სულნი მათნი იგ თუ არ ეშმაკმან—მიილო რამა?“ (6).

საყურადღებოა, რომ ანალოგიურ უზრდელობას და უპატივცემლობას იჩენს თეიმურაზი „იოსებ ზილიხანიან“-ში არისტოტელეს და პლატონის მიმართაც, თუმცა სხვა შემთხვევებში მათ მოწიწებით იხსენიებს; აი ეს ადგილი:

„არისტოტ და პლატონიოს მისი შესხმა დააპირეს,  
ვერ ისიბრძნეს, ვითა ღირდა, თავნი მათნი გაივირეს“  
(237).

მთ უფრო ასაშვოთებელია თეიმურაზის ასეთი უპასუხიზმგებლობა, რომ თვით შიგადაშიგ იჩენს მოურიდებელ მედიდურებას და თვისი პოეტური ნიჭის განდიდებას. აი მაგალითებიც:

- ა) „ნაძლევ ვარ, თუ ვინმე თქვას ჩემებრ რამე  
განლექსულნი! („ვარდი“, 4);
- ბ) „ამაუბნა ქიკქიკითა—ღამის მეცა გამამერცხლოს,

მელექსემან ხაშს, თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს“  
(იქვე, 11);

გ) „მე თვით ვწერ, ვიტყვი, რომელსა მეფედ მძხმობენ მონები,  
სიტყვა შეემზადო შაირთა, მართ ვითა ვარდის  
კონები,  
ბრძენთაგან შესაწყნარები, ცნობილთა მოსაწო-  
ნები“. („ი. ზ.“ 4)

ამ ნაირი გაგებითვე უნდა იყოს ნათქვამი:

დ) „ძოწ-მარგალიტი, გიშერი აწ ნახეთ ჩემგან მკობილი,  
ბოლოდ სცნათ ყოვლთა—არა ვარ მოშაირეთა  
ძმობილი“ („ი. ზ.“ 3),

ე. ი. ის არავის არ იღარებს, არავის „იმშობს“ და სხვ..

2) თეიმურაზის ნიქსა და ღირსებას ოდნავადაც არ შეეფერება ისეთი უაზრობის გამომხატველი და ფორმიტაც უმსგავსო ლექსი, როგორცაა შემდეგი:

„ბალამ ბოსორით ბრძენი და გრძნეული, მოგვი, მისარი,  
იგ, ვისცა სწყევდის გრძნობითა, ფიცხლად საკვდავად ის არი;  
მგზავრ ანგელოზი წინ დახვდა, ხმალი აქვს, არ თუ ისარი,  
ჯორმან იხილა, დაუდგა უძრავად—ჰგავს, თუ ქვის არი! (9).

3) რელიგიური სულმოკლეობისა გამო თეიმურაზი ამცირებს სანთლის და შამის განწირულ სიყვარულის ამბავს, ე. ი. „შამი-ფარვანიანის“ შინაარსი გაუბრალოებულთა, „ცუდი რამ ტიკტიკობად“ არის ჩათვლილი, მაშინ როდესაც თვის პოეტურ ნიქს ქებათა-ქებას ასხამს—

„გათავდა ესე ამბავი, იგ კითხვა-არაკობანი,  
სიტყვათა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ-  
მკობანი,  
არც სიხარული სულისა, არც არა ზატიკობანი,  
უსაქმოს მოწყენილისა ცუდი რამ ტიკტიკობანი!“ (66)

და სხვ.

„ვარდ-ბულბულიან“—შე თეიმურაზი იძლევა ზოგიერთ ბუნდოვან ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ხსენებული პოემის ჩამომავლობის შესახებ.

ამოვწეროთ ეს ადგილები:

1. „გააუბნა ერთმანერთსა მოლა აჯამ ბრძენთა-  
ბრძენმან  
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული სიტყვა ტკბილი, ენა  
გრძელმან“ (6);
2. „შევიწიო ძალი ღვთისა, მე და ვიწყო თარგმა-  
ნობა“ (7);
3. „რაც მას მოდა მათგან, მეც ვთქვი, ლექსი არსად  
დამეხვანჯა“ (93).

ჩანს, თეიმურაზს უნდა გვამცნოს, რომ ნაწარმოები ნათარგმნია. უნდა ითქვას, რომ მაინც და მაინც დამაჯერებელ ცნობებს არ იძლევა აქ თეიმურაზი: შესაძებ ციტატა გადმოგვეცემს, რომ „რაც მას-მოდა მათგან, მეც ვთქვი“-ო; ეს გამოთქმა სრულებით არ ნიშნავს თარგმნას; პოეტს შეეძლო სმენოდა ვარდისა და ბულბულის ამბავი უცხო წყაროდან და თვითონ დამოუკიდებლივ დაამუშავებია თემა. ამას თითქოს ეწინააღმდეგება მეორე ციტატა, სადაც ნათქვამია—, „მე და ვიწყო თარგმანობა“-ო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერებში ეს ადგილი ყველგან ერთნაირად არ არის წარმოდგენილი; ასე მაგალითად, ყველაჭი სანდო ხელნაწერი A გადმოგვეცემს:

„... მე და ვიწყო თქმა და მბობა“-ო.

რაც შეეხება პირველ ციტატას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ის არის რაიმე დამაჯერებელი ცნობის შემცველი, რადგან: 1) შეიძლება, მართლაც, „გააუბნა ერთმანერთსა მოლა აჯამ... ბულბულს ვარდი“..., შეიძლება ეს თეიმურაზმა კარგად იცოდა, მაგრამ მან, კვლავ ვიმეორებთ, თვითონ დამოუკიდებლივ დაამუშავა თემა; ყოველ შემთხვევაში გარკვევით არა ჩანს, რომ მას ვიღაც მოლა აჯადან ეთარგმნოს ეს ნაწარმოები; 2) ხელნაწერებში მოლა აჯა ერთობ არეულად არის წარმოდგენილი—იქ გვხვდება: „ჯამი“, „აჯამ“, „აჯიმ“, „პაჯიმ“, „ჯამმა“ და სხვა. საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვექონდეს მხოლოდ ენის სახელის წარყვნილ ფორმასთან; ასეთ შემთხვევაში ცნობა სინამდვილეს აღარ შეეფერება, ვინაიდან ცნობილია, რომ ჯამი-ის ასეთი ნაწარმოები არ აქვს.

ზემოთქმულის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ: 1) თეიმურაზს ასეთი შიკიბულ-მოკიბული ცნობების მოცემა სჭიროდა შესაძლებელ ექვების გასათვანტავად, 2) თეიმურაზი თვით არის ავტორი ლექსისა, მას უნდოდა თავიდან აეცილებია ავტორობა; ეს ცნობები

უფრო არის, ასე ვთქვათ, ბოდიშის მოს და ღვთისა და კაცთა წინაშე. რომ ეს ასეა, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი ადგილები პოემიდან:

„მეც მომეწყინა ტყუილი ეს ცუდი გალაყბაება“ (92);  
 „თქვას, თუ ვინმე:—რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის  
 გარჯა?—

ესეც მითხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?  
 —რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა ვის-  
 გან ბარჯა?!

რაც მას მოდა მათგან, მეც ვთქვი, ლექსი არსად  
 დამეხვანჯა“ (93).

ირკვევა, რომ თეიმურაზი მოელის გაკიცხვას „ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯილობისათვის“, თვითონაც ამბობს, რომ „ეს ცუდი გალაყბაება“ მოწეწყინაო, მაგრამ თავს იმართლებს და ჩქარობს გვაცნობოს მოტივები ამ „ლაყბობისა“—„რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე“—ო ამბობს ის და თანაც ბრალდებას იცილებს—„რაც მას მოდა მათგან, მეც ვთქვი“—ო. ამის შემდეგ მიჰმართავს ღმერთს, აღიღებს და ამკობს, ბოლოს კი ბოდიშის მოხდით ევედრება:

„შენ მომიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი...  
 ვაიმე, ცუდის ლაყბითა, თუ სული დავიზიანი!“ (95).

„შაში-ფარვანიან“-შიც გვაქვს მოცემული ავტობიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობები. მეტიც: აქ უფრო გარკვეულად არის დასახელებული წყარო თეიმურაზის შემოქმედებისა.

საინტერესოა მოვიპოვოთ თეიმურაზის მწარე, მაგრამ ლირიულ განცდებით გამთბარი მოთქმანი:

„სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია,  
 სხვას ვისმე ჩემნი პატიჟნი არც ვის კი ამბად სმენია;  
 თვალთაგან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მსგავსად მდენია,  
 ცუდად უსაქმოდ ყოფითა ცნობანი გარდამელია“ (12)

ან კიდევ:

„მე გასაძლებლად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,  
 გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე დავალამეო,  
 სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევილაამეო,  
 ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო!“ (13).

საიდან გადმოუღია თეიმურაზს „შამი-ფარვანიანი“?

ჯერ ის ტრაფარეტულად აცხადებს:

„რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაბიანი,

აშბავი ანუ შაირნი სალალობო და წყლიანი,

ლექსი ლექსად ვთქვი...“ (14) და სხვ.

ე. ი. მიუთითებს, რომ დედანი პოემისა სპარსულ ლიტერატურაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ცოტა ქვემოლ უფრო კონკრეტულად გადმოგვცემს:

„შამი-ფარვანას წიგნისა ვინებე გარდმოღებანი...  
არც ჩემის საქმით ნათქვამი, არც გულსა მქონდა

ღებანი,

სპარსთ უთქვამსთ აშყ-მაშყად, მათგან არს მოგონებანი“ (17).

აქ პოეტი კატეგორიულად უარყოფს თვის მონაწილეობას ამბავის „მოგონებაში“ და გარკვევით ამბობს, რომ უთარგმნია ის— „ვინებე გარდმოღებანი“-ო. სპარსულსავე ორიენტაციისაკენ მიგვითითებს შემდეგი განცხადება:

„შამი სპარსულად სანთელსა ჰქვიან მათისა ენითა,

ფარვანა მისთვის მიჯნურად...  
იგ გაულექსავთ ყურთათვის შაქრად და თაფლად სმენითა“

(18).

პოეტი უფრო ზუსტადაც გვისახელებს წყაროს—

„იფიქრა ისპაანელმან, მელექსეთ შიგან ქებულმან,...  
მისთა ლაყაბთა თარგმნითა იგ არც მე დადუმებულმან“ (19).

ამ თქმიდან გარკვევით ჩანს, რომ ვიღაც ისპაანელის „შამი-ფარვანიანი“ უთარგმნია თეიმურაზს. გარდა ამისა აქედანვე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისპაანელი ყოფილა თეიმურაზის არაერთ-ჯერადი წყარო, ყოველ შემთხვევაში „ვარდ-ბულბულნი“-ც თითქოს მისგანვე უნდა იყოს გადმოღებული; ამას გვაფიქრებინებს თეიმურაზის გამოთქმა:

„მისთა ლაყაბთა თარგმნითა იგ არც მე დადუმებულმან“,



ე. ი. მას რამოდენიმე ნაწარმოები მაინც უნდა ეთარგმნოს მისგან...

ვინ არის ეს ისპაანელი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთადერთი, ვინც უნდა ვიგულისხმოთ მასში, არის თეიმურაზისვე თითქმის თანამედროვე სპარსელი პოეტი საყიბი (გარდ. 1677 წ.). მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში არსებულ წყაროების მიხედვით არა ჩანს, რომ საყიბის ასეთი სახელწოდების ნაწარმოები ჰქონდეს.

\* \* \*

საკვირველი პოზიცია დაიკავა თეიმურაზმა სარწმუნოების საკითხში. ცნობილია, რომ ის ორტოდოქსი ქრისტიანი იყო. ისიც ცნობილია, რომ მის დროს ქართული ქრისტიანული ეკლესია უაღრესად რეაქციონულად იყო განწყობილი არა მარტო სხვა სარწმუნოებათა, განსაკუთრებით მაჰმადიანობის, მიმართ, არამედ გააფთრებულად ებრძოდა ყოველგვარ საერო, ამქვეყნიურ, მიწიერ მოტივების გამოვლინებას. მწერლობაშიაც კი, ვინ იცის რაოდენი საგანძური დაკარგა ქართულმა მწერლობამ ამ ობსკურანტების განუქითხავი თარეშის გამო! და ამ პირობებში თეიმურაზი გაბედულად ხელს ჰკიდებს საიჯნურო სიუჟეტებს, მეტიც, „თარგმნის“ მაჰმადიან მწერალთა შემოქმედების ნაყოფთ, კიდევ მეტი—აქა-იქ ვრცლად აგვიწერს მაჰმადიანთა ზნე-ჩვეულებებს, მათს სარწმუნოებრივ დოგმებს და საიქიოსაც კი! ვიმეორებთ: ეს ერთობ გაბედული ნაბიჯი იყო თეიმურაზის მხრივ, იმ თეიმურაზის, რომელსაც საგარეო, თუ შინაურ ვართულებათა გამო ერთი წელიწადიც კი არ უმეფნია დამშვიდებულად, რომელმაც თვისი სამეფო დღეები გაატარა შინ თუ გარედ ხეტიალში და სიცოცხლევ უცხოეთში დაასრულა. ასეთს კაცს ყველაზე უფრო სჭირდებოდა ზურგის გამაგრება ქრისტეს სამეფოს გაცოფებულ და გაბოროტებულ მსახურთაგან; მათში უნდა ეპოვნა იდეურ-მორალური დახმარება და გაპართლება. მართალია, თეიმურაზმა თვის ორიგინალურ ნაწარმოებებში საქმაო ხარკი გადაუხადა ეკლესიას („წამება ქეთევან დედოფლისა“, „შვიდთა კრებათათვის“, „ანბანთქება“ და სხვ.), მაგრამ ის მაინც დაზღვეული არ იყო რეაქციონერების რისხვისაგან „ლეილ-მაჯნუნიანის“ და „ოსსებ-ზილიხანიანის“ გამოქვეყნებისათვის; მას არ ჰქონდა გარანტია, რომ სარწმუნოებრივი ფანატიზმით შეპყრობილი სამღვდელთა აპა-

ტიებდა მუსლიმან მწერლის განდიდებას, როგორსაც ვხედავთ „შამი-  
ფარავანიან“-ში:

„იფიქრა ისპანელმან, მელექსეთ შიგან ქებულმან,  
კაცმან გჷნთქმულმან სპარსთ შიგან, არ ცუდად  
მიდმოღებულმან“ (19).

ვინც არ უნდა იყოს ეს ისპანელი, à priori შეიძლება ითქვას, რომ მისი პოეზიის მოტივებია მუსლიმანური იდეოლოგია და ხორციელი სიყვარული, მიჯნურობა, და ასეთ კაცზე თეიმურაზი წერს „არ ცუდად მიდ-მოღებულმან“-ო. ეს, ცოტა არ იყოს, გამოწვევაა ქართველი სასულიერო წოდებისა. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი აღშფოთებას და მძვინვარებას გამოიწვევდა ქართველ არისტოკრატიაში და განსაკუთრებით სამღვდლოებაში თეიმურაზის ასეთი განცხადება:

„სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსი-  
კობანი,  
მძიმეა ენა ქართველთა—ვერ ძალმიც მისებრ თხრო-  
ანი“ (ლ. მაჯ., 4).

მაგრამ ყოველგვარ საზღვრის გადამლახავია და ეკლესიის მსახურთა აშკარად შეურაცხყოფელია შემდეგი ადგილი „ლიელ-მაჯ-  
ნუნიანი“-დან:

„სიბრძნე ხამს მარგედ სულისა, განქარდეა ხორცთა შევბანი.  
უკლებლად წერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი,  
არგინ იკითხავს წიგნებსა, შესწყინდეს ცუდად  
ღებანი,  
მას არგინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიდ-მო-  
ღებანი“ (3).

აქედან აშკარაა გამომდინარეობს, რომ იმ დროინდელ ქართველ საზოგადოებაში ნაკლებად პოპულარულია გასავალი „სულის მარგე“ წიგნებს, და პოეტს, რომელმაც ამაყად აცხადებს, რომ „რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე“-ო, გადაუწყვეტია მკითხველთა ყურადღების მიჯაჭვა „სოფლისა მიდ-მოღებანი“-თ. თუმცე ფაქტი ფაქტად რჩება—გაურბოდენ სასულიერო წიგნებს—, მაგრამ რაოდენი ვამბე-

დაობა იყო საჭირო „ღვთივნაკურთხი“ მეფის მხრივ საქვეყნოდ გამოემკლავნებია „შინაური უბედურება“?

აი, ამ მოსაზრებათა გამო ვთქვით ჩვენ ზემოდ, რომ თეიმურაზმა სარწმუნოების საკითხში საკვირველი პოზიცია დაიკავა თქო. აღნიშნულმა საკვირველებამ გამოიწვია მომდევნო თავისებურებაც. საქმე ისაა, რომ თეიმურაზი, მიუხედავად შერჩეული თემების და სიუჟეტების მიუღებლობისა (ქრისტიანული ეკლესიის თვალსაზრისით), შიგა და შიგ მაინც ცდილობს დანაშაული გამოისყიდოს და აღიაროს თავისი ერთგულება მართლ-მორწმუნე ეკლესიისადმი. და ამას ჩადის გარკვეული მიზნით: აიცილინოს რისხვა კლერიკალებისა.

რა ხერხებს მიჰმართავს იგი ამისთვის? 1) მაჰმადიანურ წრეში შეაქვს ქრისტიანული საეკლესიო წესები და ჩეევანი; 2) დამოუკიდებელ დეკლარაციებს აკეთებს ორტოდოქსალური ხასიათისა (სწორად უადგილოდაც); და 3) მოურიდებლად ჰგმობს მუსლიმანობას და მის სარწმუნოებრივ დოგმებს.

მოვიტანოთ სამივე გვარის ხერხიდან ორიოდე მაგალითი:

1. ა) როგორც ვიცით, პოეტა აცხადებს, რომ „შამი-ფარეგნიანი“ მას „გარდმოულია“ სპარსულიდან; მიუხედავად ამისა სანთლის როლს და დანიშნულებას ის გადმოგვცემს ქრისტიანული თვალსაზრისით, რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსულ დედანში; მაგარვანა ეუბნება სანთელს:

„გულსა და თვალსა ახარებს შენი წინ ანათებანი“-ო (40).  
ან კიდევ სანთელი ამბობს თავის თავზე:

„ხატთა და ჯვართა წილი ვარ, სულისა საიმედობით“ (45),

კოტა ქვევითაც:

„ვინ მკვდარსა მუდამ ამინთოს, მას ცოდვა არაზღვევინა“-ო (51);

ცხადია, რომ მაჰმადიანობა ასეთ ფუნქციებს არ აკისრებს სანთელს, მაგრამ თეიმურაზმა ააპა თვის ღმერთს და ქრისტიან სამღვდლოებს;

ბ) კარგად ვიცით, რომ ლეილის დედ-მამა არაბი იყო, არაბია მაჯნუნიც, მაგრამ თეიმურაზისთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ ყაისი მოენათლათ (მართალია, სუნათი!), ხოლო ლეილის სიკვდილის ზეგლეგ--

„საფლავზე დგანან მშობლები, სანთელს უნთებენ შამებ  
და“ (215);

გ) ბარაინის მეფე სწერს ლეილის მამას:

„მეფედ მან დაგვსხა, მას ვმონოთ—მოსემ ქადაგა ვინ  
ხსა“ (167) და სხვ.

2. ა) ცნობილია, რომ ქრისტიანულ ეკლესიას პეტრე მოცი-  
ქული ჰყავს წარმოდგენილი სამოთხის კარების კლიტის შემნახვე-  
ლად; თეიმურაზიც იქპარის ასეთად აღიაროს პეტრე:

„ვინ უწყის—მოსეს, ელიას მთაზედან უამბე რაო?  
კრემლნი. პეტრესნი მომმადლენ, იუდად ნუ გამბერაო“  
(„გვარდი“, 94);

ზ) იიდევ:

„პეტრეს საშოთხის გაღებად კლიტე ვერავეინ წა-  
მირთოს“ („ლეილი“, 2);

ბ) ქრისტიანობის ანბანი წარმოდგენს ქრისტეს აღიარება,  
ისი ღმერთ-კაცობა და მეორედ მოსვლა და სხვ.; თეიმურაზიც აკე-  
თებს შესაფერის დეკლარაციას, წარმოთქვამს „სიმბოლოს სარწმუ-  
ნოებისას“:

„ქრისტეს მძნა ვარ, მითა მძულს მეჩიტი, მინარანი და“  
(„შამი“, 11);

„ქვე კაცად იხილვებოდი, ზენათლად.. და უღამებდი,  
ოდეს მოხვიდე განკითხვად, ჩემთვის ნუ შემრისხანობ-  
დი“ („ლეილი“, 251);

„ნათელმან უსხეულომან ხორცნი ივასხნა ბუნებით,  
თავისუფალ გვეყენა მონანი მისითა შთამოსულებით“  
(„იოსები“, 2);

„უამ უკან ქალწულისაგან ჩვენთვის ხორც-შეს-  
ხმად მოლამდი“ („იოსები“, 311);

გ) ქრისტიანული დოგმის მიხედვით ღმერთი ერთია სამპირო-  
ვანი; თეიმურაზიც, თითქოს განკითხვის დღეს იდგეს უმაღლესი  
მსაჯულის წინაშე, აღიარებს თვის მრწამსს:

„არსებით: ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთუფლებუ-  
ლად“ („იოსები“, 1);

„გადიდო ერთ-ღვთად სამებით სულისა აღმოქროლამდი“  
(„იოსებნი“, 311) და სხვ.

3. თეიმურაზი ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ცდილობს გაიმიჯნოს მაჰმადიანობისაგან; იქაც, იო, სადაც საკმარისი იყო დადებითი ხასიათის დეკლარაცია ქრისტეს აღიარებისთვის, უმატებს: „მითა მძულს მეჩიტი, მინარანი და“-ო; თეიმურაზს, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, რასაკვირველია, სწამს საიქიო, სამოთხე-ჯოჯოხეთი, მაგრამ სწამს მხოლოდ ქრისტეს ნამოძღვრები საიქიო, მისი დანაპირი; მოვიტანოთ ერთი ადგილი „ლეილ-ჩაჯნუნიანი“-დან: უიმედო სიყვარულის გამო ყაისი ველად გაიჭრება, ტანჯვა მისი აუწყრელია; ამ დროს:

„იტყვიან, თუ: გამაუჩინდა მაჰმად მათი მოციქული,  
იგ იტყოდა: «ამ სოფელსა წახნდა შენი ჭირნახული,  
მე შეგყარნე საუკუნოს ორნივე ერთგან აღვა-რგული»,  
ესე მიკვირს: უითა სჯერან, მით არიან ქკეა-  
ნაკლული!“ (132).

ამ ხანიდან გარკვევით მოჩანს თეიმურაზის ანტიმაჰმადიანური განწყობილება, ყოველშემთხვევაში მისგან გამოიჟენა: 1) მაჰმადი სხვის მოციქულადაა წარმოდგენილი (რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსულ დედანში, ამას ვერ იტყოდა მაჰმადიანი მწერალი); 2) მაჰმადის დაპირებული საუკუნო სასაცლოდაც არ ჰყოფნის თეიმურაზს. მეტს მოუთმენლობას, ზიზღს და ირონიით სავსე დაცინვას ამჟღავნებს თეიმურაზი მაჰმადიანური საიქიოს მიმართ შემდეგს ხანებში:

„ფარშავანგზედ სხდეს მუნ მყოფნი ყველნა ცხოვნებულები,  
ფრინვით სერნობდენ ხე-და-ხე, ვის ვისთან სთქმოდეს გულები,  
ტანნი სპეტაკით მოსილნი, თავზედან ნათელ დგმულები,  
ოოგორც ქადაგა ეს მართლა, ისემც უცხოონდა  
სულები!“ („ლეილი“, 257).

ან ანტიმაჰმადიანური მომენტის შლიერი გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ადგილი „იოსებ-ზილიხანიანი“-დან:

„წყეულმც არს ნაჯაფ, ქალბალა, მაქა, მადინა  
მოლამდი!“ (311);

„ეს არის მათი სხმოთხე, მაჰმად ამგვარად უწევსა:  
ქალნი და ვაჟნი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდსა უწევსა,  
ივ დაფარულნი ასონი—უთქვამს—სამ წყრთამდი უწევსა.

მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბვისა — ფუ  
ვერსა!“ („ლეილი“, 261);

„მათს ფელამბარსა სამოთხე მუსაფში ესრეთ  
უქიან:  
ქალებსა — ჰური, ფერი და ვაჟეზსა — ცილმან უქიან,  
ნდომა არ მოაკლდებისო, მათთან აღერსო თუ ქნიან,  
ეგ ზომნი სულნი ვით ჯერან, მიკვირს — არ გაუ-  
ქიქიან“. (იქვე, 262) და სხვ.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ თეიმურაზი ეკლესიის და ღვთის  
სამებლად ყველგან ცდილობს თვისი ქრისტიანული სოფლმხედვე-  
ლობა გამოავლინოს. საბოლოო ანგარიშში ჩვენ ასეთი სურათი  
გვაქვს წარმოდგენილი: საქართველოში ეკლესიის თავადთა სახით  
მძვინვარებს სასულერო-კლერიკალური რეაქცია; საზოგადოებას  
მოსწყენდა „წმინდა მამათა“ კალმის ნამოღვაწარის კითხვა; ლტოლ-  
ვაა ამქვეყნიურისკენ, აინტერესებთ მიჯნურობა, ვნებათა ღელვა  
და ტრფიალებს; თეიმურაზში დიდი პოტენციაა მოცემული ამის-  
თვის, ალღისაც უღებს საზოგადოების მოთხოვნილებებს; თვისი პო-  
ტენციის და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად  
ხელჰყოფს უცხოთაგან „გარდმოღებას“ (ზუსტად მაინც არასდროს  
არ ასახელებს პირველწყაროს!), მაგრამ, რომ არ დასწამონ სარწმუნო-  
ებრივი განზრანი, იძულებულია, თუნდაც ყურით მოზიდული, დე-  
კლარაციები აკეთოს მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხასიათისა.  
ხშირად ეს ვნებდა მის მხატვრულ ღირსებას, მაგრამ ეს იყო, ასე  
ვთვკვთ, იდეოლოგიური შეკვეთა. და შეკვეთას პირნათლად ასრუ-  
ლებს „ღვთიენაკურთხი“ მეოსანი.

\*  
\*  
\*

როგორც ვიცით, ჩვენს ძველ მწერლობაში უზეად არის მიმო-  
ბნეული სენტენცია თუ აფორიზმები სხვადასხვა ხასიათისა. ამ მხრივ  
შოთა რუსთველი ხომ ჯერ-ჯერობით უძლეველია. ამ უკანასკნელის  
გავლენით თეიმურაზსაც აქვს ცდა მიჰმართოს სწავლეების ასეთ ზერხს,  
მაგრამ, ვიმეორებთ, ეს უფრო ცდაა და მეტი არაფერი. მით უფრო,

რომ თეიმურაზის მოტივები ამ სფეროში ერთობ შემოფარგლულია და, რაც მოაუვარია, უმეტეს შემთხვევაში შოთას განმეორებაა: ჩვენ ახალი მასში ვერა ვპოუვთ რა. ავილოთ მაგალითისთვის რამოდენიმე ნიმუში:

1. მიჯნურის გარეგნობის შესახებ თეიმურაზი ისეთივე შეხედულებისაა, როგორც შოთა, რომელიც ამბობს:

„მიჯნურსა თვალად სიტყორფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა“  
(ი. აბულაძე, XXIII),

ხოლო თეიმურაზი:

„მიჯნური უნდა საფერი—ვინც ნახონ—თვალად, ტანადო“  
(„ვარდი“, 39).

2. ნათესაური აზრები აქვთ გამოთქმული შოთას და თეიმურაზს სიყვარულის შესახებ:

შოთა:

„საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად“ (10),

თეიმურაზი:

„რა აივსოს გუბე წყლითა, გზას შეიქმს და გადვარდების,  
ეშყი თავსა არ დამალავს, ვის დამეტდეს—გაშმაგდების“  
(„იოსები“, 197).

3. ერთნაირად ესმით ჩვენს პოეტებს ამ ქვეყნის უკულმართობა და გამუდმებული ტკივილები, მისგან მიყენებული.

შოთა:

„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“  
ან:

„ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა“;

თეიმურაზი:

„თუ მას რომელი მიენდოს, ან გულით დაეზავების...  
ოხრად დარჩების ღიდება, სახლი, საპყოფი სრავების“

(„ლეილი“, 213),

„უკულმა ბრუნვა ჩარხისა არ გაიმართვის ჭიდებით“.

(„ლეილი“, 135);



ან კიდევ შოთა:

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთბავან რჩებინ,  
იშეებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან“ (267),

თეიმურაზი:

„სოფლის ნივთთა შემსკვალული კაცი ბოლოს გამწარდების“  
(„ლეილი“, 197);

„არვის გაუშვებს სოფელი, ბოლოდ არ დაუშხამდება“

(იქვე, 215),

„რა გვინდა ყოფნა სოფელსა, რად არა დავიმაღლებით?

ლხინსა მოგვეცემს და წაგვართმევს, ვით ნახესხებსა ვალებით“  
(209).

4. იდენტური აზრები აქვთ გამოთქმული შოთას და თეიმურაზს სიბრძნე-სიბრიყვის შესახებ:

შოთა:

„გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“  
(784);

თეიმურაზი:

„ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოილოს,  
უგბილმან და უგუნურმან ვერა რაჟე წაჰოილოს“ („ვარდი“, 2);

5. სიკვდილის პირუთვნელობა და ყოვლადშემძლეობა ერთნა-

ირად აქვთ ათვისებული ჩვენს პოეტებს—

შოთა:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,  
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი“ (684),

თეიმურაზი:

„არ გააჩრევს მცირე, დიდსა, უფალსა, თუ მონა შენსა“

(„ლეილი“, 214);

„დიდი იყოს, განა მცირე, იგი (სიკვდილი) არვის მოეთნების“

(„იოს.“, 262).

6. „ჭირსა შიგან გამაგრების“ თეორიაც ერთნაირად ესმით შოთას და თეიმურაზს—

შოთა:

„ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ჭირია!“ (810);

„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“,

თეიმურაზი:

„მაშინ უნდა შევლა-რგება, როდეს კაცსა დაეჭირა“

(„ლეილი“, 54);

„ვინ ხელჰყოფს ძნელსა საქმესა, ხამს თავი გაიმწაროსა“

(„იოსებნი“, 6) და სხვ.

აქვს თეიმურაზს დამოუკიდებელი თავისი აფორიზმები და სენტენციებიც, მაგრამ საგანგებო ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგ:

1. „სცანთ, უცილოდ გარდახდების—კაცი იქმსო რასაც ავად“

(„ლეილი“, 126);

2. „ძნელი არის მოჭირვება, კაცს თუ ბედმან არ უბედა“

(„ლეილი“, 133);

3. „ხამს, თუ ვიყვნეთ მოწყალებით, ვითა გვმართებს მისგან კმნილსა“ („ლეილი“, 157) და სხვ.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზს თითქმის არაფერი აქვს ნათქვამი სოციალურ საკითხებზე. გულდასმით გადავსინჯეთ ოთხივე ნაწარმი, მაგრამ რაიმე ხელწასაჭიდებელი ვერა ვპოვეთ რა (ვგულისხმობთ მის ნათქვამს, სუბიექტურ შეხედულებას...)

ტფილისი.

აგვისტო 1932 წ.

## ლექსიკონი <sup>1)</sup>

ა

აახვნა (ლ. მ. 76-<sub>1</sub>) გაალო, გაახილა.

აბარებდეს (ი. წ. 286)

1. დააბარა;
2. ბარით თხრიდა;
3. ჩააბარა, მიანდო.

აბასა (სამღურავე 14-<sub>3</sub>) დააბას, შიამაგროს.

აბაში ზანგი, აბესინელი.

აბდულ-ამირი იხ. ამირ-აბდული.

აბელი ბიბლიური ადამის ერთ-ერთი შვილი.

აბრამი ებრაელთა პატრიარქი.

აგე (გაზ. შემ. 85)

2. განაწყვე, მომართე;
3. გადააგდე, წაიყვანე;
4. ააშენე.

<sup>1)</sup> ტექსტით სარგებლობის გაადვილებების მიზნით სიტყვები ლექსიკონში მოცემულია უმთავრესად იმ სახით და იმ ფორმით, როგორც ეს თვითონ ტექსტშია. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც სიტყვას აქვს ტექსტის თვალსაზრისით ლოკალური მნიშვნელობა.

საერთოდ ლექსიკონის შედგენის დროს გამოვიდოდა იმ მოსაზრებიდან რომ გამოცემა აკადემიურ-პოპულარული ხასიათისაა და ამიტომ ზშირად მოტანილია ისეთი სიტყვების ახსნაც, რომელთაც სხვა შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

ლექსიკონით სარგებლობისათვის საჭიროა შემდეგი განმარტება:

1. ლოკალური მნიშვნელობის სიტყვას თან მოსდევს (ფრჩხილებში) ნაწარმოების დასახელება; ტექნიკური გაადვილების თვალსაზრისით ნაწარმოებთა სათურები უბრჭყალებოდაა ნაჩვენები.

2. პირველი (დიდი) ციფრი აღნიშნავს სტროფს, ხოლო მომდევნო (მომცრო)—ტაქსს.

3. როდესაც ესა თუ ის სიტყვა ერთ სტროფში რამოდენიმეჯერ მეორდება სხვადასხვა მნიშვნელობით, ჩვენ ასე ვიკცევით: ჯერ ვსააელებთ ნაწარმოებს, გვერდით ვუწერთ სტროფს, ხოლო ქვეშ ცალკე ტაქების აღმნიშვნელ ციფრის პირდაპირ სიტყვას განვმარტავთ:

მაგალითისთვის.

უ დ ე ბ და (იოს. ხილ., 85)

1. დად უხლიდა;
2. უნთებდა, უკიდებდა;

ლ ე ჯ ს ი კ ო ნ ი

შედგენილია გ. ჯაკობიას მიერ.

ავეთი ასეთი.  
**ავვისტოანი** ავვისტო.  
**ავაზი** წყლის ბასენი, აუზი.  
**ავახხეთ** (შ. ფ. 25-<sub>2</sub>) ასეხხეთ, ვა-  
 ლად მიეცით.  
**ავთანდილ** „ვეფხისტყაოსნის“ გმი-  
 რი.  
**ავლი** ფერფლი.  
**ავატობა** თავისუფლება.  
**ავიღვა** აწევა.  
**ავრაველი** (წამება 30) აზრაილი,  
 ჰაზრაველი-ბოროტი ანგელო-  
 სი, სულთა მსუთავი.  
**ავრება** აზრად მოსვლა, მოფი-  
 ქრება.  
**ავასული** ათასად ქცეული.  
**ათებული** გაათკეცებული, ათად  
 ქცეული.  
**ათენი** ათინელი, ბერძენი.  
**აიხრა** (მაჯამა)  
 VI, 4-<sub>2</sub>-დაისრა, დალახვრა;

VI, 4-<sub>1</sub>-აი სრა, აი სასახლე.  
**აკაზმული** მორთული.  
**ალა** (მაჯამა VII-<sub>18</sub>)  
 2. ალი (ცეცხლის);  
 3. საფქვილ ქასრი;  
 4. „მთვარის პირის ლიბრი“  
 (საბ.).  
**ალაბი** ალუბო (ქალაქია სირიაში).  
**ალალი** მართალი, ნებადართული,  
 მართებული, სამართლიანი.  
**ალამებული** აფრიალებული.  
**ალამი** დროშა, ბაირალი.  
**ალაფი** ომით და რბევით შეძენი-  
 ლი რამ, ნადავლი.  
**ალექსანდრე** (წამება 9-<sub>1</sub>) თეიმუ-  
 რაზის უმცროსი შვილის სა-  
 ხელია.  
**ალვა** შაქრით და თაფლით შეზა-  
 ვებული ტკბილი საკმელი.  
**ალვა** სამოთხის ხე, ალვის ხე; სუნ-  
 ნელი.

3. აძლევდა;
4. ნებდებოდა.

ე. ი. სიტყვა „უღებდა“ გვხვდება „იოსებ-ზილიხანიანი“-ს მე-85 სტროფში და ცალკე ტექსტებში მას, მოტანილი მნიშვნელობა აქვს. „მაჯამის“ ჩვენების დროს გამოყენებულია რომაული ციფრი ამა თუ იმ თავის აღსანიშნავად; „ანბანთ-ქება“ში გასაგები მიზეზით სტროფების აღმნიშვნელი ციფრების ნაცვლად გამოყენებულია ასოები. შემოკლებათა განმარტება:

1. ვ. ბ. = „ვარდ-ბულბულიანი“.
2. შ. ფ. = „შამი-ფარვანიანი“.
3. ლ. მ. = „ლეილ-მაჯნუნიანი“.
4. იოს. ზრლ. ან ი. ზ. = „იოსებ-ზილიხანიანი“.
5. გაზ. შემ. შ. გ. = „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“.
6. წამება = „წამება ქეთევან დედოფლისა“.
7. საბა = ს. ს. ორბელიანს, ე. ი. ახსნა საბა-სულხან ორბელიანის ლექსი-  
 კონიდანაა ამოღებული.
8. ბიბლია — ბიბლიაშია (დაბადებაში) ხსენებული.

**აღვა** ალის მოღება, მოკიდება.  
**აღიფი** ა, პირველი ასო არაბულ  
 აღფაბეტში.  
**აღუა** წრე, სალტე.  
**ამად** ამიტომ, ამისთვის.  
**ამაზრუნე** ურუნტელის მომგვრე-  
 ლი.  
**ამალე** ზაფრა, ბნედა, ელდა.  
**ამანი** ამინი, დასტური.  
**ამართლა** გაამართლა.  
**ამარტი** ძვ. ქვა, ქარვა.  
**ამბარი** საკმეველი ნივთიერება, სუნ-  
 ნელი (ზღვის მცენარეა).  
**ამბარჩი** (წამება 69-<sub>1</sub>) მამა, მარ-  
 წუხი, ჩქიფი.  
**ამებად** საამებლად, სასიამოვნოდ.  
**ამენი** ამინი, დასტური, თანხმობა  
 (იხ. ამანი)  
**ამერი** ამ მხარის, აქითა მხარის;  
 აქაური; მიწიერი.  
**ამინა** მაჰმადის დედის სახელია.  
**ამირა** უფროსი, ბრძანებელი, ოლ-  
 ქის გამგე.  
**ამირ-აბდული** ბაზიყას მამა (იემე-  
 ნის მეფე).  
**ამო** საამური, სასიამოვნო.  
**ამოზიდვა** ამოყვანა.  
**ამოლიგება** ამოსვლა, აყვავება.  
**ამოყორებენ** (ვ. ბ. 50-<sub>3</sub>) ავსებენ.  
**ანა** ლეთისმშობლის (მარიამის) დე-  
 დის სახელია.  
**ანაბარი** ჩაბარებული.  
**ანაზღად** მოულოდნელად, უეცრად.  
**ანახებრივი** ანასავით, ანას მსგავსი  
 (იხ. ანა).  
**ანდამატი** მაგნიტი.

**ანტემან** (ან. ქება III, ზ-<sub>2</sub>) ანტე-  
 ქრისტემ.  
**არა ბედსა** (ლ. მ. 140-<sub>3</sub>) უბედურსა.  
**არაბედსა** (ლ. მ. 140-<sub>1</sub>) არაბეთსა.  
**არამი** (საარმო)—ჰარამხანა.  
**არამი** ცუდი, უვარგისი, საზარალო,  
 უკანონო, ურიგო.  
**არარატი** მთის სახელია (სამხრეთ  
 კავკასიაში).  
**არღაგი** ტანსაცმელი; წელთა სახვე-  
 ვი.  
**არე** არის  
**არე** მიდამო, მხარე, კუთხე.  
**არეოპაგელი** დიონისი არეოპაგი-  
 ტი, ათინელი ფილოსოფოსი.  
**ართა** (ლ. მ. 173-<sub>4</sub>) შუურია, გაუ-  
 რია.  
**არია** (მაჯაბა VIII, 11-<sub>3</sub>) ცთომილი  
 მარბიხი, მარსი.  
**არისტოტელე** ძვ. საბერძნეთის  
 ცნობილი ფილოსოფოსი და  
 სწავლული (IV ს. ქრ. წინ).  
**არიფი** ამხანაგი, ტოლი, მეგობარი,  
 თანამესუფრე.  
**არმალანი** საჩუქარი, საბოძვარი.  
**არმება** იხ. არამი  
**არმური** ცეცხლის ალი; სიწითლე.  
**აროხა** (ი. ზ. 6-<sub>2</sub>) არასოდეს.  
**არსება** (ი. ზ. 301-<sub>3</sub>) დაარსება,  
 გაჩენა.  
**არსი** არსებული, ქვეყანა.  
**არღავანი** მეტად წითელი, პურ-  
 პური; ხუნნელოვანი მცენარე.  
**ასახებლად** (მაჯაბა I, 3)  
 1. ასაგებად, ასახევად;  
 2. ასასახავად, გამოსახატავად;

3. ასახვევლად, ხედ ქცევა;  
 4. ოხვრად.  
**ასერა** (მაჯამა III, 3)  
 1. აკუწა, დაქრა;  
 2. აბატონა; ან: აცქირა;  
 3. აქვერეტინა, სეირი ანახვა;  
 4. აეხშმა (სერობა-დან).  
**ასმათი** „ვეფხის ტყაოსნის“ გმი-  
 რი ქალის სახელია.  
**ასმოდა** გაუგონია, მოუსმენია, ყუ-  
 რი მოუკრავს.  
**ასოს** (მაჯამა II, 5)  
 1. დარგოს;  
 3. ასვას, დაალევენოს.  
**ასპარეზი** მოედანი, სარბიელი.  
**ასპიროზი** ცთომილი ვენერა.  
**ასხემდა** ასხამდა.  
**აუგი** დასაგმობი, საკიცხავი; სირ-  
 ცხელი.  
**აფუცებდა** აფიცებდა.  
**აკაქით** (ლ. მ. 156)  
 1. აყიყი, ძვ. თვალი;  
 2. აფორიაქებით;  
 3. აქეთვენ, ამ მხარეს;  
 4. აქ აქებთ, აქეთ.  
**ალად** (გაზ. შემ. 15-4) იხ. ალა.  
**ალღუმი** პარადი, ჯარების დარა-  
 ზმულობის შემოწმება, ჯარის  
 შეკრება.  
**ალღარენ** (ანბ.ქება III, 3-2) გაუმ-  
 ხილე, აღვიარე.  
**აყიყი** ძვ. ქვა, არღავანი, მეწამუ-  
 ლი, მეტად წითელი.  
**აშტკობა** არშიყობა, ტრფობა.  
**აშტი** (გრემი 2-1) სიმშვიდე, სიწ-  
 ყნარე (?)

**აწვივნეს** მოიწვიეს, იხმეს, დაბა-  
 რეს.  
**აწინდელი** ახლანდელი.  
**ახავი** (წამება 19-1) მომთქმელი,  
 „ახ“-ის მძახებელი;  
**ახება** სწორად, მართლად თქმა.  
**ახება** შეწუხება, დამწუხრება.  
**ახეგდა** (ი. ზ. 95-3) ხედ იქცა.  
**ახეგდეს** (ლ. მ. 18)  
 1. ხედ იქცეს;  
 2. მოთქვანდეს.  
**აჯა** თხოვნა, ვედრება.

ბ

**ბაბი** შესაფერისი, ღირსეული.  
**ბაგე** ტუჩი.  
**ბადრი** სავე (მთვარე).  
**ბადაზანი** ქალაქი და პროვინცია  
 ავღანისტანში; აქედან: ბა-  
 დანში, ბალანში—ლალი, (ბა-  
 ვეთა ებითეტი).  
**ბადაზში** იხ. ბადაზშანი.  
**ბავლი** ფრინველი.  
**ბაზში** სანაოი.  
**ბაკში** სინათლის დისკო, რკალი.  
**ბანბა** ბამბა.  
**ბანი** სახლის ერდო.  
**ბარე** ბარემ.  
**ბარი** ვაკე, დაბლობი.  
**ბარი** რკინის ნიჩაფი.  
**ბარჯა** (ი) (ვ. ბ. 93-4) ჯოხი; აქ-  
 ძალდატანება.  
**ბასრა** ქალაქი მცირე აზიაში.  
**ბახრა** (ლ. მ. 207)  
 1. ბასრა (ქალაქი)  
 3. მჭრელი.



**ბასრი** მახვილი, მკრელი.  
**ბასრობა** გაკილვა, გაკიცხვა.  
**ბაღა** კუ.  
**ბაღდადი** ქალაქი მცირე აზიაში; ხალიფების რეზიდენცია.  
**ბეღითი** ცული, უვარგისი, უმიზნო.  
**ბეღავლათი** ბედს მოკლებული, უიღბლო, უხეირო.  
**ბედ-ქმნილი** ბედმოცემული, ბედნიერი.  
**ბევრი** ათი ათასი.  
**ბეზირგანი** ვაჟარი.  
**ბელზებელი** ეშმაკი, ბოროტი სული.  
**ბენიამენი** იაკობის მეთორმეტე შვილი (ბიბლია).  
**ბერი** სასულიერო პირი: მოხუცი.  
**ბერძნულენი** (წამება 30-2) ბერძნული ენით, ბერძნულად.  
**ბერწი** მშობიარობის უნარს მოკლებული, უნაყოფო.  
**ბილჯი** საბაელთ მეფე, გადმოცემით მისთხოვდა სოლომონ ბრძენს.  
**ბილწი** ჭუჭინდური, ქუჭყიანი.  
**ბიჯი** ნაბიჯი.  
**ბნელა** მწუხარება, გონების დაკარგვა.  
**ბოჟონი** სამსხვერპლე, ხატის ან კერპის დასასვენებელი ბოძი.  
**ბორია** ქარი,  
**ბოღრატი** (ი. ზ. 62-2) ჰიპოკრატე, მედიცინის მამამთავარი.  
**ბოძებული** (ვაზ. შგმ. 4)  
 1. მოცემული, ნაჩუქარი;  
 2. ბოძად, სვეტად ქცეული.

**ბრალი** დანაშაული.  
**ბროლი** გამკვირვალე თეთრი ქვა.  
**ბუთი** კერპი, ძეგლი.  
**ბუჯი** სამხედრო საყვირი.  
**ბურთნი** (ი. ზ. 181-2) აქ ძუძუების ეპითეტია.  
**ბურჯი** კოშკი, სვეტი, ბოძი.  
**ბუქი** ქარი თოვლის დროს, თოვლიანი ქარი.  
**ბღუჯი** მუჭი.  
**ბქობილი** იხ. გაბკობა.

გ

**გააზატება** განთავისუფლება.  
**გააზრება** მოფიქრება, მოსაზრება.  
**გაათასე** (წამება 4-1) ათასად აქციე.  
**გაალება** ალად ქცევა.  
**გაარმება** გაფუჭება, გაცუდება.  
**გაახვანეს** გააღეს.  
**გაბაონი** მთა პალესტინაში.  
**გაბარგულად** ბარგი შეკრული ამ ქვეყნით წასასვლელად, ე. ი. გარდაცვლილა, მკვდარი.  
**გაბასრვა** იხ. ბასრობა.  
**გაბასრული** გალანძღული.  
**გაბჭობა** გაბაასება, საუბარი.  
**გაგაწყროს** (ი. ზ. 92-2) წყრომა გამოიწვიოს, გაგაგულისოს.  
**გადავხილი** იხ. გავხილი.  
**გაემგუნეს** (ი. ზ. 175-2) არ მიიკარეს, უცხოდ ჩათვალეს.  
**გაესთვლებს** (ლ. მ. 183-4) იხ. სთვლობა.

**გაეფინოს** (ი. ზ. 134-2) გამლაშქარაედეს, გამელაენდეს.

**გაეწვალა** გაეშიშვლა, გაეტიტვლე-ბინა.

**გავაზი** შევარდენი.

**გავისა** (შ. ფ. 38-3) (კუდი, ავი და-გემარტება).

**გავსილი** საესე; (ძთვარის ეპითე-ტია).

**გაზი** მარწუხი.

**გაიხვია** (ვ. ბ. 14-2) გაიხვიადა, გა-ნიდიდა.

**გაილალა** გაიწითლა, გაწითლდა.

**გაირცხების** (გაზ. შემ. 24-1) გაი-რცხება.

**გაიცადა** (ლ. მ. 24)

1. გამოიცადა, ეცდუნა;
2. განიცადა.

**გაიცადა** ნახა.

**გალაღებული** იხ. გაილალა.

**გალაყბაება** ლაყბობა, ლაპარაკი.

**გამალებულიად** აჩქარებულად, ჩქა-რად.

**გამამერცხლოს** მერცხლად მაქ-ციოს.

**გამაყვიაენი** (ვ. ბ. 71-3) გამა-ყვითლე.

**გამაძე** გამაძევე, ვარედ ვამაგდე.

**გამიცდიხარ** (ი. ზ. 53-3) გამირჩე-ვიხარ, მინახავხარ.

**გამოძებული** გამოძევებული, გამო-გდებული.

**გამოჭვირვა** ჩენა, გამოხედვა.

**განაბარი** მიბარებული.

**განაფარდსა** (მაჯამა VI, 7).

1. გავარდნას, გაქრას;

3. გან აფარდსა—განზე აფარ-დება;

4. გავარდნას (ხელიდან).

**განათვლით** (წამება 53)

2. ჩათვლილი, მიკუთვნილი;
3. მოკაზმული.

**განაკითხვა** (წამება 24-2) განკით-ხვა, მოხედვა.

**განალამცა** თუმცა.

**განაწონები** განგმირული.

**განგება** მართვა, გამგებლობა.

**განექსული** სიბრძნე ათვისებული; ბრძენი

**განექსული** შეწყობილი.

**განიგულეზს** განიზრახავს, მოი-სურვეზს.

**განკიდული** განშორებული (იხ. კიდე).

**განპოხებული** გაპოხიერებული, გა-ნოყიერებული.

**განრინებული** თავცილებული.

**განრინება** აცდენა, აცილება.

**განსხმა** გამოყვანა.

**განქჩება** გალანძღვა, დაგმობა უპატიოდ ხსენება.

**განყენება** უკუგდება; განდგომა.

**განხმობა** ვალება.

**განხმული** გახსნილი, ღია.

**განჯა** ქალაქი განჯა (ძველთაგან სპარსეთის ადერბეიჯანის სა, ტახტო ქალაქი).

**განჯაფა** სათამაშო ქალაღღა ბან-ქო.

**გარ** გარშემო, ირგვლივ.

**გარდაგედვა** (ი. ზ. 172)

1. ვალაგედვა;

2. მოგეკიდა;  
3. დაგიდევს.  
**გარდამაქცევ** (წამება 1)  
2. დამქცევო, დამამზობელო;  
3. გარდამქცევო, შემცვლელო.  
**გარდახდების** (ლ. მ. 126.4) სამა-  
გიერო მიეზღვის.  
**გარდახდომა** გავლა, გადასვლა, გა-  
თავება.  
**გარება** გარედ ქცევა, გარედ წასკ  
ვლა.  
**გაპირეს** (ი. ზ. 216-1) გააპირეს,  
განიზრახეს.  
**გახავრდონი** (გაზ. შემ. 39-4)  
უარსაყოფი, დასაგდები.  
**გახაზვიანი** საამაყო, განსაღიღებე-  
ლი.  
**გახალებული** სალად ქცეული, გა-  
მაგრებული.  
**გახამთელი** გასაჯანსაღებელი, მო-  
სარჩენი.  
**გასარონი** გასაველი.  
**გაუშლილი** გაუშლელი.  
**გაქიქება** დამარცხება, არარად ქცე-  
ვა.  
**გაყვენ** (წამება A-4) გაყავი, დაა-  
ნაწილე.  
**გაქონდეს** გქონდეს.  
**გალიმდეს** გაიღიმოს, გაიცინოს.  
**გაშეთება** იხ. შეთ ი.  
**გაჩათრული** იხ. ჩათ რ.ი.  
**გაძაბვა** გაჭიმვა.  
**გაძოწება** გაწითლება.  
**გეხამანია** გეთესმანიის ბალი (სა-  
დაც ბიბლიური გადმოცემით  
შეპყრობის წინ ლოცულობ-  
და ქრისტე).

**გახოკილი** იხ. ხოკვა.  
**გებული** აგებული, აშენებული;  
ყოფი.  
**გესათნეო** იხ. სათნო.  
**გეშტი** სეირნობა.  
**გეჩიტი** ჩიტად გექცევი (ე. ი. ბულ-  
ბული ჩიტად იქცევა—თავს  
იმცირებს, იმდაბლებს).  
**გეხარა** (სამღურავი 24)  
2. გეუწყა;  
3. ხარად გექცა, ე. ი. სქესო-  
ბრივი კავშირი დაიკავა.  
**გვემა** ცემა, ტანჯვა.  
**გვენაყოფის** ნაყოფად გვექცევა.  
**გვიც** გვაქვს, გვიძევეს.  
**გვიჩნს** გვიჩანს.  
**გზნება** წვა, ცეცხლის გება.  
**გიშერი** იხ. სათი.  
**გობანი** გობი.  
**გოგრა** კვახი.  
**გოვარი** (გოპარი, გუარი)—ძვ. ქვა,  
მარგალიტი.  
**გოლეული** თაბული.  
**გოლი** ტკბილი, თაფლით შეზავე-  
ბული ცომი.  
**გონი** გონება.  
**გორებენ** გორაობენ, კოტრიალო-  
ბენ.  
**გორი** გორაკი, ამალღებული ადგი-  
ლი; რაიმე ნივთობის სიდი-  
დის ან სიმრავლის სინონიმი).  
**გოშია** მომცრო ჯიშის ძაღლი.  
**გრაგნილი** დახვეული.  
**გრაკი** ბრაწის ხე.  
**გრძნება** გრძნეული.  
**გუგა** თვალის კაკალი.

გულოსა (გრემი 2-2) კარდსა.

გუმბადი (გუმბაზი)--გუმბათი; აკლ-  
დამა.

გუნდრუკი საკმეველი, სურნელო-  
ვანი ნივთიერება.

გურგანი ოლქის სახელია ჩრდილო  
სპარსეთში.

გურჯი ქართველი.

დ

დაამბრა ამბრად აქცია; იხ. ამ-  
ბარი.

დაარიდა დააცილა.

დააშრევ (გაზ. შემ. 8-1)  
იხ. დაშრობა.

დააშტერა (ლ. მ. 171-2) გააკვი-  
რვა.

დაბადება ბიბლია.

დაბახა გაბასრა.

დაბუნდებული ბინდგადაკრული,  
დაბნელებული.

დაგარა (გაზ. შემ. 77-2) დაწვა, და-  
დავა.

დაგებასო (მაჯამა V.1-1) გება-  
ასო, გემუსაიფო.

დაგვიც (გვ. ბ. 22-2) დაგვიდევს,  
გადაგვიდევს, მოგვიცია.

დაგი ცეცხლი.

დაგევართ (ლ. მ. 149-1) მოეგვა-  
რებიით.

დაელტო (ი. ზ. 228-2) დაელბო.

დაეჭაშა (ლ. მ. 40)

2. დაედო, გაევლო;

4. დაება, მაშია შეეკრა.

დაეხენა სენად, ჰირად ექცა.

დაეცადა (ლ. მ. 204)

3. მოეცადა;

4. მოძულდა, შეეხარა.

დაეყო (მაჯამა I, 4)

1. დაეკეტა;

4. დაუნაწილდა, გაეყო.

დაეჭირა (ლ. მ. 54)

1. უარი უთხრა;

2. ჰირად ექცა;

3. შეწუხდა;

4. საჭიროდ გახდეს, დასჭი-  
რდეს.

დაეხვია (ი. ზ. 161)

3. დაუმარცხებია, უჯობნია;

4. გაეხვია, გაეხლართა,

დავალდენ (ი. ზ. 27-3)

დაიღალნენ, დაშვრენ.

დავალებული შესაბრალისი, ნაცე-  
მი, ტანჯული.

დავარ(ა) „ვეფხისტყაოსნის“ გმი-  
რი (ნესტან დარეჯანის მამი-  
და და აღმზღელი).

დავარდების (ი. ზ. 226-2)

მოიშლება, დაიღლება.

დავება (გაზ. შემ. 78)

1. დავა, ცილობა;

2. დაბმა;

4. ზებღურება.

დავედრული იხ. ვედრება.

დავითი ებრაელთა მეფე, ქრისტეს  
წინაპარი.

დავითო (ანბ. ქება I, ძ)

1. დავითი (სახ.);

4. დავით, ჩხუბით.

დავისხო (მაჯამა VI, 6)

2. დავისვა, წავისვა;

3. დავისვა, ჩავისვა;  
 4. და ვისო („ვის-რამიანის“ გმირი ქალის სახელია).
- დავრიში** დერვიში, მწირო, მაჰმა-  
 დიანთა ბერი.
- დავისილა** (ვ. ბ. 18-4)  
 დაქცეულა, დაღუპულა.
- დაზავება** იხ. ზავი.
- დაზმული** დაგვიანებული.
- დათხევა** დაქცევა, დაღვრა.
- დაიკვერცხოს** (ვ. ბ. 11-2)  
 სიცოცხლე ჩაისახოს, აყვავე-  
 ბა დაიწყოს.
- დაიშუნარა** (მაჯამა IV, 9-4) და იქ  
 ნარი დარგო (?).
- დაქინებულნი** დამცირებულნი, და-  
 პატარავებულნი.
- დაკოდვა** დაქრა.
- დაკრთობა** დაშინება.
- დალალა** (მაჯამა IV, 8)  
 2. დალალი, ვაჭარი;  
 4. დააქკნო, დააზრო.
- დალაღურად** (ი. ზ. 127)  
 1. ლალივით;  
 2. თმასავით;  
 4. მოტყუებით.
- დაღვედა** (ლ. მ. 117-4) გაათავებ-  
 და; დაამთავრებდა.
- დალია** (სამღურავი 16)  
 1. გაათავა;  
 2. შესვა.
- დალილა** საკ. სახელი—სამსონის  
 (იხ.) საყვარელი, რომელმაც  
 გასცა იგი ფილისტიმნელებს;  
 (ხშირად ენთიანობის და სი-  
 ლაპაზის სინონიმი).

- დამაზარა** (მაჯამა VII, 16-3)  
 წამამწარა.
- დამალება** დაჩქარება.
- დამალება** (მაჯამა VII, 10)  
 1. დამილურჯა, მცემა;  
 2. დაჩქარება;  
 3. დამალვა.
- დამანუკა** (ანბ. ქება I, თ-2)  
 მავდრა.
- დამარა** (ვ. ბ. 62-2) დამატარა,  
 მიმომავლო.
- დამართა** (ანბ. ქება I, ლ)  
 2. მიმართულება მისცა;  
 3. უქნა;  
 4. გამართა, გაასწორა.
- დამახული** დამასვენე, ამომასუნთქე.
- დამაშება** გაძნელება, გართულება.
- დამადგველი** დამწველი.
- დამეკვეთა** (ლ. მ. 37-1) ამეკრძალა.
- დამელრა** (მაჯამა II, 6)  
 1. გამითავდა, შემომაკლდა;  
 3. და აღარ მყავს, მომიკვდა;  
 4. დამასხი ტალახი, თავს-  
 ლაფი.
- დამელულა** დამძინებოდა.
- დამეტება** გადამეტება, გადაქა-  
 რბება.
- დამეშრო** (გახ. შემ. 2-1)  
 იხ. დაშრობა.
- დამხევანჯა** დამხვლართა; გამი-  
 ფუქდა
- დამიბაქოსა** (ანბ. ქება I, ვ-2)  
 დამაშინოს.
- დამიწვეო** დამისწორ, ღირსი გამ-  
 ხადე.
- დამოსა** (ვ. ბ. 79-2) შემოსა, ტანთ  
 ჩააცვა.

**დამყარება** დამკვიდრება, განმტკიცება.

**დანაბადი** არსება, დაბადებული, სულდგმული.

**დანაბერები** მოხუცებული; დაბერებული.

**დანაბუდი** დაბუდებული.

**დანაგზევსა** (მაჯამა VII, 7)

1. ანთებულს;
2. ნაგზურს;
3. მოკიდებულს; მოგზაენილს (?)
4. მიმსგავსებულს.

**დანაგზობა** დანთება.

**დანაგაღები** (ლ. მ. 228-2)

დაფერფლილი, დააღებული.

**დანაგედრები** იხ. ვედრება.

**დანაჯარსა** (მაჯამა VII, 14)

1. დაჯარებულს;
3. დაჯარულს, დამჯანარს;
4. შეწუხებულს.

**დანაჯრო** იხ. ზრობა.

**დანაჯრობდა** (ვ. ბ. 12)

1. ხარობდა, მოიღზენდა;
3. აღმოცენდებოდა, წამოიზრდებოდა;
4. გაიყინებოდა, დაქკნებოდა.

**დანათქისა** ბრალდებული, დამნაშავედ აღიარებული.

**დანამგზევსა** (მაჯამა IV, 5)

1. დანამსგავსას;
2. ანთებულსა;
3. გამოგზაენილს, გზად მომართულს.

**დანამყარი** იხ. მყარი.

**დანამკრელობა** სიკრელე, სხვაფერობა.

**დანარევსა** (მაჯამა VII, 2-2) მოგზაურს, მოხეტიალეს.

**დანარჩომი** დარჩენილი.

**დანასვა** გაცუდება, მოსხლეტა, მოდუნება.

**დანასობი** (მაჯამა VI, 3)

3. ნასი, გონჯი, უშნო;
4. გავესებული, სავეს.

**დანასული** იხ. ნასი.

**დანატარიო** (მაჯამა VII, 8-2) დანატრებული, მოსურნე.

**დანაცალი** (სამღურაეი 19)

- 1 მოკლილი, თავისუფალი;
2. მოსაცილებელი, მოსაშორებელი;
3. დატოვებული, უკუგდებული.

**დანაცრება** დაფერფლევა, ნაცრად ქცევა.

**დანაშრეტი** ჩამქრალი.

**დანაწყილი** დაწყებული, წამოწყებული.

**დანახუთსა** (წამება 16)

2. შეპყრობილს, დაპატიმრებულს;
3. მოქცეული, დაჭერილი.

**დანება** დანის კვრა, დანის სობა.

**დანთქმა** წყალში დაღუპვა, დახიობა.

**დანიელი** წინასწარმეტყველი დანიელი (ბიბლია).

**დარაკა** ფარი.

**დარაკა** (ლ. მ. 110-2)

დარეკა, ანიშნა.

**დარანი** (მაჯამა VIII, 20)

2. გამოქვაბული, სამალავი;
3. შესადარებელი;
4. და რანიც (რანი გეოგრაფ. სახელია).

**დარევა** (ლ. მ. 92)

1. დარობდა;
2. ჩაერია, გაერია;
3. ედარებოდა, ეტოლებოდა;
4. მორეული, ძლეული იქნა.

**დართული** იხ. **დართობა**.

**დარუა** (გაზ. შემ. 34-1)

რუდ აქცია.

**დარუა** (გაზ. შემ. 34-2)

დარია, კარგი ამინდია.

**დარჩობა** წაჭირვებით მოკვლა(საბა)

**დარენი** შესადარებელნი, ტოლნი.

**დარი** ამინდი.

**დარი** ტოლი, შესაფერისი.

**დართობა** დამატება, მიმატება.

**დარული** დარიანი.

**დასაყმიდად** დასამშვევად.

**დასობა** დარკობა.

**დასტახანი** ციხე, საპყრობილე.

**დასაბუჭმი** იხ. **ბუჭვა**.

**დასაპყრული** ჭირშეყრილი.

**დახაძე** დასადები, მისამატებელი.

**დახარეტი** ჩასაქრობი.

**დატმანნება** დამატება, დართვა.

**დაუხვიანი** დაუხვებელი, არ-ჩამქრალი.

**დაუზმელი** დაუგვიანებელი, დროული.

**დაუთარეს** (წამება 59-3)

თარად აქციეს, ე. ი. გაამაჰმადიანეს.

**დაუმორევა** უმეორებდა, მეორედ ეტყოდა.

**დაუნთქმავი** იხ. **დანთქმა**.

**დაუნვადა** (ი. ზ. 185)

2. გაუყარა, გაურქო;

4. მიაწოდა, გაუშალა.

**დაუნწებელი** დასაბამუქონელი, მარადიული.

**დაცუცება** დაფიცება.

**დაქოლვა** ქვის დაშენა.

**დასავალი** (გაზ. შემ. 46-3)

დასამცირებელი, შესაგინებელი.

**დახე** (წამება 4)

2. დასად, ჯგუფად აქციე;

4. დასი.

**დაყმუნებული** დადუმებული.

**დაყოვნება** დაგვიანება.

**დაშვრა** დაიღალა.

**დაშრომა** დაღლილობა.

**დაცდა** აცდა, გზას აუხვია.

**დაღება** სულის—სულის მოთქმა.

**დაღრეჯილი** მოწყენილი, მკმუნვარი.

**დაღრმოზილი** დაღვრემილი, მოწყენილი:

**დაყფება** დაძახება, ხმის ამოღება.

**დაყუდებული** დაწყნარებული, დამშვიდებული, თავშეკავებული.

**დაწყვეტა** შეწყვეტა, შეჩერება.

**დახარა** (ვ. ბ. 16-1)

დაბლა დასწია, მოდრიკა.

**დახარა** (ვ. ბ. 16-2)

გაიხარა, სიამოვნება გამოთქვა.

**დახდომა** ჩამოსვლა.

**დახვევა** იხ. ხევა.

**დახილვად** (წამება 83)

2. დანახვად, სანახავად;
3. განსახილველად;
4. დახრილად; ქვემაყურებლად.

**დახშობა** დახურვა; დაკეტვა.

**დაჯარებული** შეკრებილი, შეგროვებული.

**დაჯუფთილი** იხ. ჯუფთი.

**დგენა** ცხენთა ქნება.

**დგენა** გამოცდა.

**დება** მოდება, მოკიდება.

**დებული** (ი. ზ. 14).

2. განზრახული, სასურველი;
3. დაგდებული, მყოფი;
4. მოკიდებული, მოდებული (ცეცხლი).

**დედანი** (წამება 65-2)

ქალნი, დედაკაცნი.

**დედაწული** ქალ-ვაჟი, მთელი ოჯახი, ყველანი.

**დელი** გიჟი, გახელბებული.

**დელო** ნაცარტუტა.

**დელოზდა** (ი. ზ. 287-3)

გიჟობდა, ხელოზდა.

**დია** დიღ, კი.

**დაცურავით** დიაცურად, ქალურად.

**დიაც** ურავით ქალი მწუხარე.

**დივანა-დელოზა** (ლ. მ. 152-2)

სიგიჟე, ხელობა.

**დიმეშვი** საკ. სახელი (მამაკაცის სახელი).

**დიმეშვი** დამასკო (ქალაქი სირიაში).

**დიონოხი** იხ. არეოპაგელი; ან: დიონისი ჰალიკარნასელი (ბერძ. ისტორიკოსი და ორატორი).

**დიჯლა** მდინარე ტიგროსი (წინა აზიაში).

**დოვლათ-სვიანი** ბენდიერი.

**დორი** ბალიში, სასთუმალი (ტლანქი მასალიდან).

**დოხტაქანი** დიდი სასმისი, ქურქელი.

**დოშაქი** ქვეშაფენი (მდარე ხარისხის).

**დრაჰკანი** ოქროს ფულის საზომი.

**დურაჯი** გარეული ფრინველი.

9

**ებუროზ** (ე. ბ. 47-3)

თავს ესხას, ეხუროს.

**ეგეზის** შეიძლება, შესაძლებელია.

**ედემი** სამოთხე, სამოთხის ბაღი.

**ევა** პირველი ქალის სახელია (ბიბლია).

**ეზომი** ეგზომი, ამდენი.

**ელენი** ელინი, ბერძენი.

**ელბა** (ილია) ილია წინასწარმეტყველი (ბიბლია).

**ემმლახტრო** მალამო, საღებუნი.

**ენა ჩავარდების** (ი. ზ. 226-4)

უსიტყვოდ იქცევა.

**ერანელი** ირანელი, სპარსელი.

**ერანი** ირანი, სპარსეთი.



**ერთსამარსება** მართლმადიდებელ ქრისტიანეთა ღმერთი.

**ეროდია** (წამება 14-3) ებრაელთა მეფე ეროდე (ბიბლია).

**ეტერები** (გაზ. შემ. 95-3) მოუვლი, ზრუნვას გამოიჩენ.

**ეტაკი** გზის მაჩვენებელი, შიკრიკი, მაუწყებელი.

**ეტლი** ზოდიაქო, ცთომილი, ხომლი; ბელი, ბედისვარსკვლავი.

**ეფეთა** (ლ. მ. 154-2) დაეწაფა, მიაშურა.

**ეფისა** (ლ. მ. 112-2) დაეხუტა; გადაიბურა.

**ექვსული** ექვსი.

**ეცო** (გ. ბ. 32-3) ეცვა.

**ეცო** (გ. ბ. 32-2) წამოეგო.

**ეშულადეს** იხ. შულდი.

**ეწამენითა** (წამება 52)

1. მოწმედ ექმენით;
2. იწამეთ, აღიარეთ.

**ეწივე** დაეხმარე.

**ეჭვობა** ფიქრი (ზმნა).

**ეჯი** მანძილის საზომი.

### გ

**გაგლახებული** ცუდ მდგომარეობაში მყოფი.

**გაება** მოთქმა, მწუხარება, ვა-ს დახილი.

**გამლილნო** (ი. ზ. 307-4) მლილად ვაქცხო.

**ვარდების** (ი. ზ. 226-3) ვარდობს.

**ვაქილი** ვეკილი; მოსარჩლე, დამცველი.

**ვეჭობო** იხ. ექვობა.

**ვეთნი** ზოგნი, ზოგიერთნი.

**ვინანი** ენანობ.

**ვინაზე** დავაზევე.

**ვინაზე** დავსველდი.

**ვინე** ვინ.

**ვინძლი** (ო) თუ შეგიძლია, იქნებ (შეგეძლოს).

**ვირ** სანამ, ვიდრე.

**ვირე** (გ. ბ. 56-2) ვილაც.

**ვირები** (ლ. მ. 235-1) წავალ, გავივლი, მივალ.

**ვირები** (ლ. მ. 70-3) დავდივარ, დავიარები.

**ვირმედი** სანამ; ვიდრე.

**ვისა** (ი) „ვის-რამიანის“ გმირი ქალი.

**გსებული** ჩამქვრალი.

### ვ

**ვათქი** ხმაურობა, ცხენთა ფეხების ხმა.

**ვაკვა** ეშმაკობა, ფლიდობა, დაუნდობლობა, ბოროტგანზრახულობა.

**ვამბახი** სურნელოვანი მცენარე.

**ვარდახში** ჭურჭელი (?)

**ვარი** ყვირილი, ყიყინა; მოთქმა.

**ვარი** (შემ. გაზ. 69-2) იხ. ძარი.

**ვარიფი** ლამაზი, კობტა, კეკლუცი.

**ვარხოში** მთავრალი, შექვიფებული.

**ვატიკობა** განთავისუფლება.

**ვაზი** ძახილი, ყვირილი.

ზე ზევით, მაღლა.  
**ზევესი** (ზევესი, ძევესი) ბერძენთა ღმერთი.  
**ზენა** ზეცა, განგება, ღმერთი.  
**ზენაარი** ფიცი.  
**ზესი** მაღალი; ღმერთი.  
**ზიდვა** იხ. აზიდვა.  
**ზილფი** თმა.  
**ზმიდი** (ლ. მ. 85-1) აკეთებდი.  
**ზომი** ზომა; იხ. ეგზომი.  
**ზორვა** კერპთმსახურება, მსხვერპლის შეწირვა.  
**ზრახვა** წუნის დება, გინება.  
**ზრახვა** სურვილი, განწყობა.  
**ზრეა** მოყინვა, ჭინობა.  
**ზრობა** ჭკნობა.  
**ზუალი** (ზოალი) ცთომილი სატურნი, კრონოსი.

თ

**თავნება** გასწორება, თანაბრად გახდომა.  
**თალხი** ბუქი, მოწყენილი (ფერი).  
**თამაშა** სეირი; სანახაობა.  
**თვალი** ძვ. ქვა.  
**თვინიერ** გარდა.  
**თინათინ** (ი) „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალი.  
**თნევა** მოფერება, ტკბილად საუბარი.  
**თოება** თოვლი.  
**თოკი** ბაჭარი.  
**თომა** ქრისტეს მოციქულთაგანი (ბიბლია).

**თრგუნვა** ძღვევა, მორგვა.  
**თუმბუთი** ტიბეტტი (ქვეყანა შუა აზიაში).  
**თუმბუთური** ტიბეტური (იხ. თუმბუთი).  
**თურეც** თურმე.  
**თულა** თუ კი, თუმც.  
**თხევა** იხ. დათხევა.  
**თხემი** ზეწვერი, თავი.  
**თხრული** ამოთხრილი, თხრილი.

ი

**იალალი** საძრვარი მთაში.  
**იაკობ** (ი) ებრაელთა პატრიარქთაგანი (იოსების მამა).  
**იამანი** (იამანეთი) არაბეთის ერთ-ერთი კუთხე, „ბედნიერ არაბეთად“ წოდებული.  
**იარა** კრილობა, წყლული.  
**იასა** (გაზ. შემ. 28-2) გაიასა, ასად აქცია.  
**იასამანი** სურნელოვანი მცენარე.  
**იახტანი** ხურჯინი.  
**იგონია** (ვ. ბ. 70-4)  
 გეგონოს, გეგულეზოდეს.  
**იღუმალი** ფარული, დამალული;  
**იფობა** გულუხვობა, პურადობა.  
**ივასხნა** ისესხა, ვალად აიღო.  
**ივნო** სასჯელი განიცადა.  
**ითაკილა** ეწყინა.  
**ითხე** (ი. ზ. 203-4) დავითოვე.  
**ილათი** მოხერხება, ღონისძიება, საშუალება.  
**ილია** იხ. ელია.  
**იმთენი** იმდენი

იმცონარა (ლ. მ. 70-4) შეეშინდა,  
მოერიდა.

ინა საღებავი (წითელი ფერის).

ინდი (ლ. მ. 60-2) შავი წამწამი,  
ხალი.

ინდოური ინდოეთელი.

ინდოს ქალი (ი. ზ. 226-1) ნესტან-  
დარეჯანი (იხ.).

ინება (ლ. მ. 46-3) მოისურვა, ნება  
გამოავლინა.

იოვანე (ანბ. ქება III, გ-3) იოვანე  
ნათლისმცემელი (ბიბლია).

იოკიმე „ღვთისმშობლის“ (მარი-  
ამის) მამის სახელია.

იორდანე მდინარე პალესტინაში.

იოსებ „იოსებ-ზილიხანიანი“ ს გმი-  
რი; იაკობის მე-11 შვილი.

ირაო ფრინველი (საბა).

ირები (ი. ზ. 250-2) გაივლი, იქნები.

ირეო იარეო, წადიო.

ისა იესო ქრისტე (ბიბლია).

ისაკი აბრაამის (იხ.) ძე.

ისარა (მაჯამა I, 1)

2. სახლად, სასახლედ გაი-  
ხადა;
3. სარად შემოივლო.

ისარებხ (მაჯამა I, 2)

1. სახლად, სასახლედ იქ-  
ცევს;
3. სარად შემოივლებს.

იხერებხა (ანბ. ქება II, ფ)

1. სერობაში (იხ.) მონაწი-  
ლეობას იღებს;
2. იმახვილებს.

იხკანჯანი (წამება 33) ტახტვა,  
წამება.

იზი ის, იგი.

ისრაელი ებრაელი.

ისუღღმერთა სულ ღმერთად გაი-  
ხადა.

ისწავეთ ისწავლეთ.

ისწორებ (გაზ. შემ. 17-4)  
ტოლად, სწორად იხდი

იშალა (მაჯამა IV, 12)

1. გაიშალა;
3. შალი ჩაიცვა.

იში ვიი-ვიში, მწუხარება, მოთქმა.

იწოლა (შ. ფ. 30)

1. იწვებოდა;
2. აილო, მიიწოდა;
3. დაერქვა, ისახელა.

კ

კაეშანი სეცდა, მწუხარება.

კავშირი სახსარი, ასო.

კაწმვა მორთვა.

კაწმული იხ. აკაწმული.

კაკრა სუროსებური მცეხარე; ხის  
გარეკანი.

კალო მიღამო, მხარე.

კამათი ქიშპობა, მეტოქეობა (სჯა-  
ბაასში).

კანდელი სანათური.

კანჯარი „გარეული ვირი“ (საბა).

კარე კარი.

კარვება დაბანაკება.

კარიოტელი (ანბ- ქება III, კ-2) იუ-  
და ისკარიოტელი (ბიბლიუ-  
რი გადმოცემით ქრისტეს გამ-  
ცემი).

კდემა მორცხვობა, მორიდება.

კეისარი რომის მეფე, იმპერატორი.  
კვართი პერანგი (ქრისტესი);

კვანი იხ. გოგრა.

კიდე გარდა, გარეშე; მხარე, კუთხე.

კიდება (გაზ. შემ. 61)

1. ჩაცმა;

3. აკიდება;

4. მოკიდება, დანთება.

კიდეგანად გარეშე...

კიდის-კიდე მთელი ქვეყანა, ყველა მიდამოები.

კინენი შუბი, საბრძოლველი იარაღი.

კირჩხიბი კიბო, ზოდიაქო.

კისკასი მკვარცხლი, მარჯვე, მოქნილი.

კრეტახამელი კარის ფარდაგი.  
კრთომა ბრწყინვა, კიანთობა.

კრკოლა თრთოლა.

კრონოსი ცთომილი ზუალი-

კრძალვა მორიდება, მოწიწება.

კუბო ტახტრევენი.

ლ

ლაღვა გარეკვა, გაღვნა.

ლაღი ძვ. ქვა წითელი ფერის.

ლამაზმანი ლამაზი, მშვენიერი, შნოიანი.

ლამი ტალახი, ლაფი.

ლამოზს აპირებს, განზრახვა აქვს.

ლარი განძი, სიმდიდრე; ძვ. ნიფთი, ნაქსოვი.

ლარნაკი კილობანი.

ლაღობა გამბედაობა, სითამამე; ნებირობა.

ლაყაბი ცუდსაუბრობა, ლაყობა.  
ლაში ტუჩი, ბაგე.

ლბილი რბილი; მშვიდი, ნაზი.

ლებვა დალურჯება (ცემისგან).

ლები ცემისგან დალურჯებული ადგილი; შემაძრწუნებელი ამბავი.

ლევანი (წამება 9)

1. ლევანი (თეიმურაზის შვილი);

2. კლება, კრთომა;

4. შესმა, დალევა.

ლიზლობა ცბიერად აღერსი, ლაქუცი, პირმოთნეობა.

ლიქნა იხ. ლიზლობა.

ლტობა დასველება.

ლუსკუშა საფლაფი.

მ

მაგრა მაგრად.

მაგრა მაგრამ.

მადინა მედინა, ქალაქი ჰეჯასში (არაბეთი); იქ ასაფლაფია მაჰმადი.

მაემანი წვეულება, სტუმრობა.

მაზა სასურველი, სანატრელი.

მაზად იხ. მაზა (საბა).

მაზები (ლ. მ. 113-4) მძებნელი, მთხოვნელი.

მაზმანებული (ი. ზ. 240-4) ჩამოშვებული, დაშვებული.

მაკედონელი ალექსანდრე მაკედონელი, ბერძენთა ცნობილი მეფე (მე-4 ს. ქრ. წ.)

მაღამი მაღამო.

მალეები ჩქარი, სწრაფი.

მაღვედა (ლ. მ. 117-1) მაღვედა.

მაღესვასა (მაჯამა VII, 1-2) მოღეს-  
სვას, გაღესვას.

მალი ჩქარი, სწრაფი.

მამერა (მაჯამა IV, 11)

2. მომერია;

3. მომეველო, მომეთვალთერე-  
ბინა;

4. რით მამე?

მანანა (სამღურავე 20)

1. ნანვა განმაცდევინა;

3. ტკბილი საკმლის სახელია  
(ბიბლია).

მანდეთ იქიდან, იქეთკენ.

მანცა იმანაც.

მარავი წერვი (ქალაქი შუა აზიაში  
თურქმენისტანში),

მარე ნალე.

მარე (ვ. ბ. 83-2) მაჩარე.

მარები მოარული, მსვლელი.

მართა საკ. ქალის სახელია (ლაზა-  
რეს და მარიამის და—ბიბ-  
ლია).

მართვე ბარტყი, ფრინველის (პა-  
ტარა) შვილი.

მარიხა ცთომილი მარსი.

მასუკან მის შემდეგ.

მაქა მექა, ქალაქი ჰეჯასში (არა-  
ბეთი) მაჰმადის დაბადების  
ადგილი.

მაქებაროზ (გაზ. შემ. 17-1) იქებ.

მაქთუბი სასწავლებელი, სკოლა  
(მაჰმადიანური).

მაქცეო (წამება 1)

1. მქცეველო;

4. თვალთმაქცო.

მაღალი ხშირად ღმერთის ეპითე-  
ტი.

მაღრიბი დასავლეთი (ივულისხმე-  
ბა მავრეთი: ალჟირი, ტუნის-  
სი, მაროკო...).

მაყლოვანი (ანბ. ქება III, მე-2)  
მალლობი.

მა შენსა (მაჯამა VII, 9)

1. მას შენსას;

2. მიშენს;

3. მაშინებს;

4. მაშ ენას.

მაზრიყი აღმოსავლეთი.

მახვედეს (ლ. მ. 18-4) მახედ აქ-  
ცევდეს.

მაჯუნთნი საკ. სახელია (ლეილ-მა-  
ჯუნთიანი-ს გმირი).

მაჯუნთნი სიყვარულისაგან გაგიჟე-  
ბული, შეშლილი.

მაჰმად (ი) მუსლიმანთა მოციქული  
(მუსლიმანური სარწმუნოების  
ფუძემდებელი მე-7 ს. ქრ. შემ).

მდავე მწველი, მდაგველი.

მდებელნი (წამება 20)

1. დამამწვიდებელნი;

2. მომდებელნი, წამქიდებელ-  
ნი;

3. მნათობნი.

მდელობა ამწვანება, აყვავება.

მეაღაფე იხ. ალაფი.

მეზარე მესაფლაფე.

მედგარი თავგამოდებული, შეუ-  
პოვარი.

მეეთლე ბუდის მრჩეველი, ასტრო-  
ლოგი.

**მეკარსა** (წამება 45)

1. სენალ შქმეკა;
2. მომეკაროს, მომწუდეს;
3. კარს [ვიძიებ];
4. მეკარეს [ვურეკავ].

**მელნის ტბა** შავი თვალები; თვალების მიდამო:

**მელობდეს** (ლ. მ. 232-1) მეღუ-რად იქცეოდენ, ეშმაკობდენ.

**მენამა** (იოს. ზილ. 8-3) ნამი მეპკუ-რებია, დამენამა.

**მენები** (ი. ზ. 277-3) მინდოდა, მენებადა.

**მერამლე** მკითხავი, ასტროლოგი.

**მესი** მესია, ქრისტე.

**მესია** ქრისტე.

**მესისხლე** სისხლის ფერი, წითელი.

**მესტროლაზე** ვარსკვლავთ მრიცხელი.

**მეყვისი** მეყვესულად, უცბად, ჩქარად, მოულოდნელად.

**მეჩიტი** მიზიტი.

**მეწამული** წითელი; მეწამული ზღვა (არაბეთის ზღე).

**მეჭირა** (ი. ზ. 46-1) ჭირად მექცა.

**მესმივნა** ხმა ამომელო, მეთქვა, მზაა მზად არის.

**მზაკველობა** იხ. ზაკვა.

**მზეულად** მზესავით.

**მზევდა** (ლ. მ. 37-3) მეზიდებოდა, მეწეოდა.

**მზობდა** (ი. ზ. 239-2) მზეს ენაცვლებოდა.

**მთიები** ვარსკვლავი, მნათობი.

**მთხოვლე** იხ. თრხოლვა.

**მიახლება** ახლოს მისვლა.

**მიღებენ** (ვ. ბ. 48)

2. დად გამხდინან;
3. განაჩენს გამომიტანენ;
4. მიწყნარებენ, მიმშვიდებენ.

**მიეფერება** (ლ. მ. 191-2)

ფერით ემსგავსება.

**მივის** მყავს.

**მიზანი** (ი. ზ. 81-1) სასწორი.

**მილდა** (ლ. მ. 45-2) მილად მოდიოდა ე. ი. ბლომად მოდიოდა.

**მიღები** (მაჯამა VII, 7)

1. წყლის მილი;
4. დამილურჯე.

**მიმამური** მოსწრაფე.

**მინა** (ი. ზ. 21-3) მინდა.

**მინარა** მუსლიმანთა სამლოცველო ადგილი.

**მინარბონი** სირბილით მისული.

**მინაშენდა** (ლ. მ. 199-1) სცემდა, ურტყამდა.

**მისანლა** სანდობი, საიმედო.

**მისანი** (მაჯამა VII, 1-1) მისნი.

**მისეულად** მის მსგავსად, მასავით.

**მისნობა** მკითხაობა, მარჩიელობა.

**მისრეთი** ეგვიპტე.

**მისრი** იხ. მისრეთი (ხშირად იხმარება ქალ. ქაიროს მნიშვნელობით).

**მისრულიყო** (ი. ზ. 152)

1. ეგვიპტური იყო;
3. მისულიყო;
4. ქცულიყო.

**მიუდარობდა** ედარებოდა, ემსგავსებოდა, ჰგავდა.

**მიუთხრობელი** უზომო, ბევრი.

**მიქია** (სამღურავი 15)

1. ქება შემისხამს;
2. მიქელ[გაბრიელი](ბიბლია).

**მიღება** წართმევა.

**მიწყევ** მუდამ, შეუწყვეტლივ.

**მიჯნური** შეყვარებული; იხ. მაჯ-ნუნი.

**მიჯრა** მიწყომა, მილაგება.

**მკვრელი** მემუსიკე, დამკვრელი.

**მკრებლი** შემკრები, შემგროვებელი.

**მკროთღვარე** ბრწყინვალე, მოელვარე.

**მკხინვარება** მაწყინარობა (სიცივის გამო), დაზიანება.

**მოაბადი** „ვის-რამიანის“ გმირი, ვისის ქმარი.

**მოაბადისა** ბადეში მოაქცია.

**მოაბერა** (ვ. ბ. 9)

1. დაჰბერა;
2. დააბერა, მოახუცა.

**მოანელი** (სამღურავი 8)

1. შეანელე, შეარბილე.
3. აგვიანებ, აყოვნებ.

**მოაყენა** (ლ. მ. 29-2) გაახმო, დააქენო.

**მოაწივე** (შემ. გაზ. 86)

1. მოამწიფე;
2. დამმართე;
3. მოიწვიე, დაჰპატიე.

**მოაწურვა** (მაჯამა IV, 13)

1. მოატანა, მოაქცია;
2. დასწყვიტა, დაწურა;
3. მოაწყურა;
4. „მოდი, აწ, ურვავ!“

**მოახლენი** (წამება 51)

1. ხელმყოფნი, (საქმის გამკეთებელნი);

2. ხელი მიადევს, მოუსევს;

3. ახალი; შესაფერისნი.

4. მხლებელნი,

**მოაჯე** იხ. აჯა.

**მოზირება** მოსყიდვა.

**მოგეფერი** გეფერები.

**მოგეცა** (სამღურავი 7)

1. მოგცემია, გქონია;
3. დაგეკეტა, დაგეხზო;
4. ჩაგეცვა.

**მოგვი** ქურუმი, სარწმუნოებრივი კულტის შემსრულებელი (კერათაყვანის მცემლებში).

**მოდებული** (გაზ. შემ. 4-4) ჩადებული, მდებარე.

**მოებოლა** (ლ. მ. 26-1) მოედვა, ბოლში გაეხვია.

**მოედების** (ლ. მ. 48-3) დად ერგება, დად ექცევა.

**მოელრი** (სამღურავი 9)

2. ლოდი დაგადონ;
3. ელვა, ჭეჭა;
4. მულიდი, ასასინი, (კაცის მკვლელი).

**მოვანება** შუქის შემოდგომა, ბრწყინვალეობა, მთვარის დანსგავსება.

**მოზიდვა** მოწვევა, დაჭიმვა, დაძაბვა.

**მოთნევა** მორიდება, მოკრძალება.

**მოთაროდეს** (ი. ზ. 305-2) იხ. მოდიოდეს.

**მოთიფობით** (ი. ზ. 305-2) იხ. იეთობა.

**მოისარხა** (იოს. ზილ. 116)

2. მოისპობა, განადგურდება;

4. ისრის მსგავსა.  
**მოისთვლებიან** (გაზ. შემ. 43-2) მოი-  
 კრიბებიან, მოიმკიან.  
**მოიძეოდა** მოიძებნებოდა.  
**მოკიდება** დაჭერა.  
**მოკიდულა** (ლ. მ. 35)  
 1. გადასულა, შეჭხებია;  
 2. ანთებულა, წაპკიდებია;  
 3. ადგილი დაუკავებია;  
 4. განკიდებულა, ე. ი. გაქ-  
 ცეულა.  
**მოლამდი** (იოს. ზილ. 311)  
 2. მოდი, მოგვევლანე;  
 3. მოლამდე (იხ. მოლა).  
**მოლაშება** განზრახება, სურვილის  
 დაბადება.  
**მოლე** მოლი.  
**მომიყინდა** შემირცხება; დამიჭკნა.  
**მონაგვანი** ვაბარწყინებული, დიადი.  
**მონადარა** (მაჯამა VI, 1)  
 1. დარი დააყენა;  
 2. შეეღარა;  
 4. არა მუნადად (მუნადი, მო-  
 ნადი—მზმოზელი, დაშქახე-  
 ბელი).  
**მონათა** (იოს. ზილ. 291)  
 1. მონებს;  
 2. გამოანათა.  
**მონაკიდე** (მაჯამა VI, 2)  
 1. კიდით-კიდე, მოკიდებული;  
 2. ნაკიანი;  
 3. მოკიდებული (ცმცხლი)  
 4. აკიდებული (ტივითი).  
**მონახაში** (ლ. მ. 136-4) ძალით მო-  
 ყვანილი, შიკრებული.  
 20 თ ე ი მ უ რ ა ზ I

**მონაშენი** (სამღურაეი 2)  
 2. გაჩენილი, ცოცხალი არ-  
 სება;  
 3. შეძენილი, გაშენებული;  
 სხლ-კარი და მიდამო;  
 4. ცემა, დაშენა.  
**მონაშენი** (ლ. მ. 214)  
 1. აღზდილი, გაჩენილი;  
 2. აშენებული, აგებული;  
 3. გატყორცნილი, ნასროლი.  
**მორება** ჯობნა, ძლევა.  
**მორებენ** (ვარ. ბულ. 50 1) მოდიან.  
**მორებით** (ვარ. ბულ. 59-1) მოს-  
 ვლით.  
**მორევა** იხ. მორება.  
**მორევად** (სამღურაეი 4)  
 2. მჯობნელად, მძლეველად;  
 3. წასაცხებად, წასასმელად;  
 4. ძლეულად.  
**მორევად** (მაჯამა VII, 5)  
 1. მორევენას, ჯობნას, ძლევას;  
 2. არევ-დარევას, მორევას;  
 3. მორევად (წყლის).  
**მორევა** სძლევა, სჯობნიდა.  
**მორეო** (ვარ. ბულ. 38-2) გაატარეო,  
 აამოქმედეო.  
**მორესწყინოდა** (ლ. მ. 134-2) მო-  
 წყენოდა, შეჩვეოდა, შესძუ-  
 ლებოდა.  
**მორჩი** ნორჩი, ქორფა.  
**მორჭმული** კმაყოფილი, საცხე,  
 მდიდარი.  
**მონახაში** დაღვრილი, დაქცეული  
 (სითხე).  
**მონახაში** ჩაცმული, მორთული.



**მონებური** მონასავით მორჩილი, დამჯერებელი.

**მოსამართლე** (აქ ღმერთის ებითე-ტია).

**მოსანთვლა** ზედაპირზე სანთლით დაფარვა.

**მოსაპურები** (იოს. ზღლ. 217-3) მოსასმენი, ყურსაგდები.

**მოსაწონელი** ასაწონავი.

**მოსაწონი** მოსაწონებელი.

**მოსე** ძვ. ებრაელთა წინასწარმეტყველი და წინაძლოლი.

**მოსწავებული** გონიერი, ბრძენი.

**მოსხმული** მორწყული.

**მოტანილდა** (ლ. მ. 45-1) მოტანილ იქმნა, მოიტანეს.

**მოუშენდეს** (ლ. მ. 142)

1. შურის გამო მოთქვამდეს, წუხდეს;

2. ირველივ აუშენდეს;

3. უშენდეს, სცემდეს.

**მოქენე** იხ. ქენება.

**მოყვასი** მოყვარე, მეგობარი.

**მოყვსი** იხ. მოყვასი.

**მოძებული** მოძებნილი, პოვნილი.

**მოწყალე** აქ: ღმერთი.

**მოჭრა** მოვარდნა, ამხედრებულად მოსვლა.

**მრბეველი** იხ. რბევა.

**მრული** გაუმართავი, არასწორი.

**მრჩობლი** გაორკეცებული, ორმაგი.

**მრწემი** უმცროსი, მცირე, ყმა-წვილი.

**მუდარა(ი)** ხვეწნა, თხოვნა.

**მუნ** იქ.

**მუნ არა** (მაჯამა IV, 9-1) იქ ატარა, არონინა.

**მუნაჯიბი** (მუნაჯიმი)--ვარსკვლავთ მრიცხველი, ეტლის (ბედის) მცნობი, ასტროლოგი.

**მუნებური** იქაური (იხ. მუნ).

**მუნეჯიმი** იხ. მუნაჯიბი.

**მუნიდალმე** იქიდანვე.

**მურასა(ი)** ხალასი, წმინდა; გამართული, სწორი; მოკახშული.

**მურევი** შავი.

**მურთუზალი** (წამება 30) რჩეული ალი (იგულისხმება ზალიფი ალი).

**მური** (მურევი) შავი, გაქვარტლული.

**მუხაფი** ყურანი.

**მუსურმანი** მუსლიმანი, მაჰმადიანი.

**მუტრიბი** მომღერალი, მოთამაშე, არტისტი.

**მუტრუკობა** კვიცობა.

**მუფარახი** ქმუნვის მოზიარე, სეგდის გამქარვებელი.

**მუქაფა** საჩუქარი, საბოძვარი, სამაგიერო.

**მუქფარი** მეტოქე, სამაგიეროს გადამხდელი.

**მულამი** მუსიკალური მელოდია.

**მულნი** მუსიკალური სიმებიანი იარაღი (ჩონგურის სახის).

**მუშთარი** ცთომილი იუპიტერი.

**მუშკი** საკმეველი ნივთიერება, სუნელი.

**მუხთალა** ვერავი, მოლაღატე.

**მქებობდა** (ვარ. ბულ. 80-4) ქებვას ამბობდა.

**მქისი** მოწყენილი; უნაყოფო, ბორკლიანი.

**მქრქალად** თეთრად, ნათლად.

შღვიმე გამოქვამული.

მყარი მკვიდრი, მტკიცე, მაგარი.

მყის მაშინვე, უტბად, იმავე წუთს.

მშველი დამხმარე.

მპიშრეული მოშიშარი, მოკრძა-  
ლებული; შორიდებული.

მცხინვარე მწველი.

მძაფრი ძლიერი, სასტიკი, ბო-  
როტი.

მწიკვლი ჭუჭყი, სიბინძურე.

მკვირვალ გამოკვირვალე.

მხცე მხცოვანი, მოხუცი.

მჯიღი მუშტი.

6

ნაწატები იხ. აზატო.

ნათლისა (გაზ. შემ. 13-4) მეთე-  
ლისა.

ნალაფევი იხ. ალაფი.

ნაბათი ატყორცნილი, ამართული.

ნაბჭობი იხ. გაბჭობა.

ნაგზობარი წაკიდებული, ანთე-  
ბული.

ნაგროზობა ახალი წლის დღესა-  
სწაული.

ნაზები ნაზი, შორიდებული.

ნაზრობა იხ. ზრობა.

ნათელი აქ: ღმერთი.

ნათელი (წამება 28)

1. სინათლე;

2. გათელილი;

3. უფრო ნათელი.

ნათლისმცემელი იხ. იოვანე.

ნალები ნაცემი, ნაცემი ადგილი.

ნანა (იოს. ზილ. 35-4) სინანული.

ნარკიზი სუნნელოვანი მცენარე.

ნარევსა (მაჯამა VII, 2-1) ნარ-  
ეკლიანს.

ნარი ეკალი.

ნარი (ლ. მ. 76-4) მამალი ცხოველი.

ნახი უშნო, გონჯი, არასასია-  
მოვნო.

ნასკვი კვანძი.

ნასული მოკაზმული, შორთული.

ნატრელები აჭრელებული.

ნაუბარი ნათქვამი, ნაამბობი.

ნახვა (წამება, 22)

1. შეხედვა;

3. შენახვა, შერჩენა.

ნახითა ნახვით.

ნღობანი (წამება, 64)

3. მინღობა, აღიარება;

4. სურვილი, ნღობა.

ნება სურვილი; სურვილის გამო-  
ჩენა, გამოვლინება.

ნებაუძოვრად ნების გარეშე, სუ-  
რვილის წინააღმდეგ.

ნები (იოს. ზილ., 52-3) ნებაყო-  
ფლობით.

ნებროთი ლეგენდარული (ბიბლი-  
ური) პირი, რომელმაც და-  
არსა ბაბილონის სამეფო.

ნეო კესარია გეოგრ. საზ., ქვეყანა  
მცირე აზიაში.

ნესტან-დარეჯანი ეფეზის ტყა-  
ოსნის“ გმირი ქალი.

ნიკომიღია იზმიდი (ქალაქი მცირე  
აზიაში).

ნილოზი მდინარე ეგვიპტეში.

ნიმატი ხასიათი; სიხარული.

ნიმი სასწაული.

ნიჭი საჭუქარი, ნაბოძვარი, სიმ-  
დიდრე.

ნობა (ნობათი) სამხედრო მუსიკა;  
რიგი, ჯერი, დარაჯობა.

ნულად არად, არაფრად.  
ნულლი ჩურჩხელა.

ო

ოთალი: ოთახი.  
ოთხთავი სახარება.  
ონარი (ვახ. შემ., 76-1) კაპათი.  
ონარობა იხ. ონარი.  
ოსტატი აქ: ღმერთი.  
ოჭარილი ცთომილი მერკური ანუ ჰერმესი.  
ოცება ოცნება, ფანტაზია.  
ოცებიო (ლ. მ., 205-2) გაოცქეცებული.  
ოცებიო (ლ. მ., 79-2) ოცი.

პ

პალატი სასახლე; დარბაზი.  
პასკა სააღდგომო ტკბილი პური.  
პატიჟი ტანჯვა, მწუხარება, სასჯელი.  
პატიჯი იხ. პატიჟი.  
პეტრე ქრისტეს მოციქული.  
პითალორა პითაგორე, ბერძენთა ცნობილი ფილოსოფოსი - მათემატიკოსი (VI ს. ქრ. წინ).  
პილატე რომის იმპერატორის მოადგილე ჟორიასტანში (რომლის დროსაც ბიბლიური გადმოცემით ჯვარს აცვეს ქრისტე).  
პკურება სხურება.  
პკურებული იხ. პკურება.  
პლატონი ბერძენთა უდიდესი ფილოსოფოსი (V-IV ს. ქრ. წინ).  
პონილი მსუქანი.

პროკლე პროკლე დიადოხოსი, ბერძენთა ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (V ს. ქრ. შემდეგ).

ჟ

ჟოლო გრიკი (ხე)—(საბა)  
ჟურვა გაწურვა, დაწმენდა, დალქვა.

რ

რაზა საკეტი.  
რამლი სამკითხაო ქვიშა; მკითხაობა.  
რამინი „ვის რამინის“ მთ. გმირა.  
რახტი სწორი, პირდაპირი.  
რაქელ იაკობის ცოლი, იოსებას დედა (იხ. „იოსებ ზილიხანიანი“).  
რაციფი მოქიშპე, მეტოქე (სიყვარულში).  
რბეჟულად (ლ. მ., 44-2) ვამოქცეულად.  
რბოლა სირბილი, გაქცევა.  
რება სიარული, სვლა.  
რებული ნასიარულევი, ნამყოფი.  
რეჰანი სურნელოვანი მცენარე.  
რედება მორიდება, მოკრძალება.  
რიტორება მკერმეტყველება.  
რატორი მკერმეტყველი.  
რამითა (წამება, 17-2) სიარულით, სიცოცხლით.  
რანინება რხევით სიარული.  
რახტეგანი თინათინი (იხ.) მამარული ძილი, წაძინება.  
რუში რომი, საბერძნეთი, ბიზანტია.

ხამსონი ძვ. ებრაელთა მსაჯულ-  
თაგანი (ხშირად ძლიერების  
სტრონიმია).

ს

სააოდ ავად, ცუდად, ცუდისთვის.  
საბელი თოკი, ბაწარი.

საზრხე მახე; საშიშროება.

სადა მარტივი, უბრალო.

სადა სად.

სადარა (ლ. მ. 146-2) სად არის.

სადარა (ლ. მ. 146-4) სადარი,  
შესადარებელი, მსგავსი.

სადარი (მაჯამა, III)

1. სადარო, დარის ნომგე-  
რელი;
4. შესადარებელი.

სადაფი მარგალიტის გარეკანი,  
ნიჟარა.

სადალა (ე. ბ. 84<sup>1/2</sup>)—დასადალა-  
ვი, სადაღავი.

სადაღავი მწველი.

სადაღავნი (იოს. ზილ. 57)

1. დასადაღავი;
2. მწველი;
3. გასადაღავრებელი.

სადალი მსხვერპლი.

სადალი დამწვარი.

საფსავი საიმედო.

საზი მუსიკალური სიმებიანი ინ-  
სტრუმენტი.

სათი შავი ქარვა, გიშერი.

სათხვეულო ბადე.

სათხრობელი სათხრელი.

საკეთოდ სასიკეთოდ.

საკვდავად სასიკვდილოდ.

საკვეთარი მოსაჭრელი, ე. ი. ცუ-  
ლი, ნაჯახი ანუ ხმალი,  
ხალა (მაჯამა, VII-181) წელიწადი.  
სალახავად გასათელავად; აქ:  
ბლომად.

სალთანათი (იოს. ზილ. 156-3)  
ძლევა მოსილება; ბრწყინვა-  
ლება.

სამანი (ვარ. ბულ. 15-4) საზღვარი.  
სამ-ერთარხება ე. ი. მართლმადი-  
დებელთა ღმერთი.

სამკვდრეთი მკვდართა ქვეყანა,  
საიქით.

სამოველი იხ. სამოველი.

სამოველი ეშმაკი. სატანა, ბო-  
როტი სული.

სამსწავლო სასწავლებელი, სკოლა.  
სანდალი პატარა ნაფი.

სანდომი საწადელი, ნდომის აღმ-  
ძერელი, ლამაზი.

სანიჟოდ იხ. ნიჟი.

სარანგი მოდარაჯე.

სარებლად სასიარულოდ, სასვლე-  
ლად.

სარიდანი ტარიელის (იხ.) მამა.

სარდიონი ძვ. ქვა (წითელი ფე-  
რის).

სარუა (მაჯამა VIII, 14)

1. მოსარი, გაგმირე;
2. სადაც რუა;
4. სარო (აღვის ხე).

სარჯული სასჯელი.

სასო იმედი, ნუგეში.

სასხლევი მოსაჭრელი.

საუკუნო საიქით.

საფერი შესაფერისი.

საფირონი ძვ. თვალი, ლურჯი იაგუნდი.

საცვფფრო გასაცვიფრებელი, საკვირველი.

ხაწადელი სასურველი.

საწვევრად მოსაწვევად.

საწუთრო წუთისოფელი, ქვეყანა, ცხოვრება.

საქურქლე სიმდიდრე, განძი.

სახევლა (იოს.-ზილ. 211-1) გამოხატულიყო, დახატულიყო.

სახმილი ცეცხლი.

სახსრად სახსნელად, გადასარჩენად.

საქები (წამება, 66-2) რკინის ფარი (პურის საცხოზად ხმარობენ).

სეთი ადამის მესამე შვილი (ბიბლია).

სენები (ლ. მ. 97-3) სენი, ქირი, ავადმყოფობა.

სერაბიმი ანგელოზთ ხარისხი.

სერობა საღამო, ვახშამი.

სეფე დიდებული, დიდგვაროვანი. სვე ბედი.

სვიანი (გ. შ. 58-3) სვამენ.

სრვა ხოცვა, ჟლეტა.

სოლობა შემოდგომა; რთველობა.

სკორე ნეხვი.

სობილწე იხ. ბ ი ლ წ ი.

სითმე საიდანმე.

სილა (ვ. ბ. 18-2) გვარი, მოდგმა, ჯიში.

სინა მთის სახელია (პალესტინაში).

სიონი ტაძარი, ეკლესია.

სიყმილი სიმშილი.

სიცვაფე სიჩქარე.

სიწრფოება იხ. წ რ ფ ე ლ ი.

სმენამა (იოს. ზილ. 8-3) შესმამ, დაღვეამ.

სოთი სწორი, გამართული ცხვირი.

სოკრატი ბერძენთა ცნობილი ფილოსოფოსი (V ს. ქრ. წინ).

სოსანი სურნელოვანი მცენარე.

სოფელი ქვეყანა, მსოფლიო.

სოჰმათი საუბარი, მუსაიფი.

სრა სასახლე, სახლი (დიდებულის).

სრბა სირბილი, ლტოლვა, სრბოლა.

სტაფრა ძვ. ქსოვილი.

სულარა მკვდრის შესაგრაგნელი.

სულარობა სულარაში გაქვევა; სიკვდილი.

სულაო (ლ. მ. 162-4) სულიო.

სულთქმა გახშირებული სუნთქვა; მოთქმა, მწუხარება.

სუმბული სურნელოვანი მცენარე;

სუნა მაჰმადიანური ზეპირი გადმოცემანი მაჰმადის შესახებ (მას უარყოფენ შიიტები).

სუქს (გ. შ. 43-4) სუქდება;

სუილად სასყიდლად.

სცაფს (წამება 32-3) იცაფს.

სცაღლა (ვ. ბ. 25-1)

სცალოდა, დრო ჰქონდა.

სძალი რძალი.

სწთოდეს (ვ. ბ. 53) ჩამოდრიოდეს, წვეთავდეს.

სხლვა ქრა, მოქრა.

სხმა იხ. გა ნ ს ხ მა.

სჯული რჯული.

ტაბაკი ხონჩა.

ტალავარი საჩრდილობელი, კარავი.

ტალი კავი.

ტარია იხ. ტარიელი.

ტარიგი მსხვერპლი, სამსხვერპლო ცხვარი.

ტარიელი „ვეფხისტ ტყაოსნის“ გმირი.

ტვერი ხშირი ტყე; ხშირი, მაგ. თმა-ტვერი.

ტენოდა (ლ. მ. 134-1) დასველებოდა, უსველდებოდა.

ტერფი ფეხი, ფეხის ქვედა ნაწილი.

ტინი სალი კლდე.

ტოილო ცხენის ფეხის მოსაბმელი (საბა); აქ: ქალის თმა.

ტყევა ცემა, გვემა, მოთქმა.

უ

უართო (იოს. ზილ. 121-3) უარესთა.

უბრალი უდანაშაულო.

უბნობა ლაბარაკი, საუბარი.

უგბილი დაჟინებული, ურჩი; რეგვენი.

უღარა (ლ. მ. 68-1) კარგი დარიდაყენა.

უღებდა (იოს. ზილ. 85)

1. დად უღიდა;
2. უნთებდა, უკიდებდა;
3. აძლევდა;
4. ნებდებოდა.

უღენი (წამება, 55-3)

დადგომილი, არამდინარე.

უღი სტვირი, სალამური.

უღი (ლ. მ. 208)

1. ხის სახელია.

4. მუსიკალური იარაღი, სალამური.

უებრო შეუღარებელი.

უზადო ნაკლს მოკლებული.

უზაკველი იხ. ზაკვა.

უზემდეთ (ლ. მ. 159-4) უზამდეთ.

უთეთრე უფრო თეთრი.

უომინოდ მოუთმენლად.

უკაზმაფი იხ. კაზმეა.

ულამი უღემი, სწავლული, ბრძენი, მეცნიერი.

ულემი (შ. გ. 84-3) უცემი, დაუტანჯავი.

უმაგრე უფრო მაგარი.

უმიროზი ბერძენთა ცნობილი პოეტი—ჰომეროსი.

უნახავი გამოუცდელი, უცივი.

უნდილი მოუმწიფებელი, შეუფერებელი, უდროო.

უნუჟრო უკორძო.

უფმურად უქამოდ, უდროოდ, ვადაზე ადრე.

ურვა სევდა, მწუხარება; დარი.

უხაბაში ე. ი. ლმერთი.

უსალამა მიესალმა.

უსასუილო დაუფასებელი, რომლის ყიდვა შეუძლებელია.

უსაცილოდ აუცილებლად.

უსუღი მოხდომილობა, სიღამაზე, შევნიერება.

უსუღობდა (იოს. ზილ. 227)

1. სული არ ჰქონდა, მკვლარი იყო;
2. ლამაზობდა, კონტაობდა;
4. აყნოსებდა.

უსულო (იოს. ზილ. 218-2) აქ:  
კერპი.

უსუფი. იოსები.

უსხეულო ე. ი. ღმერთი.

უფარკნელი გაუსულელი.

უქები მძრახავი, მაგინებელი.

ულამობღა (ლ. მ. 251-3) ლამედ  
არ იქცეოდი..

ულეზღა (ლ. მ. 238)

2. უღებავდა;

4. აღებდა.

უყე მორვეი, საფლობი; ღრმა.

უყე (წამება, 21-2) იხ. უყე.

უშეზსა (ვ. ბ. 42-1) კენესასა, მო-  
თქმასა.

უშენდეს (ლ. მ. 142-4) უშენოდ,  
შენს გარდა, შენს მეტი.

უში ვიში, ოხერა.

უშიავო იხ. შმაგო.

უც (ლ. მ. 211-2) აქეს.

უცები უვიცი, უცოდინარი.

უცილოდ აუცილებლად.

უცნობო უგონებო, გონება, ცნობა  
დაკარგული.

უძეობა უშვილობა.

უძღობდეს (ლ. მ. 6-2) წინ მიუ-  
ძლოდა.

უწვრანელი გამოუცდელი, დაუგე-  
შავი.

უხამსი შეუფერებელი, არასაკად-  
რისი.

უხარა დრო მისცა, ვადა დაუღვა.

უხმობენ (წამება, 78)

1. უწოდებენ;

2. უხმებათ, უქცნებათ;

3. მეტყველებენ, აქებენ;

4. მოიწვევენ.

ფ

ფაზარი (წამება, 16-4) „ქვა ნაღვე-  
ლთა შინა... სამკურნალოდ  
სახმარი“ (საბა).

ფათერაკი ქირი, გადამდები ავად-  
მყოფობა.

ფარაო ფარაონი.

ფარაოზი ფარაონი, მისრეთის მეფე.

ფარაოზი იხილე ფარაოზი  
ფარაონი.

ფარვანა(ი) პეპელა.

ფარმანა ფირმანი, ბრძანება, გან-  
კარგულება.

ფარტენა მატყლის ქსოვილი.

ფასლი ჟამი, წლის დრო, სეზონი.

ფატმან „ვეფხის ტყაოსნის“ გმირი  
ქალი.

ფაფჩურ „ვისრამიანის“ აგტორი  
ფახრ-უდდინ ჯორჯანელი.

ფერხი ფეხი.

ფელამბარი წინასწარმეტყველი.

ფეშქაში საჩუქარი, ძღვენი.

ფილთა სანადირო ერთპირიანი  
თოფი.

ფიქალი ნათალი, ნახვეწი.

ფიქალი ქვის ან სხვა რამეს ფიცარი.

ფლაზი სამგლოვიარო სამოსი, ძაძა.

ფლობა პყრობა.

ფლობით. (წამება, 7)

2. მფლობელად, მპყრობელად;

3. საკვდავად, დასამარხავად.

ფრანგული არასწორი, მრუდე.

ფრეწა ხევა.

ფრფინვა შეხარება; ფრენა.

ფსალმუნებანი იხ. ფსალმუნნი.

ფსალმუნი დაეით წინასწარმეტყვე-  
ლის თქმული საგალობელნი.

ქ

ქადება დაპირება, მუქარა.

ქადილი ი.ხ. ქადება.

ქავსარი სამოთხის წყარო.

ქალოსა ქალსა.

ქალფათინი (წამება 49)

ლურსმანის ამოსაღები გაზი.

ქამანი (ქამანდი) მშვილდი, სა-  
ბელი, ბადე; აქ: ეპითეტი  
ქალის წარბებისა.

ქანი მადანი, ლითონი.

ქანარსა (ა. ქ. III-დ-1) ქნარსა.

ქარავანბაში ქარავენის მეთაური,  
უფროსი.

ქარახსი ყანწი, დიდი სასმისი.

ქერ-ბაასობა (შ. გ. 10-<sub>1</sub>) უსწო-  
რო, შეუფერებელი ბაასობა.

ქეჯაო კუბო, ტახტრევიანი.

ქენება მუდარა, ხვეწნა.

ქერაბიმი (ნი) ანგელოზის ხარი-  
სნია.

ქვე ქვეშ, დაბლა, ქვემოდ.

ქველი კეთილი, შემბრალებელი,  
მოწყალე; გულუბგი.

ქვემოსა (ა. ქ. III-ზ-<sub>4</sub>) იგულის-  
ხმება ქვესენელი, ჯოჯო-  
ხეთი.

ქვენანი (წამება 32-<sub>2</sub>) ამ ქვეყ-  
ნისანი, ე. ი. ქვეშევრდომნი.

ქვეშებით ქვეშ, დაბლა.

ქვიზის იხ. რამლი.

ქლამინი სამეფო ტანსაცმელი.

ქმნული ქმნილი, გაჩენილი, აქ:  
ადამიანი.

ქნევა ქმნა, ჩადენა, ყოფა.

ქოლა (ლ. მ. 26-<sub>3</sub>) ფრინველის  
ბარტყი; აქ: შვილი.

ქორი ტაძრის ზედა სართული.

ქოსი დაირა, ბარაბანი (ლითო-  
ნის).

ქოჩარი (ლ. მ. 81-<sub>4</sub>) მომთაბარე;  
აქ: თანმხლებელი, მოდა-  
რაჯენი.

ქრთილი იგივეა, რაც ქერი.

ქაული ქსოვილი, ნაქსოვი.

ქურუში მოგვი, რელიგიური კულ-  
ტის შემსრულებელი.

ქუფრი მუქი, მოწყენილი.

ქუფრობა მოწყენა, მოლუშვა.

ქუქებხა (შ. ფ. 34-<sub>3</sub>) მწუხარება,  
სევდა.

ქშენა გამალებული სულთქმა.

ლ

ლაღარა მატყურა, მოლალატე.

ლაღლადი (ება) თხოვნა, ღალ-  
დება; მძლავრი მუქება, გა-  
ძლიერებული სინათლე.

ღარიბი უცხო, უჩვეულო, იშვიათი,  
ძვირფასი.

ღაწვი ლოყა.

ღაწვი-ყაყაჩო წითელი ლოყა.

ღებულა (იოს. ზილ. 303-<sub>4</sub>) შე-  
ღებილია.

ღიმღეს (ლ. მ. 143-<sub>2</sub>) იღიმე-  
ბოდა.

ღირობდეს ღირდეს.

ღწვა ღვაწლი, ზრუნვა.

ყ

ყამჩი (ყანჩი) დედაკაცთა თავსა-  
ხურავი.

ყანღარი ქალაქი ავღანისტანში.

ყანღი შაქრის ღერწამი.



ყარამფილი (ო) მიხაკი.

ყაფლა (ყაფილა) ამაღა, თანმზღებელნი.

ყაყაჩო მინდვრის ყვავილი.

ყვრიმლი ყურის ძირი.

ყილმანი ზღაპრული ბოროტი სული, ეშმაკი, ჭინკა.

ყირმიწი წითელი, სისხლის ფერი.

ყნოსანი ყნოსეა, საყნოსაფი.

ყოვლიფერი ყველაფერი.

ყოფითა (წამება, 56)

1. ქცევით;
3. გაყოფით;
4. გაკეთებით.

ყული მონა.

ყურბან-საღალი მსხვერპლად განწირული, მონა.

ყურბანი მსხვერპლი, სამსხვერპლო.

ყურე მხარე, კუთხე.

უ

უაირი ლექსი.

უამბი წყლის პირას მაღალი ბაღახი.

უამებდა (ლ. მ. 215-ა) სანთელივით.

უამი სირია, ქალ. დამასკო.

უამი სანთელი.

უარავანდელი სხივმოსილობა, სხივის სიმეტე.

უარბათი ტკბილი ღვინო, სასმელი, შამპანური.

უაზარი სისხლის გამოსაშვები (საბა).

უაჰ-აბაზი (ხი) სპარსეთის განთქმული შაჰი (მე-17 ს.).

უეაზავა (გ. შ., II)

1. შეაერთა, შეურია;
2. შეარიგა.

უემშღვავა ზღვად აქცია, ზღვად გამოყო.

უეესმა მოისმინა, გაიგონა.

უეზარება სიძულელი.

უეთი გიჟი, შმაგი.

უეთხზვა შერევა, შეზავება.

უეიდი შეყვარებული; ლამაზი, მომნიბვლელი.

უეთიქვენს (იოს. ზილ. 34<sub>2</sub>) შეთქმულება მოაწყვეს.

უეიწყნაროხა (წამება, 3)

1. შეაჩეროს, შეანელოს;
2. მიიღოს, ირწმუნოს;
3. კეთილად იღოს;
4. ჩათვალოს, შეურვიდეს.

უეკვეთილი შეწირული.

უემაცილი მოცილე, შემცილებელი, მოქიშპე.

უემილამისა (შ.-ფ. 31<sub>3</sub>) დამიღონა, დამიბნელა.

უემომქმედი აქ: ღმერთი.

უემოსრული (იოს. ზილ. 164)

1. შემოსული;
4. შემოზღუდული, შემოღობილი.

უემოწმება დადასტურება.

უემოჰყრია (იოს. ზილ. 163)

1. მოსვლია, სწვევია;
2. წყენია;
3. შემოუკრიბავს;
4. მოსცემია.

უენადებსა (ლ.-მ. 177)

1. შეურაცხყოფილს;
2. გარკობილს.

შენამკვერთი მნახველი.

შენაწონები იხ. შეწონება.

შენოლა (ლ. მ. 256)

1. აშენებული იყო;
3. ეშინოლა.

შერჩა (იოს. ზილ. 123-4) დღე-გრძელი იყოს, იკურთხოს.

შესახაბამი შესაფერისი, შესატყვისი.

შესაძე შესაძლებელი.

შესაწონელი შესაფერისი, შესაღარებელი.

შესუღრა იხ. სუღარა.

შეყრა შეერთება, შეხვედრა.

შეცდა გაგიჟდა, გადაირია.

შეწმანნილი ხელოვნურად აწყობილი, გადაგრეხილი, კარგად შეზავებული.

შეწონება მიწვდომა, ჩაწვდომა.

შეწობით შეზავებით, შეხამებულიად.

შეჭირვება მწუხარება, გაჭირვება. შეჭურვა იარაღთ-ასხმულობა, შეიარაღება.

შეჭურვილი შეიარაღებული.

შთაყოლა თან ჩასვლა, ჩათრევა.

შინაღ შინ, სახლში.

შირაზი სპარსეთის ერთ-ერთი პროვინცია.

შირვანი ძვ. სახელი ქალ. შემახის. შიშვბი (წამება 61)

1. დულილი;
2. ეკლები (რკინის);
3. შიშნი, მორიდებანი.

შიხი (ლ. მ. 268) შეიხი, უფროსი, მოხუცებული.

შიხ-სადი შეიხი საადი. (?)

შმაგი გიჟი, შემოლილი, გახელბული

შობისა (წამება 42)

1. დაბადების (ზმნა);
2. დაბადების (სახელი);
3. დაჰბადოს;
4. შობა (დღესასწაული).

შორვა დაშორება, შორს ყოფნა. შუბო შუბი.

შული დახვეული ძაფის საზომია.

ნ

ჩახმო (წამება 61-4)

შეეკითხა, გამოესაუბრა.

ჩათრი მზის სხივებიდან დვსაცავი თავსაფარი; ლასტი (მეფის უფლების სიმბოლო).

ჩამოგეჩიტი შემოგყურებ. (?)

ჩარაჭული იხ. რაზა.

ჩახტა (ლ. მ. 2084)

საკრავი იარაღი.

ჩაძოწული იხ. ძოწი.

ჩენა ხედვა.

ჩეშმი თვალი.

ჩირახონი ჩირაღდანი.

ჩმახები მიღებ-მოდება, აბლა-უბლა.

ც

ცადარა გამოსატყვევალად, საცდელად.

ცალევედენ (ა. ქ. II, ხ-1) სკლიდენ, ათავისუფლებდენ.

ცვინი ცვილი.

ციერნი (იოს. ზილ. 49-3)

ცის მნათობნი.

ცული უსაქმო.

ცუნდრუკობა მლიქვნელობა, ფა-  
რისეველობა; შეცოდება; ბო-  
როტის განზრახვა.

ცურავ ცურავს.

ცურცვლა შეღონებულად, ჩუმად  
ლაპარაკი.

ცქეფვა მომდინარება.

ცხრებოდა ილეოდა; მშვიდდებოდა,  
წყნარდებოდა.

d

ძალუც შეუძლია.

ძარი „ქორის საჯდომი გოდორი“  
(საბა).

ძელი ხის ნაქერი, ბოძი.

ძნობა შეწყობილი სმით მღერა,  
გალობა.

ძოასა (ლ. მ. 74-2) ბალახის მო-  
ძოვას.

ძოლან წვლან, ამას წინად, „სამ-  
ოთხ. დღეს უწინდელი და  
შარშანს აქეთი“.

ძოწი წითელი ლალი, მარჯანი.

ძრობა იხ. ზ რ ო ბ ა .

ფ

წაგება დაღუპვა.

წაგრაგნული შეხვეული, შესუ-  
ღრული.

წადება სურვილი.

წადიერად მოწადინებულად, გულ-  
დასმით.

წაეყარა (იოს. ზილ. 124)

1. შეეკრიბა, წაეყვანა;
2. გულს შემოეყარა;
3. შეხვდა, დახვდა;
4. მოეკიდათ, დაეწყოთ.

წათი შუბი.

წალკოტი ბალი.

წამავალობა წასვლა.

წამება (წამება, 2)

1. წამად ეცევა, ე. ი. ცხრ-  
ვრება, სიცოცხლე;
2. დაწამება, შეწამება;
3. დაჯერება;
4. წამება, ტანჯვა.

წამირთოხ (ლ. მ. 2)

2-2 დამიდვას;

2-4 წაართვას.

წამისი (მაჯამა VIII, 3-3)

წამწამის.

წარეო (შ. გ. 702) წადიო.

წატანა თან წალემა, წაყვანა.

წერა ბედი (ფატალისტური გა-  
გებით).

წვართა (ლ. მ. 240-1)

გაწრთვანა.

წილი მიდამო, უბე, კალთა.

წიგნი წერილი, ბარათი.

„წიგნი მოციქულთა“ ქრისტეს  
მოციქულთა საქმიანობის აღ-  
წერა.

წილ ნაცვლად, მაგივრად.

წილი ხვედრი, ნაწილი.

წინარე (წამება 80)

1. ადრე;
2. წინაშე, წინ.

წრთოდეს (ლ. მ. 222-3)

იღვრებოდა, ეწვეებოდა.

წრფელი მართალი, გულლია,  
სწორო.

წულული კრილობა, იარა.

ჟ

კაბუკი ახალგაზრდა, რაინდი.

კიკინა მწერის სახელია.

კვირვა კვირტა.

კვირობა გამკვირვალება.  
 კმუნვა მწუხარება, სევდა, გლოვა.  
 კუხება დაბუკვა, დავსება.  
 კურვა იხ. შეკურვილი.

ბ

ბაბაზი პურის მცხობელი (ვაჟა-რიც).

ბადილი წვეულობა, სტუმრობა.  
 ბადუმი მოსამსახურე, მოახლე ქალი.

ბაზალი ყვითელი ფერი.  
 ბათა (ი) (ლ. მ. 203-1)  
 ბატაური, ბატაეთიდან. (ჩინეთი).

ბალახი სუფთა, წმინდა.  
 ბალვათი თავისუფალი, ცალიერი.  
 ბალენი მღვდელთ სამოსი.  
 ბალვა წვა, დაგვა.  
 ბალვათად მარტოდ, მოსვენებულად, თავისუფლად.

ბალიფი (ა) მაჰმადის მოადგილე; მუსლიმანთა (სარწმუნოებრივი) მეფე; მეფე.

ბაში ბამბის ტლანქი ნაქსოვი.  
 ბაშლი „ფეხთსაცმელი“ (საბა).  
 ბაშს უნდა, ჯერ არს, საჭიროა.  
 ბანა (იოს. ზილ. 70ჟ) სახლი.  
 ბანები (იოს. ზილ. 70)

1. დრო;
2. სახლი.

ბარა ხარ.

ბახი დიდებული, წარჩინებული, კარასკაცი.

ხებულა (იოს. ზილ. 233-4) ხედ ქცეულა.

ხებულა ხედ ქცეულა.

ხევა დაჭრა, დაკოდვა, გაკაწვრა.  
 ხელი გიყი.

ხელობა იხ. ხელი.  
 ხელყოფა დაწყება, შედგომა.  
 ხენეში ავი, ბოროტი.  
 ხერხი საშუალება, შეძლება.  
 ხვარაშე (წამება 19ჟ)

ქეთევან დედოფლის გამზდელი.

ხვარაზმი შუა-აზიის ძვ. სამეფო (ხივა, ქივა).

ხვარასანი ხორასანი, სპარსეთის ერთ-ერთი პროვინცია.

ხა (მაჯამა VIII, 25-ი) ხეა, ზირლა ტლანქი, უხეში სამოსი; დერვიშთა ტანსაცმელი.

ხლომა ხტომა.  
 ხმელი ხელეთი.  
 ხმოზა გალობა, სიმღერა.  
 ხმოზა მოხმოზა, მოწვევა, დაძახება.

ხნარცვი ორმო, თხრილი.  
 ხოვრიელი ვრცელი, ბევრი, ბლომაღ.

ხოკვა კაწვრა.  
 ხოში ვარსკვლავთ გუნდი.  
 ხოშლი იხ. ხომი.  
 ხონი დიდი ტაბაკი; აქედან კიდევ ბევრის შემცველი.

ხორეზმი იხ. ხვარაზმი.  
 ხორციელი ადამიანი, სულდგმული.  
 ხოხრავი (ხოსრო) სპარსული რომანის „ხოსროგ-შირინიანი“-ს მთავარი გმირის სახელია.

ხოჯა საქურისი; ბრძენი, სწავლული კაცა.

ხრანი (წამება 18)

1. ფრქვევანი, დაღვრანი;
2. ქნევეანი, გაშლანი.

ხრმალი ხმალი.

ხული ხულა, საოჯახო ნაშენი, პატარა სახლი.

ხუნდი ბორკილი.

ჯ

ჯაბანი მოშიშარი, მხდალი, გაუბედავი.

ჯავარი მოხდენილობა, სილამაზე, შნო; ქადრის ხე.

ჯალაბი (ობა) ოჯახი, ცოლ-შვილი.

ჯანი (წამება 30)

1. ახალგაზრდა; ჯანმთელი;
2. სული.

ჯანყი შეკრება, ყრილობა, ჩოჩქოლი, ფუსფუსი, არეულობა.

ჯაჯები სატანჯველი.

ჯემშიდი მითური მეფის სახელი შაჰ-ნამეთი (სინონიმი სიბრძნის და ძლიერების).

ჯვრა (ლ. მ. 171-4 უჯერებს.

ჯვრვა (შ. გ. 66-2)

სანადირო ადგილის გარემოცვა.

ჯვართა ჯვარისწერა.

ჯილაფი ლავამი, აღვირი.

ჯილაფდარი აღვირის დამჭერი, ცხენის წინამძღოლი.

ჯიმი ჯ, უკანასკნელი ასო არაბული ანბანისა.

ჯინი ავი სული, ეშმაკი.

ჯილა სამკაულით მოთუთი თავსახურავი.

ჯომარდი ქველი, უხვი, ვაჟკაცი.

ჯორჯანი იხ. გ უ რ გ ა ნ ი.

ჯუფთი ტოლი, ამხანაგი; სქესობრივად და ავშირებული წყვილი.

ჰ

ჰაჯა იხ. ა ჯ ა.

ჰბურავს ჰფარავს, ეხევეა.

ჰეროდე (ა. ქ. III ჩ-3)

ურიათა მეფე (რომლის დროსაც ბიბლიური გადმოცემით დაიბადა ქრისტე).

ჰმართებს ევალება, ვალდებულია.

ჰაყიყი იხ. აყიყი.

ჰფერობხ ჰშვენის, ეკადრება, ღირსია.

ტფილისი.

ნოემბერი 1933 წ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

|                           |        |
|---------------------------|--------|
| 1. ტექსტისათვის . . . . . | გვ. 09 |
|---------------------------|--------|

## პოემები და ლექსები

|  |       |
|--|-------|
| 2. ვარდ-ბულბულიანი . . . . .                     | „ 3   |
| 3. შამი-ფარვანიანი . . . . .                     | „ 15  |
| 4. ლეილ-მაჯნუნიანი . . . . .                     | „ 24  |
| 5. იოსებ-ზილიხანიანი . . . . .                   | „ 60  |
| 6. შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა . . . . . | „ 99  |
| 7. მაჯანა . . . . .                              | „ 113 |
| 8. წამება ქეთევან დედოფლისა . . . . .            | „ 126 |
| 9. სოფლის სამღურავი . . . . .                    | „ 138 |
| 10. გრემის სასახლეზე . . . . .                   | „ 142 |
| 11. თამარის სახე დავით გარეჯას . . . . .         | „ 144 |
| 12. ანბანთ-ქებანი . . . . .                      | „ 145 |
| 13. შვიდთა კრებათათვის . . . . .                 | „ 161 |

## გაშოკლევანი

|   |       |
|---|-------|
| 14. ალ. ბარამიძე: თეიმურაზ პირველი . . . . .      | „ 171 |
| 15. გ. ჯაკობია: თეიმურაზის „თარგმანები“ . . . . . | „ 221 |
| 16. ლექსიკონი . . . . .                           | „ 285 |

## შეცდომათა გასწორება

გვერდი, სტრ.  
(ზემოდან).

დაბეჭდილია

უნდა იყოს

27,1  
27,10  
29,10  
44,30  
46,21  
46,22  
68,6  
71,27  
73,15  
86,26  
88,17  
91,18  
91,30  
92,8  
99,29  
102,4  
104,12  
105,29  
108,24  
109,22  
117,1  
118,4  
119,4  
127,3  
129,23  
131,22  
132,9  
132,14  
138,5  
138,25  
148,9  
177,30  
217,5  
249,5  
267,4  
268,25  
269,17  
274,13

მიჯნუნისაგან  
არ ჰკვირან  
სამწავლოსა  
მჩუფეთა  
აქ, ა ქით  
აქა ქით  
გაღმქაენდე  
წამალე  
ფერ-ფამქალი  
მე სირცხვილი  
დამტვერული  
ხალმანდილითა  
გაუნყ  
სინსარი  
რუსთაველმანც  
გარდაიკიდან  
სოფლით  
შიშოდგომისა  
სიამეს  
ბედვედა  
ომინისა  
მონა კიდე  
განაქა  
ბროლ-ფიქალი  
აფილეზ  
სუმუქ  
ცეცხლი  
ფერობა  
გაფქელ  
მელ-არად  
მღვიმელი  
Токоде  
მანდოდა  
სავსებით  
აღებულია  
შედგვი  
წაკლოტი  
თეამუჩახს

მიჯნუნისაგან  
არა ჰკვირან  
სასწავლოსა  
მჩუფეთა  
აქ, ა ქით  
აქ ა ქით  
გაველავენდე  
წა მალე  
ფერ-გამქრალი  
მერ სირცხვილი  
დამტვერული  
ხელმანდილითა  
გაუწყა  
სინმარი  
რუსთველმანც  
გარდაიხდიან  
სოფლით  
შემოდგომისა  
სიამეს  
ბედვედა  
ღვინისა  
მოცაკიდე  
გან აქა  
ბროლ-ფიქალი  
აფილეზ  
სუმუქ  
ცეცხლი  
ფერობა  
გაფქელ  
მელ-არად  
მღვიმელი  
Токоде  
მინდოდა  
სავსებით  
აღებულია  
შემდეგი  
წაკლოტი  
თეიმურაზის

შემოქმედი ყველგან უნდა ვიკითხოთ შემოქმედი წერილის—ტიქსტისათვის—მარცხენა კამარაზე უნდა იკითხებოდეს თეიმურაზის, ხოლო მარჯვენაზე ტექსტიხათვის. ტექნიკური დაბრკოლებების გამო სპარსულ სანულებში პირობითი ნიშნები ა, ი, თ ყ ფ ყველგან დაცული არ არის.